


პიერ დე სენარკლენი
იოან არიფენი

საერთაშორისო კოლექტივა

თანამედროვე თეორიები
და ამოცანები

მეხუთე გამოცემა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2014 წელი
ILIA STATE UNIVERSITY

პიერ დე სენარკლენი და იოან არიფენი

საერთაშორისო პოლიტიკა

თანამედროვე თეორიები და ამოცანები

Pierre de Senarclens et Yohan Ariffin

LA POLITIQUE INTERNATIONALE

Théories et enjeux contemporains

Cinquième édition

ფრანგულიდან თარგმანი: **ნანა ცქიტიშვილი**

სამეცნიერო რედაქტორი: **მალხაზ მაცაბერიძე**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

დამკაბადონებელი: **ქეთევან გოგავა**

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Cette ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la Publication de l'Institut français.

© Armand Colin, Éditeur, 2008

© თარგმანი ნ. ცქიტიშვილი, 2014

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2014

ISBN 978-9941-18-180-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

PIERRE DE SENARCLENS

YOHAN ARIFFIN

**LA POLITIQUE
INTERNATIONALE**

THÉORIES ET ENJEUX CONTEMPORAINS

CINQUIÈME ÉDITION



ARMAND COLIN

სარჩევი

შესავალი.....	9
1. კლასიკური პერსპექტივები.....	10
1. 1. ისტორიული მიდგომა	10
1. 2. სამართალი და ინსტიტუტები.....	11
1. 3. პოლიტიკური ეკონომია	12
2. საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური თეორია	12
2. 1. ძირითადი პარადიგმები.....	13
2. 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მოდელი	13
2. 3. მნიშვნელობის ძიება	14
2. 4. თეორია, როგორც ინტერპრეტაციის ჩარჩო	15
3. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის წვლილი და საზღვრები.....	16
ნაწილი I	
სახელმწიფოთშორისი კავშირების სფერო.....	17
თავი I	
რეალიზმის პარადიგმის ანალიზის კატეგორიები.....	18
1. დისციპლინის აღმოცენება.....	18
2. რეალისტური მინიშნებები	20
3. სახელმწიფო სუვერენიტეტი	22
3.1. საგარეო სუვერენიტეტი	22
3.2. შიდა სუვერენიტეტი	23
4. ერი, ერი-სახელმწიფო და ნაციონალიზმი.....	25
5. საერთო მეთაურის არარსებობა	30
6. ანარქია და მისი შედეგები	32
6.1. „თავს უშველეთ ვისაც შეგიძლიათ“ პრინციპი, „ეროვნული ინტერესის“ ცნება და უსაფრთხოების დილემა.....	32
6.2. ძალა და ძალაუფლება	33
6.3. ძალის მატერიალური და არამატერიალური ელემენტები	35
6.4. ძალთა ბალანსი სახელმწიფოებს შორის და სისტემური მიდგომები.....	38
6.5. იერარქიების და იდეოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა	41
6.6. უოლცის ნეორეალიზმი	42
7. რეალიზმის კრიტიკა	43
თავი II	
სახელმწიფოთშორისი კონფლიქტების კვლევა	46
1. ანალიზის დონე.....	47
1.1. გადაწყვეტილების მიმღებთა როლი	47
1.2. სახელმწიფო მოღვაწეთა ფსიქოლოგია	48
1.3. ინსტიტუციური შეზღუდვები	49

1.4. შიდა პოლიტიკური რეჟიმები	51
1.5. საერთაშორისო სტრუქტურები	52
1.6. კორელაციური ანალიზი	53
2. სტრატეგიული კვლევები	53
2. 1. კარლ ფონ კლაუზევიცი	54
2. 2. დუელი	54
2. 3. პოლიტიკა სტრატეგიულ მიზნებს განსაზღვრავს	54
2. 4. ტოტალური ომი	56
3. ბირთვული მუქარა	58
3. 1. ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგები	58
3. 2. სტრატეგიების რეკონცეპტუალიზაცია	59
3. 3. გამალებული ბირთვული შეიარაღება	60
3. 4. მასობრივი უშრისძიების დოქტრინა	60
3. 5. ლიმიტირებული ბირთვული ომები?	61
3. 6. ეტაპობრივი რეპრესიები	61
3. 7. ორმხრივად გარანტირებული განადგურება	62
3. 8. იყო თუ არა დამაჯერებელი მუქარა?	62
4. მუქარის პოლიტიკური შედეგები	63
4. 1. ატლანტიკური ალიანსის კრიზისი	64
4. 2. პერიფერიული ინტერესების დაცვა	64
4. 3. რეგიონული კონფლიქტები	64
4. 4. ზღვარგადასული ბირთვული შეიარაღება	65
4. 5. მასობრივი განადგურების იარაღის ჰორიზონტალური გავრცელება	66
4. 6. Statu quo-ს კონსოლიდაცია	67
4. 7. შეიარაღების კონტროლი	67
4. 8. პირველი შეთანხმებები განიარაღების შესახებ	68
4. 9. არაბირთვული სტრატეგიები	69

ნაწილი II

სახელმწიფო და ეკონომიკური ურთიერთობების სფერო	72
---	----

თავი III

საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკურ აზროვნებაში	74
1. მერკანტილიზმი	74
2. ლიბერალიზმი	75
3. ეკონომიკური ნაციონალიზმი	77
4. მარქსისტული ანალიზი	79

თავი IV

ეკონომიკა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში	81
1. სახელმწიფო და ბაზარი: წინმსწრები შეხედულებები	81
2. რეალისტური ანალიზი	83

3. ურთიერთდამოკიდებულების და ტრანსნაციონალიზმის თეორიები	86
4. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია.....	87
5. ნეომარქსისტული, სტრუქტურალისტური და დამოკიდებულების თეორიების ანალიზი ...	90
5. 1. ნეომარქსისტული ანალიზი.....	90
5. 2. საუკუნოვანი ექსპლუატაციის პროცესი	91
5. 3. დაბალი განვითარების სტრუქტურული ანალიზი	93
5. 4. დამოკიდებულების თეორია.....	95
5. 5. იმპერიალიზმის და დამოკიდებულების თეორიების პოლიტიკური ინტერესი.....	97
5. 6. კრიტიკა.....	97
6. სტრუქტურის ცვლილებები.....	98
7. სუვერენიტეტების დასასრული?.....	100

ნაწილი III

სახელმწიფო, ეკონომიკური, ნორმატიული და ინსტიტუციური ურთიერთობების სფერო	103
--	------------

თავი V

ნორმები და ინსტიტუტები საერთაშორისო ურთიერთობებში	104
1. ნორმების პირველობა.....	104
2. პოლიტიკური ფილოსოფიის წვლილი	107
3. საერთაშორისო საზოგადოების საფუძვლები	110
3. 1. ლეგიტიმურობა	111
3. 2. ლეგიტიმურობა საერთაშორისო ურთიერთობებში.....	112
3. 2. 1. ლეგიტიმურობის აფექტური ასპექტები	113
3. 2. 2. ლეგიტიმურობის კულტურული ასპექტები	114
3. 2. 3. ლეგიტიმურობის იდეოლოგიური ასპექტები.....	117
4. არასახელმწიფო აქტორთა როლი ნორმების შემუშავებაში.....	118
4. 1. საერთაშორისო ორგანიზაციები	119
4. 1. 1. ბუნდოვანი ტიპოლოგია	120
4. 1. 2. არაერთგვაროვანი სტრუქტურები.....	121
4. 1. 3. ინსტიტუციური ავტონომია	121
4. 2. არასამთავრობო ორგანიზაციები.....	123

თავი VI

ნორმები და ინსტიტუტები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში	126
1. ინტეგრაციის თეორიები	126
1. 1. ფუნქციონალიზმი	128
1. 2. ნეოფუნქციონალიზმი	130
1. 3. სამთავრობოთშორისო ურთიერთობების თეორიის ინტერპრეტაცია	132
2. რეჟიმების თეორიები	133
3. ჰეგემონიის კრიტიკული თეორიები.....	137
3. 1. ჰეგემონიის იდეოლოგიური ასპექტები.....	138

3. 2. ჰეგემონიის კულტურული ასპექტები	139
4. მმართველობა მთავრობის გარეშე (Gouvernance)	141
თავი VII	
საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა	144
1. საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციები.....	144
2. ნორმატიული და კოგნიტიური საქმიანობა.....	145
2. 1. ლეგიტიმაციის ინსტანციები	146
2. 2. ცოდნის გავრცელება.....	147
3. დიპლომატიური და სტრატეგიული საქმიანობა	148
3. 1. მშვიდობის შენარჩუნება	148
3. 2. მრავალმხრივი დიპლომატია.....	150
3. 3. ჩარევის პრობლემატიკა.....	152
4. სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა	153
4. 1. ეკონომიკური და სოციალური განვითარება	153
4. 1. 1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი განვითარების პოლიტიკებში	154
4. 1. 1. 1. ტექნიკური დახმარება.....	154
4. 1. 1. 2. გაეროს რეზოლუციები	155
4. 1. 1. 3. გაეროს განვითარების პროგრამის საქმიანობა და ადამიანური რესურსების განვითარების ინდიკატორი.....	158
4. 1. 2. ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების გავლენა	161
4. 1. 2. 1. მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საერთაშორისო განვითარების რეჟიმი.....	161
4. 1. 2. 2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო დავალიანების სისტემა	164
4. 1. 2. 3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საერთაშორისო სავაჭრო სისტემა	170
4. 2. საერთაშორისო პოლიტიკა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში	171
4. 2. 1. ბიომრავალფეროვნების ეროზია	173
4. 2. 2. გლობალური დაბინძურება	179
4. 3. დემოგრაფიული და მიგრაციული პოლიტიკა	184
5. ახალი საერთაშორისო ინსტიტუტების კენ?	186
დასკვნა	188
ბიბლიოგრაფია.....	191

შესავალი

დღეისათვის საერთაშორისო პოლიტიკა ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავს და ხალხების მომავალს მრავალმხრივ წარმართავს. მართლაც, სწორედ სახელმწიფოთმორის კავშირებში, უფრო ფართოდ კი ნაციონალური საზოგადოებების ურთიერთობებში, გარკვეულწილად, ინდივიდების და პოლიტიკური ერთობების ცხოვრება მიედინება. აღნიშნულს გასული საუკუნის ისტორია ცხადყოფს: 1914-1918 წლების ომი, 1929 წლის საბირჟო კრაზი, მეორე მსოფლიო ომი, შემდგომში ცივი ომით გამოწვეული კონფლიქტები და დეკოლონიზაციის პროცესი. ამ მოვლენებმა მძიმე დალი დაასვა მსოფლიო პოლიტიკას და, იმავდროულად, გადატრიალება მოახდინა დროის მსვლელობასა და საზოგადოების ცხოვრებაში. სულ ახლო წარსულში, საბჭოთა იმპერიის დეზინტეგრაციამ, ისევე როგორც გლობალიზაციის დინამიკამ, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ანტაგონიზმის დასასრულს მოჰყვა, დიდი მასშტაბის პოლიტიკური და სოციალური ძვრები გამოიწვია საზღვრების და რეჟიმების ცვლილებებით.

გასული საუკუნის დასაწყისში, გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი პოლიტიკას ძირითადად, სახელმწიფოსთან მიმართებაში განსაზღვრავდა, რომელშიც იგი ლეგიტიმური ფიზიკური ძალადობის ერთადერთ მფლობელს ხედავდა. ამ თვალსაზრისმა დიდი გავლენა იქონია პოლიტიკურ მეცნიერებაზე. ხშირ შემთხვევაში, სუვერენულ სახელმწიფო ძალაუფლებად მიჩნეულმა სახელმწიფომ შიდა იძულებზე მონოპოლია მოითხოვა; თუმცა, მისი გადაწყვეტილებების თავს მოხვევის, კანონების კარნახის, ადმინისტრირებისა და დასჯის უფლება, სრულიად დამოუკიდებლად არ ხორციელდება. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზე დამოკიდებული. ამავე დროს, ყველა სახელმწიფო სათავეს საერთაშორისო ურთიერთობებიდან იღებს, რადგან მათ ჩამოყალიბებას ომი და დიპლომატია წარმართავდა, რომელიც ამ სახელმწიფოთა საზღვრებს განსაზღვრავდა და მათი რეჟიმების ევოლუციაზე ახდენდა გავლენას. საერთაშორისო პოლიტიკა ასევე გავლენას ახდენს პლანეტის სიმდიდრის გადანაწილებაზე. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სრულ ავტარქიაში არსებობა და ყველა მათგანი იძულებულია ფსონი დადოს დანარჩენ მსოფლიოსთან ალიანსებზე, სავაჭრო და ფინანსურ ურთიერთობებზე. ამგვარად, სახელმწიფოები ჩართული არიან ურთიერთკავშირების მჭიდრო და კომპლექსურ ქსელში, რომელიც განაპირობებს მათი უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებელს, ნედლეულის და სამრეწველო საქონლის იმპორტისა და ექსპორტის თანხას, ინვესტიციების მოზიდვისთვის განკუთვნილ რესურსებს. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი იღებენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც მრავალმხრივი მოლაპარაკებებიდან მომდინარეობს და შეიძლება ისეთ ატრიბუტებს ენებოდეს, რომლებიც ტრადიციულად, სახელმწიფო სუვერენიტეტის განმსაზღვრელად განიხილება, როგორცაა სოციალური დაცვის ან რესურსების ექსპლუატაციის პოლიტიკები.

ზემოთ აღნიშნული სწორედ ის მიზეზია, რომლის გამოც, საერთაშორისო პოლიტიკას მთავარი ადგილი უკავია თანამედროვე საზოგადოებების მომავლის წარმართვაში. მისი შესწავლა საგრძნობლად განვითარდა სამრეწველო ქვეყნების უმრავლესობის აკადემიურ პროგრამებში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეიქმნა სახელმწიფოთმორისი ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორების და შედეგების შესასწავლად. ამ საკითხთან დაკავშირებით სულ უფრო მატულობს, როგორც პუბლიკაციების, ისე სპეციალიზებული ჟურნალების რაოდენობა. ამგვარად, საერთაშორისო

სო ურთიერთობები სპეციფიკური კვლევების სფეროდ იქცა, რომლის გარშემოც მეცნიერთა მზარდი თანამეგობრობა ერთიანდება.

1. კლასიკური პერსპექტივები

საერთაშორისო ურთიერთობები რთული სფეროა, რომლის გაგებაც სოციალურ მეცნიერებებში შემაჯავალი სხვადასხვა დისციპლინის დახმარებითაა შესაძლებელი. მიდგომების სპექტრი ფართოა, მაგრამ ამ მხრივ, უპირველესად ისტორიამ, ეკონომიკამ და საერთაშორისო სამართალმა, თავისი ცნებებით და სპეციფიკური მეთოდებით ძალზე ძლიერი გავლენა იქონია. ამ კუთხით, თანმიმდევრობით შეიქმნა პირველი საუნივერსიტეტო პროგრამები ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში პოლიტიკური მეცნიერების, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის მობილიზებამდე.

1. 1. ისტორიული მიდგომა

დიდი ხნის განმავლობაში ისტორია საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის საუკეთესო გზად მიიჩნეოდა. მისი წვლილი უდავოა. ნებისმიერი პოლიტიკური ანალიზისას, მეცნიერმა მოცემულ დროს, ისტორიიდან მომდინარე კითხვები უნდა დასვას. წარსულის რა პირობებმა განსაზღვრა ამგვარი საერთაშორისო ფენომენი? გადაწყვეტილებების, ქმედებებისა ან თავშეკავების რა თანმიმდევრობამ ჩამოაყალიბა ესა თუ ის დიპლომატიურ-სტრატეგიული კონფიგურაცია? როგორია ინსტიტუტების, ნორმებისა და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძვლები, რამაც მთავრობების ქმედებაზე იქონია გავლენა? რაში მდგომარეობს სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ტრადიციები? ეს საკითხები, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის საერთო ხვედრია. პირველ რიგში, აღნიშნული კითხვები ისტორიას ეხება. თანამედროვე მოვლენებს შორის თანმიმდევრობის განსაზღვრისთვის, ზოგიერთი პოლიტიკური პროცესის დინამიკის გააზრებისთვის, მათი ისტორიულობის აღდგენა აუცილებელია.

წყაროებზე დაყრდნობით, ისტორიკოსი მოვლენებს მნიშვნელობას და გამართულობას აძლევს და მათ ისტორიული ფაქტების სტატუსს ანიჭებს. თუმცა, ეს უკანასკნელნი თავისთავად არ არსებობენ, ისინი დასმული კითხვებიდან მომდინარეობენ. ისტორიული ფაქტები მოვლენათა უსასრულობიდანაა იზოლირებული. ისინი ქრონოლოგიური თხრობის ქარგაშია მოთავსებული, რომელიც აშკარა თუ ფარული კონცეპტუალური ჩარჩოს საფუძველზეა ინტერპრეტირებული. მაშინაც კი, როდესაც თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ისტორიკოსი ზურგს აქცევს თანამედროვეობას – მისი კვლევის საგანი წარსულია – მას არ შეუძლია საკუთარი სოციალურ-ისტორიული კონტექსტისგან სრული აბსტრაგირება. ამიტომაც, ნებისმიერი ისტორიული თხრობა, გარკვეულწილად, აწმყოს წარსულზე პროექციაა. ეს აღიარება მთლიანობაში ძალზე ტრივიალურია და არ ნიშნავს ისტორიული ცოდნის შესაძლებლობის უარყოფას: უბრალოდ, ეს ცოდნა ისტორიკოსისგან ეპისტემოლოგიურ სიფხიზლეს მოითხოვს. ამ მხრივ, აწმყოს გასარკვევად წარსული გამოცდილებიდან ანალოგიების გამოყენებას უნდა მოვერდიდოთ. „ისტორიის გაკვეთილები“ მტკიცებულებას მოითხოვს, რადგან მათ ხშირად იდეოლოგიური ფუნქცია აქვთ: ამგვარი „გაკვეთილები“ ჩვეულებრივ, კონსერვატიული ხასიათის პროექტების სამსახურშია, წარსული გარემოებებით მომავლის პერსპექტივის შექმნით. „ისტორიული კანონებისგან“ განთავისუფლების ცდუნება მეორე ძლიერი მახეა. ამგვარად, ისტორიკოსი ცდილობს რეციდიული მოვლენების, პოლიტიკური ევოლუციის ციკლებისა და დიდი მასშტაბის ცივილიზაციური მოძრაობების გამოვლენას. ამ უანრის ისტორიოგრაფიის შედეგები მეტ-ნაკლებად სახიფათოდ წარმოჩნდება, რასაც XIX საუკუნის გერმანული ფილოსოფიის ტრაგიკული გარდასახვები მოწმობს. პესიმისტურ პერსპექტივა-

ში, ზოგიერთი ისტორიკოსის ნაშრომი, მაგალითად როგორცაა არნოლდ ტოინბი, სავსეა აფორიზმებით იმპერიების აღმოცენებასა და დეკადანსზე, პერიოდულ და უცილობელ მოძრაობებზე, რომლებიც ძლიერ სახელმწიფოთა აღმავლობასა და დაღმასვლას აღნიშნავენ. პოლ კენედიმ ამ ტიპის ინტერპრეტაცია განაახლა ნაშრომში „ძლიერი სახელმწიფოების აღმოცენება და დაღმასვლა“ (1988 წ.). ამგვარ კვლევას შეიძლება ზოგადი და რეპროდუქციული კანონების გამოყენების მცდელობა ვუსაყვედუროთ ისტორიულ ობიექტებთან, რომლებიც განსაკუთრებულ და შეუქცევად პროცესებს შეეხება. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ თუკი ისტორიული კანონები არ არსებობენ, წარსულის შესწავლა შეიძლება გარკვეული სოციალური მართლზომიერების გასარკვევად გამოდგეს. ამგვარად, ისტორიული სოციოლოგია, რომელმაც უკანასკნელ ხანებში გარკვეული აღმავლობა განიცადა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში დომინანტური სოციალურ-პოლიტიკური კონფიგურაციების საფუძვლების აღდგენას ცდილობს.

დიდი ხნის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიად განიხილებოდა. არის კი მივიწყებული ამგვარი მიდგომა? სრულიადაც არა. დღემდე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა სამთავრობო საქმიანობის სფეროდ რჩება, რომელიც ნაწილობრივ გვერდს უვლის დემოკრატიულ დებატებს. სწორედ ამ სფეროში ვლინდება მთავარ მმართველთა ნება, განსაკუთრებით, ავტორიტარულ რეჟიმებში. დიპლომატიას აქვს საკუთარი ენა, კანონებები და რიტუალები. ჩვეულებრივ, მას ძველ ტრადიციებზე დაფუძნებული საკუთარი ჩვევების მქონე პერსონალი ემსახურება. თუმცა, საგარეო საქმეთა სამინისტროების როლი მცირდება, რადგან საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხთა ნაწილს, რომელზეც მთავრობები მსჯელობენ, სხვა სამინისტროებიც განიხილავენ სახელდობრ, ეკონომიკის, გარემოს დაცვის, კულტურისა თუ ტრანსპორტის სამინისტროები. გარდა ამისა, ახალი საკომუნიკაციო საშუალებები ტრადიციული დიპლომატიური არხების გავლენაზე მოქმედებენ. მიუხედავად ამისა, დიპლომატიის ისტორიის ადეპტები ცდილობენ საკუთარი გავლენის გაფართოებას საერთაშორისო ურთიერთობებზე სოციალური მეცნიერებების წვლილის უარყოფის პერსპექტივაში. ამგვარი ისტორიოგრაფიული მიდგომა ანალიტიკურ მასშტაბს მოკლებულ „კონიუნქტურულ“ ქრონიკას ქმნის, საიდანაც ზოგჯერ ჩნდება ისტორიული ანალოგიების გამოყენებით თანამედროვე მსოფლიოს ევოლუციის გაშუქების ცდუნება „საერთაშორისო პოლიტიკაში მოქმედი ფაქტორების“ ნაკლებად სისტემური შეხსენებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი ისტორიკოსის ძალისხმევა შესასწავლი ობიექტის გაფართოების კუთხით. ამგვარად, „ანალების“ სკოლის გავლენით, პიერ რენუვენმა თავის ნაშრომში „სიღრმისეული ძალების“ გაანალიზებისას ყურადღება გაამახვილა ეკონომიკური და სოციალური ძვრების, დემოგრაფიული ცვლილებების, პოლიტიკური იდეების მოძრაობისა და კოლექტიური მენტალობის გავლენის ურთიერთგადაკვეთაზე. დღეისათვის აშშ-ში უურნაალი „Diplomatic History“ მრავალი დისციპლინისგან შემდგარ მიდგომებს აერთიანებს, რომელიც შეეხება არა მხოლოდ დიპლომატიურ-სტრატეგიულ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ თემებს. ამ მხრივ, ეს უურნაალი ისეთი წყაროების ჩართვით, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო მეთაურთა და ამ უკანასკნელთა მინისტრების კორესპონდენციამდე არ დაიყვანება, დიპლომატიის ისტორიის არქივების გამდიდრებას უწყობს ხელს.

1. 2. სამართალი და ინსტიტუტები

სახელმწიფოთშორისმა ურთიერთობებმა შეიძლება სამართლებრივი ვალდებულებების სახე მიიღოს, რომელთაგან ზოგიერთი სამთავრობოთშორისო ორგანიზაციების ჩარჩოშია მოქცეული. ამ ვალდებულებათა ხასიათი და მასშტაბი საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებშია კოდირებული, რომელიც ეყრდნობა *Pacta sunt servanda*-ს პრინციპს, შეთანხმე-

ბები დაცული უნდა იქნეს. საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტი უდავოა. მთავრობები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საგარეო პოლიტიკის ფორმალიზებისთვის, თავიანთი ქმედების ორიენტაციის, ზრახვების გაცხადებისა და პოზიციის გასამართლებლად. სახელმწიფოთშორისი საკონტრაქტო კავშირები, ამ სამართლებრივი ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი პროცედურები და ინსტიტუტები, რომელთაც ისინი ქმნიან, საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი განზომილებაა, რადგან ეს ნორმები და მექანიზმები ზღვარს ადგენენ კანონიერსა და კანონით აკრძალულს შორის. ამ მხრივ, ადამიანის უფლებათა და ეკოლოგიური სამართლის სფეროში დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

იურისტები საერთაშორისო სამართლის ენას, კოდებსა და პროცედურებს ეუფლებიან. მათი მიზანია აღნიშნული ვალდებულებების შემუშავება, ინტერპრეტირება და ამ უკანასკნელთა დარღვევის დასამტკიცებლად არგუმენტების წარმოდგენა. თუმცა, როგორც კი იურისტების ცოდნა და პროფესიული პრაქტიკა ნორმატიულ სფეროში ექცევა, ისინი ცდილობენ სამართლებრივი ვალდებულებების გავლენის გადამეტებულად შეფასებას საერთაშორისო ურთიერთობების მსვლელობაზე და შედეგად, სოციალური და პოლიტიკური ძალების უგულვებელყოფას საერთაშორისო საჯარო სამართლის ჩამოყალიბებაში.

ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში სამართლისა და საერთაშორისო ინსტიტუტების შესწავლამ ძირითადი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ არსებულ ლიტერატურაში, რადგან ძალზე ძლიერი იყო მშვიდობისკენ სწრაფვა და ერთა ლიგისა და ახალი საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს იმედი. ეს ლეგალისტური მიდგომა, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მორალური კონცეფციებით იყო შთაგონებული, შეილახა ფაშიზმის აღზევებით, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებით, შემდეგ კი იმ ილუზიების მსხვრევით, რომელიც ცივი ომის პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოიწვია. დღეს კვლავ შეიმჩნევა ნორმებისა და ინსტიტუტების როლით დაინტერესება საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციაში.

1. 3. პოლიტიკური ეკონომია

საერთაშორისო ურთიერთობები ასევე სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს შორის ეკონომიკური კავშირებისგან შედგება. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო პოლიტიკის ეკონომიკური განზომილება განუწყვეტლივ იზრდება. მიზანშეწონილია დომინანტური ეკონომიკური რეჟიმების ხასიათის, მათ სამსახურში მყოფი ორგანიზაციებისა და ამ რეჟიმების განმსაზღვრელი დოქტრინების შესწავლა. ეკონომიკის თეორია კონცეპტუალურ ჩარჩოებსა და ანალიზის ფორმას განსაზღვრავს, რომელიც სახელმწიფოებს შორის ზრდის კოეფიციენტის დისპროპორციის გაგებისა და ფინანსური ნაკადების, საერთაშორისო სავაჭრო ტრანსაქციების ინტენსიურობისა და მიმართულების გამოთვლის, ზოგჯერ კი განჭვრეტის შესაძლებლობას გვაძლევს. ეკონომიკის თეორია ეკონომიკური რეცესიების და მათი ციკლის გამოცხადების, განსაკუთრებით კი *a posteriori* ამ უკანასკნელთა გაანალიზების, ტრანსნაციონალური კომპანიების როლის და სტრატეგიის განმარტების, წარმოებისა და მონმარების სფეროში ცვლილებების გაგების შესაძლებლობას იძლევა. ურთიერთკავშირები დომინანტურ ეკონომიკურ სტრუქტურებსა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ დინამიკას შორის გაზრდილი ინტერესის საგანია, რამაც სპეციფიკური კვლევითი პროგრამების მომზადება გამოიწვია.

2. საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური თეორია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემუშავდა განსხვავებული ჩარჩოები საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტოლოგიური შესწავლისთვის. პოლიტოლოგთა წრეში საერთაშო-

რისო ფენომენების კვლევის გარკვეული პროცედურები ჩამოყალიბდა. აღნიშნული პარადიგმის ცნებაში გამოიხატა, რომელიც სამეცნიერო საზოგადოების გარკვეული ნაწილის კვლევის ტრადიციას წარმოადგენს. საერთაშორისო ურთიერთობებში პარადიგმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შესაბამისად მიჩნეული ფენომენების გამოყოფით, გამოყენებული კონცეფციების სპეციფიკურობითა და სტრუქტურული ცვლადების არჩევანით. უფრო სიღრმისეულად თუ მივუდგებით, წინააღმდეგობები, რომლებსაც ეს პარადიგმები გამოხატავენ, სამყაროს განსხვავებულ ხედვებზეა დაფუძნებული.

2. 1. ძირითადი პარადიგმები

განსხვავება განსაკუთრებით დიდია რეალისტებსა და მარქსისტებს შორის. პირველები გადამწყვეტ მნიშვნელობას სახელმწიფოთშორის პოლიტიკას ანიჭებენ. მეორენი წარმოების ფორმაში და მისგან მომდინარე კლასთაშორის კონფლიქტებში ხედავენ საერთაშორისო დინამიკის მახასიათებლებს. 1970-იან წლებში გაჩნდა „ტრანსნაციონალური ურთიერთობების“ მესამე პარადიგმა, რომლის თეორეტიკოსები ძირითად ყურადღებას საერთაშორისო დონეზე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციაზე ამახვილებენ. ეს ერთმანეთისგან განსხვავებული პარადიგმები სპეციფიკურ დოქტრინალურ კონცეფციებს გამოხატავენ, რომლებიც თავად პოლიტიკური მიზნების გამოხატულებას წარმოადგენენ. ამგვარად, რეალისტი ავტორები ამტკიცებენ, რომ იმ ტრადიციას იცავენ, რომელიც მაკიაველისა და ჰობსის დროიდან იღებს სათავეს. თუმცა, მათ კვლევებში ასევე ამერიკული მმართველი წრეების ინტერესები აისახა ცივი ომის კონტექსტში, რამაც ხელი შეუწყო საგარეო პოლიტიკის წარმართვის გამართლებას მისთვის მეცნიერული განზომილების მინიჭებით. ამავდროს, ტრანსნაციონალიზმის პარადიგმა გაჩნდა იმ პერიოდში, როდესაც აშშ-ის ჰეგემონია საერთაშორისო ასპარეზზე ამერიკული ტრანსნაციონალური კომპანიების მზარდი ექსპანსიითა და თანამშრომლობის ახალი ქსელების გავლენით იყო აღნიშნული. რაც შეეხება მარქსისტული სულისკვეთების თეორიებს, განსაკუთრებით კი ლათინურ-ამერიკულს, მათ უდავოდ კონცეპტუალური საფუძველი ჩაუყარეს „მესამე სამყაროს“ ბრძოლას ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ნიშნავს კი ეს იმას, რომ აუცილებელია კონცეპტუალიზაციის ძალისხმევის უარყოფა იმ მოტივით, რომ ის ნორმატიული ნარჩენებითაა დაბინძურებული? რა თქმა უნდა არა. პოლიტიკურ მეცნიერებას და, შესაბამისად, მისი შემადგენელი ნაწილის, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას, ვერ ექნება პრეტენზია კოსმოსური დაკვირვების ობიექტურობაზე. პოლიტოლოგმა ასევე უნდა გააკეთოს დოქტრინალური არჩევანი და მას მყარი პოლიტიკური არგუმენტები უნდა გააჩნდეს. საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტოლოგიური შესწავლის ამ დამახასიათებელ სირთულეებს, მეთოდოლოგიური ხასიათის სხვა სირთულეები ემატება, რითაც სოციალური მეცნიერებების შესწავლის ნებისმიერი ობიექტია აღნიშნული. მართლაც, საერთაშორისო სამართლის ანალიზი პოზიტივიზმის, ემპირიზმის და კლასიკური პოლიტოლოგიური ტრადიციების – ვებერისეული ჰერმენევტიკიდან მომდინარე – ადვოკატებს შორის დებატებით აღინიშნა.

2. 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მოდელი

პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლების მსჯელობები ბუნდოვნად იქნა მიჩნეული იმ ავტორების მიერ, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების ემპირიული თეორიის წამოყენებას ცდილობდნენ, ამ უკანასკნელის პოზიტივისტური ტიპის კვლევის პროგრამაში ჩართვით. აღნიშნული თვალსაზრისის მომხრეებმა 1960-იან წლებში ფართო აუდიტორია შემოიკრიბეს „ბიჰევიორისტულად“ წოდებულ ამერიკულ მიმდინარეობაში, რომელიც დაინტერესებული იყო აქტორთა აშკარა ქცევების შესწავლით საფუძველების ძიების გარე-

შე. დღესაც, ემპირისტებს ჭეშმარიტად მეცნიერული მიდგომის წარმომადგენლების პრეტენზია აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში. ისინი მიზნობრიობის კავშირების აღმოჩენას ცდილობენ, იმგვარი კანონების გამოყოფასაც კი, რომლებიც ბუნებრივი ფენომენების მეცნიერული განმარტებისთვის გამოყენებული კანონების ანალოგიურია. ეს მკვლევრები ასევე ცდილობენ საყოველთაოდ მიღებული მათემატიკური ტერმინებით ისეთი ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას, რომლებიც გადამოწმების ან გაბათილების პროცედურებს დაექვემდებარება. ემპირისტები ასევე ქმნიან მოდელებს, კერძოდ კი აბსტრაქტულ თეორიულ კონსტრუქციებს, რომელთა მიზანს რეალობის გათვალისწინება წარმოადგენს. მეცნიერულობის კრიტერიუმი – ამ მხრივ, აშკარაა კარლ პოპერის გავლენა – თეორიულ მსჯელობებამდეა დაყვანილი, რომლებიც ექსპერიმენტირების საგანი შეიძლება გახდეს. არჩეული მიდგომა ჩვეულებრივ, ჰიპოთეტიკურ-დედუქციურია, დეფინიციები გამოყენებადი უნდა იყოს, ჰიპოთეზები კი ემპირიულ ფაქტებს უპირისპირდებოდეს. აღნიშნულის მიზანია „მიზეზშედგობრივი“ თანმიმდევრობის გამოაშკარავება ან ყოველ შემთხვევაში, რეგულარულობისა მანც. მაგალითად, ორი დემოკრატიული სახელმწიფო A და B ერთმანეთთან ომს არ აწარმოებს. ამის შემდეგ, იქმნება ჰიპოთეზა: დემოკრატიული ქვეყნები ომში არ ებმებიან. თუკი ემპირიულად განვაცხადებთ, რომ ეს ჰიპოთეზა ეჭვს არ იწვევს, მასზე დაყრდნობით კანონის დადგენაა შესაძლებელი. ნაკლებად შემზღვეველი ლოგიკით, თეორეტიკოსმა შეიძლება ჩამოაყალიბოს მოდელი, რომელიც მსგავსი ტიპის განმარტებას გვთავაზობს : იმის შესაძლებლობა, რომ ორმა დემოკრატიულმა ქვეყანამ ერთმანეთთან ომი დაიწყოს ძალზე დაბალია. ერთგული ემპირისტებისთვის მეცნიერება ფაქტებით უნდა იყოს დაკავებული, ის უნდა გაემიჯნოს ყოველგვარ იდეოლოგიურ გავლენას, თავიდან აიცილოს საკუთარი აზრის გამოთქმა სოციალური პროცესების ნორმატიულ მიზნებზე, გვერდი აუაროს ეთიკური ხასიათის დებატებს. მათ ასევე მიაჩნიათ, რომ ამგვარად შესაძლებელია ინდივიდუალური და კოლექტიური პოზიციების ობიექტურად ახსნა, საკუთარი თავისთვის სოციალური ქმედებების მნიშვნელობაზე კითხვის დაუსმელად, მათ აქსეოლოგიურ განზომილებაში მონაწილეობის მიუღებლად. საკუთარი მიდგომის სიზუსტის დამტკიცებას ისინი კვანტიფიკაციის ან სტატისტიკური საშუალებების დახმარებით ცდილობენ.

2. 3. მნიშვნელობის ძიება

კლასიკური მიდგომის მომხრეებმა ემპირისტების მიერ შემოთავაზებული მეცნიერული სიზუსტის შემზღვეველი ხედვა უარყვეს. კვანტიფიკაცია, რომელიც პირველ ყოვლისა, მეტოლოლოგიაა, არავითარ მეცნიერულ დამაჯერებლობას არ იძლევა რომელიმე ჰიპოთეზის დასასაბუთებლად, რადგან როგორი მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს ემპირიული მონაცემები, მათი წინასწარი დადგენა ყოველთვისაა შესაძლებელი იმ თეორიით, რომელიც ამ მონაცემებმა ვალიდური უნდა გახადოს. ამავე დროს, საკმაოდ ბევრი ფენომენი და პროცესი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დათვლად ფაქტებამდე არ დაიყვანება, ისევე როგორც სოციალური ურთიერთობების კვლევის სხვა სფეროებში. როგორც ვნახავთ, ვერც ერთმა რეალისტური მიდგომის ერთგულმა ემპირისტმა ვერ შეძლო დამაკმაყოფილებელი ფორმით ძალაუფლების რაოდენობრივად განსაზღვრა – თუმცა, ის რეალიზმის ძირითადი ცნებაა. ხომ არ ხდება აღნიშნული იმ მიზეზით, რომ ძალის არამატერიალურ ასპექტებს შეიცავს? ამავე დროს, ადამიანურ ქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური რეგულარულობის გამოაშკარავება მაშინვე არ გვაძლევს მათი გაგების შესაძლებლობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის გაგებას, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ამგვარად. „ემპირისტებს“ ასევე საყვედურობენ, და არა უმიზეზოდ, ფაქტების აკუმულირებას, მნიშვნელობას მოკლებულ მონაცემებს შორის კორელაციების დამყარებას ან ისეთი ძნელად გასაგები მოდელების შექმნას, რომელთა თანხვედრა რეალურ სამყაროსთან საბოლოო ჯამში, შემთხვევითია.

იმის გამო, რომ სოციალური ფაქტები აქტორთა მიერ იქმნება, რომელთაც თავისუფალ არბიტრად ყოფნის უნარი შესწევთ, ისინი ხშირად არ იძლევიან იმგვარი საკვლევი პროცედურებით მათი შემოფარგვლის საფუძველს, რომელიც ბუნებრივი ფენომენების გასაგებად გამოყენებული მოქმედი პროცედურების ანალოგიურია. მეორე მხრივ, ისტორიული ფაქტების მსგავსად, ეს ფაქტები განყენებულად არ არსებობენ, ისინი მეცნიერის მიერ მათი წესრიგში მოყვანის შედეგია, ნორმატიული ჩარჩოების შესაბამისად. ამგვარად, აგრესიული პოლიტიკის, ჰუმანიტარული ინტერვენციისა ან სამართლებრივი რეჟიმის გასაანალიზებლად, შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ პოზიციონირება იმ ღირებულებების, გრძობებისა ან რწმენების მიმართ, რომლებმაც მათ წარმოქმნას შეუწყო ხელი. მაგალითად, მეცნიერი ჰიტლერის პოლიტიკას აღიქვამდა, როგორც საბოლოო მიზნისთვის მიმართულ რაციონალურ ქმედებათა წყებას, რომელიც ძირითადად, ღირებულება-სარგებლის გამოთვლადაა გადაქცეული. საბოლოოდ, მიღებული გადაწყვეტილებების ყოველგვარი აქსიოლოგიური ინტერპრეტაციის გამორიცხვით, იგი გვიჩვენებდა ირაციონალური გრძობებისა და ღირებულებების მნიშვნელობის მის მიერ მიუღებლობას, განსაკუთრებით კი იმ სიძულვილის იმპულსებისა, რომლებიც ამ პოლიტიკას მართავდა ჩვენთვის ნაცნობი შედეგებით. ამგვარი კვლევა აქსიოლოგიურად ნეიტრალური ვერ იქნებოდა იმის გამო, რომ ის შეხედულებების შეცვლას რაციონალური ანალიზით შეეცდებოდა. ამ შემთხვევაში, ეს ანალიზი მიემხრობოდა იმ აზრს, რომ III რაიხის პოლიტიკა გონიერებას შეესაბამებოდა.

ვებერისეული სულისკვეთების თეორიულ კონცეფციაში ფაქტები გასაგებია მხოლოდ მაშინ, თუკი დამკვირვებელი აქტორთა ნების აღდგენას შეძლებს. პოლიტიკურ ფენომენტა უმრავლესობა სიმბოლური ხასიათისაა და მათი გაგება უცილობლად მოითხოვს ინტერპრეტაციის კომპლექსურ სისტემებს. „ყოვლისმომცველი“ მიდგომა ობიექტურობას პრობლემატურს ხდის. მეცნიერი ერთდროულად საკუთარი ემოციონალურობისა და ინტელექტის მობილიზებას ახდენს. რა თქმა უნდა, მეცნიერი უნდა შეეცადოს პირველის მოთოკვას, დისტანციის შენარჩუნებას იმ სოციალური მოვლენებისა და პროცესების მიმართ, რომელთაც იგი აანალიზებს და ისინი მიუკერძოებლად შეაფასოს. ამავე დროს, მისი ანალიზი ეხება რწმენებს, ნორმებს, შეხედულებებსა და მამოძრავებელ ძალებს. ამ ანალიზს შემოჰყავს მნიშვნელობების ქსელები, რომლებშიც მისი საკუთარი იდენტობა, ინტერესები და გრძობები შედის. ყოველგვარი სუბიექტურობის გამორიცხვა მკვლევარის ასკეტიზმის მისაღწევად, არ არის უცილობლად კვლევის საუკეთესო პროცედურა, მით უმეტეს, რომ ეს ნაკლებადაა შესაძლებელი. დისტანცია და მიუკერძოებლობა კვლევისთვის აუცილებელი თვისებები არაა, ისევე როგორც ემპათია ან აზრის ჩაწვდომა ტერმინის ვებერისეული მნიშვნელობით. პირველ ყოვლისა, ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა, ხშირად, ემოციების მობილიზების გამოცდილებიდან მომდინარეობს.

2. 4. თეორია, როგორც ინტერპრეტაციის ჩარჩო

რაიმონდ ბუდონი ნაშრომში „უწესრიგობის ადგილი“ (1984 წ.) აღნიშნავს, რომ სამეცნიერო საქმიანობა არის არა რეალობის ახსნა, არამედ რეალობაზე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. იგი განსხვავებას აკეთებს ერთი მხრივ, ფორმალურ თეორიებსა, რომლებიც სოციალურ ფენომენტა გაგების ინტერპრეტაციის ჩარჩოს აფართოებს, მაგრამ ემპირიული დასაბუთების პროცედურების ობიექტი არ შეიძლება გახდეს და მეორე მხრივ, ზუსტი მნიშვნელობით აღებულ თეორიებს შორის, რომელთა გადამოწმება შესაძლებელია თუმცა, გარკვეული პირობებით. იმისათვის, რომ ფენომენებმა და პროცესებმა მეცნიერული სახე მიიღოს, ისინი განცალკევებულად და გასაგებად უნდა ჩამოყალიბდეს. მათი გაგება შესაძლებელია მეცნიერული ანალიზის პროცედურების გამოყენებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სპეციფიკური პირობების ერთობლიობის ჩარჩოში არიან მოქცეული. რეალობა-

ში, სოციალურ მეცნიერებათა თეორიები ჩვეულებრივ, კანონებზე მეტად შესაძლებლობებს გამოხატავენ. ხშირ შემთხვევაში, ეს თეორიები კონცეპტუალურ ჩარჩოებშია მოთავსებული, რაც რეალობის გაგების შესაძლებლობას ზრდის. ამ თეორიებს, ძირითადად, ისტორიული ხასიათის მიდგომა შემოაქვს; მათ ასევე შეუძლიათ სოციოლოგიური განმარტების სქემის შემოთავაზება, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ევოლუციის დინამიკის გაგებას ითვალისწინებს. ამავე დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების უმრავლესობა, ისევე როგორც პოლიტიკური მეცნიერების მრავალი თვალსაზრისი, დოქტრინებიდან მომდინარეობს, სახელდობრ, ჭეშმარიტად მიჩნეული ცნებების ერთობლიობიდან, რომელთა მეშვეობითაც სოციალურ ფენომენტა ინტერპრეტაციის პრეტენზია აქვთ ადამიანთა ქმედების ორიენტირებით.

3. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის წვლილი და საზღვრები

საბოლოო ჯამში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიზაცია იმ კონცეპტუალური ჩარჩოების ძიებაში გამოიხატება, რომლებიც კვლევის წარმოების და ჰიპოთეზების ფორმულირების ორიენტირების საშუალებას იძლევა შესაბამისად მიჩნეული ფენომენტებისა ან პროცესების გასაგებად. ჩვეულებრივ, განასხვავებენ პარციალურ თეორიებს. ზოგად თეორიებს კონცეპტუალური ჩარჩოს შემოთავაზების პრეტენზია აქვთ, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკის ერთობლიობას ეხება; პარციალური თეორიები კი უფრო შეზღუდული ობიექტის გააზრებას ცდილობენ. ამავე დროს, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორია აბსტრაგირების უცილობლად შემზღუდველ ძალისხმევას წარმოადგენს; არც ერთ მათგანს არ შეიძლება კვლევის ამ სფეროს მისაკუთრების პრეტენზია ჰქონდეს მაკროსკოპული დეფინიციით. აღნიშნულ თეორიებს სახელმწიფოთა ქმედება ან ზოგიერთი სხვა მოქმედი ძალების განმარტება შეუძლია, სახელდობრ, ეკონომიკური აქტორების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინსტიტუციონალიზებული სოციალური ნორმების.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მკითხველისთვის ამ პარადიგმების გაცნობა მათი გაჩენის პირობების და იმ დოქტრინების გაშუქება, რომელთაც ეს პარადიგმები ეყრდნობიან. ამ შემთხვევაში, არჩევანი შევაჩერეთ მრავალსაფეხურიან სტრუქტურაზე, რომელიც საერთაშორისო ფენომენტების გასაგებად თეორიზაციის ძალისხმევას ითვალისწინებს ცვლადების ეტაპობრივი ზრდის შესაბამისად. პირველი ნაწილი პოლიტიკური რეალიზმის პარადიგმას ეძღვნება, რომლის ანალიზიც ძირითადად, ისეთ ცვლადზეა მიმართული, როგორცაა სახელმწიფო როგორც კოლექტიური აქტორი. მეორე ნაწილში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ეკონომიკურ აქტორთა როლი და იმ დინამიკის ეტაპობრივი ანალიზი, რომელიც სახელმწიფოთშორისი ურთიერთქმედებებიდან მომდინარეობს. დაბოლოს, მესამე ნაწილში გარდა ამისა, განხილულია ნორმებისა და ინსტიტუტების გაერთიანების მცდელობები სახელმწიფო და ეკონომიკურ ურთიერთობებთან. შემდგომში ვნახავთ, რომ ახალი ცვლადების რაოდენობის თანდათანობითი ზრდა საერთაშორისო ურთიერთობების მზარდ კომპლექსურობაზე მიუთითებს, რაც საგულისძო მეთოდოლოგიურ პრობლემებს ბადებს იმ მნიშვნელობასთან მიმართებაში, რომელიც თითოეულ მათგანს უნდა მიენიჭოს.

სახელმწიფოთშორისი კავშირების სფერო

კვლევის ობიექტის დეფინიცია გარკვეულწილად ყოველთვის პრობლემტურია და შედეგად, მკვლევრებს შორის დაპირისპირებას იწვევს. საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა იგივე სირთულეებს ასახავს, რასაც სოციალური მეცნიერებების ნებისმიერ სხვა სფეროში ჩატარებული კვლევები. ამავე დროს, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ სფეროს კვლევა რეალიზმის სკოლის გავლენით აღინიშნა. ეს მიდგომა ეფუძნება ჰიპოთეზას, რომლის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობები პირველ რიგში, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს გამოხატავს, რომლებიც უნდა აღვიქვათ, როგორც საკუთარი ინტერესების დაცვაზე მიმართული დამოუკიდებელი და რაციონალური აქტორები. არ ექვემდებარებიან რა არავითარ უმაღლეს ინსტანციას, ისინი თავისუფალნი არიან ძალის გამოყენებაში საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ან სხვების ამბიციებისგან თავის დასაცავად. ამიტომაც, კვლევა ძირითადად მიმართულია უსაფრთხოების საკითხებზე, კონფლიქტების რისკებზე ან არსებულ კონფლიქტებზე. რეალისტები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები უფრო ფართო პერსპექტივაში, ნაციონალურ საზოგადოებებს შორის ურთიერთგაცვლებს მოიცავს; მაგრამ მრავალ საზღვრებში შორის ურთიერთობებს შორის, ისინი ირჩევენ პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობებს ან ისეთებს, რომელთაც პოლიტიკური შედეგები აქვთ განსაკუთრებით, დიპლომატიასა და ომს, რომელიც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს აღნიშნავს. ამ პოსტულატის მიღების შემდეგ, რეალიზმი კონცეპტუალური ჩარჩოებისა და ანალიზის მეთოდების შესამუშავებლად პოლიტიკურ მეცნიერებას მიმართავს.

XX საუკუნეში პოლიტიკური მეცნიერება სოციალური მეცნიერებების სფეროში მკვიდრდება საზოგადოებების მართვისთვის დამახასიათებელი იერარქიების გაგებისა და განმარტების ამბიციით. სახელდობრ, საქმე ეხება სახელმწიფოების შიგნით არსებულ ძალაუფლებას, საზოგადოებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტებს და ღირებულებებს, ასევე წინააღმდეგობებს სოციალურ კლასებს, პარტიებს, ინტერესთა ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის ძალაუფლების გაყოფისა და რესურსების გადანაწილებისთვის. დასაწყისში, სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების შესწავლა კლასიკურ დისციპლინებს ეყრდნობოდა – ფილოსოფია, ისტორია, სამართალი, ეკონომიკა. შემდეგ, ის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბდა, ანალიზის საკუთარი ჩარჩოებითა და სპეციფიკური მიდგომებით.

ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რეალისტური მიმდინარეობა ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის დამკვიდრებას პოლიტიკური მეცნიერების ქვედისციპლინად. ამ დისციპლინის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ჰანს მორგენტაუ კვლევის ამბიციურ პროგრამას ადგენს საერთაშორისო პოლიტიკის ზოგადი განმარტების პრეტენზიით, რომელიც სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ამბიციების ანალიზს ეფუძნება. მორგენტაუ მიიჩნევს, რომ იპოვა ეს განმარტება ძალაუფლებისკენ განუწყვეტელ სწრაფვაში, რომელსაც იგი "ობიექტურ კანონთან" აიგივებს. მისი აზრით, ამ კანონის საფუძვლები ადამიანის ბუნებას ემყარება. მოგვიანებით, ცდილობენ პარციალური თეორიების შემუშავებას, რომელთა მიზანია გარკვეული კატეგორიის ფენომენებისა და პროცესების ახსნა, მაგალითად, გადაწყვეტილების ან ზოგიერთი ტიპის კონფლიქტებისა, რაც ხდება გარემოებათა განსხვავებულობის წარმომშობი პრობლემის გადაჭრის გარეშე, რომელშიც შესაბამისი ფენომენები და პროცესები იჩენს თავს.

ამ ნაწილის პირველ თავში განვიხილავთ პოლიტიკური რეალიზმის სკოლის აღმოცენებას, მის დოქტრინალურ მინიშნებებს, ანალიზის ძირითად კატეგორიებს და გამოყენებულ ცნებებს – სახელმწიფო სუვერენიტეტი, ერო-სახელმწიფო, ანარქია, ძალა და ძალაუფლება, სახელმწიფოებს შორის არსებული ძალთა ბალანსი. მეორე თავში კონფლიქტების ანალიზი იქნება წარმოდგენილი, რომელსაც პირველ რიგში, კვლევის აღნიშნული პროგრამა ემსახურება.

თავი I

რეალიზმის პარადიგმის ანალიზის კატეგორიები

პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლების მთავარ მიზანს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს განსაზღვრა წარმოადგენს. ისინი აღნიშნული სფეროს სპეციფიკურობას სახელმწიფოთა შიდა წესრიგთან მიმართებაში განიხილავენ და ამ უკანასკნელს ფუნდამენტურად ანარქისტულ ხასიათში ხედავენ. მართლაც, ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ობიექტი სახელმწიფოთშორისი ურთიერთობებია. ამავე დროს, სახელმწიფოები სუვერენულნი არიან და არავითარ ძალაუფლებას არ შეუძლია მათთვის სამართლებრივი რეჟიმის დაცვის თავს მოხვევა; ამგვარად, სახელმწიფოები თავისუფალნი არიან სამართლის აღსრულებაში, შეუძლიათ ძალას მიმართონ ეროვნული ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ისე როგორც ეს მათი მმართველების მიერაა განსაზღვრული.

1. დისკვილინის აღმოცენება

ამ მიდგომის პირველი კვლევები ანგლო-საქსურ სამყაროში გაჩნდა 1930-იანი წლების მიწურულს გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ხრიკების ფონზე და ინტერნაციონალისტური ეიფორიის თანმხლები დაღმასვლით, რომლითაც პირველი მსოფლიო ომის დასრულების პერიოდი აღინიშნა. ყველაზე ცნობილ ავტორებს არ ჰქონდათ შესაბამისი განათლება, რადგან მათ შორის იყვნენ ისტორიკოსი ედვარდ ჰ. კარი, გეოგრაფი ნიკოლას სპიკმენი, თეოლოგი რეინოლდ ნიბური და პოლიტოლოგი ჰანს მორგენტაუ. თუმცა, ყველა მათგანი იდეალიზმს ერთნაირად უარყოფდა. ისინი ამ ტერმინს კინობითად იყენებდნენ სხვადასხვა ინტერნაციონალისტური მიმდინარეობების აღსანიშნავად. პირველ რიგში, საქმე ეხებოდა ერთა ლიგის პაქტით დაფუძნებულ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას და ასევე პაციფისტურ, საარბიტრაჟო ან კონფედერაციულ მოძრაობებს, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ომის დელეგიტიმაციის საერთაშორისო წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ.

რეალისტების ძირითადი არგუმენტი საკუთარ ოპონენტთა მისამართით წარმოდგენილია ბრიტანელი მეცნიერის ე. ჰ. კარის 1938 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „*The Twenty Years Crisis*” („კრიზისის ოცი წელი“), რომელიც ერთა ლიგის კრახიდან ერთი წლის შემდეგ გამოიცა. ავტორი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ძალა სამართალზე პირველობს. არ არსებობს აბსოლუტური მორალური პრინციპები, ხოლო ასეთებად წარმოდგენილი პრინციპები იმ სახელმწიფოებისთვისაა ხელსაყრელი, რომლებიც მათ იცავენ. საპირისპიროს მტკიცება პირფერობის ან მიამიტობის გამოხატულებაა, რომლის საფრთხეც მძაფრ გულაცრუებას ან მტრულ განწყობას იწვევს უკმაყოფილო სახელმწიფოთა მხრიდან. კარი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულთა მიერ წონასწორობის დადგენას აკრიტიკებს ერთი მხრივ, მშვიდობასა და მეორე მხრივ, რადაც არ უნდა დაჯდეს, საერთაშორისო *statu quo*-ს შენარჩუნების აუცილებლობას შორის. იგი იზიარებს შეხედულებას, რომლის თანახმად, ევროპაში სიტუაცია შეიცვალა და საჭიროა მასთან მორგება. ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჰიტლერთან დაპირისპირებას აბსტრაქტული მორალური პრინციპების სახელით. არსებობს ამის დავიწყების ტენდენცია, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი მართლაც, კეთილგანწყობილი იყო დაშოშმინების პოლიტიკის მიმართ. მისი ანალიზი გვერდს უვლიდა მორალურ საკითხებს (უნდა მივატოვოთ თუ არა ჩხეხები?) და ყურადღებას კონფლიქტებზე ამახვილებდა, განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოებს შორის

ძალთა ბალანსზე, რომლებიც „კმაყოფილნი არიან statu quo-თი“ მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ან „რევიზიონისტი“ სახელმწიფოები, როგორც გერმანია იყო. კარი აღნიშნავს, რომ პირველებს, ურყევი პრინციპების საფარქვეშ, აღარ აქვთ მათთვის ხელსაყრელი საერთაშორისო წესრიგის თავს მოხვევის საშუალებები მეორეთა საზიანოდ.

სამი წლის შემდეგ, იელის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლას სპიკმენი აქვეყნებს ნაშრომს სახელწოდებით „America's Strategy in World Politics“ („ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში“), რომელშიც გეოპოლიტიკური პოსტულატების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სტრუქტურებია გაანალიზებული „ღერძის“ სახელმწიფოთა დომინირებით. კარის მსგავსად, სპიკმენი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მორალური ღირებულებები, პირველ ყოვლისა, „ძალაუფლების დაუფლების გასაიოლებლად“ გამოყენებული, რომელსაც იგი განსაზღვრავს, როგორც ადამიანთა ამოქმედებისა და სხვებისთვის საკუთარი ნების თავს მოხვევის უნარს. თუმცა, კარისგან განსხვავებით, სპიკმენი, რომელიც იზოლაციონისტებს უპირისპირდება, ფიქრობს, რომ აშშ კონფლიქტში უნდა ჩაებას დიდი ბრიტანეთის მხარეზე არა პრინციპების დასაცავად, არამედ კონტინენტზე იმ სახელმწიფოთა ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად, რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან მის მიმართ. როგორც ვხედავთ : თუკი რეალიზმის გაზიარება სამართლისა და მორალის პრიმატის უარყოფას მოითხოვს, ის დიდად არ განსაზღვრავს მისაღები გადაწყვეტილებების ხასიათს, რომელიც სიტუაციის აღქმისა და დასახული შედეგის შესაბამისად იცვლება.

სწორედ 1948 წელს ისეთი ნაშრომის გამოქვეყნებით როგორცაა „Politics among Nations“ („ერთაშორისი პოლიტიკა“), აღნიშნული დოქტრინა, ცივი ომის კონტექსტში, ჭეშმარიტ აღმავლობას განიცდის. ამ ნაშრომის ავტორი აშშ-ში ემიგრირებული გერმანელი ჰანს მორგენტაუ, პოლიტიკურ ანალიზს ლეგალისტურ და ოპტიმისტურ კონცეფციას (ვუდრო ვილსონის პრინციპების გავლენის ქვეშ მყოფი) უპირისპირებს, რომლის მარცხის შეფასება მან ჰიტლერის Machtpolitik-ის პირისპირ შეძლო. მორგენტაუს მიდგომა მის წინამორბედებზე უფრო აშკარად მეცნიერულია. ეს ანალიზი ემყარება კონსტანტას, რომლის თანახმად, პოლიტიკური სამყაროს ობიექტურად აღქმა ფიზიკური სამყაროს მსგავსადაა შესაძლებელი, როგორც კი ერთი და იგივე მიზანი ანალოგიურ შედეგებს იწვევს. მასასადამე, მორგენტაუს აზრით, ასევე შესაძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების ჩამოყალიბება ადამიანური ქცევის მუდმივი და უნივერსალური პრინციპების გამოყოფის საფუძველზე, რომლებიც ანალოგიურ შედეგებზეა ორიენტირებული და ამგვარად, სახელმწიფოთა ქცევის რეგულარული თანმიმდევრობის განსაზღვრის შესაძლებლობას მოგვცემენ. იგი მიიჩნევს, რომ ძალაუფლების ფაქტორის შესაბამისად განსაზღვრულ ინტერესის ცნებაში, მან პოლიტიკური ფაქტების ანალიზის უნივერსალური პრინციპი იპოვა. მორგენტაუ იყენებს „ლევიათანის“ VIII თავში მოცემულ ჰობსის შეხედულებას: ძალაუფლების სურვილი უპირატესი პოლიტიკური მისწრაფებაა, რადგან მასში ყველა სხვა მისწრაფებაა გაერთიანებული, რომელიც მიზნად ისახავს ავტორიტეტის გაზრდას, ისევე როგორც სიმდიდრისა ან პატივის სურვილს. ამ პოსტულატიდან გამომდინარე, საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივია თავის კონფლიქტურ დინამიკაში, რადგან ის ეხება წინააღმდეგობებს სოციალურ ჯგუფებს შორის იშვიათი რესურსების გადანაწილებაზე, უთანხმოებებს მსოფლიო ღირებულებებზე და კონცეფციებზე, რომლებზეც ამ ჯგუფების სტატუსია დამოკიდებული.

მსგავსი თვალსაზრისი ასევე ჩამოყალიბებულია თეოლოგის, რეინოლდ ნიზურის ნაშრომებში. ამ ავტორის აზრით, „რეალიზმი გვიჩვენებს ანგარიშგასაწევ დისპოზიციას სოციალური და პოლიტიკური ფაქტების ანალიზში, ყველა იმ ფაქტორს, რომელიც დადგენილ ნორმებს უწევს წინააღმდეგობას, განსაკუთრებით კი ინტერესისა და ძალაუფლების ფაქტორებს.“ შემდგომში, ამ მიმართულებით წარმოებული კვლევების რაოდენობა მატულობს. სახელდობრ, პოლიტოლოგ არნოლდ ვოლფერსისა და ჟურნალისტ უოლტერ ლიპმენის პუბლიკაციებით. ამგვარად, აშშ-ში ახალი დისციპლინა ყალიბდება, რომელიც პარადიგმით

ან „სანიმუშო წარმატების მოდელითაა“ გამყარებული, – საერთაშორისო პოლიტიკის ე. წ. რეალისტური ანალიზი. ამჟამად, რომ სოციოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფი ისტორიული კვლევა გვიჩვენებს წინსვლის დამთხვევას აშშ-ის ეკონომიკურ აღმავლობასთან მსოფლიო ასპარეზზე. ამ ქვეყნის უნივერსიტეტები, რომლებიც მნიშვნელოვან საშუალებებს ფლობენ, მოწოდებულნი არიან ჩამოაყალიბონ „მთავრის მრჩევლები“, რომლებსაც წამყვანი პოზიციების ხელშეწყობის ან ყოველ შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკაში მარცხის შემცირების უნარი შესწევთ. მართლაც, ეს უნივერსიტეტები თავის წიაღში მრავალ ევროპულ ინტელექტუალს იღებენ, რომელთაც სოციალურ მეცნიერებებში საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება შეუძლიათ საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც თეორიული, ისე პრაგმატული კონცეპტუალიზაციისთვის და ასევე პოლიტიკას ემსახურონ გარკვეული აკადემიურობის შენარჩუნებით.

მართლაც, რეალისტური ხედვა სწრაფად მკვიდრდება სტრატეგიულ დოქტრინად და ამ მიმართულებით ამერიკულ დიპლომატიას მუდმივად ორიენტირს სთავაზობს. ამგვარად, ჯორჯ ქენანი, რომელიც საბჭოთა მუქარის „შეკავების“ პოლიტიკის სულისჩამდგმელია, ამჟამად ემიჯნება ამერიკულ „იდეალისტურ“ ტრადიციას. იგი იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების იმ ხედვას, რომელიც ევროპული გეოპოლიტიკით ხელმძღვანელობს. საბოლოოდ, ტრუმენის ადმინისტრაცია მთლიანობაში ემხრობა საერთაშორისო ურთიერთობების ამ ახალ წარმოდგენას და აქედან მოყოლებული, ამერიკის მმართველი წრეები, პრეზიდენტ კარტერის ბუნდოვანი პოზიციის გამოკლებით, ამ მიმართულებით მოქმედებენ. ჰენრი კისინჯერი, პრეზიდენტ ნიქსონის მრჩეველი, შემდეგ კი სახელმწიფო მდივანი და ზ. ბუჟეინსკი, პრეზიდენტ კარტერის უახლოესი თანამშრომელი, ორივე საჯარო თანამდებობის დაკავებამდე ჰარვარდის უნივერსიტეტში ასწავლიდა. მათ დიდი წვლილი შეიტანეს რეალისტური სულისკვთების აკადემიურ ლიტერატურაში. თავის „მემუარებში“, თავში სათაურით „სახელმწიფო მოღვაწის რწმენა“, კისინჯერი მოგვითხრობს თუ როგორ წარმართავდა ეს მოდელი მის აზროვნებასა და დიპლომატიურ ქმედებებს. არსებობს აზროვნების ამ მიმდინარეობის მხარდამჭერი მრავალი პოლიტიკური ესსე, დიპლომატიებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა მემუარები. ამავე დროს, მცდარი იქნებოდა ამ დოქტრინის ამერიკული პოლიტიკის ყველაზე საბედისწერო ტენდენციებთან დაკავშირება. თუკი დღეს მას აგრესიულ ნაციონალიზმს უკავშირებენ, ისე როგორც ის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში გამოიხატა, ეს ყოველთვის ამგვარად არ ხდებოდა. რეალისტური მიმდინარეობის ბევრი წარმომადგენელი, სახელდობრ, ქენანი, მორგენტაუ და უოლცი, ამჟამად დაუპირისპირდნენ აშშ-ის ჩართვას ვიეტნამის ომში.

2. რეალისტური მინიშნუებები

თეორიულ ასპექტში, რეალისტური პარადიგმა ამბიციას მოკლებული არაა. როგორც ავლნიშნეთ, მისი შთაგონების წყაროა, როგორც კლასიკური ხანის ჰობსის, ისე მაკიაველის მსჯელობები, ხოლო უფრო ადრე, ბერძნული ანტიკური ხანის ისტორიკოსის, თუკიდიდეს შეხედულებები. ეს უკანასკნელი თავის „პელოპონესის ომის ისტორიაში“ დომინანტობის ნებაში პოლიტიკური ფაქტის გაგების ერთ-ერთ საფუძველს ხედავდა: „(ამ ომის) ჭეშმარიტი, მაგრამ აუღიარებელი მიზეზი, წერს იგი, (იყო) ის ძალაუფლება, რომელსაც ათენელებმა მიაღწიეს და ის შიში, რომელსაც ისინი ლაკედემონიელებს უნერგავდნენ“ (1, 23). კარგი ისტორიკოსი თუკიდიდე მოვლენათა მნიშვნელობას აღიარებდა და მათ თანმიმდევრულ აღდგენას ცდილობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა შესაძლებელია, – ეს იქნება რეალისტების შემთხვევა – ამ ავტორთან რამდენიმე ზოგადი კანონის აღმოჩენა, როგორცაა ადამიან-

თა საზოგადოებების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ტენდენცია, რაც განადგურებით სრულდება მოწინააღმდეგეთა დარტყმების შედეგად.

მაკიაველი სხვა გარდაუვალი ორიენტირია. როგორც ცნობილია, მისი გაბედული წამოწყება იყო მმართველობითი პრაქტიკის მორალური შეხედულებებისგან დამოუკიდებლად განხილვა. წინათ, მართვის ხელოვნებაზე მსჯელობა იდეალურ მოთხოვნებზე იყო დაფუძნებული, რომლებიც სუვერენს გარკვეული მორალური წესების დაცვისკენ მოუწოდებდნენ. რაც შეეხება მაკიაველს, იგი კმაყოფილდებოდა იმის ანალიზით თუ როგორ შეეძლოთ სამთავროებს „მართვა და შენარჩუნება“ („მთავარი“, II). მაკიაველი თავის თანამედროვეებზე ბევრად შორს წავიდა, როდესაც გამოთქვა აზრი, რომ მეზრძოლ ადამიანებს გარკვეულწილად ბედის მართვა შეუძლიათ: „მე კარგად ვიცი“, წერს იგი თავისი ცნობილი წიგნის „მთავარის“ XXV თავში, რომ „ზოგიერთები ფიქრობდნენ და ფიქრობენ, რომ ამ მსოფლიოს საქმეები ღმერთის და ბედის მიერ იმგვარად იმართება, რომ ადამიანებს მთელი თავიანთი სიზრძნით მათი გამოსწორება და არავითარი საშველის პოვნა არ შეუძლიათ.“ მაკიაველი არ იზიარებს ამ მოსაზრებას, რომელიც თავისუფალ ნებას უარყოფს და ფიქრობს, რომ ბედი ადამიანთა ქმედებების მხოლოდ ნახევარს განაგებს და ადამიანებს „დაახლოებით მეორე ნაწილის მართვას“ უტოვებს. ამ პოსტულატიდან მან ორი პრაქტიკული შედეგი გამოიტანა, რომელიც რეალისტებს არ გამოჰპარვიათ. პირველ ყოვლისა, ბედის სამართავად სიფრთხილე უნდა გამოიჩინო, რაც ისტორიის დამოწმებას მოითხოვს, რადგან სიფრთხილე მსგავსი გამოცდილების შესწავლაზე დამოკიდებულია. მართლაც, მსოფლიოს მოვლენები იმ ადამიანთა მიერაა განხორციელებული, რომელთაც ანალოგიური მისწრაფებები ამოძრავებთ, წარსულში ყოველთვის ვპოულობთ მათ „ზუსტ შესაბამისობას“, რომლის შესწავლაც მოსალოდნელ შედეგებს განგვიმარტავს. შემდეგ, მათ ვისაც არ სურს „ცვალებადი ბედის“ მიერ იყვინნ მოტყუებულნი, ამ უკანასკნელს უნდა უპასუხოთ ან ძალის ან ემპატიობის გამოყენებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა აირჩიონ ლომი ან მელია: „უმჯობესია იყო გაბედული“, ასკვნის იგი, რადგან ბედის დასამორჩილებლად „მასზე გამარჯვება და თავდასხმა“ აუცილებელია. მაკიაველის აზრით, პოლიტიკურ ისტორიაში დიდი ტრაგედიები და დიადი გამარჯვებები, უმრავლეს შემთხვევაში, უცნობი სიტუაციიდან მომდინარეობს, რომელიც ან ცუდადაა გაგებული – და ეს ნგრევაა – ან ასეთად არის აღიარებული მმართველთა მიერ, რომელთაც მასთან შეგუება შეუძლიათ საკუთარ ქცევაში გამომგონებლობის დემონსტრირებით. დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ამ უნარის აღსანიშნავად იგი იყენებს სტოიკოსების ძველ ცნებას *virtù*-ს.

დაბოლოს, ჰობსი რეალისტებისთვის შეუვალი ავტორიტეტია. ყველა მათგანი შთაგონებას „ლევიათანის“ XIII თავში ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ მის მიერ ჩამოყალიბებულ მსჯელობებში პოულობს. აღსანიშნავია, რომ ჰობსი იმ პირობაზე მსჯელობისას, რომელიც საერთო უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს მოკლებულ წინასამოქალაქო მდგომარეობაში უნდა პირველობდეს, ამოსავალ წერტილად ინდივიდთა ბუნებრივ თანასწორობას მიიჩნევს, რომლიდანაც ამ უკანასკნელთა მიზნების მიღწევის იმედის თანასწორობა მომდინარეობს. იგი აღნიშნავს, რომ „თუკი ორ ადამიანს ერთი და იგივე რამ სურს შეუძლებელია, რომ ორივემ ამით ისარგებლოს და ისინი მტრები ხდებიან.“ ადამიანთა პოტენციურად განუსაზღვრელი სურვილების მხედველობაში მიღებით, ჰობსი ასკვნის, რომ რამდენადაც დიდხანს ცხოვრობენ ადამიანები სახელმწიფო ძალაუფლების გარეშე, რომელიც ყველას მის პატივისცემას აიძულებს „ისინი ომად წოდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ეს ომი არის თითოეულის ომი თითოეულის წინააღმდეგ.“ რეალისტებს საერთაშორისო სფეროში გადააქვთ ინდივიდუალური ურთიერთობების ბუნებრივი მდგომარეობა. რამდენადაც სახელმწიფოები სუვერენიტეტის ატრიბუტებით სარგებლობენ იმ ფაქტით, რომ არც ერთ საერთო მეთაურს არ ემორჩილებიან, რამდენადაც მათ მიაღწიეს არა მხოლოდ ავტონომიურ, არამედ ისტორიული ინდივიდუალობით აღჭურვილ სუბიექტთა სტატუსს

ერის თანამედროვე იდეის გაჩენით, ისინი საკუთარი საქმის მსაჯულნი არიან, სამართალს თავისუფლად აღასრულებენ და ძლიერ სურთ ანალოგიური იშვიათი რესურსების დაუფლება. ამგვარი სიტუაცია ძალზე ახლოს დგას ჰობსის საომარი მდგომარეობის ცნებასთან. რეალიზმის წარმომადგენლებმა ამ მახასიათებელს ანარქიის სახელი უწოდეს, რომელსაც სახელმწიფოთშორისი ურთიერთობებისთვის დამახასიათებლად მიიჩნევენ. სუვერენიტეტი, ერი, საერთო მეთაურის არარსებობა, ანარქია, – ამგვარია ის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც აზროვნების ამ მიმდინარეობას განეკუთვნება. მნიშვნელოვანია უფრო დეტალურად მისი მასშტაბისა და საზღვრების განხილვა.

3. სახელმწიფო სუვერენიტეტი

სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფოს ატრიბუტი, რეალისტური მიმდინარეობისთვის ფუნდამენტურია, რადგანაც ისაა კატეგორია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ანარქიაზე მსჯელობა. რას მოიცავს სუვერენიტეტის ცნება? ბოდენმა 1576 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „შივიდი წიგნი რესპუბლიკის შესახებ“ მისი პირველი დეფინიცია შემოგვთავაზა. იგი სუვერენიტეტს ახასიათებს, როგორც „რესპუბლიკის აბსოლუტურ და მუდმივ ძალაუფლებას“ (I, 8). ამგვარად, სუვერენიტეტი ორი ატრიბუტისგან შედგება: სუვერენი მონარქის „loy-ს ბოძებისა და გაუქმების“ უფლება ქვეშევრდომთა თანხმობის გარეშე; და შეუზღუდავი დროით ძალაუფლების აღსრულების უფლება. ამგვარად, ბოდენი სუვერენული ძალაუფლების აბსოლუტურობისა და მუდმივობის ორ პრინციპს გვთავაზობს, რომელიც მონარქიზმისგან განთავისუფლების შემდეგ, თანამედროვე სახელმწიფოს დოქტრინის საფუძველს ქმნის. XVI საუკუნეში თავისი ჩამოყალიბების დროიდან, სუვერენიტეტის დოქტრინამ ევოლუცია განიცადა, როგორც გარე, ისე შიდა შეფასებებში.

3.1. საგარეო სუვერენიტეტი

საგარეო ასპექტში სუვერენიტეტის თანამედროვე საფუძველები ვესტფალიის ხელშეკრულებებით ჩამოყალიბდა, რამაც 1648 წელს გერმანიის გამაჩანაგებელი ოცდაათწლიანი ომი დაასრულა. ხელშეკრულებების ხელმოწერთა მიზანი ცენტრალურ ევროპაში ძალთა ბალანსის და რელიგიური რწმენისა და აღმსარებლობის დაცვა იყო. ამ მიზნით, იმპერია 350 სახელმწიფოდ დანაწილდა, რომელთა საეკლესიო და საერო დამოუკიდებლობა აღიარებული იქნა მათი დომენების შიგნით. ამ ხელშეკრულებებში სუვერენიტეტს „ტერიტორიული უპირატესობის“ ტერმინით აღნიშნავდნენ, რომელიც სუვერენიტეტის ცნების მასშტაბზე ნაკლებად ფართო იყო, რადგან ის იმპერიაში უშუალოდ შემავალ სახელმწიფოებს ეხებოდა. მათი გადაწყვეტილებები ომისა ან ალიანსის ან გადასახადების სფეროში რჩეულთა კრებიდან მომდინარეობდა, რომელშიც ისინი ხმის უფლებით სარგებლობდნენ. თუმცა, ამ სახელმწიფოთა გავლენა არ ვრცელდებოდა უშუალოდ საიმპერიო საქმეების სფეროზე.

ამგვარად, საგარეო სუვერენიტეტი გამოხატავს მართვის უფლებას განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. აღნიშნული უფლებით სარგებლობისთვის სახელმწიფოებს უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებელი მთავრობა, მოსახლეობა და ასევე ჰქონდეთ საკუთარი ტერიტორია. ამ პირობებში, სუვერენიტეტის პრინციპი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები საკუთარ თავზე იღებენ შიდა პოლიტიკის არჩევანს და ამავე დროს, თავიანთი დიპლომატიურ-სტრატეგიული ორიენტაციის განმკარგველებად რჩებიან. გაერთიანებული ერების წესდება (მე-2. 1. მუხლი) ხაზს უსვამს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს. ის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას აღიარებს და მათ შიდა საქმეებში ჩარევას კრძალავს. ფორმალურად, ყველა მთავრობას თანაბრად შეუძლია ხმის მიწვდენა ერთა გაერთიანებისთვის. გარდა ამისა, 51-ე მუხლი მათ „ლეგიტიმური თავდაცვის უფლებას“ ანიჭებს. ამგვა-

რად, სუვერენიტეტის პრინციპი არსებულ სახელმწიფოებსა და მათ საზღვრებს ლეგიტიმურობის პრეზუმპციას ანიჭებს და ამიტომაც, მთავრობების უმრავლესობა სუვერენიტეტის პრინციპის მიმართ თავის ერთგულებას გამოხატავს. ეს პრინციპი *statu quo*-ს შენარჩუნებას უწყობს ხელს, კერძოდ კი სახელმწიფოთა შიდა რეჟიმების ეჭვქვეშ დაყენებას ართულებს. ამ პრინციპის წყალობით, იმპერიალიზმი, ისე როგორც ის XIX საუკუნის კოლონიური დაპყრობების დროს გამოვლინდა, დღეს სრულიად მიუღებელია და არსებული მთავრობები ბევრს ყოყმანობენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობებისა ან ეთნიკური ერთობების აღიარებისას, რომლებიც დამოუკიდებლობას ან პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვენ.

თუმცა, სუვერენიტეტის პრინციპი ურყევ საზღვრებს გულისხმობს, მაგრამ როგორც მე-3 თავში ვნახავთ, ეს პრინციპი ფორმალურად მაინც, საერთაშორისო სამართლითაა შეზღუდული, განსაკუთრებით კი იმ ვალდებულებებით, რომლებიც სახელმწიფოებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აიღეს ადამიანის უფლებებთან და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში. სუვერენიტეტის პრინციპი ასევე ახალი ინტერპრეტაციებისა და რეკონსტრუქციების ობიექტი გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის ჩარჩოში და ასევე ეთნიკური დაპირისპირებისას დადგენილ პოლიტიკურ საზღვრებთან მიმართებაში. დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი შემზღუდველი არგუმენტია ის, რომ ეს პრინციპი ურყევი არაა. ძლიერი სახელმწიფოები მას ხშირად უგულვებელყოფდნენ ცივი ომის დროს, როგორც ამას მოწმობს საბჭოთა ინტერვენციები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ან ავღანეთში და, ასევე, აშშ-ის ინტერვენციები ლათინურ ამერიკაში. სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ბრეჟნევმა საჯაროდ დოქტრინაც კი გამოაცხადა, რომელიც ფრანგულ ენაზე „შეზღუდულ სუვერენიტეტად“ ითარგმნება სსრკ-ს მეურვეობის გასამართლებლად „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებზე. კითხვა იბადება იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა ყველა სახელმწიფოს თანაბრად იქონიოს პრეტენზია სრულ დამოუკიდებლობაზე. სახელმწიფოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი ბუნებითა და ტერიტორიის სიდიდით, გეოგრაფიული მდებარეობით, მოსახლეობის რაოდენობით, სამხედრო ძალით, მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობით. ამგვარად, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაში შედის ჩინეთი, რომლის მოსახლეობა მილიარდს აჭარბებს, მაგრამ ასევე ისეთი მცირე სახელმწიფო ერთეულები, როგორცაა ლიხტენშტაინი ან მონაკო, რომლის პოლიტიკური ავტონომია უმნიშვნელოა. ამკარაა, რომ ზოგიერთ აღიარებულ სახელმწიფოს პრაქტიკულად არ გააჩნია სახელმწიფოს შესაბამისი ატრიბუტები, გარდა გაეროში თავისი წარმომადგენლობისა. ამგვარი სისუსტე შესაძლოა მომდინარეობდეს იმ სივრციდან, რომელსაც ეს სახელმწიფოები აკონტროლებენ, მოსახლეობის სიმცირიდან ან ეკონომიკური რესურსებიდან; ის შესაძლოა, ასევე განსაზღვრული იყოს მათი მთავრობების უუნარობით. რობერტ ჰ. ჯექსონმა (1990 წ.) სამხრეთის ქვეყნების სუვერენიტეტისადმი მიძღვნილ ნაშრომში ზოგიერთი აფრიკული რეჟიმის დასახასიათებლად ტერმინი „კვაზი სახელმწიფო“ გამოიყენა.

3.2. შიდა სუვერენიტეტი

შიდა ასპექტში სუვერენიტეტის ცნებამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების პერიოდში სუვერენიტეტიდან ერზე, შემდეგ კი ხალხზე გადასვლით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ სუვერენს აბსოლუტური ძალაუფლებით არ უსარგებლია, თუკი ხელისუფლების მპყრობელის საკუთარ ნებაზე ძალაუფლების შეუზღუდავად აღსრულებას ვიგულისხმებთ. ბოდენის მიერ ჩამოყალიბებული აბსოლუტიზმის დეფინიცია ბუნებრივი სამართლის შეზღუდვას ეფუძნება, რომლის თანახმად, „ქვეშევრდომები მონარქის კანონებს ემორჩილებიან, მონარქი კი ბუნების კანონებს, რომელიც ბუნებრივ თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას ქვეშევრდომებს უტოვებს“. საფრანგეთში, ისევე როგორც სხვაგან, აღიარებული იყო მეფის ძალაუფლების შეზღუდვები, კერ-

ძოდ ისეთი, რომელიც მონარქს ბიბლიური წესების, ძირითადი კანონების, ჩვეულებითი სამართლის, პრივილეგიების, წარჩინებულთა და პარლამენტების შუალედური უფლებამოსილებების დაცვას ავალდებულებდა.

ამ შემთხვევაშიც, ჰობსს კვლავ შემოაქვს ფუნდამენტური არგუმენტი სუვერენიტეტის დოქტრინაში, როდესაც „ლევიათანის“ XVII თავში აღნიშნავს, რომ სუვერენიტეტი მომდინარეობს თითოეულის მიერ რესპუბლიკისთვის ბოძებულ ძალაუფლებაში „შიდა მშვიდობის დასამყარებლად და გარეშე მტრების წინააღმდეგ ურთიერთდახმარების მიზნით.“ ამ თვალსაზრისით, ხალხი ერთგვაროვანი კორპუსია, რომელიც სუვერენს კონტრაქტით ექვემდებარება. საკუთარი თავის თავად მართვის უფლების უარყოფით, წერს ჰობსი, ადამიანები ქმნიან „მოკვდავ ღმერთს, რომელსაც უკვდავი ღმერთის საფარქვეშ, ჩვენ მშვიდობასა და მფარველობას უნდა ვუმაღლოდეთ.“ ეს პოლიტიკური მონიშნები მონტესკიემ გააკრიტიკა, რომლისთვისაც შიდა სუვერენიტეტი, დარღვევების თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურად უნდა იქნეს შეზღუდული ინსტიტუტების დებულებით – უნდა არსებობდეს ერთი დებულების მეორეთი შეჩერების უფლება. რუსომ ასევე დაგმო ამგვარი პოლიტიკური მონიშნები. უარყოფს რა მონარქიას, ისევე როგორც წარმომადგენლობით მმართველობას, იგი მხარს უჭერს სუვერენიტეტის ხალხისთვის მინიჭებას, რომელიც საერთო ნებისგანაა შემდგარი. რადგან სუვერენიტეტი არ შეიძლება იყოს არც წარმოდგენილი და არც გადაცემული, ის უნდა თავად აღსრულებოდეს, რაც მოქალაქეობის მოვალეობის არსებობას მოითხოვს. რუსოს ამ მოდელს ბევრი მოაზროვნე ეჭვქვეშ აყენებდა მისი განხორციელების შეუძლებლობის ან „მძაფრი ლაკედემონიზმის“ გამო – ინდივიდის უარყოფელი ერთობა, რომელმაც მისი ადგილი უნდა დაიკავოს, პოლიტიკაში მონაწილეობის ჩვევით, სამაქალაქო ეთოსით მთლიანად მართული ადამიანებით.

ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებმა სახელმწიფო სუვერენიტეტის ახალ რეჟიმებს ჩაუყარა საფუძველი, რომლებიც „ხალხისა“ და „ერის“ ცნებების სემანტიკურ აღრევაზეა დაფუძნებული. 1789 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის თანახმად, „სუვერენიტეტის პრინციპი ძირითადად ერზე“ და არა ხალხზეა დამყარებული. მართლაც, ძალაუფლების აღსრულების შეზღუდვები ხალხის სუვერენიტეტის დელეგირებას საჭიროებს, რადგან ამ უკანასკნელს უნარი არ შესწევს პირდაპირ იმსჯელოს სახელმწიფო საქმეებზე. აღნიშნული მისიის შესრულება არჩეულ წარმომადგენლებს უნდა გადაეცეთ, რომელთაც უფლება აქვთ იმ აბსტრაქტული არსების ნება გამოხატონ, რომელსაც ერი ეწოდება. სეიესის ცნობილი დეფინიციის მიხედვით, „ერი ადამიანთა ერთობაა, რომელიც საერთო კანონით ცხოვრობს და ერთი ლიგისლატურითაა წარმოდგენილი“ (1982 წ. გვ. 32). ამიტომაც, ერის წევრებად არ იბადებიან; ერის წევრებად გაერთიანების ნებით ხდებიან. ამის მეშვეობით, ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპი სახალხო სუვერენიტეტისგან განსხვავებით, შეიძლება ცენზიან საარჩევნო ხმას მიუყსადაგოთ, რომელშიც საარჩევნო კორპუსი და არჩევითობა ისეთ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული, როგორცაა ქონება ან უნარი.

ნაპოლეონის ომების შემდეგ, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა საღვთო ალიანსი შექმნეს, რომლის მიზანს რესპუბლიკური და ლიბერალური იდეების ერთობლივად ჩახშობა წარმოადგენდა. თუმცა, სულ მალე, ეს წესრიგი ევროპაში ეროვნებათა მოძრაობამ შეარყია იმგვარად, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ერი-სახელმწიფოს მოდელი ლეგიტიმური გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი სახელმწიფოები მის უნივერსალურ ლეგიტიმურობას არ აღიარებდნენ. მაგალითისთვის, 1884-1885 წლების ბერლინის კონფერენციამ აფრიკის კოლონიზაციის პირობები განსაზღვრა და პრინციპად მფლობელობაში მოთხოვნილ რეგიონთა ტერიტორიული კონტროლის ეფექტურობა გამოიყენა. იმ ეპოქის ევროპის კანცეპტუარებში აზრად არავის მოსვლია მსოფლიოში დასავლეთის ცივილიზატორული როლი ეჭვქვეშ დაეყენებინათ და აზიისა და აფრიკის ხალხების კოლონიზების უფლება. ამავე დროს,

პარადოქსულია, ევროპული იმპერიალიზმი ხელს უწყობს ერი-სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის მოდელის, მსოფლიოს ყველა რეგიონში გავრცელებას.

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.) ახალ საერთაშორისო წესრიგს აყალიბებს ამერიკის პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის სამართლებრივი და მორალური კონცეფციების გავლენით, რომლის გამოხატულებასაც ერთა ლიგა წარმოადგენდა. ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი – სრული სამართლებრივი აღიარების გარეშე – მზარდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში იმდენად, რომ ის იძულებით იყო გამოცხადებული ბოლშევიკი მმართველების მიერ რუსეთში. თუმცა, ერი-სახელმწიფოს მოდელი ჭეშმარიტ აღმავლობას მეორე მსოფლიო ომის დასასრულს აღწევს, როდესაც კოლონიური ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხები სსრკ-სა და აშშ-ის მხარდაჭერით დამოუკიდებლობის უფლებას ითხოვენ ევროპული მეტროპოლიების მიერ ჩამოყალიბებული საზღვრებისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩარჩოში. ამგვარად, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ინტერპრეტირებულია, როგორც კოლონიური მეურვეობის ქვეშ მყოფი ხალხების საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

თუკი გაეროს წესდება იმპერიებს გმობს და ადამიანის უფლებების დაცვის გაერთიანებული ერების ნებას ადასტურებს, ის კითხვის ქვეშ არ აყენებს სახელმწიფო სუვერენიტეტზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის არსებობას. როგორც მესამე თავში ვნახავთ, წესდების ეროვნული სუვერენიტეტის კონცეფცია ლიბერალური სულისკვეთებისაა, რომელსაც სოციალური კავშირის განსაკუთრებული შეფასება შემოაქვს. სუვერენიტეტის ეს კონცეფცია სახელმწიფო საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობაზე დამყარებულ ლეგიტიმურობას იცავს და მზარს უჭერს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების დაყოფას. ის ასევე გარკვეული მექანიზმების არსებობას ითვალისწინებს სოციალურ ძალთა შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად, ყველაზე მდიდარი მოქალაქეების მხრიდან ხალხის წარმომადგენლობაზე მონოპოლიის თავიდან ასაცილებლად. ეს კონცეფცია უზრუნველყოფს სოციალური უმცირესობებისა და ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გამოხატვასა და დაცვას.

მიუხედავად დოქტრინალური ევოლუციისა, შეიძლება ითქვას, რომ ძველი რეჟიმის (1789 წლამდე) სუვერენიტეტის პრინციპი, რომელიც სუვერენს მეტ-ნაკლებად აბსოლუტურ ძალაუფლებას ანიჭებდა, არსებობას აგრძელებდა სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური რეჟიმების საფარქვეშ. ის ერის ცნებასთან იქნა აღრეული, რომელიც ისტორიული მისიის მატარებელ ორგანულ ერთობად იყო მიჩნეული. სუვერენიტეტის პრინციპმა კარიკატურული ფორმით იჩინა თავი XX საუკუნის ტოტალიტარული სულისკვეთების რეჟიმებში. ეს პრინციპი აგრძელებს დემოკრატიული სახელმწიფოების ლეგიტიმაციას, სახელდობრ, საერთაშორისო კრიზისის ან ომის პერიოდში.

4. ერი, ერი-სახელმწიფო და ნაციონალიზმი

საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, თანამედროვე სახელმწიფოთა მშენებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერისა და ნაციონალიზმის იდეასთან. აღნიშნული თავად ერი-სახელმწიფოს სინტაგმაში წარმოჩნდება, რომელშიც სიტყვები პლეონასტიკურადაა დაწყვილებული. კლაუზევიცი, ნაშრომში „ომის შესახებ“, რომელსაც ჩვენ მომდევნო თავში დავუბრუნდებით, რადგან ის რეალისტების სხვა უდავო ორიენტირია კონფლიქტების ანალიზის საკითხში, საფრანგეთის რევოლუციას გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევს, „ძალა, რომლის შესახებ არავის ჰქონდა წარმოდგენა 1793 წელს გამოჩნდა. უცხად, ომი კვლავ ხალხის საქმედ იქცა, ოცდაათმილიონიანი ხალხისა, რომელიც თავს სახელმწიფოს მოქალაქედ მიიჩნევდა.“ ამიერიდან, ომში ებმებიან არა მხოლოდ ჯარები, არამედ

ერები. როგორც ძლიერების საფუძველი და ძირითადი მაჩვენებელი, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს ლეგიტიმურობისა, ერის ცნება სრული უფლებით შედის რეალისტური კვლევის სფეროში; ხშირ შემთხვევაში, ის სრულიადაც არ არის სახელმწიფოსგან გამიჯნული პოლიტიკური ერთობების აღსანიშნავად, რომელთა სუვერენიტეტი აღიარებულია. ამასთან დაკავშირებით იბადება შემდეგი კითხვა: რა არის ერი და მისი იდეოლოგია, ნაციონალიზმი? მათმა შესწავლამ დიდი რაოდენობის ლიტერატურა შექმნა. აშკარაა, რომ ფენომენის კომპლექსურობამ, გამობატვის მრავალფეროვნებამ და პოლიტიკურმა მიზნებმა პრობლემატური გახადა ზოგადი თეორიის მეშვეობით განმარტების ყოველგვარი მცდელობა. ნებისმიერი კოლექტიური იდენტობის სისტემის მსგავსად, ამ ცნების კვლევამ სხვადასხვა დისციპლინა უნდა გამოიყენოს, ფსიქოანალიზიდან სოციოლოგიამდე, ანთროპოლოგიაზე, ეკონომიკაზე და ისტორიაზე გადასვლით.

ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ერთან გაიგივებას (1992 წ., გვ. 35) ორი განსხვავებული კონცეფცია უდევს საფუძველად. პირველი, რევოლუციური კონცეფცია სახელმწიფოს ხალხთან აიგივებს, რომელიც გაერთიანებული ერთი არის წარმოდგენილი; როგორც ავლნიშნეთ, ეს არის აბაჯ სეიესის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულება. მეორე, რომანტიკული კონცეფცია გულისხმობს ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, როგორც წინასწარ არსებული რომელიმე ერთობიდან მომდინარეს, რომელიც სხვებისგან ბუნებრივად მიჩნეული კავშირებით განსხვავდება. პირველ კონცეფციაში სოციალური კავშირი ასოციაციურად არის ნაგულისხმევი, ხოლო მეორეში, ის ორგანულ კავშირში გადადის. ეს დიქტომია გარკვეულწილად დღემდე გრძელდება ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის განმარტებით მოდელში, რომლებშიც თავს იჩენს დაპირისპირება „მოდერნისტებს“ და „პრიმორდიალისტებს“ შორის (Jaffrelot, 1991).

მოდერნისტები გარკვეულწილად რევოლუციურ კონცეფციას აგრძელებენ, რომლის თანახმად, ერის წევრებად არ იბადებიან, მისი წევრები ხდებიან. ამ თვალსაზრისით, ერი, როგორც ფენომენი და იდეოლოგია, რომელიც მას უჭერს მხარს მოდერნიზაციის პროცესშია ჩართული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური ტრანსფორმაციებით. კარლ დოიჩი ნაშრომში „*Political Community at the International Level*“ („პოლიტიკური თანამეგობრობა საერთაშორისო დონეზე“ 1953 წ.), იმდროინდელი ამერიკული „ბიჰევიორიზმის“ ტიპური პერსპექტივის შემოთავაზებით, ერების ჩამოყალიბებას XIX საუკუნის საკომუნიკაციო პროცესების განვითარებაში ხედავს. ხალხი პიროვნებებისგან შედგება, რომლებიც კომუნიკაციის ისეთ საშუალებებს ინაწილებენ, როგორიცაა ენა და მათ მსგავსი ჩვევები აქვთ. თუმცა, მოდერნიზაციასთან და ბაზრების, მრეწველობისა და ქალაქების თანმხლებ ზრდასთან ერთად, ხალხები „სოციალურ მობილიზაციას“ განიცდიან, რომელიც მათ თავიანთ ტრადიციულ ერთგულებას აკარგვენ და ეროვნულ შეგნებაზე დაფუძნებულ ახალ მაკომპენსირებელ იდენტობებს აღეზიანებენ. ამ კუთხით, ერის ჩამოყალიბება კულტურულ ერთიანობას მოითხოვს, რომელიც კომუნიკაციების განვითარების დონით იზომება. ელიტები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ერების ჩამოყალიბებაზე.

ერნესტ გელნერიმა აღნიშნული ანალიზი უფრო გააღრმავა ნაშრომში „*Nations and Nationalism*“ („ერები და ნაციონალიზმი“, 1983 წ.). მისი აზრით, ნაციონალისტურმა იდეოლოგიამ შექმნა ერები იქაც კი, სადაც ისინი არ არსებობდნენ. გელნერი ერის საფუძველს მეცნიერული და კრიტიკული რაციონალიზმის განვითარებას, ექსპერიმენტირების სულისკვეთებას უკავშირებს, რომელიც ობიექტური მიზეზობრიობის აღმოჩენისკენაა მიმართული, ასევე კაპიტალისტური წარმოების ფორმების გაჩენას, ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს, ახალ ინტელიგენციასა და ქალაქების ზრდას. მოდერნიზაცია სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის დინამიკას უწყობს ხელს. ის სავაჭრო და საკომუნიკაციო ქსელების გაფართოებასთანაა დაკავშირებული. თავისი ბუნებით, მოდერნიზაცია ფეოდალიზმის ტრადიციული იერარქიების ნგრევისკენაა მიმართული იმგვარი სოციალური სტრუქტურის შესაქმნელად,

რომელსაც კომპლექსური და ცვალებადი სამუშაოს დაყოფა და სოციალურ-პროფესიული მობილურობა ახასიათებს. სწორედ მოსახლეობაზე ბატონობის დასამყარებლად და აუცილებელი კომპეტენციების მისაღწევად, სახელმწიფო ზოგადი განათლების სისტემას აყალიბებს. გარკვეული კულტურული ერთგვაროვნების პირობების შესაქმნელად სახელმწიფო ინტელექტუალებს ეყრდნობა – ამ კუთხით, ნაციონალისტური თემები პოლიტიკური ინტეგრაციისთვის საჭირო ხდება. ამგვარად, ავტორის აზრით, ნაციონალიზმი განისაზღვრება „დაძაბულობით კულტურასა და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის თანხვედრის ჩამოსაყალიბებლად იმისათვის, რომ კულტურას ერთადერთი პოლიტიკური თავშესაფარი ჰქონდეს“ (1989 წ. ფრანგ. თარგმანი; გვ. 69).

ერების გენეზისის მოდერნისტული კონცეფცია მრავალი კვლევით იქნა გამდიდრებული, რომლის მიდგომა ჩვეულებრივ, კონსტრუქტივისტულია – ერი მოცემულობად არ წარმოჩნდება. ბენედიკტ ანდერსონი აღნიშნავს საგამომცემლო კაპიტალიზმის მნიშვნელობას, სახელდობრ, პრესისა და სხვა ტექნოლოგიებისა, როგორცაა მოსახლეობის აღწერა, კარტოგრაფია და მუზეუმების მართვა ეროვნული ერთობისადმი მიკუთვნების გრძნობის გაჩენისთვის, რომელსაც იგი არსებითად „წარმოსახვითად“ ახასიათებს, რამდენადაც იქმნება მაიდენტიფიცირებელი კატეგორიები და წარსულის შესახებ წარმოდგენები. რაც შეეხება დომინიკ შნაპერს, იგი ერს თავისი სუვერენიტეტით განსაზღვრავს „რომელიც შიგნით მასში შემავალი მოსახლეობის ინტეგრაციისთვის ხორციელდება, გარეთ კი მსოფლიო წესრიგში ისტორიულ სუბიექტად წარმოსაჩინად, რომელიც ერების-პოლიტიკური ერთობების არსებობასა და მათ შორის ურთიერთობებზეა დაფუძნებული (1994 წ. გვ. 28). მართლაც, აშკარაა, რომ მოქალაქეობა, რომელიც პოლიტიკურ პროექტად ჩამოყალიბდა ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებიდან მოყოლებული, ამ კონსტრუქციის ძირითადი ელემენტია დასავლეთის ქვეყნებში. აღნიშნული თვალსაზრისით, სახელმწიფო წარმოჩნდება ერის დამხმარედ, ინსტრუმენტად, რომელიც პოლიტიკურის მეშვეობით სოციალიზაციის პროცესის შედეგია. ერი უცილობლად არ მოიცავს ერთ ენაზე მოლაპარაკე ან მსგავსი ადათების მქონე ინდივიდებს. მაგალითად, შვეიცარია არსებობს იმიტომ რომ გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და რეტორომანულ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობისგან შემდგარმა კანტონებმა, რომლებიც ამავე დროს, პროტესტანტული და კათოლიკური რელიგიითაა გაყოფილი, წლების მანძილზე თავიანთი ბედის ერთმანეთთან დაკავშირება გადაწყვიტეს, თავდაპირველად კონფედერაციაში, შემდეგ კი ფედერაციაში. საბოლოო ჯამში, სწორედ სოციალიზაციის პროცესები მოიცავენ და ანვითარებენ რწმენების, ღირებულებებისა და პოზიციების ერთობლიობას, რომელსაც ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფა შეუძლია.

გი ჰერმეტი ერს ასევე ძირითადად პოლიტიკურ კონსტრუქციად განიხილავს, ნაციონალიზმს კი სახელმწიფოს სამსახურში მყოფ ინსტრუმენტად. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს როლს ნაციონალისტური იდეოლოგიის გავრცელებაში, „ყაზარმიდან სკოლამდე“ იგი ამტკიცებს, რომ „თანამედროვე ნაციონალიზმი საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ყალიბდება“ (1996 წ. გვ. 85). ნაციონალიზმს, როგორც სახელმწიფო აპარატების ტრანსფორმაციის თანამედროვეს, ხელს უწყობს ახალი პოლიტიკური სივრცის გაფართოება, რომელშიც ძველი რეჟიმის სტრუქტურების წინააღმდეგ მებრძოლი ინდივიდები და მოძრაობები არსებობენ და, რომლის საზოგადოებრივი აზრი ლეგიტიმაციის ახალი ინსტანცია ხდება. ეს ევოლუცია პოლიტიკურ სფეროს აფართოებს და იმავდროულად, სახელმწიფო ძალაუფლების ზრდას ამართლებს. სახელმწიფო დამკვიდრებას ახერხებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძალადობის ინსტრუმენტებს აკონტროლებს, არამედ ასევე იმიტომაც, რომ მას პოლიტიკური სოლიდარობის მითებისა და იდეალების მობილიზების უნარი შესწევს, რომელიც მისი ნაციონალისტური იდეოლოგიის შემდუღაბებელია. ამგვარად, თითოეულისთვის, ნაციონალური იდენტობა მნიშვნელოვანი გარდაუვალი რეალობაა, რომელიც ადამიანთა ერთობას თვითშეცნობისა და უცხოებისგან გამიჯვნის შესაძლებლობას აძლევს.

ენტონი სმიტი, ნაშრომში „National Identity“ („ნაციონალური იდენტობა“ 1991 წ.), გვიჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნაციონალურ იდენტობაზე დაყრდნობა პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესებისთვის. ნაციონალისტური იდეოლოგიის საბოლოო მიზანია სოლიდარობის კავშირების ჩამოყალიბება ინდივიდებსა და კლასებს შორის; ის საერთო ღირებულებებისა და კულტურული ტრადიციების მობილიზებას ახდენს. სმიტი იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, ერები თანამედროვე პოლიტიკური კონსტრუქციებია, მაგრამ არბილებს ამ არგუმენტს და ხაზს უსვამს, რომ ერები საწყის ეთნიკურ საფუძველს ემყარება, მაშინაც კი, როდესაც ყველა ეთნოსი ერებს უცილებლად არ მოიცავს. მართლაც, ნაციონალისტური დოქტრინები ხშირად ძველ, რაციონალიზებულ მითებსა და სიმბოლოებზეა დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების გასამართლებლად. სმიტი რამდენიმე დიდი ევროპული ერის მაგალითს გვთავაზობს, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, შვედეთი და ჰოლანდია – , რომელიც ისტორიულად პერიფერიული რეგიონებისკენ სახელმწიფოს ადმინისტრაციული, ფისკალური, სასამართლო და სამხედრო აპარატის გაფართოებიდან მომდინარეობს, დომინანტური არისტოკრატიული ეთნიკური ჯგუფების ღირებულებათა და ტრადიციების ასახვით.

თავის უფრო ადრინდელ ნაშრომში „State and Nation in the Third World“ („სახელმწიფო და ერი მესამე სამყაროში“ 1983 წ.), სმიტი მსგავს მიდგომას ყოფილი კოლონიური ქვეყნების ნაციონალიზმის მახასიათებლების ანალიზისთვის იყენებს. იგი მათ აღმოცენებას საჭარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში კოლონიზატორთა წინააღმდეგ პირველ აჯანყებებში ხედავს – ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი ადრეული ამბოხებები. მათი გაჩაღების ერთ-ერთი ფაქტორი, ასევე, ეკლესიებისა და მისიების გავლენა იყო, სახელდობრ, ეთიოპიაში. აფრიკის სხვადასხვა რეგიონში მესიანური ტიპის ენდოგენური რელიგიური მოძრაობები გაჩნდა, როგორცაა მაგალითად, კიბანგიზმი ბელგიურ კონგოში. პარალელურად, კოლონიურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ბიუროკრატიის ჩამოყალიბება ნაციონალიზმის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ამგვარად, მოხდა დაყოფა ძირითადად დასავლეთში განათლება მიღებულ ინტელიგენციის რიგებიდან გამოსულ ელიტასა, რომელსაც ამ ბიუროკრატიის შიგნით სტრატეგიული პოზიციები ეკავა და ნაციონალისტურ ან პანაფრიკულ იდეოლოგიებს ნერგავდა და მასებს შორის, რომელთა იდენტობის მახასიათებლები ეთნიკური რჩებოდა.

ზემოთ აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, ინდუსტრიალიზაციის დინამიკა, როგორცაა ის ევროპაში რენესანსისა და რეფორმის დროიდან განვითარდა, ერთადერთია. ცივილიზაციები არ მიჰყვებიან ანალოგიურ ისტორიულ მოძრაობებსა და კულტურულ ცვლილებებს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ისინი ურთიერთშეღწევას ცდილობენ. თუმცა, მსოფლიოს სხვა რეგიონების უმრავლესობაში მოდერნიზაცია გარედან იყო ნაკარნახევი. ამგვარად, დასავლეთის იმპერიალიზმმა ფუნდამენტური როლი ითამაშა დამოუკიდებლობების ხანის ნაციონალიზმის აღმოცენებაში, რომელიც მის მიერ ინიცირებული ცვლილებების დინამიკით საზრდოობდა. კოლონიური ბატონობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ეს მოძრაობები მნიშვნელოვანწილად მეტროპოლიების პოლიტიკურ მოდელს იყენებდნენ. ევროპის მსგავსად, ინტელიგენცია – ადვოკატების, მასწავლებლების, ფუნქციონერებისგან შემდგარი პროფესიული ელიტა – ნაციონალისტური იდეოლოგიის განვითარებას ედგა სათავეში და კოლონიური საფუძვლის მქონე სახელმწიფო აპარატის კონსოლიდირებას ცდილობდა. მას ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთგვაროვანი სივრცის შექმნის იგივე ჰეგემონიური სწრაფვა. სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ძველი ერთობის ფორმების დაშლა მოითხოვა, იმ ტრადიციებისა, რომლებშიც ნათესაური კავშირები ან საერთო წინაპრის მითი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ურბანიზაცია და განათლების სის-

ტემების განვითარება ასევე ნაციონალიზმის ვექტორს წარმოადგენდა იმგვარად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აზიაში, აფრიკასა ან ლათინურ ამერიკაში.

სმითის მიერ წამოყენებული იდეა ძველი ეთნიკური სტრატეგიის არსებობის შესახებ, ე. ი. ნაციონალისტური ელიტებისა, რომლებიც საკუთარი მობილიზაციის გასამართლებლად იყენებენ მითებს, სიმბოლოებსა და რწმენებს – დიდებული წარსულის ხელახლა წარმოჩენა, წინაპართა მიწის ხელახალი დაუფლება, არჩეული ხალხის წახალისება – ეთნიკურობას გარკვეულწილად ძალზე მნიშვნელოვან თვისებას ანიჭებს, მაშინაც კი, როდესაც ავტორი თავს იკავებს ამ ტერმინის გამოყენებისგან. *პრიმორდიალისტური* ანალიზი მოდერნისტებთან მიმართებაში სპეციფიკურია, რადგან ის ეთნიკურ ჯგუფს მოცემულობად განიხილავს, და არა როგორც კონსტრუქციის შედეგს. ამიტომაც, ამგვარ ანალიზს ზოგჯერ გადაჭარბებით რომანტიკულ მიმდინარეობებს უკავშირებენ, რომლებიც გერმანიასა და საფრანგეთში XVIII და XIX საუკუნეებში გაჩნდა და ნაციონალიზმს წინაპართა ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებში ათავსებდა, ხოლო ერს ორგანულ რეალობად წარმოაჩენდა. ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ედვარდ შილსი, კლიფორდ გერცი და უოლტერ კონორი ეთნიკურობის *პრიმორდიალისტურ* კონცეფციას იცავდნენ, მათი აზროვნება ძნელად უკავშირდება ჰერდერისა და ფიხტეს აზროვნებას. სახელდობრ, გერცი მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომ ზოგიერთი სოციალური კავშირი, მათ შორის ეთნიკურობაც „პირველადი“ იყო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მოცემული.“ ეს კავშირები მოდერნიზაციის სწრაფი ტემპით არ გაუჩინარებულა; პირიქით, ინტეგრაციის პროცესმა ისინი „მოიშინაურა“, მაგრამ მათ ყოველთვის შეეძლოთ ხელახლა გამოჩენა იმდენად, რამდენადაც ისინი, ძირითადად, ინდივიდთა მიკუთვნების წარმოდგენებს მართავდნენ (1963 წ., გვ. 128). იმის გამო, რომ *პრიმორდიალიზმს* ხშირ შემთხვევაში, ნაციონალისტი აქტივისტები იყენებდნენ ქსენოფობური ან რასისტული მოთხოვნების გასამართლებლად, ამ მიმდინარეობას მოდერნისტულ მიმდინარეობაზე ნაკლები მომხრე ჰყავდა.

მიუხედავად იმისა, გავაანალიზებთ თუ არა ამ კონცეფციებს მოდერნისტული თუ *პრიმორდიალისტური* პოზიციების შესაბამისად, ერი და მისი იდეოლოგია, ნაციონალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური პარადიგმისთვის ორი მიზეზითაა საინტერესო. ერთი მხრივ, ყველა მთავრობა თავისი სახელმწიფო სუვერენიტეტის ლეგიტიმაციისთვის ერს ეყრდნობა. როგორც ავლნიშნეთ, ერის საფუძველზე შეიქმნა ჩარჩო ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცისთვის და თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებისთვის აუცილებელი წარმომომადგენლობითი სისტემებისა და მისი ცენტრალიზებული ბიუროკრატიისთვის. აღნიშნულს სახელმწიფოს მშენებლობამ ემოციური სიცარიელით უპასუხა, რომელიც ძველი ერთობების გაქრობით, ურბანიზაციითა და ნორმების არარსებობით იყო გამოწვეული. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა სტანდარტიზებული კულტურის, ანონიმური და უსახური საზოგადოების წინ წამოწევა.

მეორე მხრივ, რეალისტების აზრით, ნაციონალისტური იდეოლოგია პოტენციური კონფლიქტების წყაროა, რომელიც მხედველობაშია მისაღები. თუმცა, ამ იდეოლოგიამ სხვადასხვა ფორმების მიღება შეძლო. აღნიშნული იდეოლოგია, ხშირად, პოლიტიკური ერთობის გონივრული ძიებით იყო შემოფარგლული, დადგენილი საზღვრების მქონე ტერიტორიულ სივრცეში „ერთად ცხოვრების სურვილით“, მიუხედავად ამისა, ის ძალის გამოსახატავად გამოიყენებოდა სახელმწიფოთშორის ურთიერთობებში და ხელს უწყობდა რასისტული, ეთნიკური და რელიგიური გრძობების გაღვივებას ან რომელიმე ხალხის დაპყრობითი ამბიციების ფანატიკურ ეგზალტაციას. ისტორიულად, ნაციონალიზმი XVIII საუკუნეში დამკვიდრდა როგორც დემოკრატიული პროექტი. ეს არის ამერიკის 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ან საფრანგეთის 1789 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მნიშვნელობა. ამავე დროს, საფრანგეთის რევოლუციისა და იმპერიის პერიოდში, ნაციონალიზმმა მესიანური და დამპყრობლური სახე მიიღო, იაკობინური იდეოლოგიისა და ნაპო-

ლეონის ომების გავლენით. შესხენებას არ საჭიროებს ის ყველაზე დამანგრეველი უკულმართობები, რომელიც ფაშიზმმა და ნაციზმმა XX საუკუნეში გამოიწვია. ეს ძალადობრივი ფორმები სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების კრიტიკულ ფაზებში იჩენს თავს. ნებისმიერი იდეოლოგიის მსგავსად, ნაციონალიზმი ილუზიებს შეიცავს – ამტკიცებს, რომ საერთო ღირებულებებსა და ტრადიციებს იცავს, მაშინ როდესაც ელიტარულ და ცენტრალიზებულ კულტურას წარმოადგენს. ნაციონალიზმი თავს აშკარა პოლიტიკურ პროექტად განსაზღვრავს, რომელიც ხალხის ერთობის მყისიერი და გაზიარებული ემოციებიდან მომდინარეობს. თუმცა, ის მმართველი სფეროებისა და მათი ინტელექტუალების მიერაა ჩამოყალიბებული და გავრცელებული. ნაციონალიზმს ხალხისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებების განმტკიცების პრეტენზია აქვს, მაგრამ იმავდროულად სხვების სპეციფიკური თვისებების უარყოფა შეუძლია. პირველ რიგში, სწორედ ეს უკანასკნელი შეუსაბამობა აინტერესებს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევას.

5. საერთო მეთაურის პრაქსიზმი

რეალისტების აზრით, სახელმწიფო სუვერენიტეტის უცილობელი შედეგია ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პირველ მახასიათებელს ინსტიტუციური ინტეგრაციის დაბალი დონე წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, სამართლებრივი ნორმები და ინსტიტუტები მყიფეა, რადგან სახელმწიფოები თავის სასარგებლოდ განმარტავენ ამ უკანასკნელთა მიერ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს; ისინი მათ თავისუფლად არღვევენ „ნაციონალური ინტერესების“ (ამ ცნებას ჩვენ დავუბრუნდებით) დაცვაზე დაყრდნობით. იმის საპირისპიროდ, რაც სახელმწიფო სფეროში ხდება, არ არსებობს უმაღლესი ძალაუფლება, რომელსაც პოლიტიკური წესრიგის დამყარებისა და შენარჩუნების უნარი შესწევს თავისი არბიტრაჟის შემოთავაზებით სახელმწიფოებს შორის არსებულ კონფლიქტებში; არც ერთ ძალაუფლებას არ შეუძლია უნივერსალურად აღიარებული კანონების შექმნა. არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც სისტემატურად და თანმიმდევრულად სახელმწიფო უთანხმოებათა ერთობლიობის განსჯა შეუძლია და არც პოლიციის ძალები, რომელთაც მშვიდობის აღსადგენად აგრესიის დასჯის უნარი შესწევთ. კანონის დამრღვევი ინდივიდი სახელმწიფოს შიგნით დასჯას ექვემდებარება. ჩვეულებრივ, საერთაშორისო სამართლის დამრღვევი სახელმწიფოს შემთხვევაში ასე არ ხდება. არონი ნაშრომში „მშვიდობა და ომი ერებს შორის“ ეყრდნობა პოსტულატს, რომლის თანახმად, სახელმწიფოები სუვერენულნი არიან, მაშასადამე, ისინი თავისუფალნი არიან სამართლის აღსრულებაში. ავტორმა ლეგიტიმურ ძალადობაზე მონოპოლიის მქონე ინსტანციის არარსებობაში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკური ნიშანი დაინახა. მშვიდობიანი და საომარი პერიოდების მონაცვლეობით სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის ქარგას ქმნიან. „ძალა სამართალს ქმნის.“ ეს ფორმულა 1914 წელს გერმანიის კანცლერის მიერ იქნა გამოყენებული ბელგიის ნეიტრალიტეტის ხელყოფის გასამართლებლად. ერთა ლიგა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვერსალის ხელშეკრულების ჩარჩოში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის დამყარების მიზნით. თუმცა, ამ პროექტმა მარცხი განიცადა და ფაშისტურმა მთავრობებმა ნებისმიერი სახის ყალბი არგუმენტები გამოიყენეს თავიანთი ექსპანსიონისტური პოლიტიკის დასაცავად.

1945 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოხატავს სახელმწიფოთა ძალისხმევას მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგის დასამყარებლად, რომელიც სამართლიანობისა და სამართლის დაცვაზეა დაფუძნებული. ფაქტობრივად, ამ ინსტიტუტის წევრებს არ ჰქონიათ არც ნება და არც საშუალებები წესდებაში ჩამოყალიბებული პრინციპების ასამოქმედებლად. 1945 წელს სან-ფრანცისკოში თავისი შექმნის დღიდან გაერო-ს ომის გაჩაღე-

ბისტვის ქმედითი დაბრკოლება არ შეუქმნია, ხოლო, აგრესორთა წინააღმდეგ სანქციების მობილიზების მისი უნარი თითქმის ყოველთვის სუსტი იყო. ცივი ომის განმავლობაში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში 1989 წლამდე დომინირებდა, აშშ და სსრკ ხშირად თავიანთ საზღვრებს გარეთ სამხედრო ძალას იყენებდნენ პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად ან გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად. საბჭოთა კავშირმა პოზიციები გაიმყარა კომუნისტური მთავრობების დახმარებით იმ უმრავლეს ქვეყნებში, რომელიც მას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა. 1956 წელს თავისი წითელი არმიით ის უყოყმანოდ შევიდა უნგრეთში, ხოლო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, როდესაც ამ ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მცდელობა გამოავლინეს. აშშ-მ ანალოგიურ პროცედურებს მიმართა ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის კუნძულებზე კანონიერი მთავრობების დასამხობად. ჩინეთმა 1950-იან წლებში ტიბეტის ანექსია მოახდინა. შუა აღმოსავლეთში, ისრაელი განაგრძობს იმ ტერიტორიების დაკავებასა და კოლონიზებას, რომელიც 1967 წლის ომის დროს დაიპყრო. წამყვანი ძლიერი სახელმწიფოების მსგავსად, სხვა მთავრობებიც პერიოდულად ძალას მიმართავენ და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არღვევენ სამართლებრივი ხრიკების გამოგონებით საკუთარი აგრესიული პოლიტიკის შესანიღბავად. შუა აღმოსავლეთში, აზიასა და აფრიკაში მრავალი რეგიონული კონფლიქტია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ნებისმიერი კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის მარცხს.

მეორე მხრივ, სწორედ ძლიერი სახელმწიფოები განსაზღვრავენ საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებს და მანევრირების დიდი შესაძლებლობა აქვთ გაერთიანებული ერების წესდების პრინციპების ინტერპრეტირებაში. ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებში დომინირებენ; ამ უკანასკნელთ საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ, სახელდობრ, თავიანთი ჰეგემონიის ლეგიტიმაციისთვის. უშიშროების საბჭო ხშირად ვერ ასრულებს თავის მანდატს, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ან მაშინ, როდესაც სახელმწიფოები უარს ამბობენ თავიანთი ძალების გამოყენებაზე იძულებითი მშვიდობის დასამყარებლად სამოქალაქო ომებით გახლეჩილ რეგიონებსა და ქვეყნებში. 2003 წელს აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ერაყში ომის დაწყება გადაწყვიტეს, მიუხედავად უშიშროების საბჭოს უარისა მათი სამხედრო ქმედების ლეგიტიმაციაზე.

ამგვარად, საერთაშორისო ურთიერთობებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიმღები ცენტრების პლურალიზმი ახასიათებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ანტაგონისტურია. როგორც ავლნიშნეთ, რეალისტებისთვის, კერძოდ კი ამ მხრივ მარქსისტებთან ახლოს მდგომი კარის აზრით, სამართალი და მორალი სახელმწიფოთმშორის ურთიერთობებში მხოლოდ დომინანტური სახელმწიფოების ინტერესების ფარული რაციონალიზაციაა. მსგავსი სიტუაცია ასევე მსოფლიოს ეკონომიკური რესურსების გადანაწილებისას წარმოჩნდება. ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოები ფორმალურად თანხმდებიან სამართლისა და სამართლიანობის პრინციპებზე, მაგრამ არა მათ ამოქმედებაზე. რეალისტები ხაზს უსვამენ, რომ გაერთიანებული ერების წევრი-სახელმწიფოები არ ქმნიან ერთიან და სტრუქტურირებულ „საერთაშორისო ერთობას.“ გაეროში გაწევრიანებისას, ეს სახელმწიფოები არ ემორჩილებიან პოლიტიკურ ძალაუფლებას, რომელსაც ლეგიტიმური უფლებამოსილება გააჩნია და პრინციპებისა და უნივერსალური სამართლებრივი ნორმების ამოქმედების უნარი შესწევს, მათი დარღვევის შემთხვევაში კი, სანქციების დაწესება შეუძლია. განისაზღვრებიან რა პოლიტიკური ინტეგრაციის სისტემების მსგავსად, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში პრევალირებს, საერთაშორისო ურთიერთობები, ამ ავტორების აზრით, ანარქიად წოდებული სიტუაციის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებენ.

6. ანარქია და იმის შედეგები

რამდენადაც რეალისტებს საერთაშორისო პოლიტიკა სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების ანალიზამდე დაჰყავთ, მათ რისკის გარეშე შეუძლიათ იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად ინტერესს წარმოადგენს ძალაუფლებისა და ეკონომიკური რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებული კონფლიქტები და ის, შიდა პოლიტიკის მსგავსად, სოციალურ ჯგუფებს შორის იერარქიულ კავშირებს მოიცავს. ამავე დროს, ანარქიის ცნების გამოყენებისას, რეალისტები ამ ზოგად მოსაზრებებს ცდებიან. შეიძლება ითქვას, რომ მათ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის განჭვრეტა სურთ, ყოველ შემთხვევაში, ამ სფეროში გარკვეული თანმიმდევრულობის გამოვლენა.

6.1. „თავს უშველეთ ვისაც შეგიძლიათ“ პრინციპი, „ეროვნული ინტერესის“ ცნება და უსაფრთხოების დილემა

ანარქიის პოსტულატის უცილობელი შედეგია ის, რომ სახელმწიფოები იძულებულნი არიან საკუთარი გადარჩენა უზრუნველყონ. ესაა „თავს უშველეთ ვისაც შეგიძლიათ“ პრინციპი (self-help). მთავრობათა დიდ უმრავლესობას შეიარაღებული არმიები ჰყავს და ისინი, ვინც ამაზე უარს ამბობენ, – კოსტა-რიკა იშვიათი მაგალითია – საკუთარი თავდაცვა უცილობლად უნდა მიანდონ რომელიმე ჰეგემონი სახელმწიფოს მფარველობას. იცავენ რა თავიანთ პოზიციებსა და სტატუსს, ისინი პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსებში იღებენ მონაწილეობას ან თავად ცდილობენ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. ანალიზი შესაძლოა ტავტოლოგიური მოგვეჩვენოს: ანარქია ანარქიას იწვევს. მართლაც, ამ უწესრიგობებიდან თავის დასაღწევად საჭიროა ზენაციონალური ძალაუფლების არსებობა, რომელსაც სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტების მოგვარების უნარი ექნება და საკუთარი აზრის თავს მოხვევას ძალის გამოყენებით შეძლებს. თუმცა, რეალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ: ზემოქმედებით მოპოვებული მშვიდობა არ იქნება უცილობლად ნაკლებად მძიმე და არც უფრო სამართლიანი; ის იქნება თანამედროვე სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების სტრუქტურისგან განსხვავებული პოლიტიკური სტრუქტურის გამოხატულება.

საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ნიშნების ამგვარად განსაზღვრის შემდეგ, თეორეტიკოსები მასში ასევე სახელმწიფოთშორისი ურთიერთობებში კრიზისებისა და ომების მუდმივობის ამხსნელ ელემენტებს პოულობენ. მთავრობებს, ამტკიცებენ ისინი, თავიანთი „ეროვნული ინტერესების“ დაცვის გარდა, სხვა არჩევანი არა აქვთ; სწორედ ესაა რაციონალური მიზანი, მაგრამ მისკენ უწესრიგო სწრაფვა სახელმწიფო აქტორთა დიდი მრავალფეროვნებით, საერთაშორისო ურთიერთობებს კონფლიქტურ და ზოგჯერ ქაოტურ განზომილებას ანიჭებს. რეალისტებს ხშირად საყვედურობდნენ „ეროვნული ინტერესის“ ცნების ორაზროვნებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ცნება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდით რიცხვში, რადგან ის მოიცავს კონცეფციებს, რომლებიც ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების, რეჟიმების, იდეოლოგიებისა და მმართველი ელიტების ხასიათის მიხედვით იცვლება. სახელმწიფოები არ არიან უნიტარული აქტორები, რადგან თავის წიაღში მოიცავენ პოლიტიკურ პარტიებს, ინტერესთა ჯგუფებს, რომელთაც არა აქვთ ანალოგიური დიპლომატიური და სტრატეგიული პროექტები. იმის მტკიცება, რომ მთავრობები ეროვნული ინტერესების დამცველები არიან, რეალობის ხაზგასმას ნიშნავს, რომელსაც საბოლოო ჯამში, ნაკლებად ევრისტიკული მნიშვნელობა აქვს. სახელდობრ, ისინი წარმოადგენენ მოცემულ დროს გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური ჯგუფების მიერ დასაცავ მიზნებს, რომელთაც სპეციფიკური ინტერესების საერთო ინტერესებად წარმოჩენის უნარი შესწევთ. მართლაც, სახელმწიფოები საერთაშორისო კავშირების კომპლექსურ სისტემებში არიან შებოჭილნი, რომლებშიც მრავალი მიზანია გათამაშებული. ამ უკანასკ-

ნელთა განხორციელებამ ზოგიერთ შიდა აქტორს შეიძლება სარგებელი მოუტანოს, ზოგს კი პირიქით, ზიანი მიაყენოს.

ამავე დროს, სახელმწიფოთშორისი კავშირების სფეროში „ეროვნული ინტერესის“ ცნება შეიძლება შესაძლებელი თანხმობების ფართო არჩევანს მივაკუთნოთ, რომელიც არანაკლებ მრავალფეროვან დიპლომატიურ და სტრატეგიულ პოზიციებს მოითხოვს. მართლაც, მთავრობები ფაქტობრივად ძალზე იშვიათად გვთავაზობენ თავიანთი საგარეო პოლიტიკის ერთმნიშვნელოვან და მყარ დეფინიციას. ძლიერი სახელმწიფოების ქმედებები იდენტური არ იყო იმპერიალიზმის ხანაში, 1930-იანი წლების კრიზის დროს, ცივი ომის განმავლობაში ან გლობალიზაციის ეპოქაში. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოები ერთდროულად საერთაშორისო პოლიტიკის განსხვავებული მიზნებისკენ მიისწრაფიან, რომლებიც შეიძლება იმავდროულად, წინააღმდეგობრივად წარმოჩნდეს: უსაფრთხოება, ექსპანსია, სიმდიდრე, იდეოლოგიის გავრცელება, დიდება, სოციალური კეთილდღეობა. „ეროვნული ინტერესების“ დაცვის საფარქვეშ, სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ საკუთარი საზღვრების გამაგრება უცხო ქვეყნის წინააღმდეგ, მეზობლებთან თანამშრომლობის გაძლიერება ან პირიქით, შეეცადონ ამ უკანასკნელთა დამარცხებას დამპყრობლურ ომში. ამგვარად, სახელმწიფოების მიერ უსაფრთხოების ძიება გამოიხატება თავდაცვასა ან შეტევაში, შეიარაღების შექმნაში ან ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგაცვლის განვითარებაში, უფრო ძლიერების მიმართ დამოკიდებულების ფრთხილ პოზიციაში, შეიარაღებულ ნეიტრალიტეტში ან იმპერიალიზმში. მოკლედ რომ ვთქვათ, თავიანთი მიზნების მისაღწევად სახელმწიფოებს შეუძლიათ ერთდროულად ან თანმიმდევრულად თანამშრომლობა ან ომის გაჩაღება. სწორედ ამ მიზეზის გამო, არონმა საერთაშორისო ურთიერთობები განსაზღვრა როგორც „დიპლომატიურ-სტრატეგიული“ სივრცე, – ისინი დიპლომატიისა და სტრატეგიის მუდმივ მობილიზებას ახდენენ.

როგორც არ უნდა იყოს „ეროვნული ინტერესის“ ცნების შესაბამისობა, თავად სახელმწიფო პროექტების მრავალფეროვნება, რომელიც ნაკლებად სადავოა, რეალისტებისთვის კონფლიქტების პოტენციური წყაროა. უსაფრთხოების გაზრდის მცდელობით და ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, სახელმწიფოები საფრთხისა და საპასუხო სამხედრო დარტყმის რისკს ზრდიან თავიანთი მეზობლების მხრიდან. ეს მოჯადოებული წრეა, რომელსაც რეალისტები „უსაფრთხოების დილემის“ დეფინიციას აძლევენ და ის ნაწილობრივ განმარტავს შეიარაღებისკენ სწრაფვას. ამ გაურკვეველ სიტუაციაში, მთავრობებმა თავდაცვისთვის მობილიზება უნდა გაუკეთონ სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესურსებს და უკიდურეს შემთხვევაში, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად შეიარაღებული შეჭრის მუქარას, ომსაც კი მიმართონ.

6.2. ძალა და ძალაუფლება

რეალისტური აზროვნების სხვა აქსიომის თანახმად, სახელმწიფოები თავიანთი გეგმების განსახორციელებლად საკუთარი ძალის გაზრდას ცდილობენ. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ლიტერატურაში. თუმცა, ის საკმაოდ ბუნდოვანია. სახელდობრ, ამ ტერმინს მიმართავენ იმ სახელმწიფოების აღსანიშნავად, რომლებიც უპირატეს გავლენას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე, ე. ი. „ძლიერი სახელმწიფოების.“ ამგვარად, ის აღნიშნავს პრივილეგირებულ პოლიტიკურ სტატუსს, რომელთანაც განსაკუთრებული უპირატესობა და პასუხისმგებლობაა დაკავშირებული. აღნიშნული ტერმინი ასევე დაკავშირებულია კონფლიქტურ ურთიერთობებთან საერთაშორისო ასპარეზზე, სახელმწიფოთა ქმედებებთან, რომელთაც გარკვეული მიზნისთვის უპირატესობის მინიჭება სურთ სხვა სახელმწიფოთა საპირისპიროდ. ლაპარაკობენ ხოლმე „ძალის პოლიტიკაზე“, რომელიც *power politics*-ის არასრულყოფილი თარგმანია. „რეალისტურ“ ლიტერა-

ტურაში ის იმ ჯუნგლების კანონის მეტაფორად იქცა, რომელიც საერთაშორისო სცენაზეა გაბატონებული. მაგალითად, მორგენტაუ ნაშრომში „Politics among Nations“ („ერთაშორისო პოლიტიკა“) ამტკიცებს, რომ „საერთაშორისო პოლიტიკა, ნებისმიერი პოლიტიკის მსგავსად, ძალის პოლიტიკაა.“ მთავრობები ამგვარი პოლიტიკის შენიღბვას დიადი იდეალების სახელით ცდილობენ – სამართალი, თანასწორობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება – ან ძირითადად იდეოლოგიური ხასიათის დისკურსებით.

თავის მხრივ, არონი ერთმანეთისგან განასხვავებს „ძალაუფლებას“ და „ძალას.“ იგი უარს ამბობს ძალის თანაფარდობისა და ძალაუფლების ურთიერთობების აღრევაზე, რადგან ამ უკანასკნელთ ინსტიტუტებიდან მომდინარე შიდა ადმინისტრირების სხვადასხვა ფორმა ახასიათებს. სახელმწიფო მოღვაწის ქმედებას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს იმისდა მიხედვით, საქმე ეხება შიდა სფეროს თუ საგარეო პოლიტიკას. პირველ შემთხვევაში, ის ლეგიტიმური მართვიდან მომდინარეობს. არონის აზრით, საერთაშორისო პოლიტიკის ნაკლებად სტრუქტურირებულ სფეროში ძალის მოპოვებისთვის ბრძოლა იძენს პარტიების მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დაუფლებისთვის ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს; უნივერსალური კანონის, საერთაშორისო სანქციების არარსებობა, არაკოდიფიცირებული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა მიზნის მისაღწევად ამ „დიპლომატიურ-სტრატეგიულ“ ქმედებას განსაკუთრებულ განზომილებას ანიჭებს.

არონის აზრით, თუკი ძალაუფლების განხორციელება სახელმწიფოს შიგნით ძალისგან განსხვავებულ ფორმებს იღებს, რომელიც საგარეო პოლიტიკაშია გამოხატული, დასაშვებია, რომ ორივე შემთხვევაში, შედეგები ანალოგიური იყოს: პოლიტიკური აქტორი საკუთარი ნების გამარჯვებას სხვა აქტორებთან ერთად ან ამ უკანასკნელთა წინააღმდეგობის არარსებობით აღწევს. აღნიშნული ძალაუფლების ცნების გარშემო გამოთქმული მოსაზრებების მიზეზია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გასაგებადაა საჭირო. ამ თვალსაზრისით, ასევე შესაძლებელია განსხვავება გაკეთდეს ძალაუფლებას შორის, რომელიც მართვის მეშვეობით წარმოჩნდება და იმ ძალაუფლებას შორის, რომელიც არსებული სოციალური პრაქტიკიდან მომდინარეობს. ეკონომიკური შეზღუდვების მაგალითი ამ ტიპის ძალაუფლების გამოხატულებაა, რომელშიც მრავალი ინდივიდის ქმედება შედარებით შემზღუდველ სტრუქტურას ქმნის. ამ უკანასკნელის შეცვლა რთულია და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად წარმოჩნდეს. შრომისა და ფუნქციების დაყოფაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, ორგანიზაცია ძალაუფლების საფუძველია. მისი ინსტიტუციონალიზაცია ნიშნავს, რომ მორჩილება მიიღწევა კანონების დაცვისა და სტრუქტურული შეზღუდვების ინტერნალიზაციით, რომელიც ძალაუფლებისთვისაა დამახასიათებელი. ინდივიდს არაფრის გაკეთება არ შეუძლია ორგანიზებული ჯგუფის საწინააღმდეგოდ და მასა ხშირად უძღურია უმცირესობის პირისპირ, რომელიც მყარ ინსტიტუციურ სისტემას აკონტროლებს. სოციალური სტრუქტურები, ამ უკანასკნელთაგან მომდინარე ინსტიტუტები, რომლებიც ამ სტრუქტურებს აძლიერებენ შესაძლებლობების სივრცეს ზღუდავენ. როგორც ვნახავთ, სიუზენ სტრეინჯი ნაშრომში „States and Markets“ („სახელმწიფოები და საერთაშორისო ბაზრები“, 1944 წ.) შეეცადა ეჩვენებინა, რომ აშშ-ის ძალა საერთაშორისო ასპარეზზე დაკავშირებული იყო უსაფრთხოების, ფინანსების, წარმოებისა და ცოდნის სტრუქტურების კონტროლთან.

ზოგიერთი ავტორი, მაგალითად სტივენ ლაკსი, ნაშრომში „Power: a Radical View“ („ძალაუფლება: რადიკალური ხედვა“, 1974 წ.) ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ძალაუფლება ვლინდება არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების, არამედ „გადაწყვეტილების მიუღებლობის“ დროსაც და ასევე პოლიტიკურ დღის წესრიგში. ძალაუფლების სათავეში მყოფთა მიერ სიმბოლოების, იდეოლოგიური ღირებულებებისა და ინსტიტუტების კონტროლს პოლიტიკური არჩევანის შეზღუდვა შეუძლია. ამ კონცეფციის თანახმად, ძალაუფლება არ უნდა იქნეს არეული მის ფაქტიურ განხორციელებასთან, კერძოდ კი გადაწყვეტილე-

ბის მიღების პროცესთან. ის ასევე გამოიხატება პოლიტიკური დღის წესრიგიდან ზოგიერთი მიზნის გამორიცხვის უნარში და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ისევე როგორც მათ მიუღებლობაში. გადაწყვეტილების მიუღებლობა მდგომარეობს ზოგიერთი ფარული კონფლიქტის უარყოფაში და საჯარო დებატებიდან მათ მოხსნაში. ლაკსის აზრით, როდესაც აქტორებს ინსტიტუციური ღირებულებებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბების ან გაძლიერების უნარი შესწევთ იმგვარად, რომ პოლიტიკური პროცესი მათთვის ხელსაყრელი მიზნებით შემოფარგლონ, მათ რეალური ძალაუფლება გააჩნიათ. მთავრობის ბრძანებები სრულდება, რადგან მოქალაქეებმა იციან, რომ მათ შეიძლება გარკვეული მიმართულებით მოქმედება აიძულონ და ასევე იმიტომ, რომ ისინი სახელმწიფო ძალაუფლების ბრძანებებს უნდა მიემხრონ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებლობისგან ეფექტურობას მიაღწიონ.

აშკარაა, რომ დათმობის მსგავსი მაგალითები შეიძლება ყველა ტრადიციაში, ადათ-წესსა და რიტუალში შეგვხვდეს, ისევე როგორც ნებისმიერ ინსტიტუციურ პრაქტიკაში. სოციოლოგიაში მარქსისტული ან სტრუქტურალისტური სულისკვეთების კვლევები, მაგალითად, სტივენ ლაკსის ან პიერ ბურდიეს მიერ შემოთავაზებული, სათანადო ინსტრუმენტების მონახვას ცდილობენ დათმობის დიაგნოზის დასადგენად. ამავე დროს, საზოგადოებრივ მეცნიერებებში ფენომენის გაგების სხვა შესაძლებელი განმარტებები არსებობს, რომლებიც ძალზე თანხვედრი არაა, მაგალითად, ფროიდისეული ჰერმენევტიკა. ამ კვლევების იერარქიულად დალაგება უხერხულობას ქმნის, რადგან ისინი განსხვავებული ღირებულებებისა ან ფილოსოფიის ისტორიის მობილიზებას ახდენენ. თანამედროვეობა მსოფლიოს რაციონალური და მეცნიერული ახსნის ძალისხმევიდან ჩამოყალიბდა და ეს მოძრაობა უცილობლად მოითხოვს ისეთი ანალიტიკური კატეგორიების დადგენას, რომელთაც რეალობის სხვადასხვა ელემენტების განსხვავება შეუძლიათ. საფრთხე მდგომარეობს ამგვარი დაყოფისას აღმოჩენილ ელემენტებს შორის დიალექტიკური ურთიერთობების დაკარგვაში. ჩვენს მიერ გაწეული ძალისხმევა ცვლადების განსასხვავებლად, ამ უკანასკნელთა გავლენის დასაბალანსებლად სოციალური პროცესების ევოლუციაზე, ხშირად მათი ურთიერთქმედების კომპლექსურობის დაფარვით სრულდება. საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას ალბათ მართებული იქნება იმ კონსტანტაზე დაყრდნობა, რომლის თანახმად, ძალაუფლების წყარო შეიძლება იყოს პოლიტიკური და სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული, იდეოლოგიური და ინსტიტუციური, ამ სხვადასხვა ფაქტორებს შორის განსაზღვრული იერარქიის მყისიერად ჩამოყალიბების გარეშე, რომელთა შედარებითი მნიშვნელობა კვლევის სპეციფიკური ობიექტის შესაბამისად იცვლება.

6.3. ძალის მატერიალური და არამატერიალური ელემენტები

ძალის რომელი შემადგენელი ელემენტებია ძირითადი რეალიზმის პარადიგმაში? მორგენტაუ ამ უკანასკნელს უკავშირებს რომელიმე მთავრობის მიერ სხვა სახელმწიფოთა ქმედებების გაკონტროლების ან მათზე გავლენის მოხდენის უნარს. ძალა სამი წყაროდან მომდინარეობს: სარგებლის მოლოდინი, ზარალის შიში, ადამიანების და ინსტიტუტების პატივისცემა. მაქს ვებერის ტრადიციისამებრ, არონმა ძალა საერთაშორისო ასპარეზზე განსაზღვრა როგორც „ერთი პოლიტიკური ერთობის მიერ სხვა ერთობებისთვის საკუთარი ნების თავს მოხვევის უნარი.“ იგი ასევე აღიარებს, რომ პოლიტიკური ძალა „არის არა აბსოლუტი, არამედ ადამიანური ურთიერთობა.“ ამ პერსპექტივაში, ძალის პოლიტიკა ასევე დიალექტიკურ კავშირში ჯდება ბრძანებასა და მორჩილებას შორის. ამ პოლიტიკის ფსიქოლოგიური განზომილება აშკარაა, რადგან ნებათა შეჯახებას მოითხოვს. თავის ნაშრომში „Discord and Collaboration“ („უთანხმოება და თანამშრომლობა“, 1962 წ.) ა. უოლფერსი განსხვავებას აკეთებს ძალასა და გავლენას შორის. პირველ კატეგორიას იგი განსაზღვრავს,

როგორც სხვა აქტორთა ქცევის იძულებით შეცვლის უნარს, მეორე კატეგორია კი დარწმუნების გზით ცვლილების შესაძლებლობას აღნიშნავს. იგი ასევე დასაშვებად მიიჩნევს ამ ორ ცნებას შორის, რომელიც ერთმანეთს ნაწილობრივ ფარავს, კონტინიუუმის არსებობას.

პოლიტიკური რეალიზმის მრავალი წარმომადგენელი შეეცადა ძალა განესაზღვრა, როგორც სახელმწიფო რესურსების დათვლადი ელემენტი, მისგან შესაფერისი ცვლადის შესაქმნელად, რომელიც კაუზალური კავშირების განმარტებას შეძლებს. ამ თვალსაზრისით, ეს ცვლადი საბაზრო ეკონომიკაში ფულისა და მოგების, კაპიტალისტური დინამიკის განმარტების აუცილებელი ელემენტების ძიების როლთან იქნება გაიგივებული – ამკარაა, რომ ეკონომიკური თეორია მნიშვნელოვანი ორიენტირია იმ ავტორებისთვის, რომელთაც კონცეპტუალიზაციის ძალისხმევით მსგავსი სიზუსტის მიღწევა სურთ. ისევე როგორც ინდივიდუალური ინტერესების მაქსიმიზაცია საბაზრო ეკონომიკაში ფინანსური ტერმინების შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს, ასევე ნაციონალური ამბიციების რეალიზაცია მოკლედ შეიძლება ძალისკენ სწრაფვით განიმარტოს. ინდივიდების მსგავსად, რომლებიც მატერიალურ გამდიდრებაზე ზრუნავენ, როგორც თავისთავად მიზანზე ან სხვა მიზნების მიღწევის საშუალებაზე, სახელმწიფოები თავიანთი ძალის გაძლიერებას ცდილობენ.

ამავე დროს, თუკი რეალისტები ძალას საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევენ, ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ მისი შესატყვისი დეფინიციის შემოთავაზებას. რა თქმა უნდა, სამხედრო ძალა მისი შემადგენელი ნაწილია. კარგადაა ცნობილი ამგვარი ძალის შესაძლებელი შედეგები. 1990 წლის აგვისტოში ერაყის მიერ ქუვეითში შეჭრის შემდეგ, აშშ-მ 500 000 კაცისგან შემდგარი სამხედრო ძალის მობილიზება შეძლო, რომელსაც ყველაზე თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობა ჰქონდა. რამდენიმე კვირაში მან მოახერხა სამხედრო ძალის განლაგება ამერიკის ბაზებიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ საუდის არაბეთის უდაბნოში, ასევე ოცდაათამდე ქვეყანა დაარწმუნა აგრესორის წინააღმდეგ ერთ კოალიციაში მონაწილეობასა და უცხოეთის ქვეყნების მიერ ამ წამოწყების დიდი ნაწილის დაფინანსებაში, ასევე შეძლო გაეროს დარწმუნება აშშ-ის შეიარაღებული შეჭრის გადაწყვეტილების ლეგიტიმაციაში, შემდეგ კი ელვისებური ბრძოლის გაჩაღება და მსოფლიოში ძალით მეოთხე არმიის დამარცხება. 1999 წელს ნატოს თვითმფრინავების მიერ სერბეთის დაბომბვამ პრეზიდენტ მილოშევიჩს კოსოვოდან სამხედრო ძალების გამოყვანა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის შეწყვეტა აიძულა. ამგვარ პირობებში წარმოუდგენელია სამხედრო ძალის სახით საერთაშორისო ურთიერთობების გადამწყვეტი კოზირის არდანახვა. ამგვარად, კარის აზრით, სამხედრო ძალას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ომი სახელმწიფოთშორისი პოლიტიკის *ultima ratio*-ს წარმოადგენს. გარკვეული ნიუანსებით აღნიშნულ თვალსაზრისს პოლიტიკური რეალიზმის ყველა წარმომადგენელი იზიარებს.

სამხედრო ტერმინებით გამარტივებულ ძალის ამ დეფინიციას *a priori* უნდა გაეადვილებინა ემპირიულად ღირებული თეორიის შექმნა და ამ ძალის შემადგენელი ელემენტების რაოდენობის დათვლა შესაძლებელი იქნებოდა. მისი გამოყენება შეიძლება მართებული ყოფილიყო კრიზისის ან ომის სიტუაციაში. ამავე დროს, სამხედრო ძალის მატერიალურ რესურსებს მნიშვნელობა მხოლოდ სტრატეგიის ჩარჩოში ეძლევა, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ რესურსებს მოითხოვს. აღნიშნული ნიშნავს, რომ სამხედრო ძალა თავისთავად არ არსებობს. 1940 წელს საფრანგეთის გენერალურ შტაბს შეეძლო იმდენი ტანკის მობილიზება, რამდენიც გერმანიას ჰქონდა. თუმცა, მან ტანკების ეფექტური ამოქმედებისთვის ქმედითი დოქტრინა ვერ შეიმუშავა. სხვათა შორის, საფრანგეთის მთავრობასა და საზოგადოებრივ აზრს ომი არ სურდა და მათ ნაციტური გერმანიის პირისპირ სიმტკიცე აკლდათ. ვიეტნამის ომი არსებული სამხედრო ძალების შეფასების სირთულის სხვა მაგალითია. ამერიკის მთავრობა ამ ომში ანგარიშგასაწევი ძალებით ჩაება, მაგრამ საბოლოოდ ის მარცხს შეეგუა. თეთრი სახლი და პენტაგონი შიდა ფრონტის რღვევისა და დაშლის მომსწრე გახდა. აშშ-ის შეიარაღებული ძალები დაამარცხა

შეუპოვარმა მოწინააღმდეგემ, რომელიც ამ ომის პოლიტიკურ და სტრატეგიულ კოზირებს შესანიშნავად ფლობდა. რამდენიმე წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირი ავღანეთში მსგავს ავანტიურაში ჩაება. რეალობაში, ძალა შეიარაღებულ ძალამდე არ დაიყვანება. მკაცრად სამხედრო ტერმინებით განსაზღვრული ძალა არავითარ კრიტერიუმს არ იძლევა სახელმწიფო აქტორის შესაძლებლობებისა და როლის გასაგებად. სამხედრო ხელმძღვანელობა ძნელად შესაფასებელი მოცემულობების წინაშე დგება, როგორცაა შემთხვევითობა, ჯარების მორალი, ხელმძღვანელობის ხარისხი. საერთაშორისო პოლიტიკაში პოლიტიკური და სტრატეგიული კონსტელაციები ყოველთვის კომპლექსურია. ანტაგონიზმები ნაკლებად ვითარდება შეზღუდულ გარემოში. ხშირად, ორი მხარის მიერ გაჩაღებული ომი უფრო ფართო კონფრონტაციით სრულდება. სახელმწიფო აქტორი მუდმივად ფსონს უნდა დებდეს კოალიციის ან ალიანსის არამდგრად ხასიათზე, რაც უფრო მეტად ზრდის ძალის შემთხვევით ხასიათს. თუკი ამ უკანასკნელის გამოთვლა ნამდვილად იქნებოდა შესაძლებელი, ომი წარმოუდგენელი გახდებოდა, რადგან მისი შედეგი მუდმივად პროგნოზირებადი იქნებოდა.

პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელთა უმრავლესობა ძალის ცნებას ძალზე ფართო გაგებით იყენებს, რომელიც მატერიალურ და არამატერიალურ ელემენტებს მოიცავს და ეს უფრო მეტად ართულებს პრობლემის პარამეტრებს. მორგენტაუს ძალის განმსაზღვრელ ელემენტებში შეჰყავს ისეთი რეალობები, როგორცაა სამხედრო რესურსები, სამრეწველო სიმძლავრეები, ნედლეული, გეოსტრატეგიული უპირატესობები, მოსახლეობის რაოდენობა, ასევე კულტურული მახასიათებლები, ეროვნული მორალი, სახელმწიფო მართვისა და დიპლომატიის ხარისხი. ძალა შეიძლება თავს იქნეს მოხვეული ბრძანებებით, მუქარით, რომელიმე ადამიანის ან ინსტიტუტის გავლენით ანდა ქარიზმით, ამ პოზიციებისა თუ ფენომენების შეხამებით. კენეტ უოლცი, ავტორი, რომელსაც ჩვენ დავუბრუნდებით, თავის ნაშრომებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ძალის სამხედრო ასპექტებს, თუმცა, მიიჩნევს, რომ ისინი განცალკევებული არ უნდა იქნეს ეკონომიკური შესაძლებლობებისა ან სხვა პოლიტიკური რესურსებისგან, რომელთა გამოყენებაც ერებს საკუთარი ნების თავს მოსახვევად შეუძლიათ. არონი განსხვავებას აკეთებს ძალასა და ძალაუფლებას შორის. სამხედრო, ეკონომიკურ და მორალურ რესურსებში იგი ძალის ელემენტებს ხედავს, ხოლო განსაზღვრული მიზნებისთვის მათი კონფლიქტურ პირობებში მოქმედება სახელმწიფო ძალაუფლებიდან მომდინარეობს. მართლაც, რესურსების საჭიროება, მათი შესაძლებელი მობილიზება, მიზნების ხასიათითაა განპირობებული. არონმა მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფო ძალაუფლების სტრუქტურაში სამი ძირითადი ელემენტის გამოყოფა: პოლიტიკური ერთობებით დაკავებული სივრცე; ხელთარსებული მატერიალური რესურსები და ცოდნა; კოლექტიული მოქმედების უნარი. მან ასევე აღნიშნა, რომ რომელიმე პოლიტიკური ერთეულის ძალა მშვიდობიან პერიოდში არ შეიძლება შევადაროთ ომის დროს გამოყენებულ ძალას.

ამგვარად, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მობილიზებული რესურსები შეიძლება ძალზე განსხვავებული იყოს. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს აბსოლუტური ძალა, რომელიც მას ნებისმიერ პირობებში საკუთარი ნების თავს მოხვევის შესაძლებლობას მისცემს. ბირთვული იარაღის ფლობა არ არის საკუთარი თვალსაზრისის გამარჯვების გარანტია ყველა საერთაშორისო კრიზისში. პოტსდამის კონფერენციის მსვლელობისას, სტალინმა იკითხა თუ რამდენი დივიზია ჰყავდა პაპს, რათა ირონიული ფორმით ეჩვენებინა, თუ რას ფიქრობდა იგი კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტზე. ომის პერიოდში ან ახალი საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის საფუძვლების ჩამოყალიბებისას, სამხედრო ძალთა ბალანსი მორალურ ავტორიტეტზე პირველობს. ამგვარად, ძალა იზომება დივიზიების, ტანკების, თვითმფრინავების, არტილერიის მიხედვით და ასევე სტრატეგიებით, ეკონომიკური რესურსებით, ლოჯისტიკით, ხელმძღვანელობითა და გეოგრაფიით. მშვიდობიან პერიოდში, როდესაც სამხედრო შეჭრის რისკები მცირდება და ომის გაჩაღება აქტუალობას კარგავს, ძალის ამ ფაქტორებს შეიძლება უმნიშვნელო წვლილი ჰქონდეს. ამ პირობებში კათოლიკუ-

რი ეკლესიის ავტორიტეტმა, მის მიერ მხარდაჭერილმა ან გავრცელებულმა იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა პოზიციებმა, შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარეობა შეცვალოს, როგორც ამას გვიჩვენებს ის როლი, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ პოლონეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ითამაშა ან ის გავლენა, რომელიც მას ლათინური ამერიკის მმართველ სფეროებზე ჰქონდა. სავაჭრო მოლაპარაკებების წარმოებისას აშშ არ განიხილავს ევროკავშირისთვის საკუთარი ნების მოხვევას შეიარაღებული ძალების მობილიზებით. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე სახელმწიფოებს, რომელთაც რესურსები არ გააჩნიათ ზოგიერთ შემთხვევაში, გავლენის ინსტრუმენტად ეკონომიკური სისუსტის გამოყენება შეუძლიათ, პოლიტიკურისაც კი, იმისათვის, რომ ძლიერ სახელმწიფოთა ქმედება თავიანთ სასარგებლოდ შეცვალონ. მათ შეუძლიათ გარკვეული სუბვერსიული ღირებულებების წინ წამოწევა, ისეთი ჯგუფების მხარდაჭერაც კი, რომლებიც ტერორისტულ აქტებში ან ორგანიზებულ ძალადობაში მონაწილეობენ.

საერთაშორისო ურთიერთობები მრავალმხრივი და კომპლექსურია, ხოლო დომინანტური ურთიერთობები, რომელთაც სახელმწიფო ექვემდებარება ერთმნიშვნელოვანი არაა. დომინანტობა იშვიათადაა თამაში ნულოვანი შედეგით, მაგალითად: A ახერხებს B-ს გააკეთებინოს ის, რასაც ეს უკანასკნელი არ გააკეთებდა A-ს მხრიდან კომპენსაციის გარეშე. რომელიმე სფეროში სახელმწიფოს კონტროლი სხვა სახელმწიფოზე შეიძლება დაბალანსებული იყოს ანალოგიური ტიპის ორმხრივი ურთიერთობით სხვა სფეროში. ამიტომაც, შეუძლებელია სახელმწიფოებრივი რაციონალურობის ერთ მიზნამდე და ერთადერთ სტრატეგიამდე დაყვანა ძალის ცნებისთვის პოლისემიურობის მინიჭების პირობით, რომელიც ამგვარად, მეცნიერულ სიზუსტეს იქნება მოკლებული.

6.4. ძალთა ბალანსი სახელმწიფოებს შორის და სისტემური მიდგომები

განვიხილოთ პოლიტიკური რეალიზმის სხვა აქსიომა: ძლიერი სახელმწიფოები ურთიერთდაბალანსებას ცდილობენ ან საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო რესურსების გამოყენებით ანდა ისეთი ალიანსების სისტემების განვითარებით, რომელთაც მოწინააღმდეგე ძალების დაბალანსება შეუძლია. ბალანსის ცნება ძლიერი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის უპირველეს მიზანს განსაზღვრავს. ამ უკანასკნელთა ქმედება დაბალანსების შეზღუდვებითაა განპირობებული (განსაზღვრულიც კი). სწორედ ესაა მიზეზი, რომლის გამოც პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლები სახელდობრ, მორგენტაუ, იდეოლოგიურ საფუძვლებსა და პირად ფაქტორებს უგულებელყოფენ ძლიერი სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. ეს უკანასკნელნი მუდმივი სახელმწიფო მიზნების გატარებას ცდილობენ, რომლებიც გეოსტრატეგიული სიტუაციითაა ნაკარნახევი, განსაკუთრებით კი ძალთა ბალანსის კონფიგურაციიდან მომდინარე სტრუქტურული შეზღუდვებით.

ბალანსის იდეა ახალი არ არის. 1742 წელს ინგლისელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა მას ესე მიუძღვნა. 1758 წელს თავის ნაშრომში „ხალხთა უფლებები“, შვეიცარიელმა დიპლომატმა და იურისტმა, ემერიხ დე ვატელმა ბალანსის პრინციპი განსაზღვრა როგორც: „საქმის ვითარება, როდესაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია აბსოლუტური უპირატესობის ქონა და სხვებზე ბრძანებლობა“ (II, 3, § 47). ევროპის დიპლომატიის ისტორია მდიდარია სხვადასხვა პოლიტიკური კონფიგურაციებით, რომლებიც გვიჩვენებს თუ როგორ აკავებენ ძლიერი სახელმწიფოები ბალანსის სტრატეგიის მეშვეობით თავიანთ პოტენციური მოწინააღმდეგეებს. დიდი ხნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა ნაკარნახევი იყო ევროპაში ჰეგემონი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის დაბრკოლების შექმნით, რომელიც ინგლისის საზღვაო კომუნიკაციებს შეავიწროებდა და ამით თავის იმპერიასთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობას შეუშლიდა ხელს. საფრანგეთი, პრუსია, ავსტრია და რუსეთი XVIII საუკუნიდან რეგულარულად ცდილობდნენ ანალოგიური სტრატეგიული

მიზნების გატარებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ანტაგონიზმი აშშ-სა და სსრკ-ს შორის ბიპოლარულ ბალანსში გაიყინა.

როგორც ჩანს, ძალთა ბალანსის ცნებას მის წინამორბედებზე ნაკლები ორპარტიანობა არ ახასიათებს. ერნსტ ჰაასმა ამ ცნების გამოყენების დესკრიფციული, კონცეპტუალური და წმინდა პროპაგანდისტული დანიშნულების ჩამონათვალი გააკეთა. მას რიგრიგობით იყენებდნენ სტაბილური ან არასტაბილური სიტუაციის, ომისა ან მშვიდობის აღსაწერად; მხარდასაჭერი სისტემის კონცეპტუალიზაციის ან ისტორიის უნივერსალური კანონისთვის; ძალთა სრული თანასწორობის მიღწევის, მცირედი უპირატესობის ან ჰეგემონიური პოლიტიკის გასამართლებლად (Hass, 1953).

ბალანსის ფენომენების ანალიზი გზას უკვალავს სისტემური კონცეპტუალური ჩარჩოს მიღებას. თავის ნაშრომში „ომი და მშვიდობა“ არონი ხშირად მიმართავს სისტემის ცნებას საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკის განხილვისას. სისტემური თეორია სისტემების გამოაშკარავებას ცდილობს და იმ ფუნქციებს აანალიზებს, რომლებსაც ეს სისტემები შეესატყვისებია. ეს თეორია ასევე იხილავს სტრუქტურას, რომელიც ამ სისტემების ძირითადი შემადგენელი ელემენტების ურთიერთობებითაა განსაზღვრული. ამ თვალსაზრისის ადეპტებისთვის, საერთაშორისო საზოგადოება საკმარისად სტაბილურ მახასიათებლებს წარმოგვიდგენს იმისათვის, რომ ის სისტემად იქნეს განხილული. ისინი განსაკუთრებულ კონფიგურაციას ეძებენ, რომელიც ამგვარი სისტემის ორგანიზაციიდან მომდინარე ძირითადი აქტორების ურთიერთდამოკიდებულებისა და დამახასიათებელი სტრუქტურული შეზღუდვებიდან ჩნდება. ამ მიდგომის თანახმად, ასევე შესაძლებელი გახდება ქვესისტემების განხილვა, რომელთაც ანალოგიური სისტემური მახასიათებლები ექნებათ და საკუთარ ურთიერთქმედებებსა და კონფიგურაციებს გვიჩვენებენ. ეს იქნება სხვადასხვა რეგიონული სისტემების შემთხვევა, პანამერიკული, აფრიკული, შუა აღმოსავლეთის ქვესისტემების მაგვარი, რომელთა დინამიკაც ნაწილობრივ გლობალური სისტემის გავლენას აცდება.

სისტემური მიდგომა ეყრდნობა პიპოთეზას, რომლის თანახმად, სახელმწიფოთა ურთიერთქმედებიდან ჩამოყალიბებულ სტრუქტურას შემზღუდველი შედეგები აქვს ან ის მათ ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამგვარად, ძლიერ სახელმწიფოებს შორის თანხმობა თამაშის წესების დამდგენ პოლიტიკურ წესრიგს ქმნის. ამგვარად, ეს წესრიგი გარკვეული სტაბილურობის პირობებს ქმნის. აქედან მოყოლებული შესაძლებელი ხდება ამ სისტემაში შემავალ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის განჭვრეტა. ამგვარი კონცეპტუალური ჩარჩოს ევრისტიკული მნიშვნელობა უდავოა. თუმცა, იოლი არაა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული მახასიათებლების გამოყოფა და არც რეგიონული ქვესისტემების საზღვრებისგან მისი საზღვრების გამიჯვნა. პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლების აზრით, სტრუქტურა ძირითადად პოლიტიკურ-სტრატეგიული ძალთა ბალანსითაა განსაზღვრული საერთაშორისო სისტემაში დომინირებულ სახელმწიფოებს შორის. ძლიერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტური ურთიერთქმედებების დინამიკაში, საერთაშორისო სისტემა, ხან დომინანტობისკენ, ხან კი წამყვან სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. სისტემის ანარქია ჩვეულებრივ, შედარებით წესრიგში გადადის და ძლიერ სახელმწიფოთა ძალთა ბალანსზე დამყარებულ ორგანიზაციას ქმნის. ეს ევოლუცია მიჩნეულია სისტემის პასუხად იმ აქტორთა ძალისხმევაზე, რომელთაც საკუთარი ჰეგემონიის გაფართოება სურთ. ამ აქტორების ძალთა ბალანსის კონფიგურაცია ქმნის მრავალპოლარულ ან ბიპოლარულ სტრუქტურას, პოლიტიკური და სამხედრო ალიანსების ქსელებს, რომლებიც ამგვარი ბალანსის ინსტიტუციური ელემენტებია.

აღნიშნული სტრუქტურის განსაზღვრის შემდეგ, დასადგენია მისი გავლენა საერთაშორისო საზოგადოების ევოლუციაზე. პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლები ამის გარკვევას ცდილობენ. ნაშრომში „System and Process in International Politics („სისტემა და პროცესი საერთაშორისო პოლიტიკაში“, 1957 წ.) მორტონ კაპლანი საერთაშორისო სისტემების ექვ-

სი მოდელის განსაზღვრას შეეცადა: ძალთა ბალანსი სახელმწიფოებს შორის, ბლოკებიდან გამოყოფილ აქტორთა შემცველი ნაკლებად მკაცრი ბიპოლარულობა, ამგვარ აქტორთა გამომრიცხავი ჰერმეტიული ბიპოლარულობა, მსოფლიო კონფედერაციის შესატყვისი უნივერსალობა, ფედერაციასთან ახლოს მდგომი იერარქია და ერთიანი ვეტოს სისტემა (unit-veto system), რომელშიც თითოეულ აქტორს საკადრისი პასუხის გაცემის შესაძლებლობა ექნება სხვების მხრიდან მასზე თავდასხმის გადასაფიქრებლად. აღნიშნულ ნაშრომს ამ სისტემების ფუნქციონირების კანონების, მათი დესტაბილიზაციისა და ტრანსფორმაციის პირობების ჩამოყალიბების ამბიცია აქვს, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო გამოდგა აბსტრაგირების ზედმეტად მაღალი დონის გამო. თუმცა, მხოლოდ პირველი ორი სისტემა შეესაბამება ისტორიულ რეალობას. არონმა ამ მცდელობის ამაოება გვიჩვენა და იმავდროულად სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის კანონის მიზანშეწონილობა აღიარა. ბირთვულ ძალაზე დაფუძნებული ბიპოლარული სისტემის განხილვისას, არონმა აღნიშნა, რომ: „ბალანსის ყველაზე ზოგადი კანონი გამოიყენება, როდესაც მთავარ აქტორთა მიზანია არ იყვნენ დამოკიდებულნი მეტოქის წყალობაზე. თუმცა, როდესაც ორი დიდი სახელმწიფო თამაშობს, პატარა სახელმწიფოებს გაერთიანებითაც კი, არ შეუძლიათ ერთ-ერთი დიდი მოთამაშის დაბალანსება. ბალანსის პრინციპი კოალიციებს შორის ურთიერთობებში გამოიყენება, როდესაც თითოეული კოალიცია თამაშის ერთ-ერთი წამყვანის გარშემო ჩამოყალიბებული. თითოეული კოალიციის უმთავრესი მიზანია არ დაუშვას, რომ სხვას მასზე მეტი საშუალებები ჰქონდეს“ (Aron, 1984).

მადლენ გრავიცისა და ჯინ ლეკას მიერ გამოცემულ „ტრაქტატში პოლიტიკური მეცნიერების შესახებ“ (1985 წ.), სტენლი ჰოფმანი ასევე შეეცადა ტერორის წონასწორობის შედეგების გაანალიზებას. იგი აღნიშნავს, რომ დიპლომატიურ-სტრატეგიულ სისტემას „პირველ ყოვლისა, სისტემის ცენტრალურ და გლობალურ დონეზე სტაბილურობა ახასიათებს, მაგრამ ასევე არასტაბილურობაც ქვედა დონეებზე.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიპოლარული სტრუქტურა, რომელიც ორი „ძლიერი სახელმწიფოს“ ბირთვული ძალის პოტენციითაა განსაზღვრული, სისტემის მთავარ აქტორებს შორის პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, აღნიშნულს ხელი არ შეუშლია ამ სისტემის პერიფერიაზე ომების გაჩაღებისთვის. ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგი რეგიონულ ქვესისტემებადაა დანაწევრებული. ამ უკანასკნელთა ჩარჩოში, კონფლიქტებიდან თავის დაღწევა პირველ ყოვლისა, სამხედრო ძალთა ბალანსზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ბირთვული ბალანსის სტრატეგია ხელს არ უშლის რეგიონული ომების წარმოებას. თუკი ძლიერ სახელმწიფოებს ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო გზით ჩარევა არ შეუძლიათ, ანტაგონიზმების განვითარება ამ სახელმწიფოთა მიერ კრიზისების გაღვივებას მოიცავს *statu quo*-ს შეცვლის ნებისა და შესაბამისი გავლენის სფეროს მოპოვების მიზნით (ბერლინისა და კუბის კრიზისები), ან განვითარებად ქვეყნებში კონფლიქტური ურთიერთობების გავრცელების განზრახვას (1973 წლის ომი შუა აღმოსავლეთში). ბალანსის ამ სტრუქტურის ევოლუცია არამყარია. თავშეკავებულობა არაა უზრუნველყოფილი. ანტაგონისტური ამბიციების ფრუსტრაციამ „მოკლე ჩართვები“ და ისეთი პოლიტიკური კრიზისები შეიძლება გამოიწვიოს, რომლებიც პირდაპირ სამხედრო შეტაკებაში გადადის. რამდენადაც ტექნოლოგიურ ცვლილებებს ატომური ბომბების ზომების უკიდურეს შემცირებამდე, ვექტორების სულ უფრო მეტ დაზუსტებამდე მივყავართ, იქმნება ჩვეულებრივი ან ბირთვული შეზღუდული ომების გაჩაღების ცდუნება. თუმცა, ჩვენ შემდეგ თავს წინ ვუსწრებთ, რომელიც კონფლიქტების ანალიზს ეხება.

6.5. იერარქიების და იდეოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა

პოლიტიკური რეალიზმის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, ძლიერ სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის კონფიგურაცია არ შეიძლება იყოს საერთაშორისო სისტემის ერთადერთი სტრუქტურული მახასიათებელი. აქტორებს შორის არსებული იერარქია იმავე სისტემის შიგნით ამ სტრუქტურის სხვა განზომილებას გამოხატავს. მართლაც, სისტემები არათანაბარი გავლენის მქონე სახელმწიფოებისგანაა შემდგარი. ამგვარად, თავად სისტემის შიგნით რთული იერარქიები იჩენს თავს. მაგალითად, აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის ცივი ომის პერიოდში არსებული იერარქიები. მეორე მხრივ, ინსტიტუტები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სისტემების დინამიკაში. დაბოლოს, საერთაშორისო ურთიერთობები დიდი იდეოლოგიური და კულტურული განხეთქილებებითაა აღნიშნული, რომელთა მნიშვნელობას არონმა გაუსვა ხაზი. ერთი მსოფლმხედველობის მქონე აქტორთა მომცველი საერთაშორისო სისტემა არ განვითარდება იდეოლოგიური ანტაგონიზმებითა და განსხვავებული კულტურული კონცეფციებით გახლეჩილი სისტემის მსგავსად. ჰოფმანმა ანალოგიური შეხედულებები განავითარა და არონთან ერთად ამტკიცებდა, რომ ჰეტეროგენული სისტემები ძირითადად არასტაბილური და კონფლიქტურია. ეს განსხვავებული სტრუქტურული მახასიათებლები, – ძალთა ბალანსის კონფიგურაცია, იერარქია, ჰომოგენურობა და ჰეტეროგენულობა, ინსტიტუტები – შეიძლება მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით განვასხვაოთ. თუმცა, რეალობაში ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და სტრუქტურა ძნელად განსაცალკევებელ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და ინსტიტუციურ კომპონენტებს მოიცავს.

ორმოცი წლის განმავლობაში ცივმა ომმა ევროპა ორ მტრულ ბანაკად გაყო და საბოლოოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურა შექმნა. ეს ანტაგონიზმი ტრადიციულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესთა კონფლიქტებამდე არ დაიყვანება. ის პოლიტიკის სფეროს საფუძვლებსა და საბოლოო მიზანს შეეხო და თავისუფლების, სამართლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ანტაგონისტურ კონცეფციებში გამოიხატა. ამ მხრივ, ის სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკას შეეხო. ისტორიაში არაერთხელ ჰქონია ადგილი ძალზე მნიშვნელოვან საკითხებზე სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებას, რასაც მოწმობს XVI საუკუნის რელიგიური ომები, საფრანგეთის რევოლუციის, იმპერიის პერიოდის ომები და ეროვნებათშორისი კონფლიქტები XVIII საუკუნიდან. ანტაგონიზმმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მაშინვე მსოფლიო მასშტაბი მიიღო, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის ყველა ასპექტს შეეხო.

მიუხედავად ცივი ომის დასრულებისა, საერთაშორისო პოლიტიკა ყოველთვის ძლიერ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ არაერთგვაროვნებას ასახავს. სახელმწიფოებს არა აქვთ ანალოგიური რეჟიმები და მათი მთავრობები არ ეყრდნობიან სამართლის, მორალისა და ისტორიის მნიშვნელობის ერთნაირ ხედვას. ლათინური ამერიკის ან აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტების ბოლოდროინდელი წინსვლა ამ წინააღმდეგობათა შენიღბვას ცდილობს. გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება ძალზე პრობლემატურია იმ ქვეყნებში, რომლებმაც კოლექტივისტურ მოდელზე თქვეს უარი. ეთნიკური კონფლიქტების, აგრესიული ნაციონალიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღზევება ამ არაერთგვაროვნების ახალი გამოვლინებაა.

საერთაშორისო ასპარეზი ასევე მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ დისპროპორციას წარმოაჩენს, დიდი კეთილდღეობიდან უკიდურეს სიღარიბემდე. ის თავს იჩენს არა მხოლოდ სახელმწიფოების შედარებისას, არამედ თავად ეროვნული საზოგადოებების შიგნით და მთავრობებსა და ეთნიკურ ერთობებს შორის კონფლიქტებს ამძაფრებს, რომლებიც ერთმანეთს ეკონომიკური რესურსების გადანაწილებაში ეცილებიან; ეს დისპროპორცია საერთაშორისო პოლიტიკის განსხვავებულ კონცეფციებს განსაზღვრავს, რაც შეუძლებელს ხდის

აუცილებელი თანხმობის მინიმუმის არსებობას სტაბილური და ლეგიტიმური წესრიგის დასამყარებლად.

6.6. უოლცის ნეორეალიზმი

კ. უოლცი პოლიტიკური რეალიზმის განახლებას სისტემურ ანალიზზე დაყრდნობით შეეცადა. 1979 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „*Theory of International Politics*“ („საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“), რომელმაც აკადემიურ წრეებში დიდი დებატები გამოიწვია. უოლცი თავის ანალიზს იწყებს იმ სამი ძირითადი მახასიათებლის დეფინიციით, რომელიც მისი აზრით, პოლიტიკური სისტემისთვისაა დამახასიათებელი: სისტემის ორგანიზაციული პრინციპები, ფუნქციების დიფერენციაცია მის წევრებს შორის და ამ უკანასკნელთა კომპეტენციები. თუკი შიდა პოლიტიკურ სისტემებში ორგანიზაცია იერარქიულია, ინსტანციების ფუნქციები დიფერენცირებულია, კომპეტენციები კი დადგენილი, საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ორგანიზაცია ანარქიულია, სახელმწიფოთა შემადგენელი ერთობების ფუნქციები არადიფერენცირებულია, ხოლო მათი კომპეტენციები ძალზე არათანაბარია და ცვლილებებს ექვემდებარება. ამგვარად, უოლცს ტრადიციული თვალსაზრისის ხელახლა დამტკიცება შეუძლია: სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი საერთაშორისო სისტემას თავის მახასიათებლებს გადასცემს, რითაც ზღუდავს საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროებს და კრძალავს ნებისმიერ ხანგრძლივ ინტეგრაციას. სახელმწიფოები დამოუკიდებელი ფორმით ცდილობენ არადიფერენცირებული მიზნის განხორციელებას, – საკუთარი უსაფრთხოების დაცვას. თავიანთი ურთიერთქმედებით ისინი შემზღვეველ სტრუქტურას ქმნიან.

უოლცს კაპიტალისტური ბაზრის სტრუქტურასთან შედარება განმსაზღვრელად მიაჩნია. გადარჩენისთვის საწარმოებმა საკუთარი სტრატეგია უნდა შეიმუშავონ, რაც საბოლოო ჯამში შეუძლებელს ხდის კოლექტიური მოგების ოპტიმიზაციას. მათი შეჯიბრი „ანარქიულია“, რადგან მხოლოდ მოგების კანონს ემორჩილება, მაგრამ ორ აქტორს შორის მიმდინარე შეჯიბრში, რომელიც საკუთარ „რაციონალურ“ სტრატეგიას მიჰყვება, თავს იჩენს ამ ბაზრის ძირითადი საწარმოების, მათი შიდა ორგანიზაციისა და სპეციფიკური მიზნების მიმართ თანმიმდევრული და ინდეფერენტული სტრუქტურა. ასევე საერთაშორისო პოლიტიკაში, სახელმწიფოთა არაკოორდინირებული ქმედებიდან შექმნილი ბალანსი ხელს არ უწყობს შეთანხმებული პოლიტიკის განვითარებას. აქედან, ე. ი. სახელმწიფო აქტორთა შორის ინტერესთა კონფლიქტების დინამიკიდან მომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების პირობები. აქტორთა მახასიათებლებს, – რეჟიმების ბუნება, მმართველი ელიტების კონცეფციები – მათი ურთიერთქმედებიდან შექმნილ სტრუქტურაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მართლაც, დიდი მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფოთა იდეოლოგიურ ორიენტაციებსა და მიზნებს, რადგან სისტემის ანარქია შეუძლებელს ხდის საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, როგორი იმპერატიულიც არ უნდა იყოს ის. ამგვარად, ყველა სახელმწიფომ სამხედრო ხარჯები უნდა გაიღოს, მაშინაც კი, როდესაც ნაკლებად გონივრულია დიდი რაოდენობის არაპროდუქტიული რესურსების მობილიზება. თავდაცვის, ისევე როგორც ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სფეროში, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა სახელმწიფოებისგან იმგვარ ქმედებას მოითხოვს, რომელიც შეიძლება, ამ უკანასკნელთა საერთო ინტერესების საპირისპირო იყოს. ამიტომაც, სახელმწიფოები ვერ ახერხებენ ზოგიერთი გლობალური პრობლემის ერთად გაძლოლას, რომლებსაც ისინი პოლიტიკურ სფეროში აწყდებიან და თანამშრომლობასა და რესურსების გადანაწილებას მოითხოვს. აღნიშნული საერთაშორისო საჯარო სამართლისა და სამთავრობთშორისო ინსტიტუტების სისუსტეზე მიუთითებს.

სტრუქტურული შეზღვევების ანალიზი აქტორთა ქცევის გაგებისა და განჭვრეტის შესაძლებლობას იძლევა. აშკარაა, რომ ყველა სახელმწიფოს თანაბარი გავლენა არა აქვს

საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურული მახასიათებლების განსაზღვრაში. თუკი სახელმწიფოები ფორმალურად თანასწორნი არიან და ანალოგიური პოლიტიკური როლი უნდა შეასრულონ, ისინი ძალზე განსხვავდებიან ერთნაირი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობებით. ეკონომისტების მსგავსად, რომლებიც ბაზარს ძირითადი საწარმოების ურთიერთქმედებით განსაზღვრავენ (ოლიგოპოლური სტრუქტურა), უოლცი საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურას ძლიერ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებით და მათი ძალთა ბალანსიდან წარმოქმნილი კონფიგურაციით განმარტავს. ამგვარად, იგი ამტკიცებს ძლიერი სტრუქტურული შეზღუდვების არსებობას, რომლებიც სახელმწიფო აქტორთა დიპლომატიურ და სტრატეგიულ ავტონომიას ზღუდავს. მისი აზრით, აუცილებელი არაა კითხვა დავსვათ ძლიერ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე, ამ უკანასკნელთა მმართველი სფეროების ორიენტაციებზე, პოლიტიკური რეჟიმის ხასიათსა და საერთაშორისო კავშირებზე. ამ ფაქტორების განხილვა საერთაშორისო ურთიერთობების ასახსნელად „რედუქციონიზმის“ მახეში გაბმის საშიშროებას ქმნის, რომელიც დიურკჰაიმმა გააკრიტიკა. რედუქციონიზმი ყველაფრის განმარტებას ნაწილების მახასიათებლებით და არა შემზღუდველი სტრუქტურის ჩამოყალიბებით ცდილობს, რომელიც არაა ნაწილების ჯამის ტოლფასი და ის თითოეულ ნაწილზე ახდენს გავლენას. თუმცა, სახელმწიფოები ნათლად განსაზღვრულ პოლიტიკებსა და სტრატეგიებს მიჰყვებიან, რომელიც მათი პოზიციითაა განპირობებული სისტემური ურთიერთქმედებიდან წარმოქმნილ სტრუქტურაში. უოლცის აზრით, ცივი ომის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებაზე მხოლოდ ორი „ძლიერი სახელმწიფო“ დომინირებდა და გავლენას ახდენდა მის სტრუქტურაზე. ამგვარად, იგი უარყოფდა მულტიპოლარულობის ცნებას. ცვლილებებს ამ სახელმწიფოთა ძალთა ბალანსში ერთ დღეს სისტემის სტრუქტურის შეცვლა შეეძლო, მაგრამ არა მისი ხასიათისა, რომელიც განსხვავებული ინტერესების მქონე ძლიერი სახელმწიფოების არსებობაზეა დამყარებული. ამიტომაც, მისი აზრით, არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება მრავალპოლარულ ან ბიპოლარულ სისტემებს შორის, ამ უკანასკნელის ძალზე დიდი სტაბილურობის გარდა.

7. რეალიზმის კრიტიკა

თავისი ჩამოყალიბებისთანავე, პოლიტიკური რეალიზმი დომინირებდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში და დღესაც, მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, ის გავლენას ახდენს კვლევის ამ სფეროზე. როგორც ავლნიშნეთ, ეს ინტელექტუალური ჰეგემონია ტრადიციულ პირობებში დამკვიდრდა: 1930-იანი წლების კრიზისი, ფაშიზმის აღზევება, მიუნხენის შეთანხმება, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული მეორე მსოფლიო ომთან, შემდეგ კი ცივი ომის ანტაგონიზმები. ის ასევე პოლიტიკური მეცნიერების ტრადიციიდან მომდინარეობს, რომელიც ძალაუფლებასა და სოციალურ ინტეგრაციაზე მსჯელობისას სახელმწიფოს ცენტრალურ ადგილს უთმობს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ჰეგელის ფილოსოფიით შთაგონებული ფილოსოფიური მიმდინარეობების გავლენა, რომლებიც სახელმწიფოს ტრანსცენდენტური ხასიათის ისტორიულ მისიას ანიჭებდნენ. პოლიტიკური რეალიზმი ასევე აგრძელებს გეოპოლიტიკური კონცეფციების შემუშავებას, რომელთაც XIX საუკუნეში დიდი გავლენა იქონიეს ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე.

რამდენადაც ეს ანალიზი მხოლოდ სახელმწიფოთშორის კავშირებს ეხება, მისი აქსიომების დიდი ნაწილი აზრს მოკლებული არაა, კერძოდ, რაც შეეხება საერთაშორისო სივრცის ანარქიულ სპეციფიკურობას, მის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ არაერთგვაროვნებას, ინტეგრაციის სუსტ დონესა და საერთაშორისო თანამშრომლობის რეჟიმების დამფუძნებელი სამართლებრივი ურთიერთობების პრობლემატურ ხასიათს. ანარქია, რომელსაც პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლები საერთაშორისო ურთიერთობების

განსაზღვრის მიზნით მიმართავენ, არ უნდა იქნეს აღქმული ქაოტურ პოლიტიკურ რეალობად; ის ეფუძნება მოსაზრებას, რომლის თანახმად, კავშირები საერთაშორისო საზოგადოებებს აქტორებს შორის სუსტადაა რეგულირებული. ამ სფეროში ინსტიტუტები სუსტი და არამყარია, რადგან ძლიერი სახელმწიფოები საკუთარ ინტერესებს ან ჰეგემონიურ პოლიტიკას იცავენ და ნაკლებად არიან დაკავებულნი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით. თუკი ვაღიარებთ, რომ პოლიტიკის სფეროსთვის კონფლიქტია დამახასიათებელი, რადგან საქმე ეხება ღირებულებათა და ინტერესთა დაპირისპირებას, აქტორთა შორის შეჯიბრს იშვიათი რესურსების ხელში ჩასაგდებათ, იერარქიებსა და დომინანტობის კორელაციებს, რომლებიც სოციალურ ჯგუფებს შორის მყარდება, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ანტაგონიზმები უფრო მძაფრ ხასიათს საერთაშორისო პოლიტიკის ჩარჩოში იძენს, სახელმწიფოთა განვითარებაში არსებული განსხვავებების, სუვერენიტეტის პრეტენზიის, რეგულაციის ნორმებისა და სისტემების სიმყიფის გათვალისწინებით.

თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოთა მიზნებმა და ფუნქციებმა ევოლუცია განიცადა, ისევე როგორც დომინანტურმა იდეოლოგიურმა და დოქტრინალურმა კონცეფციებმა. პოლიტიკური რეალიზმის ანალიზის ძირითადი სისუსტე მთავრობების საგარეო პოლიტიკისთვის ერთმნიშვნელოვანი ორიენტაციის მიცემაში მდგომარეობს. გასაზიარებელია ის შეხედულება, რომ ამ უკანასკნელთ საკუთარ უსაფრთხოებაზე ბევრად კომპლექსური მიზნები აქვთ ანარქიულ გარემოში. მთავრობები შიდა პოლიტიკის შემთხვევითობებს ექვემდებარებიან, რომლებიც, უოლცის აზრისგან განსხვავებით, მათი სტრატეგიისა და დიპლომატიის ორიენტაციაზე ახდენენ გავლენას. სახელდობრ, ლეგიტიმურობის შესანარჩუნებლად, – ყოველ შემთხვევაში, ეს ამკარაა განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში, – მთავრობებმა თავიანთი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა უნდა უზრუნველყონ. როგორც შემდგომში ვნახავთ, ეს მიზანი მოითხოვს მათ მონაწილეობას საერთაშორისო თანამშრომლობის რეჟიმებთან და ზოგჯერ სუვერენიტეტის ნაწილის გადაცემასაც კი ზენაციონალური უფლებებით აღჭურვილი ინსტანციებისთვის. აბსურდულია იმის წარმოდგენა, რომ ყველა მთავრობა უსაფრთხოების ანალოგიურ პოლიტიკას ატარებს, რომ ძალისკენ სწრაფვა, ტერმინის ტრადიციული გაგებით, წამყვან სახელმწიფოთა მთავარი ან ერთადერთი პრიორიტეტია და მათი იდეოლოგიური და პოლიტიკური ორიენტაცია საყურადღებო არაა, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო სფეროში ძალთა ბალანსის კონფიგურაციის შესწავლას.

უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, პოლიტიკური რეალიზმის ნაკლი თეორიული ამბიციების გადაჭარბებასთანაა დაკავშირებული. ამას მოწმობს საერთაშორისო ურთიერთობების გლობალური ახსნის მცდელობა, რომელიც სახელმწიფო მართვის რაციონალურობის ერთმნიშვნელოვან ძიებამდეა დაყვანილი. ამ ლოგიკის გასათვალისწინებლად გამოყენებული კონცეფციები, როგორცაა ინტერესისა და ძალის კონცეფციები, უკვე ითქვა, რომ ევრისტიკულ ასპექტში არასაკმარისია. ამგვარი კონცეფციების პოლისემიური ასპექტი სწორედ სახელმწიფოთა ცვალებად ხასიათსა და პოლიტიკურ მიზნებს აღნიშნავს. თუკი შეუძლებელია ამ კონცეპტუალური ინსტრუმენტების მკაცრად განსაზღვრა გამოდის, რომ თეორიას სახელმწიფო აქტორთა ქცევის წინასწარ განჭვრეტა არ შეუძლია, რაც უხერხულობას ქმნის აღნიშნულ თემასთან გამოთქმულ პრეტენზიებთან მიმართებაში რეალისტების მხრიდან.

რეალისტების მიერ შემუშავებული სტრუქტურალიზმი ქმნის შესაძლებელი ინტერპრეტაციის ჩარჩოს. თუმცა, მისი თეორიული მნიშვნელობა შეზღუდულია. საბოლოო ჯამში, ის ზოგად მსჯელობამდეა დაყვანილი, ძლიერ სახელმწიფოთა შორის გარდაუვალ ბალანსსა და რამდენიმე მოსაზრებამდე მრავალპოლარულ და ბიპოლარულ სისტემებს შორის ფუნქციონირების განსხვავების თაობაზე. საერთაშორისო ურთიერთობებში ბალანსისკენ სწრაფვის ჰიპოთეზა ამკარად არაა აბსურდული, რადგან შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ ან აგრესიულ სახელმწიფოთა ჯგუფმა, დაპირისპირებული კოალიციების შექმნა გამოიწვიოს.

თუმცა, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კანონი თითქმის მექანიკურად მოქმედებს ნებისმიერ პირობებში. ერთი რამაა იმის მტკიცება, რომ ბალანსის პრინციპი ძლიერ სახელმწიფოთა მართვის მაქსიმალურ სხვა რამაა მასში უნივერსალური პოლიტიკური გრავიტაციის კანონის დანახვა. პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლების მსჯელობები ამ მიმართულებით ისტორიის მიერაა უარყოფილი და ამგვარად, ისინი უვარგისია. მართლაც, როგორც ენტონი გიდენსმა აღნიშნა თავის ნაშრომში „Nation-State and Violence“ („ერი-სახელმწიფო და ძალადობა“, 1985 წ.), ეს წონასწორობა, ობიექტურ ძალთა ბალანსის გამოხატვაზე მეტად, ძლიერ სახელმწიფოთა მიერ გატარებული პოლიტიკის გამართლებას წარმოადგენს. გარდა ამისა, ბალანსისკენ სწრაფვას არ ჰქონია მუდმივი ხასიათი: ნაპოლეონი, ბისმარკი, ვილჰელმ II, ჰიტლერი, სტალინი და რუზველტი პოლიტიკურ მიზნებს თავისებურად ანხორციელებდნენ და ეს არ იყო სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსის მიღწევასთან დაკავშირებული მიზნები. მეორე მსოფლიო ომმა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში რადიკალური ცვლილებები გამოიწვია. ამ ომმა ძალზე განსხვავებული წარსულის მქონე მსოფლიო მოიცვა. ამიტომაც, პრობლემატურია მისი გაგება იმ კონცეფციების საფუძველზე, რომლებსაც XIX საუკუნის ევროპის სახელმწიფო კანცელარიები ეყრდნობოდნენ. ნაკლებად მართებულია ცივი ომის პერიოდში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული ძალთა ბალანსის შედარება ვენის კონგრესის მიერ ჩამოყალიბებულ ძალთა ბალანსთან და ბიპოლარულობისა და მულტიპოლარულობის ცნებებში შექმნილ პოლიტიკურად და სტრატეგიულად ძალზედ განსხვავებული სამყაროს გაგება. მართლაც, ცივი ომის განმავლობაში „ბიპოლარული ბალანსი“ აშშ-სა და სსრკ-ს შორის ბირთვული მუქარის რეალობის გამომხატველ მეტაფორას წარმოადგენდა. ატომურ ტერორზე დამყარებული ეს სტრატეგიული ურთიერთობა კლასიკური ძალთა ბალანსის ფენომენამდე არ დაიყვანება.

ჰედლეი ბალი ნაშრომში „The Anarchical Society“ („ანარქიული საზოგადოება“, 1977 წ.) აღნიშნავს, რომ ძალთა ბალანსის კანონის ქმედითუნარიანობისთვის აუცილებელია სისტემის მთავარმა აქტორებმა მთელი რესურსები თავიანთი სტრატეგიული გავლენის მაქსიმიზაციისთვის გამოიყენონ. რეალობაში, მათ მშვენივრად შეუძლიათ სხვა მიზნების დასახვა, სახელდობრ, როგორც უკვე ვახსენეთ და ამას კვლავ დავუბრუნდებით, ეკონომიკური კეთილდღეობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალური ჰარმონიისკენ სწრაფვა. ბალი მართებულად აღნიშნავს, რომ რთულია სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსისთვის გვერდის ავლა, რადგან საერთაშორისო პოლიტიკა „მრავალ საჭადრაკო დაფაზე“ თამაშობს. ამიტომაც, დასაშვებია ძალთა ბალანსის პლურალიზმის არსებობა განსხვავებული, ცვალებადი და კომპლექსური პოლიტიკური რეალობების შესაბამისად. ჰოვმანი ასევე აღიარებს საერთაშორისო ურთიერთობების „ფუნქციონალური განზომილების“ მნიშვნელობას, რომელიც ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებულ მომგებიან თანამშრომლობას მოითხოვს.

უოლცი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ძლიერ სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსის კონფიგურაცია შესაძლებელს გახდიდა საერთაშორისო აქტორთა ქცევის წინასწარ განჭვრეტას. თუმცა, საერთაშორისო პოლიტიკასა და ბაზრის ფუნქციონირებას შორის მის მიერ გაკეთებული ანალოგია შეცდომაში შემყვანია. ეკონომიკაში, უტილიტარული პოსტულატი ეკონომეტრიული მოდელების აგების საშუალებას იძლევა, რომელიც რეალობის ზოგიერთ ასპექტს აშუქებს. ამის საპირისპიროდ, უტილიტარისტული ჰიპოთეზები, რომელთა იდეოლოგიური საფუძვლები საკამათოა, ძალზე ართულებს პოლიტიკური სფეროს გაგებას. მართლაც, ამ სფეროში ღირებულებების, ინტერესების, ამბიციებისა და მსოფლმხედველობების დიდი მრავალფეროვნება შეუძლებელს ხდის ერთადერთი რაციონალურობის არსებობის მტკიცებას. სახელმწიფოები ისახავენ მიზნებს, რომლებიც საწარმოთა მოგების ლოგიკამდე არ დაიყვანება. ამ მიზეზითაც სახელმწიფო აქტორთა რაციონალურ ქცევაზე დაფუძნებული ნებისმიერი თეორია საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკის განჭ-

ვრეტისთვის ნაკლებად გამოდგება. ერთი რამაა საგარეო პოლიტიკის ან სტრატეგიული ორიენტაციის გაგება ისტორიულ მიდგომაზე დაყრდნობით, მისი განსაკუთრებული რაციონალურობის *a posteriori* აღდგენისას, სხვა რამაა სახელმწიფოთშორისი ურთიერთქმედების თეორიის შემუშავება ეროვნული ინტერესების პოსტულატზე დაყრდნობით, რომელიც ანალოგიური, მაგრამ წინააღმდეგობრივი პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებდე დაიყვანება. შიდა პოლიტიკური ფაქტორების უგულვებელყოფით სისტემის სტრუქტურული მახასიათებლების ანალიზის დროს, ჩვენი პლანეტის იდეოლოგიური და კულტურული არაერთგვაროვნების იგნორირებით, ძლიერ სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსის ანალიზზე კონცენტრირებით, უოლცმა არაისტორიული მიდგომა შემოგვთავაზა. ეს მიდგომა ვერ ითვალისწინებს იმ ცვლილებებს, რომლებიც საბჭოთა იმპერიის დაშლას მოჰყვა ან რეჟიმის ცვლილებებს ძლიერ სახელმწიფოთა შიგნით. ამგვარად, ბიპოლარული სტრუქტურა თავის პერსპექტივაში გაგრძელდა.

დაბოლოს, რეალისტებს სხვა პოლიტიკურ აქტორთა როლის უგულვებელყოფის ტენდენცია ახასიათებდათ, სახელდობრ, სამთავრობათშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კომპანიების და პოლიტიკური მოძრაობების, რომლებიც რეგიონულ ან მსოფლიო დონეზე მოქმედებენ და იმავდროულად, გვერდს უვლიან ლეგიტიმურად აღიარებული მთავრობების პირდაპირ გავლენას. დიდი ხნის განმავლობაში ისინი მოდელად ძველი რეჟიმის სახელმწიფოს იყენებდნენ, ხშირად არ ითვალისწინებდნენ ამ რეჟიმის შიდა ცვლილებებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო იმ საბოლოო მიზნების ცვლილებებთან, რომლითაც საზოგადოებები საკუთარ მომავალს განსაზღვრავდნენ. სამრეწველო სახელმწიფოების ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების გამრავლება, პოლიტიკური ლეგიტიმურობის კონცეფციების ევოლუცია სამართლისა და სოციალური სამართლიანობის მიმართულებით განაპირობებს, როგორც ამ სახელმწიფოთა ბიუროკრატიული აპარატების გაზრდას, ისე ეროვნული საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულებას და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების სწრაფ განვითარებას. თანამედროვე სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ საზღვრების დაცვას, არამედ ზრუნავდეს სოციალურ უსაფრთხოებაზე. ეს პროექტი სიღრმისეულად ცვლის საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს, მით უმეტეს, რომ ტერორის იარაღი მეტწილად ამცირებს ომის მიზიდველობას, როგორც მმართველი სფეროების პოლიტიკური მიზნების განხორციელების ინსტრუმენტს.

თავი II

სახელმწიფოთშორისი კონფლიქტების კვლევა

ომი საერთაშორისო პოლიტიკის განმეორებადი ხასიათის ფენომენია. როგორც ავლნიშნეთ, პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლებისთვის ომი სახელმწიფოთშორისი კავშირების მუდმივი ვირტუალობაა, რადგან არ არსებობს ავტორიტეტი, რომელსაც კონფლიქტების გადაწყვეტისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის დამრღვევთა დასჯის უნარი აქვს. შესაძლებელია თუ არა ომების მიზეზების ახსნა და მათი განვითარების გაგება? თუკი ვაღიარებთ, რომ ომი პოლიტიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ის ნაწილობრივ არასამხედრო ფენომენებს ექვემდებარება, უარი უნდა ვთქვათ ომის ზოგადი თეორიის ძიებაზე, თუმცა, არა კონიუნქტურულ განმარტებებსა ან პარციალურ თეორიებზე, რომლებიც სპე-

ციფიკური კონფლიქტის საფუძვლებს განმარტავენ. საომარი კონფლიქტების თეორიზაციის მცდელობები, რომლებიც წინა პლანზე განმსაზღვრელ ცვლადს ან ცვლადების ერთობლიობას აყენებს, აბსტრაგირების პროცესზეა დაფუძნებული. ის სახელმწიფოთშორის სივრცეს სახელმწიფოთა შიდა წესრიგისგან განცალკევებულად განიხილავს. თუმცა, კონფლიქტების რეალობა მრავალგვარია და ამგვარი აბსტრაგირების ლოგიკას არ ემორჩილება. ამიტომაც, მარცხი განიცადა მთელმა ძალისხმევამ ისტორიული ანალიზიდან სოციოლოგიურ თეორიაზე გადასასვლელად, რომელიც საომარი კონფლიქტების საერთო მიზეზების განსაზღვრას შეძლებდა, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ამ მიდგომებზე დაყრდნობა ზოგიერთი კონცეპტუალური ორიენტაციის გამოსააშკარავებლად თუმცა, ნაწილობრივ, რადგან არ არსებობს სისტემური თეორია, რომელსაც ომების განმეორებადობის განმარტება შეუძლია.

1. ენალიზის დონე

პოლიტიკური რეალიზმის პარადიგმა განეკუთვნება ობიექტს, სახელმწიფოს, სახელმწიფოთშორის ურთიერთქმედებას და ასევე პრივილეგირებულ სფეროს, პოტენციურ ან რეალურ სახელმწიფოთშორის კონფლიქტებს. თუმცა, ამ სფეროს განხილვა თავად ობიექტის წარდგენის შესაბამისად იცვლება. მართლაც, სახელმწიფო სხვადასხვა დონეზე შეიძლება იქნეს აღქმული. ანალიზის დონე შეიძლება იყოს მიკროანალიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთათვის გადაწყვეტი როლის მიკუთვნებით და კონფლიქტების ანალიზში მათი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით; მეზოანალიტიკური, რომელიც უპირატესობას ინსტიტუციურ და ბიუროკრატიულ შეზღუდვებს ანიჭებს, ისევე როგორც პოლიტიკურ რეჟიმებს; და ასევე მაკროანალიტიკური, იმ სტრუქტურების მნიშვნელობის ხაზგასმით, რომლებიც მთავარ საერთაშორისო აქტორებს შორის ურთიერთქმედებიდან მომდინარეობენ.

1.1. გადაწყვეტილების მიმღებთა როლი

კრიზისებზე ფოკუსირებული სამთავრობო გადაწყვეტილების მიღების პროცესების ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის პრივილეგირებული სფეროა, რადგან ის პოლიტიკურ მმართველთა ქცევას ააშკარავებს პოლიტიკასა და სტრატეგიას, დიპლომატიასა და ომს შორის არსებულ ბუნდოვან ზონაში. ზოგიერთი პოლიტიკოსის ფიგურა ხშირად გადაწყვეტ როლს თამაშობს ომის გაჩაღებასა და განვითარებაში. ნაპოლეონმა ევროპის განვითარებას ღრმა კვალი დაამჩნია, ჰიტლერმა დაგეგმა და განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება და ებრაელი მოსახლეობის განადგურება, ისევე როგორც სხვა უმცირესობათა ჯგუფებისა. ჩერჩილმა, სტალინმა და რუზველტმა უდავოდ დიდი გავლენა იქონიეს მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელოვან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. უახლოეს წარსულში, სადამ ჰუსეინმა გადაწყვეტი როლი ითამაშა ერაყის საომარ სტრატეგიაში. მილოშევიჩს პასუხისმგებლობის დიდი წილი აკისრია იუგოსლავიაში სამოქალაქო ომის დაწყებასა და გაგრძელებაში. ამგვარ სიტუაციებში მთავრობების არჩევანი საბოლოო ჯამში ინდივიდუალური გადაწყვეტილებებიდან მომდინარეობს, ე. ი. მმართველი სფეროებიდან, რომელიც ამგვარად, სახელმწიფო აქტორის იდეალურ ტიპს გარკვეულ დამაჯერებლობას ანიჭებს. შესაძლებელია თუ არა გავცდეთ ზოგად შეხედულებებს პიროვნების როლზე ისტორიაში და სახელმწიფო მოღვაწეთა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში ვიპოვოთ ზოგიერთი საერთაშორისო კონფლიქტის ახსნა?

კვლევის პირველი ეტაპი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარ აქტორთა განსაზღვრაში მდგომარეობს, შემდეგ კი ამ უკანასკნელთა შესაბამისი როლის შემოფარგლავში. კრიზისული სიტუაციების დროს „გადაწყვეტილების მიმღებნი“ ცოტანი არიან. სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურებს მრჩეველეთა კორპუსი ჰყავთ. პრინციპში, ეს უკანასკნელნი

ძირითადად მაღალი მმართველი წრეებიდან არიან გამოსულნი: თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრები, ჯარებისა და დაზვერვის სამსახურების მეთაურები. აშშ-ში 1947 წლიდან პრეზიდენტებს შეუძლიათ ეროვნული უშიშროების საბჭოზე დაყრდნობა, რომელიც სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებული ორგანოების მთავარი პასუხისმგებელი პირებისგანაა შემდგარი. ამერიკის საგარეო პოლიტიკის პასუხისმგებელ პირთა როლის გამოყოფის შემდეგ, მკვლევარი ამ უკანასკნელთა მსოფლმხედველობის, ისტორიული და სოციალური გამოცდილების აღდგენას ცდილობს, რომელმაც ამ მხრივ, მათ კონცეფციებზე იქონია გავლენა და ასევე იმ შემთხვევითი ფაქტორებისა, რომლებმაც გადაწყვეტილების მიღება განაპირობეს. თუმცა, პოლიტიკოსთა ფსიქოლოგიური პროფილის გამოვლენის მცდელობები მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაგებად, ამ უკანასკნელთა გარკვეულწილად განსაჭვრეტად, შემთხვევით ხასიათს ატარებს. ხასიათის ტიპოლოგიებზე დაფუძნებული მიდგომები ნაკლებად გამოსაყენებელია, რადგან პიროვნების მოღვაწეობის ზედმეტად სტერეოტიპულ ანალიზს გვთავაზობს.

1.2. სახელმწიფო მოღვაწეთა ფსიქოლოგია

პრინციპში, უფრო ნაყოფიერი იქნება ფსიქოანალიტიკური ხასიათის მიდგომებზე დაყრდნობა. ჰაროლდ ლასველი ამ ტიპის კვლევას 1930-იან წლებში შეუდგა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციოლოგიური კუთხით, თეოდორ ადორნო და მკვლევართა ჯგუფი ფაშიზმისა და რასიზმისადმი მიდრეკილ ინდივიდთა პროფილის გაანალიზებას და ანტისემიტიზმისა და ზოგიერთი აგრესიული ქცევის („ავტორიტარული პიროვნება“, 1950 წ.) ხასიათის ახსნას შეეცადა. თუმცა, ყველაზე ელემენტარული ბიოგრაფიული მონაცემები ჩვეულებრივ, არასაკმარისია, როდესაც საქმე პოლიტიკოსის პიროვნების ემოციური განვითარების წარმოდგენას ეხება. ამ მხრივ, ბიოგრაფიების უმრავლესობა ძალზე მწირია და ავტორების მიერ სახელმწიფო მოღვაწეთა ბავშობასა და ახალგაზრდობაზე მოპოვებული მასალები ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით ზუსტ განმარტებას არ იძლევა. ფსიქობიოგრაფთა ინტერპრეტაციები არ შეიძლება დადასტურდეს შესასწავლი პიროვნების პასუხებით, რაც ამ ინტერპრეტაციების მნიშვნელობას ამცირებს. შეუცნობადის მუდმივად ცვალებადი გამოვლინებები აიძულებს მას, ვინც ფსიქოანალიტიკურ მიდგომას მიმართავს, დამტკიცებისთვის ძალზე კომპლექსური პროცედურები გამოიყენოს.

სახელმწიფო მოღვაწეთა შემთხვევაში, რთულია მათი პიროვნების იმ როლისგან გამოყოფა, რომელიც მათზე დაკისრებულ სახელმწიფო ფუნქციასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, სახელმწიფო მოღვაწეთა სპეციფიკურ თემებთან დაკავშირებული დისკურსების ანალიზი, მათთვის დამახასიათებელი მეტაფორებისა და ასოციაციების კვლევა, ყოველთვის არაა მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, რადგან სტილის ამგვარი წარმოდგენები შეიძლება სოციალური დაკვეთით იყოს ნაკარნახევი, ე. ი. შესაბამისი პოლიტიკური მოთხოვნებით. პოლიტიკოსის რასიზმი, ქსენოფობია ან ეთნონაციონალიზმი, როგორც მის ფსიქიკურ სისუსტეს, ისე საარჩევნო ამბიციებს შეიძლება შეესაბამებოდეს. ამ მხრივ, საინტერესოა მილოშევიჩის შემთხვევა. ბავშვობაში მას აშკარად აკლდა მზრუნველობა, თუკი მისი მშობლების თვითმკვლელობას გავითვალისწინებთ. ამავე დროს, მისმა ეთნონაციონალიზმმა მხოლოდ მაშინ იჩინა თავი, როდესაც გადაწყვიტა, რომ მისი მეშვეობით სერბეთში ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაბმას შეძლებდა.

ფსიქოანალიზი გვიჩვენებს, რომ ბარიერები ნორმალურსა და პათოლოგიურს შორის ბუნდოვანია, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესის განმარტებას ართულებს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჯეიმს ფორესტალის თვითმკვლელობა 1949 წელს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის შემთხვევა მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით დაავადების ფაქტია, რომელიც ამ პიროვნების იდეოლოგიური პროექტისა და პოლიტიკური ქცევის

ზოგიერთ ასპექტს განმარტავს. თავის ნაშრომში „*Victim of Duty. A Study of James Forrestal*“ („სამსახურებრივი მოვალეობის მსხვერპლი. ჯეიმს ფორესტალის შემთხვევა,“ 1966 წ.), არნოლდ როგოვა გვიჩვენა კავშირი ფორესტალის ფსიქიკურ სიმყიფესა და მის ანტიკომუნისტური შეხედულებების სიმტკიცეს შორის. ამ პიროვნების პირადი დაუცველობა, რომელიც ბავშვობის ასაკში მზრუნველობის ნაკლებობის შედეგი იყო, დაჟინებული შრომის ჩვევასა და ურთიერთობების დამყარების პრობლემებში გამოიხატა. ჯ. ფორესტალის ამგვარი თვისებები ნაწილობრივ განმარტავს იმ შეურიგებელ პოზიციებს, რომელიც მას ცივი ომის დროს ეკავა. თუმცა, ერთი განადგურებული ადამიანის პათოლოგიური სიმპტომები არ განსაზღვრავს პოლიტიკურ კარიერას მთლიანობაში, რასაც როგოვი შესანიშნავად მიხვდა, როდესაც უარი თქვა მარტივ კორელაციაზე ფორესტალის ავადმყოფობასა და მის პოლიტიკურ პოზიციებს შორის. თავდაცვის მინისტრს არ დაუკავებია იმგვარი პოზიცია, რომელიც მის ფსიქიკურ აშლილობას აშკარად გამოხატავდა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდს, როდესაც ავადმყოფობის სიმპტომები თვალშისაცემი გახდა. მეორე მაგალითია ჩერჩილის შემთხვევა. იგი ეპიზოდურად დეპრესიის პერიოდებს განიცდიდა, რომელსაც „თავის შავ ძალს“ უწოდებდა. ვის არ განუცდია ამგვარი რამ და ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრივით ნიჭიერი პიროვნება არ ყოფილა! თავისი კარიერის მანძილზე სტალინი აშკარა პარანოიდურ ნიშნებს ავლენდა, რომლის საფუძველიც უცნობი რჩება. თუმცა, ამ თვისებებმა გადაწყვეტი გავლენა იქონია, როგორც საბჭოთა რეჟიმის ორიენტაციაზე, ისე ცივი ომის საფუძველებზე. ამავე დროს, სტალინმა მრავლჯერ გამოავლინა დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული გონიერება, რაც დასავლეთის ბევრმა დიპლომატმა და პოლიტიკოსმა დაადასტურა.

რობერტ ჯერვისი ნაშრომში „*Perception and Misperception in International Politics*“ („საერთაშორისო პოლიტიკის მართებული და მცდარი აღქმა,“ 1976 წ.), შეეცადა გამოეყო ის კოგნიტიური ფაქტორები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ახდენენ გავლენას. მისი აზრით, „გადაწყვეტილების მიმღებნი“ სწავლობენ და განკარგავენ ინფორმაციას, რომელსაც ისინი მეტ-ნაკლებად შემუშავებული ნორმატიული ჩარჩოს შესაბამისად იღებენ, მათ მიერ გარე სამყაროს აღქმას წარმართავს. ამგვარად, ისინი ცდილობენ ინფორმაციის იმ ელემენტის უგულვებელყოფას, რომელიც მათ ღირებულებათა სისტემას არ შეესაბამება. და ამ კოგნიტიურ ფაქტორს საგარეო პოლიტიკის კონსტანტის განმარტება შეუძლია, – მმართველი სფეროები შედარებით სტაბილური ნორმატიული ჩარჩოების შესაბამისად მოქმედებენ. ეს ფაქტორი ასევე განმარტავს ზოგიერთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიწოდებული ინფორმაციის საპირისპიროდაა მიღებული. მაგალითად, 1941 წელს პერლ ჰარბორის ბაზის მეთაური გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა, რომელიც მას ფატალურ შეტევამდე ფლოტის დისლოკაციის შეცვლის შესაძლებლობას კარნახობდა. მაგრამ მეთაურმა ეს ინფორმაცია გაიგო, როგორც იაპონიის შეტევის ნიშანი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის ბაზებზე.

1.3. ინსტიტუციური შეზღუდვები

გადაწყვეტილების მიღების შესწავლისას ასევე გასაანალიზებელია ინდივიდის როლი მის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ კონტექსტში. სახელმწიფო დონისთვის უპირატესობის მინიჭებით ომების განმარტებაში, მკვლევარი შეიძლება შიდა გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამოყოფას შეეცადოს ან იმ როლისას, რომელსაც პოლიტიკური რეჟიმი ომებში ან საერთაშორისო კრიზისებში ასრულებს. ცივი ომის განმავლობაში ამერიკის ადმინისტრაციის შიგნით სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესებმა სხვადასხვა თეორიული განმარტებები წარმოშვა. თანამედროვე სახელმწიფოები ადმინისტრაციების კონგლომერატია, რომელიც საკუთარი პროცედურების მიხედვით მოქმედებს და ხშირად,

დამოუკიდებელი ფორმით. ეჭვგარეშეა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესებს შეიძლება სიმედიე ახასიათებდეს იმ ორგანოთა მრავალფეროვნების გამო, რომელთაც საგარეო პოლიტიკის საკითხები ეხება. ამ ორგანოთა ფუნქციონირების ფორმა, ნაწილობრივ მაღალი პასუხისმგებელი პირების არჩევანს განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი კონფლიქტური სიტუაციის სურათს აყალიბებენ და იმ არჩევანს განსაზღვრავენ, რომელიც შეიძლება აღნიშნულ ორგანოთა მეშვეობით მიიღონ. ნებისმიერი ბიუროკრატის მსგავსად, ადმინისტრაციები რუტინული ხასიათისაა. ამიტომაც, დიპლომატიის ან სტრატეგიის არათანმიმდევრობა ხშირად იმ ინერციის შედეგია, რომელიც მთავრობის მაღალ პასუხისმგებელ პირთა მიერ დასახული წინააღმდეგობრივი მიზნებიდან მომდინარეობს. შუა აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის გაანალიზებისას პირველი მსოფლიო ომის დროს, – პერიოდი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ რეგიონის განვითარებაში XX საუკუნეში – შეუძლებელია გაკვირვება არ გამოიწვიოს საგარეო საქმეთა (Foreign Office) სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა (War Office) და ინდოეთისა (Indian Office) და კოლონიების (Colonial Office) საქმეებით დაკავებულ სამინისტროებს შორის წინააღმდეგობრივი სტრატეგიის არსებობამ. დღეისათვის, ყველა მთავრობა სირთულეს განიცდის მის წარმომადგენელთა მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ან მრავალმხრივი მოლაპარაკებების ჩარჩოში დაკავებული პოზიციების კოორდინირების დროს. კოორდინაციის ეს პრობლემები და ბიუროკრატული ფუნქციონირების ფორმების მრავალფეროვნება კრიზისულ სიტუაციებში მძაფრდება.

გრაჰამ ალისონი თავის კლასიკურ კვლევაში კუბის კრიზის შესახებ სახელწოდებით „*The Essence of Decision*“ („გადაწყვეტილების არსი“, 1971 წ.), საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის სამ განმარტებით მოდელს გვთავაზობს: რაციონალური აქტორი, რომელიც პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციას შეესაბამება. ამ უკანასკნელის თანახმად, მთავრობების ქმედება ერთი ინსტანციის მიერ გაკეთებული არჩევანიდან მომდინარეობს „ეროვნული ინტერესის“ შეფასების შესაბამისად; ორგანიზაციული პროცესი, რომელიც კომპლექსური ორგანიზაციების თეორიას იყენებს იმის საჩვენებლად თუ რა გავლენას ახდენს ბიუროკრატული ფენომენი გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე; სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად დამოკიდებულია ეს პროცესები გარიგებებსა და კომპრომისებზე სამთავრობო პასუხისმგებელ ინსტანციებს შორის. ალისონი აღნიშნავს პირველი მოდელის არასაკმარისობას საგარეო პოლიტიკაში ზოგიერთი გადაწყვეტილების ასახსნელად. იგი მიიჩნევს, რომ საჭიროა მისი შევსება სხვა მოდელებით. მეორე მოდელში, სამთავრობო გადაწყვეტილებები განხილულია, როგორც ცუდად კოორდინირებული და ხშირად შეჯიბრში მყოფი ორგანიზაციების შედეგი. კრიზისის პირისპირ, ამ ორგანიზაციებმა ინფორმაციები უნდა მიაწოდონ, წინა ანალოგიურ სიტუაციაში უკვე გაკეთებული კვლევები და ქმედებები შესთავაზონ. მათთვის ძნელია ახლის შემოტანა. აღნიშნულ ორგანიზაციებს ასევე აქვთ თავიანთი ბიუროკრატული პრიორიტეტების, რუტინული პროცედურებისა და ოპერაციების შესაბამისად მოქმედების ტენდენცია. ეს განსაკუთრებით აშკარაა გენერალური შტაბების პრაქტიკაში. კუბის კრიზისის დროს, საბჭოთა რაკეტების განლაგება წინააღმდეგობრივი ფორმებით ხორციელდებოდა: ბალისტიკური რაკეტები საიდუმლოდ იქნა ტრანსპორტირებული მაშინ, როდესაც კუნძულზე რაკეტების გამშვები პოზიციები არ იყო კამუფლირებული და დაცული. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ რაკეტების განთავსების სხვადასხვა ეტაპები განსხვავებულ ორგანოებს ჰქონდა მინდობილი. ამერიკის მხრიდან, კენედის მიერ მიღებული ბლოკადის გადაწყვეტილება განპირობებული იყო ცენტრალური სადაზვერო სამსახურისა და საჰაერო ძალების მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე სამხედრო სიტუაციასა და საბჭოთა კავშირის მხრიდან შესაძლო დარტყმის შესახებ. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ ორგანოების მიერ გათვალისწინებული სცენარები არ იყო ადაპტირებული ამგვარი კრიზისის სპეციფიკურ პირობებთან. გადაწყვეტილების პროცესებზე მოქმედებს არა მხოლოდ რუტინული ბიუროკრატია, არამედ ასევე ღია თუ შენიღბული ფორმით

არსებული პოლიტიკური შეჯიბრი მთავრობის მთავარ პასუხისმგებელ პირებს შორის. აღნიშნული სწორედ მესამე მოდელის გაგებას აიოლებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზნების არჩევანი და მათი მიღწევის საშუალებები რაციონალური ანალიზის ლოგიკას არ მიჰყვება. ამ არჩევანზე მუდმივ გავლენას ახდენს შიდა პოლიტიკური მოტივები, დაპირისპირებები ზეწოლის ჯგუფებს შორის და მეტოქეობა მაღალ პასუხისმგებელ პირებს შორის.

1.4. შიდა პოლიტიკური რეჟიმები

აშშ-ში ჩატარებულ კვლევებში არსებობდა კორელაციების ჩამოყალიბების მცდელობა სახელმწიფო აქტორის ზოგიერთ მახასიათებელს შორის, მაგალითად, მისი შიდა რეჟიმის სტაბილურობასა და აგრესიისკენ მიდრეკილებას შორის. ასევე გათვალისწინებული იქნა უფრო განსხვავებული ცვლადები, როგორცაა აგრესიული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დონე ან მისი დემოგრაფიული მრუდი. სახელმწიფოს მახასიათებლებსა და მის მიერ ომის დაწყებას შორის კორელაციების ჩვენებით, უცილობლად არ დგინდება მოცემული კონფლიქტის, და კიდევ უფრო ნაკლებად, სხვა ანალოგიური ძალადობის სიტუაციების მიზეზები. შესაძლებელია აღნიშნული ტიპის კორელაციის მრავალი შემთხვევის მოყვანა თანმიმდევრული თეორიის ჩამოყალიბების მიუღწევლად. გარდა ამისა, კონფლიქტის გაჩაღებასთან დაკავშირებული ფაქტორების ჩამონათვალი ყოველთვის არ იძლევა მათი ურთიერთკავშირისა და შესაბამისი გავლენის გაგების შესაძლებლობას მოცემულ ისტორიულ სიტუაციაში. ამავე დროს, ომის გაჩაღებაში გადამწყვეტი ფაქტორების ჩამონათვალის შემოთავაზებით შესაძლებელია სფეციფიკური კონფლიქტის თეორიის ჩამოყალიბება, მაგრამ არა ომების თეორიისა.

შიდა პოლიტიკურ რეჟიმებზე ორიენტირებული ზოგიერთი კვლევა ლიბერალური აზროვნების აქსიომას ემყარება: სამართლებრივი სახელმწიფოსა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების დამცველი კონსტიტუციური რეჟიმები დიქტატურებზე ნაკლებად არიან ომისკენ მიდრეკილნი. უახლოეს წარსულში, ბევრი ამერიკელი მკვლევარი დემოკრატიასა და მშვიდობას შორის კავშირების არსებობის ჩვენებას შეეცადა. ამისათვის ისინი იყენებდნენ კანტის ნაშრომის „მარადიული მშვიდობის“ მთავარ პრინციპს. XIX საუკუნიდან არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ეს მკვლევრები ამტკიცებენ, რომ დემოკრატიები ერთმანეთთან არ ომობენ ან ამას ძალზე იშვიათად აკეთებენ (Russett, 1993). დემოკრატიული რეჟიმების განვითარება და გაძლიერება საერთაშორისო სისტემის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული პრინციპი განმარტებას მოითხოვს. თავის ნაშრომში „მარადიული მშვიდობის პროექტი“ (1796 წ.) კანტი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოები, რომლებშიც ომის დასაწყებად მოქალაქეთა თანხმობის მიღება იყო აუცილებელი არ იყვნენ აგრესიულები: „განა ომის გამოცხადება არ ნიშნავს მოქალაქეების მიერ ომის ყველა უბედურების საკუთარი თავისთვის გამოცხადებას; პირადად ბრძოლაში ჩაბმას; საკუთარი სახსრებით ომის საჭიროებათა მომარაგებას; ომით გამოწვეული გაჩანაგების რთულად გამოსწორებას. და უბედურებათა უმძიმესი შედეგის, სახელმწიფო ვალის გადახდის მძიმე ტვირთის აღებას.“ აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ასკვნის, რომ მოქალაქეები თავს შეიკავებენ „ამგვარი სარისკო წამოწყებისგან.“ რუსეტის აზრით, „დემოკრატიული მშვიდობის“ ფენომენი ნორმებსა და ინსტიტუტებს ეფუძნება. დემოკრატიებს აქვთ ღირებულებათა სისტემები და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს საპირისპირო ინტერესების მატარებელ ჯგუფებს შორის კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. მართლაც, ხშირად ავტორიტარულ სახელმწიფოებს აგრესიული ნაციონალისტური პროექტები აქვთ შიდა ერთიანობის გაძლიერებისა და საკუთარი რეჟიმის გავლენის გასამყარებლად. 1982 წელს არგენტინის ხუნტა ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომში ჩაება ეკონომიკური მარცხისა და შიდა დაპირისპი-

რებების შესანიღბავად. შუა აღმოსავლეთში, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ლოგიკით მიმდინარეობდა. თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოების შიგნით არსებობენ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალები, რომლებიც პირდაპირ არიან დაინტერესებულნი გამაღებულ შეიარაღებაში და სხვადასხვა ფორმით მხარს უჭერენ აგრესიული საგარეო პოლიტიკის ორიენტაციას. გარდა ამისა, დასავლეთის დემოკრატიების საზოგადოებრივი აზრი საკუთარი მთავრობისა და მედიის პროპაგანდის გავლენის ქვეშ იმყოფება. ემპირიულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები, – განსაკუთრებით, საბაზრო ეკონომიკის მქონე სამრეწველო ქვეყნები – ერთმანეთთან ომს არ აწარმოებენ. თუმცა, ისინი ომს სხვა რეჟიმების წინააღმდეგ აჩაღებენ, რომელთა მიმართაც ეს სახელმწიფოები მშვიდობიანებად აღარ გამოიყურებიან. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ცივი ომის პერიოდში, ამერიკის მმართველმა წრეებმა თავიანთი ქვეყანა დიდი მასშტაბის ექვს ომსა და ოცამდე სამხედრო ინტერვენციაში ჩააბეს. ამგვარი ქმედებები, რომელთა შორისაც ზოგიერთი დიდი ძალადობით გამოირჩეოდა, დემოკრატიული მშვიდობის ჰიპოთეზას ძალას აკარგვინებს.

1.5. საერთაშორისო სტრუქტურები

ომების ანალიზს მთავარ საერთაშორისო აქტორთა ურთიერთქმედებით შექმნილი სტრუქტურის გათვალისწინება შეუძლია. ესაა სისტემურ ანალიზზე დამყარებული მიდგომა, რომელიც ჩვენ უკვე ვახსენეთ. მკვლევარი ითვალისწინებს ძლიერ სახელმწიფოთა რაოდენობას, მათ სამხედრო ძალთა ბალანსს, სამხედრო ტექნოლოგიების ხასიათს განსხვავებული ბიპოლარული ან მულტიპოლარული სტრუქტურების როლის გასაგებად საერთაშორისო კონფლიქტების საფუძველსა და ხასიათში. რობერტ გილპინი ნაშრომში „*War and Change in World Politics*“ („ომი და ცვლილება მსოფლიო პოლიტიკაში“, 1981 წ.) ამტკიცებს, რომ ომი ხშირად საერთაშორისო სისტემის შიგნით ბალანსის დარღვევის შედეგია. მისი აზრით, ომი ჰეგემონი სახელმწიფოების აღმავლობისა და დაღმასვლის გამოხატულებაა. ძლიერ სახელმწიფოთა მიერ საკუთარი ჰეგემონიის დასამყარებლად წამოწყებული შეიარაღებული კონფლიქტები დისბალანსს ავლენს სისტემის მართვასა და ამ უკანასკნელის შიგნით ძალთა ბალანსის ეფექტურ განაწილებას შორის. ამგვარ კონფლიქტებს განუსაზღვრელი დროით გაგრძელების ტენდენცია აქვს, რადგან ისინი დიდ ტერიტორიულ და პოლიტიკურ მიზნებს მოიცავენ, რასაც უკანასკნელი ორი მსოფლიო ომის მაგალითი ცხადყოფს.

ამგვარად, სისტემური მიდგომა ომების საფუძველს საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაში ეძებს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა განპირობებულია (განსაზღვრულიც კი) ძლიერ სახელმწიფოთა შორის მყიფე ბალანსით, რომელმაც შეიძლება მულტიპოლარული ფორმა მიიღოს როგორც ამას ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის „ერთიანი ევროპის“ დროს ან ბიპოლარული, როგორც აშშ-სა და სსრკ-ს შორის ცივი ომის პერიოდში. მართლაც, ძლიერ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა დაპირისპირებიდან ყალიბდება შედარებით ხისტი სტრუქტურების ამსახველი წონასწორობა, რომელიც პირველ ყოვლისა, სამხედრო ძალთა ბალანსის კონფიგურაციითაა განსაზღვრული. კენეტ უოლცი ნაშრომში „*Theory of International Politics*“ („საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, 1979 წ.) ამტკიცებს, რომ მულტიპოლარული სისტემები ბიპოლარულ კონფიგურაციებზე უფრო მყიფეა, რაც განმარტავს XVII საუკუნიდან საერთაშორისო ომების განმეორებადობას. დიდი ხნის განმავლობაში ევროპა მულტიპოლარული სტრუქტურით ხასიათდებოდა, რომელიც ძლიერ სახელმწიფოთა ურთიერთდაბალანსების ძალისხმევით იყო განპირობებული. დიდი ბრიტანეთი კონტინენტზე ამ სტრატეგიას სისტემატურად ანხორციელებდა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ კავშირში გაერთიანებით, რომელსაც *statu quo*-ს შეცვლის მცდელობა ჰქონდა. აშშ-სა და სსრკ-ს შორის დაპირისპირება ბიპოლარულ ბალანსში გადავიდა, რომელსაც მას-

ტაბილიზებული როლი ჰქონდა. თუმცა, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით სისტემის ეს სტაბილურობა უფრო მეტად გამომდინარეობდა ბიპოლარული სტრუქტურიდან თუ ის ბირთვული მუქარით იყო განპირობებული.

1.6. კორელაციური ანალიზი

1960-იანი წლების დასაწყისში დევიდ სინგერი დიდი მასშტაბის კვლევითი პროექტის განხორციელებას შეუდგა განხილვისთვის მისაწვდომი კორელაციების ემპირიულად გასაანალიზებლად 1815 წლიდან გაჩაღებულ ომებსა და ისეთ მახასიათებლებს შორის, როგორცაა ალიანსების სისტემები, კონფლიქტებში ჩართული სახელმწიფოების დიპლომატიური ურთიერთობები, საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა ან ამ კონფლიქტებში ჩართული წამყვანი სახელმწიფოების დემოგრაფიული, ეკონომიკური და სამხედრო რესურსები. თუმცა, კორელაციები თავისთავად განმარტებას არ წარმოადგენს. ამ კვლევაში უპირატესად ინდუქციურმა ანალიზმა მხოლოდ იმ განზოგადობამდე შეიძლება მიგვიყვანოს, რომელიც ეყრდნობა ჰიპოთეზას: ის რაც ერთნაირი ხასიათის მრავალ საგანს მიესადაგება, სხვა ერთნაირი ხასიათის ყველა საგანს უნდა მიესადაგოს. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ ეს ხანგრძლივი კვლევა, რომლის შედეგები რეზუმირებული იქნა „Nations at War“-ში („ერები ომში“, 1998 წ.), მხოლოდ მოკრძალებულ დასკვნებამდე მივიდა: ომების უმრავლესობა გაზაფხულზე ან შემოდგომაზე დაიწყო; სახელმწიფოებს, რომელთაც საერთო საზღვრები აქვთ ერთმანეთთან ომის დაწყების სხვებზე მეტი შანსი აქვთ; სახელმწიფოები, რომლებშიც შიდა არეულობებია ომს ხშირად მიმართავენ; ომის დაწყება უფრო მეტად სავარაუდოა, როდესაც სისტემა ძალზე პოლარიზებულია ან ძალზე სუსტადაა პოლარიზებული; გაერთიანების შედეგად ან აგრესიულ სახელმწიფოსთან საერთო საზღვრის ქონის შემთხვევაში, ძლიერ სახელმწიფოებს ომში ჩართვის დიდი შანსები აქვთ.

ამ თვალსაზრისის გაგრძელებით, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების ეპიფენომენებზეა დამყარებული, ზოგიერთი ამერიკელი პოლიტოლოგი კორელაციის ჩამოყალიბებას შეეცადა საერთაშორისო სისტემის პოლარიზაციასა და შეიარაღების ხარჯებს შორის ან სავაჭრო გაცვლებსა და ომებს შორის.

2. სტრატეგიული კვლევა

ტერორიზმის საფრთხის არსებობის ეპოქაში ბირთვული ომის რისკი განსაკუთრებით სერიოზულ მუქარად იქცა. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ სტრატეგიული კვლევების სფეროს, რომელიც პოლიტიკური რეალიზმის სპეციფიკური მახასიათებელია, განსაკუთრებული ადგილი უკავია და მის შესახებ მრავალი ნაშრომი დაიწერა. მრავალი აკადემიური ცენტრი თუ კვლევითი ინსტიტუტი მთლიანად ჩართულია ამ საქმეში, რომელთაგან ევროპაში ყველაზე ცნობილია ლონდონის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი.

სტრატეგია ეხება ჯარების მანევრირების უნარს სამხედრო ოპერაციების ასპარეზზე მტერთან უშუალო კონტაქტამდე, ხოლო ტაქტიკის ცნება სტრატეგიული გეგმების ლოკალურ გამოყენებას მოიცავს, ომის უშუალო მონაწილეთა მოქმედებას გარემოებების შესაბამისად. უფრო ფართო გაგებით, სტრატეგია განისაზღვრება როგორც პოლიტიკური მიზნების გატარების ხელოვნება სამხედრო საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების მუქარით. ზოგიერთ შემთხვევაში, „დიდი სტრატეგიის“ ცნებას ეყრდნობიან პოლიტიკის გატარებისთვის გამოყენებული არასამხედრო რესურსების გასაერთიანებლად.

2. 1. კარლ ფონ კლაუზევიცი

კლაუზევიცის ფიგურა თანამედროვე სტრატეგიულ აზროვნებაზე დომინირებს. ნაპოლეონის ომებში გამობრძმედილი ეს პრუსიელი სამხედრო, თანამედროვე ომის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსია. იგი უდავოდ ამ სფეროს ყველაზე დიდი თეორეტიკოსია, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა თანამედროვე სტრატეგიის ძირითადი გამოწვევები. კლაუზევიცი შეეცადა შეძლებისდაგვარად ზუსტად ჩაწვდომოდა ომის ხელოვნებას. ამავე დროს, იგი აღიარებდა, რომ „კომპლექსური ფენომენები საკმარისად რეგულარული არაა, ისევე როგორც რეგულარული ფენომენები საკმარისად კომპლექსური“ (Terry, 1999, p. 143). ევროპაში საფრანგეთის რევოლუციისა და პირველი იმპერიის მიერ გამოწვეული დიდი პოლიტიკური გადატრიალებების მოწმე კლაუზევიცი ხვდება, რომ პოლიტიკამ და ომმა ხასიათი შეიცვალა. სახელმწიფო იცვლება და მასთან ერთად ომიც. ის აღარაა სუვერენთა საქმე, რომლებიც დაქირავებულ ჯარს იყენებენ არისტოკრატებით სათავეში. ომი შეიარაღებული ხალხების საქმედ იქცა, რომლებიც ახალი იდეალებისთვის არიან გულანთებულნი: თავისუფლება, თანასწორობა, ერი. 1792 წლიდან 1815 წლამდე ომი უკიდურეს ფორმებს იძენს: ის ევროპას შთანთქავს, მილიონობით სიცოცხლეს იწირავს, ცვლის საზღვრებს, ძალთა ბალანსსა და საერთაშორისო წესრიგის სტრუქტურას.

2. 2. დუელი

ნაპოლეონის ომებში მონაწილეობის შემდეგ, კლაუზევიცი იწყებს თავისი ცნობილი ნაშრომის „ომის შესახებ“ რედაქტირებას, რომელსაც იგი გარდაცვალებამდე ვერ ასრულებს. ეს ნაშრომი პირველ ყოვლისა, ომის თეორეტიკაციის, ხასიათის განსაზღვრის, ძირითადი ელემენტებისა და პოლიტიკასთან კავშირების კონცეპტუალიზაციის მცდელობაა. რა არის ომის არსი? კლაუზევიცის ომის შემადგენელი ელემენტები დიდ დუელამდე, დაუნდობელ შეტაკებამდე დაჰყავს. ძირითადში, ომი მტრულად განწყობილ ნებათა შეჯახებამდე დაიყვანება, რომელიც ძალადობრივ ფორმას იღებს. დუელის მსგავსად, ზოგადად, ის სიკვდილით სრულდება ან მოწინააღმდეგის განიარაღებით. ძალადობა არის არა ომის არსი, არამედ მისი საშუალება, რომელიც ნების თავსმოსახვევადაა გამოყენებული. ომი არაა აბსურდული. მას აქვს მიზანი, მაშინაც კი, როდესაც გრძნობების სფეროს ეხება, რომლის სიმძაფრეც სამხედრო მოქმედებების ხანგრძლივობასთან ერთად იზრდება.

2. 3. პოლიტიკა სტრატეგიულ მიზნებს განსაზღვრავს

ომი ძალადობის აქტს შეიცავს, რომელიც გაღვივებისკენაა მიმართული, რადგან აგრესია საპასუხო დარტყმას იწვევს, რასაც თავის მხრივ, რეაქცია მოჰყვება. აბსტრაქტულად აღქმულ ომს ძალადობის პაროქსიზმამდე ასვლის ტენდენცია ახასიათებს იმ დროს, როდესაც მისი მიზანია გამარჯვება მოწინააღმდეგის განიარაღების გზით. რეალობაში, ომი ამგვარ ევოლუციას არ მიჰყვება, რადგან მისი განვითარება პოლიტიკური მიზნებითაა ნაკარნახევი. მტრის დამარცხება ყოველთვის არაა შესაძლებელი და მეომარი მხარეები ხშირად შეზღუდული მიზნებით უნდა დაკმაყოფილდნენ. მოწინააღმდეგის დამარცხების უნარი ფიზიკურ ან მორალურ უპირატესობას, დიდ გამომგონებლობას, რისკისკენ მიდრეკილებას გულისხმობს. აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაში, უფრო შეზღუდული მიზნებით უნდა დაკმაყოფილდეთ: მტრის ტერიტორიის ნახევრის დაპყრობა, საკუთარი ტერიტორიის დაცვა უკეთესი გარემოებების მოლოდინში. ამგვარად, მოწინააღმდეგის განადგურებას ან განიარაღებას არა აქვს აბსოლუტური ღირებულება. ომი არასოდესაა იზოლირებული აქტი. მას აქვს ისტორია. ის სოციალური გარემოებების ერთობლიობაშია მოქცეული და ხანგრძლივად ვითარდება. მას სხვადასხვა დასასრული აქვს. ომი ძალთა

ერთობლიობას მოითხოვს, რომლის მობილიზება მყისიერად ვერ ხერხდება. ალიანსები შეიძლება მყიფე აღმოჩნდეს. ომის დასრულება არასოდესაა საბოლოო, რადგან მტერი ძალებს იკრებს.

ამგვარად, პოლიტიკა განსაზღვრავს, როგორც ომის მიზნებს, ისე საშუალებებს, რომლებიც ამ მიზნების განსახორციელებლად გამოიყენება. ომი არაა მხოლოდ პოლიტიკური აქტი, არამედ პოლიტიკის ინსტრუმენტიცაა. არსებობს ცნობილი ფორმულა: „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, მაგრამ სხვა საშუალებებით.“ ის პოლიტიკური კავშირების ასპექტია. ომის გაჩაღება, ისევე როგორც მისი მიმდინარეობა ომის გამომწვევი პოლიტიკისგან განუყოფელია. რეალური ომი, აბსტრაქტული ომის საპირისპიროდ, რომელიც დაუნდობელი დუელის სურათითაა წარმოდგენილი, გაგრძელებაა პოლიტიკისა, რომელიც თავის უფლებებს არ კარგავს. პოლიტიკას სხვა საშუალებებიც აქვს, სახელდობრ, ნორმალური ვაჭრობა ერებს შორის, დიპლომატია.

რაც უფრო მნიშვნელოვანია ომის მოტივები, მით უფრო მოქმედებენ ისინი მოცემულ ხალხთა არსებობაზე და მით უფრო მეტად აქვს აბსოლუტური ფორმის მიღების ტენდენცია. ამ შემთხვევაში, ომის ლოგიკა, რომელიც მტრის განადგურებისკენაა მიმართული, საბოლოო პოლიტიკურ მიზნებს ემთხვევა. თუმცა, იშვიათია ტოტალური ომები, რომლებშიც მტრებს ერთმანეთთან კომუნიკაცია არა აქვთ. სსრკ-ს დასამშვიდებლად 1943 წელს რუზველტის მიერ გამოცხადებული „ღერძის“ სახელმწიფოების სამხედრო ძალების უპირობო კაპიტულაციის პრინციპი მტერთან მოლაპარაკებაზე უარის თქმას გულისხმობდა. თუმცა, ეს პრინციპი ყოველთვის არ იყო დაცული. გენერალმა ეიზენჰაუერმა მოლაპარაკებები გამართა მარშალ ბადოგლიოსთან იტალიის დაზავების თაობაზე. კაპიტულაციის დროს, იაპონელებმა საიმპერატორო ინსტიტუტის შენარჩუნებას მიაღწიეს. სამაგიეროდ, თუკი ომის მიზნები შეზღუდულია, მას არ ექნება აბსოლუტური ფორმის მიღების ტენდენცია. ნაშრომში „მსჯელობა ომის შესახებ, კლაუზევიცი“ (1976 წ.) არონმა ნათლად გვიჩვენა, რომ პრუსიელი ოფიცრის თეორია მილიტარისტულ ფილოსოფიას ეწინააღმდეგება. თუკი ომი პოლიტიკის საშუალებად გამოიყენება, ის ასევე მშვიდობის აღდგენას ისახავს მიზნად. პოლიტიკური მიზნებისადმი დაქვემდებარებით, ის უცილობლად არ მიჰყვება საკუთარ დინამიკას. თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ კლაუზევიცის ხედვით, სახელმწიფოს ნება მუდმივად ძალის გაზრდაზე იყო ორიენტირებული და მისი სტრატეგიული მისწრაფებების დაკმაყოფილება რთული იყო. ამ კონცეფციაში, სახელმწიფოსა და ჯარის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და საქმე, გარკვეულწილად, მუდმივი ძალადობის შენარჩუნებით სრულდება. თუმცა, კლაუზევიცმა არჩევანი გააკეთა ევროპული ქვეყნების ძალთა ბალანსის პოლიტიკის სასარგებლოდ. იგი აღტაცებული იყო ნაპოლეონით, როგორც სამხედრო მეთაურით, მაგრამ მან ასევე განმარტა, რომ მხედართმთავრის საბოლოო მარცხი მისმა გადაჭარბებულმა ამბიციებმა განაპირობა.

შეტევა უნდა იყოს იმის სტრატეგია, ვინც იარაღს იღებს ხელში. ამავე დროს, თავდაცვის სტრატეგია სამხედრო თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია. სტრატეგია შემდეგი პრინციპებით უნდა იყოს ნაკარნახევი: „საჭიროა მტრის ძალების გრავიტაციის ცენტრების შეძლებისდაგვარად მინიმალურ რაოდენობამდე დაყვანა, ერთამდე თუკი შესაძლებელია; შემდეგ, გრავიტაციის ამ ცენტრებზე შეტევა მთავარი სამხედრო ოპერაციებით უნდა შეიზღუდოს, შეძლებისდაგვარად ნაკლებ რაოდენობამდე, ერთამდე თუკი შესაძლებელია: დაბოლოს, ნაკლებად მნიშვნელოვანი ოპერაციების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად მკაცრი სუბორდინაციით. ერთი სიტყვით, პირველი პრინციპია: რაც შეიძლება მეტი კონცენტრაცია; მეორე პრინციპია: რაც შეიძლება სწრაფად მოქმედება, საკმარისი მიზნის გარეშე არც გადავადება და არც მერყეობა“ (თავი IX, მე-8 წიგნი).

2. 4. გოტალური ომი

ომის ზოგიერთი კანონის გაშუქებით კლაუზევიცს არ ჰქონია შეიარაღებული კონფლიქტების ზოგადი თეორიის ჩამოყალიბების პრეტენზია. ომები პოლიტიკური სივრცის შემადგენელი ნაწილია, მათი მიმდინარეობა უცილობლად მიჰყვება ისტორიული გარემოებების ევოლუციას. XIX საუკუნის განმავლობაში ომები ტრანსფორმაციას განიცდიან ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებასთან ერთად. სტრატეგების გამოთვლებში დიდ ადგილს იკავებს ლოჯისტიკის პრობლემები. საომარ ასპარეზზე რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი და საუკეთესოდ ეკიპირებული ჯარების გამოყვანისა და შენარჩუნების უნარს გამარჯვების უზრუნველყოფა შეუძლია. ეს არის აშშ-ის სამოქალაქო ომის (1861-1865 წწ.) გაკვეთილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის მომხრეები სამხრეთელებზე სუსტები იყვნენ ბრძოლაში, მათ სამრეწველო და ადამიანური რესურსების მობილიზების უკეთესი უნარი გამოავლინეს, ასევე თავის სასარგებლოდ უკეთ გამოიყენეს პირველი სარკინიგზო გზები და წყლის დინებები ტრანსპორტისთვის. ჩრდილოეთის მომხრეებმა ეს დამქანცველი ომი ლოჯისტიკური უპირატესობით მოიგეს.

ამერიიდან ომი სოციალურ-პოლიტიკურ განზომილებას იძენს, რაც კლაუზევიცმა წინასწარ განჭვრიტა. მართლაც, ლოჯისტიკის კარგი ფუნქციონირებისთვის, სტრატეგმა უნდა დაგეგმოს ომის წარმოებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზება. ამ დროს სახელმწიფოს ხელშია ყველა ეკონომიკური რესურსი ჯარის მომარაგებისთვის, საარტილერიო იარაღის, ჭურვების წარმოებისთვის, შემდგომში კი უკვე თვითმფრინავების, ტანკებისა და გაზის წარმოებისთვის. ფუნქციონერები გადაამწყვეტ როლს ასრულებენ საომარი მოქმედებების ზურგში, რადგან ხელს უწყობენ პროდუქციის წარმოებას. მთავრობამ მშრომელები ამ ძალისხმევაში მონაწილეობის მიღებაში უნდა დაარწმუნოს. არჩევნებში ქალთა მონაწილეობა, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების განვითარება მსოფლიო ომების შედეგია, რომელმაც სახელმწიფოს თავისი გავლენის გაზრდისკენ უბიძგა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტზე.

XX საუკუნის ომებს დამატებითი სპეციფიკურობა დაემატა: ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ მათი გამომწვევი მოვლენები და განმსაზღვრელი პოლიტიკები. არონმა შესანიშნავად გვიჩვენა ეს ფენომენი 1951 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც „ტექნიკური სიურპრიზს“ მიუძღვნა. საუკუნეთა განმავლობაში შეიარაღების ტექნიკა ნელი ტემპით ვითარდებოდა. კლაუზევიცი ამ ფაქტორს შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ომების მსვლელობაში. სამრეწველო რევოლუციასთან ერთად, პროგრესი დაჩქარებულია. XIX საუკუნეში სამეცნიერო და ტექნიკური ინოვაციები ევროპულ სახელმწიფოებს უკვე უდიდეს უპირატესობას ანიჭებს თავიანთ კოლონიურ დაპყრობებში. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ცდიან მჭიდროდ თოფებს, ფუგასებს, სოფლის ტელეგრაფებს, ქვემეხებს, მავთულხლართიან ლობებს, მორტირებსა და ხელყუმბარებს. ასევე გამოყენებამია ჯავშნიანი მატარებლები და ფეთქებადი ტყვიები.

პირველი მსოფლიო ომი შეიარაღების ინდუსტრიას ექსპერიმენტირების ახალ არეს სთავაზობს. დასაწყისში „ახალი და მხიარული“ ომი დაუნდობელ ბრძოლებში გადადის და უკიდურესობამდე მიდის ხანგრძლივობის გამო. ომი გრძელდება, რადგან ბრძოლები არაა გადაწყვეტი. ლა მარნის ბრძოლის შემდეგ ის სტაგნაციაშია და თავდაცვა შეტევას აჭარბებს. ესაა დამქანცველი ომი ტრანშეებითა და არამობილური ფრონტით, ფორტიფიკაციებით, უიმედო შეტევებით, მილიონობით გარდაცვლილითა და დაჭრილით ვერდენსა (მდ. სომზე) და გალიპოლში. წყალქვეშა ომი, – სხვა ტექნიკური სიურპრიზი – აშშ-ს მსოფლიო კონფლიქტში ითრევის.

სამხედრო ტექნიკით ომის წარმოებას ასევე თან ახლავს დაძაბულობა სამოქალაქო პირებსა და მებრძოლებს შორის: თვითმფრინავი, გაზი, „დიდი ბერტა“, რომელიც პარიზს

უმიზნებს, ხშირად ოკუპანტის ბარბაროსულ კანონებს დაქვემდებარებული ჩრდილოეთის სამოქალაქო მოსახლეობა, დაბომბვებით გამოწვეული ნგრევები. მასების მორალის შესანარჩუნებლად საჭიროა თანამედროვე პროპაგანდის ყველა საშუალების გამოყენება. გაზეთებში ხაზგასმულია გერმანელთა სისასტიკე ოკუპირებულ ზონებში. ადამიანური დანაკარგები გრძობებს ამძაფრებს. ავიწყდებათ ომის საფუძვლები. მას აგრძელებენ, რადგან მისი ხანგრძლივობა კოლექტიურ სიძულვილს ამძაფრებს. კომპრომისები შეუძლებელი ხდება, სამშვიდობო მოლაპარაკებები კი საშიში. ტოტალური ომი ნაციონალისტური იდეოლოგიისა და სამრეწველო საზოგადოების განვითარების გზაჯვარედინზეა.

ტყვიამფრქვევი, შემდეგ კი ტანკები და თვითმფრინავი პირველი მსოფლიო ომის დიდი ტექნოლოგიური გარღვევაა. ამ ომის დასასრულს, სამხედრო წრეებში მაშინვე ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა ამ ახალი იარაღის სტრატეგიული მნიშვნელობის, სახელდობრ, ტანკების ბრძოლაში შეყვანის საკითხთან დაკავშირებით. მრავალი სამხედრო პირი წინასწარ ჭვრეტს ტანკების გადამწყვეტ როლს მომავალ ბრძოლებში. ზოგიერთ სტრატეგს ასევე მიაჩნია, რომ ამიერიდან ავიაცია გადამწყვეტ როლს ითამაშებს სახელმწიფოებისთვის ომის დაწყების გადაფიქრების საქმეში ან კონფლიქტის სწრაფად დასრულებაში ჯარების თავმოყრის ადგილებისა და სამრეწველო ობიექტების დაბომბვით, სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზებითაც კი. პირველმა მსოფლიო ომმა გვიჩვენა, რომ მტრის განადგურება შეუძლებელი იყო დაუნდობელი შეტევებით. სასტიკი ბრძოლები გადამწყვეტი შედეგის გარეშე დარჩა. ომი მოგებული იყო არა იარაღით, არამედ იმიტომ, რომ გერმანიამ ბრძოლის გაგრძელების უნარი დაკარგა. 1920-იან წლებში ინგლისელი სამხედრო თეორეტიკოსი ბეზილ ლიდელ ჰარტი კლაუზევიცის ზოგიერთ მოსაზრებას აკრიტიკებს, რომელიც „ბრძოლის ველზე მტრის ძირითადი ჯარების განადგურებას“ მოითხოვს. ჰარტი მხარს უჭერს არაპირდაპირი სტრატეგიის გამოყენებას, რომელიც ტანკებისა და ავიაციის ერთობლივ მოქმედებაზეა დამყარებული. იგი დარწმუნებულია, რომ მტრის განადგურება შესაძლებელია მის ძირითად სამხედრო ძალებზე დარტყმის გარეშე, დიდი ბრძოლების გაჩაღების გარეშეც კი, მაგრამ საკომუნიკაციო ხაზების გაწყვეტით, კავშირებისა და ბრძანებების სისტემების დისლოკაციით, მის ფრონტის უკანა ხაზზე შეტევით.

1940 წელს თვითმფრინავებისა და ტანკების ერთობლივი გამოყენებით გერმანელებმა საფრანგეთის ჯარებს უკან დაახევინეს. ჰიტლერი ესპანეთის სამოქალაქო ომის მეთოდების გაგრძელებით, სამოქალაქო მოსახლეობას დაუნდობლად ბომბავს როტერდამსა და ლონდონში, რაზეც ინგლისელები ბერლინზე საავიაციო რეიდებით პასუხობენ. შემდეგ ისინი სასტიკ დაბომბვებს ახორციელებენ, რასაც შედეგად დრეზდენის დანგრევა და 135 000-მდე მსხვერპლი მოჰყვა. ეს ქმედებები სამრეწველო ცენტრებისკენაა მიმართული და ასევე მოსახლეობის მორალის შესარყევად. ომი ტოტალურ ხასიათს იძენს.

თუმცა, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობა არა ტექნიკურმა საშუალებებმა, არამედ მათმა ოპერატიულმა ჩართვამ და ამგვარად, ხელმძღვანელობის ხარისხმა და ჯარების მორალურმა სიმტკიცემ განსაზღვრა. გარდა ამისა, ბრიტანელების მიერ მხარდაჭერილი არაპირდაპირი სტრატეგია საკუთარი ადამიანური რესურსების დაზოგვის მიზნით, საკმარისი არ აღმოჩნდა III რაიხის გასანადგურებლად. გერმანიის დაბომბვას უმნიშვნელო შედეგები აქვს. თვითმფრინავებით ომს ვერ იგებენ. ვერმანტის გასანადგურებლად საჭიროა დიდი ბრძოლების გამართვა რუსეთის ფრონტზე. ასევე საჭიროა ნორმანდიაში გადმოსვლა, კლდეებზე აბობლება, მიწის ყოველი მტკაველის ჩაჭიდება, მტრის დამარცხება ყველგან, სადაც იგი იმყოფება. კლაუზევიცი მართალია, თუმცა არა დიდი ხნით, რადგან ომი იაპონიის წინააღმდეგ ატომური ბომბების აფეთქებით სრულდება.

3. ბირთვული მუქარა

1945 წელს ჰიროსიმა და ნაგასაკის განადგურების შემდეგ, ინგლისის პრემიერ-მინისტრი კლემენტ ეტლი მაშინვე წინასწარ ჭვრეტს ატომური ბომბის სტრატეგიულ მასშტაბურობას და მის შედეგებს საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციაზე. პოტსდამის კონფერენციის შემდეგ, რომელშიც ეტლიმ მიიღო მონაწილეობა, იგი მემორანდუმს ადგენს თავისი კაბინეტისთვის და ამ უკანასკნელს ბრიტანეთის პოლიტიკისა და სტრატეგიის გადახედვას სთავაზობს. მისი აზრით, უკვე შეუძლებელია ლონდონისა და სხვა ბრიტანული ქალაქების დაცვა. კლასიკური თავშესაფრები ამიერიდან ილუზორულია. ინგლისი დაუცველი გახდა, აზრი არა აქვს საზღვაო კომუნიკაციების კონტროლის განხორციელებას და თანამეგობრობის დაცვას. ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის იმპერიაში განლაგებულ ბაზებს სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელობა აღარა აქვს. „მე ავლნიშნე, რომ პოტსდამში კვლავ დასავლეთ ნებისზე ლაპარაკობდნენ, მაშინ როდესაც მდინარეებმა თავიანთი სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგეს, საჰაერო ძალების განვითარებასთან ერთად. უკიდურესად რთულია იმის წარმოდგენა, რომ ომის თანამედროვე კონცეფციები, რომელთაც მე ჩემი ცხოვრების მანძილზე ვეყრდნობოდი, ამიერიდან სრულიად მოძველებულია.“ ბერლინისა და მაგდებურგის დაბომბვები ლონდონისა და კოვენტრის საპასუხო დაბომბვები იყო. ლონდონის ატომური დაბომბვა ანალოგიურ თავდასხმებს გამოიწვევდა მტრის სხვა ქალაქების წინააღმდეგ. „დასაშვები იყო დუელში არაეფექტური ხმლებითა და პისტოლეტებით ბრძოლა. დუელზე უარი თქვეს დასამიზნებელი იარაღის განვითარებასთან ერთად. რას იზამენ ატომური ბომბით?“ ეტლის არ სჯერა შეთანხმებებისა ამ სფეროში. თუკი გერმანია ინგლისს დაიპყრობს, გამოყენებული იქნება მხუთავი აირი. მას ასევე ესმის, რომ შეუძლებელია ატომური იარაღის საიდუმლოდ შენახვა. ამიერიდან საჭიროა ომზე უარის თქმა. ყველა ერმა ექსპანსიონისტურ ოცნებებს თავი უნდა დაანებოს. მოვლენათა ამგვარი ხედვა აქამდე უტოპიური ჩანდა. დღეისათვის, ის ცივილიზაციის გადარჩენის პირობაა, შესაძლოა თავად სიცოცხლისაც დედამიწაზე. აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ. 25 სექტემბერს ეტლი თავისი შეშფოთების გასაზიარებლად პრეზიდენტ ტრუმენს წერს და ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრას სთავაზობს: „წინათ ჩვენ არ ვიცოდით ისეთი იარაღის არსებობის შესახებ, რომელსაც შეუძლია სრულიად, უცბად, გაფრთხილების გარეშე, ერის სასიცოცხლო ცენტრის განადგურება. ამ ახალი იარაღის გამოჩენამ ომის ხასიათი შეცვალა, რადგან ამიერიდან შეუძლებელი გახდება სტრატოსფეროში მფრინავი თვითმფრინავებისა ან რაკეტებისგან თავდაცვა, რომლებიც დიდ ქალაქებზე ატომურ ბომბებს ჩამოაგდებენ. თავდაცვისთვის მხოლოდ მსგავსი იერიშის მუქარა იარსებებს. თუკი კაცობრიობა სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათის შეცვლის გარეშე ატომური ბომბების წარმოებას განაგრძობს, ეს ბომბები უცილობლად საერთო ნგრევისთვის იქნება გამოყენებული“ (Senarclens, 1993).

3. 1. ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგები

ჰიროსიმაში 66 000 ადამიანი თითქმის მაშინვე გარდაიცვალა. ქალაქი 80%-ით დაინგრა. ნაგასაკიში 40 000 ადამიანი გარდაიცვალა. გორაკებიან რეგიონში მდებარე ეს ქალაქი ჰიროსიმაზე პატარა იყო. ის 40%-ით განადგურდა. მომდევნო თვეებსა და წლებში ამ აფეთქებას კიდევ ათი ათასობით მსხვერპლი მოჰყვა.

ამგვარი ატომური რეიდების დროს გამოყენებული იარაღი 14 000 და 20 000 ტონა ტროტილის (ტრინიტროტოლუოლის) ეკვივალენტური იყო, ე. ი. 14 და 20 კილოტონისა. დღეისათვის, ძლიერი ბირთვული სახელმწიფოები ზოგადად, ერთი მეგატონის ბომბებს აწარმოებენ, ე. ი. ერთი მილიონი ტონა ტროტილის ეკვივალენტურს. დიდი რაოდენობით

წარმოებული ეს ბომბები გამოყენებული იქნება არა მხოლოდ ჯარების თავმოყრის ადგილების, არამედ სამრეწველო პუნქტების, ქალაქების და, ამგვარად, სამოქალაქო მოსახლეობის დასახობზავად. თუკი ასეთი ბომბი ქალაქზე ჩამოვარდება, ხუთი კილომეტრის რადიუსში ყველა შენობა დაინგრევა, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი ზარალი ოც კილომეტრამდე გავრცელდება. მომდევნო თვეებსა და წლებში რადიაციული გამოსხივება მრავალი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთი ქალაქი როგორც პარიზია ნანგრევებში მოექცევა, ხოლო მისი მოსახლეობა განადგურდება. ამ უბედურებების გარდა, ატომური ომი დიდი მასშტაბის დაავადებებსა და შიმშილს გამოიწვევს, რადგან დიდი ხნით გაანადგურებს სოციალური ცხოვრებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას. შვეიცარიამ და შვედეთმა ძალზე სრულყოფილი თავდაცვის სისტემები შექმნეს. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს სისტემები ქმედითი იქნება ამ ქვეყნების ტერიტორიაზე პირდაპირი ატომური თავდასხმის შემთხვევაში. ყველა ერთხმად თანხმდება იმ ფაქტზე, რომ ატომური ომი ცივილიზაციების ფართო არეალს გაანადგურებს და მას საშინელი ადამიანური და ეკოლოგიური შედეგები ექნება.

3. 2. სტრატეგიების რეკონცეპტუალიზაცია

ბირთვული ტერორით მუქარის თემა, რომელზეც ეტლი მიგვანიშნებდა პირველი ატომური ბომბების აფეთქების მომდევნო დღეებში, თეორიულ მსჯელობას წარმოშობს. 1946 წელს ბერნარდ ბროდი აქვეყნებს ნაშრომს ატომური ბომბის შესახებ სათაურით „*The Absolute Weapon*“ („აბსოლუტური იარაღი“), რომელშიც ხაზს უსვამს ამ სამხედრო იარაღის რევოლუციურ ასპექტს. „აქამდე, ჩვენი მხედართმთავრების ძირითადი მიზანი ომების მოგება იყო. დღეიდან მოყოლებული, მათი მთავარი მიზანი ომების თავიდან აცილება უნდა გახდეს. არ შეიძლება არსებობდეს ამაზე აუცილებელი მიზანი“ (Chaliand, 1990, p. 1266). ბროდი აღნიშნავს, რომ ატომურ ბომბს მსოფლიოს ყველა ქალაქის განადგურება შეუძლია, რამდენიმე ბომბს კი ყველაფრის და არ არსებობს არავითარი ეფექტური თავდაცვა ამ იარაღის წინააღმდეგ. ატომურ ომში, მიიჩნევა ავტორი, ბომბების რაოდენობრივი უპირატესობა არ იქნება სტრატეგიული უპირატესობის გარანტია. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ იარაღის აჩრდილი სტრატეგიისა და ტაქტიკის პირობებს გადაატრიალებს.

შესაძლებელია კი ამ პირობებში ომი დარჩეს „პოლიტიკის გაგრძელებად სხვა საშუალებებით? აღნიშნულთან დაკავშირებით ჯორჯ ქენანი ეჭვს გამოთქვამს. 1950 წელს ის ვინც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების დასაწყისში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი იყო ამტკიცებს, რომ ატომური ბომბების გამოყენება არავითარ პოლიტიკურ მიზანს აღარ მოემსახურება, რადგან ბირთვული ომი დასავლეთის ცივილიზაციის საფუძვლებს დაანგრევს. ამიტომაც, შეუძლებელია რაციონალური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ამ იარაღის გამოყენებას გაითვალისწინებს. თავის ნაშრომში „*ბირთვული სტრატეგიები*“ (1988 წ.) ლუსიენ პუარიერი აღნიშნავს, რომ ატომური იარაღი კლაუზევიცის დროინდელი „შეუძლებელი“ დამთხვევის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას იძლევა, ომისა მისი ჭეშმარიტი კონცეფციით და რეალური, კონკრეტული ომით. პარადოქსულად, კლაუზევიცის მიერ აბსტრაქციად გააზრებული ომი ბირთვული ცეცხლის გამოყენებით შესაძლებელი ხდება, რომელიც იმავდროულად, ხელის ერთი მოსმით თავის საბოლოო პოლიტიკურ მიზანს ანადგურებს: არაფერი უშლის ხელს აბსოლუტური ფორმისკენ მის აღზევებას. ატომური იარაღი უნდა იყოს გავრცელებული არა ბრძოლის საწარმოებლად, არამედ მტრის დასარწმუნებლად ომზე უარის სათქმელად. ესაა ფუნდამენტური ცვლილების დასაწყისი საერთაშორისო ურთიერთობებში.

1948 წელს საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის ბლოკადის განმავლობაში ბირთვული იარაღის დაშინების ფუნქცია აქვს. აშშ-ს სურს ამ ქალაქში, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის

ზონაშია განლაგებული, დასავლეთის ყოფნის დაცვა, მაგრამ წითელი არმიის სამხედრო ძალები ამ უკანასკნელის ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს ბევრად აღემატება. ზაფხულის განმავლობაში სამოცამდე ბომბდამშენი B-29 ინგლისში ჩაფრინდა „სამხედრო წვრთნების მისიით.“ თეორიულად ამგვარ თვითმფრინავებს ატომური ბომბების გადატანა შეუძლიათ. საქმე ეხება დაშინების ზომას, რადგან ფაქტობრივად ამ თვითმფრინავებს ეს ბომბები არ გადააქვთ. კორეის ომის დროს, აშშ სასტიკ ბრძოლებს აწარმოებს ბირთვული იარაღის გამოყენების გარეშე. თუმცა, მრავალჯერ მიმართეს ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარას რათა მტერი დაერწმუნებინათ შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება. და კვლავაც გავიმეორებთ, რომ ატომური იარაღი მუქარის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია.

3. 3. გამალებული ბირთვული შეიარაღება

1949 წელს საბჭოთა კავშირმა მსოფლიოს თავისი პირველი ატომური ბომბის აფეთქების შესახებ აუწყა. აშშ მიზნად ისახავს იაპონიაზე ჩამოგდებულ ბომბებზე ბევრად ძლიერი თერმობირთვული იარაღის წარმოებას. საბჭოთა კავშირიც გამალებულ შეიარაღებას ახორციელებს. 1950-იან წლებში ამერიკული ბირთვული არსენალი საგრძნობლად იზრდება. პენტაგონი ასევე დიდ პრიორიტეტს ანიჭებს საჰაერო ძალების განვითარებას. 1953 წელს აშშ-ს დიდი რაოდენობის ბირთვული იარაღი აქვს. ათწლეულის ბოლოსთვის, აღნიშნული იარაღის რაოდენობა 18 000 აღწევს. ატომური სიძლიერის ზრდა აზრს მოკლებულია, რადგან ის არავითარ თანმიმდევრულ და რეალისტურ სტრატეგიას არ ეფუძნება. თუმცა, ომის სცენარები ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის მრეწველობის ობიექტებზე, საკომუნიკაციო ქსელებსა და ენერჯის წყაროებზე დარტყმას. ბირთვული სტრატეგია კვლავ ჩვეულებრივი ბრძოლების კატეგორიებში განიხილება, სახელდობრ, მეორე მსოფლიო ომის მასობრივი დაბომბვების გამოცდილების გათვალისწინებით.

სსრკ ზრდის თავის ატომურ პოტენციალს. აშკარა ხდება, რომ აშშ-მ თავისი სტრატეგიული კონცეფციების რეორიენტაცია უნდა მოახდინოს, რადგან ამიერიდან ამერიკული ქაღალაქები დაუცველები არიან ბირთვული ცეცხლის პირისპირ. რეალისტური არ არის თვითმკვლელობის ტოლფასი შეტაკების განხილვა. 1950-იანი წლების დასაწყისშივე ცხადდება დრო, როდესაც ორივე „ზესახელმწიფოს“ ორმხრივი განადგურება შეეძლება. 1953 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით, ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსი ოპენჰაიმერი აშშ-სა და სსრკ-ს სტრატეგიული ურთიერთობების დასახასიათებლად ბოთლში მომწყვდეული ორი მორიელის სურათს იხსენებს.

3. 4. მასობრივი შურისძიების დოქტრინა

კომუნისტი მოწინააღმდეგის დასაშინებლად ამერიკის მმართველი წრეები „მასობრივი შურისძიების დოქტრინის“ მიღების შესახებ აცხადებენ: სსრკ-სა ან ჩინეთის მხრიდან ომის გამოცხადების შემთხვევაში, აშშ საპასუხოდ თავის ყველა ბირთვულ საშუალებას გამოიყენებს. აშშ კორეის ომის მსგავსი ჩვეულებრივი ბრძოლების გაზრდის საშიშროებას ხედავს. ეს არის „უფსკრულის ზღვარზე ყოფნის პოლიტიკა“, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის statu quo-ს შენარჩუნებაში დარწმუნება.

თავდაცვის საშუალებათა ნაკლებობა აშკარაა. თუკი სსრკ მასობრივი შურისძიების მუქარას სერიოზულად არ აღიქვამს, აშშ-მ არჩევანი თვითმკვლელობასა და კაპიტულაციას შორის უნდა გააკეთოს. ეს მუქარა თავის დამაჯერებლობას კარგავს იმდენად, რამდენადაც საბჭოთა კავშირი თავის ბირთვულ არსენალს ანვითარებს, ისევე როგორც რაკეტების რაოდენობასა და მასშტაბს. 1957 წლის 4 ოქტომბერს სსრკ დედამიწის გარშემო თავის პირველ თანამგზავრს („სპუტნიკი“) უშვებს. ეს მოვლენა მრავალჯერაა გამოყენებული კრემ-

ლის პროპაგანდის მიერ, რაც აშშ-ში დიდ ემოციებს იწვევს, რადგან აღნიშნული საბჭოთა კავშირის წინსვლაზე მიუთითებს რაკეტმზიდების სფეროში. ფაქტობრივად, ამერიკის უპირატესობა კვლავინდებურად ძალზე დიდია. 1961 წლის ოქტომბერში პენტაგონის წრეებში აცხადებენ, რომ აშშ-ის ატომური შეიარაღება, რომელიც შეიძლება მობილიზებული იქნეს საბჭოთა კავშირის პირველი მოულოდნელი ბირთვული შეტევის შემდეგ, სსრკ-ს მიერ პირველ შეტევისას ნასროლი ყველა ბომბის ტოლფასი იქნება. ამავე დროს, ამ უპირატესობას აშკარა გავლენა აქვს ბერლინისა და კუბის კრიზისების განვითარებაზე. თუმცა, ეს უპირატესობა დიდხანს არ შეიძლება გაგარქვდეს, რადგან კუბის კრიზის შემდეგ საბჭოთა კავშირი ბირთვული შეიარაღების პროგრამას აჩქარებს.

3. 5. ლიმიტირებული ბირთვული ომები?

აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში მწვავედება დებატები ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით. საქმე ეხება მცირე მასშტაბის ბირთვული ომების წარმოების და „ტაქტიკური ბირთვული იარაღის“ შესაძლებელ გამოყენებას. ეს უკანასკნელი ნაკლებად ძლიერი იარაღია, რომელიც თეორიულად შეიძლება ჩვეულებრივმა შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენონ მტრის წინააღმდეგ ან სამხედრო ესკალაციის საწყის ეტაპზე.

ომი რომ ლიმიტირებული იყოს, მისი პოლიტიკური მიზნებიც ასეთივე უნდა იყოს. აშკარაა, რომ დაუნდობელი ომის ლოგიკაში ჩაწერილი მოწინააღმდეგის უპირობო კაპიტულაცია აღარაა მისაღები. ტოტალური გამარჯვება ძალზე ახლოს დგას ტოტალურ მარცხთან. მართლაც, შეზღუდული მიზნის ცნება კონფლიქტურ ურთიერთობაში ძნელად განსასაზღვრია. ერთ-ერთი ბანაკისთვის ლიმიტირებული ომის მიზანი, შეიძლება მეორისთვის უპირველესი გახდეს. პოლონეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნება 1939 წელს შეზღუდული მიზანია. 1914 წელს ომის მიზნები გაურკვეველია. რეალობაში ომის თავდაპირველი მიზნები უცილობლად არ განაპირობებს საომარი მოქმედებების ხასიათს. შეზღუდული საშუალებების საკითხი ასევე არაა პანაცეა, რადგან „ტაქტიკური“ იარაღის გამოყენებამ შეიძლება დიდი მასშტაბის ბირთვული ესკალაცია გამოიწვიოს.

3. 6. ეტაპობრივი რეპრესიები

ამავე დროს, 1960-იანი წლების დასაწყისში კენედის ადმინისტრაცია „ეტაპობრივი შურისძიების დოქტრინას“ ამტკიცებს, რომლის პრინციპია მოწინააღმდეგის მიერ გამოყენებულ საშუალებებზე უპირატესი შესაბამისი საშუალებებით ნებისმიერი აგრესიისთვის პასუხის გაცემის შესაძლებლობა. „მასობრივი შურისძიების დოქტრინა“ აღარაა მისაღები პერიფერიული ომის ახალი ფორმებისთვის, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში დასავლეთის პოზიციებს არყვეს. აგრესიის ყველა ნაირსახეობასთან ან კომუნისტური მუქარის პირისპირ დადგომის მოტივით, ამერიკის მთავრობას მოქნილი სტრატეგიული პოზიციის მიღება სურს, რომელიც შესაბამისი საშუალებების გამოყენებაზე იქნება დაფუძნებული. შემთხვევითი არაა, რომ აშშ-ის ჩართვა ვიეტნამის ომში ამ ახალი დოქტრინის გამოცხადებას ემთხვევა, რადგან მას ასევე თან ახლავს მეამბოხეთა წინააღმდეგ ომების წარმოების საშუალებებზე რეფლექსია. აღნიშნულის მიზანია ბირთვული იარაღის გამოყენების ზღვარის გადაწევა, განსაკუთრებით კი დიდმასშტაბიანი ატომური ომისა. თუკი ბირთვული მუქარა მარცხს განიცდის და საბჭოთა კავშირი ევროპაზე შეტევას განახორციელებს, მუქარის გაგრძელების შესაძლებლობა დარჩება ომის მსვლელობის ორიენტაციით სწრაფი პოლიტიკური გამოსავლის მოსაძიებად. ამერიკის ქალაქები კვლავ ბირთვულ ცეცხლში იქნებიან გახვეულნი, მაშინ როდესაც ევროპაში ატომური ბრძოლები გაჩაღდება. ეს სტრატეგია ყოველთვის ინარჩუნებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „მასობრივი შურისძიების“ მოქმე-

დების შესაძლებელ არჩევანს. მიუხედავად გარკვეული ფორმალური რაციონალურობისა, ამ სტრატეგიას შედეგად მოსდევს ბირთვული ბრძოლების „კონვენციონალიზაცია.“ ის შეიცავს ჰიპოთეზას, რომლის თანახმად, ტექნიკური ბირთვული იარაღი შეიძლება იყოს საფეხური საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების ესკალაციის შემთხვევაში. „ეტაპობრივი შურისძიების“ შესაძლებლობათა სტრატეგიული განვითარებისთვის კვლავაც საჭიროა ატომური იარაღის ხასიათისა და რაოდენობის გაზრდა. 1967 წელს აშშ-ის განკარგულებაშია 32 000-მდე ბირთვული ქობინა! ერთ B-52-ს 25 მეგატონის ბომბის გადატანა შეუძლია, რომლის აფეთქების ძალა თორმეტჯერ აღემატება მეორე მსოფლიო ომში ჩამოგდებულ ყველა ბომბს, ჰიროსიმაში და ნაგასაკში ჩამოგდებულის ჩათვლით.

3. 7. ორმხრივად გარანტირებული განადგურება

1970-იან წლებში ამერიკელი სტრატეგები მუქარის კონცეფციაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელიც კვლავ ადასტურებს საბჭოთა კავშირისათვის უდიდესი სამოქალაქო და სამხედრო ზარალის მიყენების შესაძლებლობას ბირთვული ომის შემთხვევაში. მოდაში შემოდის „ორმხრივი გარანტირებული განადგურების“ კონცეფცია (MAD, ფრანგულად: სიგიჟე!). ეს არის „ტერორის წონასწორობის“ სტრატეგია. ამგვარად, ხდება ბირთვული იარაღისა და საკმარისად ძლიერი ვექტორების შემუშავება ნებისმიერი სახის კონფრონტაციისთვის პასუხის გაცემის შესაძლებლობის საჩვენებლად.

3. 8. იყო თუ არა დამაჯერებელი მუქარა?

საბოლოო ჯამში, ტერორით მუქარის მიზანს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის დარწმუნება, რომ ომი არ შეიძლება ყოფილიყო გონივრული პოლიტიკის იარაღი. თუმცა, ამ სტრატეგიას არ ჰქონდა მყარი საფუძვლები. ატომური ომის წარმოების მუქარა ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, არ იყო დამაჯერებელი, რადგან რთული იყო ისეთი ბირთვული სტრატეგიის განხორციელება, რომლის მიზნებიც პოლიტიკურ აბსურდს წარმოადგენდა. ამ სტრატეგიის რაციონალურობა კიდევ უფრო საკამათო იყო პატარა ბირთვული სახელმწიფოებისთვის. ამგვარად, საფრანგეთის ბირთვული სტრატეგია ხისტად ჩამოყალიბებული მუქარის სტრატეგიას წარმოადგენდა: ის ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის დარწმუნებას საპასუხო დარტყმის უნარსა და ნებაში, განსაკუთრებით კი აგრესიაზე საპასუხო დარტყმის ნებაში, უმძიმესი შედეგებით. „ტერორის წონასწორობას“ სიმეტრიულობა არ ესაჭიროება. მიზანი აშკარად იყო მეორე დარტყმის შესაძლებლობის შენარჩუნება. მაგრამ ჩნდება კითხვა, თუკი ისეთი ქვეყანა, როგორც საფრანგეთია, ბირთვულ თავდასხმას გადაიტანს, დაინტერესებული იქნება თუ არა ის საპასუხო დარტყმაში: დანგრეული ბუნკერები, საფრთხის ქვეშ მყოფი ქალაქები, დიდად დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობა; ექნება თუ არა მის მთავრობას საომარი მოქმედებების წარმოების ინტერესი ბოლო რაკეტების გამოყენებით ახალი დამანგრეველი დარტყმის მიღების რისკით?

თუმცა, ცივი ომის დასრულებამ, საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციასთან ერთად, დღის წესრიგიდან არ მოხსნა როგორც ბირთვული მუქარა, ისე ამ სტრატეგიის კონცეპტუალიზაციის კვლევები; ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ამ ანტაგონიზმის დასრულება დღის წესრიგიდან არ ხსნის მომავალში ბირთვულ სახელმწიფოთა კონფრონტაციის რისკს; მეორე მხრივ, მუქარის განხორციელება უცილობლად არ მოითხოვს ატომური იარაღის ფლობას.

იმ გავლენის გამო, რომელიც ბირთვული მუქარის სტრატეგიამ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე იქონია, მისმა ანალიზმა სტრატეგიული კვლევების დიდი ნაწილი მოიცვა. ამავე დროს, თანამედროვე ომები ინფრაბირთვულ დონეზე იქნა გაჩაღებული. თუკი ბირთვულმა ეპოქამ საგრძნობლად შეზღუდა ძლიერ სამხედრო სახელმ-

წიფოთა სტრატეგიული არჩევანი, მათთვის ომის გამოყენების აკრძალვით, თავიანთი კონფლიქტური ურთიერთობების გადასაწყვეტად, მას სრულებით არ შეუძლია რეგიონული სამხედრო დაპირისპირებების სიხშირე და ინტენსივობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მუქარა, რომელიც ეფექტური გამოდგა ძლიერ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებისას, რეგიონულ კონფლიქტებში გამოუსადეგარი იყო. ბირთვულ ძალას აზრი არ შეუცვლევინებია ატომური იარაღის არმქონე სახელმწიფოებისთვის ამერიკული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ამას მოწმობს ჩრდილოეთ კორეისა და კომუნისტური ჩინეთის მაგალითი 1950-1951 წლებში, ჩრდილოეთ ვიეტნამისა 1965 წლიდან 1974 წლამდე ან არგენტინის ინტერვენციის მაგალითი ფოლკლენდის კუნძულებზე 1982 წელს. შუა აღმოსავლეთი პერიოდულად ჩვეულებრივი ომების თეატრი ხდებოდა. კლასიკური იარაღის სრულყოფა არ იყო ის ფაქტორი, რომელიც არაბულ სახელმწიფოებს ომის წარმოებას გადააფიქრებინებდა. სპარსეთის ყურის ომის წინმსწრები პოლიტიკური შესტიკულაციები მუქარის ტიპურ რეპერტუარს წარმოადგენდა. სადამ ჰუსეინი მნიშვნელოვან სამხედრო არსენალს ფლობდა, სახელდობრ, მის განკარგულებაში იყო 5 000-ზე მეტი ტანკი, ასობით თანამედროვე თვითმფრინავი და რაკეტა, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი. ერაყის არმია ბრძოლაში გამობრძმედილი იყო. ამგვარად, სადამ ჰუსეინს მიაჩნდა, რომ მისი სამხედრო რესურსები საკმარისი იყო იმისათვის, რომ აშშ-ს შეტევაზე უარი ეთქვა. მიქვლების აყვანით იგი შეეცადა თავის მოწინააღმდეგეთა ნების მოდრეკას და მზადყოფნას აცხადებდა ქიმიური იარაღის გამოყენების, ქუვეითის ჭებისა და სპარსეთის ყურის ეკოლოგიის გასანადგურებლად. თავის მხრივ, აშშ-მ ისტორიაში უპრეცედენტო ძალების კონცენტრაციით უპასუხა, გამოიყენა სამხედრო საშუალებების დიდი არჩევანი და პოლიტიკური რესურსები ერაყის დასარწმუნებლად ქუვეითიდან თავისი ჯარების უბრძოლველად გასაყვანად. ამ შემთხვევაში, ომის გაჩაღება მუქარის მარცხს ნიშნავდა.

კლასიკურ ომებს ასევე ადგილი ჰქონდა 1960-იანი წლების დასაწყისში აზიის სხვა რეგიონებში, სახელდობრ, ჩინეთსა და ინდოეთს შორის, პაკისტანსა და ინდოეთს შორის. თუმცა, რეგიონული კონფლიქტების დინამიკაზე გავლენა იქონია ატომური იარაღის არსებობამ და ზოგადად, შეიარაღების ახალი სისტემების განვითარებამ. ამ იარაღების სრულყოფამ სუსტ სახელმწიფოებს და ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობებს პარტიზანული ომის წარმოებისა ან ტერორისტული მეთოდების გამოყენებისკენ უბიძგა ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების შეცვლის მიზნით. ზოგიერთმა სახელმწიფომ, ლიბიამ, ერაყმა, ირანმა თუ სირიამ ტერორისტულ ჯგუფებს დაუჭირეს მხარი, რომლებიც ამერიკის ან საფრანგეთის ინტერესებს აყენებდნენ ზიანს შუა აღმოსავლეთსა და აფრიკაში. ეს ქმედებები პროპაგანდასთან და კლასიკურ დიპლომატიასთან ერთად იქნა გამოყენებული, როგორც თანამედროვე სტრატეგიის ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

4. მუქარის პოლიტიკური შედეგები

ბირთვულმა მუქარამ ორიენტირი მისცა ანტაგონისტური ურთიერთქმედების ხასიათს აშშ-სა და სსრკ-ს შორის. მართლაც, ეს სტრატეგიული ფენომენი საერთაშორისო არენაზე ძალთა ბალანსის კონფიგურაციასა და ალიანსების სისტემების ხასიათზე დომინირებდა. ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთ ევროპის მთავრობები მიიჩნევდნენ, რომ უნარი არ შესწევდათ საკუთარი საშუალებებით ეპასუხათ სტალინის იმპერიის მუქარებისთვის. 1949 წელს ატლანტიკური ალიანსის შექმნა, რომელიც აშშ-ს ამ ქვეყნების დაცვას ავალდებულებდა, სტრატეგიული სისუსტის დაძლევისკენ იყო მიმართული. კორეის ომის დასრულებისთანავე, ბირთვულმა იარაღმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ალიანსის სტრატეგიაში. ალიანსი მოითხოვდა ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებული შტაბის

არსებობას: შედეგად, ნატო ამერიკელი გენერლის ხელმძღვანელობის ქვეშ მოექცა. გერმანიაში ასი ათასობით ადამიანის განთავსებით, წევრ-ქვეყნებში სამხედრო ბაზების ქსელის განვითარებით სახელდობრ, იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, აშშ-მ ამ ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ევოლუცია განაპირობა. სხვათა შორის, აშშ-მ გადამწყვეტი იმპულსი მისცა ევროპული ინტეგრაციის მოძრაობას საბჭოთა კავშირთან და კომუნიზმთან კონფრონტაციის სტრატეგიულ ჩარჩოში. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, აშშ-ს სამხედრო ძალების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ არ შესუსტებულა მისი ნება გადამწყვეტი როლის თამაშისა ევროპის თავდაცვისა და პოლიტიკური განვითარების საკითხში.

4. 1. ატლანტიკური ალიანსის კრიზისი

მუქარის აუცილებელი ინსტრუმენტი, ატომური იარაღი, ასევე კამათისა და გაუგებრობების მიზეზი გახდა, რომელიც მუდმივად ძირს უთხრიდა ატლანტიკურ ალიანსს. ევროპელები ეჭვს გამოთქვამდნენ ამერიკის შეუპოვრობასთან დაკავშირებით და ეწინააღმდეგებოდნენ ჩაბმულნი იქნებოდნენ კონფლიქტებში, რომლებიც მათი უშუალო ინტერესებიდან არ მომდინარეობდა, მაგალითად, შუა აღმოსავლეთსა და აზიაში. მართლაც, 1960-იანი წლებიდან „ტერორის წონასწორობა“ ნაკლებად სავარაუდოს ხდიდა იმ ფაქტს, რომ ამერიკის მთავრობა საკუთარი ტერიტორიის წინააღმდეგ ბირთვული იერიშის რისკს დათანხმდებოდა ევროპული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რისი ვალდებულებაც მას ჰქონდა აღებული. თავად „ეტაპობრივი შურისძიების“ დოქტრინა ევროპაში ჩვეულებრივი ომის, შესაძლო ბირთვული ბრძოლების გაჩაღების მზარდ საფრთხეზე მიანიშნებდა. ეს არგუმენტი გენერალ დე გოლმა გამოიყენა ფრანგული ატომური ბომბის შექმნის დასაჩქარებლად და ნატოს გაერთიანებული ხელმძღვანელობის დასატოვებლად. ამგვარად, საფრანგეთის პრეზიდენტმა ალიანსის შიგნით უდიდესი კრიზისი გამოიწვია. 1970-იანი წლების დასასრულს ამერიკული საშუალო მოქმედების რადიუსის რაკეტების ევროპაში განთავსებამ, რაც საბჭოთა კავშირის მიერ ანალოგიური იარაღის განთავსების საპასუხო ქმედება იყო, ნატოს შიგნით კვლავ ახალი კრიზისი გამოიწვია. ამ იარაღის განთავსება ევროპელმა მმართველებმა მოითხოვეს, როგორც ამერიკის სიმტკიცის საწინდარი. ამავდროს, გადაწყვეტილებას პაციფისტური მოძრაობების მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა.

4. 2. პერიფერიული ინტერესების დაცვა

მუქარის ლოგიკის გასაგრძელებლად, ამერიკის მმართველებმა ცივი ომის პერიოდში დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებასთან მიმართებაში აშკარად მეორეხარისხოვანი ინტერესების დაცვის საქმეში, რადგან ამ მხრივ, ნებისმიერი სისუსტის გამოხატვა ეჭვს გააჩენდა მისი ალიანსების სისტემის სანდოობაში და, საბოლოო ჯამში, სტრატეგიული ვალდებულებების მნიშვნელობაში. ცივ ომს პოლიტიკური უსუსტიკულაციები მოჰყვა, ხშირ შემთხვევაში, თვალეზში ნაცრის შეყრაც, რომლის დროსაც მოწინააღმდეგეებს თავიანთი სიმტკიცის ჩვენება სურდათ. ყოველი დიდი კრიზისის დროს, ბერლინიდან ვიეტნამამდე, კორეიდან კუბამდე, ამერიკის პრეზიდენტები დაჟინებით ამტკიცებდნენ ძალის წინაშე არდათმობის თავიანთ ნებას და აშშ-ის პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლების სიმტკიცეს. ამგვარად, ბერლინის დაცვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და, მთლიანად დასავლეთ ევროპის დაცვის საქმეში, აშშ-ის სიმტკიცის სიმბოლო გახდა.

4. 3. რეგიონული კონფლიქტები

სავარაუდოდ, „ტერორის წონასწორობამ“ ზოგიერთი რეგიონული კონფლიქტი გაამძაფრა, რადგან ძლიერმა სახელმწიფოებმა არაპირდაპირი ფორმით დაპირისპირების უპირა-

ტესობა დაინახეს, რასაც მოწმობს სსრკ-ს როლი კორეის ომის დაწყებაში ან იმ მხარდაჭერაში, რომელსაც ის ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკას უწევდა. ევროპაში პოლიტიკური საზღვრების დადგენით, ბირთვულმა მუქარამ აშშ-სა და სსრკ-ს ახალი გავლენის სფეროების ძიება აიძულა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რასაც რეგიონული კონფლიქტების გაღვივება მოჰყვა. ამ არაპირდაპირმა სტრატეგიამ ასევე ბიძგი მისცა მესამე სამყაროს მრავალი ქვეყნის გადაჭარბებულ შეიარაღებას და ამ უკანასკნელთ შიდა რეპრესიებისთვის მნიშვნელოვანი საშუალებები ჩაუგდო ხელთ. ლათინურ ამერიკაში აღნიშნულმა სტრატეგიამ სამხედრო რეჟიმების აღზევებას შეუწყო ხელი, რომლებიც თავიანთი დიქტატურის ლეგიტიმაციას „ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინების“ მოშველიებით ახდენდნენ, – იდეოლოგიები, რომლებიც რამდენიმე გეოპოლიტიკური მოსაზრებითა და კონსერვატორულ წრეებში მოდაში მყოფი „თავისუფალი სამყაროსა“ და „ქრისტიანული ცივილიზაციის“ დაცვის იდეებით შემოიფარგლებოდა. გარდა ამისა, „ტერორის წონასწორობას“ თან ახლდა ჩვეულებრივი შეიარაღების განუწყვეტელი ზრდა, რამაც დეკოლონიზაციის საზღვრები ხელშეუხებელი და ხელოვნური გახადა. ამიტომაც, ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებული კონფლიქტების უმრავლესობამ სამოქალაქო ომებისა და ეთნიკური კონფლიქტების სახე მიიღო.

4. 4. ზღვარგადასული ბირთვული შეიარაღება

მუქარა ეფუძნება არა მხოლოდ შესაბამის სამხედრო შესაძლებლობებს, არამედ შიშს, რომელსაც ბირთვული იარაღის არსებობა იწვევს და ფაქტს, რომ ამ იარაღის მფლობელები კონფლიქტის შემთხვევაში, მზად იქნებიან მის გამოსაყენებლად. მუქარა ძირითადად ფსიქოლოგიური ტერმინებით გამოიხატება, რადგან მან სიმტკიცის გზავნილი უნდა გადმოსცეს. ამიტომაც, ბირთვული მუქარის ერთ-ერთი პარადოქსია ომის მომზადების მოთხოვნა, რომელშიც არც ერთი მემორი მხარე წინასწარ დარწმუნებული არაა, რომ საშინელი დანაკარგები არ ექნება; ეს ყველაზე სასტიკი ოპერაციების სცენარების წინმსწრებია, გადასალახნია ბირთვული ჰოლოკოსტის მუქარა *statu quo*-ს შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნული სტრატეგია წარმოუდგენელის განჭვრეტის მუდმივ მზადყოფნას გულისხმობს. მუქარა ასევე ძალის სიმბოლური ატრიბუტების გაბუქებას უწყობს ხელს. მართლაც, მუქარის ერთ-ერთი ლოგიკური და ანგარიშგასაწევი შედეგია ის, რომ პოტენციური მტრები გამალებულ შეიარაღებას ცდილობენ რაკეტმზიდების, ბირთვული ჭურვებისა და დაბომბვის სისტემების აკუმულირებით მოწინააღმდეგისათვის იმის საჩვენებლად, რომ ისინი არ დასუსტდებიან და ბირთვულ ომებს ნებისმიერ ფრონტზე გააჩაღებენ. შეიარაღების სისტემების მუდმივი შექმნა, რომელიც ათიდან თხუთმეტ წლამდე უნდა იყოს დაგეგმილი, მუქარით დარწმუნების აუცილებელი გამოხატულებაა, შეიარაღებაზე მონოპოლია „ყოველგვარი მოწყვლადობის ხვრელის“ ჩაკეტვას ემსახურება. მართლაც, ტერორით მუქარას ფუნქციონირება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, როდესაც მოწინააღმდეგე დარწმუნებულია, რომ მოგების უნარი არ შესწევს თუკი პირველი გადავა შეტევაზე. ცივი ომის განმავლობაში გამალებული შეიარაღება მით უფრო ინტენსიური იყო, რამდენადაც უზარმაზარ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებთან იყო დაკავშირებული, რომელთა სტატუსი, რესურსები და არსებობის მიზეზი მუქარის სტრატეგიის გაგრძელებაზე იყო დამოკიდებული.

აღნიშნული დინამიკა სხვა პარადოქსიდან მომდინარეობს, რომელიც წინა პარადოქსის თანმხლებია: თავდაცვის სტრატეგიად განსაზღვრული მუქარა მოწინააღმდეგის მიერ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს – ეს ჩვეულებრივ, ცივი ომის კონტექსტში ხდებოდა – , როგორც აგრესიული ზრახვების გამოხატულება. აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგეს საკუთარი შეიარაღების გაგრძელების ყველა მიზეზი აქვს. ის იმ ჯოჯოხეთურ სპირალს მიჰყვება, რომელიც ჩვენ უკვე ვახსენეთ. ამგვარად, 1970-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის

მიერ მრავალქობიანი რაკეტების რაოდენობის გაზრდა, შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ საშუალო რადიუსის რაკეტების ევროპაში განთავსება, დაბოლოს, 1985 წელს პრეზიდენტ რეიგანის მიერ გამოცხადებული სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა (რომელსაც ხშირად „ვარსკვლავთა ომებს“ უწოდებდნენ) ის მოვლენები იყო, რომელთაც ხელი შეუწყო ამ აბსურდული დინამიკის გააქტიურებას.

4. 5. მასობრივი განადგურების იარაღის ჰორიზონტალური გავრცელება

ორ ზესახელმწიფოს შორის ბირთვული იარაღის ე. წ. ვერტიკალურ გავრცელებას, – ე. ი. იარაღის მოცულობის, ხარისხის ან მოწინააღმდეგის არსენალის განადგურების უნარის გაზრდა – ჰორიზონტალური გავრცელება დაემატა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ იარაღის ეტაპობრივი გავრცელება სახელმწიფოებში, რომელთაც ის წინათ არ გააჩნდათ. დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირველი ატომური ბომბის შექმნასთან, საკუთარი ბირთვული პროგრამა ლეობორისტული მთავრობის ეგიდით ჩამოაყალიბა. 1952 წელს მან პირველი ატომური ბომბი გამოსცადა. საფრანგეთიც იგივე გზას დაადგა. გენერალ დე გოლის აზრით, ატომური ბომბი საფრანგეთს სხვა ძლიერ სახელმწიფოთა შორის „საკუთარი სტატუსის აღდგენის“ შესაძლებლობას მისცემდა. საფრანგეთის მომდევნო პრეზიდენტებმა დე გოლის პოლიტიკა გააგრძელეს. 1964 წელს ჩინეთმა, საფრანგეთზე ორი წლის დაგვიანებით, ატომური ბომბი გამოსცადა, ხოლო ინდოეთმა იგივე 1974 წელს განახორციელა. ისრაელი ანალოგიური იარაღით შეიარაღდა, თუმცა ე. წ. ჩუმი გავრცელების სტრატეგიის ჩარჩოში. პაკისტანმა და ირანმაც ასევე მნიშვნელოვანი ბირთვული შეიარაღების პროგრამები აამოქმედეს. ამ სახელმწიფოებისთვის ატომური ბომბის ფლობა ერთდროულად სამხედრო მუქარის ინსტრუმენტი კონფლიქტურ რეგიონულ გარემოში და ასევე პოლიტიკური ძალაუფლების ატრიბუტიც. თუმცა, რეგიონულ ომში აღნიშნული იარაღის გამოყენება ძლიერი სახელმწიფოების ჩარევას გამოიწვევს და მსოფლიოს მშვიდობას საფრთხის წინაშე დააყენებს. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მხოლოდ მცირე ნაწილი აფასებს დადებითად მასობრივი განადგურების იარაღის ჰორიზონტალურ გავრცელებას, უოლცის სახით აღსანიშნავი გამონაკლისის გარდა, რომელიც ნაშრომში „The spread of nuclear weapons: More may be a good thing“ („ბირთვული იარაღის გავრცელება: მეტი უკეთესი იქნება“, 1981 წ.), პირიქით, ემხრობა ბირთვული მუქარის გავრცელებას, როგორც მარეგულირებელ „ეფექტურობას“ რეგიონული წონასწორობის უზრუნველყოფის საქმეში.

ბირთვული იარაღის გავრცელება ახალი მუქარის ასპექტია, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე; ბალისტიკური რაკეტებისა და ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელება ამ მუქარის სხვა ასპექტია. სპარსეთის ყურის ომმა ნათლად აჩვენა ამ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის მოქმედება და საფრთხე, რომელსაც ის სამოქალაქო მოსახლეობისთვის წარმოადგენს. SIPRI-ის (სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი) მონაცემების მიხედვით, 25 სახელმწიფოს აქვს ან შეიძლება მომავალში ჰქონდეს ბალისტიკური რაკეტები, მათ შორისაა ეგვიპტე, ინდოეთი, ირანი, ისრაელი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, ლიბია, სირია და ტაივანი. ქიმიური ან კიდევ უარესი, ბაქტერიოლოგიური იარაღით შეიარაღებულ ამ რაკეტებს პოტენციურად პატარა ბირთვული ბომბების მსგავსი შედეგები შეიძლება ჰქონდეს. საშინელი აჩრდილი თან სდევს კაცობრიობას: ეს შეიძლება იყოს დიქტატორი, რომლის ლოგიკა ბირთვული მუქარის რაციონალურობას არ დაემორჩილება. ამ მხრივ, შესაძლებელია, რომ ძლიერმა სახელმწიფოებმა სახელდობრ, აშშ-მ, გაზარდოს ინტერვენციები უცხო ქვეყნებში ამ ტიპის მუქარის შესამცირებლად. ომი, რომელიც მან სპარსეთის ყურეში გააჩაღა ნაწილობრივ ამ პროექტს პასუხობდა.

4. 6. Statu quo-ს კონსოლიდაცია

მიუხედავად ბირთვული მუქარის პარადოქსებისა და რისკებისა, შედეგების გარკვეული აბსურდულობისა ცი, უნდა ვაღიაროთ, რომ ის ასევე მასტაბილიზებელ ელემენტს წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობებში. თუკი საბჭოთა კავშირმა სათანადოდ ვერ დააფასა ამ სტრატეგიული ორიენტაციის მნიშვნელობა, ფაქტობრივად მან მიიღო თავდაცვის კონცეფცია, რომელიც ტერორით მუქარის ანალოგიური იყო. ის ასევე ამ მუქარის შეზღუდვებს დაემორჩილა და შეეცადა არასოდეს გადაეზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კრიზისები აშშ-თან ან მის მთავარ მოკავშირეებთან შეიარაღებულ კონფრონტაციაში. ძლიერმა სახელმწიფოებმა თავიდან აიცილეს პირდაპირი შეტაკების სიტუაციები. 1960-იან წლებში ისინი მიხვდნენ, რომ კონფლიქტები კოლექტიური გადარჩენის მოთხოვნას უნდა დამორჩილებოდა. ამ სტრატეგიულმა ჩიხმა აშშ-სა და სსრკ-ს შესაბამისი გავლენის სფეროების დაცვა აიძულა, იმ კრიზისების შემცირება, რომლებიც მათი კონფლიქტური ურთიერთობებიდან შეიძლებოდა აღმოცენებულიყო და განევითარებინათ თანამშრომლობის მექანიზმები ბირთვული ომის გაჩაღების რისკების შესამცირებლად. პირველად მსოფლიო ისტორიაში, მოწინააღმდეგეები ორმხრივი გადარჩენის უზრუნველყოფაზე უნდა შეთანხმებულიყვნენ.

4. 7. შეიარაღების კონტროლი

მეორე მხრივ, ძლიერ სახელმწიფოთა მმართველი წრეები იძულებულნი გახდნენ ერთმანეთს შორის ადეკვატური საკომუნიკაციო სისტემა ჩამოეყალიბებინათ, რომელიც მათ აზრთა მუდმივი გაცვლის შესაძლებლობას მისცემდა. ამ სახელმწიფოებს თავიდან უნდა აეცილებინათ არა მხოლოდ შესაძლებელი ბირთვული შეტაკება, არამედ განსაკუთრებით, განგაშის მცდარი ინტერპრეტაცია. ურთიერთშორის აზრთა გაცვლამ ცივი ომის ინტენსივობა შეამცირა. კუბის კრიზისი გარდატეხის მომენტი გახდა ამ კონფლიქტის ხასიათში. აღნიშნული დროიდან გაწეული ძალისხმევა გამაღებული შეიარაღების კონტროლის საკითხში აშშ-სა და სსრკ-ს შორის თანამშრომლობის ურთიერთობების ნაწილი გახდა. შეიარაღების კონტროლი ითვალისწინებდა იარაღის რაოდენობის, ტიპის ან ამ სფეროში გარკვეული ტექნოლოგიების შემუშავების შეზღუდვას. ამგვარი პოლიტიკის მიზანი იყო ბირთვული მუქარის გაძლიერება ძლიერ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში, გარკვეული სამხედრო სტაბილურობის პირობების შექმნით, მათი კონფლიქტური ურთიერთქმედების მართვის გაიოლებით და აღნიშნულიდან მომდინარე კრიზისების შეზღუდვით, ისევე როგორც სამხედრო აპარატის შენარჩუნებისთვის აუცილებელი რესურსების შემცირებით.

1960-იანი წლებიდან შეიარაღების კონტროლი ძლიერი სახელმწიფოების ეროვნული თავდაცვის პოლიტიკაში იქნა ჩართული. აშშ-მ და სსრკ-მ ოცამდე შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომელთა მიზანს შეიარაღების კონტროლი წარმოადგენდა. 1963 წელს ამ სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავდა ბირთვული იარაღის გამოცდას ატმოსფეროში, ზეატმოსფერულ სივრცესა და წყალქვეშ. ამ ხელშეკრულებას ხელი არ შეუშლია მიწისქვეშა ექსპერიმენტების გაგრძელებისთვის და ამგვარად, ძლიერ სახელმწიფოებს თავიანთი ბირთვული იარაღის განვითარების უფლება ეძლეოდათ. 1967 წელს ზეატმოსფერული სივრცის შესახებ დადებული ხელშეკრულება კრძალავდა ბირთვული იარაღისა და მასობრივი განადგურების სხვა იარაღის დედამიწის ორბიტაზე განთავსებას. 1968 წელს ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, აიკრძალა ბირთვული იარაღის გადაცემა იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც ის არ გააჩნდათ ან ამ უკანასკნელთა მიერ ამ იარაღის შექმნა. 1995 წელს აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა განუსაზღვრელი დროით გაგრძელდა. თუმცა, ინდოეთმა,

პაკისტანმა და ისრაელმა უარი თქვეს ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე. 1960-იან წლებში სახელმწიფოებს შორის ანალოგიური ტიპის ბევრ შეთანხმებას მოეწერა ხელი, სახელდობრ, 1971 წლის ხელშეკრულება, რომელიც ამ სახელმწიფოთა მიერ ბირთვული იარაღისა და სხვა მასობრივი განადგურების იარაღის განთავსებას კრძალავდა, როგორც ზღვებისა და ოკეანეების სიღრმეში, ისე სანაპირო ზონაში. 1972 წელს მიღებული შეთანხმება ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ რატიფიცირებული იქნა ასზე მეტი სახელმწიფოს მიერ, მაგრამ მისი კონტროლის მექანიზმები არასრულყოფილია.

1970-იანი წლების დასაწყისში აშშ-მ და სსრკ-მ დამატებითი ნაბიჯი გადადგეს თავიანთი ანტისარაკეტო სისტემების განვითარების შეზღუდვის საკითხში. ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ (ABM) დადებული ხელშეკრულების თანახმად, მათ ვალდებულია აიღეს ამ ტიპის სისტემის განუთავსებლობაზე ორი პოლიგონის გარეთ, სადაც თითოეულს 100 რაკეტშიდზე მეტი არ ექნებოდა. 1974 წელს აღნიშნული ხელშეკრულების დამატებითი პროტოკოლის თანახმად, ამ სისტემების განთავსება ერთ პოლიგონამდე შეიზღუდა. ამავე დროს, შეთანხმებებით სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შესახებ (SALT) განსაზღვრული იქნა სტრატეგიული ბირთვული გამშვები დანადგარების რაოდენობა. 1974 წლის ახალი ხელშეკრულება კრძალავდა 150 კილოტონზე მეტი სიმძლავრის ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდას. 1979 წელს SALT II-ის შეთანხმებებით კვლავ შეიზღუდა სტრატეგიული ბირთვული იარაღის სამიზნეების რაოდენობა და ტიპი. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებული არ იქნა აშშ-ის მიერ, მაგრამ თითოეულმა მხარემ სურვილი გამოთქვა მისი დებულებების განხილვის თაობაზე.

ზემოაღნიშნული შეთანხმებების შედეგები სხვადასხვაგვარად შეფასდა. გამალებული შეიარაღება, პოლიტიკური ანტაგონიზმების მიზეზზე მეტად, ამ უკანასკნელთა გამონახულებაა. ამგვარად, SALT-ის შეთანხმებებს ხელი არ შეუშლია გამალებული შეიარაღებისთვის; პირიქით, ისინი დაემთხვა კიდევ ახალი სისტემების უპრეცედენტო ზრდას სახელდობრ, მრავალმუხტიანი ქობინებისა და ფრთოსანი რაკეტების რაოდენობის გაზრდას. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, აშკარაა, რომ ამ შეთანხმებებზე ზედმიწევნითმა მოლაპარაკებებმა ორივე ბანაკის სტრატეგებს შორის კომუნიკაციას შეუწყო ხელი. 1980-იან წლებში შეიქმნა განმუხტვის, შეიძლება ითქვას, ორმხრივი ნდობის კლიმატი ცივი ომის დასასრულს. ამერიკისა და სსრკ-ს მმართველი წრეებისთვის ნათელი გახდა, რომ ბირთვულ ხანაში საკუთარი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად გამოსავალი მხოლოდ ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებაშია.

4. 8. პირველი შეთანხმებები განიარაღების შესახებ

საბჭოთა კავშირში რეჟიმის შეცვლამ ახალი შეთანხმებების ხელმოწერა დააჩქარა, რომლებიც პირველად ითვალისწინებდა განიარაღების ქვეშეშეპროცესს, რადგან წინათ ხელმოწერილი შეთანხმებები გამალებული შეიარაღების შეზღუდვით შემოიფარგლებოდა. საბჭოთა მმართველებმა ნათლად განაცხადეს სამხედრო დოქტრინის ცვლილების შესახებ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამიერიდან მათი სტრატეგია ომის თავიდან აცილება იქნებოდა და ამ მიზნის მისაღწევად ისინი შეიარაღების საკმარისი დონით დაკმაყოფილდებოდნენ. 1987 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილი ხელშეკრულება საშუალო მოქმედების რადიუსის ბირთვული ძალების (FNI) შესახებ ამერიკული და საბჭოთა "მიწა-მიწის" ტიპის რაკეტების ხმარებიდან ამოღებას ითვალისწინებდა, რომელთაც 1 000-დან 5 500-მდე კილომეტრისა და 500-დან 1 000 კილომეტრის რადიუსი ჰქონდათ. ამ ხელშეკრულების სიახლეს წარმოადგენდა დებულებები, რომლებიც მოწინააღმდეგის ინსპექტორების მიერ ადგილზე შემოწმებას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, აშშ-მ და სსრკ-მ ორმხრივი მოლაპარაკებები გამართეს თავიანთი შეტევითი სტრატეგიული იარაღის (START) სხვადასხვა კატეგორიების შეზღუდვის

საკითხზე. შეთანხმების ჩარჩოს ხელი მოეწერა 1991 წლის ივლისში ჯ. ბუმსა და მ. გორბაჩოვს შორის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ამ მხრივ, ის არსებით შეზღუდვებს ითვალისწინებდა. 2002 წლის 13 მაისს ვ. პუტინმა და ჯ. ბუმმა განაცხადეს სტრატეგიული შეიარაღების სხვა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ, რომლის თანახმად, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს 2 000-მდე უნდა შეემცირებინათ ბირთვული ქობინების რაოდენობა აღნიშნული დროიდან 2012 წლამდე. ეს იარაღი უნდა განადგურებულიყო ან შენახულიყო. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს არა მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ახალი პოლიტიკური და სტრატეგიული თანხვედრის შედეგს, რომელიც ცივი ომის დასრულებას მოჰყვება, არამედ ასევე ასახავს რუსეთის მიერ ეკონომიკური და სამხედრო სტატუსის შენარჩუნების უუნარობას.

პარალელურად, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს აღსანიშნავი პროგრესი ჰქონდა 1990 წლის 19 ნოემბერს პარიზის ხელშეკრულებაზე (FCE-ის ხელშეკრულება) ხელმოწერით, რომელიც ნატოსა და ვარშავის პაქტის ქვეყნებისთვის ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების, საარტილერიო ქვემეხების, თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების რაოდენობის ზღვარს ადგენდა. ეს ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ზედამხედველობის კომპლექსური სისტემის განთავსებას, რომელიც მოიცავს მონაცემთა გაცვლას, ადგილზე ინსპექციასა და გასანადგურებელი სამხედრო ტექნიკის კონტროლს.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების დასრულების შემდეგ, ძლიერმა სახელმწიფოებმა გარკვეული დროის მანძილზე მოუხშირეს ცალმხრივი განიარაღების ქმედებებს. უნევის მოლაპარაკებები ქიმიური იარაღის აკრძალვასთან დაკავშირებით 1993 წლის 15 იანვარს 159 სახელმწიფოს მიერ შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა, რომლის რატიფიკაცია შემდგომში 135 სახელმწიფომ მოახდინა. მიღებული შეთანხმება კრძალავდა ამ იარაღის წარმოებას და ათი წლის განმავლობაში მისი მარაგის განადგურებას ითვალისწინებდა. ამ შეთანხმების თანახმად, მასში მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებული იქნება არასდროს: ა) აწარმოოს ან შეინახოს ქიმიური იარაღი და პირდაპირი ან შემოვლითი გზით ის ვინმეს გადასცეს; ბ) გამოიყენოს ქიმიური იარაღი; გ) წამოიწყოს ნებისმიერი სამხედრო მზადება ქიმიური იარაღის გამოყენების მიზნით; დ) ნებისმიერი ფორმით ვინმეს დაეხმაროს, გაამხმევოს ან უბიძგოს იმ ქმედებისკენ, რომელიც აღნიშნული შეთანხმებითაა აკრძალული. გარდა ამისა, შეთანხმებაში მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებული იქნება გაანადგუროს ქიმიური იარაღი, რომელსაც ის ფლობს ან რომელიც მისი იურისდიქციის ან კონტროლქვეშ მყოფ ადგილებშია განთავსებული. ამ შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ჰააგაშია განლაგებული. ეს ორგანიზაცია აღნიშნული შეთანხმების შესრულების გაკონტროლების მანდატითაა აღჭურვილი. ის აწესებს შემოწმების განსაზღვრულ და შეზღუდვებულ ზომებს, მას ასევე აქვს ინსპექციისა და გამოძიების პროცედურების ჩატარების შესაძლებლობა იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, რომლებიც თავიანთი ვალდებულებების დარღვევაში არიან ეჭვმიტანილნი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაშინვე უარყო ამ შეთანხმებასთან დართული პროტოკოლის მიღება, რომელიც კონტროლის მექანიზმებს აძლიერებდა. ამავე დროს, ბირთვული ცდების გოტალური აკრძალვის ხელშეკრულების (CTBT) რატიფიკაციაზე უარის თქმით ამერიკის სენატმა მძიმე დარტყმა მიიყენა ბირთვული განიარაღების ძალისხმევას. დღეისათვის აშშ ახორციელებს ანტისარაკეტო სისტემების განვითარებას, რომელიც საფრთხეს უქმნის განიარაღების შეთანხმებებს.

4. 9. არაბირთვული სტრატეგიები

როგორც ვნახეთ, კლაუზევიცის თეორიის აქსიომებს ამ ავტორის გარემოსგან ძალზე განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური კონფიგურაციების განმარტება შეუძლია.

გარდა ამისა, სტრატეგები უცილობლად არ მოქმედებენ კლასიკური ომების ჩარჩოში. კლაუზევიცი საგულისხმოდ მიიჩნევს პარტიზანულ ომებს, რომელთაც ანგარიშგასაწევი მნიშვნელობა ჰქონდათ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლებში ან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ გამოყოფისთვის წარმოებულ მოძრაობებში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში გაერო სამოქალაქო ომების ზრდის პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელთაც ხშირად „ეთნიკურს“ უწოდებენ. ისინი ასევე გარკვეული ჯგუფების მობილიზებას ახდენენ, რომლებიც იშვიათი რესურსების გაკონტროლებისთვის იბრძვიან. ამ ომებს რეგიონული მნიშვნელობის გამოძახილი აქვთ, რადგან სხვადასხვა სახით „უცხოურ“ ინტერვენციებსა და დევნილთა დიდ ნაკადს იწვევენ. ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო ომებს შედეგად გაეროს ცისფერჩაფხუტიანებისა და ძლიერი სახელმწიფოების სამხედრო ძალების ჩარევა მოსდევს. მიმდინარე ემპირიული ანალიზის თანახმად, გარკვეული შედეგები დადგინდა, რომლებიც „Journal of Peace Research“ – ში („მშვიდობის კვლევის ჟურნალი“) (33, 3 1996 წ.; 40, 5, 2003 წ.) გამოქვეყნდა. ამ შედეგების თანახმად, 1975 წლიდან სამოქალაქო ომების სიხშირე ბევრად აღემატება სახელმწიფოთშორისი კონფლიქტებისას; 116 კონფლიქტიდან 1989 წლიდან 2002 წლამდე არსებულ პერიოდში მხოლოდ 7 კონფლიქტი იყო სახელმწიფოთშორისი, 91 შიდასახელმწიფოებრივი, 18-მა კი საერთაშორისო მასშტაბის შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის ფორმა მიიღო. ლონდონის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სხვა კვლევების თანახმად, მსოფლიოში 1999-2000 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომებიდან, 11-ს საჰარის უდაბნოს სამხრეთით ჰქონდა ადგილი. ამგვარად, საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნების სამ მეოთხედში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის შეიარაღებულ კონფლიქტს, რასაც შედეგად მოჰყვა 14 მილიონი დევნილი და თავშესაფრის მაძიებელი, მათ შორის 3,5 მილიონი აფრიკელი იყო. 21 მილიონი ადამიანი გადაადგილებული იყო საკუთარი ქვეყნის შიგნით, მათგან ნახევარი აფრიკაში. აშშ, რუსეთი, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო ამ კონფლიქტებისთვის იარაღის ძირითადი მიმწოდებელია.

დღეისათვის, ტერორიზმი ხშირად ამ კონფლიქტების შემადგენელი ნაწილია. მართლაც, თანამედროვე შეიარაღების განვითარებამ ხელი შეუწყო, როგორც ტერორიზმის როლის, ისე მისი გავლენის გაზრდას. შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმი ბრმად ურტყავს სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც ტერორისტული მოძრაობების მთავარი სამიზნეა. თუმცა, ტერორიზმს იშვიათად აქვს გაუაზრებელი სტრატეგია. მისი მსხვერპლი შემთხვევითი სამიზნეებია. მაგრამ ეს სამიზნეები ეთნიკურ ჯგუფს ან სოციალურ წესრიგს განეკუთვნებიან, რომელთა დამარცხებაც ტერორისტულ მოძრაობებს სურთ. ამ უკანაკნელთ პოლიტიკური მიზნები აქვთ. მკვლევლობებითა და დასახიჩრებებით ისინი პანიკას თესავენ, რომელიც მოწინააღმდეგის დემორალიზაციისთვისაა გამიზნული, ამ უკანასკნელისგან პოლიტიკური სარგებლის მისაღწევად: მაგალითად, მოლაპარაკებები სამშვიდობო შეთანხმებაზე ან „საერთაშორისო თანამეგობრობის“ ყურადღების მიპყრობა. აღნიშნულ მოძრაობებს დიდად შეუწყო ხელი თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების, განსაკუთრებით კი საჯარო სივრცის განვითარებამ, რომელიც გაზეთებს, რადიოსა და ტელევიზიას მოიცავს. 1940-ანი წლების განმავლობაში სიონისტური ტერორისტული ჯგუფები დიდი ბრიტანეთის მანდატის დასრულების მიღწევას ცდილობდნენ. ისინი ასევე თავს ესხმოდნენ არაბულ მოსახლეობას პალესტინიდან განდევნის მიზნით. ალჟირელი მებრძოლები ბრძოლის ანალოგიურ მეთოდებს იყენებდნენ ფრანგების წინააღმდეგ. 1970-იან წლებში საკუთარი მიზნისთვის საერთაშორისო ყურადღების მისაქცევად პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობებმა ააფეთქეს სამოქალაქო თვითმფრინავები, მოკლეს ისრაელელი სპორტსმენები. ბოლო წლებში, მათ ტერორისტული თვითმკვლელობის თავდასხმებს მოუხშირეს ისრაელის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. ტერორიზმს ასევე შეიძლება განსაკუთრებული მიზნები ჰქონდეს, როგორიცაა დასავლეთის ცივილიზაციის განადგურება ან კაპიტალისტური სისტემის დანგ-

რევა. საერო რეგოლაციონერობის დაღმასვლასთან ერთად, ორგანიზებული ძალადობის ამ ფორმას დღეს ძირითადად ისლამისტური ჯგუფები უჭერენ მხარს, რომლებიც ქმედითნი არიან იმდენად, რამდენადაც ჩაგვრით გამოწვეული დამცირებისა და სიღარიბის მძაფრი შეგრძნებით საზრდოობენ. ისინი ტრანსნაციონალურ საფუძველს ეფუძნებიან, მსხვერპლ-შეწირვის მქადაგებელ იდეოლოგიაზე ყალიბდებიან, ჰყავთ ქარიზმატული ლიდერები და აქვთ რესურსები.

ტერორის სტრატეგია არაა მხოლოდ ექსტრემისტული მოძრაობების ატრიბუტი. ხშირად, მთავრობები ხელისუფლების შესანარჩუნებლად ან საკუთარი მიზნების მისაღწევად ტერორს მიმართავენ მასობრივი დაჭერებით, წამებითა და მკვლელობებით. ზოგიერთი სახელმწიფო თავის სამხედრო უპირატესობას იყენებს – მაგალითად, დაბომბვები – მოწინააღმდეგე სამოქალაქო მოსახლეობის ან დისიდენტურად განწყობილი ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ. რთულია ტერორიზმის ცნების ზუსტად განსაზღვრა იმ სტრატეგიული ორიენტაციების პოლისემიური ხასიათის გამო, რომელსაც ის მოიცავს.

სახელმწიფო და ეკონომიკური ურთიერთობების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობები ასევე ეფუძნება ქვეყნებს შორის საწარმოო, სავაჭრო და ფინანსურ საქმიანობებს. მრავალ ასპექტში, სახელმწიფოები პირდაპირ არიან ჩართულნი საერთაშორისო სავაჭრო და საწარმოო ურთიერთობებში: მათ აქვთ ეროვნული ან უცხოური საწარმოების კაპიტალის ნაწილის განკარგვის უფლება და შეუძლიათ თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ზოგიერთი საწარმოო ან კომერციული ჯგუფების ინტერესების დაცვა; შიდა ბაზრის გახსნა ან სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანება საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების მიზნით; ასევე, სავალუტო ოპერაციების გაკონტროლება ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისთვის, სესხის პროცენტის შეცვლა, სავალუტო ბაზარზე შეღწევა და პარიტეტების მოდიფიცირება ან სხვა სახელმწიფოებთან მონეტარული კავშირის ჩამოყალიბება. ისინი პირდაპირ არიან ჩართულნი საერთაშორისო საფინანსო საქმიანობაში, – დეფიციტის დასაფინანსებლად სახელმწიფოებს შეუძლიათ კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ფულადი რესურსების მობილიზება ან ფულადი სახსრების ნაშთის ჩადება სხვა სახელმწიფოთა ან უცხოური კომპანიების მიერ გამოცემულ ფასიან ქაღალდებში; ასევე უფლება აქვთ თავიანთ საწარმოებსა და ბანკებს უცხოური ვალუტის დანაზოგების გამოყენების ნება დართონ ან პირიქით, მათი გამოყენება შეზღუდონ ან არარეზიდენტებისთვის ეროვნული დანაზოგებიდან სესხების გაცემა დაუშვან.

ყველა აღნიშნულ საქმიანობას შეუძლია, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გამოწვევა, ისე თანამშრომლობის პროცესების ხელშეწყობა. სწორედ ამ კუთხით, უკვე სამი ათეული წელია, რაც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები დიდ ინტერესს იჩენენ ამგვარი საქმიანობების მიმართ. აქედან გამომდინარე, ფართოვდება პრობლემატური სფეროს ანალიზი. როგორც კი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს კერძო აქტორები შემოჰყავს, ჩნდება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სტატუსი უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელთ სახელმწიფოებთან მიმართებაში და როგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი შესაბამისი ქცევა. ამგვარად, თეორიული მიზანი მდგომარეობს ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების კონცეპტუალური ინსტრუმენტების ლოგიკურ მთლიანობად ჩამოყალიბებაში.

ზოგიერთების აზრით, მიკროეკონომიკური ანალიზი ყველაზე კარგადაა მისადაგებული ამ ორი მიდგომის გასაერთიანებლად. ის ეფუძნება აქსიომატიკას – აქტორთა რაციონალურობა, რომელთა ქცევები საკუთარი პრეფერენციების მაქსიმიზაციას ითვალისწინებს – ,რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, როგორც ეკონომიკური აგენტების, ისე სახელმწიფოების შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით, ორივე მიდგომა ეფექტურობის მისაღწევად გამოიყენება, რომელიც იღებს მოგების ძიების ფორმას ეკონომიკური აქტორებისთვის და უსაფრთხოების ან სიძლიერის მიღწევასა სახელმწიფო აქტორებისთვის. ამ მიზნით მათი ქცევა სტრატეგიული გათვლითაა განსაზღვრული, რომელზეც გავლენას ახდენს ამ უკანასკნელთა მოლოდინი თავიანთი კონკურენტების ქცევასთან მიმართებაში. კერძო და საჯარო სფერო ერთმანთს კვეთს, თითოეული ცდილობს თავისი მოქმედების სფეროს გაზრდას სხვა სფეროს ჩართვით და, ამავე დროს, ზოგჯერ იძულებულია შესაბამისი რეგულაციები განა-

ხორციელს. ეს ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების ორმა მიმდინარეობამ გაიაზრა, ნეორეალიზმმა და ურთიერთდამოკიდებულების (ან ტრანსნაციონალიზმის) პარადიგმამ. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი სახელმწიფოს, მეორე კი ეკონომიკურ აქტორებს ანიჭებს სხვა სფეროს რეგულირების თავს მოხვევის უნარს.

სახელმწიფოსთვის ან ბაზრისთვის უპირატესობის მინიჭებაზე მეტად, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის მესამე მიდგომა მათი ურთიერთქმედების ანალიზს გვთავაზობს, – უფრო გაშუალებულს ვიდრე უშუალოს. მართლაც, ეს ურთიერთქმედება საერთაშორისო სისტემაში ჩართული სხვადასხვა სტრუქტურების ჩარჩოში ხორციელდება, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებას, წარმოებას, ფინანსებას და ცოდნას. ზოგიერთ მათგანში, ფინანსებით დაწყებული, სახელმწიფოებმა კერძო აგენტები იმგვარი ძალაუფლებით აღჭურვეს, რომ ეს უკანასკნელნი საგრძნობლად ზღუდავენ მათი მანევრირების თავისუფლებას. ამიერიდან ძალაუფლება ხორციელდება ურთიერთგადაკვეთილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპლექსურ ქსელებში, რომლებსაც რაციონალური არჩევანის ანალიზი ვერ განმარტავს. ხომ არ ხდება აღნიშნული იმის გამო, რომ ეს ქსელები დაშლილია და ისინი კოგნიტიურ მოდელებს, სოციალურ პრეფერენციებს ან ემოციურ რეაქციებს ექვემდებარებიან, რომლებიც ყოველთვის არ შეესაბამებიან ინსტრუმენტულ ლოგიკას.

მარქსისტული ანალიზი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს აღიქვამს, როგორც ძალთა ბალანსის გამოხატულებას, რომელიც ერთმანეთს კაპიტალსა და შრომას უპირისპირებს. მოგების მიღება და რეალიზება მისი ძირითადი დინამიკაა. სახელმწიფოები წარმოადგენენ მხოლოდ ინსტიტუციურ ფორმას იმისა, რასაც საწარმოო და სოციალური ურთიერთობები მოცემულ მომენტში იძენენ. ისინი აკუმულაციის პროცესს უწყობენ ხელს და წინააღმდეგობების მართვას ცდილობენ. კაპიტალი ექსპანსიურ ლოგიკას ექვემდებარება: ის მსოფლიო დონეზე ვრცელდება და ნედლეულის მოძიებას ცდილობს მისი ღირებულების ასაწევად, ეძებს მუშახელს ექსპლუატაციისთვის, ახალ ბაზრებს საქონლის გასასაღებლად. ამგვარად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მარქსისტული ანალიზის მთავარი ობიექტი კაპიტალის გეოპოლიტიკაა, ე. ი. იმ პროცესებისა, რომელთა მეშვეობით ეს კაპიტალი მსოფლიო სივრცის ინვესტირებას ახდენს ურთიერთდამოკიდებულების კავშირების შექმნით სამრეწველო ქვეყნებს შორის და დამოკიდებულებისა ამ უკანასკნელთა და დანარჩენ მსოფლიოს შორის.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გასააზრებლად საჯარო და კერძო სფეროების გაერთიანება საგრძნობლად განსხვავდება მიღებული შეხედულებების მიხედვით. ამავე დროს, ეს შეხედულებები ყოველთვის არ იყო ჩამოყალიბებული თანამედროვე მკვლევარების მიერ. მათი კონცეპტუალური ინსტრუმენტები პოლიტიკური ეკონომიის ოთხი სისტემით სააზრდობს, რომელიც XVI – XIX საუკუნეებში შეიქმნა. ეს სისტემებია მერკანტილიზმი, ლიბერალიზმი, ეკონომიკური ნაციონალიზმი და მარქსიზმი. აღნიშნული დოქტრინები გვთავაზობს, როგორც კონცეფციებს, ისე არსებულ პრაქტიკებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია მათი აქსიომატიკის განხილვა. მომდევნო თავი სწორედ ამ საკითხს ეძღვნება, შემდეგ კი განხილული იქნება თანამედროვე კვლევითი პროგრამები, რომლებიც მოიცავს ურთიერთობას დომინანტურ ეკონომიკურ სტრუქტურებსა და საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ დინამიკას შორის.

თავი III

საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკურ უზრუნველებაში

ეკონომიკური უზრუნველება შეიძლება განისაზღვროს როგორც რეფლექსია სახელმწიფოსა და მის როლზე საწარმოო და სავაჭრო საქმიანობაში. ასევე ურთიერთობებზე სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებით კი კომერციულზე. ეს ასპექტი აშკარად ჩანს პირველ ეკონომიკურ თხზულებებში, რომელთაც მერკანტილიზმი უწოდეს, მაგრამ ის ასევე სახეზეა ლიბერალიზმში, ეკონომიკურ ნაციონალიზმსა და მარქსიზმში. მნიშვნელოვანია ამ კლასიკური დოქტრინების განხილვა, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს, როგორც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის კონცეფციებზე, ისე სამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკაზე (Ariffin, 1977).

1. მერკანტილიზმი

XVI საუკუნიდან მოყოლებული, პუბლიცისტები წერდნენ ტრაქტატებს, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების ეკონომიკურ განზომილებასთან დაკავშირებულ განსჯას მოიცავდა. ამ ლიტერატურის გამოჩენა ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიული ცენტრალიზაციის ფენომენს ემთხვევა. ის მომდინარეობს მეფის კართან ახლოს მყოფი ადამიანებიდან და, ასევე, კომერსანტებისა და ფინანსისტების ჯგუფებიდან, რომლებიც სუვერენს რჩევებს სთავაზობენ საგადასახადო და ფინანსურ, მომარაგების, ფასებისა და უცხოეთთან ვაჭრობის საკითხებში. ამ ტიპის ლიტერატურის რაოდენობა, თუკი ჯობიერ უმპეტერის ტერმინს გამოვიყენებთ, „ადმინისტრაციის ექსპერტების“ გამრავლებასთან ერთად მატულობს. ამგვარად, ეს ლიტერატურა ძირითადად გარემოებასთან დაკავშირებული თხზულებებისგანაა შემდგარი, რომელიც უმაღლესმა ხელისუფალმა სპეციფიკურ კონტექსტში უნდა გამოიყენოს. აღნიშნული მახასიათებლები ამ ლიტერატურისგან მთლიანობაში რთულად აღსაქმელ ობიექტს ქმნის, იმ შემთხვევაშიც, თუ მას ერთ მთლიანობაში განვიხილავთ მერკანტილიზმის სახელწოდებით. სიტყვის ეტიმოლოგია იმაზე მიგვითითებს, რომ საქმე ეხება თხზულებებს, რომელთა ობიექტი სავაჭრო საქმიანობაა; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თხზულებები განსხვავდება აშკარად გამოხატული პოლიტიკური პერსპექტივით იმდენად, რამდენადაც ისინი ცდილობენ ეკონომიკის აყვანას სუვერენი ხელისუფალის კომპეტენციებისა და ვალდებულებების რანგში, სახელმწიფოს კონსოლიდირებასა და მისი პრესტიჟის ამაღლებას. ამ მიზნით, ისინი სახელმწიფოზე ახალი წარმოდგენების შექმნას უწყობენ ხელს, როგორც მორალის, მართვისა და ძალაუფლების ინსტიტუტისა.

სახელმწიფოს, როგორც მორალის ინსტიტუტის წარმოდგენისას, მერკანტილისტები უარყოფენ ეკონომიკურ (oikίos) და პოლიტიკურ (politikos) სფეროებს შორის არისტოტელეს მიერ გაკეთებულ განსხვავებას. არისტოტელეს აზრით, ეს ორი სფერო ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს: პირველი მომდინარეობს „სახლის გონიერი და ლეგიტიმური მართვიდან მთელი ოჯახის საკეთილდღეოთ“; მაშინ როდესაც მეორე „ქალაქის მართვას ეხება“. თავის მხრივ, მერკანტილისტები ცდილობენ ამ ორი ცნების გაერთიანებას პოლიტიკური ეკონომიის ერთ სინტაგმაში. ამით ისინი ხელს უწყობენ არა მხოლოდ ახალი დისციპლინის შექმნას, რომელსაც შემდგომში უდიდესი აღმავლობა ექნება, არამედ სახელმწიფოს მორალის ჩამოყალიბებას, სადაც polis-ის სუვერენს იგივე პასუხისმგებლობები აქვს, რაც მამას ოჯახის მიმართ: ამ უკანასკნელს ევალება თავისი წევრების არსებობის, რეპროდუქციისა და „კეთილდღეობის“ უზრუნველყოფა.

სუვერენისა და ოჯახის მამის ფუნქციების გაერთიანება ასევე ხელს უწყობს სახელმწიფოზე, როგორც მართვის ინსტიტუტზე არსებული წარმოდგენების მოდიფიცირებას. მართლაც, ის ცხადყოფს მართვის ხელოვნების ეკონომიკურ ნიადაგზე განვითარებას – მატერიალური კეთილდღეობის ძიება, რომელსაც არისტოტელე მხოლოდ ოჯახს მიაკუთვნებს, მმართველობის ლეგიტიმური ამოცანის რანგშია აყვანილი. კომპეტენციები, რომლებიც უმაღლესმა ხელისუფლებამ ამ მიზნით უნდა გადაანაწილოს, საუკუნეების განმავლობაში ფართოვდება და თანდათანობით მოიცავს საკვები პროდუქტების უსაფრთხოებას, ფინანსებს, ხელოსნობისა და მანუფაქტურის სექტორს. ამ შემთხვევაში, აშკარად სახეზეა „მფარველი სახელმწიფოების“ წინამორბედები, რასაც შემდგომში განვიხილავთ.

დაბოლოს, მერკანტილიზმმა დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფოს, როგორც ძალაუფლების ინსტიტუტის შესახებ წარმოდგენების რეკონცეპტუალიზაციას. აღნიშნული თხზულებების უმრავლესობის მიზანი სახელმწიფოს ძლიერების გაზრდის ხელშეწყობაა მისი გამდიდრებით. ამ მიზნისთვის ბევრი პუბლიცისტი ემხრობა პოპულაციონისტურ პოლიტიკას: ძვირფასი მეტალების დაგროვება, სამრეწველო საწარმოების შექმნის სტიმულირება, სამეფოს (ან რესპუბლიკის) განთავისუფლება უცხოეთზე ძლიერი დამოკიდებულებისგან, მუდმივად ხელსაყრელ სავაჭრო ბალანსზე ზრუნვა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესები ურთიერთ საპირისპიროა, იმდენად რამდენადაც ეს უკანასკნელნი კონკურენციაში შედიან შეზღუდული საერთო სიმდიდრის მისაკუთრებისთვის. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ვაჭრობა ნულოვანი შედეგით თამაშია: იმას, რასაც ერთი მოიპოვებს, მეორე კარგავს.

ამ მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობები აღნიშნულ ლიტერატურაში ფუნდამენტურ მოცემულობად წარმოჩნდება. ავტორების უმრავლესობის აზრით, საშინაო და საგარეო ერთმანეთს მუდმივად კვეთს, ისევე როგორც პოლიტიკური ეკონომია და სამხედრო სტრატეგია. მაგალითად, უილიამ პიტის „პოლიტიკური არითმეტიკის“ მთელი მცდელობა მდგომარეობს სახელმწიფოს სიმდიდრის გამოთვლაში შედარებითი მეთოდის გამოყენებით. ადამიანთა რაოდენობა და სტატუსი, ისევე როგორც ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა, საერთაშორისო კონტექსტშია ჩასმული. სასურველია მეზობლებზე (და პოტენციურ მტრებზე) მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ყოლა, რადგან ამ უკანასკნელს არმიის რიგების გაზრდა შეუძლია; სახელმწიფოს ქვეშევრდომების გამომგონებლობის უნარის განვითარება სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე მეტად, პოტენციურად მტრულად განწყობილი უცხოეთისგან ეკონომიკური დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად; სხვა ერებზე მეტი ოქროსა და ვერცხლის ქონა, რადგან ძვირფასი მეტალები შეიძლება ომისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყოს. მერკანტილისტურ თხზულებებში ეკონომიკური სიძლიერე განისაზღვრება არა თავისთავად, არამედ „მისი ურთიერთობით მსოფლიო ძალთა ასპარეზთან“, როგორც ამას ფურკე შეგვახსენებს (1989 წ., გვ. 174).

2. ლიბერალიზმი

სახელმწიფოზე ზემოაღნიშნული წარმოდგენების საპირისპიროდ, ადამ სმითმა, ფიზიოკრატების შემდეგ, თავისი ცნობილი ბუნებრივი თავისუფლების სისტემა ჩამოაყალიბა, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის მეორე სისტემაა. ფაქტის პოსტულირებით, რომ ინდივიდები ქვეყნის იმგვარ მიმართულებას მიჰყვებიან, რომელიც საზოგადოებისთვის ყველაზე ხელსაყრელია, იმდენად რამდენადაც მთავრობა მათ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გატარების შესაძლებლობას აძლევს, სმითი სახელმწიფოს, როგორც მორალისა და მართვის ინსტიტუტის მერკანტილისტურ კონცეფციებს რადიკალურად ემიჯნება. თუმცა, სმითს პირველს არ ჩამოუყალიბებია ეს ჰიპოთეზა. მან ძალზე ზედმიწევნით შეისწავლა სხვადასხვა

პიროვნებების მიერ ათწლეულების განმავლობაში გამოთქმული მოწოდებები, გამონათქვამები და სლოგანები ლა მანშის ორივე მხარეს. ტიურგოსა და ჰიუმის გარდა, ამ პიროვნებათა შორისაა ვინსენტ დე გურნეი (1712-1759 წწ.), მსხვილი კომერსანტი, რომელსაც ცნობილ გამონათქვამს მიაწერენ „ხელს ნუ შეუშლით, ნუ შეზღუდავთ თავისუფალ ვაჭრობას, მსოფლიო თავად განვითარდება“; რენე ლუი დე ვუაიერი, მარკიზ დ'არჟენსონი (1694-1757 წწ.), ძალზე მდიდარი სენიორი და საგარეო საქმეთა მინისტრი ლუი XV-ს დროს, რომლის გაზეთიც სავსეა მსგავსი გამონათქვამებით: „უკეთესად რომ მართო, ნაკლებად უნდა მართო“; და რა თქმა უნდა, ფიზიოკრატების სკოლა, რომლის ზოგიერთი ეკონომიკური რეცეპტი საფრანგეთში უკვე გამოყენებაში იყო „ერების სიმდიდრის“ გამოქვეყნების დროს. ეჭვგარეშეა, რომ სმითმა პირველმა გამოიყენა ასეთი სისტემატური ფორმით ინტერესთა ბუნებრივი იდენტობის პრინციპი ეკონომიკურ სფეროში.

რაში მდგომარეობს ინტერესთა ბუნებრივი იდენტობის პოსტულატი? ის სამი ურთიერთკავშირში მყოფი ვარაუდისგან შედგება. პირველ რიგში, ესაა ინდივიდებს შორის *ex ante*-ს იდენტობის პოსტულირება: ამ თვალსაზრისით, პირადი ინტერესი ყველა ინდივიდისთვის ერთადერთი უნივერსალური მამოძრავებელი ძალაა, სმითის ეკონომიკაში ის სოციალური კავშირის ძირითად როლს ასრულებს, უფრო ზოგადად კი ადამიანთა გამაერთიანებლისას. მეორე პოსტულატია *ex post*-ის იდენტობა: ინდივიდუალური ინტერესები სპონტანურად საერთო ინტერესში გადადის. დაბოლოს, შედეგის გზით, აშკარა გამოუსადეგარობა, – საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე წარმოგვიდგენია – სახელმწიფოსთვის ინტერესთა მოჩვენებითი იდენტიფიკაციის ზედამხედველობის დაკისრება.

ხომ არ უნდა დავასკვნათ აღნიშნულიდან, რომ სმითის მმართველობითი ეთიკა სუვერენს მთლიანად ანთავისუფლებს ეკონომიკაში ჩარევის ვალდებულებისგან, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპექტში? რა თქმა უნდა არა. ავტორს სახელმწიფოს ჩარევა სამ ძირითად ფუნქციამდე დაჰყავს: ქვეყნის დაცვა, სამართლის განხორციელება და „გარკვეული საჯარო სამსახურებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და მხარდაჭერის ვალდებულება, რის გაკეთებასაც ვერასდროს შეძლებს ერთი ან რამდენიმე კერძო პირის პირადი ინტერესი, რადგან მოგება დანახარჯს ვერ აანაზღაურებს“ (IV, 9). ცნობილია, რომ სმითის მიმდევრების თხზულებებში მხოლოდ გაზრდილია ამ პირველი ჩამონათვალის გამონაკლისების რაოდენობა.

როგორ წარმოგვიდგენს ეკონომიკური ლიბერალიზმის დოქტრინა სახელმწიფოს ძალას? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის გვერდს უვლის პრობლემას „მშვიდობიან ვაჭრობასთან“ მიმხრობით, რომელიც მონტესკიემ უკვე განავითარა. ამ უკანასკნელის ცნობილი ფორმულით „ვაჭრობის ბუნებრივი შედეგი მშვიდობის ხელშეწყობაა. ორი ერი, რომელსაც ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობები აქვს ურთიერთდამოკიდებული ხდება: თუკი ერთის ინტერესია ყიდვა, მეორის გაყიდვა; და ყველა კავშირი ორმხრივ საჭიროებაზეა დამყარებული“ („კანონთა გონის შესახებ“, XX, 2). სმითი ასევე ძლიერი აღტყინებით უარყოფს მერკანტილისტურ იდეას, რომლის თანახმად, ძალის პოლიტიკა თავისთავად უფრო მომგებიანია ეკონომიკური ურთიერთობის დროს. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამგვარი პოლიტიკა ფიტავს ერის რესურსებს და საპასუხო ზომებს იწვევს სხვა სახელმწიფოთა მხრიდან. თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი, რომელიც სხვა ლიბერალმა ავტორებმა აიტაცეს, მდგომარეობს პირველ რიგში, მშრომელისა და მომხმარებლის ინტერესის შეფასებაში, – შრომა და მოხმარება სმითისთვის წარმოების ორი ძირითადი პირობაა: „მდიდარი ერის ქარხნების მეპატრონეები უდავოდ შეიძლება ძალზე საშიში მეტოქეები იყვნენ მეზობელი ერის ქარხნების მეპატრონეებისთვის. თუმცა, თავად ეს კონკურენცია ხალხის სასარგებლოდ ტრიალდება, დიდ სარგებელს პოულობს ქარბი პროდუქციის გასაღებაში, რომელიც მას ყველა სახის სამუშაოსთვის უხსნის გზას“ (IV, 3). ამგვარად, ქვეყანა დაინტერესებულია საქონლის იმ სექტორებში იმპორტირებით, რომლებ-

შიც წარმოების ფასები მაღალია უფრო კონკურენტულ სექტორებში საქონლის ექსპორტის სანაცვლოდ. რიკარდომ კარგად ჩამოაყალიბა და განავრცო ეს შეხედულებები თავის ტრაქტატში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ (1817 წ.). მისი კანონი შედარებითი უპირატესობის შესახებ ცხადყოფს, რომ ქვეყანა დაინტერესებულია საქონლის იმპორტირებით, იმ საქონლის ჩათვლითაც, რომლის წარმოებაც მას უფრო იაფად შეუძლია, რამდენადაც ის თავის საექსპორტო საქმიანობას მიმართავს კიდევ უფრო მეტად კონკურენტუნარიანი სექტორებისკენ.

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ლიბერალიზმი თავისი დეფინიციით მშვიდობიანი დოქტრინაა, რომელიც ნებისმიერ პირობებში ერების თანამშრომლობასა და შეზღუდვების მოხსნას მოითხოვს, ხოლო მერკანტილიზმი მილიტარისტულია და აკრძალვებსა და ავტარქიას ეყრდნობა. ცნობილია სმითის დადებითი აზრი ნავიგაციის აქტთან დაკავშირებით. ჰოლანდიის სავაჭრო დომინირების დასრულების და ინგლისის საზღვაო ძლიერების გასაზრდელად, ეს კანონი, რომელიც 1651 წლიდან 1849 წლამდე იყო ძალაში, აკრძალვების დიდ ჩამონათვალს ითვალისწინებდა. თევზჭერა, კაბოტაჟი და კოლონიური ვაჭრობა ექსკლუზიურად ინგლისის დროშის ქვეშ ხორციელდებოდა. არაკოლონიური აფრიკიდან, ამერიკიდან და აზიიდან წამოსული საქონელი ტრანსპორტირებული უნდა ყოფილიყო ინგლისის ან მიმწოდებელი ქვეყნის დროშის ქვეშ. ყველა სხვა უცხოური საქონელი პირდაპირ მომმარაგებელი ქვეყნიდან უნდა ყოფილიყო წამოსული და არა შუამავალი ქვეყნიდან, რომელიც შეიძლება საქონლის საწყობად გამოიმდგარიყო. მეორე მხრივ, სმითი ზედმეტად რეალისტი იყო და წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი შეიძლება ერთ დღეს მთლიანად ყოფილიყო გამოყენებული დიდ ბრიტანეთში: „დიდი სიგიჟე იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ იქ როდესმე უტოპიის ან ოკეანიის რესპუბლიკა იარსებებდა“ (IV, 2). ამავე დროს, იგი აკრიტიკებს „იმ პიროვნებათა უსამართლობასა და სისასტიკეს, ვინც ადამიანებს მართავს;“ და ცდილობს თავის თანამედროვეებს დაანახოს მერკანტილური დოქტრინების სიყალბე და თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობები. ეს შეხედულებები ეტაპობრივად მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დამკვიდრდა, როდესაც ცხადი გახდა, რომ არ არსებობს ერი, რომელმაც ინგლისის სიმდიდრეში შეუძლია გაუწიოს მეტოქეობა და ამასთან დაკავშირებით საფრთხეს წარმოადგენდეს. ინგლისი ძალზე დაინტერესებული იყო თავისი საბაჟო ბარიერების გაუქმებაში. ამგვარად, თავისუფალი ვაჭრობა ჰეგემონი სახელმწიფოს დოქტრინა ხდება.

3. ეკონომიკური ნაყოფიერება

ეკონომისტები თავიანთი თეზისებით ცდილობენ პოლიტიკური ეკონომიის მესამე სისტემის, ეკონომიკური ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. ეს დოქტრინა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა, აშკარად მეზობელი და პოლემიკური ხასიათისაა. მისი ყველაზე შეუპოვარი მომხრეები ამერიკელები და გერმანელები არიან. სხვათა შორის, იმ ეპოქაში, როგორც გერმანიის კონფედერაციაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ახლად აღმოცენებული სამრეწველო საწარმოები კონკურენციას ვერ უწევდნენ ინგლისურ წარმს, რომელიც ყველგან დაბალ ფასებში იყიდებოდა ტექნოლოგიური უპირატესობისა და ინგლისში არსებული დაბალი ხელფასების გამო. ნაპოლეონის ომების დაწყებიდან, იქმნება კომპანიები და ზეწოლის ჯგუფები პროტექციონისტული ზომების მიღების მოთხოვნით, განსაკუთრებით გერმანიის რეგიონებში, სადაც მრეწველობამ ნაპოლეონის მიერ დაწესებული კონტინენტური ბლოკადიდან სარგებლის მიღება შეძლო ინგლისის კონკურენციის პირობებში გასავითარებლად. იგივე ხდებოდა შეერთებული შტატების ჩრდილოეთში, სადაც მრეწველები XVIII საუკუნის ბოლოდან პროტექციონისტული ზომების მიღებას მოითხოვდ-

ნენ, რომელთა წინააღმდეგ ინგლისთან ვაჭრობაზე დამოკიდებული თავისუფალი ვაჭრობის მომხრე სამხრეთის მონათმფლობელური შტატები გამოდიოდნენ.

ეკონომიკური ნაციონალიზმის ძირითადი არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს: თავისუფალი ვაჭრობა მსოფლიოს სხვა ერებს ინგლისს უქვემდებარებს და მათ სიცოცხლისუნარიანი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას ართმევს. ამ დოქტრინის ავტორობას, ზოგადად ალექსანდრე ჰამილტონს, აშშ-ის ხაზინის პირველ მდივანს მიაწერენ. 1791 წლის მის ცნობილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეროვნული სიმდიდრე სამრეწველო საწარმოებშია. იგი მხარს უჭერს იმ ზომების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სესხის მეშვეობით ახლად ჩამოყალიბებული მრეწველობის სტიმულირებასა და ამ უკანასკნელის დაცვას უცხოეთის კონკურენციისგან იმპორტზე საბაჟო უფლებების დაწესებით. იგივე თვალსაზრისს თავგამოდებით იცავს 1825 წელს აშშ-ში ემიგრირებული გერმანული წარმოშობის ეკონომიკური ნაციონალიზმის ყველაზე ცნობილი თეორეტიკოსი ფრიდრიხ ლისტი (1789-1846 წწ.), რომელმაც ამერიკის მოქალაქეობა 1837 წელს პარიზში დამკვიდრებამდე მიიღო. 1841 ლისტმა გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალური სისტემა“, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა გერმანიაში.

ლისტის აზრით, ლიბერალიზმი არ არის ნეიტრალური სისტემა, რომელიც პროგრესის „ბუნებრივ“ წესრიგს აღწერს. ის შეესატყვისება ერის მმართველობით და საერთაშორისო პრაქტიკას, – ინგლისი მიღწეული ეკონომიკური უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობს. ინგლისმა პროტექციონისტური ზომებით სრულყო საკუთარი მრეწველობა და საზღვაო ვაჭრობა იმგვარად, რომ კონკურენციის აღარ ეშინია. ამიერიდან ის დაინტერესებულია „სხვა ხალხებს თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობის შესახებ უქადაგოს“ (1998, გვ. 502).

კლასიკოსების ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ, გერმანული რომანტიკული მიმდინარეობის გავლენის ქვეშ მყოფი ლისტი, ორგანიციტულ მეთოდს მიმართავს, რომელიც ეკონომიკას განიხილავს ნაწილების ჯამთან მიმართებაში შეუქცევადი მთლიანობის სახით. ამიტომაც, კერძო ინტერესი საჯარო ინტერესს უნდა დაექვემდებაროს, რომლის მიზანია ერის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისკენ სწრაფვა. სწორედ ამაშია სახელმწიფოს, როგორც მორალის ინსტიტუტის როლი. როგორც მმართველობის ინსტიტუტმა, მან უნდა იზრუნოს არა მატერიალური სიმდიდრის, არამედ ამ სიმდიდრის მიღწევის უნარების გაზრდაზე, რომელსაც ლისტი ასევე საწარმოო ძალებს უწოდებს. სიმდიდრე ინდივიდების მფლობელობაში არსებულ გაცვლად ფასეულობებს შეესატყვისება, უნარები კი მიეკუთვნება როგორც სოციალურ და მატერიალურ, ისე არამატერიალურ ერთობლიობას, რაც შესაძლებელს ხდის წარმოებას და მოხმარებას და ასევე საქონლის გაცვლას. უნარები და სიმდიდრე შეიძლება ერთმანეთთან კონფლიქტში აღმოჩნდეს, რადგან ისინი შორს არიან სპონტანური ჰარმონიზაციისგან. საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინა მიგვითითებს, რომ მთავრობის მისია მდგომარეობს საწარმოო ძალების გაზრდაში სხვადასხვა პოლიტიკური ტექნოლოგიების მეშვეობით: ფინანსური (საჯარო სესხი), სატარიფო (მეტ-ნაკლებად გაზრდილი საბაჟო უფლებებით) და საკონტრაქტო (მონოპოლიისა და სხვა პრივილეგიების მინიჭება).

თუკი სახელმწიფო კერძო პირთა ხელის არშეშლით დაკმაყოფილდება, საწარმოო ძალები არასდროს განვითარდება, რადგან ინდივიდთა ინტერესები არასდროსაა გამიზნული საკუთარი კაპიტალის ინვესტირებისთვის იმ საქმეებში, რომელთაც გაცვლითი ღირებულება არა აქვთ. თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით, ლისტი აღნიშნავს, რომ მთავრობამ უნდა მიიღოს იმგვარი ზომები, რომლებიც დიფერენციალური პოზიციის შესაბამისად იცვლება და საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგში ერის მიერ დაკავებულ ადგილს მისადაგება.. იგი სავსებით არ ემხრობა მერკანტილურ აქსიომას: „არავინ მოიპოვებს იმას, რასაც სხვა არ კარგავს.“ მისი აზრით, პროტექციონიზმი განსაკუთრებით უნდა გამოიყენებოდეს „აგრარული სექტორისა და მანუფაქტურული წარმოების მქონე“ ერებში, რომელთაც

დღეს „განვითარებადს“ უწოდებენ. მართლაც, ლისტი დარწმუნებულია, რომ „ხალხები იმდენად არიან მდიდრები და ძლიერები, რამდენადაც წარმოებული საქონლის მეტ ექსპორტს და მეტი სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის იმპორტს ახდენენ“ (1998, გვ. 341). შრომის საერთაშორისო დაყოფაზე დაყრდნობა განვითარებადი ერისთვის „უცხოეთისგან დამოკიდებულებაში აღმოჩენას“ ნიშნავს. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მოწინავე ერის პროდუქციის ღირებულება უფრო დაბალია ვიდრე სხვაგან. ნაკლებად ინდუსტრიალიზებული ერების ქარხნები ვერ შეძლებენ საკუთარი ნაწარმის კონკურენტუნარიანობის მიღწევას აკრძალვების ან გაზრდილი საბაჟო უფლებების არარსებობის შემთხვევაში. ამკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ „სტრუქტურალისტური“ და „დამოკიდებულების“ თეზისების საფუძვლებთან, არამედ ე. წ. „ინსტიტუციური“ სკოლის დოქტრინებთან, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს განვითარების ეკონომიკის ავტორთა პირველ ნაშრომებზე.

სახელმწიფოს, როგორც ძალაუფლების ინსტიტუტს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ ნაციონალიზმთან დაკავშირებულ რეფლექსიებში. რაკი არ არსებობს არავითარი ინსტანცია საერთაშორისო ასპექტში, რომელიც შეძლებს ძალის გამოყენებას დაუპირისპირდეს კონფლიქტების მოსაგვარებლად, ლისტი ხაზს უსვამს ეკონომიკური „ჩამორჩენილობის საფრთხეს“ და განვითარებადი ერების მიერ მოწინავე სახელმწიფოების „დაწვევის“ იმპერატიულ აუცილებლობას. იგი დასაშვებად მიიჩნევს „ყველაზე დიდი გაერთიანების“ არსებობას, რომელიც ადამიანთა მოდგმის მიერაა წარმოდგენილი; თუმცა მისი აზრით, „დღეისათვის შექმნილი“ ყველაზე დიდი გაერთიანება არაა (1998 წ., გვ. 94). ამავე დროს, ლისტის აზრით, უნივერსალური გაერთიანების ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხები განვითარების თანაბარ დონეს მიაღწევენ.

4. მარქსისტული პნალიზი

მერკანტილისტების, კლასიკოსი ავტორების და ეკონომიკური ნაციონალიზმის თეორეტიკოსების საპირისპიროდ, მარქსისტული თეორია სრულიადაც არ მიმართავს სუვერენს, რადგან თავისი ჩამოყალიბების ეპოქაში ის რევოლუციურ დისკურსს წარმოადგენდა. თუმცა, მომდევნო საუკუნეში მარქსის იდეები ხელახლა გამოიყენეს მმართველმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც მათ პირდაპირ უჭერდნენ მხარს. ასევე მართებული იქნება მოკლედ ამ ფუნდამენტური ავტორის მიერ ჩამოყალიბებული ვარაუდების გაანალიზება კაპიტალიზმის განვითარებისა და უფრო სამართლიანი ეკონომიკური სისტემის შექმნის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

მარქსი თავის თეორიას კაპიტალიზმის ყოველგვარი აბსოლუტიზაციის უარყოფაზე ამყარებს, რომლის ორგანიზაცია მისი აზრით, კლასიკოსი ავტორებისგან განსხვავებით, მომდინარეობს არა ზოგადი და უცვლელი კანონებიდან, არამედ მოცემული ისტორიული სისტემის წარმოებისა და ვაჭრობის წესით განსაზღვრული სპეციფიკური კანონებიდან. კაპიტალისტური სისტემა, რომელსაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა ახასიათებს, ორმაგ დაყოფაზეა დაფუძნებული: მწარმოებლები (მუშები) და წარმოების საშუალებები (კაპიტალი) და ასევე მწარმოებლები და მომხმარებლები. კაპიტალიზმი ვაჭრობის ეკონომიკაა, რომელშიც წარმოება და მოხმარება ორი გაყოფილი პროცესია. საქონელი წარმოებულია არა პირდაპირი მოხმარებისთვის, არამედ გასაყიდად, რაც ფულის არსებობას მოითხოვს. თავის მხრივ, ეს ორმაგი გაყოფა ფუნდამენტურ წინააღმდეგობას შეიცავს. მაქსიმალური მოგების ძიებაში კონკურენციაში ჩაბმული წარმოების საშუალებების მფლობელები მუდმივ ზეწოლას აწარმოებენ მუშების ხელფასებზე (ზედმეტი ღირებულების თეორია) და სამუშაო ძალის შეცვლას ტექნიკური კაპიტალის მზარდი პროპორციით ცდილობენ, რასაც ორმაგი შედეგი აქვს: საწარმოო პროცესიდან მუშების ნაწილის

გამოთიშვა (რომლებიც ლუმპენპროლეტარიატის რიგებს ავსებენ) და „მოგების პროცენტის ტენდენციის კლების“ გამოწვევა (მარქსისტულ ეკონომიკაში გამოყენებული შრომა ღირებულების ერთადერთი წყაროა). რადგან მუშები არიან არა მხოლოდ მწარმოებლები, არამედ მომხმარებლებიც, ეს სისტემა პროდუქციის დისბალანსს ქმნის მოთხოვნასთან მიმართებაში, რომელიც პერიოდულად ქარბწარმოების კრიზისში გადადის (Rosier, 1993). მარქსის დასკვნები ყველასათვის ცნობილია. კაპიტალიზმის საფუძველი ექსპლუატაციაა, რომელიც მწარმოებელთა უმრავლესობის მოხმარების დაბალ დონეში აისახება, მიჰყავს ქარბწარმოების კრიზისებამდე, იქამდე, ვიდრე ეს წინააღმდეგობა მასობრივ პროტესტში არ გადაიზრდება: სისტემის ძალადობრივი დამხობა, კერძო საკუთრების გაუქმება და, აქედან გამომდინარე, კლასთა ანტაგონიზმის საკითხის გადაჭრა.

საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას, მარქსი და ენგელსი ცდილობენ სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტების ზოგად განმარტებას კაპიტალისტური წარმოების წესისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით. XIX საუკუნის დასასრულს მარქსის მიმდევრები გვთავაზობენ იმპერიალიზმისა და ომების თეორიას, რომლის თანმიმდევრობა და ევრისტიკული ღირებულება აშკარაა. მარქსისტული ანალიზის გამოყენებით საწარმოთა კონცენტრაციის ტენდენციასთან მიმართებაში, ისეთი ავტორები, როგორცაა ჰილფერდინგი, ბუხარინი და ლენინი ამტკიცებენ, რომ ეს პროცესი მოიცავს ფინანსური ოლიგარქიის მიერ მრეწველობის ხელში ჩაგდებას. კაპიტალიზმმა ტრანსფორმაცია განიცადა; თავისი განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში გადავიდა, რომელსაც წარმოების ორგანიზაცი-აზე ბანკების როლის გაზრდა ახასიათებს.

ფინანსების ეგიდით მიმდინარე კონცენტრაცია ერებს უფრო მძაფრი კონკურენციისკენ უბიძგებს მსოფლიო ბაზრების დასაპყრობად. მართლაც, ფინანსური კაპიტალი ნაციონალური სახელმწიფოების ყველა მექანიზმს ამოძრავებს. მთავრობები საკუთარ თავზე იღებენ დიდი მონოპოლიების ინტერესების უზრუნველყოფას, ცდილობენ მათი ბაზრების დაცვას პროტექციონისტური ბარიერების აღმართვით და ასევე ეძებენ ახალ ბაზრებს ამ მონოპოლიების მოგების ძიების დასაკმაყოფილებლად. ამგვარი ექსპანსია მით უფრო საჭიროა, რადგანაც ტექნიკური პროგრესი და წარმოების მასშტაბების ზრდა კაპიტალის უზარმაზარ რაოდენობას მოიცავს, რომელსაც გასავალი არა აქვს შიდა ბაზრებზე. ამას ასევე მოგების პროცენტების კლების ტენდენცია მოითხოვს, რაც უკვე ზემოთ ავლინშნეთ.

ლენინი პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზს ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ამ დაუნდობელ შეჯიბრში ხედავს. თავის ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ (1916 წ.) იგი ძირითადად ეყრდნობა ჰილფერდინგისა და ბუხარინის დასკვნებს ან ინგლისელი ლიბერალის, ჯ. ა. ჰობსის თეზისებს. ლენინი თავის, როგორც სტრატეგის როლს, რევოლუციურ მოძრაობაში ხედავს, რომლის მიზანია რუსეთში ხელისუფლების დაუფლება. პოლიტიკურმა გამარჯვებამ ლენინის დასკვნებს იმპერიალიზმის შესახებ უდიდესი იდეოლოგიური გავლენა შესძინა. ამიერიდან, საერთაშორისო კონფლიქტებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ომების მარქსისტული ანალიზი ლენინის შეხედულებებს ერწყმის, რომელიც მსოფლიო რევოლუციის ისტორიული ფიგურაა. მეცნიერული მიდგომა სამხედრო ქმედებას უთმობს ადგილს, რადგან ლენინის მიმდევრები, რომელთაც მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები არა აქვთ, საბჭოთა იმპერიის გამყარებითა და გაფართოებით არიან დაკავებულნი. სტალინის ეპოქაში მარქსისტული აზროვნება საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში სტაგნაციას განიცდის. ამ კონტექსტში ის რამდენიმე ტავტოლოგიურ შეხედულებამდე დაიყვანება, რომელიც კაპიტალიზმს, ომსა და იმპერიალიზმს შორის ეკვივალენტობას ამტკიცებს.

თავი IV

ეკონომიკა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

1. სახელმწიფო და ბაზარი: წინმსწრაზი შეხედულებები

სახელმწიფო და ბაზარი, პირველ რიგში კი ტრანსნაციონალური ფირმების ბაზარი, განსხვავებულ ლოგიკას ექვემდებარება. პირველი თავის დომინანტობას გეოგრაფიულ სივრცეზე ამყარებს, – იქ კოლექტიური ცხოვრების ორგანიზებისთვის, მეორე ცდილობს მოგების მიღებას წარმოების, ვაჭრობის, კრედიტისა და სპეკულაციის საშუალებით. სრული უფლებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მათი საქმიანობა და ინტერესები იკვეთება, რადგან არ არსებობს ბაზარი მინიმალური სახელმწიფო წესრიგის გარეშე და არ არსებობს სტაბილური სახელმწიფო მისი პოლიტიკური როლის განხორციელებისთვის ხელსაყრელი მატერიალური პირობების განვითარების გარეშე. თუკი საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსებს აღნიშნულ ფაქტზე შეთანხმება შეუძლიათ, ისინი მაშინვე სხვადასხვა აზრზე დგებიან ერთი მხრივ, ამ ორ სფეროს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების ხასიათის ფუნდამენტურ საკითხებზე და მეორე მხრივ, რომელიმე მათგანის გავლენასთან დაკავშირებით. ზოგიერთის აზრით, ეკონომიკა პოლიტიკას ექვემდებარება, მთავრობები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ამ სფეროს რეგულაციაში, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე; სხვების აზრით, სახელმწიფო პოლიტიკის ორიენტაცია ნაწილობრივ ეკონომიკური ინტერესებითაა ნაკარნახევი, რომელიც, ამ მხრივ, შედარებითი ავტონომიით სარგებლობს, ნაწილობრივ სახელმწიფოს მიერ დელეგირებული ძალუფლებითაც კი.

პირველ პერსპექტივაში, ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარება ამ დინამიკის მიმართ კეთილგანწყობილი პოლიტიკური წესრიგის არსებობას მოითხოვს. მათი აღმავლობა წარმოდგენილია სახელმწიფოების მხარდაჭერის გარეშე პროფესიული სწავლების, სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად. მართლაც, სახელმწიფოები ხელს უწყობენ ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტების განვითარებას, რომლებიც სამეცნიერო და ტექნიკური წინსვლის საშუალებას იძლევა ეკონომიკური საქმიანობის ზრდისთვის. მაგალითად, ევროკავშირი მხარს უჭერს ტექნოლოგიური თანამშრომლობის მრავალ პროგრამას კვლევით ცენტრებსა და საწარმოებს შორის ენერგეტიკის, ინფორმაციის, ტელეკომუნიკაციების, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების სფეროებში. სხვათა შორის, სახელმწიფოები პირდაპირ ერევიან საკუთარი საწარმოების პოზიციების გასაძლიერებლად საერთაშორისო შეჯიბრში: საექსპორტო პროდუქციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა, შეკვეთები, სხვადასხვა სახის სუბსიდიები, მსიოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (OMC) ჩარჩოში ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, რაც საკუთარი ტრანსნაციონალური კომპანიების მოგებას უწყობს ხელს. ეს უკანასკნელნი სამუშაო ადგილებსა და სიმდიდრეს ქმნიან და სახელმწიფოები დაინტერესებულნი არიან მათ დაცვაში. მთლიანობაში, თუკი პოლიტიკის სფერო ეკონომიკას ემსახურება, ეს ხდება იმის გამო, რომ ეს უკანასკნელიც თავის მხრივ, მას ემსახურება.

მეორე პერსპექტივაში, ეს ფაქტები საკმარისია იმის აღიარებისთვის, რომ კერძო აქტორები მატერიალური და ინტელექტუალური ძალების აკუმულირებას ახდენენ, რომელთა მართვაც მათ გარკვეულ სექტორებში საკუთარი წესების მიხედვით შეუძლიათ, მთავრობების იძულებაც კი პრიორიტეტულად მათი ინტერესების გასატარებლად წინასწარ დადები-

თისა და უარყოფითის გაუთვალისწინებლად. ამ აქტორების განკარგულებაშია კლუბები და ფორუმები შეხვედრებისთვის თანმიმდევრული სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად. ისინი მსგავს ქცევებს იწვევენ განვითარებულ სახელმწიფოთა მხრიდან, რომელთაც საწარმოების შესაბამისი რენტაბელობის, ეფექტურობისა და წარმატების კრიტერიუმებთან ადაპტაციის ტენდენცია აქვთ. გარდა ამისა, კერძო აქტორების საქმიანობა არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ მრავალმხრივი პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობს, განსაკუთრებით კი ბრეტონ ვუდსის სისტემის ინსტიტუტების მხრიდან. ამგვარად, მსხვილ ბანკებს, რომელთაც საექვო დავალიანებები აქვთ, შეუძლიათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (ფრანგ. FMI; ინგლ. IMF) მხარდაჭერის იმედი იქონიონ სწრაფი წინააღმდეგობის გასაწევად დიდი დავალიანების მქონე სახელმწიფოებისთვის და შემდეგ ამ უკანასკნელთ მკროეკონომიკური პოლიტიკის მიღება აიძულონ აუცილებელი ვალუტის გენერირებისთვის თავიანთი ვალუტის მომსახურების გადასახდელად. რაც შეეხება მწარმოებლურ კაპიტალს, მსოფლიო ბანკის ფინანსური, იურიდიული და ლოჯისტიკური დახმარების გარეშე, ის ვერ შეძლებდა თავისი საქმიანობის განვითარებას სამხრეთის ღარიბ ქვეყნებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური აქტორები ძალაუფლების გარკვეული ფორმით სარგებლობენ, რამდენადაც მათი ნება ხშირად სახელმწიფოთა და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერაა აღიარებული და ეს უკანასკნელნი თავიანთ ქმედებას მათ უსადაგებენ.

მულტინაციონალური კორპორაციების სიძლიერის ზრდის გარდა, საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვა ეკონომიკური ფენომენები უწყობს ხელს. დღეს არავინ უგულებელყოფს საფინანსო და სავაჭრო ბაზრების დიდ აღმავლობას, რომელიც სახელმწიფო რეგულაციის ფორმებს შეეხო. ამ შემთხვევაშიც, კვლავ დაისმის ანალოგიური კითხვები იმ გავლენასთან დაკავშირებით, რომელიც ეკონომიკის ან პოლიტიკის სფეროს უნდა მიენიჭოს. თუკი სახელმწიფოებმა საკუთარი ფინანსური დამოუკიდებლობა დაკარგეს ან მისი ნაწილის დელეგირება სხვა კერძო აქტორთა სასარგებლოდ მოახდინეს, მნიშვნელოვანია უფრო ზუსტად მათი საქმიანობის შეფასება, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ძლიერებისა მათ შორის, არასტაბილურობის შესამცირებლად ან თავიანთ სასარგებლოდ ბაზრების გასაკონტროლებლად. აღნიშნული ასევე საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზისთვის გამოდგება. ამ უკანასკნელში ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ურთიერთკავშირი გლობალიზაციის საერთო წარმოდგენებშია დაფარული, რომლებიც მას თავისუფალი ვაჭრობის გაფართოებამდე დაჰყავს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაპიტალის, საქონლისა და ადამიანების თავისუფალ მოძრაობამდე. ამავე დროს, ეს პროცესი უფრო მეტად ეკონომიკური ნაციონალიზმის პოლიტიკის გავლენას განიცდის, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ, ორმაგი განმუხტვის დოქტრინას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ერთდროულად მხარს უჭერს თავისუფალ ვაჭრობას ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიან სექტორებში და პროტექციონიზმს იმ სექტორებში, რომლებიც შეიძლება უცხოური კონკურენციის გამო დაზარალდნენ. ამიტომაც, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები ბაზრებზე შეღწევისთან დაკავშირებული სახელმწიფოთშორისი კონფლიქტებითაა აღნიშნული. მთავრობები გამომგონებლობას იჩენენ ათასობით არასატარიფო დაბრკოლების შესაქმნელად. დაბოლოს, საერთაშორისო ურთიერთობები გვიჩვენებს ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებას მაღალი შემოსავლის მქონე და ე. წ. განვითარებად ქვეყნებს შორის, რომლებიც წინათ „მესამე სამყაროს“ სახელწოდებით იყვნენ დაჯგუფებულნი. თუმცა, დღეისათვის ამ ქვეყნების აღსანიშნავად უფრო ხშირად იყენებენ არაზუსტ გეოგრაფიულ ტერმინს „სამხრეთის ქვეყნები“. რა როლს ასრულებენ პოლიტიკური და ეკონომიკური აქტორები ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობების სტრუქტურირებაში?

როგორ იქნა აღქმული ყველა ეს ეკონომიკური ფენომენი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში? ამ შემთხვევაში, უნდა განვასხვაოთ რეალიზმის, ურთიერთდამოკიდებულების პარადიგმისა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის მიერ წარმოდგენილი

შენდღულებები და ასევე მარქსიზმით შთაგონებული კვლევები. ამ თავს ჩვენ სტრუქტურის ცვლილებების ანალიზით დავასრულებთ, რომელიც ცივ ომსა და გლობალიზაციას მოჰყვა შედეგად, და ასევე მათ შედეგებს სახელმწიფო სუვერენიტეტზე.

2. რეალისტური პოლიტიკა

პოლიტიკური რეალიზმის კლასიკოს ავტორებს, განსაკუთრებით კი ჰანს მორგენტაუს, ეკონომიკური ფაქტორების სრული იგნორირება არ მოუხდენიათ, მაგრამ ისინი პოლიტიკურს დაუქვემდებარეს. ამ უკანასკნელთა აზრით, ეკონომიკური რესურსები მხედველობაში მისაღებია იმდენად, რამდენადაც ისინი ძალაუფლების მნიშვნელოვანი ატრიბუტია. კარის აღსანიშნავი გამონაკლისის გარდა, რომელიც თავის ანტიპათიას არ მალავდა ადამ სმითის დოქტრინის მიმართ, – მისი აზრით, ის ჩქმალავდა კონფლიქტების რეალურ ხასიათს, რომელიც იშვიათი რესურსების დაუფლების სწრაფვიდან მომდინარეობდა. პოლიტიკური რეალიზმის კლასიკოსების უმრავლესობა ძირითადად ლიბერალური სულისკვეთების ნორმატიულ ჩარჩოს მიემხრო ეკონომიკური სისტემის წარმოდგენასთან დაკავშირებით; თუმცა, მათი ანალიტიკური ჩარჩო ხშირად მერკანტილურ არგუმენტებს იყენებდა, სახელდობრ, ეკონომიკის კონცეფციასთან მიმართებაში, როგორც ომისა ან საერთაშორისო ვაჭრობის მამოძრავებელი ძალისა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, თამაშია ნულოვანი შედეგით.

მსგავსი სირთულეები ზედმიწევნითაა შესწავლილი რობერტ გილპინის ნაშრომში „*War and Change in World Politics*“ („ომი და ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში“, 1981 წ.), რომელშიც ეკონომიკური ფაქტორები სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების რეალისტურ ანალიზშია ინტეგრირებული. ამ ნაშრომში საერთაშორისო სისტემა სახელმწიფოთა ერთობლიობადაა წარმოდგენილი, რომელიც ძალაუფლების მაქსიმუმამდე გაზრდას, რაც შეიძლება ნაკლები ეკონომიკური დანახარჯით ცდილობს. სისტემა სტაბილური რჩება, რამდენადაც არც ერთ მოწინავე სახელმწიფოს მართებულად არ მიაჩნია მისი შეცვლა; ამავე დროს, თუკი ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოს იმედი ექნება, რომ ტერიტორიული ექსპანსიიდან ან ეკონომიკური დაპყრობიდან მომდინარე მოგება შეიძლება მაღალი აღმოჩნდეს, სისტემას არასტაბილურობის რისკი ემუქრება. აღნიშნულ ანალიზში, რომელიც ერთმანეთს უხამებს მიკროეკონომიკურ მიდგომებსა და საერთაშორისო პოლიტიკას, ცვლილების ფაქტორები არა მხოლოდ სამხედროა, არამედ, ასევე ეკონომიკური და ტექნოლოგიური. ერთი მხრივ, ეს ფაქტორები სახელმწიფოთა არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია, რომელიც თავად დაღმავალი პროდუქტიულობის ტენდენციიდან მომდინარეობს. გილპინი აღნიშნავს, რომ უკვე ორასი წელია, რაც ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა ლიბერალური სახელმწიფოთი იყო უზრუნველყოფილი, დიდი ბრიტანეთი XIX საუკუნეში და შეერთებული შტატები XX საუკუნეში. ამავე დროს, ჰეგემონი სახელმწიფოს ეკონომიკურ ძალაუფლებას თავისი ექსპანსიის განმავლობაში სხვა სახელმწიფოებზე გავრცელების ტენდენცია ჰქონდა. როგორც ჩანს, ჰეგემონი სახელმწიფოსთვის სისტემის შენარჩუნების ფასი თანდათანობით მატულობს და, იმავდროულად, მოგება იკლებს. ლიდერს თავისი ძალაუფლების ნაწილის დაკარგვის რისკი ექმნება, რომელსაც ავტორი განსაზღვრავს, როგორც აქტორის მიერ საკუთარი ნების თავს მოხვევის უნარს სხვა აქტორთა წინააღმდეგობის პირობებში; მან ასევე შეიძლება დაკარგოს თავისი პრესტიჟის ნაწილი ან სხვა ერების თანხმობის მოპოვების უნარი იძულებითი ზომების გამოყენების გარეშე. აქედან გამომდინარე, გილპინი ასკვნის, რომ რამდენადაც მოწინავე სახელმწიფოს თავისი ვალდებულებებისა და რესურსების თანხვედრაში მოყვანის უნარი აღარ შესწევს, აღნიშნულს შეიძლება „ჰეგემონიური ომი“ მოყვეს. ეს უკანასკნელი ტოტალური ომის ხასიათს მიიღებს და მისი მიზანი

გამარჯვებული სახელმწიფოების ინტერესების შესატყვისი ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დამყარება იქნება.

თავის მომდევნო ნაშრომში „*The Political Economy of International Relations*“ („პოლიტიკური ეკონომია საერთაშორისო ურთიერთობებში“ 1987 წ.), გილპინი ანალიზის სფეროს აფართოებს და 2001 წელს განახლებულ გამოცემას გვთავაზობს სახელწოდებით „*Global Political Economy*“ („გლობალური პოლიტიკური ეკონომია“). ამ ნაშრომის მიზანია „სახელმწიფოთშორის ურთიერთობებზე მსოფლიო ბაზრის გავლენისა და იმ საშუალებების შესწავლა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოები თავიანთ სასარგებლოდ ბაზრის ძალებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ“ (გვ. 24). ამ მხრივ, ავტორი დიდ ადგილს უთმობს ფინანსურ და სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებს, ისევე როგორც ტრანსნაციონალური კომპანიების გაფართოებისა და განვითარების პოლიტიკას. ნაშრომის პირველ გამოცემაში პრობლემატიკა ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის შეფასებას ეხება, რომელსაც მომდევნო ნაწილში დავუბრუნდებით. ამ შემთხვევაში, საკმარისია დავაზუსტოთ, რომ ეს თეორია შემდეგ მთავარ დებულებას ემყარება: სტაბილურობის არსებობისთვის, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი ვაჭრობისთვის უნდა იყოს გახსნილი, რაც ერთი ძლიერი სახელმწიფოს ან ჰეგემონის პირდაპირ ქმედებას მოითხოვს, რომელსაც თამაშის წესების გარანტიად ყოფნა შეუძლია: ამ წესების საბოლოო მიზანია ხელი შეუშალოს იმას, რომ სახელმწიფოებმა შეძლონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სხვა სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობისთვის ზარალის მიყენებით.

გილპინი მიიჩნევს, რომ აშშ-მ ზემოთ აღნიშნული ფუნქცია თავის თავზე აიღო „ძლიერ-მოსილი ოცდაათწლიანი“ პერიოდის (მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ 1945-დან 1974-მდე განიცადა) განმავლობაში. თუმცა, 1960-იან წლებში ამერიკის სავაჭრო დეფიციტმა, რომლის მიზეზად შეიძლება ვიციტნამის ომში მისი ჩართვა და იაპონიისა და გერმანიის ძლიერების ზრდა მივიჩნიოთ, ეტაპობრივად ნდობის დაკარგვა გამოიწვია ბრეტონ ვუდსის შეთანხმებებიდან მომდინარე საერთაშორისო მონეტარული სისტემის მიმართ. ეს სისტემა ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმს ემყარებოდა, ეროვნული ვალუტა ოქროსთან ან დოლართან მიმართებაში განისაზღვრებოდა, რომელიც ერთადერთ თავისუფალ კონვერტირებად ვალუტად იქნა აღიარებული ოქროთი ოფიციალურ ნორმასთან. ბალანსის მზარდმა რღვევამ აშშ-ს ოქროს რეზერვსა და მწვანე ბანკნოტების (ე. წ. ევროდოლარი) რაოდენობას შორის, რომელიც ამერიკის ტერიტორიის გარეთ იყო ბრუნვაში, 1971 წელს ნიქსონის მთავრობას ცალმხრივი წესით ოქროთი ვალუტის კონვერტირებადობის გაუქმება გადააწყვეტინა და ამ უწყისმა ბრეტონ ვუდსის სისტემა გააუქმა. აღნიშნულს ფინანსური არასტაბილურობის პერიოდი მოჰყვა, რომლის განმავლობაში დოლარი საგრძნობლად მერყეობდა და, იმავდროულად, სავაჭრო ანგარიშების სავალუტო ორიენტირად რჩებოდა სესხებისა და ფულადი რეზერვების გამოსაყოფად. თავდაპირველად გაუფასურებული დოლარი, – მიზანი იყო ამერიკული საგადასახადო ბალანსის აღდგენა საექსპორტო სექტორების სტიმულირებით, – ძალზე გამყარდა 1979 წელს ამერიკის ცენტრალური ბანკის სათავეში პოლ ვოლკერის მოსვლით. ეს უკანასკნელი პრიორიტეტს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას ანიჭებს. აშშ-ში ვოლკერის მიერ დადგენილი საბანკო კრედიტის საშუალო პროცენტი 6,8%-დან 1977 წელს 18,9%-მდე იზრდება 1981 წელს. რეიგანის ადმინისტრაცია (1981-1988 წწ.) მხარს უჭერს ამ მონეტარულ პოლიტიკას, რომელიც მას ერთდროულად გადასახადების შემცირებისა და სამხედრო დანახარჯების გაზრდის პროგრამის განხორციელების საშუალებას აძლევს. მართლაც, სესხის პროცენტის აწევა ბიძგს აძლევს უცხოური კაპიტალის დაბანდებას აშშ-ში, რაც ფინანსური ლიბერალიზაციის ზომებითაა გაიოლებული: ეს ფინანსური ნაკადები დიდწილად საბანკო კრედიტის აწევის კომპენსირებას ახდენს, რადგან ფასიანი ქაღალდების სწრაფი ემისია საწარმოების

დაფინანსების ძირითადი წყარო ხდება, – მაგრამ ასევე ამერიკის მთავრობისა, რომელიც თავის დეფიციტს სახაზინო ბონების მასობრივი გამოშვებით ფარავს.

ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ისინი იწვევენ ფინანსური ბაზრების ძალაუფლების გაზრდას, რასაც მსოფლიო დონეზე აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი ზრდა ცხადყოფს. ეს ძალაუფლება სახელმწიფოებსა და ბაზრებს შორისაა გადანაწილებული – ფენომენი, რომელსაც გილპინი სათანადოდ არ ითვალისწინებს. აღნიშნული ცვლილებები ასევე გავლენას ახდენენ ამერიკული საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე. დოლარის გადაფასებით დასუსტებული საწარმოები იძულებული ხდებიან თავიანთი საქმიანობის დელოკალიზაცია მოახდინონ და, ამგვარად, ხელი შეუწყონ აშშ-ის ინდუსტრიული სექტორის შედარებით შესუსტებას და საწარმოო ფაქტორების გადანაწილებას „თანამგზავრ“ ქვეყნებს შორის. 1970-იან წლებში ეს ცვლილებები დამანგრეველი აღმოჩნდა სამხრეთის ზოგიერთი ქვეყნისთვის, რომლებმაც ამერიკულ ბანკებში სესხები აიღეს ცვალებადი პროცენტებით. ამ სესხებზე პროცენტი 7,9%-დან 1977 წელს 12,3%-მდე აღის 1982 წელს. ზოგიერთი ქვეყანა ძალზე დიდი დავალიანების წინაშე აღმოჩნდა, ე. ი. სესხის აღების აუცილებლობის წინაშე, – უფრო მძიმე პირობებით – თავისი საგარეო ვალის მომსახურების გადასახდელად. 1982 წელს მექსიკა დავალიანების კრიზისის წინაშე დადგა, რამაც დავალიანების კრიზისის პერიოდს მისცა დასაბამი (Raffinot, 1993).

გილპინი აღნიშნულ ცვლილებებში ამერიკული ჰეგემონიის დაკნინებას ხედავს. იგი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის სტაბილიზების შესაძლებლობას მხოლოდ იმ სისტემისკენ შემოტრიალებაში ხედავს, რომელსაც „რბილ მერკანტილიზმს“ უწოდებს (1987 წ., გვ. 408). აღნიშნულის მთავარ დინამიკას ეკონომიკური ნაციონალიზმი, რეგიონალიზმი და სექტორული პროტექციონიზმი წარმოადგენს, მაგრამ ძლიერი სახელმწიფოები ერთად ცდილობენ მათი პოტენციურად კონფლიქტური შედეგების შერბილებას.

ამგვარად, გილპინი პოლიტიკური რეალიზმის ერთგულ მიმდევრად რჩება, მაგრამ, ამავე დროს, ეკონომიკური ფაქტორებისა და ჰეგემონიური ქმედებების მნიშვნელობას აღიარებს. სწორედ ამგვარად იქნა განსაზღვრული მისი ნეორეალისტური მიდგომა. ჰეგემონის ეგიდით მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის მისეული ანალიზი ლისტის არგუმენტს იშველიებს, რომლის თანახმად, ჰეგემონის მთავარი მიზანია პირველ ყოვლისა, ეკონომიკური და პოლიტიკური პირველობის შენარჩუნება; თუმცა, გილპინი ამ შეხედულებას არბილებს დაღმავალი ეფექტურობის ჰიპოთეზის წამოყენებით, რომელიც გულისხმობს, რომ ლიბერალიზაცია, მოწინავე სახელმწიფოს ინტერესების შენარჩუნებით, ეტაპობრივად სხვა სახელმწიფოებს გაძლიერების საშუალებას აძლევს. ჰეგემონი სახელმწიფოს მასტაბილიზებელი როლის ეს პოსტულატი მრავალმა ავტორმა დააყენა კითხვის ქვეშ, რასაც შემდგომში ვნახავთ. ავტორები ხაზს უსვამენ აშშ-ის ხშირ შემთხვევაში, მადესტაბილიზებელ ან „მტაცებლურ“ ქცევას, რომელსაც გილპინი მხოლოდ არგუმენტების გვერდის ავლით აღიარებს, რაც აღნიშნულის განვრცობას ითხოვს (1987 წ., გვ. 345 და 365). ეს ავტორები ასევე ეჭვქვეშ აყენებენ სახელმწიფოს რაციონალურ აქტორთან გაიგივებას, რომლის ქმედებები ღირებულებისა და მოგების გამოთვლიდან მომდინარეობს, იმდენად რამდენადაც ეს *a priori* მეთოდოლოგია ჩქმალავს ქმედებებს, რომლებშიც აღნიშნული მოგება უმნიშვნელოდ წარმოჩნდება მასში ჩადებული საერთო ღირებულების თვალსაზრისით. დაბოლოს, ისინი მეტყურადღებებს ამხვილებენ ბაზრების გავლენაზე საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში.

3. ურთიერთდამოკიდებულების და ტრანსნაციონალური თეორიები

1977 წელს რობერტ კოენმა და ჯოზეფ ნაიმ გამოაქვეყნეს ნაშრომი „*Power and Inerpendance*“ („ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“), რომელიც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს, როგორც უნიტარული აქტორის როლის თანდათანობით დაღმასვლას გვამცნობს. ამ ევოლუციის განსასაზღვრელად ისინი „ტრანსნაციონალური პოლიტიკის“ ან „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების“ კონცეფციებს გვთავაზობენ. ამ ავტორების კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მოდელი საერთაშორისო ფენომენების ანალიზისთვის გამოიყენება, რომელიც სამ ამოსავალ ჰიპოთეზას გვთავაზობს, სახელმწიფოს გარდა სხვა მრავალი აქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სახელდობრ, ტრანსნაციონალური კომპანიები, ისევე როგორც საერთაშორისო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები (ფრანგ. ONG; ინგლ. NGO) და ზეწოლის ჯგუფები; „ეროვნული ინტერესის“ განმარტება პრობლემატურია, რადგან თავად სახელმწიფოთა შიგნით საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია კონფლიქტების საგანია იმ ჯგუფების არსებობის გამო, რომელთა ინტერესები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს არ ემთხვევა; ამ შემთხვევაში, სამხედრო ძალა ქმედით ინსტრუმენტს არ წარმოადგენს. არსებობს მრავალი საერთაშორისო ფაქტი, რომელიც ამგვარი მოდელით შეიძლება შევისწავლოთ, ეკონომიკური ფენომენებით დაწყებული. აღნიშნული ნაშრომი ქვეყნდება იმ დროს, როდესაც ძალზე მჭიდრო კავშირები ნაციონალურ ეკონომიკებს შორის იმგვარი სიცხადით წარმოჩნდება, რომ არ არსებობს დასაბუთების საჭიროება ამ რეალობის ასალიარებლად. ის ბიძგს აძლევს კვლევებს, რომლებიც ორი მიმართულებით ვითარდება: რეჟიმების ანალიზი, – ან საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ურთიერთდამოკიდებულებას არეგულირებს, – რომელსაც ჩვენ მომდევნო თავში დავუბრუნდებით; ლიბერალური სულისკვეთების ტრანსნაციონალური ანალიზი, რომელიც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესებს მოიცავს.

მეორე ორიენტაცია 1980-იან წლებში გარკვეული წარმატებით სარგებლობს ანგლო-საქსურ სამყაროში. ის ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობების გრავიტაციის ცენტრის გადაადგილებას არასახელმწიფო აქტორებისა და მრავალი ტრანსნაციონალური ქსელებისკენ ნაციონალურ საზოგადოებებს შორის. ამგვარი მიდგომა წარმოდგენილია ჯეიმს როზენაუს ნაშრომში: „*Turbulence in World Politics*“ („ტურბულენტობა პოლიტიკურ სამყაროში“ 1990 წ.). ტურბულენტობის ცნება მეტეოროლოგიიდანაა ნასესხები და მიზნად ისახავს ერთბაშად მიმდინარე უწესრიგო მოვლენების ხაზგასმას, რომლებიც ორი „მსოფლიოს“ სუპერპოზიციითაა გამოწვეული, – სახელმწიფოთშორისი, მისთვის დამახასიათებელი კონკურენტული ლოგიკით და „მულტიცენტრული“, რომელშიც „სუვერენიტეტის გარეთ“ მყოფი აქტორებია მომრავლებული. ამ უკანასკნელთა სიჭარბე კითხვის ქვეშ აყენებს საერთაშორისო პოლიტიკის ტრადიციულ კონცეფციას, რომელიც ანარქიის პრობლემატიკაზეა ფოკუსირებული. ავტორი ცდილობს ამგვარი დიალექტიკით შემოყვანილი მსოფლიო წესრიგის რყევების გათვალისწინებას და სამ ურთიერთდამოკიდებულ „პარამეტრს“ ანალიზებს, რომელიც ინდივიდუალურს, სტრუქტურულსა და ურთიერთობითს წარმოადგენს. მისი აზრით, ინდივიდუალურმა პარამეტრმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით და ლოიალურობის გრძნობების ეროზიას წარმოაჩენს ტრადიციული ერთობების მიმართ, სახელდობრ, სახელმწიფოსადმი – ხელისუფლების ორგანოებისადმი ნაკლები დაქვემდებარება, ინტერესის გაზრდა და ემოციური დამოკიდებულება საერთაშორისო პოლიტიკიდან მომდინარე საკითხების მიმართ. რაც შეეხება სტრუქტურულ პარამეტრს, ის ბევრ სფეროში მრავალი ტრანსნაციონალური აქტორის გამოჩენით და მთავრობების შესაბამისი კომპეტენციების შემცირებით აღინიშნა. დაბოლოს, ურთიერთობითმა

პარამეტრმა ძირეული ცვლილებები განიცადა, რომელიც ლოიალურობის რეორიენტაციაში გამოიხატა, სახელმწიფოზე მეტად შეზღუდული ჯგუფებისკენ.

ამ ნაშრომს შეიძლება კლასიკური ლიბერალიზმის მახეში აღმოჩენა ვუსაყვედუროთ, პოლიტიკის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს კონცეფციასთან მიმხრობით, რომელიც უგულვებელყოფს, როგორც ძალაუფლებისა და ჰეგემონიის კავშირების ანალიზს, ისე ტრანსნაციონალური სივრცის წინსვლაზე დამყარებული ეკონომიკური და პოლიტიკური დომინანტობის მექანიზმებს. აღნიშნულ პერსპექტივაში არსებობს საერთაშორისო ასპარეზის ყველა აქტორის ერთ სიბრტყეში მოთავსების მცდელობა, ინდივიდების ჩათვლით, და განსხვავება არ კეთდება ამ უკანასკნელთა მიზნებსა და უნარებს შორის, რომელთა მობილიზებაც მათ შეუძლიათ. ამავე დროს, როზენაუს მიერ შემოთავაზებული ინდივიდის წარმოდგენები შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს კალიფორნიისთვის, მაგრამ აშკარად არა კაცობრიობის უმრავლესობისთვის. როზენაუს ასევე შეიძლება შევეკამათოთ იმასთან დაკავშირებით, რომ არასამთავრობო ხასიათის ტრანსნაციონალური ფენომენები სახელმწიფოების ზეგავლენის ქვეშ რჩებიან და ძლიერ სახელმწიფოთა საქმიანობის გავლენას განიცდიან. საქონელბრუნვისა და მომსახურების გაცვლის ნაკადი, კაპიტალის ბრუნვა, სამეცნიერო და ტექნიკური წინსვლა, მატერიალური განვითარების ყველა მახასიათებელი, რომლებიც გლობალიზაციასთანაა დაკავშირებული, განსაზღვრული პოლიტიკური არჩევანიდან მომდინარეობს, რომელიც სახელმწიფოთა მიერაა მხარდაჭერილი ან მიღებული, განსაკუთრებით კი ძლიერ სახელმწიფოთა მიერ. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოები აბსტრაქტული ინსტანციები არ არიან, რომლებიც გვერდს უვლიან სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას, ღირებულებების განსხვავებულობასა და რესურსების მისაწვდომობასთან დაკავშირებულ დისპუტებს. ხშირ შემთხვევაში, ამ სახელმწიფოების შიგნით ხელისუფლება მმართველი ელიტების მიერაა მონოპოლიზებული, რომლებიც სოციალური კლასების ან პრივილეგირებული ჯგუფების პირველობას იცავენ. ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლა ასევე უნდა მოიცავდეს იმ სოციალური ძალების სოციოლოგიურ ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოებს ან ნაციონალურ ერთობებს შორის ურთიერთობებზე.

4. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ქვედისციპლინად ჩამოყალიბება დიდად უნდა უმაღლოდეს ბრიტანელი სიუზან სტრეინჯის ნოვატორულ ნაშრომებს. 1970-იანი წლებიდან იგი გამოსცემს სტატიების სერიას, რომლებშიც საერთაშორისო სტრუქტურებში ძალაუფლების რეკონცეპტუალიზაციის აუცილებლობაა ხაზგასმული, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკურ და ფინანსურ აქტორთა მზარდი გავლენა და მისი შედეგი სახელმწიფო სუვერენიტეტსა და სამთავრობათშორისო რეგულაციაზე. 1988 წელს იგი აქვეყნებს მნიშვნელოვან ნაშრომს „States and Markets“ („სახელმწიფოები და ბაზრები“), რომელშიც ავტორი ძალაუფლების სტრუქტურულ კონცეფციას იცავს. ამ უკანასკნელს იგი განსაზღვრავს, როგორც აქტორის მიერ იმგვარი გარემოს ჩამოყალიბების უნარს, რომელშიც სხვა აქტორები იძულებულნი არიან იმოქმედონ. ეს ძალაუფლება საერთაშორისო სისტემის ოთხ ურთიერთდაკავშირებულ სტრუქტურაში ხორციელდება, რომელსაც უსაფრთხოება, წარმოება, ფინანსები და ცოდნა წარმოადგენს. თუკი ამ ჰიპოთეზას დავეთანხმებით, მისგან მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი მომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისთვის. პირველ რიგში, სახელმწიფოთა ძლიერება შეფასებული უნდა იქნეს არა სამხედრო შესაძლებლობებით, როგორც ამას კლასიკური რეალიზმის ანალიზი გვთავაზობს, არამედ იმ პოზიციასთან მიმართებაში, რომელიც მათ ამ სხვადასხვა სტრუქტურებში უკავიათ. შემდეგ უნდა აღინიშ-

ნოს, რომ არასახელმწიფო აქტორები ასევე აქტიურები არიან აღნიშნულ სტრუქტურებში იქამდე, რომ იქ მოწინავე ადგილიც კი უკავიათ. აღნიშნული განსაკუთრებით სამ სფეროს ეხება, – უსაფრთხოების სფეროს გარდა – , რომელშიც კერძო აგენტებს ხელთ უპყრიათ იმ-გვარი ძალაუფლება, რომ ისინი საგრძნობლად ზღუდავენ სახელმწიფოთა მანევრირების უნარს, სახელდობრ, სოციალური, საფინანსო და ფისკალური სფეროს რეგულაციაში. მესამე, მართებულია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ეს სტრუქტურები ერთმანეთზე ახდენენ ზეგავლენას, რაც სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ანალიზს ართულებს. დაბოლოს, თავად უსაფრთხოების სტრუქტურა აღარ წარმოჩნდება სახელმწიფოთა ერთადერთ კომპეტენციად, რამდენადაც ისინი ორგანიზებულ დანაშაულს უნდა დაუპირისპირდნენ.

ამგვარად, ამ ანალიზში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციამ, ფინანსური ბაზრების ინტეგრაციის გავლენით, კომუნიკაციის სფეროში ტექნოლოგიების განვითარებითა და ინფორმაციის გაშუქებით, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ტრადიციული მიზნები შეცვალა. ამ პერსპექტივაში, საერთაშორისო კონფლიქტების არე აღარ ეხება მხოლოდ ტერიტორიულ ექსპანსიას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა იმპერიალისტურ ეპოქაში ან ცივი ომის იდეოლოგიის განვითარების პერიოდში; ის დიდ უპირატესობას ანიჭებს მატერიალური რესურსების გადაწვლას, რაც მთავრობებს ეკონომიკური აღმავლობისა და საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევის საშუალებას აძლევს. სწორედ ამ მიზეზით მთავრობებმა მუდმივად ერთობლივად უნდა იმოქმედონ და მოლაპარაკებები აწარმოონ ტრანსნაციონალურ ფირმებთან, რომელთა ინვესტიციები მათთვის აუცილებელია. ამ კუთხით, ეს საწარმოები აღქმული უნდა იქნეს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის სრულუფლებიანი აქტორები.

სტრეინჯის ანალიზი ამერიკული ჰეგემონიის დაღმასვლის თეზისს უარყოფს. იგი გვიჩვენებს, რომ აშშ უსაფრთხოების სტრუქტურაზე დომინირებს და, ამგვარად, ხელთ აქვს საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნების ან შეცვლის ძალაუფლება. ის ასევე ფინანსურ სტრუქტურებს აკონტროლებს, რაც მას კაპიტალის მოდინების ხასიათისა და ორიენტაციის შეცვლის შესაძლებლობას აძლევს. აშშ გადამწყვეტ გავლენას ახდენს წარმოების სტრუქტურაზე. დაბოლოს, ის ცოდნის სტრუქტურას განკარგავს, რადგან ძირითადი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ისევე როგორც დომინანტური იდეები და რწმენები მისი კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტებიდან ან საკომუნიკაციო ქსელებიდან მომდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრეინჯი ასკვნის, რომ მსოფლიო ეკონომიკური უწყსრიგობის მიზეზს ამერიკული ადმინისტრაციების გადამეტებები წარმოადგენს საკუთარი ჰეგემონიის განხორციელებისას, როდესაც ისინი მოგებას ცალმხრივი წესით ცდილობენ და სრულიად არ აწუხებთ ის ნეგატიური შედეგები, რაც ამ პოლიტიკამ შეიძლება იურისდიქციის გარეთ გამოიწვიოს.

ამავე დროს, სტრეინჯი დიდ შეშფოთებას გამოთქვამს ბაზრების სასარგებლოდ სახელმწიფოთა ძალაუფლების დათმობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საფინანსო სექტორში და ასევე, კერძო აქტორების სასარგებლოდ, რომლებიც მულტინაციონალურ ბანკებსა და ინსტიტუციურ ინვესტორებს წარმოადგენენ. აღნიშნული ფენომენის ანალიზს იგი მრავალ ნაშრომს უძღვნის, რომელთა შორის ორი უკანასკნელი მონოგრაფიაა: „The Retreat of the State“ („სახელმწიფოს უკანდახევა“ 1996 წ.) და „Mad Maney“ („გიჟური ფული“ 1998 წ.). ამ ნაშრომებში ავტორი აანალიზებს სახელმწიფოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ამ უკანასკნელთა მიუღებლობას, რამაც შესაძლებელი გახადა აღნიშნული ბაზრების გაძლიერება. ამის ყველაზე აშკარა მაგალითებია: კრედიტების გაცემის შეზღუდვის გაუქმება, სავალუტო კურსზე კონტროლის მოხსნა, საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების ლიბერალიზაცია, საფინანსო ინსტიტუტების რეგულირების შესუსტება. თუკი არის სფეროები, რომლებშიც სახელმწიფოებს კვლავაც აქვთ ძალაუფლება ან ამ უკანასკნელს კერძო აქტორებთან ერთად ინაწილებენ – სიფრთხილის წესები, რომლებიც ე. წ. ხელახალი რეგლამენ-

ტაციის პროცესის ჩარჩოში იქნა დადგენილი კრედიტის რისკებისგან ბანკების დასაცავად დიდწილად მათგან დამოუკიდებლად ხორციელდება; მაგალითად, მეორადი ბაზრები ან რაც უფრო სერიოზულია, არალეგალური ფინანსები. რადგან საკრედიტო ინსტიტუტები რისკებს იღებენ, რასაც სისტემური შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ე. ი. სისტემის საერთო კრიზისი, სტრუქტურული მიჩინევს, რომ წმინდა წყლის სიგიჟეა, – სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ნაშრომის სახელწოდება – , ფინანსური ბაზრებისთვის სახელმწიფოს და საერთაშორისო ინსტიტუტების კონტროლის გვერდის ავლის შესაძლებლობის მიცემა. თუმცა, საბაზრო ეკონომიკის მქონე სამრეწველო ქვეყნების ზოგადი ტენდენცია მდგომარეობს უფრო მეტად ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგებაში. სახელმწიფოების მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა მიზნად ისახავს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას: რამდენადაც მდიდარი სახელმწიფოები თავად არიან ფასიანი ქაღალდების ძირითადი გამომშვებნი ფინანსურ ბაზრებზე და თავიანთი საწარმოები ამ უკანასკნელთ მიმართავენ დაფინანსების საჭიროებებისთვის, სახელმწიფო ხელისუფლება პირველ რიგში, ცდილობს ამ ფასიანი ქაღალდების სიმყარის გაძლიერებას აშკარა მინიშნებებით, რომ ის არ მიმართავს ინფლაციის ხერხს საკუთარი ვალის გასაუფასურებლად. სწორედ აქედან მომდინარეობს ცენტრალური ბანკებისთვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭება და „კონკურენტუნარიანი სახელმწიფოების“ გამოჩენა, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ლიბერალიზაციის მეშვეობით უცხოური კაპიტალის მოსაზიდად (Cerny, 1990). ასეთი პრაქტიკა ეფუძნება პოსტულატს, რომლის თანახმად, საერთაშორისო ფინანსების ფუნქციაა „დაგროვილი კაპიტალის ტრანსფერი იქ, სადაც მისი დამატებითი მოგება ყველაზე მაღალია და სადაც ის ყველაზე ეფექტური ფორმით შეიძლება გამოიყენონ“ (Gilpin, 1987, p. 306). მსგავსი პოზიცია უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ეკონომიკურ აგენტთა მოლოდინები რაციონალური არასდროს იქნება ინფორმაციის უკმარისობის გამო. ამავე დროს, ეს მოლოდინები შეიძლება ირაციონალური აღმოჩნდეს, როგორც კი ისინი სიხარბისა და შიშის გრძობებითაა მოტივირებული, რასაც სტრუქტურული ძალზე მართებულად აღნიშნავს (1998 წ., გვ. 139). ამგვარად, კაპიტალი ქვეყანაში შეიძლება სწრაფად და მასობრივად შემოვიდეს და ამგვარადვე გავიდეს აქტივების გაზრდით ან შემცირებით, რაც არანაირად არ ასახავს ეკონომიკის „საფუძვლებს“. ეყრდნობიან რა კაპიტალის ბაზრებს ეკონომიკური საქმიანობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მზარდი პროპორციით დასაფინანსებლად, სამრეწველო ქვეყნები დათანხმდნენ კერძო კრედიტორების დამოკიდებულების ქვეშ ყოფნას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არარეიდენტებისგანაა შემდგარი. აღნიშნულის შედეგია ის, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად ამ სახელმწიფოებმა დასაქმებაზე მეტად ფასების სტაბილურობაზე უნდა იზრუნონ.

სტრუქტურის მიერ პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის კავშირების პრობლემატიზაცია, ზოგიერთების აზრით, ეკლექტიკური და გადაჭარბებულია. ავტორის ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობებში სტრუქტურული ძალაუფლებისა და გავლენის სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებით მზარდ ინტერესს იწვევს ანგლო-საქსურ სამყაროში. სტრუქტურული ნაშრომებში ხაზგასმულია ბაზრების როლი ძალთა თანაფარდობაში, რომელიც საერთაშორისო ასპარეზს აყალიბებს. იმავდროულად, აქცენტი კეთდება პოლიტიკური საფუძვლებისა და მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მექანიზმების არსებობაზე, რომლებიც ეკონომიკურ აქტორთა ექსპანსიას უწყობს ხელს. სახელმწიფო აუცილებელ წესრიგს ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის; სანაცვლოდ, ბაზრები სახელმწიფოებს იმ რესურსებს აძლევენ, რომლებიც მათ საერთაშორისო ასპარეზზე დასამკვიდრებლად და იქ თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად ესაჭიროებათ. თუკი ამ დიალექტიკურ მიდგომას მივყვებით, ეკონომიკა არ უნდა იქნეს აღქმული თავისი სოციალურ-პოლიტიკური გარემოსგან ან ყოველგვარი ინსტიტუციური კონტექსტიდან იზოლირებულ სფეროდ. მისი ფუნქციონირების კანონები არაა უნივერსალური, რადგან საზოგადოებებს შეუძლიათ ძალზე განსხვავებუ-

ლი ფორმების დამკვიდრება წარმოებისა და ვაჭრობის სამართავად ან რესურსების სიმწირესთან გასამკლავებლად. კაპიტალისტური ეკონომიკის სფერო პირველ ყოვლისა, მოიცავს დიდ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, ძლიერ კომერციულ ბანკებს და ასევე პროფკავშირებსა და მომხმარებელთა გაერთიანებებს, აქტორებს, რომლებიც სხვადასხვა სახით და დონით ზემოქმედებას ახდენენ მთავრობებზე იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებმა მათი ინტერესები დაიცვან ნაციონალურ დონეზე და მრავალმხრივი მოლაპარაკებების ჩარჩოში. მაგალითად, მოლაპარაკებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა OMC-ს ეგიდით. ამიტომაც, ეს სფერო მთავრობების პოლიტიკითაა განსაზღვრული, კერძოდ კი ძლიერი სახელმწიფოების მთავრობების პოლიტიკით. ამ მხრივ, ინსტიტუტები, როგორც ამას შემდეგ თავში ვნახავთ, გადამწყვეტ როლს თამაშობენ. მართლაც, ეკონომიკურ აქტორთა ქცევა დამოკიდებულია, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის მმართველ წესებსა და პრაქტიკაზე, ისე ფულადი სახსრების ნაკადზე. ეს ინსტიტუტები სახელმწიფოთა შიგნით და საერთაშორისო პოლიტიკის ჩარჩოში ყალიბდებიან, კომპლექსურ გარემოში, რომელშიც აქტორები ერთმანეთს უპირისპირდებიან განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული კონცეფციების სახელით, ასევე არაერთგვაროვანი ინტერესების დასაცავად.

5. ნეომარქსისტული, სტრუქტურალისტური და დამოკიდებულების თეორიების ანალიზი

პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციების საპირისპიროდ, მარქსისტული სულისკვეთების კვლევები საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში პოლიტიკურზე ეკონომიკურისა და სოციალურის პრიმატს ეყრდნობა. ამ ნაშრომებში უპირატესობა მინიჭებული აქვს ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებს ორი მთავარი მიზეზის გამო: პირველ ყოვლისა, ეს ურთიერთობები ისტორიულად იმპერიალისტური პოლიტიკიდან მომდინარეობს, რომელშიც სავაჭრო, ფინანსურმა და სამრეწველო კაპიტალიზმმა უდავო როლი შეასრულა; შემდეგ, აღნიშნული ურთიერთობები დიდ სოციალურ-ეკონომიკურ სხვაობებშია ასახული, რომლებიც დღემდე გრძელდება. მარქსისტული მსოფლხედველობა ამ ურთიერთობებს კაპიტალის ექსპლუატაციის შედეგად განიხილავს, რომელიც ხელისუფალთა მიერაა მხარდაჭერილი, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში.

5. 1. ნეომარქსისტული ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტულმა ანალიზმა 1970-ანი წლების დასაწყისში აღმავლობა განიცადა პოლ ბარანისა და პოლ სვეიზის კვლევებით, კერძოდ, ნაშრომით „მონოპოლისტური კაპიტალიზმი“ (1970 წ.). ეს ნაშრომი, რომელიც შეიძლება ამერიკული მარქსიზმის მიდგომად განისაზღვროს, ოთხი მთავარი თეზისის დასაბუთებას ცდილობს. პირველ ყოვლისა, ამერიკული კაპიტალიზმი ოლიგოპოლური ხასიათისაა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას დიდი ფირმების დომინანტობა ახასიათებს, რომლებიც მარტონი აკონტროლებენ წარმოებისა და ბაზრების მნიშვნელოვან ნაწილს. შემდეგ, ოლიგოპოლურ მდგომარეობაში მყოფი გამყიდველის მიერ დადგენილი ფასი ზოგადად, დამატებით ღირებულებაზე მაღალია. ამიტომაც, საწარმოების მაქსიმალური მოგების პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა „ეკონომიკური ნამატი“ მნიშვნელოვანი ზრდა, რომელსაც ავტორები განსაზღვრავენ, როგორც განსხვავებას მთლიან პროდუქციასა და პროდუქციის ღირებულებას შორის. მესამე თეზისის თანახმად, რეალური მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, – კაპიტალი ინვესტიციების ან ხელფასების გაზრდას უპირისპირდება მოთხოვნის შესაქმნელად, – ეს ნამატი მთლიანად არ იხარჯება და ამგვარად, ქრონიკულ უმუშევრობას უწყობს ხელს. ამავე დროს, – და ეს ავტორთა ძირითადი თეზისია – კაპიტალის ზედმეტი დაგროვების კრიზისი განსაკუთრებით შემცირებულია აშშ-ში, ე. ი. სტაგნაციის ფარგლებშია შენარჩუნებული, სამხედ-

რო დანახარჯების სახელმწიფო პოლიტიკით, რომლის საშუალებითაც მთავრობა მოგების მაღალი პროცენტის მქონე შეიარაღების მრეწველობის სექტორებს ეხმარება. იმავდროულად, მსგავსი პოლიტიკის გატარება საერთაშორისო კრიზისის ატმოსფეროს შექმნას საჭიროებს მილიტარიზმის ზრდის გასამართლებლად. ბარანისა და სვეიზის აზრით, ცივი ომი და გამაღებელი შეიარაღება, რომელსაც ის მოიცავს, ამ იმპერიალისტური სტრატეგიის გამომხატველებაა. მეორე მხრივ, „მესამე სამყაროში“ ნედლეულის ძიებამ ასევე ნამატის შთანთქმა გამოიწვია. ეს განმარტავს იმ ფაქტს, რომ აშშ-ს ამ რესურსების მქონე რეგიონებზე კონტროლი უნდა უზრუნველყო და იქ გავლენის სფეროები შეენარჩუნება. თუმცა, ნამატის ნაწილის ექსპორტი აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას არ აუმჯობესებს. უცხოური ინვესტიციები პრიორიტეტულად სპეციალიზებული ანკლავებისა ან დაბალი პროდუქტიულობის სექტორებისკენაა მიმართული, რომელთაც ჭარბი, ნაკლებად კვალიფიციური და მცირე ანაზღაურების მუშახელი ახასიათებს და რასაც ემატება ადგილობრივი ელიტების მხარდაჭერა, რადგან ეს უკანასკნელნი არ არიან დაინტერესებულნი უკმაყოფილების გამომხატვისა და აჯანყების მოწყობის უნარის მქონე სპეციალიზებული და ინტელექტუალური მშრომელების გამოჩენაში.

ვიეტნამის ომის დროს ამერიკული მარქსიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საუნივერსიტეტო კამპუსებში კამათის, კონტრკულტურის აღმავლობითა და რასობრივი ამბოხებებით აღნიშნულ კონტექსტში. ის მარტივად განმარტავს ამერიკული კაპიტალიზმის დამლუპველ ხასიათს, რომელიც მძევლადაა აყვანილი დიდი ჯგუფების მიერ. ამ უკანასკნელთ პასუხისმგებლობა აკისრიათ არა მხოლოდ მასების ექსპლუატაციაზე, არამედ ასევე მილიტარიზმსა და ფინანსების გაფლანგვაზე. ძირითადი შეხედულებების გასამყარებლად წარმოდგენილი ემპირიული და სოციოლოგიური ანალიზი ზოგადი ხასიათისაა, ხოლო სტაგნაციის ტენდენციის თეზისი ისტორიულად არ იქნა დამტკიცებული.

5. 2. საუკუნოვანი ექსპლუატაციის პროცესი

მარქსისტული სულისკვეთების კვლევების უმრავლესობა, დაბალი განვითარების შესწავლიდან დაწყებული, ისტორიულ მიდგომას ეყრდნობა. ფერნანდ ბროდელის განმარტებით, ისტორიკოსს, რომელიც განვლილ დროზე მუშაობს, თამაშში მყოფ ძალებს შორის განსხვავების გაკეთების პრივილეგია აქვს, ე. ი. იმ ძალებისა, რომლებიც ძირითადი კონფიგურაციების ჩამოყალიბებაში იმარჯვებენ. ნაშრომში „ჩამორჩენილობის განვითარება: ლათინური ამერიკა“ (1970 წ.), ანდრე გუნდერ ფრანკი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლათინური ამერიკის ექსპლუატაცია ესპანეთისა და პორტუგალიის დაპყრობების ხანგრძლივი პროცესიდან მომდინარეობს. მეტროპოლიებთან სავაჭრო კავშირები ყოველთვის იყო არათანაბარი და ცენტრის ბურჟუაზიის საჭიროებებით განპირობებული. ავტორის აზრით, დღეისათვის არსებული ყველაზე ღარიბი რეგიონები კოლონიური მეტროპოლიების მიერ ექსპლუატაციამდე მდიდრები იყვნენ და მეტროპოლიები მათ ეკონომიკურ ნამატს სისტემატურად ართმევდნენ. მისი თეზისი ცნობილი ფორმულითაა გამოხატული: „ეკონომიკური განვითარება და დაბალი განვითარება ერთი მონეტის საპირისპირო მხარეებია“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პერიფერიული რეგიონების დაბალი განვითარება პირდაპირ მომდინარეობს კაპიტალის ექსპანსიის ისტორიული პროცესიდან: საკუთარ განვითარებასთან ერთად მეტროპოლიები თავიანთი სატელიტების „ჩამორჩენილობას“ უწყობდნენ ხელს.

ფრანკის ანალიზი შემდგომში გააკრიტიკეს შემზღვეველი მექანიზმის გამო. მართლაც, მას შეიძლება სამხრეთ აზიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ახლად დაწინაურებული ქვეყნების ტრანექტორიები დაფუძირისპიროთ, რომლებიც ჩრდილოეთისგან დამოკიდებულების კავშირის სრული გაწყვეტის მიუხედავად, უფრო კომპლექსურ რეფლექსიას იმსახურებენ. მეორე მხრივ, ზოგიერთი მემარცხენე ინტელექტუალი მას მარქსის ისტორიულ მატერი-

ალიზმთან ფუნდამენტურ გაწყვეტას საყვედურობს, რომლისთვისაც სოციალიზმის აშენება კაპიტალიზმის გავლით უნდა მომხდეს. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისთვის ზოგად შესავალში“ (1857 წ.) მარქსი ამტკიცებდა, რომ „უფრო მაღალი საწარმოო ურთიერთობები არასოდროს ჩამოყალიბდება იქამდე, ვიდრე მათი არსებობის მატერიალური პირობები თავად არ აღმოცენდება ძველი საზოგადოების შიგნით“. ასეთივე თვალსაზრისს ვხვდებით 1853 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ინდოეთში ბრიტანეთის ბატონობის შედეგებთან დაკავშირებით. მარქსი სტატიას იმ სისასტიკის შეხსენებით იწყებდა, რომლითაც დამპყრობელმა „ინდური საზოგადოების ყველა საფუძველი დაამხო“, და იმავდროულად ასკვნიდა, რომ კოლონიური ექსპლუატაცია სასარგებლო საქმე იყო, რამდენადაც მან „აღმოსავლური დესპოტიზმი“ დაანგრია და „ფუნდამენტური რევოლუციის პირობები შექმნა აზიის სოციალურ მდგომარეობაში“, რომელზეც სოციალიზმის განვითარება იყო დამოკიდებული.

ემანუელ ვალერშტაინი ნაშრომში: „მსოფლიო სისტემა XVI საუკუნიდან დღემდე“ (1980-1985 წწ.), ბროდელის კვლევების გაგრძელებას შეეცადა ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკურ სივრცეზე „მსოფლიო-სისტემის“ ისტორიაში ჩაღრმავებით. ამ უკანასკნელის სივრცითი ჩარჩო მსოფლიოა, დროებით საზღვრებად დიდი ხანგრძლივობა, ხოლო ანალიზის ობიექტად სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც შრომის საერთაშორისო დანაწილებას ადგენენ ზენაციონალური ძალაუფლების არარსებობის პირობებში. ავტორის აზრით, საერთაშორისო საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი კაპიტალისტური ეკონომიკის არსებობაში გამოიხატება, რომელიც ეტაპობრივად მსოფლიო დონეზე გავრცელდა, მაგრამ მისი ისტორია XVI საუკუნიდან მომდინარეობს, როდესაც გარკვეული სოციალური, გეოგრაფიული, კლიმატური და დემოგრაფიული პირობების წყალობით, ევროპაში ეკომონიკური და მანუფაქტურული ნამატის გენერირება მოხდა და ამ უკანასკნელის შთანთქმა გრძელვადიან ვაჭრობას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სახელმწიფოებად დანაწევრება მნიშვნელოვანი მოვლენაა, მისი შესწავლა უნდა მოხდეს მხოლოდ წარმოების, მოხმარებისა და ვაჭრობის გლობალურ სისტემასთან გაერთიანებით. ეს უკანასკნელი მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ მთლიანობას წარმოადგენს და დიალექტიკურ წინააღმდეგობებს წარმოაჩენს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სიმდიდრესა, რომლებიც „ცენტრს“ ქმნიან და „პერიფერიისა“ და „ნახევრად პერიფერიის“ ეკონომიკურ ჩამორჩენილობას შორის. სახელმწიფოებს შორის უთანასწორობა დამოკიდებულია ამ უკანასკნელთა პოზიციაზე და იმ სპეციფიკურ როლზე, რომელიც მათ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქვთ დაკისრებული. ის სისტემისთვისაა დამახასიათებელი, მას შემდეგ, რაც მისი დინამიკა ნამატის მითვისებაში მდგომარეობს. ამავე დროს, სისტემას ექსპანსიისა და რეგრესიის ციკლები ახასიათებს. ვალერშტაინი ამ მოძრაობების რეპროდუქციას ზოგიერთი სახელმწიფოს ჰეგემონიაში ხედავს, დომინანტობა, რომელიც ეკონომიკური მონოპოლიების დიდ კონცენტრაციას შეესაბამება. თუმცა, ჩვეულებრივ, ამ პროცესს დაღმასვლის ფაზა მოჰყვება, რომელშიც კონცენტრაციის ტენდენციები იფანტება და კვლავ ახლდება ცენტრის ჩამომყალიბებელ ქვეყნებს შორის შეჯიბრი. რაც შეეხება ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობებს, სისტემა მათ შენარჩუნებას ცდილობს. ზენაციონალური ძალაუფლების არარსებობის პირობებში რთულია იმის წარმოდგენა, რომ საბაზრო ძალებს მარტოს შეუძლიათ შრომის საერთაშორისო დანაწილების დაბალანსება, რომელსაც კაპიტალისა და ტექნიკური ცოდნის ძალზე არათანაბარი დოტაციები ახასიათებს.

მარქსისტული სულისკვეთების ამ ისტორიულ ანალიზში არსებობს კაპიტალისტური ექსპლუატაციის სხვადასხვა, მაგრამ თანხვედრი ინსტრუმენტები. მათ შორისაა უთანასწორო ვაჭრობა, რომელიც შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან მომდინარეობს, რაც „პერიფერიულ“ ქვეყნებს ნედლეულისა ან ნახევრად დასრულებული პროდუქციის ექსპორტს აიძულებს. აღნიშნულს შედეგად მოსდევს ტრანსფორმაციის დაბალი დონე, მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე საქარხნო ნაწარმის საპირისპიროდ. ეს სიტუაცია კოლონიური

ბატონობის მემკვიდრეობაა, რადგან მეტროპოლიებმა თავიანთ იმპერიაში ხელი შეუწყეს მონოკულტურის განვითარებას ან მადნეულის მოპოვებას და პროდუქციის დივერსიფიკაცია შეაფერხეს.

ვალერშტაინის პროექტის მისამართით კრიტიკა გამოითქვა ამ უკანასკნელის უზარმაზარი ამბიციების გამო, რომელსაც მნიშვნელოვანი რედუქციონიზმი შემოაქვს და საერთაშორისო ურთიერთობებს მხოლოდ ვაჭრობის, სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ნამატის მოპოვების დინამიკას უკავშირებს. პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლებსაც ხშირად მიაწერდნენ მეთოდოლოგიურ შეცდომას, რომელიც სახელმწიფოს ჰიპოსტაზირებაში მდგომარეობს. მსგავსი მსჯელობა ასევე შეიძლება გამოითქვას „მსოფლიო – სისტემის“ ცნების შესახებ, რომლის თანახმად, სახელმწიფოები ინტერესს წარმოადგენენ მხოლოდ ამ სისტემაში დაკავებული შესაბამისი პოზიციით. თუკი, აღნიშნულიდან გამომდინარე, სურათი გასაგებ ინტერპრეტაციას გთავაზობს – თუმცა, ძირითადად ტექნოლოგიურ-ეკონომიკურს – , კაპიტალის წარმოშობისა და ზრდის პირობებზე, ის დიდწილად ჩქმალავს წარმოების სოციალურ კავშირებს თავად სახელმწიფოებში და ეკონომიკურის პოლიტიკურთან გაერთიანების სპეციფიკურ ფორმებს, რაც მნიშვნელოვანია თუკი გვსურს ეკონომიზმის თავიდან აცილება და შესაბამისი ავტონომიის შეფასება საერთაშორისო ეკონომიკური რეგულაციის სხვადასხვა რეჟიმების ავტონომიის მსგავსად.

5. 3. დაბალი განვითარების სტრუქტურული ანალიზი

სტრუქტურული ანალიზი დაბალი განვითარების კლასიკურ კონცეფციებს უპირისპირდება. დასაწყისისთვის მართებული იქნება მისი ძირითადი თეზისების წარმოდგენა. განვითარების პირველ თეორეტიკოსებს შორის უმრავლესობა ეკონომისტიკა, რომელიც კეინსის გავლენის ქვეშ იმყოფება. ისინი დაბალ განვითარებას „ჩამორჩენილი“ საზოგადოებების ეკონომიკურ და კულტურულ მახასიათებლად განიხილავენ, რომელიც სამრეწველო ქვეყნების მიერ განვლილი გზით უნდა შეივსოს. ამ პერსპექტივაში, სიღარიბე „მანკიერ წრეს“ მოიცავს: შიდა დანაზოგის დაბალი დონე პროდუქტიულ ინვესტიციებს ამუხრუჭებს, მაშინ როდესაც დემოგრაფიული ზრდის მაღალი პროცენტი მუშახელის სიჭარბეს იწვევს, რისი შედეგიცაა ხელფასებისა და მოხმარების საარსებო მინიმუმის დონეზე შენარჩუნება. მთავრობებისთვის რეკომენდებულია კერძო ინვესტიციების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაუმჯობესება, ინდუსტრიალიზაციის პროცესის სტიმულირება, მოხმარების სფეროს სექტორებისა და ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელი დარგების შექმნა, რომლის განვითარების შედეგებიც ეკონომიკის სხვა სექტორებზე იქონიებს გავლენას. ამავე დროს, საერთაშორისო ორგანიზაციების ვარაუდით, საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალები, როგორცაა კერძო ინვესტიციები, ვაჭრობა, საწარმოების შექმნის უფლება, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს ე. წ. განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებისთვის. როგორც ჩანს, „საგარეო დახმარება“ ტექნიკური თანამშრომლობისა და კონცესიური სესხების ფორმით, აუცილებელია განვითარების ამ საწყის ფაზაში.

განვითარების ამ კონცეფციებს სტრუქტურული ანალიზი უპირისპირდება, რომელიც არგენტინელი ეკონომისტის, რაულ პრებიშისა და მის ინტელექტუალთა ჯგუფის მიერაა წარმოდგენილი. ეს ჯგუფი გაეროს ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის (CEPAL) ფარგლებში შეიკრიბა. პრებიში კეინსის კონცეფციების გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ იმავდროულად (თუმცა ნაკლებად) მარქსისტული ანალიზის და ეკონომიკური ნაციონალიზმის არგუმენტებს ითვალისწინებს. ჰანს სინგერთან ერთად იგი არათანასწორო ვაჭრობის ფორმალიზაციის სულისჩამდგმელია, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებს რიკარდოს მიერ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ვაჭრობისა და შედარებითი უპირატესობების ლიბერალურ

კონცეფციას. XX საუკუნეში ეს კონცეფცია სრულყოფილი იქნა ჰეკშერ-ოლინისა და პოლ სამუელსონის მოდელით. პრებიზის ანალიზში შრომის საერთაშორისო დანაწილება ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებსა და სამრეწველო ქვეყნებს შორის, ძირითადად, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ ხდება. მართებულად წარმოჩნდება ის ფაქტი, რომ სავაჭრო პირობების განსხვავება ნედლეულსა და სამრეწველო საქონელს შორის განუწყვეტლივ უარესდება. ეს გაუარესება იწვევს განვითარებადი ქვეყნების ფასეულობათა გადატანას განვითარებული ქვეყნებისკენ, პირველებმა მეტი ნედლეული უნდა გაცვალონ სამრეწველო პროდუქციის მისაღებად. ამ შემთხვევაში, რთული არაა ლისტის მიერ წინა საუკუნეში მხარდაჭერილი ძირითადი თეზისის გამოყოფა. ამავე დროს, პრებიზი ცდილობს ამ თეზისის ეკონომიკურ და სოციოლოგიურ დასაბუთებას. სამრეწველო პროდუქციის მიწოდების სტრუქტურას პროფკავშირებში ორგანიზებული მუშახელი ახასიათებს. პროფკავშირები ზრუნავენ იმაზე, რომ პროდუქტიულობის გაუმჯობესებამ მშრომელებს სარგებელი მოუტანოს და ამ მიზნით, მუდმივ ზეწოლას ანხორციელებენ ხელფასებზე. ამის საპირისპიროდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების სტრუქტურას გადაჭარბებული და არაორგანიზებული მუშახელი ახასიათებს, რაც საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს ხელფასებზე და შედეგად, ფასებზე. აღნიშნულ სიტუაციას მოთხოვნის სტრუქტურა ართულებს. საკვები პროდუქტების მოთხოვნას ფასებისა ან შემოსავლების ზრდის მიმართ მოქნილობა არ ახასიათებს (ჩრდილოეთში მომხმარებელი მეტ ყავას ან შაქარს არ იყიდის იმის გამო, რომ მათი ფასი ეცემა ან მისი ხელფასი იზრდება); სამაგიეროდ, სამრეწველო საქონელზე მოთხოვნა, მიუხედავად მისი შესაბამისი ფასისა, განვითარებადი ქვეყნებში დაჩქარებულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელებმა მოწყობილობებისა და შუალედური პროდუქციის იმპორტირება უნდა მოახდინონ, არამედ იმიტომ, რომ სამრეწველო ქვეყნების მოხმარების წესები მსოფლიოში დემონსტრირების ეფექტით ვრცელდება და გარდა ამისა, შემოსავლების არათანაბარი დანაწილება სამხრეთში ფუფუნების ნაწარმის იმპორტს იწვევს. მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურაში არსებული განსხვავებები, რომელთაც სავაჭრო პირობების გაუარესება უდევს საფუძვლად „ცენტრსა“ და „პერიფერიას“ შორის არათანაბარი განვითარების დონეს განმარტავს. „პერიფერიულ“ ქვეყნებს განვითარების სუსტი ავტონომია აქვთ, რამდენადაც მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ორიენტაცია უცხოეთზეა დამოკიდებული.


1964 წელს პრებიზი გაეროს ვაჭრობისა და განვითარების პირველი კონფერენციისთვის (ფრანგ. CNUCED; ინგლ. UNCTAD) ამზადებს ცნობილ ანგარიშს სათაურით „ახალი სავაჭრო პოლიტიკისკენ ეკონომიკური განვითარებისთვის“. იგი ამ ახალი სპეციალიზებული ინსტიტუტის გენერალურ მდივნად ინიშნება, რომლის ფუნქციაში შედის სამხრეთის ქვეყნების მოთხოვნების გავრცელება. პრებიზი გთავაზობს საერთაშორისო სტრატეგიას, რომელსაც პერიფერიფერიზაციის დინამიკისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია. ეს სტრატეგია ეფუძნება პრეფერენციების მინიჭების გავრცელებული სისტემის დამკვიდრებას, რომელიც GATT¹-ის მიერ შემუშავებულ თავისუფალი ვაჭრობის წესებს არღვევს: სამრეწველო ქვეყნებს განვითარებადი ქვეყნებისთვის სატარიფო შეღავათების მიცემას სთავაზობენ თანაზიარობის გარეშე. ამ უკანასკნელებს მხარს უჭერენ ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიის განვითარებაში, ე. წ. „იმპორტის შენაცვლებით“, რომლის მთავარი მიზანია იმპორტის ადგილობრივი სამრეწველო პროდუქციით შენაცვლება, რომელსაც თავდაპირველად, ადგილობრივი ბაზრების მომარაგება შეუძლია ფართო მოხმარების ნაწარმით, შემდეგ კი გრძელვადიანით.

1 ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება.

5. 4. დამოკიდებულების თეორია

დაბალი განვითარების აღნიშნული განმარტება ნაწილობრივ გადაიხედა „დამოკიდებულების თეორიით“ (იგულისხმება, მესამე სამყაროს ქვეყნების დამოკიდებულება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებზე), რომლის სათავეში მეტწილად მარქსისტული ტრადიციის მიმდევარი ეკონომისტები და სოციოლოგები დგანან. მრავალ გამოქვეყნებულ კვლევებს შორის, მოვიხსენიებთ ფერნანდო კარდოზოსა და ენცო ფალეტოს ნაშრომს: „დამოკიდებულება და განვითარება ლათინურ ამერიკაში“ (1978 წ.), რომელიც სრული უფლებით უნარის კლასიკად შეიძლება განვიხილოთ. დამოკიდებულების თეორიის ჩამოყალიბება განპირობებულია სტრუქტურული ანალიზით მხარდაჭერილი ძირითადი პოლიტიკების წარუმატებლობით. მართლაც, აღსანიშნავია, რომ 1970-იან წლებში, ლათინური ამერიკის ქვეყნების დიდი უმრავლესობის მიერ განხორციელებულ იმპორტის ჩანაცვლებას მათი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება არ გამოუწვევია. ამ ფენომენს მიაწერენ კაპიტალის მნიშვნელოვან გადინებას, ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომელთაც სამრეწველო საქმიანობაში ინვესტირება მოახდინეს, მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის სამშობლოში დაბრუნებით, მაშინ როდესაც ადგილობრივი ელიტები საკუთარი ქონების ამერიკულ ან ევროპულ ბანკებში დაბანდებას არჩევენ. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, რეალური შემოსავლები არ აღწევს საკმარის დონეს ეფექტური მოთხოვნის სტიმულირებისთვის. ეს მნიშვნელოვანწილად ამ შემოსავლების ძალზე არათანაბარი გადანაწილებიდან მომდინარეობს. აღნიშნულს ასევე ემატება სამრეწველო პროდუქციის ორიენტირება ფუფუნების საგნებზე ელიტების გემოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც გავლენას არ ახდენს სხვა სექტორების ჩართვაზე. თუმცა, ამგვარი მარცხის აღიარებით დამოკიდებულების თეორიის ავტორები ცდილობენ აშშ-სა და მისი მოკავშირეების კაპიტალის როლის განმარტებას განვითარებადი ქვეყნების არათანაბარი სოციალური კავშირების სტრუქტურირებაზე, მათგან მომდინარე ძალაუფლების იერარქიებსა და კონფლიქტებზე. ამ პერსპექტივაში, საერთაშორისო ურთიერთობების პოლარიზაცია მომდინარეობს არა მხოლოდ ძალთა ბალანსიდან, როგორც ამას პოლიტიკური რეალიზმის მომხრეები აღნიშნავენ, არამედ, პირველ რიგში, ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების სტრუქტურიდან „ცენტრის“ დიდ კაპიტალისტურ მეტროპოლიებსა და სისტემის „პერიფერიაში“ მყოფ ქვეყნებს შორის. ეს პოლარიზაცია კომპლექსურია, რადგან სამხრეთის ქვეყნებში არსებობს „კომპრადორული ბურჟუაზია“, რომელიც ფაქტობრივად „ცენტრის“ მმართველ კლასებთან არის გაერთიანებული და იმპერიალიზმის შუალედური რგოლის როლს ასრულებს. ამ მხრივ, დამოკიდებულების თეორია ხაზს უსვამს შიდა ფაქტორების მნიშვნელობას, რომელთა გაერთიანება გარე ფაქტორებთან მართებულია, პირველთა მინიმიზაციის გარეშე. ამ პროცესის დიალექტიკის დასახასიათებლად ჯონ გალტუნგმა შემდეგი სქემა შემგვთავაზა.

იმპერიალიზმის სტრუქტურა



წყარო: *A Structural Theory of Imperialism*, Journal of Peace Research, 1971, vol. 8, p. 84.

ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის ანალიზი დამოკიდებულების თეორიის მიდგომის ძირითადი ობიექტია. მართვისა და წარმოების საერთაშორისო ცენტრებით, ეს კომპანიები ყველზე ხშირად კონგლომერატების ფორმითაა ორგანიზებული, რომლებიც სამრეწველო წარმოებისა და მომსახურების სექტორებზე დომინირებენ. ისინი მნიშვნელოვან დახმარებას იღებენ იმ ქვეყნებისგან, რომლებშიც განლაგებულნი არიან, კერძოდ აშშ-გან. ეს უკანასკნელი მათ სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკით უჭერს მხარს. „პერიფერიული“ ქვეყნების ეკონომიკაში შეღწევით, ამ უკანასკნელთა კაპიტალისტურ ბაზრებში ინტეგრირებისთვის. ისინი ენდოგენური განვითარების საფუძვლებს ანგრევენ, ხელს უწყობენ მოხმარების წესების გავრცელებას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ადაპტირებული არ არის აღნიშნული ქვეყნების ცხოვრების პირობებთან. ამ მხრივ, სიმბოლურია რძის ფხვნილთან დაკავშირებული შემთხვევა, რომელსაც დამლუპველი შედეგები ჰქონდა მოსახლეობაზე, რადგან ამ უკანასკნელს არ გააჩნდა შესატყვისი სანიტარული პირობები მის გამოსაყენებლად. პერიფერიულ რეგიონებში აღნიშნული კომპანიების შეღწევა მიზნად ისახავს, როგორც ნედლეულით უზრუნველყოფას, ისე ახალ ბაზრებზე დომინირებული პოზიციების დაკავებას და დაბალი ანაზღაურების მქონე მუშახელის გამოყენებას. მოვლენათა ამგვარი განვითარება თანმიმდევრულ სტრატეგიას მიჰყვებოდა. ის კოლონიზაციის დროიდან ნედლეულის ექსპლუატაციით დაიწყო. ეტაპობრივად, სამრეწველო საწარმოებმა, მონოპოლისტური ტიპის უპირატესობის შესანარჩუნებლად საკუთარი პროდუქციის ექსპორტი მოახდინეს ამ რეგიონებისკენ და იქ გასაყიდი პუნქტები შექმნეს. შემდეგ, ისინი შეუდგნენ საკუთარი პროდუქციის ან მისი გარკვეული ელემენტების ლიცენზიით წარმოებას. დაბოლოს, ახალი ფილიალების შექმნით, ეს საწარმოები შეეცადნენ ადგილობრივი მწარმოებლის და ზოგჯერ მისი პირდაპირი კონკურენტების გაკონტროლებას. ფინანსური საშუალებებისა და ტექნიკური რესურსების წყალობით, ამ საწარმოებმა კონკურენტული ადგილობრივი საწარმოების განადგურება მოახერხეს, რომლებიც ამ უკანასკნელთა შესყიდვის პოლიტიკას უწევდნენ წინააღმდეგობას. ამგვარად, „პერიფერიის“ ეკონომიკის დენაციონალიზაციით აღნიშნულმა საწარმოებმა სოციალური პოლარიზაცია გაამძაფრეს და არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ფენების გაღატაკებას შეუწყეს ხელი, ე. წ. „არაფორმალური“ სექტორის გაფართოებას, რომელიც ნებისმიერ სოციალურ დაცვას უგულებელყოფს, მოიცავს შემთხვევით

და დაბალ ანაზღაურებად საქმიანობას, რასაც ნაწილობრივ, ბავშვები ასრულებენ. ამავე დროს, ეს საწარმოები არ დაკმაყოფილდნენ ეკონომიკური და კულტურული საშუალებებით კაპიტალისტური სისტემის ჰეგემონის გაფართოებით. მათ თავიანთი გავლენა უყოყმანოდ გამოიყენეს აშკარად პოლიტიკური მიზნებისთვის. ცნობილია, რომ აშშ-ის მთავრობამ ცენტრალური სადაზვერვო სამსახური ჩართო ძირგამომთხრელ საქმიანობაში ირანში, გვატემალასა და ჩილეში იმ რეჟიმების დესტაბილიზაციისთვის, რომლებიც ტრანსნაციონალური კომპანიების მნიშვნელოვანი ინტერესების მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი. 1970-იანი წლების დასაწყისში გამოაშკარავდა საერთაშორისო სატელეფონო კომპანიის (ITT) როლი ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტის, სალვადორ ალიენდეს დამხობაში და ამ მიზნისთვის მის მიერ ჩამოყალიბებული კავშირები ამერიკის ადმინისტრაციასა და ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურთან.

5. 5. იმპერიალიზმის და დამოკიდებულების თეორიების პოლიტიკური ინტერესი

იმპერიალიზმისა და დამოკიდებულების თეორიებმა დებატები გამოიწვიეს არა მხოლოდ აკადემიურ წრეებში. მათ გარკვეული აუდიტორია ლათინური ამერიკის მმართველ წრეებში იპოვეს, მემარჯვენე ნაციონალების ჩათვლით. მსოფლიო სისტემის სტრუქტურის კითხვის ქვეშ დაყენებით ეს თეორიები ასევე ხელს უწყობდნენ იმ იდეოლოგიური კლიმატის შექმნას, რომლითაც „მესამე სამყაროს“ დიქტატურები საზრდოობდნენ. ამ თეორიებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა გაერთიანებული ერების მიუმხრობელი ქვეყნების დელეგაციებში, რასაც 1974 წელს გენერალური ასამბლეის მხრიდან ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის (NOEL) მოთხოვნა მოჰყვა. აღნიშნული წესრიგის შემოღებასთან დაკავშირებული დეკლარაცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ „იმართება სისტემით, რომელიც იმ ეპოქიდან მომდინარეობს, როდესაც განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა არც კი არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და, რომელიც უთანასწორობას აგრძელებს“. ყველასათვის ნათელია, რომ ამგვარი დისკურსი ნეოკოლონიალიზმის დაგმობას წარმოადგენს. აღინიშნა, რომ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი „უთანასწორობასა და უსამართლობას გამოასწორებს“. სამოქმედო პროგრამით მოწონებული პოლიტიკური ტექნოლოგიები აშკარად ჯდება სტრუქტურული ანალიზის მიმართულებაში, რომელიც როგორც ავლნიშნეთ, ბევრს უნდა უმაღლოდეს ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინას.

5. 6. კრიტიკა

აღნიშნულმა თეორიებმა მართებულად წარმოაჩინეს ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი და მისგან მომდინარე ანტაგონისტური კავშირები მსოფლიო დონეზე ვრცელდება. მათ გამოააშკარავეს სტრუქტურულად ასიმეტრიული ეკონომიკური ურთიერთობები სამრეწველო და ე. წ. განვითარებად ქვეყნებს შორის; გააღრმავეს პერიფერიული საზოგადოებების შიგნით დაბალი განვითარების არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ასევე სოციოლოგიური ანალიზი; გააშუქეს ურთიერთქმედება ნაციონალურ და საერთაშორისო სტრუქტურებს შორის და ხაზი გაუსვეს ფაქტს, რომ ამ საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური დინამიკა გარკვეულწილად გვერდს უვლის ამ სფეროს, რამდენადაც ის ძლიერ სახელმწიფოთა მმართველ და საქმიან წრეებში მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. ამ თეორიებმა გამოავლინეს სახელმწიფოთშორის ურთიერთობებზე ფოკუსირებული პოლიტიკური ანალიზის ნაკლოვანებები. საბოლოო ჯამში, აღნიშნულმა თეორიებმა კონცეპტუალური ჩარჩო შემოგვთავაზეს, რომელიც ხელს უწყობს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული ურთიერთობების განმარტებას, რისი დადასტურებაცაა ბევრი არამარქსისტული ავტორის მიერ მათი ნაწილობრივი გამოყენება.

ამავე დროს, ამ თეორიებს სქემატიზმს, ემპირიული ანალიზის სისუსტეს, მარქსისტულ დიალექტიკასთან კავშირის გაწყვეტას საყვედურობდნენ, რომელიც კაპიტალისტური განვითარების პროგრესულ ხასიათის უსვამს ხაზს, ზოგიერთ მათგანს კი რევოლუციურ რომანტიზმს, რომელიც გამოსავალს მხოლოდ კაპიტალისტური სისტემისგან უხეშ „გამიჯვნაში“ ხედავდა. ეს არაერთგვაროვანი თეორიები, ხშირად, წინააღმდეგობრივი იყო; ისინი მთლიანად ემხრობოდნენ „მესამე სამყაროს“ ექსტრიმიზმს, რასაც მათი მიდგომის სიზუსტისთვის ხელი არ შეუწყვია. 1980-იან წლებში აღნიშნულმა თეორიებმა აუდიტორია დაკარგეს, მათი რეაქტულიზაციის კვლევები კი იშვიათი გახდა. ამ ფენომენის ახსნა შესაძლებელია იმ რეპრესიით, რომელიც თავს დაატყდა ლათინურ ამერიკას, კერძოდ, ჩილესა და არგენტინას და ასევე ინსტიტუტებსა და მკვლევრებს, რომლებიც აზროვნების ამ მიმდინარეობით ხელმძღვანელობდნენ. აღნიშნულიდან ასევე მომდინარეობს მარქსიზმის დისკრედიტაცია, საბჭოთა ბლოკის დაშლისა და სამხრეთის ზოგიერთ სახელმწიფოში დიქტატურების ეკონომიკური და პოლიტიკური მარცხის შემდეგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (ფრანგ. OCDE; ინგლ. OECD) ქვეყნებისა და მათი ფინანსური წრეების მხარდაჭერით, დავალიანების კრიზისთან დაკავშირებული სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა, რომელიც სისტემატურად გამოხდა განვითარების მეტ-ნაკლებად დირიჟისტულ² პოლიტიკას. ამ კონტექსტში, აზიის ახალი სამრეწველო ქვეყნების მოდელს, – მათ არჩევანი გარე მსოფლიოსკენ მიმართული განვითარების სტრატეგიებზე გააკეთეს – სახელმწიფოს ფუნდამენტური როლის უგულვებელყოფის ტენდენცია აქვს, რამაც სიღრმისეულად კითხვის ქვეშ დააყენა დამოკიდებულების თეორიის მიერ გაცხადებული იმპორტისა და ჩანაცვლების პროექტები. 1994 წელს ფერნანდო ენრიკე კარდოზომ, რომელიც ამგვარ მიდგომასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომის ავტორია, ბრაზილიაში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. თუმცა, ბედის ირონიით, იგი დაუბრკოლებლივ შეუდგა ნეოლიბერალური სულისკვეთების ეკონომიკური პროგრამის განხორციელებას. ორიენტაციის ამგვარი ცვლილება ნათლად გვიჩვენებს ლიბერალური აზროვნების პირველობას ამ ათწლეულის განმავლობაში. ნეოლიბერალურ ეკონომიკურ მოდელს ის ინტელექტუალებიც მიემხრნენ, რომლებმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს მის კრიტიკაში.

ამავე დროს, დღეს მრავალი ეკონომისტი დომინანტური ნეოკლასიკური ეკონომიკური აქსიომების ეჭვის ქვეშ დაყენებას ცდილობს. ისინი აღნიშნავენ, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია, როდესაც ის არაა მთავრობების ჩარევით შეზღუდული, მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავებას აღრმავებს და პირველებს კაპიტალსა და ტექნოლოგიაში აძლევს უპირატესობას. დღეისათვის ეს დაყოფა ძალზე მნიშვნელოვანი გახდა, რადგან მდიდარი ქვეყნების მთავრობებს არა აქვთ ახალი სახელმწიფო პოლიტიკის ამოქმედების ნება ამ უსამართლო სტრუქტურების შესაცვლელად.

6. სტრუქტურის ცვლილებები

1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ, შემდეგ კი გერმანიის გაერთიანებამ და საბჭოთა იმპერიის დაშლამ, სიღრმისეულად შეცვალა ევროპისა და აზიის პოლიტიკური რეჟიმები და საზღვრები. სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში ამ მოვლენებს მსოფლიო გამოხმაურება ჰქონდა, რამდენადაც მათ დაასრულეს წარმოებასთან, მოხმარებასთან და ვაჭრობასთან დაკავშირებული არაერთგვაროვნება, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობები ჩამოაყალიბა ცივი ომის განმავლობაში. მწარმოებლური და ფინანსური კაპიტალის დანერგვის სივრცის გაფართოებამ ყოფილ საბჭოთა ბლოკსა და მის სატელიტებში მხოლოდ გააძლიერა

2 სახელმწიფოს აქტიური ჩარევის პოლიტიკა ეკონომიკის სფეროში

წინათ აღნიშნული „კონკურენტუნარიანი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების ტენდენცია. მართლაც, ამ გაფართოებამ მძაფრი კონკურენცია გამოიწვია სახელმწიფო აქტორებს შორის, რომლებმაც მრავალ ასპექტში, საწარმოების მსგავსი ფუნქციები იტვირთეს: გაყიდვის მაქსიმიზაცია (კერძოდ, ექსპორტი), დანაკარგების ან საგარეო დეფიციტის მინიმიზაცია, შედეგების გაუმჯობესება (ამ შემთხვევაში, სავალუტო და საბიუჯეტო სტაბილურობა). ამ მიზნით, ისინი შეეცადნენ ერთი მხრივ, იმგვარი ეკონომიკური გარემოს შემოთავაზებას, რომელიც პირდაპირი მწარმოებლური ინვესტიციების მოზიდვას შეძლებდა სამუშაო ადგილების ღირებულებისა და კომპანიების გადასახადების დაწვევით ან მაქსიმუმამდე აწევით და მეორე მხრივ, ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას, რომელიც კაპიტალს დაბრკოლების გარეშე მოძრაობის საშუალებას მისცემდა. ამ სტრუქტურულმა ცვლილებებმა ის ფენომენი გააძლიერა, რომელიც ცივ ომამდე ბევრად ადრე წარმოიშვა და მას „მონდიალიზაციის“ ან „გლობალიზაციის“ ტერმინით განსაზღვრავენ, უფრო ეკონომიკური კუთხით. ეს ცვლილებები განუყოფელია მნიშვნელოვან სამეცნიერო და ტექნიკურ ინოვაციებთან, კერძოდ, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო მონაცემთა დამუშავების სფეროებში. მართლაც, მსგავსმა ინოვაციებმა დროისა და სივრცის კავშირები შეცვალა. ამიერიდან დიდი ქალაქები მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელებშია ჩართული.

გლობალიზაციამ ეკონომიკური გაცვლების ინტენსიფიკაცია გამოიწვია ზრდის ისეთ ძირითად პოლუსებს შორის, როგორცაა ჩრდილოეთ ამერიკა, იაპონია, დასავლეთ ევროპა, აზიის ახალი სამრეწველო ქვეყნები, რომელთა შორის ჩინეთი და ინდოეთია. მართლაც, შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაციის გამოყოფა დიდი ეკონომიკური სისტემების განვითარებისგან. ამგვარად, ევროკავშირი ცდილობს ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ინტეგრაციის სივრცის გაფართოებას. აღნიშნულს, რა თქმა უნდა, თან ახლავს სირთულეები, როგორც ამას მოწმობს საფრანგეთსა და ჰოლანდიაში ევროპის კონსტიტუციის პროექტის უარყოფა. აშშ-მ თავისუფალი ვაჭრობის ფართო ზონა შექმნა კანადასთან და მექსიკასთან (ALENA); ბრაზილიამ, არგენტინამ, პარაგვაიმ და ურუგვაიმ ლათინური ამერიკის საერთო ბაზრის ფორმა შექმნეს (MERCOSUR); აშშ-თან შეჯიბრში მყოფი იაპონია თავისი გავლენის გაფართოებას წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ნაწილზე აგრძელებს APEC³-ის ჩარჩოში. დასადაგენია თუ რამდენად წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები ახალი პროტექციონისტული ბლოკების შექმნის პრელუდიას.

ტრანსნაციონალურ ფირმებს ცენტრალური ადგილი უკავიათ თანამედროვე ეკონომიკური ცვლილებების დინამიკაში. ამ მხრივ, ისინი ასევე მზარდ როლს ასრულებენ, როგორც სახელმწიფოების შიდა პოლიტიკაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციაში. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კომფერენციის ანგარიშის მიხედვით (2005 წ.), ამ ფირმების რაოდენობა 2004 წელს სავარაუდოდ 70 000 – ს შეადგენდა მხოლოდ მწარმოებლურ სექტორში, 7 000-ის საპირისპიროდ ოცდაათი წლის წინათ. ეს სათაო კომპანიები, რომელთაგან 50 000 განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენს, 690 000-მდე ფილიალს აკონტროლებს, მათგან ნახევარი განვითარებად ქვეყნებში მოქმედებს. მათი პირდაპირი საგარეო ინვესტიციების მთლიანი ნაკადი დაახლოებით 9 მილიარდი დოლარია, საიდანაც შემავალი ნაკადის 63% ევროკავშირში, აშშ-სა და იაპონიაშია კონცენტრირებული, მაშინ როდესაც გამავალი ნაკადი ასევე ქვეყნების ამ ჯგუფიდან მომდინარეობს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსნაციონალური ფირმების მწარმოებლური და სავაჭრო საქმიანობა, – რომლებიც მსოფლიოზე გავრცელებას ცდილობენ – ძირითადად, სამ ეკონომიკურ ერთობას ქმნის, რომელიც ევროკავშირის, აშშ-სა და იაპონიისგან შედგება. ეს „ტრიადა“ მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 15%-ს შეადგენს, მაგრამ ის თითქმის ყველა

3 წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა

ინოვაციური ტექნოლოგიის წყაროა. თუმცა, კაცობრიობის ნახევარს ნაკლებად მიუწვდება ხელი ამ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრიადის შემადგენელი ქვეყნების ბაზრები ერთგვაროვანი სტრუქტურებია წარმოების, მოხმარების, ფორმაციისა და კვლევის და ასევე კვალიფიციური მუშახელის თვალსაზრისით. ამ ერთობის გარეთ პირდაპირი ინვესტიციები ძირითადად ათამდე ახლად დაწინაურებულ ქვეყანას ეხება, მათ შორისაა ჩინეთი, სადაც ინვესტიციების მთლიანი ნაკადის 8%-ია კონცენტრირებული (700 მილიარდი დოლარი), შემდეგ მექსიკა (182 მილიარდი), სინგაპური (160 მილიარდი), ჩილე (54 მილიარდი), ტაილანდი (48 მილიარდი), მალაიზია (46 მილიარდი), სამხრეთ აფრიკა (46 მილიარდი), ტაივანი (39 მილიარდი), ინდოეთი (38 მილიარდი) და თურქეთი (35 მილიარდი). ამგვარად, ერთი რამ აშკარაა: გლობალიზაციას არ გამოუწვევია წარმოების შესაძლებლობების თანაბარი გავრცელება.

ეს კომპანიები მწარმოებლური ქონების დაახლოებით მესამედს აკონტროლენენ, რომელიც კერძო სექტორის ხელშია თავმოყრილი მთელ მსოფლიოში. ამ მხრივ, მათ შორის რამდენიმე ასეული საწარმო წამყვან როლს თამაშობს. ამ უკანასკნელთა ხელშია მზა საქონელის მსოფლიო ბრუნვის სამი მეოთხედი, რომლის დიდი ნაწილი მათივე ჯგუფის შიგნით ან მათი ფილიალების მიერ შექმნილ ქსელში განხორციელებული ვაჭრობაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიების მიერ დაგროვილი აქტივები (მაგალითად „ჯენერალ ელექტრიკი“) დაახლოებით 650 მილიარდი დოლარია. ეს ციფრი ბევრად აღემატება მთელი საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტს (442 მილიარდი). რაც შეეხება საფინანსო ტრანსნაციონალურ კომპანიებს, მათ შორის შვიდი ცალ-ცალკე 1 მილიარდ დოლარზე მეტ აქტივს ფლობს (Citigroup, UBS, Allianz Group, Mizuho Financial Group, Crédit Agricole, HSBC Bank, Deutsche Bank). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ კომპანიების მიერ დაგროვილი აქტივების ჯამი განვითარებადი ქვეყნების მთლიან ეროვნულ შიდა პროდუქტს აღემატება, ჩინეთის ჩათვლით (7,3 მილიარდი). სხვა ტრანსნაციონალური საფინანსო კომპანიები, რომლებიც მსოფლიოს პირველ 50 კომპანიაში შედიან, 995 მილიარდსა და 327 მილიარდს შორის მერყევ აქტივებს ფლობენ.

1980-იანი წლებიდან მიმდინარეობს კომპანიების შერწყმა-შესყიდვის კოლოსალური ზრდა. ევროპაში ეს მოძრაობა ერთიანი ბაზრის პერსპექტივამ დააჩქარა. ხშირ შემთხვევაში, საქმე ეხება დიდ კომპანიებს, რომელთაც მოცულობის გაზრდა სურთ, კვლევისა და განვითარების (R & D) ხარჯების საკუთარ თავზე ასაღებად და თავიანთი საერთაშორისო ბაზის გასაფართოებლად. კომპანიის ხელახალი შესყიდვა უცხოეთში დამკვიდრების, დისტრიბუციის არხების ხელში ჩაგდების, ახალი ტექნიკისა ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მოპოვების საშუალება ხდება. ასევე ადგილი აქვს საწარმოთშორისი შეთანხმებების დადებას, მაგალითად საერთო ტექნოლოგიების ან გარკვეული პროდუქციის განვითარებისთვის. ამგვარი შეთანხმებები ხშირია ტელეკომუნიკაციების, ელექტრონიკის, ქიმიის, ქიმიური პროდუქტების წარმოებისა და ფარმაციის, საბანკო და საფინანსო, ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორებში. 2004 წელს 100 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების 55 შერწყმა-შესყიდვის შეთანხმება დაიდო განვითარებადი ქვეყნებში. ეს შეთანხმებები ძირითადად ამერიკულ (22 შერწყმა-შესყიდვა), ესპანურ (9), ბრიტანულ (8) ტრანსნაციონალურ კომპანიებს ეხება, მაგრამ ასევე ახლად დაწინაურებულ ქვეყნებს, როგორცაა სინგაპური (9), ჩინეთი და ჰონგ-კონგი (6), ბრაზილია (5), მექსიკა (4), ინდოეთი (3) და მალაიზია (2).

7. სუვერენიტეტის დასუსტული?

გლობალიზაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის რეჟიმების ერობიასთან ასოცირდება. ამ პერსპექტივაში, ვაჭრობის ნაკადის გაფართოებამ და ტრანსნაციონალურმა კომუნიკაციებმა, ნაციონალური საზღვრების შეღწევადობამ, რეგიონული ინტეგრაციის მოძრაობებ-

მა, არასამთავრობო აქტორთა გამრავლებამ, საერთაშორისო რეჟიმების მზარდმა როლმა, სახელმწიფოთა გავლენა შეარყია იმგვარად, რომ ეს ფენომენები ცენტრიფუგულ ტენდენციებსა და ეთნიკურ კონფლიქტებს დაემთხვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მთავრობებს აღარ აქვთ შიდა პოლიტიკებისა და დიპლომატიურ-სტრატეგიული ორიენტაციების სრულად განსაზღვრის შესაძლებლობა. როგორც უკვე ავლნიშნეთ, მთავრობების კომპეტენცია – საკუთარი ეკონომიკის მართვაში დაადგინონ ნაციონალური პრიორიტეტები – , ტრანსნაციონალური საქმიანობის განვითარების შედეგად შემცირდა. მრავალმა სახელმწიფომ, ყველაზე მდიდრებიდან დაწყებული, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ფინანსურ სფეროში ბერკეტების მნიშვნელოვანი ნაწილი დათმო. ამ სახელმწიფოთა მთავრობები უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ნაციონალური საწარმოების კონკურენტუნარიანობის ხელშესაწყობად ერთნაირ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც ინფლაციის პროცენტისა და სოციალური ხარჯების შემცირებაში მდგომარეობდა.

ზოგადად, წარსულთან შედარებით, მთავრობების მანევრირების თავისუფლება უფრო შეზღუდულია იმ სფეროებში, რომელიც ცოტა ხნის წინ მათი ექსკლუზიური კომპეტენციის სფეროდ ითვლებოდა: მონეტარული პოლიტიკა, საგადასახადო სისტემა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება და ფორმაცია, მეცნიერება და ტექნოლოგიები. გარდა ამისა, ისინი მზარდი სირთულეების წინაშე დგანან მიგრანტთა და დევნილთა ნაკადის მართვის საკითხში. ამგვარად, ეკონომიკური გარემო, რომელშიც სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ვითარდება აშკარად შეიცვალა. ამას ადასტურებს ურთიერთდამოკიდებულების პარადიგმა. იგივე აღინიშნება საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ნაშრომში, სახელდობრ, სიუზან სტრეინჯის ნაშრომებში. როგორც ავლნიშნეთ, ეს ავტორი ცდილობს იმის ჩვენებას, რომ კერძო ეკონომიკური აგენტები დღეს „პარალელურ ძალაუფლებას“ ანხორციელებენ, რომელიც გარკვეულ სფეროებში ტრადიციულად სახელმწიფოებისთვის მინიჭებულ ძალაუფლებას აღემატება.

აღნიშნულის საპირისპიროდ, პოლიტიკური რეალიზმის ანალიზის თანახმად, მიუხედავად არასამთავრობო აქტორთა გავლენის ზრდისა, სახელმწიფოთა უმრავლესობამ თავიანთი სუვერენიტეტის ძირითადი ატრიბუტები შეინარჩუნა მაშინაც კი, როდესაც ისინი ბაზარს კომპეტენციებს გადასცემენ. სახელმწიფოები სხვადასხვა საშუალებებით აგრძელებენ სოფლის მეურნეობის ან სამრეწველო სექტორების დაცვას, რომლებსაც ისინი სტრატეგიული მნიშვნელობის ინტერესებად განიხილავენ. ამ მხრივ, ისინი იღებენ ვალდებულებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, უფრო მერკანტილურ პოზიციებთან დგას ახლოს, ვიდრე თავისუფალ ვაჭრობასთან. 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ, ამერიკის ადმინისტრაციამ დასავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, ზომები მიიღო სახელმწიფო ეკონომიკის ყველაზე საფრთხის ქვეშ მყოფი სექტორების მხარდასაჭერად. კრიზისული სიტუაციები ან მნიშვნელოვან საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ასევე მოწმობს თითოეულ სახელმწიფოში შედარებით ცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების არსებობას, რომელსაც პრეზიდენტი ან ადამიანთა მცირე ჯგუფი განასახიერებს და სუვერენიტეტის ლეგიტიმურ მფლობელად განიხილება. ამავე დროს, „დიდი პოლიტიკის“ სფეროში მთავრობები საერთაშორისო ვალდებულებებს უქვემდებარებენ იმას, რასაც საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაცვად განიხილავენ. თუმცა, გლობალიზაციის შედეგები სახელმწიფოთა ხასიათისა და გარემოებების მიხედვით ბევრად განსხვავდება. ბუნებრივია, რომ მყიფე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები უფრო მგრძობიარენი არიან ამ შედეგების მიმართ; მათ ნაკლებად შესწევთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უნარი, რომელიც ეკონომიკის მართვასა და მის ორიენტაციას განაპირობებს. ამგვარად, სამხრეთის ლარიბ ქვეყნებს სუსტი ეკონომიკური და პოლიტიკური ავტონომია აქვთ, მაგრამ ეს დამოკიდებულება ახალი არ არის, როგორც ეს მარქსისტული ანალიზის განხილვისას აღინიშნა.

სახელმწიფო სუვერენიტეტი არასდროსაა აბსოლუტური. სახელმწიფო, რომელიც სუვერენიტეტის ნაწილს თმობს, მას უცილობლად სხვა ძალაუფლებას გადასცემს, მაგალითად, ძლიერ სახელმწიფოს ან ზენაციონალურ ინსტანციებს, რომლებშიც ის მონაწილეობს. მთავრობა, რომელიც საერთაშორისო ვალდებულებებს იღებს, საკუთარ სუვერენიტეტს არ თმობს, თუკი იმედოვნებს, რომ ეს ვალდებულებები მას უფლებებსა და სარგებელს აძლევს.

საბოლოო ჯამში, რას იძლევა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში ეკონომიკის ინტეგრირების სხვადასხვა მცდელობები? ამ შემთხვევაში, შეიძლება ორ ღერძად დაყოფილ აზროვნების ძირითად სკოლებს დავეყრდნოთ, პირველი ანალიტიკურია და სახელმწიფოს ცენტრალურ ან მეორეხარისხოვან პოზიციას ანიჭებს, მეორე კი ნორმატიულია და კერძო ეკონომიკური აგენტების მიმართ პოზიტიურ ან ნეგატიურ დისპოზიციას აღნიშნავს. მათი გადაკვეთით ვლენობით ოთხ კონფიგურაციას.

**ეკონომიკის ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში:
ოთხი შესაძლებელი კონფიგურაცია**

	ანალიტიკური პოზიცია ცენტრალური სახელმწიფოსთვის გადაცემული	ანალიტიკური პოზიცია მეორეხარისხოვანი სახელმწიფოსთვის გადაცემული
კერძო ეკონომიკური აგენტების მიმართ პო- ზიტიურად განწყობილი ნორმატიული დისპოზიცია	რეალიზმი ნეორეალიზმი	ურთიერთდამოკიდებულების თეორია ტრანსნაციონალიზმი
კერძო ეკონომიკურ აგენ- ტთა მიმართ ნეგატიურად განწყობილი დისპოზიცია	საერთაშორისო პოლიტიკუ- რი ეკონომია	ნეომარქსიზმი

რეალიზმი და ნეორეალიზმი, ისევე როგორც ურთიერთდამოკიდებულებისა და ტრანსნაციონალიზმის პარადიგმები, კერძო ეკონომიკურ აგენტთა მიმართ პოზიტიურ დისპოზიციას გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ამ უკანასკნელთა როლს სიმდიდრის წარმოებაში; თუმცა, მაშინ როდესაც პირველები სახელმწიფო ურთიერთქმედებებს უპირატეს როლს ანიჭებენ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში, მეორენი არასახელმწიფო აქტორთა ავტონომიის ხაზგასმას ცდილობენ, რომელსაც ისინი პოზიტიურად აღიქვამენ, რამდენადაც ტრანსნაციონალურმა ნაკადმა სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გენერირება უნდა მოახდინოს და, იმავდროულად, ამ უკანასკნელთა გავლენა შეამციროს, რომელიც ეჭვქვეშაა დაყენებული ლიბერალიზმთან ახლოსმდგომი აზროვნების ამ მიმდინარეობის მიერ. ნეომარქსისტული და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის კვლევები ძირითადად ნეგატიურ მსჯელობას ეყრდნობა კერძო ეკონომიკური აგენტების როლთან დაკავშირებით: ერთნი ხაზს უსვამენ მათ მიერ განხორციელებული ექსპლუატაციისა და ჩაგვრის შედეგებს, მეორენი კი მათ პოტენციურად დამლუპველ გავლენას შიდა სოციალურ რეგულაციასა და საერთაშორისო სტაბილურობაზე. ამავე დროს, ეს კვლევები განსხვავდება იმ ანალიტიკური როლით, რომელსაც ისინი სახელმწიფოს მიაკუთვნებენ. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ნაწილობრივ უარყოფილია ნეომარქსისტების მიერ კაპიტალის მფლობელთა სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ის მთავარ ორიენტირად რჩება საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში.

სახელმწიფო, ეკონომიკური, ნორმატიული

და ინსტიტუციური ურთიერთობების სფერო

რეალიზმის წარმომადგენელთა აზრით, საერთაშორისო პოლიტიკა კოლექტიურ აქტორთა მიერ განხორციელებული რაციონალური ქმედებებიდან მომდინარეობს. რაც შეეხება სახელმწიფოებს, ზენაციონალური ინსტანციის არარსებობის გამო, ისინი იძულებულნი არიან საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველყონ სხვა პოტენციურ თუ რეალურ კოლექტიურ აქტორთა პირისპირ. ამიტომაც, ძალთა კონფიგურაციები, ისევე როგორც მათი დინამიკა, ამ თვალსაზრისით, ანალიზის პრივილეგირებული ობიექტია. თუმცა, პოლიტიკური რეალიზმის ყველაზე შორსმჭვრეტელი მომხრეების აზრით, ამ კონფიგურაციებს შეიძლება მასშტაბის არგუმენტით მაინც შევუპასუხოთ. რაიმონ არონის აზრით, „შესაძლებელია საერთაშორისო საზოგადოების განსაზღვრა მშვიდობის მდგომარეობის და არა ომის რისკიდან გამომდინარე, კონფრონტაციისა და სამხედრო შეჯიბრის გამონაკლის სიტუაციებზე განხილვა და არა საერთაშორისო ურთიერთობების არსად. (. . .). ტრანსნაციონალური საზოგადოება (ან ტრანსსახელმწიფო) ჭეშმარიტი საერთაშორისო საზოგადოება იქნებოდა, რომლის რეგლამენტაციასაც ზენაციონალური ორგანიზაციები ეტაპობრივად მოახდენდნენ.“ ამავე დროს, არონი საკმარისად მიიჩნევს „ათასწლოვან ისტორიაზე“ დაყრდნობას, რომელიც ანარქიის პოსტულატის შესაბამისობას და მის დიდ ეფექტურობას ამტკიცებს საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზისთვის (Aron, 1967, pp. 849-850). თუმცა, ეს მსჯელობა საეჭვოდ წარმოჩნდება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი იმ ურთიერთობებთან მიმართებაში, რომლებიც OCDE-ს ქვეყნებს შორის ვითარდება. მიუხედავად ომებისა და კრიზისების სიხშირისა, რეალისტების მიერ გამოაშკარავებული ძალაუფლების იერარქიებისა და დომინანტობის სტრუქტურებისა, პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული ანტაგონიზმებისა, რომლებიც მათ ყოფენ, სახელმწიფოებს თანამშრომლობის უამრავი პროექტები აქვთ. გარდა ამისა, მრავალჯერ ავლნიშნეთ, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის ერთადერთი აქტორები არ არიან, რადგან მრავალი სამთავრობო-შორისო ორგანიზაციის, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება, მეორე მსოფლიო ომიდან დაწყებული. ამგვარად, აქტორთა ეს ორი კატეგორია ნორმების შემუშავებას ცდილობს და რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იმის შეფასება თუ რამდენად ეხებიან ისინი სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკასა და კერძო ეკონომიკურ აგენტთა ქცევას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არ სარგებლობენ სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი შეზღუდვის ანალოგიური ძალაუფლებით, ისინი მაინც დამფუძნებელი ქვეყნების ნებიდან მომდინარეობენ, რომელთაც ქცევის გარკვეული წესების დამყარება სურთ და ახალი წევრები ვალდებული არიან მათ მიემხრონ. ეს დამფუძნებელი საქმიანობა, მისი ხელშემწყობი აქტორები, მისგან მომდინარე ასოციაციები, ამ უკანასკნელთა მიერ გაწერილი ნორმები, მათ მიერ შესრულებული ფუნქციები, შეზღუდვის დონე, რომელსაც ისინი მონაწილეებზე ანხორციელებენ და მათი შედარებითი ავტონომია, ის ფაქტორებია, რომელთა მხედველობაში მიღება უდავოდ

ამდიდრებს საერთაშორისო პოლიტიკის გაგებას. თუმცა, ახალი ცვლადების დამატება ხელს უშლის ანალიზის სიზუსტეს. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ეკონომიკის სახელმწიფოთშორისი კავშირების შესწავლასთან დაკავშირება გასაგებს ხდის პოლიტიკური რეალიზმის ანალიზით უგულვებელყოფილ ფუნდამენტურ ფენომენებს, მაგრამ ცხადყოფს მეთოდოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც სახელდობრ, სახელმწიფოებისთვის ან კერძო ეკონომიკური აქტორებისთვის მისანიჭებელ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ორიენტაციაში. გარდა ამისა, ხომ არ იკარგება ანალიზის სიზუსტე ნორმებისა და ინსტიტუტების სახელმწიფოთშორის ურთიერთქმედებებთან და ეკონომიკურ ურთიერთობებთან გაერთიანებით? თუ პირიქით, ეს რისკი მცირდება სისტემატურად იმ კავშირების განსაზღვრით, რომლებიც ამ სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის მყარდება? ამ ნაწილში ძალზე ბევრი საკითხია განსახილველი. საერთაშორისო პოლიტიკაში ნორმების პირველობის და იმ ინსტიტუტებისა და აქტორების განხილვის შემდეგ, რომლებიც მათ ამოქმედებას უწყობენ ხელს (მე-5 თავი), შესწავლილი იქნება თეორიები, რომლებიც აღნიშნულ ნორმებს ითვალისწინებენ (მე-6 თავი) და ასევე სპეციფიკური საქმიანობები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ძირითადი ინსტიტუციური სოციალური ნორმების შექმნა (მე-7 თავი).

თავი V

ნორმები და ინსტიტუტები საერთაშორისო ურთიერთობებში

1. ნორმების პირველობა

თავის ნაშრომში „*The Anarchical Society*” („ანარქიული საზოგადოება“), ჰედლეი ბული „სახელმწიფო სისტემისა“ და „საერთაშორისო საზოგადოების“ ცნებებს განასხვავებს. პირველი სახელმწიფოებს თავიანთ ადგილს განუსაზღვრავს წესრიგში, რომლის სიმტკიცე აქტორების მიერ დასარეგულირებელი ურთიერთქმედებებიდან მომდინარეობს ძალთა შეფასების საფუძველზე. მეორე ითვალისწინებს მყარი საერთო ნორმების ჩამოყალიბებას, რომლებსაც სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობებში აღიარებენ. ეს ნორმები სხვადასხვა ფორმებს იძენენ საფუძვლის, მასშტაბისა და განზოგადების ხარისხის მიხედვით. ისინი მოიცავენ იურიდიულ, ჩვეულებით, მორალურ წესებს, დიპლომატიურ კოდექსებს ან უბრალოდ „თამაშის წესებს“. ბული უარყოფს შეუთავსებლობას საერთაშორისო ურთიერთობების ამ ორ კონცეფციას შორის: სახელმწიფოთშორის ურთიერთქმედებებში ანარქია ჭარბობს, მაგრამ ის საზოგადოების წევრების მისწრაფებებთან თანხვერდაშია. როგორც წინამდებარე ნაშრომის სათაური მიგვითითებს საერთაშორისო ურთიერთობები „ანარქიულ საზოგადოებასთანაა“ ასოცირებული. მიუხედავად სიმყიფისა, ეს საზოგადოება ორ პრინციპს ეფუძნება, – წესრიგი და სამართლიანობა –, რომელიც პრობლემატურად წარმოჩნდება, რადგან მათი განხორციელება სათუთაა; თუმცა, ეს პრინციპები ჩანაფიქრსა და შესამუშავებელ პრაქტიკებს გამოხატავენ.

საერთაშორისო წესრიგთან დაკავშირებით მთავრობათა უმრავლესობა მის მართვამდე პრინციპებზე და ინსტიტუტებზე თანხმდება, რომლებშიც პირველ რიგში, სახელმწიფო სუვერენიტეტი ფიგურირებს. მთავრობების ყოველდღიური ურთიერთქმედებები საერთო დიპლომატიური და სამართლებრივი კულტურის არსებობას ცხდაყოფს. ცივი ომის ყველა-

ზე რთულ პერიოდებში, აშშ-სა და სსრკ-ს, რეგულარული ურთიერთობები ჰქონდათ, ისინი იცავდნენ თავიანთი საელჩოებისა და დიპლომატიური პერსონალის იმუნიტეტის უზრუნველყოფელ შეთანხმებებს. ჩვეულებრივ, სახელმწიფოები აგრესიისგან თავს იკავებენ საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად; თანხმდებიან კონფლიქტების მოგვარებაზე დიპლომატიური გზით; ხშირად ემორჩილებიან დავის სამართლებრივი მოგვარების პროცედურებს. სახელმწიფოებს ერთმანეთთან აკავშირებთ პრაქტიკიდან ან ხელშეკრულებებიდან მომდინარე სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, გაერთიანებული ერების რეკომენდაციების ჩათვლით. ამ მხრივ, საერთაშორისო საჯარო სამართალი სახელმწიფო ურთიერთქმედებებს გარკვეულ სტაბილურობას ანიჭებს. მთავრობები უმრავლეს შემთხვევაში, სამართლებრივ ვალდებულებებს იცავენ მაშინაც კი, როდესაც ეს კონიუნქტურულად მათ უშუალო პოლიტიკურ ინტერესებს ეხება. მთავრობები საერთაშორისო ორგანიზაციებს ქმნიან, თანხმდებიან მათგან მომდინარე ფინანსურ ხარჯებზე და ამ ორგანიზაციების ფუნქციონირებასთან და მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იღებენ. ისინი ცდილობენ თავიანთი ქმედებების გამართლებას გაეროს პრინციპებზე დაყრდნობით, მოქმედი ნორმების საკუთარი ინტერპრეტაციის დაცვას, სამართლებრივი რეჟიმების ჩამოყალიბებას და, ამგვარად, სამართლებრივი მოთხოვნებისადმი მნიშვნელობის მინიჭების დემონსტრირებას.

წესრიგის ცნება საკამათოა, რადგან ის სხვებზე მეტადაა ორაზროვანი; მისი პრინციპები განსხვავებული ინტერპრეტაციების საგანია, ზოგჯერ საკამათო და ხშირად, ინსტრუმენტალიზაციის ობიექტია ძლიერ სახელმწიფოთა მხრიდან; ამავე დროს, საერთაშორისო სამართალი მყიფე სამართლებრივი სისტემაა; ის მყარი არ არის და სახელმწიფოებში მოქმედი კანონებისა და კონსტიტუციური დებულებების ძალა არა აქვს; იურისტები განუწყვეტლივ კამათობენ საერთაშორისო სამართლის რეალურ შინაარსზე და მოქმედ პროცედურებზე; მისი აღიარება არც აბსოლუტური და არც მუდმივია; ძლიერ სახელმწიფოებს საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ყოველთვის შეუძლიათ მიმართონ ფაქტის წინაშე დაყენებას ან ძალადობას; ამგვარად, აშშ-ს თავისი სახელმწიფო კანონებისთვის ექსტრატერიტორიული მასშტაბის მინიჭების ძალაუფლება აქვს. ასევე აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური წესების ერთობლიობა დაცულია.

იდეოლოგიური კონოტაციებისგან დაცლილი წესრიგის ცნება თავად ინსტიტუტების, სამართლებრივი ნორმების, ღირებულებებისა და პრაქტიკიდან მომდინარეობს, რომელთა მიზანია სახელმწიფო ურთიერთობებისთვის, განსაკუთრებით კი ძლიერი სახელმწიფოების ურთიერთქმედებებისთვის გარკვეული პროგნოზირებადობის მიცემა. წესრიგის ცნება ითვალისწინებს ფაქტს, რომ სახელმწიფოებს მშვიდობიანი ურთიერთობების აშკარა ინტერესი აქვთ. ომი მძიმე არჩევანია, რომლიდანაც გამოსავალი პრობლემატურია და ატომურ ხანაში ის ძლიერ ბირთვულ სახელმწიფოებს შორის უთანხმოებების გადასაჭრელად აბსურდულ საშუალებად წარმოჩნდება. ომის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოები სამხედრო აღიანსების სისტემების განვითარებით არ კმაყოფილდებიან. ისინი მუდმივ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ და მხარს უჭერენ ინსტიტუტებს, რომლებიც თანამშრომლობის პოლიტიკას უწყობენ ხელს. ზოგიერთი თეორეტიკოსის, მათ შორის ბულის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზმა არ უნდა უგულებელყოს ეს ნორმატიული და ინსტიტუციური განზომილება.

სამართლიანობის მიზანი წესრიგის მიზანზე უფრო პრობლემატურია, რადგან ამ უკანასკნელის საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, მას მხარს უჭერენ შრომის საერთაშორისო დანაწილებითა და მისგან მომდინარე ეკონომიკური მოგებით უკმაყოფილო სახელმწიფოები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განვითარებადი ქვეყნები. ის ორი წყაროთი საზრდოობს, ერთი სამართლებრივია, ხოლო მეორე მორალური. ერთი მხრივ, ეს მიზანი სუვერენული თანასწორობის პრინციპის განვითარებას წარმოადგენს, რომლის მიხედვით, თითოეულ სახელმწი-

ფოს საერთაშორისო სამართლით ჩამოყალიბებული რეჟიმებისკენ აქვს მისწრაფება; მეორე მხრივ, ის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების იდეალია, რომლის ეტაპობრივ განხორციელებასაც წესები და ინსტიტუტები უნდა შეეცადონ. მისი საფუძველი ანტაგონიზმია, რომელიც ცვალებადი ინტენსიურობის ხარისხით განუწყვეტლივ ყალიბდება განვითარებად ქვეყნებსა და სამრეწველო ქვეყნებს შორის. პირველები რედისტრიბუციული სამართლიანობის ჩამოყალიბებას ცდილობენ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების შემზღვეველი პრინციპისა, მაშინ როდესაც მეორენი ამ უკანასკნელის დაყვანას სიმპათიის, გულშემატიკვერობისა და ქველმოქმედების ნებაყოფლობით ქმედებებამდე ცდილობენ.

ეს დაძაბულობა საერთაშორისო ინსტიტუტების დიფერენცირებულ ფუნქციონირებაში წარმოჩნდება, რომელთაც ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის ჩამოყალიბების მანდატი აქვთ. ერთი მხრივ, გაეროს, მისი წესდების პრეამბულის, ისევე როგორც 1 (მე-3 პარაგრაფი), მე-13 (1 პარაგრაფი), 55-ე და 62-ე მუხლების თანახმად, ძალზე ფართო უფლებამოსილებები გააჩნია ამ სფეროში: გენერალურ ასამბლეას, რომელიც სუვერენული თანასწორობის პრინციპით ფუნქციონირებს, რამდენადაც ყველა წევრი-სახელმწიფო კენჭისყრის თანაბარი უფლებით სარგებლობს, ამ მიზნით დამხმარე ორგანოების შექმნის უფლება აქვს. მეორე მხრივ, ბრეტონ ვუდსის სისტემის ინსტიტუტებს, მაგალითად, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ბევრად ფართო ძალაუფლება აქვთ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. მართლაც, გაეროს ორგანოების საპირისპიროდ, ეს ინსტიტუტები მდიდარი ქვეყნების აშკარა მხარდაჭერით სარგებლობენ და ამიტომაც, მნიშვნელოვან რესურსებს ფლობენ თავიანთი მანდატის შესასრულებლად. აღნიშნული მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლება ამ ინსტიტუტებში კენჭისყრის ჩატარებაზეა დაფუძნებული სხვადასხვა ქვეყნების წვლილის მიხედვით, რომელიც ამ უკანასკნელთა ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის ასახვისთვისაა დადგენილი. აშშ და მისი მოკავშირე დიდი ბრიტანეთი ვეტოს უფლებით სარგებლობენ და ამგვარად, უზრუნველყოფილი არიან იმით, რომ არც ერთი ფუნდამენტური გადაწყვეტილება არ იქნეს მიღებული მათი ინტერესების საპირისპიროდ.

ინსტიტუციურ ნორმებს შორის, რომელთა მიზანია სამართლიანობის იდეალის განხორციელება, პრიორიტეტულ მიზნად განვითარება ფიგურირებს. სამრეწველო ქვეყნებისთვის ამ პოლისემიური ცნებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კერძო სექტორისთვის მრავალმხრივი დახმარებით, ძირითადად, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით, რომელთაც ისინი აკონტროლებენ. განვითარებადი ქვეყნებისთვის ამ მიზნის მიღწევა საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურების რეფორმით და მდიდარი ქვეყნების ძალისხმევით ხორციელდება. ეს მოთხოვნა, რომელსაც უკვე წინა თავში შევხეთ და შემდგომშიც დავუბრუნდებით, მწვავედ იქნა დასმული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის (ფრანგ. NOEL; ინგლ. NWO) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ რეზოლუციებში, რომლებიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1974 წლის სანავთობო შოკის კრიტიკულ კონტექსტში მიიღო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ საკმარისი მტკიცებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში ნორმებისა და ინსტიტუტების პირველობასთან დაკავშირებით. აღნიშნული თემის უკეთ გასაშუქებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკითხთან დაკავშირებული კლასიკოსი ავტორების წვლილის, არამედ ასევე საერთაშორისო ნორმების საფუძვლებისა და, ასევე, ამ ნორმების შემუშავების ხელშემწყობი ინსტიტუტებისა და აქტორების განხილვა.

2. პოლიტიკური ფილოსოფიის წვლილი

ბულის მიერ შემოთავაზებული საერთაშორისო ურთიერთობების კონცეფცია ბევრს უნდა უმაღლოდეს გროციუსის ნაშრომს „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ“ (1625 წ.). ეს უკანსკნელი ომის აქტს სოციალურ ფენომენად განიხილავს, და მას განსაზღვრავს, როგორც „ადამიანთა მდგომარეობას, რომლებიც ძალის გზით თავიანთი უთანხმოებების დასრულებას ცდილობენ“ (I, 1, § 2). ავტორი ეძებს მიზეზებს, რომლებსაც ომის გამართლება შეუძლიათ. ამისათვის იგი ბუნებრივ სამართალს პოზიტიური სამართლისგან განასხვავებს, რომელიც სახელდობრ, საერთაშორისო სამართალს ან ხალხის სამართალს მოიცავს. ბუნებრივი სამართალი მდგომარეობს „სალი აზრის გარკვეულ პრინციპებში, რომლებიც ქმედების მართებულობას ან არამართებულობას გვამცნობენ აუცილებელი შესაბამისობის თუ შეუსაბამობის მიხედვით...“ (I, 1 § 10). ომი სამართლიანია იმდენად, რამდენადაც ის მიზნად ისახავს რომელიმე ერთობის შენარჩუნებას სხვების ერთობისთვის ზიანის მიუყენებლად. ამავე დროს, ხალხის სამართლის თვალსაზრისით, ესაა სამართლის წინა დარღვევა, – ქონების გაჩანაგება, შეურაცყოფის ან უსამართლობის ატანა – რაც ომს ამართლებს. ხალხის სამართალი სათავეს იღებს არა სახელმწიფოებზე უზენაესი ძალაუფლებიდან, არამედ „იქიდან, რაც იძულების ძალითაა მოპოვებული ყველა ხალხის ან ყოველ შემთხვევაში, მრავალი ხალხის ნების შედეგად“ (I, 1, § 14). ეს სამართალი არ განიხილავს მხოლოდ ომის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებულ პრინციპებს; ის ასევე განსაზღვრავს პროცესს, რომელიც შეიძლება შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მიიღონ ზოგიერთი მიუღებლად ჩათვლილი საშუალებების აკრძალვით. სახელმწიფოების მხრიდან სამართლისადმი მიგებული პატივი, ორაზროვანიც კი, საერთო დებულებების არსებობას ადასტურებს, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს „ყველა ერის მომცველ ერთ დიდ საზოგადოებად“ (III, 25, § 1) განიხილვის შესაძლებლობას იძლევა; მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოები „საერთო მსაჯულს არ აღიარებენ“ (II, 1, § 16), მათ თანხვედრი ნება აქვთ, რომელიც ჩვევებისა და შეთანხმებებიდან მომდინარეობს და ისინი ერთი მეორისგან „ერთგულების ფიცს“ ელოდებიან, რის გარეშეც ომი ლეგიტიმური არჩევანი ხდება დაზარალებული მხარისთვის.

ძალზე აშკარაა ლოკის წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების კონცეფციაში, რომელიც გარკვეული ნორმების პირველობის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა და ანარქიის პოსტულატს არ უარყოფს. ამავე დროს, საინტერესოა, რომ ის დიდად არ იქნა გამოყენებული საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მიერ. თავისი ნაშრომის „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობის შესახებ“ (1690 წ.) II თავში ლოკი ბუნებრივ მდგომარეობას აღწერს, როგორც კანონიერ საფუძველზე არსებულს, მშვიდობის მდგომარეობასა და საზოგადოებაში ცხოვრების უნარს, რომელშიც ადამიანები თავისუფალნი არიან საკუთარი თავისა და ქონების განკარგვაში; ეს პირობა მაშინვე იწვევს გაუთავებელ კონფლიქტებს გამოყენების ფორმებთან მიმართებაში, რაც სამოქალაქო მმართველობის ინსტიტუტს საჭიროებს, რომლის პირველი ფუნქცია იქნება ადამიანებისთვის, ფართო გაგებით, თავიანთი საკუთრების შენარჩუნების (სიცოცხლე, თავისუფლება და ქონება) გარანტიების მიცემა. შემდეგ თავში, იგი ჰობს საყვედურობს ბუნებრივი მდგომარეობისა და ომის მდგომარეობის აღრევას, რომელიც წარმოადგენს „ერთმანეთისგან ისევე დაშორებულ ორ მდგომარეობას, როგორცაა მშვიდობის, კეთილგანწყობისა და ურთიერთდაცვის მდგომარეობა და შუღლის, ბოროტების, ძალადობისა და ურთიერთგანადგურების მდგომარეობა“. ბუნებრივი მდგომარეობა მხოლოდ საერთო მეთაურის დაკარგვით ხასიათდება; ესაა უსამართლო და მოულოდნელი ძალადობა, რომელიც ომის მდგომარეობას ქმნის „საერთო მსაჯულის არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში“ (1999 წ., გვ. 156-157). ლოკის აზრით, ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ქვეშევრდომები ბუნების კანონებიდან მომდინარე თანაზიარი უფლებებისა და ვალდებულებების მატარებლები არიან: საკუთარი თავის გადარჩენის უზრუნ-

ველყოფა და შესაბამისად, სხვებისაც, რადგან თუკი სხვას ზიანს ვაყენებთ, ამ უკანასკნელს უფლებას ვაძლევთ თავის მხრივ, ზიანი მოგვაყენოს. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში გადატანილი ეს კონცეფცია პირველ მოდელს გვთავაზობს, რომელიც ახლოს დგას ბულის მიერ აღწერილ „ანარქიულ საზოგადოებასთან“.

1713 წელს აბატმა სენ-პიერმა გამოსცა ნაშრომი „მუდმივი მშვიდობის პროექტი“, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მოწესრიგებისთვის გამიზნულ მსჯელობებს აერთიანებს. თუკი სოციალური კონტრაქტის თეორეტიკოსების მიერ შემუშავებულ ცნებებს მოვივლივით, შეიძლება ითქვას, რომ საქმე ეხება პირველ ტექსტს, რომლის მიზანს საერთო მეთაურის შექმნა წარმოადგს. ეს უკანასკნელი სახელმწიფო აქტორთა ბუნებრივი მდგომარეობიდან გამოყვანას შეძლებს, ყოველ შემთხვევაში, მათ გარკვეულ რაოდენობას. დასაწყისში სენ-პიერი უარყოფს იდეას, რომლის თანახმად, წონასწორობის პოლიტიკას მართოს შეუძლია საკმარისი უსაფრთხოების შექმნა. შემდეგ იგი „ფუნდამენტურად“ მიჩნეულ „მუხლებს“ წარმოგვიდგენს, რომელთაც ხანგრძლივი მშვიდობის დამკვიდრება შეუძლიათ. 1729 წელს გამოქვეყნებულ „შემოკლებულ პროექტში“ მას ამ მუხლების რაოდენობა ხუთამდე დაჰყავს. პირველ რიგში, სახელმწიფოებმა ალიანსი ან ევროპის პოლიტიკური ასამბლეები უნდა შექმნან, რომლის საფუძველი „ხელშეკრულებების არსებობა და აღსრულება“ იქნება; შემდეგ, თითოეულმა მოკავშირემ შემოსავლებისა და ვალდებულებების პროპორციულად, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ალიანსის უსაფრთხოებასა და ხარჯებში; მესამე, ალიანსის შემქმნელმა სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან უთანხმოებების მოგვარებაზე იარაღის გზით; მეოთხე, ალიანსს შეუძლია ძალის გამოყენება იმ წევრის მიმართ, რომელიც ვალდებულებების შესრულებაზე ამბობს უარს; დაბოლოს, ალიანსს უნდა ჰყავდეს ასამბლეა, რომელიც ახალ აუცილებელ წესებს დაადგენს მისი ფუნქციონირებისთვის (1729 წ., გვ. 21-35). ამ შეხედულებების ისტორიულ მნიშვნელობას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ეს პრინციპები გაერთიანებული ერების წესდებაშია ჩაწერილი. წევრი-სახელმწიფოების საზღვრების ხელშეუხებლობის, შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები და კოლექტიური უსაფრთხოება წარმოადგენს ერთდროულად კონსერვატორულ (როდესაც მოკავშირეები თავიანთ ურთიერთობებში statu quo-თი უნდა დაკმაყოფილდნენ) და რეფორმატორულ არსს იმ ფაქტით, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირება განპირობებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციით, რომელსაც ლეგიტიმური შეზღუდვის ძალაუფლება ექნება.

რუსომ აღნიშნული პროექტი გააკრიტიკა ნაშრომში „მსჯელობა მუდმივი მშვიდობის პროექტის შესახებ“, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოცემულა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი მონახაზია, ის დიდ ინტერესს წარმოადგენს აქ განხილული პრობლემატიკისთვის, რადგან იმ კავშირებს აშუქებს, რომლებიც წესრიგისა და სამართლიანობის პრინციპებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს. რუსოს მთავარი თეზა მდგომარეობს იმაში, რომ პირველის განხორციელების გარეშე მეორეს ვერ მივალწევთ. იგი კითხვამს სვამს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ იქნა განხორციელებული სენ-პიერის შეხედულებები თუკი ისინი „უზარმაზარ, აშკარა და უდავო“ სარგებელს მოიტანდნენ? მისი აზრით, სენ-პიერის პროექტში არაფერია შეუძლებელი, გარდა იმისა, რომ ის მიღებული უნდა იყოს მათ მიერ, ვისთვისაც ეს პროექტია განკუთვნილი, სახელდობრ, სუვერენებისთვის. მართლაც, ის ამ უკანასკნელთ დაბრკოლებას უქმნის, რომელიც ორ თემას ეხება: „საკუთარი ბატონობის გავრცელება გარეთ და მისი აბსოლუტურად გახდომა შიგნით“ (1964 წ., გვ. 592). ამ მიზნისთვის ომი საჭირო საშუალებაა და სუვერენები დაინტერესებულნი არ არიან მასზე უარის თქმაში. ამგვარად, რამდენადაც დიდხანს გაგრძელდება დესპოტიზმი, საერთაშორისო ურთიერთობები აგრესიული დარჩება. რუსოს თავისი არგუმენტები სხვა დაუსრულებელ ნაშრომში მოჰყავს, „საომარი მდგომარეობა სოციალური მდგომარეობიდან წარმოიშვება“. იგი აქ „შერეულ პირობას“ აღწერს, რომელშიც კაცობრიობა იმყოფება. რუსო სოციალური კონტრაქტის დოქტრინებს არ იზიარებს და ამტკიცებს, რომ ადამიანებმა, რეალური სარგებლის მიუღწევლად

დაკარგეს თავდაპირველი თავისუფლება და თანასწორობა, როდესაც ბუნებრივი მდგომარეობა მიატოვეს და სამოქალაქო მდგომარეობა ჩამოაყალიბეს. გაერთიანებით მათ ხელოვნური დამოკიდებულების ურთიერთობები დაამყარეს, რასაც ორი დამლუპველი შედეგი მოჰყვა: სამუშაოს დანაწილების წყალობით შექმნილი სიმდიდრიდან მომდინარე უთანასწორობის ჩამოყალიბება, რომლის დამკვიდრება საკუთრების შესახებ კანონს აქვს დაკისრებული; ჩაგვრის გაძლიერება, რომელიც უმცირესობისადმი ხალხის დიდი რაოდენობის დაქვემდებარებიდან მომდინარეობს. ამ უმცირესობას პოლიტიკური უზურპაციის მოხდენა შეუძლია ლეგიტიმური ძალაუფლების მოსაპოვებლად. თუკი ადამიანები სახელმწიფოების შიგნით ნაკლებად მიმზიდველი მახასიათებლების მქონე სამოქალაქო წესრიგში ცხოვრობენ, სიტუაცია იცვლება თუმცა, გაუმჯობესების გარეშე, სახელმწიფოთა ურთიერთობების ასპექტში. მართლაც, ეს უკანასკნელი ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან: „(. . .) დამოუკიდებლობა (ბუნებრივი), რომელსაც ადამიანებს ართმევენ (სამოქალაქო მდგომარეობის შექმნით) თავშესაფარს საზოგადოებებში პოულობს და საკუთარ იმპულსებს მინდობილი ეს დიდი კორპუსი საშინელ შოკს იწვევს, რამდენადაც მისი მასა პროპორციულად ინდივიდთა მასას გადაწონის“ (ibid., გვ. 604). დასკვნა, რომელსაც რუსო ამ შერეული პირობიდან აკეთებს, სავალალოა: „ცხოვრობთ რა ერთდროულად სოციალურ წესრიგში (თავად სახელმწიფოების შიგნით) და ბუნებრივ მდგომარეობაში (დანარჩენ მსოფლიოსთან), ჩვენ ერთისა და მეორის არასასურველ შედეგებს ვექვემდებარებით და უსაფრთხოებას ვერ ვპოულობთ ვერც ერთ მათგანში“ (ibid., გვ. 610).

ამგვარად, რუსოს მიდგომას აპორიამდე, გამოუვალ სირთულემდე მივყავართ. თუმცა, განმანათლებლების ეპოქის სხვა ფილოსოფოსები ერებს შორის სამოქალაქო მშვიდობაზე მსჯელობას აგრძელებენ და მას პესიმიზმით ნაკლებად აღბეჭდილ მიმართულებას აძლევენ. უკვე ვახსენეთ ლიბერალი მოაზროვნეები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლიანობას ერებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარებისთვის. თუმცა, ეს შეხედულებები, ჩვეულებრივ, სრულიად არაა გამყარებული დასაბუთებით. ამ შეხედულებების დამცველები იმის მტკიცებით კმაყოფილდებიან, რომ სავაჭრო ურთიერთობები ორმხრივ კავშირებს ამყარებს, რაც ურთიერთგაგების წყაროა; ამით ისინი გვერდს უვლიან საკითხს, რომელიც ეხება სახელმწიფოების მიერ სამხედრო მიზნებისთვის ვაჭრობიდან მიღებული მოგების ნაწილის მითვისებას. ადამ სმითის ნაშრომში „ერების სიმდიდრე“ ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომელიც ვაჭრობას სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისა და თანდათანობით სტაბილურობის უფრო მნიშვნელოვანი პირობების შექმნას მიაკუთვნებს, რამდენადაც სახელმწიფოები დროზე შეძლებენ უთანხმოების ორმხრივად მოგვარებას. ამერიკის ინდიელთა ტრაგიკულ ხვედრზე დაკვირვებისას სმითი აღნიშნავს, რომ „შესაძლებელია დროთა განმავლობაში ამ ადგილების მკვიდრი მცხოვრებლები უფრო ძლიერები გახდნენ ან ევროპის მცხოვრებლები უფრო სუსტები, იმგვარად, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილების მცხოვრებნი მიაღწევნენ ძალებისა და გამბედაობის იმ თანასწორობას, რომელიც ამ უკანასკნელით გამოწვეული ორმხრივი შიშით მარტო შეძლებს დამოუკიდებელი ერების უსამართლობის შეჩერებას და გარკვეულ პატივისცემას აგრძნობინებს ერთი მეორის მიმართ. არაფერია იმაზე უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე ამგვარ ძალთა თანასწორობის ჩამოყალიბება, რომელიც ცოდნის ურთიერთგაცვლასა და სრულყოფის ყველა სახის საშუალებებს შექმნის, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყნას შორის ფართო ვაჭრობის ბუნებრივი ან უფრო სწორად, აუცილებელი შედეგია“ (1991 წ., II: გვ. 240-241). ამ თვალსაზრისით, სამართლიანობისა და წესრიგის პრინციპები შეიძლება საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად შექმნილი სიმდიდრის გავრცელების წყალობით განხორციელდეს.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობის დამკვიდრების პროცესში, შეუძლებელია დასკვნების გამოტანა პოლიტიკური ფილოსოფიის მიერ შემოთავაზებული არგუმენტებიდან ნორმებისა და ინსტიტუტების პირველობაზე კანტის გარეშე, რომელიც უკვე პირველ

ნაწილში ვახსენეთ. სენ-პიერის მსგავსად, კანტი ნაშრომში „*მუდმივი მშვიდობის პროექტი*“ „გადამწყვეტ მუხლებს“ გვთავაზობს მშვიდობის მდგომარეობის დასამკვიდრებლად, „რომელსაც მხოლოდ კანონმდებლობის მდგომარეობაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი“ (1986, III: გვ. 340). როგორც ავლნიშნეთ, პირველი მუხლი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული სახელმწიფოს მოწყობა რესპუბლიკური უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, კანტი რუსოს არგუმენტს არბილებს, დესპოტური რეჟიმებისთვის დამახასიათებელ მილიტარისტულ მიზნებთან მიმართებაში, რესპუბლიკური მოწყობის საპირისპიროდ, რომელშიც თითოეული მოქალაქე – ამ უკანასკნელის თავისუფლება და თანასწორობა კანონის წინაშე აღიარებული – „თავის თანხმობით მხარს უჭერს საკითხის გადაწყვეტას ომის დაწყებას ან არდაწყებასთან დაკავშირებით“ (ibid., გვ. 342). შეიარაღებულმა კონფლიქტებმა შეიძლება მოქალაქეებზე აშკარად დამლუპველი შედეგები იქონიოს. ამ უკანასკნელთ საბრძოლველად და ომის საჭიროებებისთვის ფინანსურად მონაწილეობას მოუწოდებენ, რაც იმის ფიქრის საბაზს გვაძლევს, რომ ისინი ამ საკითხში თავშეკავებას გამოიჩინენ, როგორც კი მათ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ხმის ამოღება შეეძლებათ. მეორე მუხლი „თავისუფალ სახელმწიფოთა ფედერაციის“ შექმნას გვთავაზობს, რომელსაც კანტი „სოციალური პაქტის დანამატად“ განსაზღვრავს, რამდენადაც ის მხოლოდ თავის წევრთა დაცვას შეეცდება იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი არ დაექვემდებარონ სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერ შეზღუდვას (ibid., გვ. 348). მესამე მუხლი „კოსმოპოლიტური სამართლის“ შემოღებას იცავს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება უფლებით, რომლის თანახმად, თითოეული უცხოელი მტრად არ იქნება მიჩნეული იმ ქვეყანაში, სადაც იგი ჩავა. ამ შემთხვევაში, მიზანი მდგომარეობს ხალხებს შორის კავშირების გაძლიერების ხელშეწყობაში. რთული არაა კანტის ლიბერალურ პროგრამაში ინტეგრაციის პოლიტიკური საფუძვლების გამოყოფა, განსაკუთრებით ევროპულის. პოლიტიკური რეჟიმების თანხვედრა, ფედერალიზმი, და კოსმოპოლიტურ სამართალთან დაკავშირებული ევროპელი მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება, სხვა ეროვნების მქონე პიროვნებათა დროებითი ჩასვლა რომელიმე ქვეყანაში, შეღავათები უცხოელი ინვესტორებისთვის გარკვეულ სექტორებში: არსებობს ბევრი ნორმატიული და ინსტიტუციური ზომები, რომლებიც კანტის პროექტის ამავე სულისკვეთებიდან მომდინარეობს. აღნიშნული ზომების მიღების შედეგი გახდა ევროპულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მოგვარება.

ზოგიერთ შემთხვევაში, თანამედროვე პოლიტიკური აზრის დიდი კლასიკოსების იდეები საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში უგულვებელყოფილია იმ საბაბით, რომ ჩვენგან განსხვავებული ისტორიული კონტექსტიდან წარმოიშვნენ, ნორმატიული სულისკვეთებისა-ნი არიან და პოლიტიკური მეცნიერების ამბიციებს არ პასუხობენ. სინამდვილეში, როგორც შემდგომ თავში ვნახავთ, საერთაშორისო თანამშრომლობის თანამედროვე თეორეტიკოსები პოლიტიკას განიხილავენ იმ პოსტულატებზე დაყრდნობით, რომლებიც ფუნდამენტურად არ განსხვავდებიან მათი სახელგანთქმული წინამორბედების პოსტულატებისგან: ადამიანებს აქვთ საკმარისი გონიერება, მსგავსი ღირებულებები და საერთო პროექტები მშვიდობიანი და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც შეძლებს ომის რისკისა და გარკვეული უთანასწორობების შემცირებას მაინც.

3. საერთაშორისო საზოგადოების საფუძვლები

ერთი რამ აშკარაა: არ არსებობს პოლიტიკური საზოგადოება მინიმალური წესრიგისა და სამართლიანობის გარეშე, პოლიტიკური აქტორების ქცევის სისწორის განსაზღვრის ფართო გაგებით. წესრიგი და სამართლიანობა პოლიტიკურის ლეგიტიმურობის ორი ძირითადი კრიტერიუმი. მართლაც, ლეგიტიმურობა უნდა აღიქვან ერთდროულად ეფექტურად და სამართლიანად. თუკი საერთაშორისო საზოგადოების არსებობის იდეას ვეთანხმებით,

მისი ლეგიტიმაციის პროცესები უნდა განვსაზღვროთ და მისი საფუძვლები გავიგოთ. მომდინარეობენ თუ არა ეს პროცესები გრძნობებიდან და ემოციებიდან, რომელთა ინტერპრეტაცია ფსიქო-სოციოლოგიური ხასიათის იქნება თუ გაზიარებული რწმენებიდან და ღირებულებებიდან, რომელთა განმარტებას სოციოლოგია და ანთროპოლოგია შეუწყობს ხელს? ან შესაძლოა ისინი იდეოლოგიების სფეროს მიეკუთვნებიან და ამდენად, პოლიტოლოგიური ანალიზი მათ ყველაზე უკეთ გაითვალისწინებს?

3. 1. ლეგიტიმურობა

ლეგიტიმურობის პრობლემატიკა, რომელიც, ტრადიციულად, პოლიტიკური ფილოსოფიის დიდი ზრუნვის საგანი იყო, მაქს ვებერიდან დაწყებული, დომინანტობისა და ძალაუფლების პრობლემატიკასთან დაკავშირებული სოციოლოგიური რეფლექსიების ცენტრში იმყოფება. მისი ძირითადი შეკითხვა შემდეგში მდგომარეობს: რატომ ემორჩილებიან ადამიანები კანონებს და რატომ სცემენ პატივს ინსტიტუტებს? ლეგიტიმურობა, წერს ჟან-მარკ კუაკოდი „მმართველობის უფლების აღიარებასთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ, ლეგიტიმურობა ცდილობს ფუნდამენტური პოლიტიკური პრობლემის გადაჭრას, რომელიც ერთდროულად პოლიტიკური ძალაუფლებისა და მორჩილების გამართლებაში მდგომარეობს“ (1997 წ., გვ. 13). ფიზიკური შეზღუდვა, რომელიც კანონის დაცვისთვის შეიძლება გამოიყენონ, საკმარისი არაა პოლიტიკური სისტემის ხანგრძლივობის უზრუნველსაყოფად. როგორც რუსომ აღნიშნა, კანონიერების დაცვა ხანგრძლივი რომ იყოს, ის თავისი მნიშვნელობის აღიარებას უნდა ეფუძნებოდეს.

ამგვარად, ინსტიტუტების ავტორიტეტი მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ისინი ლეგიტიმურადაა აღქმული არსებული საზოგადოების წევრების ან, ყოველ შემთხვევაში, მისი უმრავლესობის მიერ. ლეგიტიმურობა ემყარება პოსტულატს, რომლის მიხედვით, ორგანიზაციისა და შედეგების ორმაგ კავშირში განხილული წესები და ინსტიტუტები წესრიგისა და სამართლიანობის პრინციპებს აკმაყოფილებენ. პროცესები, რომელთა მეშვეობით ეს აღიარება მიიღწევა კომპლექსურია. ეს უკანასკნელი შეიძლება მომდინარეობდეს ინდივიდებში ნეგატიური გრძნობების აქტივაციიდან, როგორცაა შიში ან სირცხვილი დადგენილი სოციალური ნორმების არდაცვის შემთხვევაში, ან პოზიტიური გრძნობებიდან, როგორცაა კმაყოფილება ან სიამაყე იმოქმედო ხელისუფლების განკარგულებების შესაბამისად. ლეგიტიმურობა შეიძლება მომდინარეობდეს თავად ძალაუფლების საფუძვლების რწმენებიდან, რომლებიც, ვებერის ტიპოლოგიის თანახმად, მიკუთვნებულია ხან კანონებისთვის (რაციონალური და კანონიერი ხასიათის ლეგიტიმურობა), ხან საკრალურად მიჩნეული წესებისთვის (ტრადიციული ხასიათის ლეგიტიმურობა), ხან კი მეთაურისთვის (ქარიზმატული ხასიათის ლეგიტიმურობა). ის ასევე შეიძლება მომდინარეობდეს სახელისუფლო ინსტიტუტების მიერ შექმნილი იდეოლოგიური კონცეფციებიდან, რომელთა დანიშნულებაა ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევის ორიენტირება ჩამოყალიბებულ სოციალურ ნორმებთან მიმხრობის მნიშვნელობით. როგორც არ უნდა იყოს პროცესები, რომელთა მეშვეობითაც ლეგიტიმურობა მიიღწევა, ძალაუფლების მპყრობელთ არ შეუძლიათ წესრიგისა და სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა საკუთარი ავტორიტეტის შელახვის რისკის გარეშე. ამ პრინციპების პირველობა წარმოჩნდება იმ ფაქტით, რომ თავად რაციონალური ხასიათის ლეგიტიმურობა კანონიერებას არ ემთხვევა: მთავრობას შეუძლია კანონების გამოცემა, შემდგომში მათი დაცვის იძულება ლეგიტიმურად მიჩნევის გარეშე, თუკი მისი ქმედება უსამართლოდაა აღქმული სოციალური ჯგუფების მიერ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპები, რომლებიც ნებისმიერ პოლიტიკურ ქმედებას მართავენ, აბსოლუტური არაა და ფარულ წინააღმდეგობებს შეიცავენ. ამ პრინციპების განსაზღვრამ სხვადასხვა პოლიტიკური ანგაჟირება შეიძლება გამოიწვიოს, ანტითეზურად კი. ეს ნიშნავს, რომ ლეგიტიმურობა არ

არსებობს თავის თავად: ის გამოიხატება ძალაუფლებასა და მორჩილებას შორის დიალექტიკურ ურთიერთობაში. ეს უკანასკნელი შეიძლება ნაკლებად არსებობდეს, როდესაც პოლიტიკურ ხელისუფლებას უნარი არ შესწევს მართულთა მოლოდინები დააკმაყოფილოს წესრიგისა და სამართლიანობის სფეროში. ქარიზმა, თუკი ვებერის მაგალითს მოვიშველიებთ, მმართველისთვის დამახასიათებელ თვისებებამდე არ დაიყვანება: ის მეთაურსა და მის მიმდევრებს შორის არსებული ურთიერთობის შედეგია. გარდა ამისა, ერთობის ნორმები და პრაქტიკა სწრაფად იცვლება კრიზისის დროს. მთავრობის ავტორიტეტი შეიძლება ეფემერული აღმოჩნდეს, მაშინაც კი როდესაც ის ფორმალურად თავის დამფუძნებელ პრინციპებს იცავს. მართლაც, იშვიათი არაა, როდესაც კონსტიტუციური რეჟიმი დამხობილია, რადგან მას უნარი არ შესწევს უპასუხოს საზოგადოების ყველაზე მებრძოლი ჯგუფის მოთხოვნებს.

3. 2. ლეგიტიმურობა საერთაშორისო ურთიერთობებში

ლეგიტიმურობის პრობლემატიკა ყოველთვის დგება, როგორც კი საზოგადოებები პოლიტიკური ძალაუფლებიდან მომდინარე ბრძანების პირისპირ და ამგვარად, მორჩილებისა და ამბოხის ალტერნატივის წინაშე უნდა დადგნენ. იგივე ხდება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, როდესაც სახელმწიფოები დგებიან არა მხოლოდ ძალის თანაფარდობის, არამედ ასევე ვალდებულებებთან მიერთებით გამოწვეული დილემის წინაშე, რომელიც ამ უკანასკნელთ სამართლებრივად ან მორალურად ავალდებულებს. სწორედ ეს განმარტავს იმ ფაქტს, თუ რატომ ცდილობენ ისინი, – აღნიშნული ასევე ძლიერ სახელმწიფოებს ეხება – თავიანთი საგარეო პოლიტიკისა და სტრატეგიის გამართლებას გაერთიანებული ერების წესდებისა ან უშიშროების საბჭოსა და გაეროს სხვა ინსტანციებიდან მომდინარე რეზოლუციებზე დაყრდნობით.

კანონიერ მოთხოვნებთან მიმართებაში, საერთაშორისო ნორმები ბუნდოვანია. პოზიტიური სამართლის კუთხით, რომელსაც სახელდობრ, მხარს უჭერს საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკელი სპეციალისტი თომას ფრანკი ნაშრომში „*The Power of Legitimacy among Nations* „(„ლეგიტიმურობის ძალა ერებს შორის“, 1990 წ.), ლეგიტიმურობა ძირითადად იურიდიული ტერმინებითაა განსაზღვრული: საერთაშორისო სამართლის წესი ლეგიტიმურია, თუკი ის უდავო იურიდიული პროცედურითაა დადგენილი და თუკი მას აქვს სიცხადის, თანმიმდევრობისა და სარგებლიანობის გარკვეული მახასიათებლები, აღიარებული ნორმების იერარქიაში მთლიანად ინტეგრირებით. სინამდვილეში, როგორც ავლნიშნეთ, საერთაშორისო საზოგადოება ძალზე დიდ ჰეტეროგენულობას ამჟღავნებს იმისათვის, რომ ამგვარი პერსპექტივა შესაბამისად წარმოჩნდეს. პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამ საერთაშორისო საზოგადოებაში მოქმედებენ ხასიათდებიან უფრო დიდი მრავალფეროვნებით, ვიდრე მის შემადგენელ სახელმწიფოთა მთავრობების პოლიტიკური ძალები. ძალაუფლების ცენტრები დანაწევრებულია მართვის იერარქიების პლურალიზმში, ხოლო დომინანტური კავშირები სუსტადაა ინსტიტუციონალიზებული. ამიტომაც, სახელმწიფოთა ურთიერთკავშირებიდან მომდინარე ქცევის ლეგიტიმურობაზე დებატები ჩვეულებრივ, უფრო კონფლიქტურია, ვიდრე ნაციონალური იურისდიქციების შიგნით.

თუმცა, საერთაშორისო ლეგიტიმურობის ფუნდამენტური კრიტერიუმები იმ კრიტერიუმების მსგავსია, რომლებზეც სახელმწიფოებია დაფუძნებული. როგორც ამ თავის დასაწყისში ავლნიშნეთ, წესრიგისა და სამართლიანობის განხორციელება ლეგიტიმურობის ძირითად შემადგენელ ელემენტებს აყალიბებს. რაც შეეხება ფორმებს, რომელთა მეშვეობითაც საერთაშორისო ლეგიტიმურობა მიიღწევა, ისინი ასევე შეიძლება აფექტური ელემენტების ამოქმედებიდან მომდინარეობდნენ: კულტურული კონცეფციების გამოხატვიდან, რომლებიც არა მხოლოდ სულიერ და მორალურ ღირებულებებს მოიცავენ, არამედ ასევე მითების, რიტუალებისა და სიმბოლოების ფრაგმენტებს; ან დომინანტი აქტორების

მიერ იდეოლოგიური მოდელების შემუშავებიდან მათთვის ხელსაყრელი ქცევებისთვის გავლენის მინიჭების მიზნით.

3. 2. 1. ლეგიტიმურობის აფექტური ასპექტები

1895 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გრძნობების ფსიქოლოგია“ თეოდულ რიბო წერდა: „იმის ვარაუდი, რომ სრულიად აზრს მოკლებულ, გეომეტრიული ცნების მსგავს აბსტრაქტულ კონცეფციას აფექტური თანმხლებების გარეშე, შეიძლება გავლენა ჰქონდეს ადამიანურ ქცევაზე, ფსიქოლოგიური აბსურდია“ (გვ. 285). გრძნობები ან ემოციები, რომელთა შორისაც „პირველ რიგში“ აყენებენ შიშს, სიბრაზეს ან სიხარულს, მართლაც, ქცევის ძლიერი მოტივაციებია. ამ უკანასკნელზე ანალოგიურად მოქმედებს ისეთი გრძნობები, როგორცაა შურისა ან მაღლიერების, სიძულვილისა ან აღტაცების, სირცხვილისა ან სიამაყის, გულღრძობისა ან კმაყოფილების, დანაშაულისა ან სულიერი სიმშვიდის გრძნობა. ეს გრძნობები უფრო კომპლექსურად წარმოჩნდებიან, რადგან კოგნიტიურ შემუშავებას მოითხოვენ. თუმცა, მათი გარკვეული რაოდენობა ემოციების მსგავსად, შეუკავებელ ქცევებს იწვევს. ამიტომაც, მთლიანად საზოგადოებამ უნდა დაამკვიდროს ნორმების ერთობლიობა, რომლის ფუნქციაც ამ ნორმების წარმართვა ან გარდაქმნა იქნება. ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის მქონე საზოგადოებებში სიბრაზე და შიში სისხლის სამართლის სისტემითაა დარეგულირებული, რომელიც ლეგიტიმური სიბრაზის ფორმაა. მისი სანქციები მოქალაქეებში საკმარისი შიშის გამოსაწვევადაა გამიზნული იმისათვის, რომ მათ არ ხელყონ სხვების ფიზიკური ან მორალური ხელშეუხებლობა. შური და ეჭვიანობა ბაზრის ინსტიტუტითაა ჩახშობილი, რომელსაც ის მეტოქეობაში ან შეჯიბრში გადაჰყავს. სამაგიეროდ, უფრო მშვიდი გრძნობები ქვეშევრდომთა სოციალიზაციისთვისაა გამოყენებული. ამ მხრივ, სირცხვილის გრძნობა საჭირო დამატებაა, რადგან მას საკუთარი თავის პატივისცემა ახასიათებს სხვის მსჯელობაზე დაყრდნობით და კონფორმისტული ქცევების მიღებამდე მივყავართ. ქვეშევრდომებმა შეიძლება ასევე სიამაყისა და აღტაცების გრძნობები წარმოსახვით კონსტრუქციებზე გადაიტანონ, როგორცაა „ერი“ ან „სამშობლო“. ამ ტიპის აფექტური ტრანსფერის პოტენციური შედეგი ქვეშევრდომთა ძალაუფლებისადმი მიმხრობა ან ნარცისისტული სიამოვნების გამოწვევაა, რომელიც მათ სასოწარკვეთიდან ან სილატაკიდან გამოიყვანს, ის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია, რომელიც მიზნად ისახავს ყოველგვარი ნაციონალისტური იდეოლოგიის გააქტიურებას (Ariffin, 2004).

ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას ფსიქოანალიზის წვლილს. ფროიდმა მთელი თავისი მოღვაწეობა წარმოსახვითის შექმნას მიუძღვნა და ფსიქოსოციოლოგიის საფუძვლები ჩამოაყალიბა, რომლებიც ჩვენს მიერ პოლიტიკური სამყაროს გაგებას განმარტავს. სახელდობრ, მან გაამდიდრა ძალაუფლების ინტერპრეტაციის საფუძვლები და ლეგიტიმაციის პროცესი, გვიჩვენა, რომ საზოგადოებები ილუზიებზე იყო დაფუძნებული, რაც ერთდროულად საჭირო და დამღუპველია. ეს ილუზიები მომდინარეობდნენ სურვილებიდან, რომელთა საწყისი ყოველი სულიერი არსების განვითარების ინფანტილურ ეტაპებშია.

ამგვარად, ემოციების ამოქმედება ლეგიტიმაციის პროცესებისგან განუყოფელია. თუ სიღრმისეულად მივუდგებით, რაკი სახელმწიფო წარმატებით ახერხებს ლეგიტიმური ძალადობის მოთხოვნას, ეს ნაწილობრივ ხდება იმ შიშის გამო, რომელიც შეიძლება ქვეშევრდომებმა შეიგრძნონ მაშინ, როდესაც ისინი დასაშვებად მიიჩნევენ, რომ ამგვარი ძალაუფლების არარსებობის შემთხვევაში, მათ პიროვნებასა და ქონებას საფრთხე დაემუქრება. რა ხდება ამ კუთხით საერთაშორისო ურთიერთობებში? საკმარისია გაერთიანებული ერების წესდების წაკითხვა იმის დასადასტურებლად, რომ ამ უკანასკნელის მიერ მიზნად დასახული წესრიგის ლეგიტიმურობის დამყარებაც კი მჭიდროდაა დაკავშირებული უბედურების – ომი – საშიშროებით გამოწვეულ შემფოთებასთან, რაც შეიძლება გაერთიანების არარსე-

ბობის შემთხვევაში მოხდეს. ამგვარად, გაერთიანებული ერების წესდების პრეამბულა შემდეგი სიტყვებით იწყება: „ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებს, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დავიცვათ მომავალი თაობები ომის უბედურებებისგან, რომელმაც უკვე ორჯერ ადამიანის სიცოცხლის მანძილზე კაცობრიობას საშინელი ტანჯვა მოუტანა (. . .), გადავწყვიტეთ ძალისხმევით გაერთიანება ამ მიზნების განსახორციელებლად: თუმცა, იმის საპირისპიროდ, რაც სახელმწიფოების შიგნით ხდება, გაერო ნაკლებად შეიძლება დაეყრდნოს განპირობებული ემოციური რეაქციებით შემოყვანილ სოციალიზაციის პროცესებს, ე. ი. ისეთ რეაქციებს, როგორცაა ომის შიში, რომლის ობიექტიც ჯერ კიდევ განუხორციელებელ სიტუაციებს ეხება. თუკი სანქციის ატანის შემთხვევაში მოქალაქეებს მეტწილად სამართლის წესების დაცვისკენ უბიძგებს, სამაგიეროდ, ომით გამოწვეული „საშინელი ტანჯვის“ შიშმა შეიძლება გვერდი აუაროს თაობებს, რომელთაც შეიარაღებული კონფლიქტები პირდაპირ არ შეხება. მეორე მხრივ, ეს შიში ყოველთვის შეიძლება იქნეს შემცირებული, გაუქმებულიც კი, ნეგატიური ემოციების ამოქმედებით მთავრობების მხრიდან, იარაღის გამოყენების ლეგიტიმაციის მოტივით. კარგადაა ცნობილი, თუ რა წარმატებით მოახერხა ბუშის ადმინისტრაციამ შიშისა და სიბრაზის ორი ემოციით მანიპულირება 2003 წელს ერაყში შეჭრის გასამართლებლად. მან სადამ ჰუსეინის რეჟიმი მასობრივი განადგურების იარაღის ფლობასა და 11 სექტემბრის თავდასხმების პასუხისმგებელ ალ-ქაიდას ქსელთან მჭიდრო კავშირებში დაადანაშაულა.

გაერთიანებული ერების გენერალური მდივნები ასევე ხშირად *a posteriori* აცოცხლებენ ძალზე სერიოზული სიტუაციით გამოწვეულ ემოციურ რეაქციებს ორგანიზაციის სარგებლიანობისა და ლეგიტიმურობის ხაზგასასმელად. მსგავსი გარემოებები ზოგჯერ მათ ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევს მედიის დახმარებით გამოავლინონ შეუსაბამობა „სამოქალაქო საზოგადოების“ მიერ გამოხატულ სიმპათიის გრძნობებსა და სახელმწიფოების მიერ გაცემულ კონკრეტულ პასუხებს შორის. ამ შემთხვევაში, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2004 წლის 26 დეკემბერს აზიაში ცუნამით გამოწვეული კატასტროფა, რამაც გაეროს აუცილებელი სასწრაფო დახმარების შეფასების, დონორი ქვეყნებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი დაპირებების სწრაფად განხორციელების მოწოდების – ამ გარემოებით ისარგებლა იმის შესახსენებლად, რომ ასე ყოველთვის არ ხდებოდა – და ჰუმანიტარული ძალისხმევის წარმართვაში საკუთარი ორგანოების პირველობის დამტკიცების შესაძლებლობა მისცა.

3. 2. .2. ლეგიტიმურობის კულტურული ასპექტები

კულტურა თავისი დიდი გავლენით კვალს ამჩნევს ნორმების შექმნას და შედეგად, იმის განსაზღვრას, რაც კანონით ნებადართულია და რაც ასეთი არაა. თუკი არსებობს რამდენიმე ტრანსკულტურული აკრძალვა, როგორცაა ინცესტის ტაბუ, მიუხედავად ამისა, ნორმები და ღირებულებები ძალზე განსხვავებული და მერყევია საერთაშორისო ასპექტში კულტურების სიმრავლის გამო. ძალაუფლების მოდელები სოციალურ-კულტურული კონტექსტის მიხედვით იცვლება. პოლიტიკური ძალაუფლება ერთი ფორმით არ ხორციელდება ფეოდალურ საზოგადოებაში ან განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ლეგიტიმაციის პროცესები ყველგან თავის საფუძველს რელიგიური არსის მქონე ცოდნის მანიპულაციაში პოულობს, – ეს უკანასკნელი რწმენების სისტემის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რომელიც ამ შემთხვევაში, მიზნად ისახავს ადამიანების ერთმანეთთან და ასევე, ძალაუფლების მპყრობელებთან გაერთიანებას. ეს ფენომენი უძველესი ხანიდან არსებობს, სახელდობრ, ეგვიპტეში ღვთაებრივ ძალაუფლებასა და მეფეთა ძალაუფლებას შორის ჩამოყალიბებულ შესაბამისობაში, რომელსაც ქვეშევრდომები მოკრძალებული შიშით უნდა დამორჩილებოდნენ. თანამედროვე ეპოქაში სახეზეა

რელიგიური წარმომავლობის ლეგიტიმაციის პროცესების ტრანსფორმაცია პოლიტიკური მმართველების მიერ გამოვლენილ ძალისხმევაში გავლენის დასამყარებლად საიდუმლოებაზე, სიმბოლოების მანიპულაციაზე, სულიერ რწმენებსა და რიტუალებზე დაყრდნობით, რომლებშიც ისინი თავიანთ საქმიანობასა და შესტებს ახვევენ. აღნიშნული კარგად იქნა გაანალიზებული მარკ აბელესის ნაშრომში „სახელმწიფოს ანთროპოლოგია“ (1990 წ.).

გაერთიანებული ერების წესდება (ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს) ძირეული დოკუმენტია, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის ლეგიტიმურობის კრიტერიუმებს განსაზღვრავს. ამ წესდების პირველი ორი მუხლი ორგანიზაციის მიზნებს განსაზღვრავს, რომლებშიც თავად ლეგიტიმაციის პროცესის პრინციპებია წარმოდგენილი, კერძოდ, წესრიგის დაცვა (საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება) და სამართლიანობის განხორციელება (ეკონომიკური, სოციალური, ინტელექტუალური ან ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა). ბევრჯერ აღინიშნა, რომ ამ წესდების პრეამბულა მრავალმხრივ წააგავს შელოცვას. ამგვარად, ის გვიჩვენებს მსგავსებას წმინდა ტექსტებთან, რომლებიც ტრადიციული ხასიათის ლეგიტიმურობის წყაროებია. წესდება ასევე შეიცავს ძალაუფლების წარმოდგენას, რომელიც ქარიზმატული ხასიათის ლეგიტიმურობის მსგავსია, იმ ფაქტით, რომ განსაკუთრებულ ფუნქციებს გადასცემს – დაწყებული ვეტოს უფლებით – უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს. ავალდებულებს რა სახელმწიფოებს საერთაშორისო საჯარო სამართლის დაცვას, ის ასევე, ლეგიტიმურობის რაციონალურ და კანონიერ კონცეფციას უერთდება. ამგვარად, წესდება ერთმანეთს უხამებს ძალაუფლების გამართლების სამ ფორმას, რომელიც ვებერმა განმარტა.

ნათელია, რომ ეს დოკუმენტი ძირითადად საერთაშორისო ლეგიტიმურობის კონცეფციას გამოხატავს, რომელიც დასაბამს იღებს მოკავშირე ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკური კულტურიდან, განსაკუთრებით კი ანგლო-საქსური პოლიტიკური კულტურიდან. ეს წარმოდგენა ეფუძნება ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვას, ისევე როგორც თანამშრომლობის დიდი პროექტის განხორციელებას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ამგვარად, წესდების მიზანია ცივილიზებული ხანისთვის დამახასიათებელი ნორმებისა და ღირებულებების გაერთიანება წესრიგისა და სამართლიანობის სპეციფიკური პრინციპების ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. შემდგომი უნიფიკაცია, პირველ რიგში, პოლიტიკურია. ის მდგომარეობს სამართლებლივად სუვერენული სახელმწიფო აქტორის მოდელის გაფართოებაში. წესდებაში სახელმწიფოთა თანაბარი სუვერენულობის პრინციპის აღიარების უცილობელი ნაგულისხმევი შედეგია სამართლიანი საერთაშორისო წერიკის განხორციელება უცხო სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორიების ეტაპობრივი სახელმწიფო აღმშენებლობით. სწორედ ამიტომაც, წესდება ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას აცხადებს. ეს პრინციპი მთლიანად ამართლებს დეკოლონიზაციის პროცესს, მის სრულ სამართლებრივ აღიარებამდე. ამავე დროს, დეკოლონიზაციის საფუძვლები მრავალი და კომპლექსურია, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები მტრულად იყვნენ განწყობილნი ევროპული იმპერიების შენარჩუნების მიმართ და მათ ეს პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის შემადგენელ დოკუმენტში ჩააწერინეს, აღნიშნული ისტორიული პროცესი უდავოდ დააჩქარა .

წესდებით გათვალისწინებულ ჰომოგენიზაციას ასევე კავშირი აქვს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროსთან. მართლაც, სახელმწიფოებს ამ სფეროებში თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ საერთო წესებთან გაერთიანებით. იმედოვნებენ, რომ სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები გარკვეული შეთანხმებითი ფორმების დაცვით, სოციალიზაციის პროცესს შეუწყობს ხელს და ამ გზით კონფლიქტების ზოგიერთ მიზეზს აღმოფხვრის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტი წესრიგი იქნება. იმავდროულად, გაუთავებელი კამათის საგანი ხდება წესრიგის სამართლიანობის ცნება, როგორც კი ჯერ საბჭოთა კავშირი, შემდეგ კი დეკოლონიზებული ქვეყნები მას უთანასწორობის შემცირების ინტერპ-

რეტაციას აძლევენ, საბაზრო ეკონომიკის მქონე სამრეწველო ქვეყნები კი ზოგადად, ამგვარ წესრიგს ვაჭრობის ლიბერალიზაციას უკავშირებენ.

გაერთიანებული ერების წესდება

ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებს, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი

დავიცვათ მომავალი თაობები ომის უბედურებებისგან, რომლებმაც ორჯერ ადამიანის სიცოცხლის მანძილზე კაცობრიობას საშინელი ტანჯვა მოუტანა, კვლავაც განვამტკიცოთ რწმენა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, პიროვნების ღირსებისა და ღირებულების, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის, ისევე როგორც დიდი და პატარა ერების უფლებების თანასწორობის, შევქმნათ პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის სამართლიანობის დაცვას და შეთანხმებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიდან მომდინარე ვალდებულებების პატივისცემას, ხელი შევუწყოთ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სრულ თავისუფლებაში,

და ამ მიზნებისთვის

გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა, ვიცხოვროთ ერთად მშვიდობიანად, როგორც კეთილმა მეზობლებმა, გავაერთიანოთ ჩვენი ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდასაჭერად, პრინციპების მიღებითა და მეთოდების ჩამოყალიბებით უზრუნველყოთ იარაღის ძალის გამოყენება მხოლოდ საერთო ინტერესებისთვის, გამოვიყენოთ საერთაშორისო ინსტიტუტები ყველა ხალხის ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის,

გადავწყვიტეთ ჩვენი ძალისხმევის გაერთიანება ამ მიზნების მისაღწევად

აღნიშნულის თანახმად, ჩვენი შესამაბისი მთავრობები ქალაქ სან-ფრანცისკოში შეკრებილი თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთაც სათანადო ფორმით მიღებული აღიარებული უფლებამოსილებები აქვთ, შეთანხმდნენ გაერთიანებული ერების წესდების მიღებაზე და ამით ქმნიან ორგანიზაციას „გაერთიანებული ერების“ სახელწოდებით.

თავი I

მიზნები და პრინციპები

I მუხლი

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

1. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას და ამ მიზნით ეფექტური კოლექტიური ზომების მიღებას მშვიდობისთვის საფრთხის ასაცილებლად და ნებისმიერი აგრესიის აქტის ან მშვიდობის სხვა დარღვევების გამოსარიცხავად, მშვიდობიანი საშუალებებით სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, საერთაშორისო ხასიათის საკამათო საკითხებისა ან სიტუაციების გადაწყვეტას, რომლებმაც შეიძლება მშვიდობის დარღვევა გამოიწვიონ;
2. ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე ერებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებას და სხვა ზომების მიღებას საყოველთაო მშვიდობის გასამყარებლად;
3. საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებას ეკონომიკური, სოციალური, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად, ყველასათვის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა განვითარებასა და წახალისებას, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად;

4. ცენტრად ყოფნას ერების ძალისხმევის ჰარმონიზაციისთვის ამ საერთო მიზნების მისაღწევად.

3. 2. 3. ლეგიტიმურობის იდეოლოგიური ასპექტები

თანამედროვე ეპოქაში იდეოლოგიები დიდ გავლენას ახდენენ ლეგიტიმაციის პროცესზე. მათ მეცნიერული ანალიზის პრეტენზია აქვთ ისტორიის განვითარებაზე, რომლის პრაქტიკულ-სოციალური ფუნქციაა პოლიტიკური ქმედების გამართლება, ხელისუფლების დაუფლება ან კონსოლიდაცია. XVIII საუკუნიდან მოყოლებული, დასავლეთში იდეოლოგიებმა ეტაპობრივად შეაღწესეს რელიგიების დაღმასვლის შედეგად წარმოქმნილი სიცარიელე; ისინი წარმოჩნდნენ, როგორც ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან ორგანულად დაკავშირებული წარმოდგენათა სისტემები. სწორედ ამ მიზეზით ძალაუფლების მპყრობელთ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ ინტელექტუალებთან ან ექსპერტებთან. თანამედროვე მსოფლიოს ეს „კლერკები“ ოკულტურ ცოდნას ისაკუთრებენ იდეების შექმნითა და მანიპულირებით, რომელთა შესასწავლი ობიექტია ადამიანების კავშირი პოლიტიკურ ძალაუფლებასთან, სოციალურ რეალობასა და ისტორიულ მომავალთან. მარქსისტულ ანალიზში, იდეოლოგიას გაბატონებული კლასები უჭერენ მხარს ქვეშევრდომთა შეგნებაში ორმაგი ილუზიის შესანარჩუნებლად: ერთი ჩქმალავს ამ ქვეშევრდომთა ექსპლუატაციასა და ჩაგვრას და მას აუცილებლად ან ბუნებრივად წარმოაჩენს; მეორე მათ აჯერებს, რომ ისინი საკუთარი თავის განმკარგველები არიან. ფროიდისეული სულისკვთების ანალიზში იდეოლოგია საზოგადოებისა და მისი ისტორიის ილუზორული წარმოდგენაა, რომლის ამოცანაა, როგორც იმის დაფარვა, რაც გრძნობებიდან მომდინარეობს, კერძოდ კი სექსუალური საფუძვლის მქონე იმპულსებზე დაფუძნებული გრძნობებიდან, ისე ამ უკანასკნელთა მოთოკვა ცივილიზაციაზე დისკურსით.

რაში მდგომარეობს იდეოლოგიების გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაში? ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ძლიერი სახელმწიფოები ცდილობენ, როგორც საერთაშორისო წესრიგის საკუთარი კონცეფციის, ისე ისტორიისა და კოლექტიური ქმედების მნიშვნელობის საკუთარი წარმოდგენის თავს მოხვევას. ამ მიზნით ისინი საერთაშორისო ინსტიტუტების გამოყენებას ცდილობენ, რომლებიც ნორმებს ქმნიან, კვლევებს ატარებენ და სტატისტიკურ მონაცემებს ამზადებენ, რომელთაც ამ სახელმწიფოთა საზოგადოების მოდელისა და პროგრესის ხედვის გამართლება შეუძლიათ. ცივი ომი, დიპლომატიური, სტრატეგიული და სამხედრო ასპექტების მიღმა, იდეოლოგიურ დაპირისპირებას წარმოადგენდა, რომელიც სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის დეფინიციისთვის იყო გამიზნული. ორივე ბანაკი ცდილობდა სამეცნიერო რანგში აყვანილი დოგმების გავრცელებას სოციალური მოწყობის ფორმებზე და ამ უკანასკნელთა დანარჩენი მსოფლიოსთვის თავს მოხვევას. ორივე მხრიდან მასების მისამხრობად გამოიყენეს მარქსისა და ენგელსის, სმითისა და რიკარდოს ნაშრომებიდან ამოღებული გამონათქვამები. ამ ანტაგონიზმის დასასრულიდან OCDE-ს ქვეყნების ლიბერალური კონცეფციები აღარ ხვდება სტრუქტურირებულ წინააღმდეგობას, გარდა რელიგიური ფუნდამენტალისტების მიერ გაცხადებულისა, მაშინაც კი როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დაყოფა არსებობს საერთო კეთილდღეობასთან, სახელმწიფოთა შიდა მოწყობასთან, განსაკუთრებით კი ვაჭრობის ლიბერალიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებთან დაკავშირებით.

შესაძლებელია განსხვავება გაკეთდეს უნივერსალისტური და პარტიკულარისტული ხასიათის იდეოლოგიებს შორის სახელმწიფო წესრიგის ან სპეციფიკური პოლიტიკური მოძრაობის ლეგიტიმაციით. პირველ იდეოლოგიებს საერთაშორისო პოლიტიკა აინტერესებთ. ზოგადად, მათ ძლიერი სახელმწიფოები ავრცელებენ, ისინი წესების შემაჯამებლად

წარმოჩნდებიან, რომელთა მიხედვით, მთელი კაცობრიობა ფიზიკურ სამყაროს უნდა მიესადაგოს, სოციალურ ურთიერთობებთან ადაპტირება მოახდინოს, პოლიტიკურ ძალაუფლებას დაექვემდებაროს. ჩვეულებრივ, ეს იდეოლოგიები დუალისტური ფორმით წარმოჩნდებიან, ჯოჯოხეთი სხვებისგანაა შემდგარი, ე. ი. კოლექტიური აქტორებისგან, რომელნიც მათი მიზნის განხორციელებას უპირისპირდებიან. ვუდრო ვილსონიდან დაწყებული ჯორჯ ბუშამდე, ამერიკელმა პრეზიდენტებმა თავიანთი პოზიცია საერთაშორისო სცენაზე განსაზღვრეს, როგორც ბრძოლა, რომელიც ბოროტი ძალების დამხობისა და „ლიბერალური სამყაროს“ დასაცავადაა მიმართული. საბჭოთა მმართველებს ასევე მიაჩნდათ, რომ ისინი მარქსისა და ლენინის მიერ გამოვლენილი ისტორიული მოძრაობის მატარებლები იყვნენ, რომელიც უნივერსალურად გადასაქცევად იყო მოწოდებული, რადგან ის მისიის შესრულებას ასახავდა: ჩაგრული მასების განთავისუფლება და კლასთა ანტიგონიზმების გადაჭრა. მოგვიანებით ისლამისტები ასევე იცავენ უნივერსალისტური ტიპის იდეოლოგიას. ისინი მსოფლიოს ყოფენ სამეფოდ, სადაც ღმერთის კანონი აღესრულება, დარ ალ-ისლამი (ისლამის სახლი) და დარ ალ-ჰარბს (ომის სახლი) შორის და ზოგიერთების აზრით, აუცილებელია ამ უკანასკნელის ისლამში მოქცევა ჯიხადით ან წმინდა ომით. 1979 წელს ისლამური რესპუბლიკის შექმნამ ირანში ამ იდეოლოგიას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურებს. ამტკიცებს რა, რომ ისლამი ნებისმიერი პოლიტიკის საფუძველსა და საბოლოო მიზანს წარმოადგენს, ირანის მთავრობა, ისევე როგორც ფუნდამენტალისტური მოძრაობები შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებული საერთაშორისო წესრიგის საერო წანამძღვრებს უარყოფენ, პირველ რიგში, ერი-სახელმწიფოს პრინციპს და ასევე საერთაშორისო საჯარო სამართლის დებულებებსა და დომინანტურ კონცეფციებს ეკონომიკური განვითარების სფეროში. მოჰამედ-რეზა ჯალილიმ ნაშრომში „ისლამური დიპლომატია. ხომეინიზმის საერთაშორისო სტრატეგია (1989 წ.) აღნიშნა, რომ ამ პოზიციას მეტ-ნაკლები ერთიანობით ირანის წარმომადგენლები გაეროს სხვადასხვა ინსტიტუტებში იცავდნენ, სახელდობრ, ადამიანის უფლებებზე მსჯელობის დროს. რეალობაში, უნივერსალისტური იდეოლოგიებით შთაგონებული დისკურსები ყოველთვის იმ სახელმწიფოთა ჰეგემონიური პროექტის სამსახურშია, რომლებიც მათ ავრცელებენ.

4. კრასახელმწიფო აქტორთა როლი ნორმაების შემუშავებაში

მთავრობები მთავარი აქტორები არიან, რომელთაც დასახული მიზნების ლეგიტიმაციის ინსტრუმენტების მანიპულირების, ემოციების, ღირებულებების ან საკუთარი ავტორიტეტის გამოყენების შესაძლებლობა აქვთ. ამ მხრივ, მათი ხელმძღვანელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საქმე არ ეხება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოების ხელმძღვანელებს. ეგვიპტის პრეზიდენტმა ნასერმა დიდი ყურადღება მიიქცია გასული საუკუნის 50-იან წლებში სუეცის არხის ნაციონალიზაციით. ამ შესტმა, რომელსაც საბჭოთა ბლოკი უჭერდა მხარს, მას უდავოდ ქარიზმატული ავტორიტეტი შესძინა საერთაშორისო არენაზე. ნასერმა ხელი შეუწყო „მესამე სამყაროს“ წარმოსახვით შექმნას, რომელიც ახლად დამოუკიდებლობა მიღებულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შესაძლებლობების რწმენაზე იყო დამყარებული კოლონიალიზმიდან მემკვიდრეობით მიღებული საერთაშორისო სისტემის დელეგიტიმაციისა და უფრო სამართლიანი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრების თაობაზე. იუგოსლავიის პრეზიდენტმა მარშალმა ტიტომ და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, ასევე ღრმა კვალი დატოვეს მიუმხრობლობის მოძრაობის შექმნასა და განვითარებაზე.

ამავე დროს, ნორმების ლეგიტიმურობის ფართო აღიარებისთვის, ისინი უნდა დადგინდეს. ამ მხრივ, არასახელმწიფო აქტორები არაუგულელებლსაყოფელ ფუნქციებს ასრულებენ. ასევე სამთავრობოთშორისო ორგანიზაციები მომდინარეობენ წევრ-სახელმწიფოთა ნებიდან ან ყოველ შემთხვევაში, დათმობიდან ამ უკანასკნელთა მხრიდან, იურიდიულ ჩარჩოში მოაქციონ საკუთარი ქმედებები გარკვეული პოლიტიკური ან სოციალური მიზნების განსახორციელებლად. ამისათვის აღნიშნულ ორგანიზაციებს დამატებითი ორგანოების შექმნა შეუძლიათ. არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) მთავრობებზე ზეწოლას ახდენენ საზოგადოებასთან დაკავშირებული პროექტების განსახორციელებლად, რადგან მათი მისია სწორედ საზოგადოების დაცვაში მდგომარეობს. ხშირად, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ხან იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი მათ კონსულტაციის მიცემის შესაძლებლობას აძლევენ, ხან კი იმის გამო, რომ მათი სტატუსი ამ ორგანიზაციებისგან სრულიად არ განსხვავდება, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) მსგავსად, რომელიც 1956 წელს შეიქმნა და დღეისათვის 73 სახელმწიფოს, 107 სამთავრობო სააგენტოსა და 755 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს.

4. 1. საერთაშორისო ორგანიზაციები

სამთავრობოთშორისო ორგანიზაციებს განსხვავებული მანდატები და სტრუქტურები აქვთ. ისინი პოლიტიკურ, სექტორულ ან ტექნიკურ ფუნქციებს ასრულებენ და სხვადასხვა რეჟიმებსა და სახელმწიფოთშორისი თანამშრომლობის კავშირებს მოიცავენ. ამ ორგანიზაციებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. თანამედროვე ეპოქის პირველი სამთავრობოთშორისო ორგანიზაცია ვენის კონგრესიდან იღებს სათავეს, რომელმაც 1815 წელს მუდმივი კომისია შექმნა რაინზე ნავიგაციის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული ინსტიტუტის მანდატს ამ მდინარეზე თავისუფალი ნავიგაციისა და ვაჭრობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება სხვა ტექნიკური დანიშნულების ორგანიზაციები, როგორცაა საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირი (1865 წ.), წონისა და ზომის საერთაშორისო ბიურო (1875 წ.), შემდგომში მსოფლიო საფოსტო კავშირი (1878 წ.) და სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირი (1883 წ.). პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ერთა ლიგასთან და შრომის საერთაშორისო ბიუროსთან ერთად, დაფუძნდა ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფოთა ნებას გამოხატავენ ახალი მექანიზმების შესაქმნელად კოლექტიური უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის გასაფართოებლად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. შემდგომში ამ ინსტიტუციურმა განვითარებამ დიდი აღმავლობა განიცადა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში 1944 წელს ბრეტონ ვუდსში საერთაშორისო სავალურო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის („მსოფლიო ბანკი“) შექმნით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIT) მანდატის გაფართოებით, კვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), განსაკუთრებით კი 1945 წელს სან-ფრანცისკოში გაეროს შექმნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიღმა ასევე შეიქმნა რეგიონული თანამშრომლობის ორგანიზაციები. მარშალის გეგმის განხორციელება ევროპულ სახელმწიფოებს ეკონომიკური თანამშრომლობის ევროპულ ორგანიზაციაში (OECE) გაერთიანებას ავალდებულებს, რომელიც 1961 წელს თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (OCDE) გახდა. 1948 წელს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა, სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, დასავლეთ ევროპული კავშირი (UEO) შექმნეს. მოგვიანებით, ამ ქვეყნებმა, აშშ-სა და კანადასთან ერთად ატლანტიკური ალიანსი (1949 წ.) დააფუძნეს, რომლის ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (OTAN), ცოტა ხნის შემდეგ ალიანსის სამხედრო დასაყრდენი გახდა. 1949 წელს ევროპის მშენებლობის მოძრაობამ ევროპის საბჭო შექმ-

ნა, შემდგომში 1951 წლის პარიზის ხელშეკრულების თანახმად, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (CECA) დაფუძნდა. 1957 წლის რომის ხელშეკრულებით, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (CEE ან საერთო ბაზარი) და ატომური ენერჯის დარგში ევროპის გაერთიანება (Euratom) შეიქმნა. სამხრეთის ქვეყნებმა ასევე ჩამოაყალიბეს თანამშრომლობის სტრუქტურები, როგორცაა არაბთა ლიგის ორგანიზაცია (1945 წ.), ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (OEA) (1948 წ.), აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია (OUA) (1963 წ.).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უწყვეტი იზრდებოდა საერთაშორისო ინსტიტუტების რაოდენობა გაერთიანებული ერების შიგნით ან რეგიონულ ჩარჩოში. დღეისათვის ეს ინსტიტუტები ძალზე კომპლექსურ ერთობას წარმოადგენენ, რომელშიც ათი ათასობით საერთაშორისო ფუნქციონერი მუშაობს. მათი უმრავლესობა დასავლეთის ქვეყნებშია განლაგებული, – ნიუ-იორკში, ჟენევაში, ვაშინგტონში, ბრიუსელში, პარიზში, რომსა და ვენაში. ამგვარი ევოლუცია ასახავს, როგორც სამრეწველო ქვეყნებს შორის კავშირების გაფართოებასა და გაძლიერებას, ისე მათ შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებას. ამ სახელმწიფოებს, რომელთაც კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ერთგვაროვნება ახასიათებთ და მოგვარებული აქვთ დიპლომატიურ-სტრატეგიული ურთიერთობები, სარგებლის მიღება შეუძლიათ სამთავრობოთშორისო ორგანიზაციებში გაერთიანებით საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უთანხმოებებზე მოსალაპარაკებლად, მოქმედების შესათანხმებლად, თანხვედრი პრინციპების განსასაზღვრად საქონლის წარმოებისა და გაცვლისთვის, საკომუნიკაციო ქსელების გაფართოების ან ტექნიკური პროექტების სამართავად.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებული კოლექტიური წარმოდგენები ზოგადად, მათი შიდა ფუნქციონირების სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებსა და გარე ანგაჟირებას უგულებელყოფენ. ამ საკითხთან დაკავშირებული საუბარი ხშირად შეცდომაში შემყვანია, რადგან ის მათ შემადგენელ სახელმწიფოთა ქცევას სამდივნოების ქცევასთან აიგივებს. მედია ადვილად ახდენს ამ გაურკვევლობის რეპროდუქციას, როდესაც გაერთიანებული ერების უძღურებას ან მარცხს გმობს რომელიმე კრიზისის მართვასთან დაკავშირებით, ისე რომ განსხვავებას არ აკეთებს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გაეროს სამდივნოს როლს შორის, რომელიც პასუხისმგებელი არაა მისი ფარგლების ჩარჩოში მიღებულ რეზოლუციებზე. ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორგანიზაციების მართვის კომპლექსურობა, მანდატების მრავალფეროვნება, ხშირ შემთხვევაში, ტექნიკური ხასიათი, დოკუმენტების ზოგჯერ ებოტერიკული ენა, რიტუალებით დატვირთული ფუნქციონირების პროცედურები საქმეში ჩაუხედავებისთვის მათ ხელმისაწვდომობას ართულებს. გარდა ამისა, მშვიდობის, ადამიანის უფლებების, განვითარების, საერთაშორისო თანამშრომლობის დახმარების მათმა იდეალისტურმა მისიებმა შეიძლება ხელი შეუშალოს ზუსტი ანალიზის გაკეთებას. ძალზე ხშირად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ნაშრომებს მათი ნორმატიული დისკურსის რეპროდუქციების ტენდენცია აქვს და ამგვარად, ანალიტიკური დისტანცია აკლია. ამავე დროს, შემდეგ თავში ვნახავთ, რომ არსებობს მნიშვნელოვანი კვლევები ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების როლისა და ფუნქციონირების შესახებ, სახელდობრ, იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავლენასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ღარიბ ქვეყნებზე ახდენენ და იმ წინააღმდეგობებზე, რომლებსაც მათი პროგრამები იწვევენ.

4. 1. 1. ბუნდოვანი ტიპოლოგია

შეუძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების ზუსტი კლასიფიკაციის შემოთავაზება, რადგან ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან მიზნებით, ინსტიტუციური სტრუქტურებით,

ფუნქციონირების ფორმით, პროგრამების ხასიათითა და პოლიტიკური უნარებით. როგორც ავლნიშნეთ, ხშირად იყენებენ განსხვავებას მსოფლიო დანიშნულების ორგანიზაციებსა, – გაერო და მისი სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომლებიც თითქმის ყველა სახელმწიფოს აერთიანებს – და რეგიონული მიზნების მქონე ორგანიზაციებს შორის. თუმცა, კლასიფიკაციის ეს პრინციპი ნაკლებად გასაგებია, რადგან ამ ინსტიტუტების გეოპოლიტიკა ხშირად ბუნდოვანია. გაეროს აქვს რეგიონული კომისიები, რომელთა მანდატი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას ითვალისწინებს ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, შუა აღმოსავლეთსა და აზიაში. ზოგიერთი „რეგიონულად“ მიჩნეული ორგანიზაცია მრავალმხრივი თანამშრომლობის საქმიანობითაა დაკავებული და მისი პროგრამები ძალზე მასშტაბურად წარმოჩნდება. ამგვარად, დღეისათვის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია ოცდაათამდე წევრ-ქვეყანას აერთიანებს, რომელიც სამრეწველო ქვეყნების ძირითად ჯგუფს მიეკუთვნება, მათ შორისაა მექსიკა და კორეა. ამ ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოები „განვითარების ორმხრივი დახმარების“ 95%-ს უზრუნველყოფენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონცესიური ხასიათის სესხებს. მათი ეკონომიკა მსოფლიოს საერთო პროდუქციის დაახლოებით 70%-ს შეადგენს და საერთაშორისო ვაჭრობის სამ მეოთხედს. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ იმ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს, რომლებიც ეს ორგანიზაციაა დაკავებული დიდი გავლენა აქვთ მსოფლიო დონეზე. ამავე დროს, რეგიონული ინტეგრაციის პროცესები აღნიშნულს ვერ შეეძრება: ამ მიზნით შექმნილი ინსტიტუტები ძალზე განსხვავდებიან, როგორც ამას გვიჩვენებს დისპროპორცია ევროკავშირსა და აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის რეგიონულ ორგანიზაციებს შორის, რომელთაც მწირი პოლიტიკური უნარები აქვთ.

4. 1. 2. არაერთგვაროვანი სტრუქტურები

მართებულია იმის აღნიშვნა, რომ ორგანიზაციები დიდად განსხვავდებიან შემადგენელი ორგანოების ხასიათით, თავიანთი სამდივნოებისთვის მიკუთვნებული კომპეტენციებით, დაკომპლექტების ფორმებით, სახელდობრ, გეოგრაფიულ ფაქტორთან დაკავშირებული თანამდებობების გადანაწილებით, ავტონომიის ხარისხით მთავრობების დირექტივებთან მიმართებაში და ბიუროკრატიის მნიშვნელობით. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ევროსაბჭო ან გაერთიანებული ერების სპეციალიზებული ინსტიტუტების უმრავლესობა, შედარებით მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ სტრუქტურას ეფუძნება, მაგრამ ქმედების უმნიშვნელო საშუალებებითაა აღჭურვილი. სხვა ორგანიზაციებს, კერძოდ კი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, მცირე მასშტაბის სამდივნო აქვს, თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვან როლს ასრულებს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამშრომლობის ზოგიერთი მექანიზმი საერთაშორისო ორგანიზაციას არ ემყარება. ამგვარად, ძირითადი სამრეწველო ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა 1970-იანი წლებიდან ჩვევად შემოიღეს „7-ის ჯგუფის“ ფარგლებში რეგულარულად შეკრება, რომელსაც უფრო ხშირად „G7-ს“ ან „G8-ს“ უწოდებენ, 1997 წლიდან მასში რუსეთის მიღების შემდეგ. ამავე დროს, ამ ინსტანციას არა აქვს მუდმივი სამდივნო, მის სხდომებს მოცემული ქვეყნების მაღალი დონის პასუხისმგებელი პირები ამზადებენ, რომელთაც sherpas-ებს უწოდებენ.

4. 1. 3. ინსტიტუციური ავტონომია

საერთაშორისო ინსტიტუტების ავტონომიის საკითხი თეორიული დებატების საგანი გახდა, რომელსაც შემდეგ თავში დავუბრუნდებით. ამავე დროს, მართებულია ამ საკითხის ფორმალურ ასპექტში განხილვა, საერთაშორისო ორგანოებისთვის მინიჭებული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესაბამისად. მაქს ვებერის კვლევები პოლიტიკურ დომი-

ნანტობასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს ადმინისტრაციული უწყვეტობის აუცილებლობას „ინტერესზე“ და „პატივისცემაზე“ დაყრდნობით. ძალაუფლების საერთაშორისო სფეროსკენ გადაადგილებამ ფუნქციონერებისგან შემდგარი სტაბილური საერთაშორისო ბიუროკრატიების ჩამოყალიბება მოითხოვა, რომელთა სტატუსი და პრივილეგიები საერთაშორისო სამართლის დებულებებითაა გარანტირებული. პრინციპში, საერთაშორისო სამდივნოები დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფო ხელისუფლებებისგან. ერთა ლიგის პრაქტიკის ტრადიციიდან გამომდინარე, გაეროს წესდება განსაზღვრავს ამ ორგანიზაციის მართვის წესებს და ითვალისწინებს, რომ „თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში გენერალური სამდივნო და პერსონალი არ მოითხოვს და არ მიიღებს ორგანიზაციის გარეთ არსებული არც ერთი მთავრობისა ან გარე ავტორიტეტის ინსტრუქციებს“ (მე-100 მუხ.). ის ასევე დაკომპლექტების ფორმებს განსაზღვრავს: „უპირატესი მოტივი პერსონალის დაკომპლექტებაში უნდა იყოს აღნიშნული ორგანიზაციის იმ პიროვნებათა მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელთაც შრომის, კომპეტენციისა და ერთიანობის უმაღლესი ხარისხის მახასიათებლები აქვთ. მხედველობაში სათანადოთ იქნება მიღებული, შეძლებისდაგვარად ფართო გეოგრაფიულ საფუძველზე განხორციელებული დაკომპლექტება“ (მუხ. 101, § 3).

სინამდვილეში ეს პრინციპები არ იქნა დაცული, განსაკუთრებით, ცივი ომის გარემოში. მაკარტიზმის პერიოდში ამერიკის მთავრობა კომუნიზმის მიმართ სიმპათიით განწყობილ ფუნქციონერებს დევნიდა, ხოლო საბჭოთა კავშირი ზედმიწევნით პოლიტიკურ კონტროლს ანხორციელებდა გაეროში მომუშავე თავის მოქალაქეებზე. 1970-იან წლებამდე სამდივნოების შემადგენლობაში დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები დომინირებდნენ. დეკოლონიზაციის პროცესის შემდეგ ეს შემადგენლობა უფრო წარმომადგენლობითი გახდა და ახალი სახელმწიფოებიდან გამოსულ ფუნქციონერებს იქ მზარდი გავლენა ჰქონდათ. თუმცა, გეოგრაფიული გადანაწილების პრინციპი ყოველთვის არაა დაცული, ძლიერი სახელმწიფოები განსაკუთრებულ პრეროგატივებს ისაკუთრებენ მაღალი პასუხისმგებლობის თანამდებობებისთვის. ზოგადად, მთავრობები მუდმივად ერევიან გაერთიანებული ერების ფუნქციონერთა დაკომპლექტების საკითხში, გენერალურ მდივანსა ან სააგენტოების ხელმძღვანელებზე ზეწოლით თავიანთი მოქალაქეების დასაწინაურებლად ამ ორგანოების ადმინისტრაციებში. ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტები საკუთარი პერსონალისგან მაღალი დონის კომპეტენციას ითხოვენ; მათი სამდივნოები ასევე იმ პიროვნებებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც მსგავსი აკადემიური საგანმანათლებლო ცენტრებიდან მოდიან, ძირითადად, ანგლო-საქსური წარმომავლობის. თუმცა, მნიშვნელობა არა აქვს ამ სამდივნოების ამერიკულ თუ ინდურ წარმომავლობას, თუკი მათ მსოფლიოს ანალოგიური ხედვა აქვთ. ისევე როგორც შეუძლებელია ვატიკანის იერარქიაში შეღწევა უბიწო ჩასახვის ექვეყნე დაყენებით, ისე ამ ორგანოების მმართველმა სფეროებმა ურყევი რწმენა უნდა გამოხატონ ბაზრის სიკეთეებთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, სათანადოდ უნდა შეფასდეს მდიდარ სახელმწიფოთა უპირატესი გავლენა საბიუჯეტო სფეროში, რაც ამ უკანასკნელთ ზეგავლენის მოხდენის საშუალებას აძლევს იმ ფონდებსა და პროგრამებზე, რომლებსაც ისინი აფინანსებენ, მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამა (ფრანგ. PNUD; ინგლ. UNDP) ან გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდი (UNICEF). შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების ორიენტაციას განსაზღვრავენ, რადგან როგორც უკვე ავლნიშნეთ, ამ ინსტიტუტების სტატუსი დაბალანსებული კენჭისყრის სისტემას ითვალისწინებს, რომელიც გადაწყვეტილების მიღების უფლებას დიდწილად იმ სახელმწიფოებს ანიჭებს, რომელთაც მეტი ფინანსური რესურსები შემოაქვთ. წარმოუდგენლად წარმოჩნდება ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა ინსტიტუტებმა იმგვარი გადაწყვეტილებები მიიღონ, რომლებიც ამერიკის მთავრობის ნაციონალური ინტერესების საპირისპირო იქნება.

თუკი საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფო ხელისუფლებისგან სრული დამოუკიდებლობით არ სარგებლობენ, რომელიც მათ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მისცემდა ყოველგვარი ინსტრუქციებისა ან ზეწოლების გარეშე, მათ მაინც აქვთ შედარებითი ავტონომია. მათი სამდივნოები საქმის ცოდნისა და ინსტიტუციური მესხიერების მატარებლები არიან და ამის საფუძველზე, გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ შიგნით განხილული საკითხების დღის წესრიგზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი შერჩეული ექსპერტების დახმარებით ნორმატიულ ტექსტებს ამზადებენ, – რეზოლუციები ან შეთანხმებები – , რომლებიც საზოგადოებრივ აზრსა და მთავრობების პოზიციებს აძლევს მიმართულებას. ამ სამდივნოებს აქვთ სიმბოლოების მობილიზების, იდეების ჩამოყალიბების, პროგრამების წარდგენისა და ამოქმედების უნარი, რაც მათ უდავო პოლიტიკურ როლს ანიჭებს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებში. მსოფლიო ბანკი მენახინისა და დოგმების მწარმოებლის ფუნქციებს აერთიანებს, რამდენადაც ის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას თავის მთავარ ეკონომისტს აძლევს და მას შესანიშნავი საშუალებები აქვს მონაცემებისა და კვლევების შესაგროვებლად, რომელთაც მსესხებელ სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის არჩევანის ორიენტირება შეუძლია. ამავე დროს, აშშ-ში ხელისუფლების მონაცვლეობის შემთხვევაში, ახალ ადმინისტრაციას გარკვეული დრო სჭირდება ამ ინსტიტუტის სამსახურების რეორგანიზაციისთვის და გუნდის შესაცვლელად, რომლის პოზიცია აღარ ჯდება იმ კონცეფციებში, რომელთაც განვითარების ახალი ინტერესების გამომხატველი პერსონალი იცავს თეთრ სახლში.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ძალაუფლების პოლუსებია, რომელთაც ნაწილობრივ მთავრობების ქმედებისთვის გვერდის ავლა შეუძლიათ. მათი გავლენა დამოკიდებულია არა მხოლოდ მანდატსა და რესურსებზე, არამედ მართვის ხარისხსა და სამდივნოს კომპეტენციის საერთო დონეზე.

4. 2. არასამთავრობო ორგანიზაციები

საერთაშორისო სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანებები ძალზე მრავალრიცხოვანი და განსხვავებული ხასიათისაა. ამ მხრივ, აღსანიშნავია რელიგიური ერთობების მიერ შესრულებული ისტორიული როლი. პრინციპში, ამ უკანასკნელთა მისია სულიერი ხასიათისაა, მაგრამ მსოფლიო პრობლემებზე მათ მიერ დაკავებულ ეთიკურ პოზიციას პოლიტიკური შედეგების გამოწვევა შეუძლია. პაპის ტახტი საერთაშორისო სამართლის სუბიექტადაა აღიარებული და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ პაპის ტახტს აღარ აქვს საერო ხელისუფლება, რომელიც მან მემკვიდრეობით ადრეული შუა საუკუნეებიდან მიიღო იტალიის გაერთიანებამდე, მხოლოდ თავისი სულიერი ავტორიტეტით მას პოლიტიკური გავლენის მოხდენა შეუძლია, მაგალითად, პოზიციის დაკავებისგან თავშეკავება 1930-იან წლებში ფაშიზმის პირისპირ და მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ან მემარჯვენე დიქტატურების მიმართ ლათინურ ამერიკაში 1970-იან წლებში. თავის მხრივ, ეკლესიების ეკუმენური საბჭო, რომელიც ყენევაშია განლაგებული პროტესტანტულ და მარლთმადიდებელ ეკლესიებს აერთიანებს; ის რეგულარულად გამოთქვამს აზრს მნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე; სახელდობრ, მშვიდობის, განვითარებისა და განიარაღების პრობლემათიკაზე. ისლამის ან იუდაიზმის სამყაროში არ არსებობს ცენტრალიზებული ძალაუფლება, რასაც ასევე პოლიტიკურ საკითხებთან მჭიდრო კავშირის მქონე სხვადასხვა ხასიათის მოძრაობებისა და ქსელების ხელშეწყობა შეუძლია.

პარტიები და პროფკავშირები ასევე იმგვარი ფორმით ყალიბდებიან, რომ გავლენა მოახდინონ სოციალურ-პოლიტიკური რეგულაციის მექანიზმებზე. ცნობილია სოციალისტური ინტერნაციონალების მაგალითი. მშრომელთა მოთხოვნებისა და ქმედებების კოორდი-

ნინებისთვის კაპიტალისტური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, მათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა ჰქონდათ ევროპაში XIX საუკუნის დასასრულს. პირველი ინტერნაციონალი 1864 წელს დაფუძნდა მშრომელთა საერთაშორისო გაერთიანების სახელით. 1889 წელს შექმნილმა მეორე ინტერნაციონალმა მიზნად დაისახა ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო საქმიანობა, რომელმაც 1914 წელს კრაზი განიცადა. 1919 წელს, სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის გაყოფის შედეგად, III ინტერნაციონალი შეიქმნა. ის სტალინური პოლიტიკის ინსტრუმენტად იქცა, მის დაშლამდე (1943 წ.). მეორე მსოფლიო ომიდან დაწყებული, ევროპის ტრადიციული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ საერთაშორისო საქმიანობა და სტრუქტურები განავითარა. საერთაშორისო პროფკავშირულმა მოძრაობებმა მებრძოლ ტრადიციას დაუჭირეს მხარი საერთაშორისო დონეზე და გავლენას ახდენენ OIT⁴-ის ნორმებისა და პროგრამების განვითარებაზე. თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაცია (CISL) 70 მილიონ წევრს აერთიანებს 95 ქვეყანაში და ამ მხრივ, უპირატეს როლს ასრულებს. დღეისათვის შრომის მსოფლიო კონფედერაცია, – ქრისტიანული რელიგიის გავლენის ქვეშ მყოფ 13 მილიონ წევრს ითვლის 75 ქვეყანაში.

ამ ტრადიციულ ტრანსნაციონალურ ძალებს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია (ფრანგ. ONG; ინგლ. NGO) უნდა დავუმატოთ, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიზნები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის უფლებების, ქალების სტატუსის გაუმჯობესების, ჰუმანიტარული საქმიანობის, ეკოლოგიისა და განვითარების სფეროებში. მათი საქმიანობა ასევე შეიძლება ეხებოდეს უფრო შეზღუდულ ან მოკრძალებულ სფეროებს, როგორცაა სპორტი ან ბიბლიოგრაფიული კვლევა. დღეისათვის ამგვარი ორგანიზაციები ათასობითაა. ზოგიერთ მათგანს გრძელი ისტორია აქვს. ამგვარად, **British and Foreign Anti-Slavery Society** (ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების მონობის მოწინააღმდეგეთა საზოგადოება) 1823 წელს დაარსდა დიდ ბრიტანეთში; ის დღესაც აქტიურად აგრძელებს ბრძოლას ნებისმიერი თანამედროვე ფორმის მონათმფლობელური ტიპის ექსპლუატაციის წინააღმდეგ. XX საუკუნის დასაწყისში, გაიზარდა ომის მსხვერპლი მოსახლეობისთვის, სახელდობრ, დევნილთათვის ნებაყოფლობითი დახმარების ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, რელიგიური ინსტიტუტების გავლენის ქვეშ იყვნენ. გაეროს შექმნით არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალი აღმავლობა განიცადეს. საკომუნიკაციო ქსელების განვითარებამ მათი გაფართოება დააჩქარა მთელ მსოფლიოში. გაერო და მისი სპეციალიზებული ინსტიტუტები იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საკონსულტაციო სტატუსს აღიარებენ, რომლებიც მათი კომპეტენციის სფეროში მოქმედებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთაც მნიშვნელოვანი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები აქვთ, დასავლეთის ქვეყნებშია განლაგებული, უმეტესწილად ანგლო-საქსურ სამყაროში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ ორგანიზაციებმა ხელი შეუწყეს დასავლეთის ქვეყნებში არსებული ლიბერალური ან პროგრესისტული პოლიტიკური კონცეფციების გავრცელებას. ამ მხრივ, მათი საქმიანობა განმანათლებელთა რაციონალისტური, ინდივიდუალისტური და ეგალიტარისტული პოლიტიკური ტრადიციითაა აღნიშნული. ისინი ხელს უწყობენ სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაციის მოძრაობას, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინტერესებს გამოხატავს, დომინანტურ პოლიტიკურ ტენდენციებთან დაპირისპირების შემთხვევაშიც კი. ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ თავიანთი მისიის შესრულება მთავრობების მინიმალური თანხმობის არსებობის გარეშე. სწორედ ამით აიხსნება ამ ორგანიზაციების სიმცირე აფრიკაში, მათი ფუნქციონირება ასევე შეუძლებელია რეპრესიული რეჟიმების მქონე აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ჩინეთში.

4 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

აღნიშნული აქტორებისა და პოლიტიკური პარტიების ერთმანეთთან შედარება სახელმწიფოების შიგნით არაადეკვატურად წარმოჩნდება, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციების მიზანია არა ხელისუფლების დაუფლება ტრანსნაციონალური საჯარო სივრცის გამოყენებით, არამედ მთავრობებსა და საერთაშორისო ინსტიტუტებზე ზეწოლის მოხდენა ამ უკანასკნელთა მიერ გარკვეული ნორმების შემუშავების უზრუნველყოფისა და პროგრამების ამოქმედების მიზნით. ისინი პარტიებისგან ასევე შეღწევის სივრცის სექტორული ხასიათით განსხვავდებიან. ამგვარად, უფრო დამაჯერებელია არასამთავრობო ორგანიზაციების ზეწოლის ჯგუფებისადმი მიკუთვნება, რომელთა მოქმედების სივრცე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროშია.

ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მთავრობებისგან დამოუკიდებელია და ამ უკანასკნელთა მიმართ ავტონომიურ პოლიტიკურ საქმიანობას ანხორციელებს. ესაა იმგვარი ორგანიზაციის შემთხვევა, როგორცაა Amnesty International-ი ან Greenpeace-ი. სამაგიეროდ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ფრანგ. CICR; ინგლ. ICRC), რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების მანდატი აქვს შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დასაცავად, მჭიდროდაა დაკავშირებული შვეიცარიის მთავრობასთან. თუმცა, მსოფლიოში, რომელშიც სახელმწიფო და საერთაშორისო სფეროებს შორის გამყოფ ხაზებს ერთმანეთში აღრევის ტენდენცია აქვს, არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება ერთ ქვეყანაში დამკვიდრდეს და, იმავდროულად, საერთაშორისო მიზნებისთვის იღვაწოს. ამგვარად, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მრავალი ორგანიზაცია არსებობს, რომელიც ძირითადად ნაციონალურ საფუძველს ინარჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაციები არ ფლობენ დიდ მატერიალურ რესურსებს, მათ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის იმედი შეუძლიათ იქონიონ საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაციით. ამის მაგალითია წამების საწინააღმდეგო საერთაშორისო ორგანიზაცია (OMCT), რომელიც უნევეაშია განლაგებული, მაგრამ თავის ქსელში წამების წინააღმდეგ მოღვაწე 200-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს.

როდესაც ეს ორგანიზაციები ჰუმანიტარულ სივრცეში იჭრებიან, მათ საქმიანობას ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები შეიძლება ჰქონდეს. Amnesty International-მა 1979 წელს ხელი შეუწყო ბოკასას მთავრობის დამხობას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ამ რეჟიმზე შემადრწუნებელი ინფორმაციების გავრცელებით. აღნიშნულის საპირისპიროდ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მსოფლიოში ფართო დასწრების უზრუნველსაყოფად, თავს არიდებს იმგვარი პოზიციების დაკავებას, რომლებსაც მთავრობებთან დაპირისპირების გამოწვევა შეუძლია. თუმცა, ამგვარი თავშეკავება აღნიშნული კომიტეტის კრიტიკის მიზეზი გახდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ტრაგედიების მთავარ მოწმეს წარმოადგენდა. ეს იყო III რაიხის შემთხვევაში, და უფრო ახლახან, რეპრესიებისა ან ოკუპაციის სიტუაციებში, რაც ზიანს აყენებდა უნევის შეთანხმებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. მთავრობები უფრო მეტად იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰუმანიტარულ კატასტროფებთან გასამკლავებლად ან განვითარების პროექტების ასამოქმედებლად, ვიდრე სამთავრობოთშორისო ორგანიზაციების ჩარევას, რომელთა მექანიზმებსაც მოქნილობა აკლია, გაკონტროლება კი რთულია. 1976 წელს ევროპის თანამეგობრობამ გადაწყვიტა ოფიციალური ხასიათი მიეცა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თავისი კავშირებისთვის, ბიუჯეტის გათვალისწინებით განვითარებისა და ჰუმანიტარული საქმიანობის დასაფინანსებლად. თავდაპირველად მოკრძალებული ბიუჯეტი განუწყვეტლივ იზრდებოდა. დღემდე განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ორგანიზაციების არხებით ხორციელდება. მცირე და საშუალო მასშტაბის პროექტების ხელშეწყობა ზოგადად სოფლის მეურნეობის, განათლებისა და სახელმწიფო ჯანდაცვის სექტორებისკენაა მიმართული. 1990-იანი წლებიდან ეს ორგანიზაციები მასიურად მონაწილეობენ გაეროს მიერ ორგანიზებულ დიდ კონფერენციებში.

შესაფასებელია ასევე ის ფაქტი, თუ რამდენად უწყობს ხელს არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა და მუდმივი მობილიზაცია საერთაშორისო საჯარო სივრცის შექმნას, საერთაშორისო საზოგადოების ინტეგრაციაში მზარდი მონაწილეობით.

თავი VI

ნორმები და ინსტიტუტები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიამ ნორმატიული და ინსტიტუციური ცვლადები მოაქცია რეჟიმებთან, ინტეგრაციასთან, ჰეგემონიასა და მთავრობის გარეშე მმართველობასთან დაკავშირებული რეფლექსიების ჩარჩოში. კომპლექსურობის გამო, ამ თემების უმრავლესობა სხვადასხვა საყრდენს გვთავაზობს განმარტებითი მექანიზმების დასადგენად. შემდგომში ვნახავთ, რომ მრავალი მიმართულება, რომელთა შორისაა ფუნქციონალიზმი, სამთავრობოთშორისო ურთიერთობები, ნეორეალიზმი, ნეოინსტიტუციონალიზმი, კოგნიტივიზმი, გრამშიზმი და ტრანსნაციონალიზმი ამ მექანიზმების გათვალისწინებას ცდილობს ნორმებისა და ინსტიტუტების სახელმწიფო და ეკონომიკურ ცვლადებთან განსხვავებული გაერთიანებით.

1. ინტეგრაციის თეორია

ინტეგრაცია აღნიშნავს რეგიონულ პროცესს, რომლის მეშვეობით სახელმწიფოები ურთიერთდამოკიდებულებას აღიარებენ გარკვეულ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, ქმნიან ან უერთდებიან პოლიტიკურ მექანიზმებს, რომელთა მანდატი საერთო ქმედების წესების დადგენაა დასახულ სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, კოლექტიური ზეგავლენის მოხდენა საზღვრებს გარეთ. მოცემული სექტორების გაფართოება, სახელმწიფო კომპეტენციების გადაცემის მნიშვნელობა, ისევე როგორც ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, თანამეგობრობის ორგანოებისთვის მინიჭებული ძალაუფლება და ლეგიტიმურობა შემთხვევიდან შემთხვევამდე საგრძნობლად იცვლება და შეიძლება გაძლიერდეს ან დასუსტდეს იმ წარმატების მიხედვით, რომელსაც ეს პროცესი განიცდის.

რეგიონული ინტეგრაციის პროცესები ბოლო ოცი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა, თითქოს სახელმწიფოებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ ბაზრების ტრანსნაციონალიზაციის, ვაჭრობისა და საკომუნიკაციო ქსელების განვითარების საპასუხოდ, გარდა ახალი ეკონომიკური სივრცის შექმნაში მონაწილეობისა. ევროკავშირის გარდა (შემდგომში დავუბრუნდებით), აღნიშნულის საუკეთესო მაგალითია 1992 წელს ჩრდილო ამერიკული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების დადება აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის (ფრანგ. ALENA; ინგლ. NAFTA). თავის მხრივ, არგენტინამ, ბრაზილიამ, პარაგვაიმ და ურუგვაიმ MERCOSUR-ი შექმნეს (სამხრეთ კონუსის ქვეყნების საერთო ბაზარი). აზიაში მთავრობებს მეტი სირთულეები ჰქონდათ რეგიონული თანამშრომლობის რეჟიმების დასამკვიდრებლად ამ უზარმაზარი კონტინენტის პოლიტიკური და კულტურული სხვადასხვაობის გამო. 1967 წელს აშშ-ის ეგიდით (რომელიც ვიეტნამში ომს აწარმოებდა) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ინგლ. ASEAN; ფრანგ. ANASE) შეიქმნა, რომელიც შვიდ ქვეყანას აერთიანებს (ინდონეზია, მალაიზია, ტაილანდი, ფილიპინები, სინგაპური და ბრუნეი). 1987 წელს ეს ასოციაცია გაფართოვდა მასში კამბოჯის, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რეს-

პუბლიკის, მიანმისა და ვიეტნამის გაწევრიანებით და თანდათანობით ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამაში ჩაერთო. 1992 წელს ASEAN-ის უმაღლესი დონის შეხვედრაზე გადაწყდა თხუთმეტ წელიწადში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. ეს ასოციაცია დიპლომატიური კავშირების გაფართოებას ცდილობს ახალ სახელმწიფოებთან, მათ შორის ჩინეთსა და იაპონიასთან. 1989 წელს ავსტრალიის წინადადებით შეიქმნა APEC-ი (აზიის და წყნარი ოკეანის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით წყნარი ოკეანის სანაპირო ქვეყნებს შორის. მასში 18 ქვეყანაა გაწევრიანებული, მათ შორის ჩინეთიც; ის ასევე ცდილობს 2010 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას სამრეწველო ქვეყნებისთვის, ხოლო 2020 წელს სხვა წევრებისთვისაც. ეს ძირითადად ეკონომიკური ხასიათის რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაცია ევროკავშირის წინსვლის, ASEAN-ის შექმნისა და 1994 წელს ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების დასრულების პასუხად შეიძლება განვიხილოთ.

ინტეგრაციის მოძრაობა, როგორც სახითაც ის ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა, განსაკუთრებული ფენომენია. თავიდანვე, ეს მოძრაობა პოლიტიკური ორიენტაციით აღინიშნა, რომელმაც ზენაციონალური უფლებამოსილებების მქონე ინსტიტუტები შექმნა, საუკუნოვანი კონფრონტაციებისა და ომების დასრულების მიზნით. ამ პროცესმა გასაოცარი ინსტიტუციური ინოვაციები წარმოაჩინა, რაც სახელმწიფო სუვერენიტეტების ნაწილობრივი ერობით აღინიშნა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების გარკვეულ სექტორში. მართლაც, ევროკავშირი ყველა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან განსხვავდება თავისი საბოლოო მიზნების და საშუალებების მასშტაბით, რომელიც მას გააჩნია იმისათვის, რომ მისი ზენაციონალური ორგანოების გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით კი ევროკომისიისა და ევროსასამართლოსი, პირდაპირ გამოიყენებოდეს სახელმწიფოებში. 1986 წლის ერთიანმა ევროპულმა აქტმა, შემდეგ ევროკავშირის ხელშეკრულებამ, რომელიც 1993 წლის პირველ ნოემბერს შევიდა ძალაში, ევროსაბჭოსა და მინისტრთა საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღების საშუალება მისცა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროშიც კი. ამგვარად, ევროკავშირის თხუთმეტი წევრი-სახელმწიფო საკუთარი სუვერენიტეტის განხორციელების პირობების მოდიფიცირებას დათანხმდა. მათ ფართო ეკონომიკური სივრცე შექმნეს, რომელიც შესაძლებელს ხდის საქონელბრუნვის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალ მოძრაობას და საერთო საგარეო ტარიფს ადგენს. ამ ქვეყნებმა ევრო შემოიღეს, როგორც ვაჭრობის ინტენსიფიკაციისთვის (სავალუტო კურსის რისკის თავიდან ასაცილებლად), ისე საერთაშორისო ვალუტის განკარგვისთვის, რომლის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს სხვა ცენტრალური ბანკების უცხოური ვალუტისა და მონეტარული ოქროს აქტივებში. 1998 წელს სენტ მალოში საფრანგეთ-ბრიტანეთის უმაღლესი დონის შეხვედრის დროიდან, ეტაპობრივად შესაძლებელი გახდა კონსენსუსის მიღწევა ევროკავშირის სამხედრო ძალით უზრუნველყოფის საჭიროებასთან დაკავშირებით, რომელიც შეძლებს, ნატოს ჩაურთველობის შემთხვევაში, ავტონომიური ოპერაციების ჩატარებას, როგორც „საერთო თავდაცვის პირობაზე“, ისე „სტრუქტურირებულ თანამშრომლობაზე“ დაყრდნობით, სახელდობრ, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას შორის.

ინტეგრაციის ეს პროცესი პერიოდულად პოლიტიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ დაბრკოლებებს აწყდება. 2004 წლის პირველ მაისს ევროკავშირში ათი ახალი წევრის მიღებამ, რომელთაც 2007 წელს რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდა, კავშირის უმრავლეს ქვეყანაში თანდათანობითი დელოკალიზაციისა და შემცირებული სატარიფო განაკვეთების წინააღმდეგ კოლექტიური გარანტიების გაუარესების შიში გამოიწვია, იაფი მუშახელის შემოსვლით. ევროპის კონსტიტუციის პროექტის უარყოფამ ფრანგი და ნიდერლანდელი ამომრჩევლების მიერ 2005 წლის გაზაფხულზე, რომელსაც მოჰყვა ბრიტანელების მიერ რეფერენდუმის შეჩერების გადაწყვეტილება გვიჩვენა, რომ ევროპის ინტეგრაცია

მყიფე კონსტრუქციად რჩება. თუმცა, ფრანგებისა და ჰოლანდიელების „არა“ ორაზროვნად წარმოჩნდება, რადგან ის სოციალური, სეპარატისტული ან ქსენოფობიური პროტესტების აკუმულირებას ახდენს იმ პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, რომელსაც საკონსტიტუციო ხელშეკრულება ითვალისწინებს. მიუხედავად განსხვავებული მოტივაციებისა, ეს უარყოფა მასობრივ უთანხმოებას გამოხატავს, რომელიც მხოლოდ გაფართოებას არ ეხება. მრავალი მოქალაქე ამ უარყოფას ევროპულ მოდელსაც მიაკუთვნებს, რომელიც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის კანონის დომინირებაშია გამოხატული, სოციალური უფლებებისა და საჯარო სამსახურების საზიანოდ. ის ასევე თავად გართიანების ინსტიტუტების ლეგიტიმურობას ეხება ევროკომისიით დაწყებული, რომელიც მოწინააღმდეგეების აზრით, არაარჩევითი ტექნოკრატების მიერ მართული ევროპის სიმბოლოა. ეს უკანასკნელი ერთმანეთში ურევნ მოსახლეობის კოლექტიურ ინტერესებსა და კერძო ეკონომიკური აგენტების ინტერესებს, რომელთაც ქმედითი ლობი ჰყავთ ბრიუსელში. დაბოლოს, ეს უარყოფა ეხება ევროპის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას და მის მთავარ მისიას, რომელიც ფასების სტაბილურობის გარანტიაში მდგომარეობს და არა მწარმოებლური საქმიანობის მხარდაჭერაში, რასაც ის სისტემატურად მიჰყავს ძირითადი პროცენტული განაკვეთების აწევამდე ინფლაციის რისკის შემთხვევაში: ამ პოლიტიკას საყვედურობენ, – ეს უკანასკნელი ეფუძნება პოსტულატს, რომლის თანახმად, მხოლოდ მყარ ვალუტას შეუძლია ზრდის სტიმულირება – ფინანსური ინვესტიციების ხელშეწყობას და შედეგად, აქციონერთა მოთხოვნების პირველობას დაქირავებული მშრომელების მოთხოვნებზე, და სოციალური რედისტრიბუციის საბიუჯეტო პოლიტიკისთვის დაბრკოლების შექმნას. მთლიანობაში, ევროპის კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებული დებატები გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციის პროცესი ასევე ლეგიტიმურობის ფუნდამენტურ პრინციპს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის არსიცაა მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ სამართლიანად აღქმული წესრიგის განხორციელება.

როგორი კონცეფციები შემუშავდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ინტეგრაციის პოლიტიკების გასათვალისწინებლად? როგორ განმარტავენ ისინი პროცესს, რომლის მეშვეობითაც გაერთიანების ინსტიტუტები შეიქმნა ან შეიცვალა? რამდენად შეუძლიათ აღნიშნულ კონცეფციებს ურთიერთობის განმარტება ამ ინსტიტუტებსა და სახელმწიფო აქტორების ქცევასა და მათ შემადგენელ სოციალურ ჯგუფებს შორის? ევროპა ინტეგრაციის პროცესის შესწავლის უმთავრესი ადგილია. ამ პროცესის მოთავსება აზროვნების სამი დომინანტური სკოლის ფარგლებშია შესაძლებელი: ფუნქციონალიზმი, ნეოფუნქციონალიზმი და სამთავრობოთმორისო ურთიერთობები.

1. 1. ფუნქციონალიზმი

ფუნქციონალიზმიდან მომდინარეობს პირველი პერსპექტივა, რომელიც ინტეგრაციის პროცესის გაგებას და, ასევე, მის პირდაპირ ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ამ თეორიამ დიდი გავლენა იქონია სოციოლოგიაზე და ანთროპოლოგიაზე. ბიოლოგიით შთაგონებული, ის ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით, საზოგადოებები შეიძლება ცოცხალ ორგანიზმებს შევადაროთ, რადგან მათაც გარკვეული ფუნქციონალური მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ. ამ თვალსაზრისით, ინსტიტუტები, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ეფექტურობის მქონე ინსტიტუტები, იმ მექანიზმებადაა მიჩნეული, რომლებმაც სპეციფიკურ სოციალურ მოთხოვნებს უნდა უპასუხონ. თუკი ამ კონცეფციას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე გადავიტანთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე საზოგადოებებს გარკვეული რაოდენობის რთული ფუნქციები ჩამოუყალიბდათ, რომელთა დაკმაყოფილება მთავრობებს ავტარქიული ფორმით აღარ შეუძლიათ; საჭიროა სახელმწიფოთმორისო კოორდინაცია, რომელიც ამ მიზნისთვის ჩამოყალიბებული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოში უკეთ განხორციელდება. ბრიტანელმა პოლიტოლოგმა დევიდ მიტრანმა ინ-

ტეგრაციის პროცესები ამ ფუნქციონალურ მიდგომაზე დაყრდნობით შეისწავლა. 1943 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „*Working Peace System*“ („მშვიდობის მოქმედი სისტემა“), რომელსაც ერთა ლიგის (SDN) მარცხის მიზეზების ანალიზით იწყებს. აღნიშნულს იგი უკავშირებს ფორმალური წესების სისტემატიზირებისა და უნივერსალიზაციის მცდელობას, რომლებმაც წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთობები უნდა მართონ. ამ ზედმეტად იდეალისტურ სამართლებრივ-ინსტიტუციურ პროექტს დასახული შედეგების მიღწევის ნაკლები შანსი ჰქონდა. მიტრანის აზრით, მშვიდობის უზრუნველსაყოფად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საჭირო არაა ამბიციურ კონსტიტუციურ საფუძველზე შემუშავებული და ზენაციონალური უფლებამოსილებებით აღჭურვილი ინსტიტუტების ჩამოყალიბება. თავის მხრივ, იგი ანვიტარებს ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ საჭიროა ძალისხმევის მიმართვა ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის სფეროებზე, რომლებიც საყოველთაო კეთილდღეობაზეა ორიენტირებული და კითხვის ქვეშ არაა დაყენებული სახელმწიფო აქტორთა მიერ. ამ სფეროებში საერთაშორისო „ფუნქციონალური სააგენტოების“ შექმნას მათი უტილიტარული მიზანი გააიოლებდა: კონკრეტული ამოცანების განხორციელება, რომლებიც სახელმწიფოების საერთო საჭიროებებს პასუხობს. ამგვარად, სახელმწიფოები თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილს დათმობენ და სამთავრობოთშორისო ორგანიზაციების ქსელს გადასცემენ იმ ფუნქციებს, რომელთა საკუთარ თავზე აღება მარტოებს ამკარად აღარ შეუძლიათ. ამგვარი პრაგმატული მიდგომა ეტაპობრივად უფრო ფართო თანამშრომლობის პირობების შექმნას შეუწყობს ხელს. მართლაც, ანალოგიური საქმიანობის სხვადასხვა სააგენტოები (მაგალითად, ტრანსპორტი), რომლებიც მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მოთხოვნებით იქნება მართული მეტ-ნაკლებად ფართო საერთაშორისო დონეზე (რეგიონი, კონტინენტი, მსოფლიო), მათ უკეთეს კოორდინაციას შეუწყობს ხელს (რკინიგზა, გზები, ავიაცია და ნავიგაცია) და ეს თანამშრომლობა საქმიანობის სხვა ჯგუფებზეც გავრცელდებოდა (წარმოება, სახელდობრ, რკინის), რაც მზარდი საერთაშორისო დაგეგმარების საჭიროებას მოიცავს. ამგვარად, სპირალის ეფექტით, საზოგადოებები მზარდი ინტეგრაციისკენ წავლენ და მომსწრენი გავხდებით იმისა, თუ როგორ გადავა ნაციონალურ დონეზე მართული სისტემები გაერთიანებული მმართველობის ქვეშ. პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაცია ამ ტექნიკური საქმიანობების გაფართოებას გაჰყვება ისე, რომ აუცილებელი არ გახდება გაერთიანებაზე დომინირებული პოლიტიკური რეჟიმის შექმნა.

მიტრანის იდეებმა დიდი გავლენა იქონია გაეროს სისტემის განვითარებაზე; დიპლომატებისა და პოლიტიკოსების აზრით, რომლებმაც ამ სისტემის შექმნას შეუწყეს ხელი, საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება იდეოლოგიური უთანხმოებების პირობებშიც განვითარდეს და ამგვარი პერსპექტივა თავის ინსტიტუციურ გამოხატულებას ომის შემდგომი სპეციალიზებული ორგანიზაციების სწრაფ ზრდაში პოულობს. ამ იდეებმა განსაკუთრებით, ერთიანი ევროპის ფუძემდებლები შთააგონეს. რობერტ შუმანის 1950 წლის 9 მაისის ცნობილი დეკლარაცია საფრანგეთ-გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებას საერთო უმაღლესი მმართველობის ქვეშ დაყენებას გვთავაზობს, რაც ფუნქციონალური კონცეფციის გამოხატულებაა: „ევროპა ვერც ერთბაშად და ვერც ერთიან კონსტრუქციაში შეიქმნება; ის კონკრეტული ტრანსფორმაციებით აშენდება, პირველ ყოვლისა, ფაქტობრივი სოლიდარობის შექმნის შედეგად.“ ჟან მონეს ხედვა ევროპის მშენებლობასთან დაკავშირებით ანალოგიური სულისკვეთებისაა. მისი აზრით, ადმინისტრატორებს, მგეგმავებს, მრეწველებსა და სინდიკალისტებს პოლიტიკური ინტეგრაციის მოძრაობის საერთო პირობების შექმნა შეუძლიათ, როგორც კი ისინი საერთო პრობლემების გადაჭრის წინაშე დადგებიან. ამ პერსპექტივაში მართებულია პრაგმატულად ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა. ფაქტობრივად, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების (CECA) შექმნით, ევროპის მრეწველობის ამ წამყვანი სექტორის ზენაციონალური მართვა ინტეგრაციას იწვევს, რომელიც მისი წევრების ეკონომიკური ცხოვრების უდიდეს ნაწილს მოიცავს. CECA-ს

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მონე ევროპის თავდაცვის გაერთიანების (CED) შექმნაზე მუშაობს. თუმცა, ამ პროექტმა მარცხი განიცადა. აღნიშნულიდან შეიძლება დავასვნათ, რომ მონემ გვერდი აუარა ფუნქციონალური ლოგიკის ეტაპებს ან ეს ფუნდამენტურად ტექნოკრატიული მიდგომა იმ მიჯნას აწყდება, როდესაც საქმე დიდი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება.

CED-ის წარუმატებლობის მეორე ინტერპრეტაცია ფუნქციონალიზმის უფრო ზოგადი კრიტიკიდან მომდინარეობს. მართლაც, ამ უკანასკნელს დეპოლიტიზებული კონცეფციის ჩამოყალიბებას საყვედურობენ, რომელშიც გადაჭარბებული ყურადღება მრეწველობასა და ტექნოლოგიას ეთმობა. ამ თვალსაზრისით, მიტრანი როგორც ჩანს, სენ-სიმონის დოქტრინას იზიარებს, რომელიც მეცნიერებისა და მრეწველებისთვის ძალაუფლების დელეგირების რჩევას იძლეოდა: რამდენადაც მათი საქმიანობა წარმოების, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებზე ვრცელდება, ამ უკანასკნელებს უკეთ შეუძლიათ საზოგადოების მოწყობა „ყველაზე ხელსაყრელი ფორმით მისი უდიდესი ნაწილისთვის“. თუმცა, თუკი მართალია, რომ საბაზრო ეკონომიკის მქონე სამრეწველო ქვეყნებში საზოგადოებრივ მოწყობას, დიდი კრიზისიდან მოყოლებული, ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნებისადმი დაქვემდებარების ტენდენცია აქვს, ამ დინამიკას სრულიად არ შეუზღუდავს სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება. მიტრანის მოსაზრების საპირისპიროდ, ტექნოლოგიას არა აქვს საკუთარი „თვითგანსაზღვრის უნარი“. სწორედ პოლიტიკური ანიჭებს მას თვითგანსაზღვრის უფლებას ლეგიტიმაციის მოთხოვნების საპასუხოდ, რომლებიც ეფექტურობისა და წარმატების კრიტერიუმებთან სულ უფრო მეტადაა დაკავშირებული. სახელმწიფოებსაც ასევე შეუძლიათ ამ უფლების გაუქმება ან შეზღუდვა, თუკი ის მათ იურისდიქციებში მყოფი აქტიური სოციალური ჯგუფების ინტერესებს ნეგატიურად ეხება. მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში, შესახსენებელია აშკარა ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია არ წარმოადგენს სრულიად ავტონომიურ სისტემას, ის ნეიტრალური არაა და, პოტენციურად, კონფლიქტურ წარმოებით ურთიერთობებს მოიცავს.

1. 2. ნეოფუნქციონალიზმი

1950-იანი წლების დასასრულიდან მიტრანის იდეებმა ახალი აღმავლობა განიცადა ორი ნაშრომის გამოქვეყნებით ევროპული ინტეგრაციის პროცესის თაობაზე: ერნსტ ჰასის (1958 წ.) „ევროპის გაერთიანება“ („*The Uniting of Europe*“) (1958 წ.) და ლეონ ლინდბერგის „ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკური დინამიკა“ („*The Political Dynamics of European Economic Integration*“) (1963 წ.). ამ ავტორების ჰიპოთეზის თანახმად, ევროპის ინტეგრაციის მოძრაობა იმ დინამიკიდან მომდინარეობს, რომელიც ერთმანეთს ფუნქციურ და სოციალურ-პოლიტიკურ მსაზღვრელებს უზამებს. კლასიკური ფუნქციონალიზმის წმინდა ტექნოკრატიული ანალიზის უარყოფით, ისინი აქტორების როლს ინტეგრაციის პროცესში ინტერესთა ჯგუფებს, ნაციონალურ პოლიტიკურ პარტიებსა და მმართველ ელიტებს აკუთვნებენ. აღნიშნული ავტორები მიტრანის შეხედულებას იზიარებენ კუმულაციურ მოძრაობასთან დაკავშირებით, რომელსაც საერთო ამოცანების გადასაწყვეტად შექმნილი ფუნქციონალური ორგანოების შექმნა შეუძლია, მაგრამ მიიჩნევენ, რომ უფრო ზუსტადაა გასათვალისწინებელი მასში *spill-over*-ის (გვერდითი ეფექტი) კონცეფციის ჩართვა. ეს უკანასკნელი მათ სამი განსხვავებული დინამიკის გაგებაში ეხმარება (Tronholm-Mikkelsen, 1991 წ.). *ფუნქციონალური გვერდითი ეფექტი* მიტრანის მთავარ თეზისს იყენებს: საქმიანობის რომელიმე სექტორში თანამშრომლობას (მაგალითად, ქვანახშირი და ფოლადი) სხვა სექტორებში (ენერგეტიკა) ტექნიკური ჩართულობის ეფექტის გამოწვევა შეუძლია, რაც დამატებითი კომპეტენციების გადაცემის შესაძლებლობას იძლევა. *პოლიტიკური გვერდითი ეფექტი* მიზნად ისახავს ურთიერთობის კონცეპტუალიზაციას ნაციონალურ ელიტებსა და

თანამეგობრობის ინსტიტუტებს შორის. ის ეფუძნება თეორიულ მსჯელობას, რომლის თანახმად, ინტეგრაციის პროცესი ორგანიზაციულ ინტერპრეტაციას მოიცავს, რომელსაც ნაციონალური ელიტების ხშირ შეხვედრებამდე და შეხედულებების ურთიერთგაზიარებამდე მიყვავართ; ამით ისინი საერთო სქემებს, კატეგორიებსა და კოგნიტიურ მოდელებს ითვისებენ, რომლებიც მათ პრეფერენციებს კოლექტიური დონისკენ მიმართავს და განვითარებისთვის ხელსაყრელი პოზიციების მიღებამდე მიჰყავს. ამ დინამიკაში ლინდბერგი განსაკუთრებულ ყურადღებას სამთავრობო ელიტებს ანიჭებს, მაშინ როდესაც ჰაასი ხაზს უსვამს პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელების, მრეწველთა კავშირებისა და პროფკავშირების გადამწყვეტ როლს. დაბოლოს, გარკვეულ მდგომარეობაში შენარჩუნებული გვერდითი ეფექტი (*cultivated spill-over*) ითვალისწინებს თანამეგობრობის ინსტიტუტების გავლენას სახელმწიფო აქტორთა ქცევის სტრუქტურირებაზე. ამ კონცეფციის მიზანია იმის გაშუქება, თუ როგორ ზედმიწევნით ცდილობს ევროკომისია დაბრკოლებების შექმნას სახელმწიფოთა ქმედებებისთვის, რომელთა ამოცანა მაქსიმალურად საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაა. აღნიშნულის შედეგი შეიძლება ნაკლებად ხელსაყრელი აღმოჩნდეს ინტეგრაციის პროცესების განვითარებისთვის. საშუამავლო ფუნქციის შესრულებით, ევროკომისია ცდილობს უკიდურესი პოზიციების შეთანხმებას ყველაზე მცირე საერთო მნიშვნელის მიღმა თუკი არ არსებობს ინსტიტუციური რეგულირება, რომელიც გარკვეული კოლექტიური მიზნების განხორციელებას შეძლებს.

ამგვარად, ნეოფუნქციონალისტები ცდილობენ პირველი კვლევების კორექციას აპოლიტიკურ განზომილებასთან მიმართებაში. ისინი განასხვავებენ შედარებით ნაკლებად პოლიტიზირებულ სფეროებს, – რომლებიც საბაჟო ბარიერების შესუსტებასა და საერთო ბაზრისთვის საჭირო პირობების ჰარმონიზაციას იწვევენ – და „დიდი პოლიტიკიდან“ მომდინარე საკითხებს შორის. ამავე დროს, ისინი, ზოგადად, მიტრანის ოპტიმიზმს იზიარებენ პროცესში ჩართვის შედეგებთან დაკავშირებით. ნეოფუნქციონალისტებს შეიძლება შევეკამათოთ იმის თაობაზე, რომ ერთია ტექნიკური პასუხების შემოთავაზება გარკვეულ პრობლემებზე, რომელთაც ინტერესთა უმნიშვნელო კონფლიქტი აქვთ, მეორეა, როდესაც ლაპარაკია საერთო აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების შემცირებაზე, თანხვედრი სამრეწველო პროგრამებისა და სოციალური პროექტების განსაზღვრაზე ან საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაციაზე. რა თქმა უნდა, „ექსპერტების“ აზრსა და საქმიანი წრეების აქტიურობას ხშირად დიდი გავლენა ჰქონდა ინტეგრაციის მოძრაობაზე, სახელდობრ, პირველი ევროპული ინსტიტუტებისა, უფრო მოგვიანებით კი მონეტარული კავშირის ჩამოყალიბების დროს. თუმცა, პოლიტიკური მსაზღვრელები ყოველთვის ახდენდნენ გავლენას ევროპულ ინტეგრაციაზე, როგორც კი ეს უკანასკნელი კითხვის ქვეშ აყენებს სახელმწიფო სუვერენიტეტთან დაკავშირებულ მგრძნობიარე სფეროებს. ევროპულ ინტეგრაციას მრავალჯერ შეუქმნა დაბრკოლება პოლიტიკურმა ინიციატივებმა. გენერალმა დე გოლმა 1958 წელს ხელისუფლებაში დაბრუნებისას, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, მარგარეტ ტეტჩერმა 1980-იან წლებში, მნიშვნელოვნად შეაფერხეს ფედერალისტური ორიენტაცია, რომელიც რომის ხელშეკრულებას უდევს საფუძვლად. ევროკომისიის ფუნქციონერთა და ხელმძღვანელთა მიერ მხარდაჭერილი ტექნოკრატიული დინამიკა შენეულდა მთავრობებს შორის არსებული უთანხმოებების გამო ევროპის მშენებლობის ორიენტაციებთან დაკავშირებით. ამ დინამიკის საზღვრები უფრო აშკარად წარმოჩნდა ევროპის კონსტიტუციის პროექტის უარყოფაში ფრანგებისა და ჰოლანდიელების მიერ. ეს უარყოფა არ აღნიშნავს მხოლოდ ღრმა განხეთქილებას ბრიუსელში ჩამოყალიბებულ ფუნქციონალურ მოთხოვნებსა და მოქალაქეთა მოლოდინებს შორის; ის გვიჩვენებს, რომ ხალხს როგორც კი მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა დამფუძნებელი ხელისუფლების განხორციელებაში, შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს ტექნოკრატიული ხელისუფლების ლეგიტიმურობის მსაჯულის როლი, რომლის წინაშე ის არც მორჩილია და არც უძლური.

1. 3. სამთავრობოთშორისო ურთიერთობების თეორიის ინტერპრეტაცია

1980-იან წლებში ნათლად წარმოჩნდა, რომ ინტეგრაციის პროცესი, რამდენადაც ის „დიდი პოლიტიკიდან“ მომდინარე მიზნებს ეხება, მზარდ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს აწყდება. ამგვარი ევოლუცია მკვლევართა ყურადღებას იწვევს, რომელთა აზროვნება რეალისტურ მიმართულებაში ჯდება. ამ უკანასკნელთა აზრით, ევროპის მშენებლობა მომდინარეობს არა ევროკომისიისა და ადმინისტრაციული და ეკონომიკური ელიტების მიერ წამოყენებული ფუნქციონალური მოთხოვნებიდან, არამედ სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების მიერ დამქანცველი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული კომპრომისიდან. ერთიანი ევროპული აქტის მიღება, ევროს შემოღება, საერთო თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება რთული პროცესია, რადგან ამ სფეროებში ინტერესთა მნიშვნელოვანი კონფლიქტებია გადაკვეთილი. ენდრიუ მორავჩიკის აზრით, მთავრობებს არ შეუწყვეტიათ ინტეგრაციის პროცესის კონტროლი (Robert O. Keohane, S. Hoffmann, „*The New European Community*“, 1991.). იგი ემხრობა იდეას, რომლის თანახმად, ერთიანი ევროპული აქტი მომდინარეობს არა ფუნქციონალური „რთული გარემოებების დამთხვევიდან“, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი აქტიური ზეწოლის ჯგუფების ეკონომიკური გავლენის შედეგს წარმოადგენს თავიანთი იურისდიქციების შიგნით. ამგვარად, საფრანგეთის მიერ წამოყენებული წინადადების მიზანს წარმოადგენდა კონსენსუსზე დამყარებული გადაწყვეტილების უარყოფა კვალიფიციური უმრავლესობის სასარგებლოდ თანამეგობრობისთვის წინააღმდეგობის შექმნის თავიდან ასაცილებლად და საქონლისა და მომსახურების თავისუფალი ცირკულაციის განსახორციელებლად. მიუხედავად ყოყმანისა ზენაციონალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ბრიტანეთის მთავრობა დათანხმდა ამ წინადადების მიღებას. სამაგიეროდ, საფრანგეთმა და გერმანიამ მხარი დაუჭირეს თანამეგობრობის ბიუჯეტის შემცირებას. მორავჩიკმა საკუთარი იდეების სისტემატიზაცია მოახდინა 1999 წელს გამოქვეყნებულ ამბიციურ ნაშრომში „*The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht*“ („ევროპის არჩევანი: სოციალური მიზანი და სახელმწიფო ხელისუფლება მესინაიდან მაასტრიხტამდე“). იგი ინტეგრაციის პროცესს კონცეპტუალურ ჩარჩოში განიხილავს, რომელიც სამ განმსაზღვრელ ფაქტორს აერთიანებს: ეკონომიკური ინტერესების დაცვა; წამყვანი სახელმწიფოების ძალის პოზიცია მოლაპარაკებებში, კერძოდ, საფრანგეთის, გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოსი; და ამ უკანასკნელთა ევროპულ ინსტიტუციურ შეთანხმებებთან მიმხრობა სტრატეგიულ მიზეზთა გამო, რომლებიც ძირითადად, სხვა წევრთა მიერ მიღებული ვალდებულებების კონსოლიდირებაში მდგომარეობს. პირველი გადამწყვეტი ფაქტორი ფუნქციონალიზმის პოსტულატს კითხვის ქვეშ აყენებს. ამ უკანასკნელის თანახმად, სახელმწიფოები არაპოლიტიკური ხასიათის გარკვეულ საერთო ამოცანებს აწყდებიან, რომელთა ოპტიმალური მართვა მხოლოდ ზენაციონალური ორგანოებისთვის მარეგულირებელი კომპეტენციების გადაცემითაა შესაძლებელი. მორავჩიკის აზრით, ევროპის მშენებლობა უფრო მეტად მომდინარეობს მთავრობათა ნებიდან დაიცვან ეკონომიკური ჯგუფების დარგობრივი ინტერესები. ეს ჯგუფები საკმარისად ძლიერნი არიან საკუთარი მოგებისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მეორე განმსაზღვრელი ფაქტორი ცდილობს გააბათილოს ნეოფუნქციონალისტების მიერ თანამეგობრობის ორგანოებისთვის მინიჭებული მნიშვნელობა წევრი-ქვეყნების ქმედებების სტრუქტურირებაში. მისი აზრით, ინტეგრაციის პროცესი, ძირითადად პოლიტიკური ვაჭრობიდან მომდინარეობს, რომელიც შეთანხმებებს უთმობს ადგილს და, უმრავლეს შემთხვევაში, ყველაზე დაბალი საერთო მნიშვნელის საფუძველზე ხორციელდება. დაბოლოს, მესამე განმსაზღვრელი ფაქტორი უარყოფს თეზისს, რომლის თანახმად, ფედერაციული მოწყობა მარეგულირებელი ეფექტურობის მოთხოვნას პასუხობს. ის უფრო მეტად სახელმწიფოთა მხრიდან იმ მექანიზმებში მონაწილეობით მი-

ღებულის სარგებელიდან მომდინარეობს, რომელიც მათ გაურკვევლობას ამცირებს სხვების ქცევასთან მიმართებაში.

მორავჩიკი ამ მიდგომას „ლიბერალური სამთავრობოთშორისო ურთიერთობების თეორიის“ სახელწოდებას აძლევს და ცდილობს გვიჩვენოს, რომ ინტეგრაცია სახელმწიფო მმართველთა მიერ განხორციელებული რაციონალური არჩევანიდან მომდინარეობს, ძირითადად, მსხვილი ნაციონალური მწარმოებლების კომერციული ინტერესების და დამატებით, ხელისუფლებაში მყოფი კოალიციების მიერ განსაზღვრული მაკროეკონომიკური პრეფერენციების მხარდასაჭერად. თუკი მთავრობები ემორჩილებიან ევროპული მოლაპარაკებების შეზღუდვებს და მათგან მომდინარე შედეგებს, რომლებიც ინტეგრაციის პროცესს განაპირობებენ, ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი აღნიშნულიდან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს იღებენ. საბოლოო ჯამში, ინტეგრაცია შეიძლება პოლიტიკური არჩევანის გამოხატულებად აღვიქვად, რომლის მიზანია სპეციფიკური ნაციონალური ინტერესების დაცვა ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში.

2. რეჟიმების თეორია

საერთაშორისო ურთიერთობების ნორმატიულ და ინსტიტუციურ ასპექტებთან დაკავშირებით, ანგლო-საქსურ სამყაროში „რეჟიმის“ კონცეფციის საფუძველზე ფართო მსჯელობა გაიმართა, რასაც მნიშვნელოვანი ლიტერატურის გავრცელება მოჰყვა, სახელდობრ, ჟურნალ „International Organization“-ით. ძალზე მნიშვნელოვან კოლექტიურ ნაშრომში, სტეფენ კრესნერი საერთაშორისო რეჟიმებს განსაზღვრავს, როგორც „პრინციპების, ნორმების, გადაწყვეტილების მიღების წესებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლის გარშემოც ხდება აქტორთა მოლოდინების თანხვედრა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკურ სფეროში“ (1983 წ., გვ. 2). ამ კონცეფციაში პრინციპები და ნორმები რეჟიმის მყარ ბირთვს ქმნიან, რომელთა ევოლუცია არ ხდება რეჟიმის ძირეული ცვლილების გარეშე, მაშინ როდესაც წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები დამატებითი ელემენტებია, რომლებშიც შესაძლებელია ცვლილებების შეტანა სტრუქტურის მთლიანობისთვის ზიანის მიუყენებლად.

კრესნერის დეფინიცია მნიშვნელოვან წარმატებას თავის ზოგად ხასიათს უნდა უმაღლოდეს, რომელიც ყოველგვარი აქსიომატიკისგან აბსტრაგირებას ემყარება იმ პროცესებთან მიმართებაში, რომელთა მეშვეობითაც რეჟიმები ყალიბდებიან და აქტორების ქცევაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. რატომ და როგორ მიდიან აქტორები თანხვედრამდე მსგავსი სტრუქტურების გარშემო? და ამ თანხვედრის მიღწევისას რა ტიპის ურთიერთობა მყარდება სტრუქტურასა და აქტორებს შორის? ეს დეფინიცია მრავალ კითხვას პასუხის გარეშე ტოვებს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები მათ განმარტებას განსხვავებულ კონცეპტუალურ ჩარჩოებზე დაყრდნობით ცდილობენ. გასაკვირი არაა, რომ ობიექტის შემქნელი თვალსაზრისი ფენომენს სხვადასხვა შეფერილობას აძლევს. შესაძლებელია სამი ძირითადი მიმდინარეობის განსხვავება: ნეორეალიზმი, ნეონსტიტუციონალიზმი და კოგნიტივიზმი ან კონსტრუქტივიზმი (Hasenclaver et al., 1996 2000; Chavagneux, 2004).

ნეორეალისტების აზრით, რომელთა შორის გილპინი ფიგურირებს, რეჟიმები უნდა ჩამოყალიბდეს და შენარჩუნდეს იმ აქტორთა მიერ, რომელთაც საკმარისი სამხედრო ძალაუფლება და მატერიალური შესაძლებლობები გააჩნიათ მსოფლიოში, სადაც რესურსები არათანაბრადაა გადანაწილებული. როგორც წინა თავში ავლნიშნეთ, ნეორეალისტების მიერ ისტორიის განხილვას ისინი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ეს დამფუძნებელი და მარეგულირებელი ფუნქცია ორ საუკუნეზე მეტხანს ჰეგემონი სახელმწიფოს მიერ ხორციელდებო-

და. თავდაპირველად, ეს იყო დიდი ბრიტანეთი, შემდეგ კი აშშ. რეჟიმების ნეორეალისტური ანალიზი ძირითადად, მეორე მსოფლიო ომიდან საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზეა მიმართული. ის ეყრდნობა კარლ კინდლბერგერის ნოვატორულ ნაშრომებს (1973 წ.), რომლებშიც ავტორი იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ მსოფლიო ეკონომიკური სტაბილურობა პირველ ყოვლისა, ერთი ძლიერი სახელმწიფოს აქტიურობაზეა დამოკიდებული, რომელსაც შეუძლია „საერთაშორისო კოლექტიური კეთილდღეობის“ წესების თავს მოხვევა. ძირითადად, საქმე ეხება სტაბილურ მონეტარულ წესრიგს, ღია სავაჭრო სისტემასა და ბოლო ინსტანციის საერთაშორისო მსესხებელს. ამ რეჟიმების შენარჩუნების ფასის საკუთარ თავზე აღებით, ჰეგემონი საშუალო სიძლიერის სახელმწიფოებს მასთან გაერთიანებასა და ქცევის საწინააღმდეგო გზის მიუღებლობას აიძულებს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მას ასევე ურჩების წინააღმდეგ იძულებითი ზომების გამოყენება შეუძლია. ამ თვალსაზრისით, 1929 წლის საბირჟო კრახის შემდგომი დეპრესია ძირითადად მომდინარეობს, როგორც დიდი ბრიტანეთის უუნარობიდან, ისე აშშ-ის ყოყმანიდან ამ ფუნქციების საკუთარ თავზე აღების თაობაზე. გილპინი (1987 წ.) ამ რეჟიმებს იმეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდთან მიმართებაში აგრძელებს. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობს აშშ, რომელიც ამიერიდან დიდი ბრიტანეთის ადგილს იკავებს, ახალი საერთაშორისო წესრიგის დამყარებას. მარშალის გეგმის, ატლანტიკური ალიანსისა და აშშ-ის მიერ სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებების მართვის გარეშე, კაპიტალისტური სისტემის დინამიკა შეჩერდებოდა. იმ საქმიანობის მხარდაჭერით, რომელსაც „საერთაშორისო კოლექტიური კეთილდღეობის“ მიღწევა შეუძლია, ამ მიზნისთვის ისეთი რეჟიმების ჩამოყალიბებით, რომლებიც საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით სარგებლობენ – ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATT), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ფრანგ. FMI; ინგლ. IMF) და მსოფლიო ბანკი, – ამერიკის მთავრობამ შექმნა წესრიგის საფუძველი, რომელიც შედარებით სტაბილური დარჩა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.

ნეორეალისტების აზრით, რეჟიმები ანარქიის წესიდან ბევრ გამონაკლისს, ან ყოველ შემთხვევაში, ზღვრულ შემთხვევებს წარმოადგენენ. მართლაც, ანარქია ეფუძნება პოსტულატს, რომელიც რუსომ შესანიშნავად შეაჯამა თავის ნაშრომში „მსჯელობა მუდმივი მშვიდობის პროექტზე“: საერთო სარგებლისკენ სწრაფვა დიდი ხნით ვერ გაგრძელდება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რომელშიც „თავისი შედარებითი ძლიერების გასაზრდელად (თითოეულმა სახელმწიფომ) მხოლოდ *ექსკლუზიური* სარგებელი უნდა ეძებოს“ (1964 წ., გვ. 594). ამავე დროს, რეჟიმების ჩამოყალიბების დამახასიათებელი გარემოებები სხვაგვარად წარმოჩნდება: ჰეგემონი აქტორი ფიქრობს, რომ თავისი ძლიერების გაზრდას ან შენარჩუნებას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით იმგვარი მოქმედების წესების ჩამოყალიბებით მიაღწევს, საიდანაც ეს უკანასკნელნიც შეძლებენ სარგებლის მიღებას. თუმცა, რეჟიმის არსებობის გასაგრძელებლად მნიშვნელოვანია როგორც ერთი, ისე სხვა სახელმწიფოების სარგებლის დაბალანსება, იმგვარად, რომ ჰეგემონმა სახელმწიფომ და ასევე საშუალო სიძლიერის სახელმწიფოებმა თავიანთი შედარებითი ძლიერების ეროზია არ განიცადონ. სწორედ ამიტომაც, ნეორეალისტები უფრო მეტად ინტერესდებიან რეჟიმების დაცემით ან დაცემის რისკებით, ვიდრე მათი აღზევებით.

ნეონსტიტუციურ პერსპექტივაში, რომელსაც სახელდობრ, კეოჰანი უჭერს მხარს (1984 წ.), რეჟიმების ჩამოყალიბება და მათში მონაწილეობა სტრატეგიული გამოთვლიდან მომდინარეობს, რომელსაც სახელმწიფო აქტორები ანხორციელებენ არა შედარებითი, არამედ აბსოლუტური მოგების ძიების საფუძველზე. თამაშის წესების განსაზღვრითა და ლეგიტიმური მოქმედებების საზღვრების გამიჯვრით სპეციფიკური საქმიანობების სფეროებში, რეჟიმები სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის სტაბილიზებას ახდენენ. ისინი სახელმწიფოთშორის ურთიერთობებს, გარკვეულწილად, რეგულარულ ხასიათს ანიჭებენ და, ამ-

გვარად, ამცირებენ გაურკვევლობისა და უსაფრთხოების არქონის თავიანთ წილს. ისინი ასევე ხელს უწყობენ ინფორმაციის შექმნასა და ცირკულაციას, რაც რაციონალური არჩევანის გაკეთებას აიოლებს და სახელმწიფოებს თავიანთი პოზიციების წინასწარი განჭვრეტის საშუალებას აძლევს. რეჟიმები გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს მოიცავენ, რაც კომპრომისის მონახვას აიოლებს და ამგვარად, მოლაპარაკებაში მონაწილეთა მიერ გაღებული მსხვერპლის ფასს ამცირებენ. საბოლოო ჯამში, რეჟიმები ხელს უწყობენ „პატიმრის დილემით“ ან „საერთო სიკეთის ტრაგედიით“ შემოყვანილი კოლექტიური ქმედების არასასურველი შედეგების შემცირებას (Harding, 1968), ე. ი. იმ სიტუაციებისა, რომლებშიც სახელმწიფოები საკუთარი პრეფერენციების მაქსიმალურად დაკმაყოფილების ძიებაში ნაკლებად ოპტიმალურ შედეგს ქმნიან თითოეული მათგანისთვის. რამდენადაც თანამშრომლობის ნორმატიული და ინსტიტუციური მექანიზმები ასეთ სარგებელს ქმნიან, რომელიც ამ პერსპექტივაში „აბსოლუტურ მოგებადაა“ აღქმული, სახელმწიფოები დაინტერესებულნი არიან მათთან გაერთიანებით. ამიტომაც, კეოჰანი, გილპინის საპირისპიროდ, მხარს უჭერს მოსაზრებას, რომლის თანახმად, რეჟიმებს საკუთარი თავის შენარჩუნება ჰეგემონი სახელმწიფოს გარეშეც შეუძლიათ. თანამშრომლობა სახელმწიფოების მიერ განხორციელებული არა უანგარო არჩევანია, უთანხმოების პოტენციურად უფრო ძვირად ღირებული ალტერნატივის პირისპირ.

კოგნიტივისტური ან კონსტრუქტივისტული მიმდინარეობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში უმცირესობაშია, რეჟიმებს უკავშირებს არა მხოლოდ პრინციპებს, ნორმებს, წესებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, არამედ, უფრო ზოგადად, სიმბოლურ სისტემებს, კოგნიტიურ სქემებსა და აფექტურ პოზიციებს, რომლებიც სტაბილური ქმედების მოდელის შექმნას უწყობს ხელს. ამ კონცეფციაში ურთიერთობა სახელმწიფოებსა და რეჟიმებს შორის ინტერაქციულია. თუკი ნორმატიული და ინსტიტუციური მექანიზმები სახელმწიფოების მიერაა წარმოდგენილი და ჩამოყალიბებული, სამაგიეროდ ეს მექანიზმები ამ უკანასკნელებზე ახდენენ გავლენას ქცევის სოციალურად მისადაგებული ფორმების განსაზღვრით, საერთო კოგნიტიური სქემების უზრუნველყოფით და თავიანთი ლეგიტიმურობის გაწერილი პრინციპებისა და ნორმების დაცვაზე დამოკიდებულებით. ამ პერსპექტივაში, ძალის მახასიათებლები და უტილიტარული გამოთვლები რეჟიმების ეფექტურობაში ნაკლებად მნიშვნელოვანი მსაზღვრელებია, ვიდრე კულტურული ფაქტორები, კერძოდ, მსოფლიოს წარმოდგენის ერთგვაროვანი სისტემები, რომლებიც გავრცელებულია ამ მექანიზმებითა და მათ მიერ სტიმულირებული სოციალიზაციის პროცესებით (Onuf, 1992).

მიუხედავად ამ სამი აზროვნების მიმდინარეობის მიერ შემოთავაზებული ანალიზის მეთოდების განსხვავებისა, ისინი თანხმდებიან თავად რეჟიმის ცნებისთვის ევრისტიკული მნიშვნელობის მინიჭებაზე. ნებისმიერი ცნების მახასიათებელია რეფლექსიის გამოწვევა საერთო წარმოდგენით: ის მაშინვე შეესაბამება არა ობიექტს, არამედ ზოგად იდეას ობიექტის შესახებ, რომელიც განვრცობას საჭიროებს. მაგალითად, კაცის ცნებაში ბევრი რამის შეტანაა შესაძლებელი (ინდივიდი, მამრობითი სქესი, კაცობრიობა), მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილი ალუბალი ვერ იქნება. ამგვარად, ცნება აბსტრაქციაა იმ მნიშვნელობით, რომ რეალობის გარკვეულ ელემენტებს გამოყოფს, მაგრამ მისგან სხვა ელემენტებს უცილობლად გამორიცხავს. ამიტომაც, შეიძლება ვიმსჯელოთ ცნების ორმაგ შესაბამისობაზე. იძლევა თუ არა ცნება მისი დამახასიათებელი ელემენტების აშკარად ამოცნობის შესაძლებლობას? და წარმოჩნდება თუ არა ადეკვატურად მის მიერ რეალობის სხვა ელემენტების გამორიცხვა?

პირველ შეკითხვაზე, ზოგიერთი ავტორი, მათ შორის სიუზენ სტრეინჯი, ძირითადად ნეგატიურად პასუხობს. ისინი რეჟიმის ცნებას ზედმეტად დიდ უზუსტობას საყვედურობენ. როგორც კი ცნებაში შესაძლო შესვლის ელემენტები ნათლად არაა განსაზღვრული, ის სხვადასხვა მნიშვნელობის აღრევის შესაძლებლობას იძლევა. იმის გათვალისწინებით, რომ

საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ჩამოყალიბებული პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები მრავალრიცხოვანია და ისინი განსხვავდებიან არსით, მნიშვნელობითა და უწყვეტობით, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა ყველა მათგანის ერთი და იგივე ტერმინისადმი მიკუთვნება. ხომ არ არსებობს ამ უკანსკნელის ზედმეტად გადატვირთვის რისკი, რის გამოც ის შეიძლება ბუნდოვანი გახდეს? ამგვარად, მართებულია თუ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმებების რეჟიმის სახელწოდებით დაჯგუფება, რომელთა გავლენა სამხრეთის ქვეყნებზე ცნობილია, და შეთანხმებებისა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, რომელთა დაცვა შემთხვევითი ან შეზღუდულია სპეციფიკური გეოპოლიტიკური სივრცეებისთვის? როგორ უნდა განვასხვაოთ ძლიერი და შემზღუდველი მექანიზმები იმათგან, რომლებიც დიდ სიმყიფესა და არაეფექტურობას ავლენენ? ეს პრობლემები ასევე თავს იჩენს იმ მექანიზმებთან მიმართებაში, რომლებიც საქმიანობის მსგავს სფეროს განეკუთვნება. ამგვარად, არსებობს გარემოს დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების დიდი რაოდენობა, მაგრამ მათი ობიექტი, ეფექტურობა და შედეგები მთლიანად იცვლება. ხმელთაშუა ზღვაში ვეშაპისნაირების შენარჩუნების რეჟიმზე ისეთივე საუბარი, როგორც კლიმატური ცვლილებების საერთაშორისო რეჟიმზე, ემსგავსება პატარა კომუნის პოლიტიკის სახელმწიფოს პოლიტიკასთან გათანაბრებას. რამდენადაც რეჟიმის ზოგადი ცნება, თავისი მახასიათებლებით, სრულიად არ განსხვავდება „შეთანხმების“ ცნებისგან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის, მისი ევრისტიკული მნიშვნელობა საეჭვო დარჩება. ამ სტადიაზე, რეჟიმის ცნება არასრულყოფილად წარმოჩნდება, რამდენადაც მას აკლია სპეციფიკური კრიტერიუმები თანამშრომლობის მექანიზმების მასშტაბთან და ეფექტურობასთან მიმართებაში, რომელთაც სრული უფლებით შეუძლიათ მისი გამოყენების სფეროში შესვლა.

მიუხედავად მისი ზოგადი ხასიათისა, რეჟიმის ცნება რეალობის გარკვეულ ელემენტებს არ გამორიცხავს, რეალური თუ ლატენტური კონფლიქტებიდან დაწყებული. რეჟიმების თეორეტიკოსები იმ ფაქტის პოსტულირებით, რომ მათი კვლევის ობიექტი აუცილებელ და საჭირო ფუნქციებს ასრულებს, ამ ობიექტს ერთბაშად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამგვარად, ნეორეალისტები და ნეონსტიტუციონალისტები ანალოგიურ ვარაუდს იზიარებენ, რომლის თანახმად, სახელმწიფო აქტორები თანამშრომლობის მექანიზმებს ქმნიან ან მათ უერთდებიან, უბრალოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთა საბალოო მიზანია „საერთაშორისო კოლექტიური სიკეთის“ შექმნა ან, ყოველ შემთხვევაში, კოლექტიური ქმედების ნეგატიური შედეგების შემცირება. რეჟიმების თეორეტიკოსები სრულიად უგულვებელყოფენ იმ ფაქტს, თუ რამდენად შეიძლება დაზარალებულ გარკვეული ინტერესები არა მხოლოდ საერთაშორისო რეჟიმებში მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთქმედებებში, არამედ თავად ამ სახელმწიფოთა იურისდიქციებში. აღნიშნული მომდინარეობს ორი *a priori* წინააღმდეგობრივი ვარაუდიდან, რომელსაც ეს თეორეტიკოსები იმპლიციტურად ეთანხმებიან, – კოგნიტივისტებიც კი, თუმცა უფრო ნაკლები მასშტაბით. პირველი ანალიტიკური ვარაუდი, მდგომარეობს სახელმწიფოს ნეიტრალურ აგენტთან გაიგივებაში, რომელიც დავას უკეთ წყვეტს სოციალური ჯგუფების ინტერესებსა და კონკურენტულ პოლიტიკებს შორის. მეორე ნორმატიული ვარაუდი, ეფუძნება ტენდენციას, რომელიც უპირატესობას წესრიგის კრიტერიუმებს ანიჭებს, სამართლიანობის კრიტერიუმებთან მიმართებაში. ორივე ვარაუდი აშკარად სახეზეა კინდლებერგერის მიერ შემუშავებულ „კეთილგანწყობილი ლიდერშიპის“ კონცეფციაში, ისევე როგორც კეოჰანის მიერ წარმოდგენილ რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმში.

ამავე დროს, შეთანხმებები შეიძლება ერთი ქვეყნის მმართველმა ელიტებმა დადონ მოსახლეობის უმრავლესობის საზიანოდ. როგორც შემდგომში ვნახავთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურული რეგულირების გეგმები, – რომელთა მიზანია „დაზარალებული“ სახელმწიფოს საგარეო ანგარიშების გამოსწორება ექსპორტის სტიმულირე-

ბის პოლიტიკის, კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციის, საჯარო ხარჯების შემცირებისა და მოხმარებაზე გადასახადების გაზრდის საშუალებით – საბოლოო ჯამში, მხარს უჭერენ ნაციონალური ეკონომიკის ზოგიერთ სექტორს სახელდობრ, ბანკებსა და მსხვილ ექსპორტიორებს, მაგრამ ნეგატიური გავლენა აქვთ შეჭირვებულ სოციალურ ფენებზე: მართლაც, ეს უკანასკნელნი პირველ რიგში, და ყველაზე მძიმედ, ზარალდებიან ხელფასებისა და სოციალური ტრანსფერების შემცირებით ან არაპირდაპირი გადასახადების გაზრდით, რომელსაც, უმრავლეს შემთხვევაში, ეს გეგმები მოიცავს. ასევე, მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი, მაგალითად, ევროკავშირის მთავრობებისგან მოითხოვს თავიანთი საბიუჯეტო დეფიციტის გაკონტროლებასა და ფასების სტაბილიზებას ვალუტის გამყარების მოტივით, რომელიც „ნდობის“ წყაროა. ეს რეჟიმი ხელს უწყობს ფინანსურ დაბანდვებს; თუმცა, აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობის შენელებისა და უმუშევრობის გაზრდის რისკს შეიცავს, ხან იმიტომ, რომ სესხის ფასი ძალზე მაღალია საწარმოებისთვის, ხან კი იმიტომ, რომ ძლიერ პოზიციამი მდგომი აქციონერები, რომლებზეც იმედს ამყარებენ პროდუქციის დიდი ნაწილის დასაფინანსებლად, ხელფასების შემცირებას მოითხოვენ, რაც საბოლოო ჯამში, მოხმარების დონესა და, ამგვარად, საქმიანობას შეიძლება შეეხოს. არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ფრანგ. OMC; ინგლ. WTO) ეგიდით წარმოებული ვაჭრობის ლიბერალიზაცია დღევანდლამდე „საერთაშორისო კოლექტიურ სიკეთეს“ წარმოადგენდა. სამხრეთის ქვეყნების ისეთი სექტორები, როგორცაა სოფლის მეურნეობა და საფეიქრო მრეწველობა, რომლებსაც ბაზრებზე შედწევის უფრო ფართო შესაძლებლობა აქვთ, დღესაც აწყდებიან იმ მექანიზმების არსებობას, რომლებიც სამრეწველო ქვეყნებს დაცვის ზომების მიღების შესაძლებლობას აძლევს. სამაგიეროდ, საქმე სხვაგვარადაა იმ სფეროებში, რომლებიც ამ უკანასკნელთათვის სარგებლის მომტანია, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. ამგვარად, არც სახელმწიფოები და არც მათი შემადგენელი სოციალური ჯგუფები, ერთნაირად არ სარგებლობენ საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი საქმიანობის სფეროებს მართავენ. რეჟიმების თეორეტიკოსები, იმ ავტორების მსგავსად, რომლებიც ტრანსნაციონალურ ქსელებს ანიჭებენ მნიშვნელობას, სრულიად არ ითვალისწინებენ ამ რეალურ თუ ლატენტურ კონფლიქტებს და კიდევ უფრო ნაკლებად იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო აპარატები შეიძლება გააკონტროლონ უმცირესობაში მყოფმა სოციალურმა ჯგუფებმა, რომელთაც თავიანთი სპეციფიკური ინტერესების საერთო ინტერესებად წარმოჩენის შესაძლებლობა აქვთ.

3. ჰეგემონიის კრიტიკული თეორიები

კრიტიკული თეორიები ნეორეალისტების მსგავსად აღიარებს, რომ ძლიერი სახელმწიფოების მმართველი წრეები, განსაკუთრებით კი აშშ-ის, საერთაშორისო დონეზე გადამწყვეტი ფორმით აკონტროლებენ ან გავლენას ახდენენ წარმოებისა და მოხმარების ფორმებზე, სავაჭრო და ფინანსურ ურთიერთობებზე და იმავდროულად, აუცილებელ სამხედრო და ინსტიტუციურ საშუალებებს ფლობენ მსოფლიო წესრიგის საკუთარი კონცეფციის დასაცავად. ამავე დროს, ისინი a priori უარყოფენ ორ ვარაუდს, რომელზეც რეჟიმების თეორიებია დაფუძნებული, პირველი (როგორც უკვე ავლნიშნეთ) სახელმწიფოს ჰიპოსტაზირებას ახდენს, ხოლო მეორე, წესრიგის კრიტიკერიუმებს ანიჭებს უპირატესობას სამართლიანობის კრიტიკერიუმებთან მიმართებაში. თავის ნოვატორულ ნაშრომში „Production, Power and World“ („წარმოება, ძალაუფლება და მსოფლიო წესრიგი“, 1987 წ.), რობერტ კოქსი რეალისტურ ანალიზს გრამშიზმსა და ისტორიულ სოციოლოგიასთან აერთიანებს და საერთაშორისო ურთიერთობების განმარტებისთვის ხაზს უსვამს სტრუქტურების სამი ტიპის მნიშვნელობას:

ა) წარმოების სოციალური ურთიერთობები; ბ) წარმოებისა და პოლიტიკური ძალაუფლების სფეროებს შორის დიალექტიკური კავშირიდან მომდინარე სახელმწიფოს ფორმები. წარმოება ხელისუფლების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური შესაძლებლობების გენერირებას ახდენს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, წარმოების ორგანიზაციაზე ახდენს გავლენას; გ) ძალთა ბალანსიდან მომდინარე მსოფლიო წესრიგი საერთაშორისო არენაზე, რომელიც ომის ან მშვიდობის პირობებს განსაზღვრავს. ეს განსხვავებული სტრუქტურები მჭიდროდ არიან ურთიერთდამოკიდებული. მნიშვნელოვანი ცვლილებები წარმოების ორგანიზაციაში ახალ სოციალურ ძალებს შემოიყვანენ, რომლებიც სახელმწიფო რეჟიმების მოდიფიცირებას მოახდენენ და მსოფლიო წესრიგის ახალი კონფიგურაციების გამოჩენას გამოიწვევენ.

კოქსი შეგვასხენებს, რომ XIX საუკუნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის პირველობა უპირობო საზღვაო სიძლიერეს ეყრდნობოდა. მისი მმართველი წრეები ევროპაში ბალანსის პოლიტიკას ატარებდნენ და, იმავდროულად, ლიბერალური ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობებს უზრუნველყოფდნენ, სახელდობრ, ოქროს სტანდარტის წესების დაცვას. მიუხედავად ფორმალური ინსტიტუტების არარსებობისა, წამყვანი სახელმწიფოები ლონდონის მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მმართველის როლს აღიარებდნენ. თანდათანობით დიდი ბრიტანეთის საზღვაო სიძლიერე სადავო გახდა, კერძოდ, გერმანიისა და აშშ-ის მხრიდან. XIX საუკუნის მიწურულს მშრომელთა პოლიტიკურმა ინტეგრაციამ ნაციონალიზმის აღმავლობა დააჩქარა, რამაც მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციას შეუწყო ხელი და საერთაშორისო ურთიერთობების უფრო კონფლიქტური ფაზა მოიცვა. ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა პროტექციონიზმსა და იმპერიალიზმს დაუთმო ადგილი.

Pax britannica-მ (მშვიდობიანი პერიოდი ევროპაში, რომლის დროსაც ბრიტანეთის იმპერია საზღვაო ვაჭრობას აკონტროლებდა და უპირობო ძალაუფლება ჰქონდა ზღვაზე) პირველი მსოფლიო ომის გამოცდას ვერ გაუძლო. 1945 წლის შემდეგ ამერიკის ჰეგემონია უფრო ნისტი ფორმით დამყარდა სსრკ-ს შეკავებისკენ მიმართული ალიანსების სისტემებით. თუკი pax america-ს წინათ არსებულ წესრიგთან საერთო მახასიათებლები ჰქონდა ლიბერალური იდეოლოგიური ორიენტაციების ასპექტში, იმავდროულად, ის საერთაშორისო ინსტიტუტების ქსელს ეფუძნებოდა. ამ უკანასკნელის ძირითად ფუნქციას კაპიტალისტური წარმოების წესების მსოფლიო დონეზე გავრცელების ხელშეწყობა წარმოადგენდა, ნაციონალური იურისდიქციების შიგნით გამოხატული სოციალური მოთხოვნების მისადაგებით მსოფლიო ეკონომიკის საჭიროებებთან, სადაც ტრანსნაციონალური კომპანიები დომინირებდნენ. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა სახელმწიფოს „ინტერნაციონალიზაცია“ იმ მნიშვნელობით, რომ სახელმწიფო პოლიტიკების მნიშვნელოვანი სექტორები ორგანიზაციების ან სამთავრობო-შორისო თანამშრომლობის მექანიზმების ჩარჩოში ყალიბდებოდა.

3. 1. ჰეგემონიის იდეოლოგიური ასპექტები

სტეფენ ჯილმა და დევიდ ლომ ნაშრომში „*The Global Political Economy*“ („გლობალური პოლიტიკური ეკონომია“ 1988 წ.), ხაზი გაუსვეს ჰეგემონიის იდეოლოგიურ ასპექტებს, რომელიც 1972 წელს ფინანსისტ დევიდ როკფელერის მიერ შექმნილ სამხრეთ კომისიის ანალიზს მიუძღვნეს. ეს ორგანო 350 პიროვნებას აერთიანებს, – მმართველები, პოლიტიკოსები, უნივერსიტეტის პროფესორები და დიდი ტრანსნაციონალური კომპანიებიდან გამოსული ბიზნესმენები. ამ ანალიზში, რომელიც ასევე გრამშის ნაშრომებითაა შთაგონებული, პოლიტიკური ძალაუფლება იძულებითაა ჩამოყალიბებული და შენარჩუნებული, მაგრამ ის ჰეგემონიური ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იდეოლოგიური სოციალიზაციის პროცესს ეყრდნობა. ამ უკანასკნელის მიზანია დომინანტური სოციალური კლასების წარმოდგენების სისტემის ერთადერთ ლეგიტიმურ სისტემაში გადაყვანა. გრამშის „ისტორიული ბლოკის“

ცნება სახელმწიფოს დონეზე აღნიშნავს თანხვედრას მატერიალურ ძალებს, ინსტიტუტებსა და იდეოლოგიურ მიდგომებს შორის. დომინანტობა ტოტალური ხდება, როდესაც ძალაუფლების მპყრობელი შესაძლებელი ალტერნატივის არქონის იდეის დამტკიცებას აღწევს და ამგვარად, სოციალურ წარმოსახვასა და პოლიტიკურ დაპირისპირებებს ზღუდავენ. ამ პრობლემატიკის საერთაშორისო არენაზე გადატანით გრამშის გავლენის ქვეშ ჩატარებული თანამედროვე კვლევები იმის ჩვენებას ცდილობს, რომ ძლიერი სახელმწიფოს ჰეგემონია დიდწილად ეფუძნება იმგვარი იდეოლოგიური სისტემის შექმნასა და გავრცელებას, რომელიც საპირისპირო ნორმებისა და ღირებულებების დისკრედიტირებით ფართო კონსენსუსის მიღწევას უწყობს ხელს. ეს პროცესი მხარდაჭერილია, როგორც ტრანსნაციონალური ელიტური კლუბების, ისე საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მათი პროექტებით ძირითადად დომინანტური სოციალური კლასები სარგებლობენ, ისინი ინტერესთა ფართო გაერთიანების სამსახურში მყოფებად წარმოდგებიან.

მართლაც, იმპერიების ისტორია ცხადყოფს, რომ ძლიერი სახელმწიფოების ჰეგემონია დიდწილად დამოკიდებულია არა ძალით საკუთარი ნების თავს მოხვევის უნარზე ან მატერიალურ რესურსებზე კონტროლის განხორციელებაზე, არამედ უფრო მეტად იმ საშუალებებზე, რომლებსაც ისინი მსოფლიოს საკუთარი ხედვის გასავრცელებლად იყენებენ. როდესაც დომინირებული ან დამოკიდებული საზოგადოებები გამარჯვებულთა იდეებს ითავისებენ, ამ უკანასკნელთა მეურვეობა შეიძლება შესუსტდეს და წმინდა იძულების განზომილება დაკარგოს. ეჭვგარეშეა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ჰომოგენიზაციამ შესაძლებელი გახადა ძალის გამოყენების მინიმიზაცია. საბჭოთა ბლოკის ნგრევა იდეოლოგიური დებატების აშკარა ცვლილებებით აღინიშნა, რომელთაც შეიძლება ამ სივრცეში ჰქონოდა ადგილი. ასევე მოხდა მნიშვნელოვანი კონსენსუსის მიღწევა მდიდარი ქვეყნების შიგნით ტრადიციულ პარტიებს შორის ნაციონალური პოლიტიკის ძირითად ორიენტაციებთან დაკავშირებით. მთლიანობაში, მთავრობების ამოცანას წინსვლის უზრუნველყოფა წარმოადგენს გლობალიზაციის კონტექსტში, რომელიც ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებული ინსტრუმენტების სპექტრს ამცირებს. ტრანსნაციონალიზებული დომინანტური კლასები პირდაპირ მონაწილეობენ ამ სივრცის შეზღუდვაში. აღნიშნულის კარგი მაგალითია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეკრებები, რომლებიც ყოველ წელს დავოსში იმართება. ამ შეკრებებზე ტრანსნაციონალური საწარმოების ხელმძღვანელები და საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის მაღალი რანგის პასუხისმგებელი პირები გლობალიზაციის სულისკვეთებას იზიარებენ. ამ უკანასკნელს ისინი მიიჩნევენ მრავალი ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალებად და კვლავაც ამტკიცებენ ამ პროცესის ხელშეწყობის ვალდებულებას ურთიერთგაგების, ინტერესთა თანხვედრისა თუ „მთავრობის გარეშე კარგი მმართველობის“ პრაქტიკის მეშვეობით.

3. 2. ჰეგემონიის კულტურული ასპექტები

ჰეგემონია ასევე ყველაზე სრულყოფილი სამეცნიერო და ინტელექტუალური რესურსების კონტროლით ხორციელდება დომინანტური იდეოლოგიური მოდელის შესაბამისად. ძირითადი სამრეწველო ქვეყნები, აშშ-ის მეთაურობით, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის განვითარებაზე, თავიანთი სასწავლო და კვლევითი აკადემიური ცენტრების მეშვეობით, რომლებიც პერსონალის დიდ უმრავლესობას ამზადებენ განვითარების სფეროში აქტიური ორგანიზაციებისთვის, მაგალითად, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ან OCEDE-ის განვითარების დახმარების კომიტეტი. რეალობაში, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას არა აქვს საკმარისი რესურსები დიდ მრავალმხრივ მოლაპარაკებებში სრულად მონაწილეობისთვის. თუმცა, ეს მოლაპარაკ-

კებები შეიძლება ეხებოდეს ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მომავლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ამავე დროს, აღნიშნულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ მრავალი დიპლომატიისა და ექსპერტის მხარდაჭერა უნევევაში, ნიუ-იორკში ან საკუთარ დედაქალაქში. ასევე "ურუგვაის რაუნდის" მოლაპარაკებებში აქტორთა მცირე რაოდენობა მონაწილეობდა, სახელდობრ, ამერიკის მთავრობის, ევროკავშირისა და სამხრეთის რამდენიმე ახლად დაწინაურებული ქვეყნის წარმომადგენლები (ბრაზილია, არგენტინა და ინდოეთი). აზიის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის სხვა ქვეყნების უმრავლესობას საჭირო საშუალებები არ გააჩნდა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

ამ კონტექსტში მართებულია იმის აღნიშვნა, რომ საწარმოებმა დიდი ინვესტიციები ჩადეს საკუთარი გავლენის გასაზრდელად იდეოლოგიურ და კულტურულ სფეროებში. არმანდ მატელარტმა ეს ფენომენი გამოავლინა ნაშრომში „*მულტინაციონალური კომპანიები და საკომუნიკაციო სისტემები*“ (1976 წ.). მთავრობების მიერ მხარდაჭერილმა ამ კომპანიებმა პირველობა განიმტკიცეს ყველაზე თანამედროვე ელექტრონიკის სფეროებსა და საკომუნიკაციო ქსელებზე. პარალელურად მათ მედიაზე კონტროლის განხორციელების სტრატეგიები შეიმუშავეს, – ზეწოლის ჯგუფები, გამომცემლობები, სატელევიზიო არხები – პრეფერენციების ორიენტირების, დომინანტური პოლიტიკური მოდელის შესაბამისად პოზიციების დასაკავებლად ან მოხმარების ფორმების შესაცვლელად. ეს ინვესტიციები კომპანიების მხრიდან სოციალიზაციის პროცესისთვის მინიჭებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. აღნიშნულის შედეგმა არ დააყოვნა, თუკი „საზოგადოებრივი აზრის“ თანხვედრით ვიმსჯელებთ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში საბაზრო ეკონომიკის მქონე სამრეწველო ქვეყნებში. ფენომენი უფრო აშკარა ხასიათს იძენს ლარიზ ქვეყნებში, რომლებიც ინფორმაციებით, ტელესერიალებითა და სარეკლამო განცხადებებითაა დაპყრობილი, რაც აზროვნების ფორმებსა და, ხშირ შემთხვევაში, მოხმარების გაუცხოებულ საჭიროებებში გამოიხატება.

ჰეგემონიის შესწავლაში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და იდეოლოგიური ცვლადების ჩართვით, გრამშისეული კონცეფციები საგრძნობლად აფართოებენ კვლევის ლეგიტიმურ არეს. ამგვარად, ეს კონცეფციები ცდილობენ ნეორეალისტურ და ნეოინსტიტუციურ ანალიზში შესწორებები შეიტანონ იმაში, რაც ყველაზე საკამათოა, სახელდობრ, მათი მიმხრობა მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმთან და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების მინიმიზაციასთან, რომელთაც საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკა ნეგატიურად ეხება. ამ მხრივ, აღნიშნულ კონცეფციებს რობერტ კოქსმა დაუჭირა მხარი მის მნიშვნელოვან ნაშრომში "Production, Power and World" („წარმოება, ძალაუფლება და მსოფლიო წესრიგი“), რომელიც თხუთმეტი წლის კვლევის შედეგია. შესაძლებელია თუ არა შევეპასუხოთ ამგვარ დასაბუთებას? რა თქმა უნდა შეიძლება, მაგრამ ადვილი არ იქნება. ცვლადების დამატების შემთხვევაში არსებობს პრობლემატიკის გართულების რისკი დამაკმაყოფილებელი ფორმით დასამტკიცებლად. ამისათვის გასათვალისწინებელია ერთდროულად დიალექტიკური ურთიერთობები საწარმოო ძალებსა და იდეებს შორის, იდეებსა და ინსტიტუტებს და ასევე, ინსტიტუტებსა და საწარმოო ძალებს შორის. ამგვარი მიდგომა მოითხოვს ეკონომიკის, პოლიტიკური სოციოლოგიისა და ისტორიის, ინსტიტუციური ანალიზისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტრინებისა და მეთოდების გაერთიანებას. ეჭვგარეშეა, რომ ეს მიდგომა საუკეთესო შედეგებს იძლევა შეზღუდული ობიექტის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, სამხრეთი კომისიის შემთხვევა, რომლის საქმიანობა სტრატეგიულად ამ ცვლადების გადაკვეთაზე იმყოფება.

4. მმართველობა მთავრობის გარეშე (Gouvernance)

Gouvernance-ის (მმართველობა მთავრობის გარეშე) ცნება საერთაშორისო პოლიტიკის ლექსიკაში 1980-იანი წლების მიწურულს გაჩნდა. ეს ტერმინი, რომელიც ბერძნული kybernan-ისა და ლათინური guvernare-დან იყო წარმოქმნილი, რაც „ნაოსნობას ან გემის მართვას“ ნიშნავდა, ნაკლებად იყო ხმარებაში. XIII საუკუნიდან მას ფრანგულშიც ვხვდებით, მაგრამ ის ტერმინმა „gouvernement“-მა (მმართველობა, მთავრობა) შეცვალა. ინგლისურ ენაში მას ზოგჯერ კოლონიებთან დაკავშირებულ დისკურსში იყენებდნენ XX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში არაპირდაპირი მმართველობის სისტემის აღსანიშნავად, რომლის არსსაც წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის მართვა პრაგმატული მიზნებისთვის შენარჩუნებული მისივე საკუთარი ინსტიტუტებით. აშშ-ში ეს ტერმინი გარკვეული ავტონომიით აღჭურვილი ორგანოების მართვაზე მიუთითებდა კერძოდ, უნივერსიტეტებზე. შემდგომში ის სამართლის სოციოლოგიაში გაჩნდა ფილიპ სელზნიკის ნაშრომის „Law, Society, and Industrial Justice („კანონი, საზოგადოება და სამრეწველო სამართალი“ 1969 წ.) გამოქვეყნებით. აღნიშნული ტერმინი მიგვიითებდა ფორმებზე, რომელთა მეშვეობითაც საჯარო სექტორთან მომიჯნავე ზოგიერთი ლეგალური პროცედურა შეიძლება კერძო სექტორზე გავრცელებულიყო, სახელდობრ, შრომის სამართალზე მოსამსახურეთა უკეთ დაცვის მიზნით. ოცი წლის შემდეგ, ამერიკულმა, შემდეგ კი ევროპულმა საწარმოებმა, ეს ცნება იმ პრინციპების ერთობლიობის აღსანიშნავად გამოიყენეს, რომელიც აქციონერთა კომპეტენციებს განსაზღვრავდა მმართველობის ამოცანების შესაბამისად.

ამ ტერმინის განსხვავებული გამოყენება გვიჩვენებს, რომ სუფიქსის – ance-ის დერივაცია მმართველობის აღმნიშვნელ პროცესებზე მიგვიითებს ძალაუფლების (რომელიც სახელმწიფო საქმეების მართვას უზრუნველყოფს) არარსებობის დროს. უმრავლეს შემთხვევაში, ტერმინს „მმართველობა“ (gouvernement) ზემოაღნიშნულ ცნებამდე მიახლოების მცდელობა აქვს. სწორედ ამით მიიპყრო აღნიშნულმა ცნებამ მსოფლიო ბანკის ყურადღება 1980-იან წლებში, რომელიც ამ უკანასკნელმა თავის ლექსიკას მიუსადაგა განვითარების პოლიტიკასთან მიმართებაში. დასაწყისში, ტერმინი „სახელმწიფოს რეფორმის“ შერბილებულ გამოხატულებას წარმოადგენდა, რომელიც ძირითადად ინსტიტუციურ რესტრუქტურაციებს მოიცავდა, როგორცაა პრივატიზაცია, რეგლამენტაციის შესუსტება ან უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. მსოფლიო ბანკი ზედმეტად დიდი დავალიანების მქონე ქვეყნებს ამ ინვესტიციების აღებას აიძულებდა, საჭირო რესურსების გამოყოფის მიზნით თავიანთი ვალის გადასახდელად. ეს ტერმინი ეფემიზმის ქვეშ უკეთ ჩქმალავდა სტრუქტურული რეგულირების პროგრამების უკიდურესად პოლიტიკურ განზომილებას. შეკითხვა უნდა დაისვას, სულ ცოტა, ამ პროგრამების განხორციელების პირობების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი კონფიდენციალურობას ექვემდებარებიან და, ამგვარად, გვერდს უვლიან სახელმწიფოთა კონსტიტუციურ პროცედურებს, სახელდობრ, საპარლამენტო დებატებს. ამ მხრივ, აღნიშნულმა ცნებამ (gouvernance) საჭირო როლი შეასრულა, რადგან ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების სტატუტები ამ უკანასკნელთ ფორმალურად პოლიტიკურ საკითხებში ჩარევას უკრძალავს. 1995 წლიდან ვოლფენსონის ხელმძღვანელობით, მსოფლიო ბანკმა „მთავრობის გარეშე კარგი მმართველობის“ საკუთარი ინტერპრეტაცია გააფართოვა თავისი განვითარების პროგრამებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მზარდი კომპეტენციების ჩასართველად. მსოფლიო ბანკმა 1992 წელს დაფუძნებული გლობალური მართვის კომისიის (Comission on Global Governance) რეკომენდაციები გამოიყენა, რომელთა მიზანი იყო თანამშრომლობის მხარდაჭერა „საერთო საქმეების“ მართვაში ოფიციალურ, სახელმწიფო ან სამთავრობოთშორისო ინსტიტუტებსა და კერძო, ეკონომიკურ ან სამოქალაქო აქტორებს შორის.

საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი სპეციალისტი სრულიად უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ტერმინი შეიძლება ასევე იდეოლოგიურად იყოს დატვირთული და თავის მხრივ, ცდილობს მას კონცეფციის პრესტიჟი მიანიჭოს. 1992 წელს ჯეიმს როზენაუ ერნსტ-ოტო კზემპიელთან ერთად, აქვეყნებს ნაშრომს საგულისხმო სათაურით: „Governance without Government“ („მმართველობა მთავრობის გარეშე“). ამ ტერმინის კონცეპტუალიზაციის პირველ ძალისხმევაში თავისუფლად შეიძლება შევამჩნიოთ ურთიერთდამოკიდებულების მიმდინარეობის განახლების მცდელობა, რომელიც მეორე პლანზეა გადატანილი რეჟიმებზე გადამეტებული რეფლექსიით. ამგვარი მიდგომით მოხიბლული ავტორები ერთხმად ამტკიცებენ, რომ მთავრობებს არა აქვთ საზღვრების გადამკვეთ საქმიანობებზე მონაპოვია და არსებობენ სხვა ინსტიტუტები და აქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებას და ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის რეგულაციაში მონაწილეობენ. ისინი ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო საქმეების კონტროლის მექანიზმები ადგილობრივ, ნაციონალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ბიუროკრატიული სტრუქტურების კომპლექსურ ერთობლიობას მოითხოვს, ასევე, მეტ-ნაკლებად იერარქიულ პოლიტიკურ ძალაუფლებას, საწარმოებს, კერძო ზეწოლის ჯგუფებს, სოციალურ მოძრაობებს. სახელმწიფოებმა გაზარდეს თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებები მრავალ რეჟიმში მონაწილეობით, რომლებიც, მთლიანობაში, მთავრობის გარეშე მსოფლიო მმართველობის ფორმაა.

თავად ეს პერსპექტივა ძალზე ნორმატიულად წარმოჩნდება, რადგან თავის ობიექტს მისაბამი იდეალად განიხილავს. ამ თვალსაზრისით, მთავრობის გარეშე მმართველობამ უნდა გააიოლოს თანამშრომლობა, შეამციროს კონფლიქტები, გაზარდოს „საერთაშორისო კოლექტიური სიკეთის“ წარმოება. თუკი მთავრობების ქმედებები რეპრესიული აპარატივითაა მხარდაჭერილი და ხშირად ექსკლუზიური სარგებლის გამოტანას ისახავს მიზნად, მთავრობის გარეშე მმართველობის ქმედებები კოლექტიური პროექტების კონკრეტიზაციისთვის ხელსაყრელ პიროვნებათშორისი ინიციატივების გამოვლენას უწყობს ხელს. ამ ნორმატიული მიდგომარეობით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკას სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობასთან აღრევის ტენდენცია ექნება, რომლებიც რაციონალური არჩევანიდან ან სიმპათიის გრძნობებიდან უნდა მომდინარეობდნენ და უნივერსალური ღირებულებები უდევთ საფუძვლად. კერძო ასოციაციებისა და ამ უკანასკნელთა მიერ მედიის გამოყენების უნარის წყალობით, პრობლემების გარკვეული რაოდენობა, – ეკოლოგია, გრძელვადიანი განვითარება, ქალთა უფლებები, სახელმწიფო ჯანდაცვა, შრომის პირობები მსოფლიოში – საერთაშორისო საჯარო სივრცეში გადანაცვლებას შეძლებს და ორგანიზაციულ საქმიანობას გამოიწვევს, რასაც, სავარაუდოდ, ახალი წესების ჩამოყალიბება მოჰყვება, რომელთაც სახელმწიფოები და საწარმოები უნდა მიესადაგონ. „მმართველობა მთავრობის გარეშე“ ამგვარ ევოლუციას გვიჩვენებს: საჯარო ადმინისტრაციები ეფექტურად ვეღარ ასრულებენ გარკვეულ ფუნქციებს. ეს უკანასკნელნი რეგულირების სხვადასხვა ჩარჩოშია მოქცეული, რომლებშიც სახელმწიფოები მრავალ ეკონომიკურ და სოციალურ აქტორთან ერთად უნდა შევიდნენ.

მთავრობის გარეშე მმართველობასთან დაკავშირებული ნაშრომები შეგვახსენებს, რომ მხოლოდ სახელმწიფოები და სამთავრობოთშორისო ორგანიზაციები არ არიან საერთაშორისო წესრიგის ინიციატორები ან მხარდაჭერები. საზოგადოებები სოლიდარობისა და ერთიანობის საფუძვლებს ქმნიან, რომლებიც გვერდს უვლიან მთავრობების დომინანტობას და საზღვრებს გარეთ შეუძლიათ გავრცელება აქტიური ტრანსნაციონალური ქსელების ჩამოსაყალიბებლად. ამგვარად, OCDE-ს ქვეყნებმა ურთიერთდამოკიდებულების კავშირები დაამყარეს და, ხშირად, რთულია მთავრობის გავლენის განსაზღვრა მრავალი საქმის მართვაში, რომელიც ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებების საგანია. დღის წესრიგი, შედეგები, ისევე როგორც მოლაპარაკებების შემდგომი შედეგები, ხშირ შემთხვევაში,

შეიძლება მივაკუთვნოთ არა მხოლოდ სამთავრობო გადაწყვეტილებებს, არამედ ქსელების მჭიდრო და კომპლექსურ სინთეზს, თანამშრომლობის არაფორმალურ და ფორმალურ რეჟიმებს, რომლებშიც ტრანსნაციონალურ საწარმოებს, ისევე როგორც სამოქალაქო აქტორებს, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ.

Gouvernance-ის ცნების მართებულობის გასარკვევად შესაძლებელია რეჟიმის ცნების ევრისტიკული მნიშვნელობის შეფასებასთან დაკავშირებული ანალოგიური კრიტიკიუმების გამოყენება. რაც შეეხება ცვლადებს, რომელთა ინტეგრირებასაც ეს ინსტრუმენტი ცდილობს, ისინი პოტენციურად ძალზე მრავალრიცხოვანია ერთიან ჩარჩოში მოსაქცევად. ურთიერთდამოკიდებულების მიმდინარეობის მიერ გამოყენებული gouvernance-ის ცნება მოიცავს აუცილებელზე მეტის გაკეთების მნიშვნელობას. ერთი რამაა იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო პოლიტიკა აქტორთა სიმრავლეს მოითხოვს და, აქედან გამომდინარე, ძალაუფლების განხორციელება გადანაწილებულია. სხვა რამაა აღნიშნულის ზუსტად გათვალისწინება იმაზე დაყრდნობით, რომ ფაქტები წინასწარ არაა ჩამოყალიბებული იმ საწყისი ჰიპოთეზის შესაბამისად, რომელიც მათ უნდა დაამტკიცონ.

ამავე დროს, ზემოაღნიშნულ ცნებაზე დაწერილი ნაშრომები უფრო საკამათო ხდება მაშინ, როდესაც ისინი ამ უკანასკნელს სათანადოდ ვერ აფასებენ, კონფლიქტიდან დაწყებული, რომელიც პოლიტიკურის განუყოფელი ასპექტია. ფუნქციონალური და ნეონსტიტუციური მიმდინარეობების მსგავსად, ეს ნაშრომები საერთაშორისო ურთიერთობებს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მართვას, გადასაჭრელ ტექნიკურ პრობლემებსა და გარემოს დაბინძურების შემცირებას უკავშირებენ. ამით მათ მხედველობიდან რჩებათ ის ფაქტი, რომ ეს საქმიანობები პირველ რიგში, სიმდიდრის წარმოებიდან გამომდინარეობს, რომელიც ძალზე ძვირადღირებულია, – ფუფუნების მიუწვდომლობა სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის. სხვა გადაჭარბებული რედუქციონიზმი წინას უცილობელი შედეგია: აღნიშნული ნაშრომები ანალიზის არეს OCEDE-ს ქვეყნებით ზღუდავენ, რომელთა ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული, – ერთ მჭიდრო და აქტიურ ქარგაში გაერთიანებული საზოგადოებები და მთავრობები, რომელთაც მოგვარებული აქვთ დიპლომატიურ-სტრატეგიული ურთიერთობები. როგორც ჩანს, ამ ნაშრომებში წარმოდგენილი საწყისი ჰიპოთეზა დამტკიცებულია, მაგრამ ის მხოლოდ „ნიადაგის“ არჩევანის საშუალებაა, რომელიც მხოლოდ უმცირესობას წარმოადგენს თუმცა, ძლიერს, მდიდარსა და აქტიურს იმ მსოფლიო სივრცისა, რომლის შესწავლის ამბიციაც მათ გააჩნიათ. დაბოლოს, ამ ნაშრომებში წარმოდგენილი დისკურსი ნორმატიულ ასპექტში სრულიად არ განსხვავდება იმ საერთაშორისო აქტორების დისკურსისგან, რომლებსაც ისინი განიხილავენ, მაგალითად, მსოფლიო ბანკი ან OCDE-ი, რომლის მთავარი ფუნქცია კაპიტალისტური ბაზრის ხელშეწყობაა ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობისთვის და ინვესტიციების ნაკადისთვის დაბრკოლებების შემცირებით.

თავი VII

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა

1. საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციები

რ. კოქსი და ჰ. ჯაკობსონი ნაშრომში „*Anatomy of Influence*“ („გავლენის ანატომია“) (1974 წ.), ერთმანეთისგან განასხვავებენ ორგანიზაციებს, რომლებიც მოლაპარაკების საწარმოებლად „ფორუმს“ ქმნიან – GATT⁵-ი და CNUCED⁶-ი – და ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ „სამსახურს“ სთავაზობენ სპეციფიკურ სფეროებში – FMI, OMS⁷-ი, UNESCO, BIT⁸-ი. ზოგიერთი ორგანიზაცია, მაგალითად, UIT-ი⁹ და AIEA¹⁰ ორივე ფუნქციას ერთდროულად აწარმოებენ. თუმცა, ამ ცნობილ ტიპოლოგიას სიზუსტე აკლია. გაეროს სისტემის ორგანიზაციების უმრავლესობა ერთდროულად პოლიტიკურ ფუნქციებსა და სპეციალიზებულ ამოცანებს ასრულებს. გარდა ამისა, მომსახურების ცნება ნეიტრალურ ქმედებას გულისხმობს იდეოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით, რასაც ხშირ შემთხვევაში, არა აქვს ადგილი, მიუხედავად ავტორების მიერ ამ ფაქტის უარყოფისა. თუმცა, ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ან მსოფლიო საფოსტო კავშირის ფუნქციები ძირითადად ტექნიკურია. სამაგიეროდ, მრავალი საქმიანობის მართვა, რომელიც ერთი შეხედვით პრაგმატულია, შეიძლება მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიზნებს მოიცავდეს. როგორც ავლნიშნეთ, ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროგრამები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი ან საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ძლიერი იდეოლოგიური და პოლიტიკური დატვირთვის მქონე სოციალურ-ეკონომიკური პროცესის შუამავლის როლს ასრულებენ. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის მანდატი, მიუხედავად მისი ნეიტრალური ინსტრუმენტული ხასიათისა, ნაკლებად არ ეხება ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს, რადგან ის სახელდობრ, სატელიტით კომუნიკაციების განვითარებას შეეხება. ამ მიზეზთა გამო, სპეციალიზებული ინსტიტუტების საკმაოდ დიდი რაოდენობის დამფუძნებელი ორგანოები (გენერალური კონფერენცია ან ასამბლეა, და საბჭო), – როგორცაა, UNESCO, OIT-ი¹¹ ან FAO,¹² OMS¹³-ი – რთული დიპლომატიური დებატებისა და მოლაპარაკებების ასპარეზია. ხშირ შემთხვევაში, ამ ორგანიზაციების მომსახურების ან საერთო ორიენტაციის ხასიათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს მთავრობებს შორის განხეთქილება შემოაქვს. აღნიშნულს ემატება ის აშკარა ფაქტი – კოქსისა და ჯაკობსონის მიერ აღნიშნული – რომ თავად საერთაშორისო ორგანიზაციების მომსახურების გაწევის უნარი, რისთვისაც ისინი არიან შექმნილი, ამ უკანასკნელთა მართვისთვის არსებულ პოლიტიკურ კლიმატზეა დამოკიდებული. მათი ადმინისტრაციული სისუსტე ხშირად წევრ-სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობებს ასახავს შესასრულებელ მისიებთან მიმართებაში; ეს ნაკლოვანებები ასევე შეიძლება იყოს იმ დაბალი ინტერესის მაჩვენებელი, რომელსაც მთავრობები აღნიშნული ორგანიზაციების პროგრამებს ანიჭებენ.

5 ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების ორგანიზაცია.

6 გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (ინგლ. UNCTAD).

7 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ინგლ. WHO).

8 ინფორმაციული ტექნოლოგიები.

9 ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირი (ინგლ. ITU).

10 ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (ინგლ. IAEA).

11 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინგლ. ILO).

12 გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია.

13 პანამერიკული ჯანმრთელობის ორგანიზაცია (ფრანგ. OPS/OMS; ინგლ. PAHO)

ამავე დროს, საერთაშორისო ორგანიზაციების განსხვავება იმის მიხედვით, ისინი ფორუმისა თუ მომსახურების საქმიანობას ასრულებენ, დამაკმაყოფილებელი არაა ნებისმიერი ღირებული ტიპოლოგიური კონსტრუქციის მინიმალური პირობისთვის, რომელმაც განხილული ობიექტების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს, სადაც ძლიერი შიდა ერთგვაროვნება გარე ეკვივალენტურ სხვადასხვაგვარობასთანაა შეხამებული. მეორე მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების ზუსტი კლასიფიკაციის ჩამოყალიბების სირთულე იზრდება იმ ფაქტის გამო, რომ ამ უკანასკნელთ არა აქვთ მყარი კომპეტენციები და დროთა განმავლობაში მათი მანდატი შეიძლება საგრძნობლად შეიცვალოს. ამგვარად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (ფრანგ. OMC; ინგლ. WTO), რომელმაც 1995 წლიდან გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT) შეანაცვლა, ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების მოგვარების „მომსახურების“ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს; მსოფლიო ბანკი, რომელიც ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპის განადგურებული ეკონომიკის რეკონსტრუქციისთვის დაფუძნდა, ამ მიზნით მარშალის გეგმამ შეანაცვლა, რამაც მისი საქმიანობის სამხრეთის ქვეყნებისკენ ორიენტირება გამოიწვია 1950-იან წლებში; მსოფლიო სავალუტო ფონდის თავდაპირველ მისიას სამრეწველო ქვეყნების ანგარიშსწორების ბალანსის დროებითი დეფიციტის სტაბილიზება წარმოადგენდა, 1980 წლიდან ის სტრუქტურების მომრგების როლს ასრულებდა დავალიანების მქონე განვითარებად ქვეყნებში, შემდეგ კი ბოლო ინსტანციის მსესხებლის როლს ახლად დაწინაურებული ან გარდამავალი ქვეყნებისთვის, რომელთაც 1990 წლის მეორე ნახევრიდან ძლიერი ფინანსური კრიზისი შეეხო.

ზემოთ აღნიშნულის დაზუსტების შემდეგ, მართებულია საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის სამ სფეროდ გაყოფა, იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტს სხვადასხვა ხარისხით, გადამკვეთი ფუნქციების შესრულება შეუძლია. პირველი სფერო ნორმატიულ და კოგნიტიურ საქმიანობას ეხება. უკვე აღინიშნა, თუ როგორ მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო წესრიგის ნორმებისა და ღირებულებების შექმნასა და სახელმწიფოების ან სხვა საერთაშორისო აქტორების პოლიტიკის ორიენტირებაში. ამ კუთხით, ეს ორგანიზაციები ლეგიტიმაციის ინსტანციებს წარმოადგენენ. ისინი ასევე ცოდნას ქმნიან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასაბუთებულ შეხედულებებსა და მასალებს, კერძოდ, სტატისტიკურს, აღნიშნული შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად და ამ უკანასკნელთა გავრცელების ხელშესაწყობად. მეორე სფეროს დიპლომატიურ-სტრატეგიულ საქმიანობასთან აქვს კავშირი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აშკარად გამოხატული მანდატია მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვა. საჯარო დიპლომატიის განვითარებისთვის სივრცის შემოთავაზებით გაერო პოლიტიკური დაპირისპირებებისა და მოლაპარაკებების ადგილს წარმოადგენს, რომელიც სამთავრობოთშორისო ურთიერთობების დინამიკას აღნიშნავს. ამას სტრატეგიული კომპეტენციები ემატება. გაეროს წესდების VII თავი ითვალისწინებს უსაფრთხოების საბჭოსთვის იძულებითი სამხედრო ქმედებების გამოყენების უფლების მინიჭებას. მესამე სფერო სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას მოიცავს.

2. ნორმატიული და კოგნიტიური საქმიანობა

როგორც ავლნიშნეთ, საერთაშორისო საზოგადოების სტრუქტურები გაურკვეველი იყო ამ უკანასკნელთა ლეგიტიმაციის განმსაზღვრელი პოლიტიკური და სამართლებრივი პრინციპების მოშველიების გარეშე. ამ მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. აღნიშნულ ორგანიზაციებს სახელმწიფოები ქმნიან, მაგრამ ერთხელ მიღებული სტრუქტურები ეთიკურ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მიზნებს განსაზღვრავენ,

რომლებსაც მთავრობები უნდა მიესადაგონ. ჩვენ ასევე ავლნიშნეთ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტების გავლენა არ მომდინარეობს მხოლოდ იმ პრინციპებიდან, რომლებსაც ისინი იცავენ და პოლიტიკური ნორმებიდან, რომლებსაც ისინი ადგენენ. ეს გავლენა ასევე ეფუძნება პოლიტიკური არჩევანის ორიენტირებისთვის საჭირო ანალიზისა და ინფორმაციის გავრცელების ხელშემწყობ კომპეტენციას.

2. 1. ლეგიტიმაციის ინსტანციები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტიტუტები იმ პრინციპების და ნორმების მატარებლები არიან, რომლებმაც წევრი-სახელმწიფოების ქმედება უნდა განაპირობონ. ეს ინსტიტუტები ჩარჩოს სთავაზობენ სიმბოლოების მობილიზებისთვის, რომელთაც პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების ლეგიტიმაციის უნარი შესწევთ. ამგვარად, გაეროში ახალი სახელმწიფოების მიღება გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებითა და უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ამ უკანასკნელთა საერთაშორისო აღიარების უცილობელი ეტაპია. დეკოლონიზაციის ხანაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტანციებმა პოლიტიკური ლეგიტიმურობა მიანიჭეს ახლად დამოუკიდებლობა მიღებულ სახელმწიფოებს გენერალურ ასამბლეაში მათი მიღებით. კარგადაა ცნობილი თუ რა გადაამწყვეტი იყო ამ ასამბლეის როლი, როდესაც 1947 წლის 29 ნოემბერს მან 181-ე რეზოლუცია მიიღო პალესტინის გაყოფასა და, ამგვარად, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის ნებართვასთან დაკავშირებით. მოგვიანებით, გენერალურ ასამბლეას ხშირად მიუღია რეზოლუციები, რომლებიც ამჯერად ამტკიცებდნენ „პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უცილობელ უფლებას საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების ჩათვლით“. 1988 წელს აღნიშნულმა ასამბლეამ პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის აღიარების რეზოლუცია გამოაქვეყნა.

ისტორიული გარემოებები, რომლებიც გაეროს განვითარებას განსაზღვრავდნენ, მის ავტორიტეტსა და პოლიტიკურ გავლენას არყვედა. თუმცა, სახელმწიფოების ან მთავრობების მეთაურების უმრავლესობამ მისი ინსტანციები გამოიყენა საერთაშორისო წესრიგის საკუთარი კონცეფციების გასაფრცვლებლად, საგარეო პოლიტიკის გასამართლებლად, განსაკუთრებით კი ავტორიტეტისა და ხელისუფლების გასაძლიერებლად თავიანთ ქვეყნებში. გენერალური ასამბლეა ყოველთვის იყო ლეგიტიმაციის პროცესების სამსახურში მდგომი პოლიტიკური შესტიკულაციებისა და იდეოლოგიური დისკურსების ადგილი. ახლად დამოუკიდებლობა მიღებული სახელმწიფოების მეთაურები 1960-იან წლებში სხვებზე მეტად იყენებდნენ, როგორც გაეროს არენას, ისე მის სხვა ინსტანციებს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნების საერთაშორისო ასპარეზზე გამოსატანად, იმპერიალიზმის იდეოლოგიური საფუძვლების შესარყევად, ეკონომიკური დახმარების მოთხოვნებისთვის და ნაციონალური პოლიტიკების გასამართლებლად. სწორედ გაეროს ფარგლებში სახელმწიფოთა წარმომადგენლები საკუთარ თავზე იღებენ პოლიტიკურ როლს საერთაშორისო არენაზე იქ განვითარებულ კრიზისებსა და კონფლიქტებში მონაწილეობით, იმ რიტუალებთან მისადაგებით, რომლებიც საერთაშორისო წესრიგისა და მისი აქტორების ლეგიტიმურობის მუდმივობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ამგვარად, გაერო და მასში გაერთიანებული ინსტიტუტების ქსელი იდეოლოგიურ სივრცეში მკვიდრდება. ეს ინსტიტუტები გავლენას ახდენენ თავიანთი ნორმებითა და პოლიტიკური მოდელებით და მათ მიერ ჩამოყალიბებული ღირებულებებით. ამ თვალსაზრისით, ისინი საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურებზე ახდენენ გავლენას და მათი შემადგენელი სახელმწიფოებისა და სოციალური ჯგუფების კოლექტიურ ქმედებას აღნიშნავენ. გაეროს სისტემის ინსტიტუტები იდეოლოგიური და პოლიტიკური დებატების თეატრია, რომლებიც პოლიტიკური რეჟიმების ანტაგონისტურ წარმოდგენებს გამოხატავენ. სწორედ

ამიტომ, მთავრობების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ორგანიზაციის შიგნით განუწყვეტელ შეჯიბრში არიან თავიანთი ნორმატიული კონცეფციების წინ წამოსაწევად.

გაეროს ინსტიტუტების დამფუძნებელი ორგანოების დღის წესრიგი ნაწილობრივ განსაზღვრავს განსახილველ საკითხებს, შემდეგ კი რეზოლუციებს, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ. ამ ინსტიტუტების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანი ხდება. სწორედ გენერალური ასამბლეის განხილვებზე გავლენის მოსახდენად, მისი რეზოლუციებისთვის მნიშვნელობისა და მასშტაბის შესაცვლელად, ამ უკანასკნელთა პროგრამებიდან მომდინარე ორიენტაციის განსასაზღვრავად მთავრობები ამდენ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს ხარჯავენ. ხშირ შემთხვევაში, გაეროს რეზოლუციები არარეალისტურია, მაგრამ ისინი თანხვედრ ღირებულებებს ქმნიან, რომელთა გამოყენება საერთაშორისო ასპარეზის აქტორებს საკუთარი პოლიტიკის გამართლებისა და ცხოვრებაში გასატარებლად შეუძლიათ.

2. 2. ცოდნის გავრცელება

საერთაშორისო ინსტიტუტების გავლენა არ მომდინარეობს მხოლოდ მათ მიერ დაცული პრინციპებიდან და შექმნილი პოლიტიკური ნორმებიდან, გაკონტროლებული ეკონომიკური რესურსებიდან, რომელთა მობილიზება მათ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეგავლენით შეუძლიათ. ის ასევე ეფუძნება იმ კომპეტენციას, რომელსაც ეს ინსტიტუტები საჭირო კვლევებისა და ინფორმაციის გავრცელებისთვის იყენებენ პოლიტიკური არჩევანის ორიენტირებისთვის.

არსებობის პირველი წლებიდანვე, გაერომ და მისმა სპეციალიზებულმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი მასალები შეაგროვეს კაცობრიობის ეკონომიკურ და სოციალურ ევოლუციაზე და ამ სხვადასხვა საკითხებზე პერიოდული პუბლიკაციების გამოქვეყნება დაიწყო. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გაეროს ყოველწლიური ანგარიშები მსოფლიო ეკონომიკის საკითხებზე ან UNICEF-ის ყოველწლიური ანგარიშები მსოფლიოში ბავშვთა მდგომარეობასთან დაკავშირებით. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (ფრანგ. CNUCED; ინგლ. UNCTAD) ამზადებს ნაშრომებს ეკონომიკურ საკითხებზე და რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშს ვაჭრობისა და განვითარების შესახებ. ის ზედმიწევნით ადევნებს თვალყურს ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებას და ამ უკანასკნელთა სტრატეგიების ტენდენციებს. გაეროს განვითარების პროგრამა (ფრანგ. PNUD; ინგლ. UNDP), რომელსაც ჩვენ დავუბრუნდებით, 1990 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს *ჰუმანიტარული განვითარების შესახებ ანგარიშს*, რომელიც აერთიანებს ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის სტატისტიკასა და სოციალურ მაჩვენებლებს, როგორცაა ზრდასრულ ადამიანებში წერა-კითხვის გავრცელება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ამგვარად, ეს ინსტიტუტი კავშირს წყვეტს მხოლოდ ფულადი ღირებულებებით განსაზღვრული კეთილდღეობის კონცეფციასთან და ამ მიმართულებით განვითარების ახალი მოდელების გავრცელებას ცდილობს. გაერო, მისი სპეციალიზებული ინსტიტუტები და მათში შემავალი ორგანოები დაახლოებით 1 800 პერიოდულ პუბლიკაციას აქვეყნებს, რომლის რეალური აუდიტორიის შეფასება რთულია, მაგრამ ეს პუბლიკაციები უცილობელ გავლენას ახდენენ მედიასა და სამთავრობო პასუხისმგებელ პირებზე. ამავე დროს, ხშირ შემთხვევაში, ამ სისტემის ინსტიტუტები ყურადღებას ამახვილებენ ზოგიერთ ჰუმანიტარულ კატასტროფაზე. აღნიშნულ ინსტიტუტებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის პოლიტიკური და სოციალური რეალობის შესახებ ინფორმაციის მიღების კარგი შესაძლებლობები აქვთ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის ან OCDE-ს ანგარიშები ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სტატისტიკურ

რი მონაცემების მობილიზების უნარის გამო. ამ ორგანიზაციების განკარგულებაშია მკვლევართა ჯგუფები, რომელთა პოტენციური საუნივერსიტეტო ინსტიტუტებსაც კი შეშურდება. ასევე, აღნიშნულ ორგანიზაციებში გაერთიანებულია ექსპერტთა მრავალი ქსელი და ამიტომაც, მათ შესანიშნავი შესაძლებლობები აქვთ თავიანთი მოდელების, კლასიფიკაციის სისტემებისა და მითითებების გასავრცელებლად. ამგვარად, განვითარებად ქვეყნებზე მომზადებული თითქმის მთლიანი სტატისტიკა დღეისათვის აღნიშნული ინსტიტუტებიდან მომდინარეობს. ამ კუთხით, ისინი მიმართულებას აძლევენ განვითარების სტრატეგიების განსაზღვრას. ამ უკანასკნელთა ანალიზის ინსტრუმენტები შეიძლება არაადეკვატურად წარმოჩნდეს გარკვეული ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის გასაგებად. ამავე დროს, აღნიშნულ ინსტიტუტებს კონკურენციას არავენ უწევს, რადგან ჩვეულებრივ, ღარიბ ქვეყნებს არა აქვთ საშუალებები, – მკვლევარების, დოკუმენტაციებისა და საკომუნიკაციო საშუალებების სახით – , ალტერნატიული კვლევების ჩასატარებლად. ამგვარად, მსოფლიო ბანკს შეუძლია თავს ფუფუნების უფლება მისცეს და პერიოდულად აკრიტიკოს წინათ მის მიერვე შემუშავებული განვითარების სტრატეგიები, რომლებიც ეჭვქვეშ არაა დაყენებული ამ ბანკის მხარდამჭერი მთავრობების მიერ.

3. დიპლომატიური და სტრატეგიული საქმიანობა

გაეროს ძირითადი მანდატი საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებაა. ამ კუთხით, ის სხვადასხვა დიპლომატიურ და სტრატეგიულ საქმიანობაშია ჩართული, რომელიც ეხება მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებს, მრავალმხრივ მოლაპარაკებებსა და, სულ ახლახან, ჰუმანიტარულ ჩარევას.

3. 1. მშვიდობის შენარჩუნება

გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ „ამ ორგანიზაციის წევრებმა საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავონ მუქარის ან ძალის გამოყენებისგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობისა ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან გაეროს მიზნებთან შეუთავსებელი სხვა ფორმისგან“. 51-ე მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური თავდაცვის დებულება ერთადერთი გამონაკლისია ომის აკრძალვის პრინციპიდან. გაეროს წესდების VII თავი ითვალისწინებს ძალის გამოყენებას აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ მიზნით, გაერო ფართო კომპეტენციას ანიჭებს უშიშროების საბჭოს აგრესიის გამოყენების შესაჩერებლად და, აუცილებლობის შემთხვევაში, მის მოსაგერიებლად. ეს ორგანო გაეროს თხუთმეტი წევრისგან შედგება, რომელთაგან ხუთი მუდმივი წევრია, – ჩინეთის რესპუბლიკა, აშშ, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო და რუსეთი – , რომლებსაც მის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება აქვთ. უშიშროების საბჭო ცდილობს სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტების გადაწყვეტას, განსაზღვრავს *statut quo*-ს შეცვლისთვის მისაღებ პირობებს, ქმნის სამხედრო კოალიციების ხელმძღვანელობას, რომელიც აგრესორი სახელმწიფოებისა ან სამოქალაქო ომის დამნაშავეთა წინააღმდეგაა მობილიზებული. ამავე დროს, ეს მექანიზმი არასრულყოფილია, რადგან მისი ფუნქციონირება ძლიერი სახელმწიფოების თანხმობაზეა დამოკიდებული. ხშირ შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები მის შემადგენელ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული კომპრომისიდან მომდინარეობს, განსაკუთრებით, მის მუდმივ წევრებს შორის. თუმცა, ამ საბჭოში მიმდინარე დიპლომატიური საქმიანობა საკუთარ ინსტიტუციურ დინამიკას ემორჩილება, რომელიც პოლიტიკური გარემოებებისა და მასში შემავალი წარმომადგენლების პირადი თვისებების მიხედვით იცვლება.

ცივი ომის განმავლობაში უშიშროების საბჭო უმრავლეს შემთხვევაში, არაქმედითი იყო. 1946 წლის პირველი სესიებიდანვე, სსრკ ბლოკირებას უკეთებს მის ფუნქციონირებას ვეტოს უფლების გამოყენებით. სხვა მუდმივი წევრებიც ანალოგიურად მოქმედებენ. ამავე დროს, 1950 წელს ჩრდილოეთ კორეის მხრიდან სამხრეთ კორეაზე თავდასხმის დროს, სსრკ არ ესწრება უშიშროების საბჭოს სხდომას აშშ-დმი პროტესტის ნიშნად, რომელიც უარს ამბობს კომუნისტური ჩინეთის გაეროში მიღებაზე. უშიშროების საბჭო ჩრდილოეთ კორეის აგრესიის დამგმობელ მრავალ რეზოლუციას იღებს და გაეროს წევრებს სამხრეთ კორეის მხარდაჭერას სთხოვს. აშშ-სა და მის მოკავშირეთა ძალებს გაეროს დროშის ქვეშ ბრძოლის დაწყების უფლება ეძლევათ. ამგვარად, უშიშროების საბჭო მყისიერად ხდება დასავლეთის პოლიტიკური ინსტრუმენტი.

აღნიშნულის საპირისპიროდ, უშიშროების საბჭო უძლურია ვიეტნამის ომის დროს. მას ძალა არ შესწევს დაგმოს საბჭოთა აგრესია უნგრეთში (1956 წ.), ჩეხოსლოვაკიასა (1968 წ.) ან ავღანეთში (1979 წ.), ასევე ერაყის თავდასხმა ირანზე (1980 წ.) ან ბოლო მოუღოს ამ თავდასხმის შემდგომ ომს, რომელიც რვა წელიწადს გაგრძელდა. მიუხედავად ამ უმოქმედობისა, სახელმწიფოები რეგულარულად იკრიბებიან აგრესიის დასაგმობად, „საერთაშორისო თანამეგობრობის“ მობილიზებისთვის, რეგიონული კონფლიქტებისთვის დამახასიათებელი საფრთხეების დრამატიზებისთვის. ხშირ შემთხვევაში, უშიშროების საბჭომ ორაზროვანი პოლიტიკური როლი ითამაშა. ის ამწვავებდა ზოგიერთ საერთაშორისო კრიზისს სახელმწიფოებისთვის ტრიბუნის მინიჭებით, რაც ამ უკანასკნელთ ნაციონალისტური გრძნობების გავრცელების შესაძლებლობას აძლევდა. ამგვარად, მან ავბედითი როლი ითამაშა 1967 წელს შუა აღმოსავლეთში ომის გაჩაღების წინა კვირებში და თავად ომის დასრულების შემდეგ. თუმცა, 1967 წლის ნოემბერში ამ საბჭომ ცნობილი 242-ე რეზოლუცია მიიღო, რომელიც ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან უკანდახვევის პრინციპებსა და ამ რეგიონში მშვიდობის აღდგენას განსაზღვრავდა.

გენერალური მდივნისთვის მეომარ მხარეებთან კონტაქტის დამყარების რეკომენდაციით ან შუამავლობის შეთავაზებით, საგამოძიებო მისიების ადგილზე გაგზავნით, უშიშროების საბჭომ ასევე ხელი შეუწყო ზოგიერთი კონფლიქტის გადაჭრას ან ჩაცხრობას. გაეროს დროშის ქვეშ მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები, რომლებიც მეომარ მხარეებს შორის სუსტად შეიარაღებული ჯარისკაცების განლაგებაში მდგომარეობდა 1956 წლის სუეცის კრიზისის დროიდან დაიწყო და შემდეგ. ხშირად გამოიყენებოდა ახლო აღმოსავლეთში, კონგოსა თუ კვიპროსზე. 1965 წელს უშიშროების საბჭო კვლავ იღებს მანდატს კოლექტიური უსაფრთხოების სფეროში, როდესაც ევროპული უმცირესობა ცავლმხრივად აცხადებს სამხრეთ როდების ბრიტანული კოლონიის დამოუკიდებლობას. დიდი ბრიტანეთის მოთხოვნით, ის ეკონომიკური და ფინანსური სანქციების შემოღებას ადგენს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის ლეგიტიმურობისა და პოლიტიკური პროექტის წინააღმდეგ გაეროს თითქმის ყველა წევრი-ქვეყანა გამოდის.

ცივი ომის დასრულებასთან და საბჭოთა პოლიტიკის ცვლილებასთან ერთად, უშიშროების საბჭო კვლავ ამოქმედებულია ძლიერი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ამ უკანასკნელს საერთაშორისო წესრიგის საკუთარი კონცეფციის დასაცავად იყენებენ და, საჭიროების შემთხვევაში, თავიანთი საგარეო პოლიტიკის ორიენტაციისთვის იმ გავლენის მისაღებად, რომელსაც გაეროს მხარდაჭერა ექნება. ამგვარად, 1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის დროს, ამერიკის მმართველ წრეებს ამ აგრესიის მოგერიება აქვთ გადაწყვეტილი. უშიშროების საბჭო, ძირითადად, ლეგიტიმაციის ინსტანციადაა გამოყენებული, რომლის მხარდაჭერა აუცილებელია. აგრესორი ძლიერია. აშშ-ს არ შეუძლია ერაყის არმიის დამარცხება სხვა სახელმწიფოების ეკონომიკური და სამხედრო დახმარების გარეშე, რომელთაც ასევე სხვადასხვა მიზეზთა გამო გაეროს ჩარჩოში საკუთარი პოზიციის გამოხატვა ესაჭიროებათ. გაეროს შუამავლობით, თეთრი სახლი ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მო-

ბილიზებას ახერხებს შეიარაღებული ინტერვენციის სასარგებლოდ. ამ კონტექსტში, უშიშროების საბჭო ათამდე რეზოლუციას იღებს ერავის წინააღმდეგ კოალიციის ინტერვენციის ლეგიტიმაციისთვის, რომელსაც აშშ უდგას სათავეში. ომის დასასრულს, ის კანონიერად აცხადებს ერავის ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური შეიარაღების პროგრამის განადგურებას გაეროს ექსპერტების კონტროლქვეშ. ამავე დროს, უშიშროების საბჭოს წევრებს შორის ამგვარი ურთიერთგაგება იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით გამონაკლისია. 1999 წელს ნატოში შემავალი ქვეყნები სერბეთს ესხმიან თავს, – როდესაც აშკარა ხდება, რომ მისი მთავრობა „ეთნიკური წმენდის“ პოლიტიკას უჭერს მხარს – უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე, რადგან კარგად იციან, რომ რუსეთი და ჩინეთი ამ ქმედებას ვეტოს დაადებენ. 2003 წელს ამერიკის მთავრობა ასევე უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე თავს ესხმის ერავს, საფრანგეთის მთავრობის ეგიდით წარმოებული მძაფრი დებატის შემდეგ.

ცივი ომის დასრულების დროიდან, უშიშროების საბჭომ მრავალ ე.წ. „მშვიდობის შენარჩუნების“ ოპერაციის განხორციელებას დართო ნება და, ამგვარად, გაერო სხვადასხვა გაუმართლებელ ინტერვენციებში ჩართო, ხშირად არასაკმარისი საშუალებებით. 2004 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვიდმეტამდე ოპერაციას, რომელშიც ჩართული იყო 78 000 სამხედრო და, გარდა ამისა, 15 000 სამოქალაქო პერსონალი. ამგვარად, გაერო სამოქალაქო ომებით გახლეჩილი ზოგიერთი სახელმწიფოს რეკონსტრუქციაში ჩაერთო, სახელდობრ, კამბოჯაში, ანგოლაში, სალვადორსა და მოზამბიკში. მან ასევე შერეულ ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა, – ერთდროულად ჰუმანიტარული და კოლექტიური უსაფრთხოების – , რომლებმაც ფიასკო განიცადა დამაჯერებლობის თვალსაზრისით. ამერიკის მთავრობამ თავისი ჯარისკაცების დაღუპვის შემდეგ მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციაში, რომელიც მან სომალიში სამოქალაქო ომით გამოწვეული შიმშილის დასრულების მოტივით გააჩაღა, ამ ჰუმანიტარული ინტერვენციის შეწყვეტა გადაწყვიტა. 1994 წლის მაისში აშშ-მ განაცხადა, რომ ამგვარი ტიპის ოპერაციების მხარდაჭერას საგრძნობლად შეზღუდავს და მათში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუკი ისინი პირდაპირ შეეხება მის ნაციონალურ ინტერესებს. ამგვარად, გაერომ ვერაფრის გაკეთება შეძლო რუანდაში გენოციდის შესაჩერებლად. ყოფილი იუგოსლავიის ომში აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა უშიშროების საბჭო ამ კონფლიქტში სერიოზულად ჩართვის უარის შესანიღბავად გამოიყენეს. როდესაც ამერიკის მთავრობამ, საბოლოოდ, საომარი მოქმედებების შეწყვეტა გადაწყვიტა მან ნატოს მობილიზება მოახდინა და კიდევ ერთხელ შეარყია გაეროს პოზიცია. 1990 წელს ამ ორგანიზაციის ძალზე სერიოზულმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც გამოწვეული იყო სახელმწიფოების მხრიდან საწევროების გადახდაზე უარის თქმით ან მათი გადახდის უუნარობით, ასევე შეამცირა მისი შესაძლებლობები მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების სფეროში.

3. 2. მრავალმხრივი დიპლომატია

ამავე დროს, საერთაშორისო ორგანიზაციები ინსტიტუციურ ჩარჩოს გვთავაზობენ მრავალმხრივი დიპლომატიური მოლაპარაკებებისთვის. აღნიშნულ ფუნქციას გაეროს ძირითადი ორგანოები და სპეციალიზებული ინსტიტუტები ასრულებენ. მთავრობების წარმომადგენლები რეგულარულად იღებენ მათში მონაწილეობას, ხშირად პრესის თანდასწრებით, ამ ორგანიზაციების კომპეტენციებში შემავალ საკითხებზე. საქმე ეხება განსაკუთრებულ პოლიტიკურ ფორმას, რომელშიც დიპლომატიური საქმიანობა ზოგჯერ პროპაგანდისტულს ერწყმის, ხოლო საჯარო დისკურსებმა შეიძლება აგრესიული ფორმები მიიღოს და ანტაგონისტური პოზიციები გამოკვეთოს ან პირიქით, მომრიგებლური პოზიციებით მოლაპარაკებები გააიოლოს.

ამ მიზნით სახელმწიფოთა უმრავლესობას „მუდმივი მისიები“ ჰყავს მთავარ საერთაშორისო ორგანიზაციებში, გაეროში (ნიუ-იორკი, ჟენევა ან ვენა), UNESCO-ში, OCDE-ში

(პარიზში) და ევროკავშირში (ბრიუსელი). მათ დიპლომატებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ ამ ორგანიზაციების სამდივნოსთან. გაეროს გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოსა და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) წყალობით, პოლიტიკოსები და დიპლომატები ერთმანეთს ხშირად ხვდებიან. ამ უკანასკნელთა გამოსვლებს ოფიციალურ შეხვედრებზე ხშირად, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აღნიშნულ ინსტიტუტებში ან დიპლომატიურ შეხვედრებზე გამოთქმულ აზრებს. „საპარლამენტო დიპლომატიის“ კონცეფცია შემოთავაზებული იქნა იმ შეხვედრების განსასაზღვრად, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოში ან ამ უკანასკნელთა მფარველობის ქვეშ იმართება. ჯონ კაუფმანი ნაშრომში „*Conference Diplomacy*“ („შეხვედრების დიპლომატია“, 1988 წ.) უპირატესობას ანიჭებს „შეხვედრების დიპლომატიის“ ტერმინს, რომელიც ოფიციალური სხდომების ინტეგრირების საშუალებას იძლევა საჯარო სხდომების მიღმა გამართულ შეკრებებთან.

ამ შეხვედრების მიზნები და ფუნქციები სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ ისინი წინ წევენ მოლაპარაკებებს ორმხრივ დიპლომატიურ დემარშებზე დაყრდნობით. მათ განსაკუთრებული გამოყენება აქვთ შეზღუდული დიპლომატიური პერსონალის მქონე ქვეყნებისთვის. როგორც კაუფმანი აღნიშნავს, ეს შეხვედრები შეიძლება განსაზღვრულ თემაზე მსჯელობის ფორუმისთვის გამოიყენონ, ან პირიქით, ზოგადი ხასიათის საკითხს ეხებოდეს. მსგავსი შეხვედრების შედეგად, რეზოლუციები მიიღება უმრავლესობით (კვალიფიციური ან არა) ან ჩვეულებრივ, კონსენსუსით. მართლაც, ეს ტექსტები წარმოადგენს რეკომენდაციებს მთავრობებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და მედიისთვის. ესაა გაეროს გენერალური ასამბლეის წლიური სესიების, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ან UNESCO-ს, FAO-ს, OIT-ის, UIT-ის აღმასრულებელი კომიტეტებისა ან საბჭოების პერიოდული სხდომების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა ასამბლეების შემთხვევა. ამ შეხვედრების მიზანი შეიძლება იყოს რომელიმე ორგანიზაციის სამდივნოსთვის კონტროლის გაწევა ან ორიენტირება, ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება ან საერთაშორისო ინსტიტუტის შექმნა. ამგვარად, საზღვაო სამართალთან დაკავშირებით გამართული შეხვედრები 1958 წელს, 1960 წელს და 1973 წლიდან 1982 წლამდე საბოლოოდ, ხელშეკრულების მიღებით დასრულდა. ასევე, გაეროს გენერალური ასამბლეას ოც წელზე მეტი დასჭირდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ორი პაქტის მოსამზადებლად და დასამტკიცებლად, მაშინ როდესაც OIT-ის ყოველწლიურმა შეხვედრამ მშრომელთა დაცვასთან დაკავშირებული მრავალი საერთაშორისო შეთანხმებები განიხილა და დაამტკიცა. ზოგიერთი საერთაშორისო შეკრების მიზანია უბრალოდ რომელიმე სპეციფიკური საკითხის ანალიზის ჩატარება ექსპერტებს, დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს შორის ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გაერომ გაზარდა დიდი მსოფლიო შეხვედრების რაოდენობა, რომლებიც ეხება კვების (რომი, 1992 წ.) გარემოს (რიო დე ჟანეირო, 1992 წ.), ადამიანის უფლებების დაცვის (ვენა, 1993 წ.), მოსახლეობის (კაირო, 1994 წ.), სოციალური საქმეების (კოპენჰაგენი, 1995 წ.), ქალების პრობლემებსა (ბეიჯინგი, 1995 წ.) და ბინათმშენებლობის (სტამბოლი, 1996 წ.) საკითხებს.

ეს შეხვედრები წარსულთან შედარებით უფრო მშვიდ გარემოში ჩატარდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ანტაგონიზმების დასრულებისა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების თითქმის საყოველთაო მიღების გამო. ამავე დროს, მათი საბოლოო რეკომენდაციები მაგიური მითითებების გრძელ ჩამონათვალს წააგავს, რომელთაც მთავრობები ყურად არ იღებენ ან მათი დაცვა არ შეუძლიათ იმდენად, რამდენადაც გაეროსა და სპეციალიზებული სააგენტოების ფინანსური რესურსები უმნიშვნელოა დიპლომატებისა და ექსპერტების მიერ გაცხადებული მიზნების განსახორციელებლად. თუმცა, ასევე შეიძლება ამ შეხვედრების შედეგების პოზიტიური ფორმით გაანალიზება, რადგან მათ სააშკარაოზე გამოაქვთ საზოგა-

დოკუმენტების მომავალთან დაკავშირებული უმწვავესი პრობლემები. ამ თვალსაზრისით, ისინი საზოგადოებრივ აზრსა და მთავრობებს ორიენტირის სთავაზობენ.

OCDE-ს მაგალითი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან მასში შემავალ-მა 29 სახელმწიფომ ის „საერთაშორისო შეხვედრების მუდმივ სესიად“ გადააქცია. მთელი წლის განმავლობაში, პარიზში მიუეტის კოშკში განლაგებული ეს ორგანიზაცია მინისტრებს, დიპლომატებსა და ექსპერტებს შორის შეკრებების ადგილია, რომლის დროსაც იხილება მისი წევრების საჯარო პოლიტიკა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. ამგვარად, ეკონომიკური სიტუაციებისა და განვითარების პრობლემების განხილვის კომიტეტი „დაპირისპირებებს“ მართავს, რის შედეგადაც წევრ-სახელმწიფოებს შეხედულებები-სა და კრიტიკის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა ეძლევათ.

OCDE-ს უმაღლეს ორგანოს საბჭო წარმოადგენს, რომელიც თითოეული ქვეყნის წარ-მომადგენლისგანაა შემდგარი ელჩის რანგში. საბჭოს სესიები გენერალური მდივნის თავმ-ჯდომარეობით მიმდინარეობს, პრინციპში, კვირაში ერთხელ. ყოველ წელს ის მინისტრთა დონეზე იკრიბება. საბჭო კონსენსუსის წესის თანახმად ფუნქციონირებს და შემზღვეველი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება ან რეკომენდაციების მიცემა შეუძლია. სწო-რედ საბჭო განსაზღვრავს 150-მდე სპეციალიზებული კომიტეტის მუშაობას, რომელიც დაკა-ვეებულია ისეთი სფეროებით, როგორცაა ეკონომიკური პოლიტიკა, დახმარება განვითარე-ბისთვის, ვაჭრობა, კაპიტალბრუნვა და ფარული ტრანსაქციები, სადაზღვევო კომპანიები, ფისკალური საკითხები, ტურიზმი, საზღვაო ტრანსპორტი, საერთაშორისო ინვესტიციები და მულტინაციონალური საწარმოები, განათლება, სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგია, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, ნარჩენი მასალები ან გარემოს დაცვა. OCDE-ს ჩარჩოში შეიქმნა მრავალი ავტონომიური ან ნახევრად ავტონომიური ორგანო საკუთარი მმართველი კომიტეტით, როგორცაა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, ატომური ენერჯის სააგენტო, განვითარების ცენტრი, საჰელის კლუბი, სწავლების კვლევისა და ინოვაციის ცენტრი. ამგვარად, OCDE-ი თავისი ფუნქციონირებით და შემოთავაზებული მომსახურე-ბით მისი წევრი – სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალ დონეს ასახავს.

3. 3. ჩარევის პრობლემატიკა

1991 წლის 29 ივნისს ევროპის თანამეგობრობის მინისტრთა საბჭომ მიიღო რეზოლუ-ცია, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვა, ისევე როგორც რეალურად დემოკრატიული ინსტიტუტების არსებო-ბა განვითარების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ ამიერიდან ადამიანის უფლებების დაცვის ცხოვრებაში გატარება ევროპული თანამშრომ-ლობის და თანამეგობრობასა და სხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ერთ-ერთი საფუძველი გახდება. სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით, საფრანგეთის მთავრობამ პასუ-ხისმგებლობა აიღო ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნის მხარდაჭერის საქმეში იმ სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩარევის უფლებასთან დაკავშირებით, რომლე-ბიც მასობრივად არღვევენ ზოგიერთ ჰუმანიტარულ პრინციპს. სპარსეთის ყურის ომის და-სასრულს, გაეროს უსაფრთხოების საბჭომ 1991 წლის 5 აპრილის 688-ე რეზოლუციის თა-ნახმად, ერაყს ქურთი უმცირესობის წინააღმდეგ რეპრესიების დაუყოვნებლივი შეწყვეტა და მის ტერიტორიაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების შესვლა მოთხოვა ქურთი მოსახლეობის დასახმარებლად. უშიშროების საბჭომ ყველა სახელმწიფოს და ჰუმა-ნიტარულ ორგანიზაციას ამ ძალისხმევაში მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდა. აღნიშნუ-ლი რეზოლუციის შემდეგ, აშშ-მ ქურთი მოსახლეობის დასახმარებლად ერაყში 13 000 კაცი შეიყვანა.

ჰუმანიტარული მიზნებით ამგვარი ჩარევა ზოგჯერ კითხვის ქვეშ აყენებს ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპს; ისინი ვინც საფრანგეთის მთავრობის შიგნით ამ პრინციპს იშველიებენ და ამისათვის ემოციური და ნაციონალისტური რეგისტრის მობილიზებას ახდენენ, გარკვეულწილად, იმ გამართლებებს აცოცხლებენ, რომლებითაც XIX საუკუნეში დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოები თავიანთ „ჰუმანურ ინტერვენციებს“ ანხორციელებდნენ „ბერბერთა“ სახელმწიფოების წინააღმდეგ. გაეროს გენერალური მდივანი, კოფი ანანი სუვერენიტეტის გარშემო გამართულ დებატში გარკვეულობის შეტანას შეეცადა. 1999 წლის გენერალური ასამბლეის სესიის გახსნისას მან დამსწრეთ შეახსენა, რომ „სახელმწიფო ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით“. რუანდის მაგალითზე დაყრდნობით, მან დასძინა, რომ არსებობს ადამიანის უფლებათა მასობრივი და სისტემატური შელახვის დასრულების იმპერატიული მოთხოვნა, რომლის ჰუმანიტარული შედეგები სავალალოა. ანანმა ასევე ახსენა კრიტიკული სიტუაციები სიერა ლეონეში, სუდანში, ანგოლაში, ბალკანეთზე, კამბოჯასა და ავღანეთში. ამ ქვეყნების ხალხები არ უნდა სარგებლობდნენ მხოლოდ გაეროს წევრი-ქვეყნების თანაგრძნობით; მათ გარე მხარდაჭერა ესაჭიროებათ ძალადობის ციკლის დასასრულებლად. ამავე დროს, ახლო მომავალში ნაკლებად შესაძლებელად წარმოჩნდება გაეროს ჩარჩოში იმგვარი მექანიზმის შექმნა, რომელიც საკმარისი მიუკერძოებლობისა და ეფექტურობის გარანტიებს მოგვცემს რომელიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფარგლებში ხალხის უფლებების აღდგენისთვის გამიზნული ჩარევის გასამართლებლად. თუმცა, გაეროს შექმნის მესამოცე წლისთავთან დაკავშირებული უმაღლესი დონის შეხვედრაზე, გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა, საჭიროების შემთხვევაში, იძულებითი ხასიათის კოლექტიური ქმედების პრინციპს გენოციდის, ეთნიკური წმენდის, ომის დანაშაულებათა ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი საშინელებების მსხვერპლი მოსახლეობის დასაცავად.

4. სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა

გაეროს და ბრეტონ ვუდსის სისტემის ინსტიტუტები ასევე აქტიური არიან თავიანთი წევრი-სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური მომავლის მოწყობაში. ისინი ავრცელებენ განვითარების მოდელებს, ხელს უწყობენ ამ მიზნით რესურსებით უზრუნველყოფას, ცდილობენ მსოფლიო დონეზე კაპიტალის გავრცელებით გამოწვეული კრიზისების მართვასა და საერთაშორისო ვაჭრობის წარმართველი წესების განსაზღვრას. 1970-იანი წლებიდან ამ ინსტიტუტებს მიეცათ მანდატები, რომლებიც მიზნად ისახავს ბუნების ინტენსიური ექსპლუატაციიდან მომდინარე ნეგატიური შედეგების შემცირებას, სახელდობრ, დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფისა და ბიომრავალფეროვნების ეროზიის შემცირებას. ისინი მუშაობენ ასევე დემოგრაფიულ და მიგრაციულ პოლიტიკაზე და ამ სფეროს სტატისტიკურ ანალიზს კრიტერიუმების შემუშავებით ავსებენ.

4. 1. ეკონომიკური და სოციალური განვითარება

განვითარების პოლისემიური კონცეფცია ასევე ლეგიტიმაციის ფართო სპექტრს წარმოადგენს, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზის ყველა აქტორი იყენებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროში უპირატესობა აქვს იმ კონცეფციებს, რომლებიც ახლოს დგას ძირითად სამრეწველო ქვეყნებში გავრცელებულ იდეებთან. სწორედ აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში გაჩნდა ეკონომიკისა და განვითარების სოციოლოგიის ძირითადი თეორიები. თავიანთ იდეოლოგიურ ვერსიაში, ამ თეორიებს ეყრდნობიან, როგორც ისტორიის მნიშვნელობაზე საწყისი ცოდნის საფუძველს. ამავე დროს, როგორც წინა ნაწილში ავლნიშნეთ, განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებმა, თავდაპირველად, ლათინური ამერიკის ქვეყნებისა, გაერო ძალზე ადრე გამოიყენეს მსოფლიო რეგიონებს შორის ეკონომიკური რესურსების

უფრო სამართლიანი გადანაწილების მოთხოვნისთვის. გაერომ, შემდეგ კი ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებმა და გაერთიანებული ერების სისტემამ მთლიანობაში, წამყვანი როლი შეასრულეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების იდეალების გავრცელებაში, განსახორციელებელი პოლიტიკის კონცეპტუალიზაციაში, ღარიბი ქვეყნებისთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების პროგრამების განსაზღვრაში.

4 1. 1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი განვითარების პოლიტიკებში

მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან აშშ და სსრკ სხვადასხვა დონით კოლონიური ტერიტორიების დამოუკიდებლობის პროცესში ერთვებიან ამ ქვეყნებში თავის მხრივ, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული დასწრების მიზნით. ამისათვის ისინი გაეროში ეკონომიკური ზრდის იდეოლოგიის გავრცელებას ააქტიურებენ, რომელიც პოლიტიკური დამოუკიდებლობის სინონიმია. მაშინ როდესაც სსრკ მხარს უჭერს ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინას, აშშ ლიბერალურ პრინციპს იცავს, რომლის თანახმად, განვითარება პირველ რიგში, საერთაშორისო ვაჭრობიდან მომდინარე კაპიტალის აკუმულირებაში მდგომარეობს და დამატებით, ტექნიკური დახმარებიდან და სამრეწველო ქვეყნების მხრიდან გაღებული შეღავათიანი სესხებიდან. 1949 წლის იანვარში პრეზიდენტი ტრუმენი აშშ-ის კონგრესის წინაშე თავისი გამოსვლის მე-4 პუნქტში გვთავაზობს, „ჩამორჩენილი“ ხალხების „ტანჯვის შემსუბუქებას“ ამ უკანასკნელთა განკარგულებაში აშშ-ის „ტექნიკური ცოდნის“ გადაცემით, კერძო „კაპიტალის ინვესტირების“ მხარდაჭერითა და საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულირებით.

4. 1. 1. 1. ტექნიკური დახმარება

1949 წელსვე ეს ინიციატივა გაეროში 20 მილიონი დოლარის ბიუჯეტის მქონე ტექნიკური დახმარების გაწევის გაეროს გაფართოებული პროგრამის (EPTA) შექმნაში გამოიხატა, – სასაცილო თანხა 14 მილიარდამდე დოლართან შედარებით (დღევანდელი კურსით, დაახლოებით 170 მილიარდი დოლარი), რომელიც აშშ-მ ძირითადად ჩუქების ფორმით ევროპულ ქვეყნებს გადასცა მარშალის გეგმის ჩარჩოში 1948-1951 წლებში. აღნიშნულით უკმაყოფილო სამხრეთის ქვეყნებმა გაეროს ეკონომიკური განვითარების სპეციალური ფონდის (SUNFED) შექმნა მოითხოვეს, რომელიც საერთაშორისო ბანკით იფუნქციონირებდა და უფრო შეღავათიან სესხებს გასცემდა რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (ფრანგ. BIRD; ინგლ. EBRD) შედარებით. ამავე დროს, აშშ დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა გაეროსთვის ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებისთვის მინიჭებული კომპეტენციების გადაცემას, რომელთაც ის აკონტროლებდა და რომლებშიც სსრკ არ მონაწილეობდა. კომპრომისი 1958 წელს სპეციალური ფონდის შექმნით მოინახა. თუკი EPTA მცირე ტექნიკურ პროექტებს აფინანსებს, რომლებიც მდგომარეობს ექსპერტების გაგზავნაში, სასწავლო სტიპენდიების მინიჭებასა და სემინარების ორგანიზებაში, სპეციალური ფონდი ანალოგიური ხასიათის, მაგრამ საშუალო მასშტაბისა და უფრო გრძელვადიანი ტექნიკური პროგრამების მომზადებას უწყობს ხელს, რომლებშიც შეიძლება აღჭურვილობით უზრუნველყოფაც შედიოდეს. თუმცა, ფიქსირებული კაპიტალის ინვესტიციები მხოლოდ რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კომპეტენციაში რჩება. 1966 წელს EPTA და სპეციალური ფონდი გაეროს განვითარების პროგრამის შესაქმნელად ერთიანდება, რომელსაც შემდგომში შევეხებით.

მთელი ამ პერიოდის მანძილზე, გაეროს მოუწოდებდნენ თეორიული და კონკრეტული წინადადებების ჩამოყალიბებისკენ ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მომავლის გასაუმჯობესებლად. გაეროს ინსტიტუტებში შემუშავებული ძირითადი დოქტრინების ევოლუცია ასევე ეკონომიკურ ლიბერალიზმსა და ეკონომიკურ ნაციონა-

ლიზმს შორის დაპირისპირებას ასახავს, რომელთაგან თითოეულმა მეტ-ნაკლები გავლენა იქონია პოლიტიკური გარემოებების მიხედვით. 1960-იანი წლების ბოლომდე კეინსის შეხედულებები ფართოდ დომინირებს გაეროს კომპეტენტურ ორგანოებში ან ამ უკანასკნელთა მიერ შეკვეთილ ნაშრომებში. კლასიკური ეკონომიკის ძირეულად კითხვის ქვეშ დაყენების გარეშე, ეს დისკურსი ხაზს უსვამს ბაზრის დეფიციტს, სიმყიდვესა და ბლოკირებას, რომელსაც სამხრეთის ქვეყნები აწყდებიან, და დაგეგმარების, სახელმწიფოს სისტემატური ჩარევის, სამრეწველო ქვეყნების ტექნიკური და ფინანსური დახმარების თანმხლებ დადებით მახასიათებლებს. ამგვარად, 1949 წელს გაეროს ექსპერტების პირველი ანგარიში ჰაიტის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, ამ ქვეყნის მთავრობას „ეროვნული რესურსებისა და განვითარების საბჭოს“ შექმნის რეკომენდაციას აძლევს, „მოქმედების ხაზის უწყვეტობისთვის ნაციონალური საჭიროებების დასადგენად და განვითარების მიზნებისა და ამოცანების ჩამოსაყალიბებლად, საფინანსო და საბიუჯეტო პოლიტიკის სფეროში რჩევების მისაცემად, კომპეტენტური ეკონომიკური და ტექნიკური კვლევების უზრუნველსაყოფად, ობიექტური ფორმით პრიორიტეტული რიგის პროექტების განსასაზღვრავად, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის წინსვლა და ახალი საქმიანობების მხარდაჭერა მრეწველობისა და ხელოსნობის დარგში, ქვეყნის რესურსების გამოყენება, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სწრაფი განვითარება, სანიტარული პირობების გაუმჯობესება და ფუნდამენტური განათლების ხელშეწყობა, – მოკლედ, ერის კეთილდღეობა“ (*ONU, Mission en Haiti, New York, juillet 1949, II. B. 2, p.8*). 1950 წელს ექსპერტთა მეორე ანგარიში (რომელთა შორის ფიგურირებს შემდგომში ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურიატის, არტურ ლევისის სახელი) უფრო ზოგადად, ყურადღებას ამახვილებს „ზომების მიღებაზე არასაკმარისად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის“. ეს ანგარიში ზემოთ აღნიშნულ შეხედულებებს იზიარებს, მაგრამ უფრო დიდ აქცენტს მრეწველობაზე და დაგეგმარებაზე აკეთებს. ის წამყვან სამრეწველო ქვეყნებს მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის რეკომენდაციას აძლევს.

4. 1. 1. 2. გაეროს რეზოლუციები

1961 წელს სამხრეთის ქვეყნების „ეკონომიკური გაჯანსაღების“ იმპერატიულ მოთხოვნას, გაეროში პათეთიკური ხასიათის გამოსვლები მოჰყვა, რამაც რეზოლუციების ნაჩქარევად მიღება გამოიწვია, – არსისა და იურიდიული თვალსაზრისით. ამავე წელს 17 ქვეყანა, მათ შორის 16 აფრიკული, გაეროს წევრი გახდა. გენერალური ასამბლეის მეთექვსმეტე სესიის მიმდინარეობისას პრეზიდენტი კენედი ამ მოვლენის აღსანიშნავად განვითარების ათწლეულის გამოცხადების წინადადებით გამოვიდა. რადგან იმ დროს აშშ გაეროში „ავტომატურ უმრავლესობას“ აკონტროლებდა, კომისიის მუშაობა რეზოლუციის პროექტზე, თითქმის მთლიანად საბაზრო ეკონომიკის მქონე სამრეწველო ქვეყნების კონცეფციებით იყო დომინირებული. მართლაც, შემუშავებული ტექსტი კლასიკური ეკონომიკის და ახალი ინსტიტუციური სკოლის ორმაგი ნიშნით აღინიშნა, სახელდობრ, უოლტ როსტოუს მიერ წარმოდგენილით. კლასიკოსების ძლიერი გავლენა ძირითად მითითებაში აისახა, რომელიც ეკონომიკურ ზრდას საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულად განიხილავდა. „ბაზრების გაფართოების“ მიმართულებით სვლა „განვითარებად ქვეყნებს“ „ეკონომიკური განვითარების დიდი ნაწილის დაფინანსების შესაძლებლობას მისცემს სავალუტო შენატანისა და შიდა დანაზოგის წყალობით“. ინსტიტუციური კონცეფციების გავლენა იმ დებულებებშია ასახული, რომლებიც სამრეწველო ქვეყნებს, „როგორც სახელმწიფო, ისე კერძო“ რესურსების მოდინების გაზრდას ავალდებულებს, იმ შემთხვევაშიც, თუკი ტექსტი ხაზს უსვამს, რომ ეს ტრანსფერი „ორმხრივად მისაღები პირობებით“ უნდა განხორციელდეს, ხოლო კერძო ინვესტიციებთან დაკავშირებით „დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს, როგორც ექსპორტიორი,

ისე კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნებისთვის:“ მთლიანობაში, ეკონომიკური ზრდა უნდა ეფუძნებოდეს, როგორც ბაზარს, ისე სახელმწიფო სექტორს, ნაწილობრივ საგარეო ვაჭრობით მოპოვებულ შემოსავლებს, ნაწილობრივ ფინანსური რესურსების და ტექნოლოგიების იმპორტს, რიგ შემთხვევებში კი სასოფლო სამეურნეო სპეციალიზაციას და წარმოების დივერსიფიკაციას (რეზოლუცია 1710 [XVII]).

თუმცა, აღნიშნული ზომების გამოყენების სავალალო შედეგები მალევე გახდა შესამჩნევი. კაპიტალის სუფთა ტრანსფერები სრულიად არ აღწევს სავარაუდო ნორმას ვალის გადახდის მომსახურების და კერძო ინვესტიციების მოგების უცხოეთში (მფლობელის სამშობლოში) გადარიცხვის საპირისპირო ნაკადის მუდმივი ზრდის გამო. ინსტიტუციური სკოლის ექსპერტებს, მათ შორის რობერტ ჯეკსონს, ჯენ ტინბერგენს და ლესტერ პირსონს, ახალი ზომების შემუშავება დაევალათ. 1964 წელს შექმნილი გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (ფრანგ. CNUCED; ინგლ. UNCTAD), რომელიც უკვე ვახსენეთ, განვითარებადი ქვეყნებისთვის ფორუმის როლს თამაშობს და ამ მოსამზადებელ სამუშაოებთან მჭიდროდაა დაკავშირებული. გაეროში ახალი სახელმწიფოების მზარდ მიღებას, ავტომატური უმრავლესობის დაკარგვას, რომლითაც აშშ გენერალურ ასამბლეაში სარგებლობდა, საბოლოოდ, 1970 წლის 24 ოქტომბერს კონსენსუსის გზით, ახალი რეზოლუციის მიღება და, გაეროს განვითარების მეორე ათწლეულის გამოცხადება მოჰყვა.

აღნიშნულ რეზოლუციაში, რომელიც ეკონომიკური ნაციონალიზმის დებულებების დიდ გავლენას განიცდის, გამოთქმულია შემოფთება საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებებთან დაკავშირებით. ის შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომელთა მიზანია არაადეკვატურად და უსამართლოდ მიჩნეული საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურების შეცვლა. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებულ დებულებებში იკითხება, რომლებიც მისაღები ზომების ზოგადი პოლიტიკის სათავეშია. ეს დებულებები თითქმის მთლიანად ლისტის დოქტრინის გავლენის ქვეშაა: სამრეწველო ქვეყნებისთვის თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს დაძაბულობაში ამყოფონ ფერმერები, ქარხნების მეპატრონეები და კომერსანტები; განვითარებადი ქვეყნებისთვის სავაჭრო შეზღუდვები, რაც ხელს შეუწყობს სამრეწველო ბაზისის შექმნას უცხოური კონკურენციის პირობებში. ამ თვალსაზრისით, მიზანი მდგომარეობს პრეფერენციული მიდგომის პრაქტიკის საერთო სისტემად ტრანსფორმირებაში, რომლის შესახებ მოლაპარაკებები გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ფარგლებში გაიმართა (2626 [XXV], §32 და §36). რეზოლუცია ასევე ცდილობს კენისის სწავლების ტრანსნაციონალიზაციას, „თითოეული ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისთვის“ რეკომენდებულია კაპიტალის ტრანსფერების განხორციელება „მინიმუმ 1%-ის ფარგლებში“ და „განვითარებისთვის ოფიციალური დახმარების“ იმგვარად გაზრდა, რომ მან „ბაზრის ფასთან მიმართებაში თავისი მთლიანი ეროვნული პროდუქტის 0,70%-ს“ მიაღწიოს (ibid., §42-§43). სამრეწველო ქვეყნებს „დახმარების პირობების შერბილების და ჰარმონიზაციისკენ“ მოუწოდებენ, შესაძლებლობის ფარგლებში, უარის თქმას ამ დახმარების მათთან დაკავშირებაზე (ე. ი. სესხების ფონდების გამოყენება იმ ქვეყნის საქონლისა და მომსახურების შესასყიდად, საიდანაც ისინი მომდინარეობენ) და, გრძელვადიანი სესხების უფრო შეღავათიანი პირობებით გაცემას (§44-§47). განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო დახმარების პირობები სამრეწველო ქვეყნების უმრავლესობას ბევრ სირთულეს უქმნის.

გაეროს რეზოლუციები უფრო რადიკალურ ხასიათს ატარებს OPEP-ის¹⁴ წევრი-ქვეყნების ცალმხრივი გადაწყვეტილების სასარგებლოდ, ნავთობის ფასის გაოთხმაგებასთან დაკავშირებით, ახლო აღმოსავლეთში 1973 წლის ომის კონტექსტში. გაეროს გენერალუ-

14 ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია.

რი ასამბლეის მეექვსე საგანგებო სესია დაუყოვნებლივ შეიკრიბა და 1974 წლის 1 მაისს კონსენსუსის შედეგად, ორი რეზოლუცია მიიღო: ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის (ფრანგ. NOEL; ინგლ. NIEO) დამყარებასთან დაკავშირებული დეკლარაცია და მისი სამოქმედო პროგრამა (რეზოლუციები 3201 [S-VI] და 3202 [S-VI]). ამ რეზოლუციების მიღების თარიღი სიმბოლურია: ეს დოკუმენტები ძირითადად, ალჟირისა და მექსიკის პრეზიდენტების, ირანის შაჰისა და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის გენერალური მდივნის მიერაა მომზადებული და ე. წ. „მესამე სამყაროს სინდიკალიზმის“ გამონატვას ცდილობს.

აღნიშნულის მიზანია „მზარდი უფსკრულის მოსპობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.“ ამ მიზნით მოწონებული პოლიტიკები უფრო განსხვავებული ფორმით ეწერება გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ნაციონალიზმის მიმართულებაში. სამრეწველო ქვეყნებს მოუწოდებენ „ყველა ძალისხმევის“ გაღებას „პრეფერენციების გავრცელებული სისტემის გამოყენების, გაუმჯობესებისა და გაფართოებისთვის“; „განვითარებადი ქვეყნებიდან მომავალი იმპორტის ზრდისა და ხელშეწყობისთვის“; „ახალი სამრეწველო შესაძლებლობების გაფართოებისთვის“; „სახელმწიფო დახმარების წილის გაზრდისთვის ამ ქვეყნებისთვის გადარიცხულ ფულად ტრანსფერებში.“ ამას ემატება საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის შეცვლისკენ მიმართული ახალი მოთხოვნები და, პირველ რიგში, „საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე და ეკონომიკურ საქმიანობაზე, თითოელი სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის“ აღიარება. ეჭვგარეშეა, რომ ეს დებულება ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინის ყველაზე რადიკალური გარღვევაა გაეროში მომზადებულ დოკუმენტში, – „საკუთრების ნაციონალიზაციის ან გადაცემის უფლება მოქალაქეებისთვის“; სახელდობრ, მულტინაციონალური კომპანიების აქტივებისა (3201, §3 e). ეს კომპანიები „კონტროლის“ ობიექტი უნდა გახდნენ „იმ ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესაჩერებლად, რომლებშიც ისინი მოქმედებენ“ და ასევე, „რეგლამენტირებისა“, რაც შეეხება მოგების სამშობლოში გატანას“ (3201, § 3 g; 3202 V a).

სამრეწველო ქვეყნის მიერ ამ დებულებებისადმი გამოვლენილი თავშეკავება, განსაკუთრებით კი მულტინაციონალური კომპანიების აქტივების ნაციონალიზაციის და ნედლეულის მწარმოებელთა კარტელიზაციის მიმართ, ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის პროგრამის ჩაშლის აშკარა ნებაზე მიგვითითებს. მეშვიდე საგანგებო სესიის მსვლელობისას ამერიკის წარმომადგენელი სახელმწიფო მდივნის, კისინჯერის მიერ მომზადებული სიტყვით გამოდის. დასაწყისშივე, ეს გამოსვლა კითხვის ქვეშ აყენებს ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დოქტრინას: „ისტორიამ უხეში ნაციონალიზმის მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც ამ საუკუნეში ერთი თაობის მანძილზე დისკრედიტირებული იქნა თავისი სასტიკი ექსცესებით და აშკარა უუნარობით ჩვენი ეპოქის ეკონომიკურ საჭიროებებთან მიმართებაში. ეკონომიკა გლობალურია.“ ეკონომიკურ ნაციონალიზმსა და ჰიტლერის მიერ შორის გაკეთებული პარალელი, მიზნად ისახავს იმ პოლიტიკის დისკრედიტაციას, რომელიც ძირეულად კითხვის ქვეშ აყენებს ლიბერალურ წესებზე დაფუძნებულ კეთილდღეობას მაშინ, როდესაც ეს პოლიტიკა სრულიად ჰგავს იმ პოლიტიკას (ჩვენ უკვე აღნიშნეთ წინა ნაწილში), რომელსაც აშშ XVIII და XIX საუკუნეებში ატარებდა. აღნიშნულის საპასუხოდ, კისინჯერი შემხვედრი წინადადებით, „განვითარების ეფექტურ სტრატეგიას“ აყალიბებს, რომელიც „ხუთ ძირითად სფეროზეა“ ფოკუსირებული. პირველ ყოვლისა, საჭიროა „ფუნდამენტური ეკონომიკური უსაფრთხოების“ უზრუნველყოფა, რომელიც საკვების ნაკლებობისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შემსუბუქებაში მდგომარეობს. მეორე, მნიშვნელოვანია „განვითარებადი ქვეყნებისთვის კაპიტალის ბაზრებზე“ უფრო ფართო შეღწევის შესაძლებლობის მიცემა. მესამე, მართებულია აღნიშნული ქვეყნებისთვის საგარეო ვაჭრობით შემოსავლების მიღების შესაძლებლობის მიცემა „დახმარების გამოყენების ნაცვლად“. მეოთხე, წასახალისებელია სპეციალიზაცია „ვაჭრობის და ინვესტიციების პირობების

გაუმჯობესებით საბაზო პროდუქციისთვის, რომელზეც მრავალი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაა დამოკიდებული.“ მეხუთე, აუცილებელია „ყველაზე ღარიბი ქვეყნების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება“. აღნიშნულის მიზანია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მყისიერი გაქრობა და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის არსებულ მდგომარეობაში შენარჩუნება (გაერო, *გენერალური ასამბლეა, ოფიციალური დოკუმენტები: პლენარული სხდომები*, მეშვიდე საგანგებო სესიის სპეციალური კომისია, 1975 წლის 1 სექტემბერი).

გაეროს შიგნით „მესამე სამყაროს“ გამოცოცხლება ხანმოკლე აღმოჩნდა. ის ჩაცხრა ხუთი წლის შემდეგ, 1979 წლის ნავთობთან დაკავშირებული შოკის მიზეზით. ნავთობის დამუშავების გაზრდის გამო „77-ის ჯგუფის“ წევრებმა, – განვითარებადი ქვეყნების მიერ გაეროში ჩამოყალიბებული კომიტეტის აღმნიშვნელი ტერმინი ეკონომიკური მოლაპარაკებების დროს – საკუთარ სირთულეებში OPEP-ს უფრო მეტი პასუხისმგებლობა დააკისრეს, ვიდრე სამრეწველო სახელმწიფოებს. სამხრეთ-სამხრეთის სოლიდარობა გაგრძელდება. სწორედ ეს გამომდინარეობს 1980 წლის 5 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული განვითარების საერთაშორისო სტრატეგიიდან, გაეროს განვითარების მესამე ათწლეულისთვის. აღნიშნული სტრატეგიის პირველივე წაკითხვა გვაფიქრებინებს, რომ ყველა ბრძოლა, რომლის გამართვასაც ის აპირებს, წაგებული იქნება. ზოგჯერ დეკადანსს განსაზღვრავენ, როგორც უძლურობის ფორმას, რომელიც თავშესაფარს კოლექტიურ ესკალაცი-აში პოულობს. აღნიშნულს ყველაზე უკეთ ეს ტექსტი ასახავს, რომლის დიდი მოცულობა მის არსს საკამათოს ხდის, ხოლო ეკონომიკური ლიბერალიზმის და ეკონომიკური ნაციონალიზმის წესები ერთმანეთს ქაოტურად ერწყმის, რითაც ერთიანი ქმედების ყველა შესაძლებლობას სპობს.

1980-იანი წლების დასაწყისში დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში კონსერვატორული რეჟიმების ჩამოყალიბება, დავალიანების კრიზისის აფეთქება და სსრკ-ს დაშლა, უმნიშვნელოვანესი მოვლენები იყო, რომელთაც აღნიშნული ათწლეულის განმავლობაში ნეოკლასიკური დოქტრინის აღდგენას შეუწყო ხელი თავად გაეროში. ამის შემდეგ, გაეროს დიდი მოცულობის ტექსტი არ მოუშადავია. 1990 წელს მიღებული გაეროს განვითარების მცირე მოცულობის დოკუმენტი 38 მუხლს შეიცავს, რომელიც მთლიანად „აზრთა თანხვედრას“ ეძღვნება ბაზრის ეფექტურობასთან დაკავშირებით (A/RES/S-18/3). ამგვარად, აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა, საბოლოოდ, მიაღწიეს იდეოლოგიური კონტროლის აღდგენას გაეროს ინსტიტუტებზე. ამიერიდან ამ ქვეყნებს დიდი სირთულის გარეშე შეუძლიათ აღნიშნული ინსტიტუტების გამოყენება თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონცეფციების ცხოვრებაში გასატარებლად. 1990 წლიდან დღემდე, განვითარების დომინანტური დოქტრინები მერყეობს კანონიკურ წესებსა, – მსოფლიო ბანკის მიერ მოწონებული – და, გაეროს განვითარების პროგრამით წინ წამოწეულ კონცეფციებს შორის.

4. 1. 1. 3. გაეროს განვითარების პროგრამის საქმიანობა და ადამიანური რესურსების განვითარების ინდიკატორი

1990 წელს ასევე გამოქვეყნდა გაეროს განვითარების პროგრამის (ფრანგ. PNUD; ინგლ. UNDP) პირველი მსოფლიო ანგარიში ადამიანური რესურსების განვითარების შესახებ. ამ ინსტიტუტმა გარკვეული წარმატებით აჩვენა განვითარების სფეროში ინტელექტუალური ექსპერტიზის განხორციელების ამბიცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ამოცანა სრულიად არ შედიოდა მის პირველად კომპეტენციაში. რას წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება? „პროცესი, რომელიც ინდივიდებისთვის შემოთავაზებული შესაძლებლობების სპექტრს აფართოებს“ (1990 წლის ადამიანური რესურსების განვითარების მსოფლიო ანგარიში, გვ. 1). პირველი ანგარიშიდანვე, გაეროს განვითარების პროგრამა ცდილობს „ადა-

მიანური რესურსების განვითარების ინდიკატორის“ (IDH) შემუშავებას, რომელიც ეფუძნება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, წერა-კითხვის პროცენტულ მაჩვენებელს და „ცხოვრების შესაფერისი დონისთვის აუცილებელი რესურსების მისაწვდომობას“. ამგვარად, საქმე ეხება კომპოზიტურ ინდიკატორს, რომელიც ქვეყნების განვითარებას ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლებისა და შემოსავლების სამი კრიტერიუმით ზომავს. ტრადიციული ინსტრუმენტების ამ ალტერნატივამ, რომელიც განვითარებას მხოლოდ შემოსავლის შესაბამისად აფასებს, აღნიშნულ პროგრამას იმის მტკიცების შესაძლებლობა მისცა, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა „მნიშვნელოვანი პროგრესი“ განიცადეს. მან ასევე კლასიფიკაციები შემოგვთავაზა, რომლებშიც ჩანს, რომ განსხვავებები ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის „საგრძობლად შემცირდა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში“ (ibid., გვ. 47).

მართლაც, გაეროს განვითარების პროგრამის ყოველწლიურ ანგარიშში გაცხადებული კარგი ახალი ამბავი მდგომარეობს განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში IDH-ის¹⁵ გაუმჯობესებაში, აფრიკის საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნების გამოკლებით. თუკი ყველა საზოგადოებაში შემოსავლების ზრდა არ აღნიშნულა, სამაგიეროდ, მათ უმრავლესობაში მოხდა სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლის მატება, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, სკოლაში სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა და შედეგად, წერა-კითხვის უცოდინართა კლება. 1970-1975 წლებში და 2000-2005 წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი განვითარებად ქვეყნებში, 55 წლიდან 65 წლამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის პროცენტი შემცირდა, და 1 000 ახალშობილზე 88-ს მიაღწია 2003 წელს, 167-ის საპირისპიროდ 1970 წელს. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ 1950 წელს სამხრეთის ქვეყნების ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ მესამედს შეეძლო წერა-კითხვა, ამ პროპორციამ 2003 წელს 76%-ს, ხოლო სწავლების საერთო პროცენტმა (დაწყებითი სწავლებიდან უმაღლესამდე) დაახლოებით 63%-ს მიაღწია (2005 წლის ადამიანური რესურსების განვითარების მსოფლიო ანგარიში).

ამავე დროს, ცუდი ამბავი მდგომარეობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პოლარიზაციის მუდმივობასა და გაღრმავებაშიც კი, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს შორის. გაეროს განვითარების პროგრამის მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის მეხუთედი (6 მილიარდ ადამიანზე მეტი), დღეში ერთ დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს, ხოლო 850 მილიონი საკვების ნაკლებობას განიცდის. განსხვავება იზრდება ყველაზე მდიდარი ქვეყნების საშუალო მოქალაქეების შემოსავლებსა და ყველაზე ღარიბი ქვეყნების მოქალაქეების შემოსავლებს შორის. ამგვარად, 2000 წლის პირველ ნახევარში, საშუალო ამერიკელის შემოსავალი 61-ჯერ აღემატებოდა ტანზანიის მოქალაქისას, რაც 62%-იან ზრდას შეესაბამებდა 1990 წელს იგივე განსხვავებასთან მიმართებაში. 2004 წელს 115 მილიონი ბავშვი სკოლაში არ დადიოდა, რომელთა 89% საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში და სამხრეთ აზიაში ცხოვრობდა. თუკი აფრიკის საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში სასკოლო კურსის ხანგრძლივობა სავარაუდოდ 7 წელია, ის 16 წელს აღწევს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. მსყიდველობითი უნარის მიხედვით გამოანგარიშებული ჯანმრთელობის ხარჯები ერთ მცხოვრებზე, 78 დოლარს შეადგენს დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, რომლებშიც რისკები ყველაზე მაღალია, OCDE-ს მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების 3 000 დოლარზე მეტის საპირისპიროდ, სადაც რისკები ყველაზე დაბალია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის განსხვავება ქვეყნების ამ ორ კატეგორიას შორის დაახლოებით, 19 წელია. რეგრესიის დამატებითი ფაქტორია შიდა პანდემიის კატასტროფული გავრცელება. სავარაუდოდ, შიდა დავადებულ ადამიანთა

15 ადამიანური რესურსების განვითარების ინდიკატორი

რაოდენობა 38 მილიონია, რომელთა შორისაც, 25 მილიონი (65%) აფრიკის საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ცხოვრობს. 2004 წელს შიდსისგან 3 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, რომელთაგან 70% აფრიკის მცხოვრები იყო.

გარდა ამისა, თავად სახელმწიფოების შიგნით განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის ზოგადად, ღრმავდება. მაგალითად, ბრაზილიის მთლიანი შიდა პროდუქტი მას „გარდამავალი შემოსავლების მქონე“ ქვეყნებს შორის აყენებს. ამავე დროს, მისი ნაციონალური სიმდიდრე ცუდათაა გადანაწილებული, რადგან ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ს 60-ჯერ მაღალი შემოსავალი აქვს ყველაზე ღარიბი მოსახლეობის 10%-ის საპირისპიროდ და, ნაციონალური სიმდიდრის 47%-ს მოიხმარს, მეორის 0,7%-ის საპირისპიროდ. გაეროს განვითარების პროგრამას მეორე მაგალითად პერუ მოჰყავს: ამ ქვეყანაში მოსახლეობის 40%-ს ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 13%-ზე მიუწვდება ხელი. სამრეწველო ქვეყნებში ასევე შეიმჩნევა დამლუპველი ევოლუცია პაუპერიზმის გაღრმავებით, რომელმაც 1980-იან წლებში იჩინა თავი. მართლაც, წინა ნაწილში აღნიშნულმა „რესტრუქტურაციებმა“ უმუშევრობა გაამწვავა და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სექტორების მარგინალიზაცია გამოიწვია. აღნიშნული განსაკუთრებით აშშ-ში შეიმჩნევა, სადაც დიდი მასშტაბის სოციალურმა პრობლემებმა იჩინა თავი, რისი დადასტურებაცაა ქალაქებში სიღარიბისა და უსახლკარო ადამიანთა რაოდენობის ზრდა, ისევე როგორც ციხეში მყოფ ადამიანთა წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა. ეს ხდება რეჟიმში, რომელიც თავისუფლების დამცველად აცხადებს თავს მთელ მსოფლიოში.

გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშები ხან საქებარია, ხან კი დამგმობი. მათ არ დაჰყავთ განვითარების პრობლემატიკა მხოლოდ ფინანსურ ღირებულებებამდე და, დასაბუთებულ შედარებებს აკეთებენ სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებების მასშტაბზე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რაც აღნიშნული ანგარიშების აშკარა დამსახურებაა. ამ ანგარიშების გავლენით მიღებული მიღწეების დეკლარაცია, რომელსაც 147 სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურმა მოაწერა ხელი 2000 წლის სექტემბერში, ასევე, მათი წარმატების აღმნიშვნელია. კერძოდ, ამ რეზოლუციის მიზანია უკიდურეს სიღარიბეში, შიმშილსა და უწყლობაში მცხოვრები მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ნახევრამდე დაყვანა; მსოფლიოს ყველა ბავშვისთვის სკოლაში სწავლის შესაძლებლობის მიცემა; სამი მეოთხედით დედების სიკვდილიანობის, და ორი მესამედით ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, დღეისათვის არსებულ მაჩვენებელთან მიმართებაში; შიდსის გავრცელების შეჩერება და სხვა მძიმე ინფექციური დაავადებების მკურნალობა. ამ მიზნების განხორციელების ვადა 2015 წლამდეა დადგენილი (A/55/L2). საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ სპეციალისტს, რომელსაც შესწავლილი აქვს გაეროს პათეთიკური კონვენციები, შეუძლია ამ ამბიციური პროექტის მარცხი იწინასწარმეტყველოს, – ნაწილობრივ მაინც.

რა მდგომარეობაშია გაეროს განვითარების პროგრამით განხორციელებული კონკრეტული საქმიანობა? მისი ხელმძღვანელის მიერ მომზადებული 2001 წლის ანგარიშის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ მთლიანი რესურსების მხოლოდ 60%-ზე ოდნავ მეტი გამოიყენეს ადგილზე პროგრამის ასამოქმედებლად. ლათინურმა ამერიკამ და კარიბის კუნძულებმა აღნიშნულის 60% მოიპოვა, აფრიკაში 13%-ისა და აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში 12%-ის საპირისპიროდ. ეს ციფრები გამოაგნებელია გაეროს განვითარების პროგრამით დადგენილ საგანგაშო სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციასთან მიმართებაში, აფრიკის საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში. ასევე, სრული უფლებით შეიძლება დაისვას შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პირადაპირ სარგებლობს სამხრეთის მოსახლეობა ამ რესურსებით, როდესაც 35% საერთაშორისო ექსპერტებს მოხმარდა, 30% ქვეიჯარის კონტრაქტებს, 19% აღჭურვას, 10% კი განათლებას (DP/2002/15/Add.2). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს განვითარების პროგრამის განკარგულებაში არსებული ფონდები ყოველთვის შეზღუდული იყო, მიუხედავად მათი საგრძნობი ზრდისა უკანასკნელ წლებში.

2004 წელს ჩვეულებრივი რესურსები, ე. ი. დონორ სახელმწიფოთა დახმარებები 800 მილიონს შეადგენდა. თუკი ამას დავამატებთ თანადაფინანსებას და ბენეფიციარი ქვეყნების მიერ ავანსით მიღებულ ადგილობრივ რესურსებს, მივიღებთ 4 მილიარდზე ნაკლებს, – მართებულია ამ ციფრს პარალელურად დავუპირისპიროთ, ამავე წელს მსოფლიო ბანკის მიერ 14, 6 მილიარდის მეტ-ნაკლებად შეღავათიანი ხასიათის სესხების გაცემა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი 96 მილიარდი კრედიტების სახით, და კერძო სექტორის მიერ გაღებული 136 მილიარდი, ბაზრის პროცენტის სესხების სახით (PNUD, *Rapport Annuel*, 2005).

4. 1. 2. ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების გავლენა

უკვე მრავალჯერ აღინიშნა, რომ ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებს, კერძოდ კი მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში გააჩნია რესურსები და ავტონომია, რომელიც გაეროს რესურსებს ბევრად აღემატება. ეს სიტუაცია იმითაა აღსანიშნავი, რომ ამ ინსტიტუტების ძირითადი მანდატი არ ითვალისწინებს განვითარებად ქვეყნებთან მუშაობას.

4. 1. 2. 1. მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საერთაშორისო განვითარების რეჟიმი

საბაზო ინსტიტუტი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (ფრანგ. BIRD; ინგლ. IBRD), ამერიკის მთავრობამ 1944 წელს საერთაშორისო ლიკვიდური აქტივების ნაკლებობის გამოსასწორებლად დააფუძნა, რის წინაშეც ყველა ევროპული ქვეყანა დადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მართლაც, ამგვარი სიტუაცია აშშ-თვის ქარმწარმოების რისკს შეიცავდა. საქმე ეხებოდა სესხების მრავალმხრივი მექანიზმის შემოღებას, რომლის ფუნქციაც იქნებოდა არა კერძო საფინანსო სექტორის შენაცვლება ან მისთვის კონკურენციის გაწევა, არამედ მისი დახმარება, როგორც ამას შემდგომში ვნახავთ. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, ისევე როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ოფიციალურ ინსტიტუტებად მოიხსენიებენ, რადგან მათი „აქციონერები“ სახელმწიფოებია. თითოეულ წევრ-ქვეყანას ორგანიზაციაში შენატანი (ან წილი FMI-ში) აქვს, რომელიც ეკონომიკური სიძლიერის მიხედვითაა გამოთვლილი და, ხმათა იმ რაოდენობას განსაზღვრავს, რომელიც მას მმართველ ორგანოებში ექნება (დირექტორთა საბჭო, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. ამ საბჭოს აქვს ინსტიტუტის ორიენტაციის ძირითადი არჩევანის გადაწყვეტის, წევრების მიღების ან წევრი-ქვეყნების უფლებამოსილებების შეჩერების და ხელმისაწვდომ კაპიტალში ცვლილებების შეტანის უფლება. მმართველთა საბჭოს პასუხისმგებლობა აკისრია მიმდინარე საქმეების ყოველდღიურ შესრულებაზე და კომერციული ოპერაციების მართვაზე). მმართველთა საბჭოს ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს პრეზიდენტს (ან FMI-ის გენერალურ დირექტორს), რომელსაც ხუთწლიანი განახლებადი მანდატით ირჩევენ.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დაფუძნებისას გადაწყდა, რომ წევრმა-სახელმწიფოებმა დადგინონ კაპიტალის მხოლოდ 20% უნდა შემოიტანონ, სალდოს კი მოითხოვენ ბანკის სირთულეების წინაშე აღმოჩნის შემთხვევაში. რესურსების შესავსებად, ამ ბანკს თავისი საქმიანობის დასაწყისშივე, სესხი უნდა აეღო კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე. ის იწყებს ობლიგაციების გამოშვებას, რომლებიც ინსტიტუტის გადახდისუნარიანობის გამო მოგებას იღებს. ამის შედეგად, ბანკის მიერ კრედიტორებისთვის გადახდილი პროცენტი მცირდება, იმგვარად, რომ მას თავის მხრივ, სესხების გაცემა შეუძლია შედარებით დაბალი პროცენტებით (6 და 8%-ს შორის), რომელიც მის საკომისიო ანაზღაურებასაც (1%-დან 1,5%-მდე) მოიცავს. ამ ბანკის შუამავლობით უმაღლესი რისკის

მატარებელ სახელმწიფოებს კრედიტების მიღება პრეფერენციული პროცენტებით და ვალის გრძელვადიანი გადახდით შეუძლიათ.

როგორც ავლნიშნეთ, ეს მექანიზმი არასაკმარისი აღმოჩნდა დოლარის უკმარისობის (dollar shortage) პირისპირ ომით გაჩანაგებული ევროპული ქვეყნებისთვის, იმგვარად, რომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი მაშინვე მარშალის გეგმით შეცვალეს. 1950-იან წლებში მან თავისი საქმიანობა სამხრეთის ქვეყნებისკენ მიმართა, გარკვეული პირობების წარდგენით ფონდების გამოსაყოფად. მსესხებელი სახელმწიფოს წლიური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მცხოვრებზე 675 და 8 356 დოლარს შორის უნდა მერყეობდეს. ბანკი მსესხებელ სახელმწიფოს ავალდებულებს იმის დამტკიცებას, რომ მან კაპიტალის ბაზარზე ვერ შეძლო რესურსების მოპოვება მისაღები პირობებით. ამ სახელმწიფოს ასევე ევალება იმ სამუშაოების საჭიროების და განხორციელების უნარის დამტკიცება, რისთვისაც ეს ფონდებია განკუთვნილი ე. წ. პროექტის ციკლის პროცესში მონაწილეობით. ეს ციკლი მოიცავს მიმართულების განსაზღვრის ფაზას, რომელშიც ბანკი აქტიურადაა ჩართული, მომზადების ფაზას (ერთიდან ორ წლამდე გრძელდება), ბანკის პერსონალის მიერ ჩატარებულ განხილვის ფაზას (სამიდან ექვს თვემდე) და მოლაპარაკების ფაზას სესხის გაცემისა და გეგმების ამოქმედების თაობაზე (ერთიდან ორ თვემდე). ამის შემდეგ, პროექტი მმართველთა საბჭოს აპრობაციისთვის გადაეცემა. ნებისმიერი სესხი გაცივმა მხოლოდ ქვეყნის მიერ თანხმობაზე ხელმოწერის შემდეგ. ამგვარი სესხი საკონტრაქტო ვალდებულებას ექვემდებარება მთავრობის მხრიდან, რომლის მიხედვით, ეს უკანსკნელი მთლიანი მისაცემი თანხის გადახდის გარანტიას იძლევა, – ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტები. ამ მხრივ, ბანკი პირველი რანგის კრედიტორის სტატუსით სარგებლობს. ეს ნიშნავს, რომ თუკი მსესხებელი სახელმწიფო სირთულეების წინაშე აღმოჩნდება თავის ვალდებულებებთან მიმართებაში, მან პირველ რიგში, ამ ბანკს უნდა გადაუხადოს და, არა სხვა კრედიტორებს. ციკლის შემდგომი ეტაპები პროექტის ამოქმედებასა და კონტროლში მდგომარეობს, რომელზეც პასუხისმგებლობა მსესხებელ სახელმწიფოს უბრუნდება. ამავე დროს, ბანკი შეძენებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს აკონტროლებს და ამტკიცებს. ბანკის მიერ მიღებული შედეგების შეფასება ბოლო ფაზაა და ყველა ფონდის დახარჯვის შემდეგ ხორციელდება.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი არის არა მხოლოდ სათავო ინსტიტუტი, არამედ მსოფლიო ბანკის ძირითადი ჯგუფის მთავარი ინსტიტუტი. 2005 წელს ამ ბანკის შექმნის დღიდან გაღებული სესხების მოცულობამ 407 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამავე დროს, 1960 წელს აფრიკის მრავალი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, გადაწყდა ბანკთან გაერთიანებული ახალი ორგანოს, განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) შექმნა, რომლის კომპეტენციაში შედის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის ((PMA) სესხების გაცემა, – ამ უკანსკნელთა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე 675 დოლარზე ნაკლებია. ეს ინსტიტუტი კრედიტს ნულოვანი პროცენტით გამოყოფს 35-დან 40 წლამდე, მომსახურების ღირებულების გამოკლებით (0,75%) და ვალის დაფარვის ათწლიანი გადავადებით. მისი რესურსები ძირითადად, სამრეწველო ქვეყნების ნებაყოფლობითი შენატანებიდან მომდინარეობს, რომელიც საშუალოდ, ყოველ სამ წელიწადში უნდა განახლდეს. 1960 წლიდან 2005 წლამდე, ამ ინსტიტუტის მიერ მიღებულმა ჯამურმა ვალდებულებებმა 161 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2000 წლის დასაწყისში განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ წელიწადში საშუალოდ, 6,5 მილიარდი დოლარი დახარჯა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ გამოყოფილი 11,5 მილიარდის საპირისპიროდ.

ასევე შეიქმნა სამი სხვა ინსტიტუტი. 1956 წელს დაარსებული საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (ფრანგ. SFI; ინგლ. IFC)) სპეციალიზაციას წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში დაფუძნებული იმ კომპანიების კაპიტალში მონაწილეობის მიღება, რომლებ-

საც ინვესტორები ძალზე სარისკოდ მიიჩნევენ; მას ასევე შეუძლია ამ უკანასკნელთათვის გრძელვადიანი სესხების გაცემა თითქმის საბაზრო პირობებით, სხვა ფინანსურ შუამავლებთან სესხის გარანტირება ან რჩევების მიცემა. 2005 წელს ჩადებული ფასიანი ქალაქების პორტფელმა ამ კორპორაციის შექმნის დღიდან, 24,6 მილიარდ დოლარს მიაღწია. 1966 დაფუძნებული ინვესტიციებთან დაკავშირებული უთანხმოებების რეგულირების საერთაშორისო ცენტრის (ფრანგ. CIRDI; ინგლ. ICSD) მოვალეობაში შედის სამხრეთის ქვეყნებში პროდუქტიული უცხოური ინვესტიციების წახალისება, მორიგების ან არბიტრაჟის სამსახურის შეთავაზებით. დაბოლოს, 1988 წელს შექმნილი საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (AMGI), უცხოელ ინვესტორებს გარანტიებს აძლევს არაკომერციულ რისკებთან დაკავშირებული დანაკარგების წინააღმდეგ, როგორცაა ექსპროპრიაცია, ვალუტის არაკონვერტირებადობა, ტრანსფერების შემცირება, შეიარაღებული კონფლიქტები ან სამოქალაქო აშლილობა. 2005 წლამდე, ამ სააგენტოს მიერ გაცემული გარანტიების ჯამი დაახლოებით, 14, 7 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მთლიანობაში, მსოფლიო ბანკის ჯგუფის მთავარი მიზანია კაპიტალის გავრცელების ხელშეწყობა იმ რეგიონებში, რომლებშიც დავალიანების გადახდა, ისევე როგორც პირდაპირი პროდუქტიული ინვესტიციების უსაფრთხოება, შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს. როგორც მრავალჯერ ავლნიშნეთ, ეს ორგანო ასევე აქტიურია განვითარების დოქტრინების შემუშავებაში, რომლებიც მისი სესხების გამოყოფას განსაზღვრავს. ამ დოქტრინებმა ცვლილებები განიცადა, რაც ოთხ მნიშვნელოვან პერიოდს შეესატყვისება.

1945 წლიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე, მსოფლიო ბანკი დაბალანსებული ზრდის დოქტრინას ემხრობა. ამ პერსპექტივაში, განვითარება უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურის დიდ პროექტებში ინვესტირებით, რომელიც ხელსაყრელი პირობების შექმნას შეძლებს პირდაპირი პროდუქტიული ინვესტიციებისთვის ან მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში ფონდების მესამედი ენერგეტიკის სექტორზე დაიხარჯა, მეორე მესამედი ტრანსპორტს, ხოლო დანარჩენი სოფლის მეურნეობას და მრეწველობას მოხმარდა.

1970-იან წლებში, როდესაც გაეროში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რესტრუქტურირების საკითხი დგება, მსოფლიო ბანკი, მაკნამარას ხელმძღვანელობით (1968-1981 წწ.), თავისი ფონდების ნაწილის რეორიენტაციას წყვეტს ე. წ. ძირითადი საჭიროებების პროგრამებისკენ, რომელიც სოფლის მეურნეობის, განათლების და ჯანდაცვის სექტორითაა წარმოდგენილი. თეორიულად, საქმე ეხება გაღებული რესურსების უფრო ფართო დისტრიბუციას; პრაქტიკაში, ეს სტრატეგია ასევე მიზნად ისახავს ეკონომიკური ნაციონალიზმის დამარცხებას და ჩამორჩენილობაზე პასუხისმგებლობის დაკისრებას სამხრეთის ქვეყნების მმართველებისთვის, რომლებსაც ბრალს დებენ, – ხშირად, მართებულად – რომ ისინი სათანადოდ არ ზრუნავენ საკუთარი მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

1980 წლიდან 1990-მდე პერიოდი ტრადიციულ ლიბერალიზმზე მსოფლიო ბანკის დაბრუნებით აღინიშნა, მაკნამარას მიერ შემოღებული კეინსისეული შუალედის შემდეგ. თეთრ სახლში რეიგანის მოსვლა ბანკის სამსახურების ეტაპობრივ რეორგანიზაციაში გამოიხატა, რის შედეგადაც, ჩიკაგოს სკოლის წესებით შთაგონებული ეკონომისტთა ახალი თაობა ძველ გუნდს ცვლის. 1980-იანი წლების „ძირითადი საჭიროებების“ პერიოდის ოცდაჩვიდმეტიდან ოცდაცხრა დირექტორი, თავის თანამდებობებს ტოვებს. ამიერიდან, მსოფლიო ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს დავალიანების კრიზისის მართვაში, და მასთან დაკავშირებულ ქვეყნებში ლიბერალური სულისკვეთების სტრუქტურული რეგულირების პროგრამების განხორციელების სტიმულირებით, რომელთაც შემდგომში დავუბრუნდებით. ათწლეულის განმავლობაში იზრდება მსოფლიო ბანკის

გადარიცხვები რეგულირებისა და პრივატიზაციის სფეროში ფასიანი რჩევებისა და დახმარების ჩართვით.

1995 წელს მსოფლიო ბანკის სათავეში ჯეიმს ვოლფენსონის მოსვლამ დოქტრინას საქმიანობის რამდენიმე ახალი თემა შეჰმატა, რომელიც ძირითადად, მყარად ლიბერალური მიმართულებისაა. მოვალეობების შედგომისთანავე, ახალმა პრეზიდენტმა თავისი მისწრაფება გამოხატა სოციალურ პროგრამებში პარტნიორების რანგში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩასართავად. ასევე გაიზარდა ბანკის კრედიტების პორტფელი ეკოლოგიური პროექტების სასარგებლოდ. ეს მიდგომა მომდინარეობს ლოგიკიდან, რომელიც ცდილობს ეკონომიკური ეფექტურობის ძიების (ადგილზე დელოკალიზაციით და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან პარტნიორობით) გაერთიანებას ინსტიტუტის იმიჯის გაუმჯობესების სტრატეგიასთან, რომელიც 1980-იან წლებში საკმაოდ შეილახა. ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვან საქმედ რჩება რენტაბელურად მიჩნეული საჯარო სექტორების სტრუქტურული რეგულირებისა და პრივატიზაციის პოლიტიკის გაგრძელება. სწორედ ამ კონტექსტში უნდა გავიგოთ მსოფლიო ბანკის დაჟინება „მთავრობის გარეშე კარგი მმართველობის გამოყენებასთან“ დაკავშირებით. ეს ტერმინი, ამ ინსტიტუტის თვალთახედვით, აღნიშნავს იმგვარი სამართლებრივი და პოლიტიკური პირობების შექმნას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება კერძო უცხოური ინვესტიციებისთვის გარანტიების უზრუნველყოფა და მათი პროცესში ჩართვა. 1990-იანი წლების განმავლობაში ამ ბანკის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ევოლუცია მდგომარეობს სახელმწიფო სექტორის რეფორმისთვის რჩევებისა და დახმარებისთვის თანხების გამოყოფა. ის ასევე ცდილობს საბაზო სამსახურების ნაწილობრივ პრივატიზაციას, კერძოდ, წყლით მომარაგების სამსახურის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს „სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლას“. ბაზრისთვის მართვის გადაცემა და გარკვეული უსაფრთხოების შექმნა, რომელიც ნაწილობრივ ქველმოქმედებითაა დაფინანსებული იქ, სადაც ბაზარი არ არსებობს, – ამგვარია, ერთი სიტყვით, ვოლფენსონის დოქტრინის პირველი ფუნდამენტური ნაბიჯები.

4. 1. 2. 2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო დავალიანების სისტემა

ბრეტონ ვუდსის შეთანხმებებით შეიქმნა ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემა და აიკრძალა კონკურენტუნარიანი დევალვაციები. საჭირო გახდა ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც სახელმწიფოებს საკუთარი ვალუტის პარიტეტის დაცვის საშუალებას მისცემდა, ანგარიშსწორების ბალანსის დროებითი სირთულეების შემთხვევაში, და ამ უკანასკნელთა რესურსების აღდგენას ან იმპორტის სფეროს რეგლამენტირებას უფრო მაღალი ანგარიშსწორებით, სხვა გამოსავლის არქონის შემთხვევაში. ამ მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ფრანგ. FMI; ინგლ. IMF) კოოპერატივის მსგავსად ფუნქციონირებს. თითოეულ ქვეყანას თავისი წილი შეაქვს ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით, რომლის 25% ოქროთი ან მიღებული საერთაშორისო ვალუტითაა გადახდილი, ხოლო სამი მეოთხედი ეროვნული ვალუტით. თითოეული სახელმწიფოს წილის თანხა მნიშვნელოვანია, რადგან როგორც აღინიშნა, ის ერთდროულად განსაზღვრავს მის განკარგულებაში არსებულ ხმებსა და, ასევე, ჩეკების შესაძლებელი გაცემის მოცულობას.

როდესაც რომელიმე სახელმწიფო ამ ფონდში წევრიანდება, მისი ცენტრალური ბანკი აღნიშნულ ორგანოს ანგარიშს უხსნის და, მას თანხის კრედიტს აძლევს თავისი ხელმოწერით. ამგვარად, ფონდი, რომლის განკარგულებაშია ყველა ეროვნული ვალუტის გარკვეული რაოდენობა, ბროკერის მსგავსად ფუნქციონირებს. ფონდის პირველადი მისიაა წევრი-ქვეყნებისთვის ვალუტის მიღების შესაძლებლობის მიცემა, რომელიც ამ უკანასკნელთა ანგარიშსწორებისთვის ესაჭიროებათ. თითოეული სახელმწიფო, რომელიც ამ ფონდს მიმართავს იმ ვალუტის ან "საბანკო ჩეკების" ყიდვას იწყებს, რომელსაც თავად არ უშვებს. სა-

ბანკო ჩეკების ეს ოპერაციები „ტრანშებით“ ხორციელდება და თითოეული მათგანი წილის 25%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია განსხვავება გაკეთდეს ე. წ. სარეზერვო ტრანშის საბანკო ჩეკების გაცემასა და ე. წ. ჩვეულებრივი კრედიტების ტრანშებს შორის. სარეზერვო ტრანში შეესატყვისება ხელმოწერილი თანხის მეოთხედს ოქროთი ან კონვერტირებადი ვალუტით. წევრ-სახელმწიფოებს თავისუფლად შეუძლიათ ამ ტრანშის მიღება, როგორც კი ისინი მხოლოდ ანგარიშზე შეტანილი საკუთარი სარეზერვო აქტივების მობილიზებას ახდენენ. ამავე დროს, როდესაც ეს სახელმწიფოები ჩეკების გაცემას ანხორციელებენ, რომელიც მათ სარეზერვო ტრანშს აღემატება, ისინი ფონდის დებიტორები ხდებიან, რადგან მიღებული სესხიდან დარჩენილი ნაწილის 75% ეროვნული ვალუტით იყო გადახდილი. წევრ-სახელმწიფოებს შეუძლიათ ჩვეულებრივი კრედიტის ტრანშების მიღება საკუთარი წილის 100%-ის ფარგლებში, ოთხი წლიური კრედიტის გამოყენებით, რომელიც მათი სესხის ხელმოწერის 25%-ს შეადგენს.

ტექნიკურად ოპერაცია swop-ში მდგომარეობს, ე. ი. ნაღდი მყარი ვალუტის შესყიდვამი (მაგალითად, დოლარი) ეროვნული ვალუტის მაგივრად. ქვეყანა, რომელიც წელიწადში ჩვეულებრივი კრედიტის ოთხ ჩეკს მიიღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდს თავისი წილის 100%-ის ეკვივალენტურ თანხას გადაუხდის ეროვნული ვალუტით. მიღებული ვალუტის გამო ის ფონდის დებიტორი გახდება და ეტაპობრივად, ეს თანხა უნდა დააბრუნოს საკუთარი ვალუტის შესყიდვით, იქამდე ვიდრე, მისი წილი საწყისს არ დაუბრუნდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩეკების გაცემას მკაცრი პირობებით, უფრო დიდი ტრანშებით, უზრუნველყოფს და, მას ბენეფიციარი ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკას უსადაგებს. ის, ასევე, პროცენტებსა და საკომისიოებს ახდევინებს გამოყენებულ რესურსებზე და საზღაურს უხდის იმ ქვეყნებს, რომელთა ვალუტასაც იყენებს (L'Heriteau, 1986; Lenain, 2002).

ე. წ. ჩვეულებრივ კრედიტებთან დაკავშირებული შეღავათები არასაკმარისი აღმოჩნდა იმ კოლოსალური სირთულეების პირისპირ, რომელთა წინაშეც ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა დადგა 1970-იანი წლებიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ასევე ეტაპობრივად ე. წ. სპეციალური შეღავათები ამოქმედა, რომლებიც ხელმისაწვდომობის ზღვარს ზრდის და გადახდის ვადებს ახანგრძლივებს, უფრო მკაცრი პირობების და დამატებითი საკომისიოების სანაცვლოდ. 1974 წელს მომზადებული შეთანხმებით გათვალისწინებულია კრედიტების გაცემის უფრო ფართო მექანიზმის შემოღება, რომელიც წევრ-სახელმწიფოებს საკუთარი წილის 300%-ის გამოყენების უფლებას აძლევს, ვალის გადახდის ათწლიანი ვადით. 1997 წელს შექმნილ დამატებით რეზერვს, რომელიც აზიის კრიზისსა და, ზოგადად, საფინანსო ბაზრებზე ნდობის კრიზისთან გასამკლავებლად დაფუძნდა, ხელმისაწვდომობისთვის არანაირი ზღვარი არა აქვს, მაგრამ ვალის დაბრუნება ორ წელიწადნახევრის განმავლობაში უნდა მოხდეს. იგივე ხდება 1999 წელს შექმნილი პრევენციული კრედიტის შემთხვევაშიც, რომლის მიზანია წევრი-ქვეყნების ხელშეწყობა ფინანსური კრიზისის გაღრმავების შესაჩერებლად. სიღარიბის შემცირებისთვის გამოყოფილი სესხების დაბალი პროცენტები და შეზღუდული დაშვება იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც შიდა ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 895 დოლარზე ნაკლებია, შესაძლებელს ხდის ჩეკების გაცემას წილის 180%-მდე, რომლის გადახდაც 10 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს. აღნიშნულიც ასევე, 1999 წელს შემოიღეს.

ეფექტურობის კუთხით, საერთაშორისო სავალუტო ფონდს გარდა ამისა, რეზერვების ასიგნება შეუძლია. ამ მიზნით მან აქტივი შექმნა, – ე. წ. სპეციალური ჩეკების გაცემის უფლებები (DTS) – , რომელიც ანგარიშსწორების ერთეულია და მისი ღირებულება ყოველდღიურად განისაზღვრება დოლარის, ევროს, იენისა და გირვანქა სტერლინგის საშუალო ღირებულების საფუძველზე. წევრი-ქვეყნების რეზერვების გასაზრდელად, ამ ფონდმა DTS-ის ორი საერთო ასიგნება განახორციელა, პირველი 1970 წელს 9,3 მილიარდი ოდენობის, და

მეორე, 1981 წელს 12,1 მილიარდი ლირებულების, რამაც DTS-ის მთლიანი რეზერვები 21,4 მილიარდამდე გაზარდა. თანხის ასიგნების გადაწყვეტილება კენჭისყრის 85%-ის უმრავლესობით უნდა დამტკიცდეს აშშ-ს, რომელსაც ხმების 17,3% აქვს, ვეტოს გამოყენება შეუძლია და სწორედ ამ მიზეზის გამო, დაგროვილი ასიგნებების გაორმაგების წინადადება ყოველთვის მიზანს არ აღწევს, მიუხედავად იმისა, რომ 39 ქვეყანა – ძირითადად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის – საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაწევრიანდა, მათ DTS-ი არასდროს მიუღიათ.

ამ ფონდს ასევე, ზოგიერთი სახელმწიფოსგან რესურსების შესწება შეუძლია კრედიტის მექანიზმების გასაფართოებლად. 1962 წლიდან მის განკარგულებაშია სესხის აღების საერთო შეთანხმებებზე წოდებული საკრედიტო ხაზი (AGE), რაც ამ უკანასკნელს საბაზრო პროცენტებით DTS-ის 17 მილიარდამდე სესხის აღების შესაძლებლობას აძლევს (დაახლოებით 29 მილიარდი აშშ დოლარი), ათიანის ჯგუფში გაერთიანებული ყველაზე მდიდარი წევრი ქვეყნებისგან. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკვე ათჯერ გამოიყენა ეს საკრედიტო ხაზი. 1995 წლის მექსიკის კრიზისის შემდეგ, სესხის აღების ახალი შეთანხმებები (NAE) დაიდო, რომლებიც 25 ქვეყანასთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხის აღების შესაძლებლობას აორმაგებს. აღნიშნული პირველად 1998 წლის დეკემბერში გამოიყენეს ბრაზილიასთან დადებული შეთანხმების დასაფინანსებლად.

ამგვარად, დაისმის კითხვა: რა სასწაულით მოახერხა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, ამ საბირჟო ბროკერმა, მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ აქტორად გახდომა, რომელსაც კერძო ინვესტიორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე გავლენის მოხდენა შეუძლია ე. წ. სამხრეთის ქვეყნებისთვის კრედიტების გასაცემად და, იმავედროულად, ამ უკანასკნელთათვის მაკროეკონომიკური პოლიტიკის თავს მოხვევა უმნიშვნელოვანესი სოციალური შედეგებით? პასუხი უნდა ვეძებოთ საერთაშორისო დავალიანების სისტემის ეტაპობრივ ჩამოყალიბებაში და, ამ კუთხით, ამ ინსტიტუტის მიერ საკუთარ თავზე აღებულ ნორმატიულ როლში.

ამ ფონდის შექმნიდან სამი ათწლეულის განმავლობაში მისი რესურსები ძირითადად, სამრეწველო ქვეყნების მიერ იყო მობილიზებული საკუთარი პარიტეტის დასაცავად ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემის ფარგლებში ან სპეკულაციური თავდასხმებისგან თავის დასაცავად. ამავე დროს, 1971 წელს ბრეტონ ვუდსის სისტემის დაშლასთან, და შემდგომში ვალუტის კურსის საერთო რყევასთან ერთად, აღნიშნული ფონდის საჭიროება მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო ქვეყნებისთვის იმდენად, რომ ეს უკანასკნელნი საკუთარი თავის დასაფინანსებლად კაპიტალის ბაზრებზე სესხის აღებას იწყებენ. 1973 წლის ნავთობის კრიზისით გამოწვეულმა შოკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდს ახალი როლის თამაშის, და აღრინდელთან შედარებით უპრეცედენტო ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობა მისცა. მართლაც, ბრუტოს ფასის გაოთხმაგება 1973 წლის არაბეთ-ისრაელის ომის დასასრულიდან, ნავთობის იმპორტიორი განვითარებადი ქვეყნების ანგარიშსწორების ბალანსის მასობრივ დეფიციტს იწვევს. სამაგიეროდ, ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები დიდ მოგებას იღებენ მყარი ვალუტით, რომლის შთანთქმასაც მათი ეკონომიკა ვერ ახერხებს, რადგან ამ უკანასკნელთა ინვესტირების შესაძლებლობები შეზღუდულია. ეს ქვეყნები თავიანთ რეზერვებს ამერიკისა და ევროპის ბანკებში ათავსებენ, რომლებიც ცდილობენ მათ რეინვესტირებას სამხრეთის ქვეყნებიდან მომავალი კრედიტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ ფენომენს „ნავთობდოლარის განმეორებით ცირკულაციას“ უწოდებენ. ამგვარად, სწრაფად გროვდება სამხრეთის ქვეყნების სახელმწიფო ვალი, – კომერციული ბანკებისგან მსესხებელი მთავრობები, რომლებიც ზოგჯერ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი დიდი საწარმოებისთვის კრედიტების გაცემის გარანტიები ხდებიან. 1970 წელს ყველა განვითარებადი ქვეყნის გადაუხდელი სახელმწიფო ვალი 45 მილიარდ დოლარს შეადგენდა, საიდანაც კერძო კრედიტორებზე ამ ვალის მხოლოდ 27% მოდიოდა. 1980 წელს ამ დავალი-

ანებამ დაახლოებით 339 მილიარდი შეადგინა, საიდანაც 55% კერძო სექტორის მიერ იყო გამოყოფილი (WORLD BANK, *Global Development Finance*, 2005).

ამავე დროს, დაბანდების დიდი რაოდენობა არაპროდუქტიულად წარმოჩნდება, როდესაც ისინი გამოყენებულია ნაკლებად რენტაბელური საწარმოებისთვის, მოცემული ქვეყნების საჭიროებებთან ხშირად არაადაპტირებული ინფრასტრუქტურისთვის, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ხელოვნური ზრდისთვის, სამხედრო ხარჯების მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთი დებიტორი ქვეყნის მმართველი კლასების კორუფცია ნასესხები კაპიტალის მნიშვნელოვან გადინებას იწვევს. ამგვარად, ხშირად ადგილი ჰქონდა გაცემული კრედიტების უკანონო ხელახალ მითვისებას ნაკლებად წესიერი მმართველების მიერ, რომლებიც მათ ამერიკის ან ევროპის ბანკებში ათავსებდნენ. ეს უკანასკნელნი პირველ ხანებში, უარს არ ამბობდნენ კრედიტების ფარგლებში მიღებული თანხების მიღებაზე. ამ მხრივ, ყველაზე სავალალო მაგალითია ზაირის ყოფილი პრეზიდენტის, მობუტუს შემთხვევა, რომელმაც ოცდაათი წლის განმავლობაში, ამერიკის სახელმწიფო ხაზინისა და სავალუტო ფონდის შეფასებით, 1980-იან წლებში დაახლოებით 4 მილიარდი დოლარის დაგროვება მოახერხა, ე. ი. დაახლოებით ქვეყნის საგარეო ვალის მთლიანი ოდენობის ეკვივალენტი.

1978-1979 წლებში ნავთობის ფასების ახალმა ზრდამ, ნედლეულის ფასების თანმხლებმა დაცემამ და აშშ-ში სესხის პროცენტის მნიშვნელოვანმა ზრდამ (რისი მიზეზებიც და შედეგებიც მეორე ნაწილში ავლნიშნეთ), ზოგიერთ ქვეყანას დავალიანების პროცენტების გადახდაც კი გაუართულა, მათ შორის მექსიკას, რომელმაც 1982 წელს თავი გადახდისუუნაროდ გამოაცხადა და უდიდესი ფინანსური კრიზისი დააჩქარა. რადგან კომერციული ბანკები ნაკლებად იყვნენ განწყობილნი ახალი კრედიტების გამოსაყოფად მაღალი რისკის მქონე ქვეყნებისთვის, ეს ქვეყნები იძულებულნი გახდნენ საკუთარი დეფიციტის დასაფინანსებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მიემართათ.

სწორედ ამ ფონდის ნორმატიული როლი აღმოჩნდა საჭირო დავალიანების მქონე სამხრეთის ქვეყნების წარსამართავად. ეს ფუნქცია გარკვეული პირობებით ხორციელდება, რომლის ძირითადი ვექტორი "სტენდ ბაის შეთანხმებაა". მართლაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების მისაწვდომობა სტრუქტურული რეგულირების პროგრამას ექვემდებარება, რომელიც ამ ფონდსა და კრედიტის მთხოვნელ სახელმწიფოს შორის წარმოებული კონსულტაციების შედეგია. ეტაპები, რომლებიც ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით სრულდება შემდეგია. თავდაპირველად, წევრი-ქვეყანა ფონდს კრედიტის გახსნას სთხოვს. გენერალური დირექტორის ბრძანებით ადგილზე დიაგნოსტიკის მისია იგზავნება ეკონომიკური სიტუაციის შესასწავლად და რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად დავალიანების გადახდის ბალანსის აღდგენის მიზნით. სახელმწიფო ვალდებულია ეს ინსტრუქციები დაურთოს ფონდისთვის განკუთვნილ განზრახვის წერილს, რომელიც ფინანსთა მინისტრის ან ცენტრალური ბანკის მმართველის მიერაა ხელმოწერილი. აღნიშნული ფონდი ამ დოკუმენტიდან იმ ელემენტებს გამოყოფს, რომლებსაც მიზნებად, ეკონომიკურ პოლიტიკებად და საბოლოო შეთანხმების განხორციელების კრიტერიუმებად განიხილავს. ეს შეთანხმება ადმინისტრაციული საბჭოს აპრობაციას ექვემდებარება, – ფორმალობა, პროცედურის ცალმხრივი ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც პროგრამის პირობების საბოლოო შემუშავებაში მდგომარეობს. ასევე, აღნიშნული ფონდი დავალიანების მქონე ქვეყნებისთვის კრედიტების გაცემას უკავშირებს მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს პირველ რიგში, სტრუქტურული რეგულირებისადმი დაქვემდებარებას. უფრო ზოგადად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ავტორიტეტი მომდინარეობს იმ კომპეტენციებიდან, რომლებიც პროგრამის განხორციელების კრიტერიუმების შემოწმებაში (მუდმივად ტრიმესტრის განმავლობაში) მდგომარეობს. ნებისმიერმა დარღვევამ შეიძლება საკრედიტო ტრანშის უშუალო გადახდის შეჩერება გამოიწვიოს. მთლიანობაში, ეს ფონდი საერთაშორისო დავალიანების სისტემის მამოძრავებელ მექანიზმად იქცა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზნებისა და დადგენილი ზომების გასაგებად საკმარისია იმ სტატისტიკური მდგომარეობის გაანალიზება, რომელიც დავალიანების გადახდის ბალანსსა და საერთო ანგარიშებს მოიცავს. მართლაც, ამ ფონდის პერსონალის მიერ აღქმული სოციალურ-ეკონომიკური რეალობა საბუღალტრო საქმემდეა დაყვანილი, – შემოსავალი და გასავალი. თუკი სტრუქტურული რეგულირების პროგრამების მიზანია ექსპორტის გაზრდა და იმპორტის შემცირება სახელდობრ, დევალვაციის გამოყენებით, ეს ხდება კომერციული ბალანსის სალდოს გასაუმჯობესებლად შემოსავლების მიღების მიზნით. თუკი ეს პროგრამები სახელმწიფო ხარჯების შემცირების, საწარმოებისა და საჯარო სამსახურების პრივატიზაციის, მოხმარებაზე გადასახადების გაზრდის რეკომენდაციებს იძლევიან, ეს ხდება იმის გამო, რომ შემოსავლების გენერირებით ამ პოლიტიკებს პოზიტიური შედეგების მოტანა შეუძლია მომსახურების ბალანსზე. თუკი აღნიშნული პროგრამები მოითხოვენ მონეტარული მასის მკაცრ კონტროლს, ნაციონალური კანონების მოდიფიცირებას უცხოურ ინვესტიციებზე და შრომაზე, კაპიტალის სამშობლოში დაბრუნების დებულებების ლიბერალიზაციას, ეს ხდება იმიტომ, რომ ამ საშუალებებმა უცხოური დანაზოგი უნდა მოიზიდოს და კაპიტალის ბალანსის გაუმჯობესებაში აისახოს.

ამაოდ ცდილობენ იმ დებულების კითხვის ქვეშ დაყენებას, რომლის თანახმად. დევალვაციას მზარდი იმპორტის მთლიანი ხარჯების გაზრდა და სხვა ფინანსური პრობლემების გამწვავება შეუძლია; სრული სიგიჟეა სპეციალიზებული საექსპორტო სექტორების კონკურენტუნარიანობის გაძლიერება ძირითადად წარმოებისა და ნედლეულის კომერციალიზაციაში, რომლის ფასიც უკვე ძლიერაა დაცემული მსოფლიო ბაზარზე ინტენსიური კონკურენციის გამო; ფუნქციონერთა ხელფასების გაყინვას, სოციალური ტრანსფერების შემცირებას, დამატებით ღირებულებაზე გადასახადის გაზრდას, სავალალო შედეგები აქვს; უცხოური კაპიტალის შემოდინების მზაობას, – განსაკუთრებით, მოკლევადიანისას – საპირისპირო შედეგად პროცენტების გადახდა, დივიდენდების სამშობლოში დაბრუნება და ფინანსური კრიზისის რისკების ზრდა მოჰყვება. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი მიზანია შემოსავლების გაზრდა, თანხების მოდინების გენერირება, კაპიტალის მოზიდვა საგარეო დავალიანებების გადახდის დაგვიანების შესამცირებლად, და დადგენილი ვადის ამოწურვამდე ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად.

1990-იანი წლების ფინანსურმა კრიზისებმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ავტორიტეტი გაამყარა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტს პასუხისმგებლობის აშკარა წილი მიუძღვის მათ განვითარებაში. მართლაც, საშიშროებას წარმოადგენდა აღნიშნული ფონდის მიერ ძალზე რეკომენდებული კერძო კაპიტალის მოდინების ხელშეწყობა – სახელდობრ, ფასიანი ქაღალდების ემისიები და ფასიანი ქაღალდების პორტფელის ინვესტიციები – , რაც შეიძლება კაპიტალის მასობრივ გადინებებში აისახოს ბაზრებისადმი ნდობის დაკარგვის შემთხვევაში. სწორედ ასე მოხდა ახლად დაწინაურებული ქვეყნების უმრავლესობაში (ჩინეთი, მექსიკა, ბრაზილია, კორეა, მალაიზია, არგენტინა, ტაილანდი, რუსეთი, ინდოეთი, თურქეთი, უნგრეთი, პოლონეთი), რომლებმაც აღნიშნულ წლებში ამგვარი კაპიტალის დიდი ნაწილი შთანთქმეს. რეგრესი 1994 წელს დაიწყო მექსიკური პესოს წინააღმდეგ სპეკულაციური შემოტევებით. სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით მექსიკას 50 მილიარდი დოლარის სასწრაფო კრედიტებს აძლევენ, რომლიდანაც 18 მილიარდი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერაა გამოყოფილი. როდესაც 1997 წელს კრიზისი აზიას შეეხო, ამ ფონდმა 110 მილიარდ დოლარზე მეტი შეაგროვა გადარჩენის ოპერაციებისთვის ტაილანდში, ინდონეზიასა და კორეაში და ამ მიზნით 35 მილიარდი დოლარი გაიღო. ამავე დროს, მომდევნო წელს კრიზისმა რუსეთსა და არგენტინაზეც იქონია გავლენა, ხოლო 2002 წელს თურქეთსა და ბრაზილიას შეეხო. თუკი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სიმტკიცე გამოიჩინა არგენტინის მიმართ და საკრედიტო ტრანშის გამოყოფის უარით ამ ქვეყნის ეკონომიკურ ქაოსში ჩავარდნას შეუწყო ხელი, მან რუსეთს, თურქეთსა და ბრაზილიას კო-

ლოსალური თანხის სესხი გამოუყო, რომელმაც ამ უკანასკნელი ქვეყნისთვის 30 მილიარდს მიაღწია.

ამავე დროს, 1990-იანი წლების ფინანსური კრიზისები წინა ათლეულის კრიზისებისგან ფუნდამენტურად განსხვავდება. მართლაც, უმრავლეს შემთხვევაში, კრედიტები კერძო აქტორების მიერ სამთავრობო გარანტიის გარეშე იყო გაცემული კომპანიებისა და ბანკებისთვის და არა სახელმწიფოებისთვის. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მთავრობებს კერძო ვალების ნაწილის საკუთარ თავზე ალებას და საგანგებო ფონდების გამოყენებას აიძულებს ადგილობრივი საწარმოების მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, რომელთა კრახი საერთაშორისო მსესხებლებს დააზარალებს (როგორც პასუხისმგებელს, ისე უპასუხისმგებლოს). ამგვარი ლოგიკით, საბოლოო ჯამში, სწორედ ახლად დაწინაურებული ქვეყნების საშუალო და არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ კლასებს ეკისრებათ საერთაშორისო გადარჩენის ამ გეგმების ხარჯების გადახდა.

თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ცდილობს სრულიად ინდეფერენტული არ იყოს ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფთა ხვედრის მიმართ, რასაც 1999 წელს სილარიზის უფრო იოლად დაძლევისთვის შექმნილი „კონცესიური სარკმელი“ ადასტურებს. 2003 წლამდე ამ ფონდმა საშუალოდ წელიწადში 8,7 მილიარდი დოლარი გაიღო სილარიზის შესამცირებლად 74,3 მილიარდის საპირისპიროდ კრედიტის სხვა არაკონცესიური მექანიზმების ფარგლებში (FMI, *World Economic Outlook*, 2004). ეს ინსტიტუტი ასევე ინიციატივით გამოდის დიდი დავალიანების მქონე ღარიბი ქვეყნების სასარგებლოდ (PPTE), რომელიც მან 1996 წელს მსოფლიო ბანკთან ერთად წამოიწყო ძალზე დიდი დავალიანების შემცირების მოტივით PMA¹⁶-ს გარკვეული რაოდენობისთვის, რომლებიც ზედმიწევნით იყენებენ სტრუქტურული რეგულირების პროგრამებს. 2005 წლის ივლისში „დიდი რვიანის“ უმაღლესი დონის შეხვედრაზე პლანეტის ყველაზე მდიდარმა ქვეყნებმა 40 მილიარდი დოლარის დავალიანების ანუღირება გადაწყვიტეს 18 PPTE¹⁷-თვის, რომელიც ამ უკანასკნელთა ალებული ჰქონდათ მსოფლიო ბანკიდან, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და აფრიკის განვითარების ბანკიდან. თუმცა, ეს ზომები შედარებით შეზღუდულია, რადგან ისინი დავალიანების მქონე 165 ქვეყნის მხოლოდ მცირე რაოდენობის მიმართ გამოიყენეს. მართლაც, ჩამოსაწერი თანხა დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების საგარეო სახელმწიფო ვალის 20%-ზე ნაკლებია და ყველა განვითარებადი ქვეყნის დავალიანების მხოლოდ 2,7%-ია, რომელმაც 2004 წელს 1 459 მილიარდი დოლარი შეადგინა. მეორე მხრივ, 18-მა შერჩეულმა სახელმწიფომ მიაღწია „PPTE-ს სასარგებლოდ ინიციატივის დასრულებას“, რომელსაც ლიბერალური სულისკვეთების ეკონომიკური რეფორმების ხანგრძლივი წლები მოჰყვა. ეს პროცესი ძირითადად, მდგომარეობდა წინა სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკის გაგრძელებაში, – ნედლეულზე სუბსიდიების გაუქმება, დამატებით ღირებულებაზე გადასახადის გაზრდა, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, ეკონომიკის ლიბერალიზაცია – და იმავდროულად, ცვლილებების შეტანაში სილარიზის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების ჩასართავად.

ციფრების კუთხით, საერთაშორისო დავალიანების სისტემა უკიდურესად სავალალოდ წარმოჩნდება. 1990 წლიდან განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალი ნეგატიური იყო და 2000 წელს 126 მილიარდ დოლარს მიაღწია. 1998 წლიდან 2004 წლამდე სამხრეთის ქვეყნებს წელიწადში საშუალოდ 365 მილიარდი დოლარი უნდა გადაეხადათ ვალის მომსახურებისთვის, მაშინ როდესაც მათ საშუალოდ 290 მილიარდი დოლარის ახალი კრედიტები მიიღეს. ამავდროულად პერიოდში საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნების დავალიანება ექსპორტის მთლიანი ღირებულების დაახლოებით 182%-ს და, მთლიანი ეროვნული პროდუქტის 65%-ს შეადგენდა; ლათინური ამერიკის და კარიბის კუნძულების, შესა-

16 ძალზე ჩამორჩენილი ქვეყნები

17 დიდი დავალიანების მქონე ღარიბი ქვეყნები

ბამისად, 169%-სა და 42%-ს; სამხრეთ აზიისა 147%-სა და 26%-ს; შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკისა 111%-სა და 39,3%-ს; აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონისა კი 78%-სა და 31%-ს (World Bank, *Global Development Finance*, 2005). რთულია იმის გაგება თუ როგორ შეძლებენ სამხრეთის ქვეყნები, აზიის ახლად დაწინაურებული რამდენიმე სახელმწიფოს გარდა, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას სახელმწიფო ვალის არსებითი შემსუბუქების გარეშე. ვალის შემსუბუქება გამართლებულია იმით, რომ კრედიტების დიდი ნაწილი სესხის პროცენტის გადახდის მხედველობაში მიღებით იყო გაცემული.

4. 1. 2. 3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საერთაშორისო სავაჭრო სისტემა

1947 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურ შეთანხმებაში (GATT) ჩართული ვაჭრობის ლიბერალიზაციის რეჟიმი ხშირად, მაგალითად მოჰყავთ საერთაშორისო პოლიტიკაზე ინსტიტუციური გავლენის შესახებ მსჯელობისას. მოლაპარაკებების მწარმოებელმა მხარეებმა ვალდებულება აიღეს დაეცვათ ყველაზე სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ერის პირობა საკუთარი საბაჟო უფლებების შეზღუდვასა და დისკრიმინაციული პრაქტიკის გაუქმებასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს რეჟიმი გამონაკლისების გარკვეულ რაოდენობას შეიცავს. ამგვარად, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ (ფრანგ. CNUCED; ინგლ. UNCTAD) წარმოებული საქმიანობის წყალობით განვითარებადმა ქვეყნებმა დიფერენცირებული მიდგომით ისარგებლეს, ე. ი. სატარიფო უპირატესობებით ისარგებლეს, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებზე არ ვრცელდება; ამ უკანასკნელებმა თავის მხრივ, GATT-ის წესები თავიანთ სასოფლო სამეურნეო და საფეიქრო ნაწარმს ააცილეს, – პირველს ზოგჯერ კოლოსალური სუბსიდიებით უჭერდნენ მხარს, ხოლო მეორის იმპორტს ზღუდავდნენ შეთანხმებების ფარგლებში. მიუხედავად ძალზე განსხვავებული ინტერესებისა მოლაპარაკებების მწარმოებელ მხარეებს შორის, GATT-ის რეჟიმმა კარგად იმუშავა. ამ უკანასკნელის შექმნიდანვე ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებების რვა ციკლს. პირველი ხუთის მიზანი იყო საბაჟო ტარიფის განაკვეთის შემცირება, მომდევნო ორის კი ვაჭრობის არასატარიფო ბარიერების შეზღუდვა. ყველაზე ამბიციური მერვე ციკლი, – ურუგვაის რაუნდი – 1994 წელს ოთხ დიდ შეთანხმებაზე ხელმოწერით დასრულდა: პირველი შეთანხმების შედეგად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა (ფრანგ. OMC; ინგლ. WTO). საქონლით ვაჭრობაზე შეთანხმებები სახელდობრ, მოიცავს სოფლის მეურნეობას, რომლის სუბსიდიები უნდა შეიზღუდოს და კვოტები საბაჟო ტარიფებით შეიცვალოს; გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (ფრანგ. AGCS; ინგლ. GATS) ითვალისწინებს ამ უკანასკნელის თანდათანობით ინტეგრირებას ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესში; დაბოლოს, ვაჭრობასთან დაკავშირებული შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ (ADPIC), მიზნად ისახავს ამ სფეროში ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციას ობიექტის, მინიჭებული უფლებების, დაშვებული გამონაკლისებისა და მიწოდების დაცვის ხანგრძლივობის განსაზღვრით.

ADPIC-ის შეთანხმებას დიდი კამათი მოჰყვა ძირითადი მედიკამენტების მისაწვდომობის საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენით, რომლებიც ცდილობენ აჩვენონ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების ერთობლიობაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გაზრდას დამლუპველი შედეგები ექნება ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ჯანდაცვაზე, გამოიწვევს ტექნოლოგიების შეზღუდვას, განსაკუთრებით კი ფარმაცევტულ ნაწარმზე ფასების გაზრდას. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადი მედიკამენტებისთვის დიფერენცირებული წესების გამოყენებას მოითხოვენ, კერძოდ, გამარტივებულ პროცედურებსა და სავალდებულო ლიცენზიების სწრაფ ამოქმედებას; და ასევე, სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელი ქვეყნებისგან მედიკამენტების ექსპორტირების უფლების გაცემას იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც

სავალდებულო ლიცენზიები მიიღეს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მედიკამენტების სწრაფი წარმოების შესაძლებლობა არა აქვთ. საბოლოოდ, „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტებისა და სახელმწიფო ჯანდაცვის შესახებ შეთანხმების“ დეკლარაციამ, რომელიც 2001 წლის ნოემბერში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრმა-სახელმწიფოებმა მიიღეს, დიდწილად, თუმცა, არასრულად, გამოიყენა განვითარებადი ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადებები. ეს დეკლარაცია შეივსო 2003 წლის აგვისტოში მიღებული გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებით კანკუნში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მინისტრთა მეხუთე კონფერენციის დაწყების წინ. სამკურნალო პრეპარატების ექსპორტიორ ქვეყნებს გარკვეული პირობებით, ADPIC-ის შეთანხმებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის უფლება აქვთ. ამავე დროს, წარმოებული და ექსპორტირებული უნდა იქნეს მხოლოდ იმპორტიორი ქვეყნისთვის საჭირო მოცულობა. სამკურნალო პრეპარატები მკაფიოდ უნდა იდენტიფიცირდეს ეტიკეტით ან განსაკუთრებული მარკირებით ამ სისტემაში არმონაწილე სხვა ქვეყნებისკენ რეექსპორტის რისკების თავიდან აცილების მიზნით.

თუმცა, განვითარებადი ქვეყნების ეს შედარებითი წარმატება ვერ ჩქმალავს იმ სირთულეებს, რომლებიც ამ უკანასკნელთ სხვა სექტორებში, მაგალითად, სოფლის მეურნეობასა და საფეიქრო მრეწველობაში აქვთ. სამრეწველო ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობისთვის დაბრკოლებების გაუქმებას მიესალმებიან იქ, სადაც ისინი კონკურენტუნარიანი არიან, უარს ამბობენ ამ წესის გამოყენებაზე თავიანთი ეკონომიკისთვის მგრძობიარე სფეროებში. 2000 წლიდან ეს ქვეყნები 200 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავენ სოფლის მეურნეობის სექტორის სუბსიდირებისთვის, – რაც განვითარებადი ქვეყნების „განვითარების დახმარებისთვის“ გაცემულ თანხას შვიდჯერ აღემატება, – ისინი ასევე აგრძელებენ კვოტების დაწესებას საფეიქრო იმპორტზე, რომელიც ძირითადად, ჩინეთიდანაა წამოსული, მიუხედავად 2005 წლის იანვარში ამ საკითხთან დაკავშირებული „საერთაშორისო შეთანხმების“¹⁸ ამოწურვისა.

4. 2. საერთაშორისო პოლიტიკა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში

ადამიანის სასიცოცხლო გარემოს საკითხებთან დაკავშირებული სტოკჰოლმის კონფერენციიდან მოყოლებული, რომელიც გაერომ 1972 წელს ჩაატარა, საერთაშორისო ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკაზე მსჯელობა მრავალმხრივ სივრცეში ხორციელდება. 1972 წლის კონფერენციის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (ფრანგ. PNUE; ინგლ. UNEP) მომზადება, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობა და შექმნას ინსტიტუციური ჩარჩო ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შესამუშავებლად. მომდევნო ოცდაათი წლის განმავლობაში ხელი მოეწერა მრავალმხრივ შეთანხმებებს გარემოს დაცვის შესახებ. ეს შეთანხმებები ეფუძნება ხელშეკრულებას, რომელიც საერთო ამოცანებს გამოხატავს და ინსტიტუციურ ჩარჩოს ადგენს, სადაც წევრ-სახელმწიფოებს მოლაპარაკებების წარმოება შეეძლებათ, წესების განსაზღვრისა და სპეციფიკური დასაცავი ფორმების დამატებითი შეთანხმებების შემდეგ. ინსტიტუციური ჩარჩო მოიცავს აღმასრულებელ სამდივნოს, სამეცნიერო ორგანოსა და მხარეთა კონფერენციას (CoP), რომელიც ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ იკრიბება სხვადასხვა ადგილზე მოლაპარაკებების საწარმოებლად და, შეთანხმების ტექსტში ცვლილებებისა და ასევე ტექნიკური დანართების შესატანად. ეს მოქნილი მეთოდი

18 აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის საფეიქრო ნაწარმის დაცვას თავიანთ ბაზრებზე განვითარებადი ქვეყნებიდან წამოსული დაბალფასიანი საფეიქრო ნაწარმის შემოსვლისგან.

სახელმწიფოებს მეცნიერული ცოდნის ევოლუციის თვალყურის გადევნებისა და მოლაპარაკებებში დაინტერესებული ჯგუფების, ეკონომიკური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვის შესაძლებლობას აძლევს.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მრავალმხრივი შეთანხმებები ასევე გარკვეული რაოდენობის ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება. პირველი პრინციპი, რომელსაც სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში ვხვდებით, *პრევენციული* ზომების განსაზღვრაა, როგორც ბუნებრივი რესურსების მართვის საფუძვლისა. ეს პრინციპი სახელმწიფოთა სუვერენიტეტს ზღუდავს და ამ უკანასკნელთ „ერთგვარად ავალდებულებს, რომ მათი იურისდიქციის ან კონტროლის საზღვრებში განხორციელებულმა საქმიანობამ ზარალი არ მიაყენოს სხვა სახელმწიფოებს“. მეორე პრინციპი *გრძელვადიანი განვითარების* პრინციპია, რომელიც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (UICN) შეიმუშავა. ამ პრინციპის პირველ განსაზღვრებას ვხვდებით 1987 წელს გამოქვეყნებულ გარემოსა და განვითარების გლობალური კომისიის ანგარიშში. ეს პრინციპი ეყრდნობა „განვითარებას, რომელიც დღევანდელი თაობების საჭიროებებს აკმაყოფილებს მომავალი თაობების საჭიროებებისთვის ზარალის მიუყენებლად“. „თხისა და კომბოსტოს“ პრობლემის გადაჭრით, ე. ი. სამხრეთის ქვეყნების განვითარების ინტერესებისა და ჩრდილოეთის ქვეყნების შეშფოთების გათვალისწინებით, ეს ცნება მიზნად ისახავს „სოლიდარობის პაქტის“ შექმნას არა მხოლოდ დღევანდელ, არამედ მომდევნო თაობებთანაც, რომელთაც ამგვარად, ბუნების რესურსების მისაწვდომობის უფლება ექნებათ. 1992 წელს დედამიწის პრობლემებთან დაკავშირებული უმაღლესი დონის შეხვედრაზე დამტკიცდა მსოფლიო ეკოპოლიტიკის სხვა სამი პრინციპი. ისინი ასევე გაცხადებულია, როგორც რიოს დეკლარაციაში, ისე ორ დიდ შეთანხმებაში, – ბიომრავალფეროვნებასა და კლიმატურ პირობებზე – რომელიც ამასთან დაკავშირებით მიიღეს. პირველი პრინციპის, *სიფთხილის* პრინციპის თანახმად, „აბსოლუტური მეცნიერული დამაჯერებლობის არქონა არ უნდა გამოიყენონ იმგვარი ეფექტური ზომების მიღების გადავადების საბაზად, რომლებიც გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას ითვალისწინებს“. მეორე პრინციპი ეხება *პასუხისმგებლობისა და ღირებულების დიფერენცირებულ განაწილებას* და სამრეწველო ქვეყნებისგან მოითხოვს სამხრეთის სახელმწიფოების ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფას გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ შეთანხმებებში. ის გულისხმობს, რომ განვითარებული ქვეყნები „აღიარებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას საერთაშორისო ძალისხმევაში გრძელვადიანი განვითარების სასარგებლოდ, იმ ზეწოლის გათვალისწინებით, რომელსაც მათი კომპანიები მსოფლიო გარემოზე ახდენენ“. დაბოლოს, ყველაზე საკამათო, *დამბინძურებელი-გადაამხდელის* პრინციპს, მიუხედავად მისი აღიარებისა, საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმები სისტემატურად უვლიან გვერდს. ის ითვალისწინებს, რომ „ნაციონალური ხელისუფალნი უნდა ცდილობდნენ გარემოს დაცვის ღირებულების ინტერნაციონალიზაციასა და ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას“.

როგორც შემდგომში ვნახავთ, საერთაშორისო ეკოლოგიური პოლიტიკა აქტორთა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და სამოქალაქო ინტერესთა რთული თამაშის შედეგია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მომდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერების, მრეწველებისა და სახელმწიფოების ერთდროულად განხორციელებული ქმედებებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მდგომარეობს საჯარო სივრცეში ეკოლოგიური პრობლემის გადატანაში, – რაც ზოგჯერ ამ ორგანიზაციების არსებობის მიზეზია – და საზოგადოებრივი მღელვარების გამოწვევაში, რომელსაც მმართველებზე გავლენის მოხდენა შეუძლია, არჩევნების მეშვეობით. სამეცნიერო აქტორების ფუნქციაა ექსპერტიზის ჩატარება იმასთან დაკავშირებით, ეხება თუ არა საქმე ობიექტურ პრობლემას. ამავე დროს, ამ უკანასკნელთა ნაშრომების უტყუარობა ხშირად მეცნიერთა კამათს იწვევს, ხან განხილულ ფენომენთა კომპლექსურობის გამო, ხან კი იმ მიზეზით, რომ მათ მიერ გამოყენებული მეთოდები და მიღებული შედეგები, ნაწილობრივ მაინც, აღნიშნულ აქტორთა დამფინანსებ-

ლების ინტერესებს ასახავს, კერძოდ, სახელმწიფო ორგანოების, მრეწველობის დარგებისა ან არასამთავრობო ორგანიზაციებისას. ეკონომიკური აქტორები დიფერენცირებულნი უნდა იყვნენ იმის მიხედვით, აკისრებენ თუ არა მათ პრობლემაზე პასუხისმგებლობას. გარკვეულ შემთხვევაში, ისინი ცდილობენ მნიშვნელოვანი დანახარჯების თავიდან აცილებას და აჭიანურებენ შემზღუდველი რეგლამენტაციების ამოქმედებას, რაც მათი საქმიანობის სფეროს ეხება. სამაგიეროდ, როდესაც საქმე ეკონომიკურ აქტორებს პირდაპირ არ ეხება ან მათ ნაწარმის შემცველის შემოთავაზება შეუძლიათ, ისინი სარგებლის გამოტანას ცდილობენ ახალი სამართლებრივი და ტექნიკური ნორმების მიღებიდან. რაც შეეხება პოლიტიკურ აქტორებს, ამ უკანასკნელთა ფუნქციაა განსხვავებული ინტერესების შეჯერება, – ზეწოლის ქვეშ – რომლებიც მათი იურისდიქციის შიგნითაა გამოხატული და მრავალმხრივ მოლაპარაკებებში იმის უზრუნველყოფა, რომ საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებულმა რეჟიმმა მათ ზიანი არ მიაყენოს სხვა მონაწილეებთან მიმართებაში.

თუკი გარემოს დაცვასთან დაკავშირებული შეთანხმებები კონკრეტული საქმიანობის მრავალფეროვნებას მოიცავს, ისინი ძირითადად ობიექტების ორ კატეგორიას განეკუთვნება, ერთი მხრივ, *ბიომრავალფეროვნების ეროზია* და, მეორე მხრივ, *გლობალური დაბინძურება, რომელიც კერძოდ, გოგირდისა და აზოტის მჟავებითაა გამოწვეული, ასევე საშიში ნარჩენებით და გამძლე ორგანული დამაბინძურებლებით, რომლებიც ოზონის შრეს ფიტავენ.*

4. 2. 1. ბიომრავალფეროვნების ეროზია

საერთაშორისო საქმიანობა, რომლის მიზანია ბუნებაში არსებული გარკვეული სახეობების გაქრობის შეჩერება კოლონიური ეპოქიდან მომდინარეობს, მაგრამ სწორედ 1948 წელს იქმნება ინსტიტუტი, რომელიც ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ესაა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (ფრანგ. UICN; ინგლ. IUCN), რომლის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფოები და სამთავრობო სააგენტოები არიან. მისი საქმიანობა ექვსი კომისიის ჩარჩოში ხორციელდება. თითოეულ კომისიას საკუთარი ქსელი აქვს და სპეციალიზებულ ჯგუფებში გადანაწილებულ ათასობით მეცნიერსა და ფუნქციონერს აერთიანებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სახეობების დაცვასთან დაკავშირებული კომისია. ის პერიოდულად ტაქსონომიური ერთეულების წითელ სიას ადგენს, რომელიც გაქრობის რისკის მიხედვითაა კლასიფიცირებული. ეს ინსტრუმენტი სარეკომენდაციო დოკუმენტია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციისთვის (CITES), რომელიც 1975 წელს შევიდა ძალაში (მისი ხელმოწერა 1960-იან წლებში UICN-ის რეზოლუციის მიღებას მოჰყვა შედეგად).

დღეისათვის CITES-ი 160-ზე მეტ მოლაპარაკებების მწარმოებელ მხარეს ითვლის და მთავარ სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს. ამ უკანასკნელში ჩართულია იმ მცენარეებით და ცხოველებით ვაჭრობის რეგლამენტაცია, რომელთა გადარჩენა პრობლემატურია. აღნიშნული კონვენციის ფუნდამენტური პრინციპი მდგომარეობს იმპორტის, ექსპორტისა და რეექსპორტის ნებართვის სისტემისადმი დაქვემდებარებაში და მის დანართში ზღვის სახეობების ეგზემპლარების შეყვანში. თითოეული მხარე ნებართვის მართვის ორგანოთი და სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ჯგუფით უნდა აღიჭურვოს, რომელიც თავის აზრს გამოთქვამს მოცემულ სახეობებზე ვაჭრობის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. ამგვარად, სახეობების დაცვა გულისხმობს I დანართში შეყვანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების სავაჭრო მიზნებისთვის გადატანის აკრძალვას. ამისათვის საჭიროა ექსპორტირებისა და იმპორტირების ნებართვა, რომელიც მხოლოდ გამონაკლისი პირობებით გაიცემა, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისთვის. ეს აკრძალვა ასევე იძენს II და III დანართში შეყვანილი სახეობებით ვაჭრობის კონტროლისა და შეზღუდვის ფორმას, რომელთაც

მყისიერი საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ შეიძლება ახლო მომავალში დაემუქროს და ამ სახეობათა გადატანა მხოლოდ ექსპორტირების ნებართვას მოითხოვს.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია (CITES) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებების მასშტაბის, განსაკუთრებით კი მათი საზღვრების მაჩვენებელია. თუკი დღეისათვის ამ კონვენციას შეუძლია თავის დანართებში შეტანილი 5 000 ცხოველის სახეობისა და 25 000 მცენარეული ჯიშის დაცვა, ხშირ შემთხვევაში, მის მიერ მიღებული ზომები ნაწილობრივია. ამგვარად, სამხრეთის ქვეყნების საკმაოდ დიდ რაოდენობას არ გააჩნია საჭირო რესურსები ადეკვატური ნაციონალური კანონმდებლობის ასამოქმედებლად, რომელიც, სახელდობრ, მოითხოვს მართვის ორგანოსა და სამეცნიერო ავტორიტეტის არსებობას, სავაჭრო ჩანაწერების წიგნის შემოღებას, შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული წლიური ანგარიშების შედგენას და სანქციების დაწესებას დანართებში შეყვანილი ეგზემპლარებით ფარულ ვაჭრობაზე. CITES-ის ბიუჯეტის სიმცირის გამო, – 10 მილიონი დოლარი – მას არ შეუძლია ამ ქვეყნებში შესაძლებლობების გაზრდის პოლიტიკის მხარდაჭერა. თუმცა, მას ვაჭრობის დროებითი შეჩერების რეკომენდაციის მიცემის უფლება აქვს იმ მხარეთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც თავიანთ ვალდებულებებს არ იცავენ. ასეთი ზომები ძირითადად, სამხრეთის ქვეყნებს ეხება, მაშინ როდესაც, ისეთი სახელმწიფო, როგორცაა იაპონია და ევროკავშირის სხვა წევრი-სახელმწიფოები, ასევე არღვევენ ამ კონვენციას. რადგან ეს ზომები ვაჭრობას შეეხება, CITES-ის საქმიანობა რამდენიმე დიდ ძუძუმწოვარზეა ფოკუსირებული, განსაკუთრებით, სპილოსა და მარტორქაზე (საკვები პროდუქტების სიის ბოლოში მდგომი), სხვა სახეობების საზიანოდ, რომლებიც ბევრად მნიშვნელოვანია ეკოსისტემის ბალანსისთვის.

ფლორისა და ფაუნის გავრცელების ზონის ცვლილება და დეგრადაცია, რომელიც მიწის დამუშავებით, ტყეების გაჩეხვით, ურბანიზაციით და რესურსების ექსპლუატაციითაა გამოწვეული, ბიომრავალფეროვნების ეროზიის ძირითადი ფაქტორებია. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (ფრანგ. PNUE; ინგლ. UNEP) მიერ გამოქვეყნებული ციფრების თანახმად, დღეისათვის ადამიანის საქმიანობამ ნიადაგის დაახლოებით 2 მილიარდ ჰექტარს მიაყენა ზარალი, რაც დედამიწის ზედაპირის 15%-ს შეესაბამება სასუქის, პესტიციდებისა და ირიგაციის გადაჭარბებული გამოყენების მიზეზით, რამაც ნიადაგის ნიტრიფიკაცია, ალკალიზაცია და მარილიანობა გამოიწვია. 1990-იან წლებში ბუნებრივი ტყეების მთლიანმა დანაკარგმა, – ტყეების გაჩეხვის ან მათი პლანტაციებად გადაქცევის გამო – წელიწადში 16,1 მილიონი ჰექტარი შეადგინა, საიდანაც 15,2 მილიონი ჰექტარი ტროპიკებზე მოდის. როგორც შემდგომში ვნახავთ, ეს უკანასკნელი ფაქტი დიდ შემოფოთებას იწვევს განვითარებულ ქვეყნებში, იმის გათვალისწინებით, რომ სახეობების მხრივ ტროპიკული ტყეების ეკოსისტემები ყველაზე მდიდარია: მიუხედავად დედამიწის ზედაპირის 10%-ზე ნაკლების დაფარვისა, ვარაუდობენ, რომ ეს ტყეები დედამიწის ცოცხალი სახეობების 90%-ს შეადგენს. მტკნარი წყლის ეკოსისტემებს, რომლებიც ასევე სხვადასხვა სახეობის დიდი მრავალფეროვნების ფლორისა და ფაუნის ზონას წარმოადგენს, ძალზე მნიშვნელოვანი ზარალი აქვს მიყენებული მსოფლიო დონეზე, რადგან იქ არსებული ცოცხალი სახეობების თითქმის 20% გამქრალია ან გადაშენების საფრთხის წინაშე იმყოფება. ასევე დიდი ზიანი მიადგა სანაპირო ზონებსა და საზღვაო გარემოს, ბიოლოგიური რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაციისა და ზღვის დაბინძურების გამო. რაც შეეხება უნაყოფო ზონებს, გრძელდება მათი გაუდაბნობა, იმგვარად, რომ ეს პროცესი 3 მილიარდ ჰექტარს, ე. ი. გამოფიტული მიწების 70%-ს შეეხო მსოფლიოში (PNUE, GEO-3, 2002, *passim*).

მრავალი შეთანხმება დაიდო ეკოსისტემების დასაცავად, დაწყებული რამსარის 1971 წლის კონვენციიდან, რომლის თანახმად, მასზე ხელმომწერი ტენიანი რეგიონების ეკოლოგიურად რაციონალური გამოყენების ვალდებულებას იღებენ. შრომატევადი მოლაპა-

რაკეების შედეგად, 1982 წელს ხელი მოეწერა საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციას, რომელიც ძალაში მხოლოდ 12 წლის შემდეგ შევიდა. ეს კონვენცია ზღუდავს სახელმწიფოს სუვერენიტეტს ზღვის რესურსებზე 200 საზღვაო მილის ეკონომიკური ზონით და, სახელდობრ, ითვალისწინებს ხმელეთიდან მომავალი ზღვის დაბინძურებისა და გემების მიერ დატოვებული ნარჩენების შემცირებას. 1996 წელს ძალაში შესულ კონვენციას გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ასევე წინ უძღოდა სხვა შეთანხმებები, რომლებსაც 1970-იან წლებში მოეწერა ხელი. დიდი ხნის განმავლობაში სამრეწველო ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ ფინანსური პასუხისმგებლობის აღებას იმ პროცესის სამართავად, რომელიც მათ მეტ-ნაკლებად ეხებოდა. თუმცა, გაუდაბნოების მასშტაბის ზრდამ, საბოლოოდ, აღნიშნულ ქვეყნებს დოკუმენტზე ხელმოწერა აიძულა, რომელიც ითვალისწინებს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლას, ნაციონალური და რეგიონული პროგრამების შემუშავებას, ადგილობრივი მოსახლეობის რეაგირების გამოწვევასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაერთიანებას. ამავდროს, თავიდანვე, რესურსები არასაკმარისი იყო ხელშეკრულების ვალდებულებების განსახორციელებლად, ისევე როგორც გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა მრავალმხრივი შეთანხმებების შემთხვევაში. ამ მხრივ, საგულისხმო გამონაკლისია კონვენციების მიღება კლიმატურ ცვლილებებთან და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, რომელიც სამრეწველო ქვეყნების ინტერესებს უშუალოდ ეხება.

1992 წელს რიოში ხელმოწერილ კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, წინ უძღოდა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში 1987 წლიდან დაწყებული მოლაპარაკებები. აღნიშნული კონვენციის პირველი მუხლი ითვალისწინებს, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, მისი ელემენტების გრძელვადიან გამოყენებას და გენეტიკური რესურსების ექსპლუატაციიდან მომდინარე მოგების სამართლიან და მიუკერძოებელ განაწილებას“. პირველი ორი მიზნის განხორციელებაში უპირველესად, სამრეწველო ქვეყნები არიან დაინტერესებულნი, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებს განსაკუთრებით, მესამე მიზანი ეხება. ამ კონვენციის პრეამბულა კვლავაც ხაზს უსვამს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს ბიოლოგიურ რესურსებზე, თუმცა, იმავდროულად აღიარებს, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება „კაცობრიობის საერთო საზრუნავია“, რაც გულისხმობს, რომ რომელიმე მხარის მიერ ამ მხრივ ჩადენილი დანაშაული სხვა მონაწილეების ინტერესებს აყენებს ზიანს. ხელშეკრულებაში განსაკუთრებით ფართოდაა განხილული ნებისმიერი წარმომავლობის ცოცხალი ორგანიზმები, ამ უკანსკნელთა გენეტიკური ვარიაციები და ეკოსისტემები, რომელთა ნაწილსაც ისინი შეადგენენ. წვერი-სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ მოამზადონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის გამიზნული ეროვნული სტრატეგიები, გეგმები ან პროგრამები; გააიოლონ გენეტიკური რესურსების მისაწვდომობა, ისევე როგორც ტექნოლოგიებისა, რომლებიც მათ შენარჩუნებას ან გამოყენებას შეუწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ბიოტექნოლოგიებისა; გაუფრთხილდნენ აღნიშნულ სფეროში ავტოქთონური ერთობების მიერ განვითარებულ უნარებს; უზრუნველყონ გენეტიკური რესურსების ათვისებიდან მომდინარე სავაჭრო მოგების სამართლიანი განაწილება, ისევე როგორც ამ რესურსებთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის გამოყენება. დაფინანსების მექანიზმი, – რომელსაც დავუბრუნდებით – განვითარებადი ქვეყნების რესურსებით მოსამარაგებლად შეიქმნა შემოწირულობების ან შეღავათიანი პირობებით სესხების გაცემის ფორმით.

თავიდანვე, ბიოლოგიური მრავალფეროვნების ქმედითი დაცვა სამართლებრივმა საკითხებმა შთანთქა. ეს ფენომენი მომდინარეობს, როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის ქვეყნების მმართველების ფართოდ გაზიარებული შეხედულებიდან, რომლის მიხედვით, ბუნების შენარჩუნების საუკეთესო მეთოდი მისი ელემენტებისთვის სავაჭრო ღირებულების მინიჭებაა. უფრო კონკრეტულად, აქედან მომდინარეობს ბიოტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, რომლებიც მორფოლოგიური მახასიათებლების (ფერი, ზომა, ფორმა, აგებულებ-

ბა) ან ქცევითი (სიცივისადმი ან გვალვისადმი რეზისტენტულობა, გარკვეული დაავადებების მიმართ მიდრეკილება, ზრდის მასტიმულირებელი) გენების გამოყოფის და ასევე, მათი რეკონსტრუქციის, კოპირებისა და სხვა ორგანიზმებში გადაცემის შესაძლებლობას იძლევა (Aubertin et Vivien, 1998). აღნიშნულს განსაკუთრებით სასურსათო, ფარმაცევტულ და ქიმიურ მრეწველობაში აქვს ადგილი, სადაც გენეტიკური რესურსები XXI საუკუნის „მწვანე ოქროთაა“ შეფასებული. ამგვარად, გენეტიკური რესურსებიდან მიღებული ფარმაცევტული ნაწარმის მთლიანი სავაჭრო ღირებულება წელიწადში დაახლოებით 75 000-დან 150 000 მილიონ დოლარს აღწევს. 1997 წელს მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი 25 მედიკამენტიდან, ათამდე ბუნებრივი საფუძვლის მქონეა (PNUE, GEO-3). ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული ცოდნა ამ მედიკამენტების ან სხვა ნაწარმის შემუშავებისთვისაა გამოყენებული.

ამ მხრივ, კონვენცია ფუნდამენტურ წინააღმდეგობას აკონკრეტებს, – მისი გადაწყვეტის გარეშე – გენეტიკური რესურსების მფლობელ განვითარებად ქვეყნებსა და სამრეწველო ქვეყნებს შორის, რომლებიც ამ რესურსების გამოყენების ტექნოლოგიებს ფლობენ. აღნიშნული წინააღმდეგობის ცენტრში იმყოფება „ბიოლოგიური მეკობრეობის“ პრობლემა, კერძოდ, სამრეწველო ქვეყნებში განლაგებული კომპანიებისა ან კვლევითი ინსტიტუტების მხრიდან, როგორც ბიოლოგიურ მასალაზე დაფუძნებული პატენტების მოპოვება, ისე სამხრეთის ერთობების ცოდნის ხელში ჩაგდება. ყოველივე ხდება რესურსების მფლობელი სახელმწიფოების წინასწარი თანხმობის გარეშე, და იმგვარად, რომ ტრადიციული ცოდნის მატარებლებს არ გააჩნიათ თავიანთი წილი იმ მოგებიდან, რომელიც შეიძლება ნედლეულის გამოყენების პროცესიდან მომდინარეობდეს. მეორე მხრივ, ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის საპატენტო სამსახურებს ზედმეტად ფართო მოთხოვნების მიღების ტენდენცია აქვთ. ამგვარად, 1995 წელს აშშ-ში მისისიპის უნივერსიტეტს მისცეს პატენტი კურკუმას შემხორცებელი თვისებების საკუთრებაზე; იმავე წელს ამერიკულმა საწარმომ W.R. Grace-მა ევროპული ოფიციალური ფირმისგან მიიღო პატენტი ნემის ზეთის პარაზიტული სოკოების მომსპობ თვისებებზე. ორივე პატენტი გაუქმდა წინააღმდეგობის შედეგად, რომელიც ამ საპატენტო ბიუროების მიმართ განხორციელდა. აღინიშნა, რომ ამ მცენარეების თვისებები დიდი ხანია ცნობილია ინდოეთის ერთობებისთვის და ეს პატენტენტები სამიდან ორ კრიტერიუმსაც კი არ აკმაყოფილებს, რადგან ის უნდა შეიცავდეს სიახლეს, გამომგონებლურ საქმიანობასა და სამრეწველო გამოყენებას. გაუქმების ეს ზომები დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ახლად დაწინაურებული ქვეყანა ფლობს, როგორცაა ინდოეთი და ბრაზილია. აღსანიშნავია, რომ პატენტის მოპოვების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მფლობელს 20 წლის განმავლობაში მის ექსპლუატაციაზე მონოპოლია აქვს იმ ტერიტორიაზე, სადაც ის მიიღეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მფლობელს შეუძლია ადგილობრივ ხელისუფალთ მოსთხოვოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული მსგავსი ნაწარმის კომერციალიზაციის აკრძალვა, იმ ქვეყნების ჩათვლითაც, საიდანაც გენეტიკური მასალა ჩამოაქვთ და მასთან დაკავშირებული ტრადიციული გამოყენებაც.

ამავე დროს, კონვენციით გათვალისწინებულია, რომ გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობა უნდა „დამაკმაყოფილებელი“ იყოს (მე2 მუხ.), მაგრამ ექვემდებარებოდეს „ამ რესურსების გამცემის წინასწარ თანხმობას“ (მე-15,5 მუხ.). ეს კონვენცია ასევე მხარს უჭერს ადგილობრივი ერთობების პრაქტიკის, სიახლისა და ცოდნის გამოყენებიდან მომდინარე მოგების სამართლიან განაწილებას (მე-8 J მუხ.). განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელსაყრელი ეს დებულებები საკმაოდ ნათელია და პრობლემას არ გამოიწვევდა, თუმცა, ისინი აშკარად შეუთავსებელია ADPIC-თან, რაც ჩვენ უკვე ავლინებთ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ნაწილში, განსაკუთრებით მის 27-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც დასაპატენტებელ ობიექტს განსაზღვრავს. ამ მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, „პატენტის გაცემა შესაძლებელია ნებისმიერი გამოგონების, ნაწარმის ან მეთოდისთვის ტექნოლოგიების ყველა სფეროში“, თუკი დაკმაყოფილებულია სიახლის,

სამრეწველო გამოყენებისა და გამომგონებლური საქმიანობის სამი პირობა. მე-3 პარაგრაფის b აბზაცი, რომელიც განიხილავს ბიოტექნოლოგიურ გამოგონებებსა და მცენარეულ მრავალფეროვნებას, ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა დააწესონ რეგლამენტაცია პატენტებზე, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც მიკროორგანიზმებთან, ისე მცენარეებიდან და ცხოველებიდან მიღებულ მიკრობიოლოგიურ და არაბიოლოგიურ მეთოდებზე. რაც შეეხება მცენარეულ მრავალფეროვნებას, ის დაცული უნდა იყოს ან პატენტით ან ეფექტური sui generis-ის სისტემით ან ორივეს შეხამებით. ADPIC-ი sui generis-ის სისტემით პატენტის ალტერნატივას გულისხმობს, საიდანაც ყველაზე ძველი მომპოვებლის უფლებაა. ეს უფლება შემოღებულია მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV) კონვენციის საფუძველზე და 1968 წელს შევიდა ძალაში. UPOV-ის დამფუძნებელი და ახალი წევრები სამრეწველო ქვეყნებია და რამდენიმე ახლად დაწინაურებული ქვეყანა, ძირითადად, ლათინური ამერიკიდან.

მცენარეთა ნებისმიერი სახეობა, რომელიც განსხვავების, ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის სამ პირობას მოიცავს, შეიძლება მცენარეულობის მოპოვების სერტიფიკატით (COV) იყოს დაცული. ამგვარი დაცვის ხანგრძლივობა ნაირსახეობების მიხედვით იცვლება, 20 წლიდან ერთწლოვანი მცენარეებისთვის, ხეებისთვის კი 25 წლამდე. ეს სერტიფიკატი ახლოს დგას პატენტთან, მაგრამ ორ მნიშვნელოვან გამონაკლისს შეიცავს. პირველი მდგომარეობს კვლევების თანხმობაში, – ან თავისუფალი ხელმისაწვდომობის პირობაში – რომელიც დაცული სახეობის გამოყენების საშუალებას იძლევა ახალი შთამომავლობის შესაქმნელად. მეორე გამონაკლისია ე. წ. ფერმერის პრივილეგია, რომელიც ფერმერებს საკუთარ მინდორზე მეორედ დათესვის შესაძლებლობას აძლევს სერტიფიკატის მიმღების ანაზღაურების გარეშე. ორივე გამონაკლისის მიზანია მსოფლიო საკვების უსაფრთხოების დაცვა, კვლევების გაგრძელების გარანტიით, მცენარეთა გაუმჯობესების სფეროში, და ფერმერებისთვის ფერმის თესლების შენახვისა და გამოყენების უფლების მინიჭება, ე. ი. პირველი მოსავლიდან გადარჩეული თესლებისა. ამავე დროს, 1991 წელს UPOV-ის კონვენციაში შესწორებები შევიდა პატენტთან დაახლოებული დაცვის შემოსაღებად. თავისუფალი მისაწვდომობის პირობა ექსპერიმენტულ კვლევამდე შეიზღუდა და აღარ ეხება „ამჟამად მოდიფიცირებულ მცენარეებს“, – COV-ის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ახალი ნაირსახეობის შემთხვევაში – მაშინ როდესაც ფერმერის პრივილეგია ფაკულტატიური გახდა და „სერტიფიკატის მფლობელის ლეგიტიმური ინტერესების დაცვით“ უნდა განხორციელდეს.

არც ADPIC-ი და არც UPOV-ის კონვენცია არ აღიარებს ტრადიციული ერთობების ან სამხრეთის ქვეყნების ფერმერთა როლს საჭირო პროდუქციისა და მეთოდების განვითარებაში ან ჯიშების შექმნაში. თუმცა, როგორც აღნიშნეთ, სწორედ ესაა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ერთ-ერთი მიზანი. მოლაპარაკებები განსხვავებული შეთანხმებების შესაჯერებლად სხვადასხვა ჩარჩოში გაგრძელდა, დაწყებული ADPIC-ის საბჭოდან, რომელსაც 1999 წლიდან 27-ე 3 (b) მუხლის გადასინჯვა დაევალა. ბრაზილიისა და ინდოეთის თაოსნობით სამხრეთის ქვეყნების ჯგუფი ამ მუხლის შეცვლის წინადადებით გამოვიდა, მასში პატენტის ნებისმიერი მსურველისთვის ვალდებულების ჩასართავად, რომელიც გაითვალისწინებდა, როგორც გენეტიკური მასალის წყაროს, ისე ამ მასალის მისაღებად გამოყენებული ტრადიციული ცოდნის გაცხადებას და, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის ან ავტოქთონური ერთობის წინასწარი თანხმობის მტკიცებულების არსებობას პატენტის ობიექტის გამოყენებასთან დაკავშირებით; ასევე აღნიშნულიდან მომდინარე შესაძლო კომერციული მოგების სამართლიან და მიუკერძოებელ გადანაწილებას. ამავე დროს, ამ მუხლის შესწორების წინადადებები კატეგორიულად უარყვეს სამრეწველო ქვეყნებმა. ამიტომაც, ამ მუხლში შესწორების შეტანის ნაკლები შანსები არსებობს.

2002 წელს კანკუნში თორმეტი განვითარებადი ქვეყანა შეიკრიბა, – ბრაზილია, ჩინეთი, კოლუმბია, კოსტა-რიკა, ეკვადორი, ინდოეთი, ინდონეზია, კენია, მექსიკა, პერუ, სამხრეთ

აფრიკა და ვენესუელა – ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ქვეყნების მსგავსი გაერთიანების (PMME) შესაქმნელად, რომელსაც შეუერთდნენ ბოლივია, მალაიზია, ფილიპინები და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს ქვეყნები, რომლებიც დედამიწის ბიოლოგიური მრავალფეროვნების 70%-ს ფლობენ, თავიანთ ძალისხმევას ძირითადად, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ჩარჩოში ანხორციელებენ, გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებიდან მომდინარე მოგების გადანაწილების საერთაშორისო რეჟიმის (APA) ჩამოსაყალიბებლად. ამავე წელს, კონვენციის მონაწილე მხარეების კონფერენციის დროს მიიღეს „ბონის ძირითადი მიმართულებები“ მიუხედავად ნებაყოფლობითი ხასიათისა, ეს მიმართულებები ხაზს უსვამს გენეტიკური რესურსების „გამომყენებელთა“ მხრიდან „მომმარაგებლებისგან“ წინასწარი თანხმობის მიღებას საქმის ცოდნით და, ასევე, გვთავაზობს ფინანსური და არაფინანსური მოგების მაჩვენებელ სიას, რომელიც შეიძლება მასალის გადატანიდან მომდინარეობდეს.

თუკი შესაძლებელია „მომმარაგებელი“ ქვეყნებიდან წამოსული სხვადასხვა ინიციატივების გაგება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სისტემა ადეკვატური იყოს ავტოქტონური ერთობების უფლებების დაცვისთვის. ეს სისტემა ინდივიდუალური საკუთრების უფლებებს იცავს, ტრადიციული ცოდნა კი ზოგადად, კოლექტიური ხასიათისაა, – ხშირ შემთხვევაში, ამ ცოდნის მატარებელი ერთდროულად მრავალი ერთობაა. გარდა ამისა, ეს ცოდნა შთამომავლობითია და ზეპირი გზით გადაიცემა. ამგვარად, პატენტის მიღებისთვის აუცილებელი სიახლისა და გამომგონებლური საქმიანობის პირობა ამ ერთობებს არ გააჩნიათ. რომელმა ერთობებმა უნდა მიიღონ კომპენსაცია და როგორაა შესაძლებელი იმის უზრუნველყოფა, რომ მოგების წილი სწორედ ამ უკანასკნელებზე გადანაწილდეს და არა სამთავრობო სააგენტოებზე? საჭიროა თუ არა ამ ცოდნის დოკუმენტირება იმ ფირმების ხელმისაწვდომობისთვის, რომლებიც პატენტებს აკონტროლებენ მსოფლიოში? ამავე დროს, აღნიშნულს ბიოლოგიური მეკობრეობის გაიოლება შეუძლია. არსებობს მრავალი პრობლემა, რომლის გადაჭრაც ახლო პერსპექტივაში არც ისე იოლია.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ გარემოსთვის მიყენებულ ზარალს სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები აქვს. სიღარიბე ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, რადგან დემოგრაფიულ ზრდასთან ერთად, ის უსახსრო მოსახლეობას ყველაზე ნაკლებად ნაყოფიერი მიწების დამუშავებისა და ტყის გაჩენვისკენ უბიძგებს. სხვა მიზეზია, კულტივირებული ნათესები. „მწვანე რევოლუციიდან“ მოყოლებული, კულტივირებული ნაირსახეობები მსოფლიო დონეზე შაგრენის ტყავივით შემცირდა, რაც თავისთავად ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვას ნიშნავს. გარდა ამისა, მაღალი ნაყოფიერების თესლების რამდენიმე ნაირსახეობის მასობრივ გამოყენებას თან ახლავს სასუქის ინტენსიური მოხმარება საუკეთესო შედეგების მისაღწევად. იგივე ხდება პესტიციდების შემთხვევაში, რომელთა გამოყენება აუცილებელი გახდა ამ ჰომოგენური მცენარეების დიდი მოწყვლადობის გამო, რასაც ისინი პარაზიტი ან პათოლოგიური აგენტების პირისპირ ავლენენ. აღნიშნულის შედეგია ბიომრავალფეროვნების ეროზიის ზრდა. დაბოლოს, დავალიანება ეკოლოგიური მდგომარეობის გაურესების უმნიშვნელოვანესი მიზეზია. სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობას, თავიანთი ვალის მომსახურების პირობების დასაცავად, მხოლოდ ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაციის შესაძლებლობა აქვს, სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკა კი ხელს უწყობს ბაზრის თავისუფალი თამაშის წესებს, რაც ამ სახელმწიფოებს ასევე აღნიშნული მიმართულებით სვლას აიძულებს. ტროპიკული ტყეების ექსპლუატაციის შედეგები განსაკუთრებით, ტრანსნაციონალური კომპანიების მხრიდან, ძალზე მძიმეა, როგორც მადაგასკარის, ისე ინდონეზიის, ნიგერიისა და სპილოს ძვლის სანაპიროსთვის. 1960 წლიდან ბანანის პლანტაციებმა თითქმის მთლიანად დაიკავა ეკვატორის დასავლეთით მდებარე ტყეები. აქედან მომდინარეობს გამოუვალი გარემოებები, – ეკოლოგიური კატასტროფები, მაგალითად, ტყეების ექსპლუატაციით და ნიადაგის

ეროზიით გამოწვეული წყალდიდობები, ყველაზე ხშირი, და ყველაზე დამანგრეველია, ღარიბ ქვეყნებში.

4. 2. 2. გლობალური დაბინძურება

სტოკჰოლმის კონფერენციის მსვლელობისას ასევე დადგა ზედაპირის წყლების, – ტბების და მდინარეების – , მზარდი გამჟავიანების გამომწვევი დამაბინძურებელი ნივთიერებების საკითხი, რაც ფიტოპლანქტონებისა და თევზების გაქრობას იწვევს. ეს „მჟავე წვიმების“ სახელით ცნობილი ფენომენი გადაუდებელს ხდის პრევენციის პრინციპის მიღებას იმ დროიდან, რაც 1960-იან წლებში მეცნიერების მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, სკანდინავიის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი შვედეთს, მჟავური წვიმები დაატყდა, რომლებიც აჭარბებენ ამ ქვეყნებში გოგირდმჟავისა (SO₂) და აზოტის ჟანგის (NO_x) გამოყოფას და, ამგვარად, სხვა წყაროებიდან მომდინარეობენ, სახელდობრ, დიდი ბრიტანეთისა და ცენტრალური ევროპის მძიმე მრეწველობიდან. ასევე, როგორც ჩანს, კანადა, დიდი ტბების სხვა ქვეყანა, სწრაფი გამჟავიანების პროცესს განიცდის, რომლის წყაროც, დიდწილად, აშშ-დან მომდინარეობს. ღრუბლები, რომელთა ნალექი შეიძლება შედარებით დიდ დისტანციებზე გამოვლინდეს, ამ ტრანსსასაზღვრო დაბინძურებას გლობარულზე მეტად რეგიონულ მასშტაბს ანიჭებს (Faucheux et Noël, 1990). ამავე დროს, აღნიშნული პროცესის გასაკონტროლებლად მიღებულ ზომებს გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია შემდგომ ქმედებებზე ქლორ-ფტორ-ნახშირწყალბადისა (CFC, ქართ. ქენი) და სათბურის ეფექტის მქონე გაზით გამოწვეული გლობალური დაბინძურების შესაჩერებლად.

ზემოთ აღნიშნულზე პირველი პასუხი იყო 1979 წელს მიღებული კონვენცია დიდი დისტანციის ტრანსსასაზღვრო ატმოსფერული დაბინძურების შესახებ. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამშრომლობას, როგორც გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრებს შორის, ისე ამ კომისიაში საკონსულტაციო სტატუსის მქონე სახელმწიფოებისთვის, სახელდობრ, აშშ-ის, კანადის, თურქეთისა და ყოფილ საბჭოთა ბლოკში შემავალი ქვეყნებისთვის. ის მიზნად ისახავს „ატმოსფერული დაბინძურების ეტაპობრივ შემცირებას“ ინფორმაციის გაცვლის, კონსულტაციების, ზედამხედველობის, კვლევითი საქმიანობისა და ჰაერის ხარისხის მართვის სისტემების განვითარების საშუალებით.

მეორე რიგის ზომები ახალი ტექნიკური ნორმების ეტაპობრივ მიღებას ითვალისწინებს. სამეცნიერო აქტორთა და სამრეწველო ჯგუფების როლი ფუნდამენტურად წარმოჩნდება ამ სფეროში. პირველები მას ექსპერტიზით უზრუნველყოფენ, – ხშირად, საკამათო – რომელსაც პოზიტიური ან ნეგატიური შედეგები შეიძლება ჰქონდეს მეორეებზე. საბოლოო ჯამში, სწორედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხები, რასაც ისინი აკეთებენ ეკონომიკური ღირებულების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იმ სახელმწიფოების ზეწოლის ქვეშ, რომლებიც მჟავური წვიმებიდან მიღებულ ზარალს განიცდიან. 1980-იან წლებში აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მღელვარება გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო გერმანიაში ტყეების მნიშვნელოვანი განადგურებით. ეს მიეწერებოდა ხან SO₂-ის, – ძირითადად, ბრალი ედებოდა ქვანახშირის წარმოების მრეწველობას, – ხან კი NO₂-ის გამოფრქვევას, რომელიც ტროფოსფერული ოზონის მომასწავებელია და ფოთლების ნეკროზის გამომწვევად განიხილება, იგივეს, ასევე, ძირითადად მანქანის ძრავებს მიაწერდნენ. გერმანელმა კონსტრუქტორებმა გამოსავალი კატალიტიკური მაცურის შექმნით გამონახეს. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ფარგლებში, ფედერალური მთავრობა შეეცადა ყურადღება მეორე ვარაუდზე გაემახვილებინა მაცურების შემოღებით და ტყვის შემცველობის არმქონე ბენზინის გამოყენებით (Faucheux et Noël, 1990).

ატმოსფეროს გამჟავიანებამ აშშ მესამე ტიპის პასუხის ინიციატორი გახადა, რომელმაც შემდგომში დიდი გავლენა იქონია კლიმატური ცვლილებების დიპლომატიკაში. ეს პასუხი მდგომარეობს მოქნილი ინსტრუმენტების, ე. ი. ბაზრის მექანიზმების გამოყენებაში. 1990 წელს ნაციონალურ კანონში შეტანილი შესწორებით სუფთა ჰაერის შესახებ (*Clean Air Act*), ამერიკის მთავრობამ გამოფრქვევის ნებართვის ბაზარი აამოქმედა, რომელიც 2010 წელს გოგირდის დიოქსიდის 40%-ით შემცირებას ითვალისწინებს 1980 წლის დონესთან შედარებით. ამ მექანიზმის პრინციპი საკმაოდ კომპლექსური და მკაცრად რეგლამენტირებულია. გარემოს დაცვის ამერიკული სააგენტო (EPA) უსასყიდლოდ აძლევს საქმესთან დაკავშირებულ აქტორებს, – რომლებიც ძირითადად, ქვანახშირისაგან ელექტროენერჯის მწარმოებელი ქარხნებისგან შედგება – ნებართვების გარკვეულ რაოდენობას, რაც SO₂-ის ტონებშია გამოსატყეველი და მათი გამოფრქვევის უფლების დონეს შეესაბამება. ყოველ წელს, ამ ქარხნების გამოფრქვევები სერტიფიცირებული ხელსაწყოების საშუალებით იზომება, რომელთაც აჯამებენ და მათ EPA-ს უნდა აცნობონ გამოფრქვევების ნებართვის შესატყვისი წილის თაობაზე. დადგენილი ზღვარის (cap) გადამჭარბებელმა საწარმოებმა 2 000 დოლარი ჯარიმა უნდა გადაიხადონ თითოეულ გადაჭარბებულ ტონაზე, თუკი ისინი ზედმეტ გამოფრქვევას დამატებითი ნებართვების ყიდვით არ აანაზღაურებენ. ამ ნებართვების მიღება შესაძლებელია ელექტროსადგურებში, რომელთა გამოფრქვევის ინტენსივობა ნებადართულ მაქსიმუმზე დაბალია.

მწარმოებლების მიერ ნებართვის უფლებების ბაზრის კარტელიზაციის შესაჩერებლად, რომლებიც ამ ნებართვების რეზერვად დატოვებას არჩევენ, გარემოს დაცვის ამერიკული სააგენტოს ხელშია გასაცემი ნებართვების მცირე რაოდენობა, და წელიწადში ერთხელ, აღნიშნულ სააგენტოს ისინი ჩიკაგოს ბირჟის აუქციონზე გააქვს. ნებართვის შემოთავაზების გაიშვიათების გამო გამოფრქვევების უფლებების ღირებულებამ ტონაზე 200 დოლარზე მეტს გადააჭარბა 2000 წელს. აღნიშნულის მიზანია ეტაპობრივად იმის მიღწევა, რომ დამატებითი ნებართვის ყიდვის ღირებულებამ მინიმალურად რენტაბელურ ღირებულებას გადააჭარბოს, რომელიც საკუთრივ, ახალი ტექნოლოგიების ინვესტირებაში მდგომარეობს. პირველი პერიოდის განმავლობაში, რომელიც 1995 წლიდან 1999-მდე გაგრძელდა, ყველაზე დაბალი პროდუქტიულობის მქონე 263 ელექტროენერჯის ძირითადი მწარმოებლებისთვის მექანიზმი გაფართოვდა, ხოლო 2000 წლიდან ყველა სხვა ერთეულისთვის. EPA-ს გამოთვლებით, ამ მექანიზმმა ისე კარგად იმუშავა, რომ ელექტროსადგურებს მთლიანობაში 2000 წელს ნებადართულ მაქსიმუმზე ნაკლები გამოფრქვევები ჰქონდათ.

იგივე კომპლექსურ თამაშს, რომელშიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო ინტერესები გადაიკვეთა, ადგილი ჰქონდა CFC-ის (ქლორ-ფტორ – ნახშირწყალბადი) წინააღმდეგ წარმოებულ საერთაშორისო საქმიანობაში. 1988 წელს კომერციალიზებულ ამ მოლექსულებს გამძლეობა, ნაკლები ტოქსიკურობა და არააალებადობა ახასიათებს. მსგავსმა მახასიათებლებმა ისინი სხვადასხვა გამოყენებისთვის მიმზიდველი გახადა, – შესასხურებელი აეროზოლები, გაციების სისტემის ინდუსტრია, გამხსნელი ნივთიერება ელექტრონიკაში (Faucheux et Noël, 1990). თუმცა, ამ მოლექსულების ინერციას, – ატმოსფეროში თავისუფლად მოხვედრის შემთხვევაში – შედეგად მოჰყვა ის, რომ ვერანაირი ქიმიური რეაქცია მათ ვერ დაშლის, იმგვარად, რომ მათ სტრატოსფერომდე მიღწევა შეუძლიათ, რომელშიც ამ უკანასკნელთა ფოტოლისოციაცია რთული ქიმიური მექანიზმების წარმოქმნას და ოზონის (O₃) კატალიტიკურ დაშლას გამოიწვევს. მაღალ ატმოსფეროში კონცენტრირებული ოზონის თხელი შრე მზის ულტრაიისფერი გამოსხივების 99%-ს შთანთქავს. ამ შრის გამოფიტვა იმ ულტრაიისფერი სხივების ინტენსიფიკაციაში გამოიხატება, რომელიც დედამიწის ზედაპირს აღწევს. აღნიშნული კიბოს დაავადებების რაოდენობას ზრდის ადამიანებსა და ცხოველებში, ანელებს როგორც ფოტოსინთეზს, ისე ფოტოპლანქტონების რეპროდუქციას და, ამგვარად, ცვლის მტკნარი წყლისა და ზღვების ეკოსისტემების ბიოქიმიურ ციკლებს.

ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, ქლორ-ფტორ – ნახშირწყალბადი სტრატოსფერულ ოზონს შლის, პირველად ორმა ამერიკელმა მკვლევარმა, მარიო მოლინამ და შერვუდ როულენდმა წამოაყენეს 1974 წელს ჟურნალ „Nature-ში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. თერთმეტი წლის შემდეგ, ამავე ჟურნალში ეს ჰიპოთეზა გამყარდა British Antarctica Survey-ის (ანტარქტიკული კვლევების ბრიტანული ცენტრი) წევრების, მათ შორის ჯო ფორმანის მიერ წარმოებული კვლევების შედეგებით, რომელთა თანახმად, ოზონის შრის სისქე მნიშვნელოვან სეზონურ ცვლილებებს ექვემდებარება ანტარქტიკის თავზე, – ფენომენი, რომელსაც მედიამ „ოზონის ხვრელი“ უწოდა. ეს პუბლიკაცია ვენის შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ გამოქვეყნდა, – ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც მონაწილე მხარეებს იმ კვლევებში თანამშრომლობას ავალდებულებს, რომელთა მიზანია ადამიანის საქმიანობის შედეგების შეფასება ოზონის შრეზე და იმგვარი საქმიანობის შეზღუდვა და პრევენცია, რომელიც ამ კუთხით შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ფორმანის კვლევის მყისიერი შედეგი გახდა პროტოკოლის მიღებისთვის მოლაპარაკებების დაჩქარება, რომელიც ხელმოსაწერად მონრეალში 1987 წელს მომზადდა. აღნიშნული პროტოკოლის ტექსტი ითვალისწინებს 1999 წელს ხუთი ძირითადი CFC-ის წარმოებისა და მოხმარების 50%-მდე შემცირებას 1986 წლის დონესთან შედარებით. ეს პროტოკოლი მრავალი შესწორებების ობიექტი გახდა, რომელიც მიზნად ისახავდა განხილული ნივთიერებების ამოღების თარიღების დაჩქარებას. 1998 წლის ბოლოსთვის თავდაპირველად რეგლამენტირებული CFC-ის წარმოება 95%-მდე შემცირდა სამრეწველო ქვეყნებში და 88%-ით მსოფლიოში. დარჩენილი პროდუქცია განკუთვნილია მოხმარებლებისთვის, რომლებიც ამ რეგლამენტაციებს არ იცავენ და განვითარებად ქვეყნებში ექსპორტისთვის.

განსაკუთრებული გარემოებების თანხვედრა CFC-ის საერთაშორისო რეგულირების წარმატებას განმარტავს გლობალური დაბინძურების სხვა ფენომენებთან შედარებით. პირველ რიგში, საქმე ეხება იმ ნივთიერებების ნაკრებს, რომელთაც სხვადასხვა გამოყენება აქვთ და ნახშირწყალბადების სტრატეგიული მნიშვნელობა არ გააჩნია სამრეწველო პროცესში. 1970-იან წლებში მათი წარმოება კონცენტრირებული იყო სამრეწველო ქვეყნების შეზღუდულ რაოდენობაში, – აშშ, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, იაპონია და საბჭოთა ბლოკი. ფრანგული კომპანიის Atochem-ის გამოკლებით, CFC-ი ხშირ შემთხვევაში, ძირითადი მწარმოებლების სასაქონლო ბრუნვის მხოლოდ უმნიშვნელო წილს შეადგენს. ეს არის დიუპონ დე ნემურის შემთხვევა, რომელიც 1970-იან წლებში ამერიკული პროდუქციის 50%-ს ფლობდა, მაშინ როდესაც CFC-ი მისი მოგების მხოლოდ 2%-ს შეადგენდა. საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებისა და ბაზარზე პოზიციონირების ზრუნვით, აღნიშნულმა კომპანიამ დაასწრო CFC-ის რეგლამენტირებას და 1970-იან წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩადო შემცველის კვლევებში. თავისი კონკურენტების წინ გასწრებით, დიუპონმა 1986 წლიდან აღნიშნულ საკითხში პროტოკოლის მიღებას დაუჭირა მხარი.

ამავე დროს, მოსაგვარებელი რჩება ორი პრობლემა. ერთი განვითარებად ქვეყნებს ეხება, – CFC-ის მოხმარებლები, სახელდობრ, ჰაერის კონდიციონერებისა და ხელოვნური გაციების სექტორებში. პროტოკოლის მე-5 მუხლის თანახმად, ამ ქვეყნებს შეუძლიათ შეზღუდვის ვალდებულებების შესრულების ვადის ათი წლით გახანგრძლივება. იმავდროულად, მათ ნებადართულ ზღვარს არ უნდა გადააჭარბონ. ამავე პროტოკოლის მე-10 მუხლით გათვალისწინებულია დამატებითი დაფინანსების მექანიზმის შემოღება, რომელიც ტექნიკისა და შესანაცვლებელი ნივთიერებების, CFC-ის რეციკულაციის, პატენტების მოპოვებითა და საიჯარო გადასახადების შემოღებითაა გამოწვეული. 2000 წლის 31 მარტს 117 განვითარებად ქვეყანას, რომელმაც აღნიშნული პროტოკოლის რატიფიკაცია მოახდინა, ამ მიზნით ერთი მილიარდი დოლარი გამოეყო. როგორც ჩანს, ერთხელ მაინც პასუხისმგებლობისა და ღირებულების დიფერენცირებული განაწილების პრინციპი საკმარისად იქნა დაცული სამრეწველო ქვეყნების მიერ გარემოს დაცვის საერთაშორისო რეჟიმთან ფართო გაერთიანე-

ბის უზრუნველსაყოფად. მეორე პრობლემა შემცველებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთ CFC-ზე ნაკლებად დამანგრეველი პოტენციალი აქვთ, ყველა მათგანი არ არის სავსებით უსაფრთხო. მეორე მხრივ, ზოგიერთი მათგანი სათბურის ეფექტის მქონე ძლიერმოქმედი გაზია და ადრე თუ გვიან რეგლამენტირების ობიექტი უნდა გახდეს, – ჯობს ადრე, ვიდრე გვიან.

სათბურის ეფექტის მქონე გაზები (GES) და მათი ზეგავლენა კლიმატურ ცვლილებებზე მსოფლიო მასშტაბის პრობლემადაა აღიარებული 1979 წლიდან კლიმატის საკითხებთან დაკავშირებული პირველი კონფერენციის დროს, რომელიც უნევაში მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ ჩაატარა (OMM). ატმოსფეროში ინფრაწითელი სხივების ნაწილის დაჭერით, რომელსაც დედამიწა კოსმოსური სივრცისკენ ირეკლავს, სათბურის ეფექტის მქონე ბუნებრივი გაზები, რომელთა შორისაა წყლის ორთქლი, ხელს უწყობს დედამიწაზე დაახლოებით 35^o-ზე მაღალი საშუალო ტემპერატურის წარმოქმნას, რასაც ადგილი არ ექნებოდა ამ გაზების არარსებობის შემთხვევაში. შემოფოთებას იწვევს ადამიანის საქმიანობიდან მომდინარე სათბურის ეფექტის მქონე გაზების კონცენტრაციის ზრდა, რადგან ეს ფენომენი შეიძლება ბუნებრივი სათბურის ეფექტში აისახოს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ატმოსფეროს ქვედა ფენისა და დედამიწის ზედაპირის დათბობაში. ეს გაზები ძირითადად, წიაღისეული საწვავიდან მიღებული ენერგიიდან მომდინარეობს (CO₂), მაგრამ ასევე მეთანის (CH₄), აზოტის ჟანგისა (N₂O) და ჰიდრო-ფტორ-ნახშირმჟავის (HFC) გაზებისგან. უნევის კონფერენციის ჩატარების შემდეგ, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (OMM), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამისა (ფრანგ. PNUE; ინგლ. UNEP) და საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს (ფრანგ. CIUS; ინგლ. ICSU) ეგიდით შეიქმნა კლიმატის კვლევის მსოფლიო პროგრამა. 1980-იან წლებში ამ პროგრამის ჩარჩოში ვილახში მსოფლიოს მეცნიერებისგან შემდგარი სპეციალიზებული სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები ჩამოყალიბდა, რომლებიც 1985 წელს შეთანხმდნენ საშუალო ტემპერატურის უპრეცედენტო აწევის ალბათობაზე XXI საუკუნის პირველი ნახევრიდან.

1988 წელს მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამამ შექმნეს სამთავრობოთშორისო ჯგუფი კლიმატის ევოლუციის (GIEC) საკითხებზე, რომელმაც 2 000-ზე მეტი მეცნიერისგან შემდგარი ქსელი გააერთიანა. ამ უკანასკნელთ, სამი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, დავალათ სამეცნიერო ინფორმაციის შეფასება კლიმატურ სისტემაზე, კლიმატური ცვლილებების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე და ამ პრობლემთან დაკავშირებული ასამოქმედებელი სტრატეგიების შემუშავება. ეს ჯგუფები, – ყოველ 5-6 წელიწადში – სამი ტიპის შრომებს ამზადებენ: სამეცნიერო შინაარსისა და ასობით გვერდის შემცველი შეფასების ანგარიშები, რომლებიც მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი, გადაწყვეტილებების მიმღებთა საყურადღებოდ მომზადებული რეზიუმეები და საერთო ანგარიში. ორი უკანასკნელი ანგარიში იოლად გასაგებ ენაზეა მომზადებული უფრო ფართო აუდიტორიის მოსაზიდად. ამ განსხვავებული პროდუქციის რედაქტირებისა და რევიზიის პროცესი რთულ ურთიერთკავშირს გვიჩვენებს GIEC-ის წევრებს შორის. ყველაფერი იწყება სამეცნიერო სფეროდან გამოსულ მთავარ ავტორთა მიერ შემოთავაზებული სამუშაო გეგმით. ეს გეგმა GIEC-ის ყველაზე მსხვილი შემომწირვლების მიერ დანიშნულმა სამუშაო ჯგუფების პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მოიწონონ და პლენარულ სხდომაზე გაიტანონ, რომელიც ყველზე პოლიტიზირებული ორგანოა. გეგმაზე თანხმობის მიცემა განსაზღვრული თემის „სიციხადესა და ობიექტურობას“ მოითხოვს, მაშინ როდესაც დამტკიცება, ყოველი წინადადების გარშემო ზედმიწევნითი მოლაპარაკებებით ხორციელდება. შეფასების ანგარიშები უბრალოდ მოწონებული უნდა იქნეს სამუშაო ჯგუფების პასუხისმგებელი პირების მიერ. გადაწყვეტილების მიმღებთა საყურადღებოდ შედგენილი რეზიუმეები ასევე ამ პასუხისმგებელი პირების თანხმობას ექვემდებარება, მათი მიღება კი პლენარულ სხდომაზე ხდება. რაც შეეხება სინთეზურ ანგარიშს, ის პლენარულმა

ასამბლეამ უნდა დაამტკიცოს. ეს ანგარიში ზოგიერთებმა გააკრიტიკეს სამეცნიერო შედეგების დამახინჯების გამო. ამგვარი პოლიტიკური იმპლიკაცია, რომელიც საქმიანობის მიხედვითაა დიფერენცირებული, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს აუცილებელი კონსენსუსის მიღწევას დიპლომატიური მოლაპარაკებების გასაგრძელებლად.

1990 წელს გამოქვეყნებული GIEC-ის პირველი ანგარიში გადამწყვეტი გახდა მოლაპარაკებების სამთავრობოთშორისო კომიტეტის შექმნისთვის, რომელსაც კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის შემუშავება დაევალა. მიუხედავად იმისა, რომ სათბურის ეფექტის მქონე გაზების შედეგები ვარაუდების დონეზეა განხილული, ისინი ძალზე დრამატულად წარმოჩნდება: ტემპერატურის გლობალური დათბობა, საოკეანო დინებათა შენელება, წვიმების რეჟიმის დარღვევა, ზღვების დონის აწევა თერმული მოცულობის გაზრდის შედეგად, მყინვარების გალღობა, ზღვისპირა მიწების გაქრობა და ეკოსისტემების ცვლილება. თხუთმეტოვანი მოლაპარაკებების დასასრულს, ამ კონვენციას 154 ქვეყანამ მოაწერა ხელი 1992 წლის „დედამიწის სამიტზე“, რომელიც 1994 წელს შევიდა ძალაში. ეს კონვენცია ითვალისწინებს ატმოსფეროში სათბურის ეფექტის მქონე გაზების კონცენტრაციის სტაბილიზებას იმ დონემდე, რომ ადამიანის საქმიანობამ ვერ შეძლოს დედამიწის კლიმატური სისტემის შეცვლა. კონვენციის რატიფიცირებით სამრეწველო და გარდამავალი ქვეყნები შეთანხმდნენ თავიანთ სახელმწიფოებში ათწლეულის დასრულებამდე სათბურის ეფექტის მქონე გაზების ემისიების „წინათ არსებულ დონემდე“ დაყვანაზე. განვითარებადი ქვეყნები თავის მხრივ, დათანხმდნენ აღნიშნული გაზების ინვენტარიზაციის მომზადებას „ახალი და დამატებითი“ ფინანსური რესურსების მიღების სანაცვლოდ.

1995 წელს GIEC-ის მიერ გამოქვეყნებული მეორე ანგარიში გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს „ადამიანის საქმიანობის შესამჩნევ გავლენას პლანეტის კლიმატზე“, რამაც კიოტოს ოქმზე ხელის მოწერა დააჩქარა. აშშ და ევროკავშირი ვალდებულებას იღებს სათბურის ეფექტის მქონე გაზების ემისიების შემცირებაზე 8%-მდე, მაშინ როდესაც გარდამავალ ქვეყნებს შეუძლიათ ამ გაზების იგივე მოცულობის გამოყოფა, რაც 1990 წელს. 39 სამრეწველო ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფი ამზადებს პროტოკოლის „პირველ დანართს“, რომლის დიფერენცირებული ვალდებულებები ითვალისწინებს გლობალურად სათბურის ეფექტის მქონე გაზების ემისიების 5,2%-მდე შემცირებას 2008-2012 წლებში. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ისინი არანაირ განსაკუთრებულ ვალდებულებას არ ექვემდებარებიან.

შემცირების პრინციპის მიღება ევროპის ქვეყნების პატარა გამარჯვებაა. ევროკომისიის ექსპერტები იმედოვნებენ, რომ შემცირება „ტექნიკურად განხორციელებადი“ და „ეკონომიკურად შესაძლებელია“. მანქანების საწვავის მოხმარების შემცირება რკინიგზისა და საგზაო სექტორის „გამოცოცხლებასა“ და საქონლის გადაზიდვის ტრანსპორტის საერთაშორისო განვითარებას გამოიწვევს, რკინიგზისა და საგზაო ტრანსპორტის კომბინირებით, – ორივე მიზანი აშკარად ხელს უწყობს ევროინტეგრაციის პროცესს. სამრეწველო სექტორში „ენერგეტიკული ეფექტურობის“ გაუმჯობესება პოზიტიურ შედეგებს იქონიებს სამუშაო ადგილების გაზრდაზე. სამეურნეო, მოხმარებისა და საყოფაცხოვრებო სექტორების მოდერნიზაცია, – კომპიუტერები, ტელევიზორები, ელექტრონათურები – იგივე ლოგიკას მიჰყვება და მოხმარების საგნებზე რეალურ მოთხოვნას გამოიწვევს ენერჯის ნაკლები მოხმარებით.

ამავე დროს, აშშ სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, – საკითხი არ დგას მანქანის საწვავის მოხმარების სწრაფ შემცირებაზე. ამ ქვეყანამ შემცირების ამოცანები უნდა შეზღუდოს და, იმავდროულად, სათბურის ეფექტის მქონე გაზების რეგულირების ორიენტაცია შეცვალოს. თუკი კიოტოში აშშ დათმობაზე წავიდა შეზღუდვის პრინციპთან მიმართებაში, სამაგიეროდ მან „მოქნილი მექანიზმების“ მიღებას მიაღწია, რომლებიც შესაძლებელს გახდის ერთი ქვეყნის მიერ განხორციელებული GES-ის ემისიის შეზღუდვის გამოქვითვას და მის სხვა ქვეყნისთვის მიწერას, რომელსაც ამ უკანასკნელის დაცვასთან დაკავშირებული სირთულეები აქვს.

1991 წელს გაეროს გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (ფრანგ. FEM; ინგლ. GEF) გამოიყენეს დაფინანსების დროებით მექანიზმად კლიმატურ ცვლილებებთან და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული კონვენციებისთვის. ამ ფონდის რესურსები, რაზეც პასუხისმგებლობა მსოფლიო ბანკს აკისრია, გამოიყენება სხვაობის დასაფარავად მსოფლიო გარემოს დაცვისთვის გამიზნული პროექტების ღირებულებასა და ამავე პროექტების ღირებულებას შორის, თუკი ქვეყანამ ეს მიზნები არ გაითვალისწინა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ფონდის მიერ გაცემული კონცესიური შემოწირულობები და ფონდები მხოლოდ პროექტის დამატებით ღირებულებას (incremental costs) ეხება, – დანარჩენი ხარჯები ბენეფიციარ ქვეყანას ეკისრება, რომელსაც სესხის გაცემის მოთხოვნით შეუძლია მიმართოს განვითარების საერთაშორისო ასოციაციას (IDA), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს ან კერძო ბანკებს. ფინანსური კუთხით, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი მექანიზმია, რომელიც სუბსიდირების შესაძლებლობას იძლევა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ან მომსახურებისა და რჩევებისთვის გარემოს დაცვის სფეროში. რამდენადაც ეს ტექნოლოგიები და მომსახურება სამრეწველო ქვეყნებიდან მომდინარეობს და პროექტისთვის განკუთვნილი თანხები, – დამატებითი ღირებულებებიდან დაქვითვა – თავად ბენეფიციარმა ქვეყნებმა უნდა გადაიხადონ, რესურსების გადატანის ვექტორი უფრო მეტად სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება. მსოფლიო ბანკი აღიარებს, რომ ამ პროექტების ღირებულების ძირითადი ნაწილი თავად ბენეფიციარმა ქვეყნებმა უნდა გადაიხადონ.

ამავე დროს, კიოტოს ოქმის კონკრეტული განხორციელება, – სათბურის ეფექტის მქონე გაზების გამოფრქვევების შემცირება – სერიოზულ პოლიტიკურ სირთულეებს აწყდება, სახელდობრ, აშშ-ის უარის გამო მის რატიფიკაციასთან დაკავშირებით.

4. 3. დემოგრაფიული და მიგრაციული პოლიტიკა

დედამიწის მოსახლეობა 6 მილიარდ მცხოვრებს შეადგენს. 1950 წლიდან მისი მოსახლეობა გაორმაგდა. დემოგრაფიული მატების საშუალო პროცენტი 1950 წლიდან 1975 წლამდე დაახლოებით 2%-ს შეადგენდა განვითარებად ქვეყნებში. აქედან მოყოლებული, გაეროს მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, დემოგრაფიული ზრდა შენედა. დღეისათვის ეს ზრდა წლიწადში დაახლოებით 78 მილიონ კაცს შეადგენს, რაც მატების ყოველწლიური 1,5%-ია. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი 2025 წლამდე შენარჩუნდება და სანახევროდ შემცირდება მომავალი საუკუნის შუა წლებისკენ. მსოფლიოს მოსახლეობის ოთხი მეხუთედი აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაშია თავმოყრილი. მის ზრდას თან ახლდა ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატება. 1950 წლიდან ქალაქში მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა თითქმის გასამმაგდა. სავარაუდოდ, განვითარებადი ქვეყნების ქალაქის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 60%-ს მიაღწევს 2025 წელს, 37%-ის საპირისპიროდ 1990 წელს. გაეროს გამოთვლების მიხედვით, სამუშაო ბაზარზე ახლადმოსულთა რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 60 მილიონს შეადგენს 29 მილიონის საპირისპიროდ 1960 წელს. ეს ნიშნავს, რომ ყოველ წელს აუცილებელი იქნება მრავალი სამუშაო ადგილის შექმნა სამუშაო ბაზარზე ახალგაზრდების საჭიროებების საპასუხოდ.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობა 2005 წელს 6 მილიარდიდან 7,3-დან 10,7 მილიარდამდე მიაღწევს 2050 წელს, ყველაზე სავარაუდოა 8,9 მილიარდი. 3.4 მილიარდის სხვაობა მატებისა და კლების ჰიპოთეზებს შორის, რომელიც მომავალში შობადობის მატების სხვადასხვა ვარაუდებს შეესაბამება, მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობას შეესაბამება 1966 წელს. საშუალოვადიანი ვარაუდების მიხედვით, მოსახლეობის ყოველწლიური მატება თანდათანობით შემცირდება 78 მილიონიდან 64 მილიონამდე 2020-2025 წლების პერიოდის

განმავლობაში, შემდეგ კი რადიკალური ვარდნა მას 33 მილიონამდე შეამცირებს 2045-2050 წლებში.

ამ დემოგრაფიული ფენომენის მრავალი მიზეზი არსებობს. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ალმავლობა, პირველ რიგში, დაკავშირებულია ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასთან, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატებასთან, რომელიც მსოფლიოში ჰიგიენისა და ჯანდაცვის პროგრესითაა გამოწვეული. მისი უწყვეტობა თავად ჩამორჩენილობის პირობებში ჯდება, შობადობის კონტროლი მოსახლეობისგან ცხოვრებისა და განათლების გარკვეულ დონეს მოითხოვს. ესაა მანკიერი წრე, რადგან სიღარიბის შეჩერება რთულია შობადობის მაღალი მაჩვენებლის პირობებში. გაეროს ინსტიტუტების მიერ გაწეული ძალისხმევა ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით – განათლება და სოციალური მდგომარეობა – , ასევე შობადობის კონტროლს ისახავს მიზნად.

მიგრაციული ფენომენები ამ დემოგრაფიული ზრდის ერთ-ერთი შედეგია, რომელიც სიღარიბეს და უმუშევრობას უკავშირდება. ეს ფენომენი ყოველთვის არსებობდა. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1845 წლიდან 1924 წლამდე. ამ პერიოდში ძირითადად, ევროპიდან წამოსული 50 მილიონამდე ადამიანი ამერიკის კონტინენტზე დასახლდა. მიგრაციამ შეიძლება ეკონომიკურ ზრდას შეუწყოს ხელი და, ამგვარად, მოცემული ქვეყნების სოციალურ კეთილდღეობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ევროპის შემთხვევაში 1970-იანი წლების მიწურულს. აქედან მოყოლებული, მიგრაცია ევროპის ქვეყნების მიმართულებით გაგრძელდა, რაც ხდებოდა იმ პერიოდში, როდესაც ეკონომიკურმა დაღმასვლამ, წარმოების ავტომატიზაციამ და ინდუსტრიულმა რესტრუქტურირებამ უმუშევართა ან დაბალი ანაზღაურების მქონე ადამიანთი მზარდი მასა მოიცვა. ასეთ მშრომელთა ექსპლუატაცია იოლია, რადგან ისინი ხშირად ცუდად არიან დაცულნი ეკონომიკური და სოციალური კანონმდებლობით. ამ ფენომენს ასევე ხელს უწყობს პარალელური და არასტრუქტურირებული იატაკქვეშა ეკონომიკის განვითარება. ამავე დროს, მიგრაცია ეხება არა მხოლოდ არაკვალიფიციურ ადამიანებს, არამედ ექიმებს, ექთნებს, ადმინისტრატორებს, მასწავლებლებს, რომელთა გამგზავრება „ტვინების გადინების“ მასობრივ ემიგრაციად უნდა ჩაითვალოს. ამ უკანასკნელს ასევე დიდწილად ხელი შეუწყო, როგორც ტრანსპორტის საშუალებებისა და საკომუნიკაციო ქსელების განვითარებამ, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებს შორის სიმდიდრის არათანაბარმა გადანაწილებამ. სპარსეთის ყურის ზოგიერთ ქვეყანაში, ისევე როგორც ავსტრალიაში, ბაჰამის კუნძულებზე, კანადაში, შვეიცარიაში და საფრანგეთში, ემიგრანტი მუშები მთლიანი მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ. მიგრაციის ნაკადი მხოლოდ ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ არ მიედინება, ის აშკარად სახეზეა ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებშიც.

1965 წელს მიგრანტთა რაოდენობა, სავარაუდოდ, 75 მილიონს შეადგენდა. გაეროს გამოთვლების მიხედვით, 1995 წელს 120 მილიონამდე ადამიანი მშობლიური ქვეყნის გარეთ ცხოვრობდა. მიგრაციის ნაკადმა ყველგან იმატა და შეუქცევადი გახდა, ის სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკასაც შეეხო. საერთაშორისო ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები მზარდ როლს ასრულებენ მიგრაციისა და დევნილთა პრობლემემატიკის კვლევისა და მართვაში, რამდენადაც ეს მოძრაობები ხშირად კონფლიქტებით გამოწვეულ ძალადობებთან და ჰუმანიტარულ ტრაგედიებთანაა ასოცირებული. დღესაც, წარსულის მსგავსად, მიგრაციული ფენომენები პირველ რიგში, პოლიტიკური კონფლიქტებით, ომებით, სიღატაკით და ექსპლუატაციითაა განპირობებული და, ასევე, უფრო ხელსაყრელი მატერიალური პირობების ძიებით, ხშირ შემთხვევაში, ილუზორული. მათზე ასევე გავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნის ისტორია და პოლიტიკა, სახელდობრ, მიგრაციის ნაკადი, რომელიც კოლონიზაციის პერიოდში და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გაიზარდა. ამ ფენომენებს საოჯახო ან ერთობის ტიპის ქსელები ეხმარება. აღნიშნულ პროცესს ასევე ხელს უწყობს ბუნებრივი კატასტროფები, გარემოს დაბინძურება, კერძოდ, საძოვრების გადაჭარბებულ

გამოყენებასთან დაკავშირებული ნიადაგის ეროზია ან გამოფიტვა. ამგვარად, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მილიონობით ადამიანი იძულებული გახდა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი მიეტოვებინა ცხოვრებისთვის შეუსაბამო პირობების გამო.

დევნილთა რაოდენობის მატება, – რასობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ ან პოლიტიკურ დევნას გამოქცეული ადამიანები, შეიარაღებული დაპირისპირებები – ამ მიგრაციული ნაკადის ერთ-ერთი ასპექტია. ევროპაში ომის შემდეგ მილიონობით ადამიანი გაექცა სილარბეს, ნაციზმის შედეგებს და კომუნისტურ დევნას ამერიკაში, ავსტრალიაში, კანადაში, შუა აღმოსავლეთის ან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დასასახლებლად. აღმოსავლეთ ევროპიდან დევნილი 14 მილიონზე მეტი გერმანელი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადავიდა საცხოვრებლად. 1950-იან წლებში დასავლეთ გერმანიამ 3,5 მილიონამდე დევნილი მიიღო. 1947 წლიდან დაახლოებით 40 მილიონმა ადამიანმა ინდოეთ-პაკისტანის საზღვარი გადალახა.

შემდგომში, დევნილთა მოძრაობამ იკლო, თუმცა, 1970-იან წლებში კვლავ იმატა. 1997 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარებული გამოთვლების მიხედვით, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 46 მილიონს შეადგენდა, რომელთაგან 26 მილიონი საკუთარ ქვეყნებში გადაადგილებული პირები იყვნენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დევნილთა უმაღლესი კომისარიატი (HCR) დღეისათვის დაახლოებით 13 მილიონი დევნილთა და საკუთარი ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ეკვივალენტური რაოდენობითაა დაკავებული. მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადაადგილება მოჰყვა სამოქალაქო ომს კამბოჯაში, ავღანეთში, სუდანში, სომალიში, ჰაიტიზე, ლიბერიაში, მოზამბიკში, იუგოსლავიაში და რუანდაში და მის გარშემო მდებარე ქვეყნებში, და ასევე, ქურთების წინააღმდეგ ჩატარებულ რეპრესიებს ერაყში. ხშირ შემთხვევაში, იმიგრანტებთან ასოცირებული დევნილები OCDE-ს ქვეყნებისთვის არასასურველი არიან და ქსენოფობურ და რასისტულ რეაქციებს იწვევენ, იმდენად რომ მიგრანტი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ცვლილებებს განიცდის. ეს მიგრაციული ნაკადი ასევე ხელს უწყობს აღნიშნული გრძნობების ბოროტად გამოყენებას და მოცემული ქვეყნების მემარჯვენეობისკენ გადახრას.

საერთაშორისო ინსტიტუტები აღარაა ადაპტირებული ახალ სიტუაციებთან. ისინი ვერ იცავენ ე. წ. ეკონომიკურ დევნილებს და ვერც საკუთარ ეროვნულ საზღვრებში დარჩენილ დევნილებს. როგორც ჩანს, ამ კუთხით, HCR-ის ინსტიტუტები ასევე დიდწილად, ვერ ასრულებენ თავიანთ მანდატს. ისინი ერთი გადაუდებელი სიტუაციიდან მეორეზე გადადიან და ხშირად, რეპატრაციის, რეადაპტაციისა და რეინსტალაციის დიდმასშტაბიანი და ძვირადღირებული ოპერაციების აუცილებლობის წინაშე დგებიან. ამ ინსტიტუტების საქმიანობას ძალზე ხშირად ამუხრუჭებს ფენომენის მასშტაბი და მდიდარი ქვეყნების უარი დახმარების ყველა საქმიანობის დაფინანსებაზე. ამიტომაც, ისინი იძულებულნი არიან დახმარებისა და დაცვის ოპერაციებში არასამთავრობო ორგანიზაციებს დაეყრდნონ. საბოლოო ჯამში, ამ ორგანიზაციების ქმედება არ არის პრევენციული, რადგან მათ არ გააჩნიათ ჩარევის საშუალებები იმ სიტუაციების წარმოქმნის შესაჩერებლად, რომლებიც დევნილთა გადაადგილებას იწვევს.

5. ახალი საერთაშორისო ინსტიტუტებისკენ?

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ გაეროს სისტემას ან, ყოველ შემთხვევაში, მის ზოგიერთ ორგანოს და სპეციალიზებულ ინსტიტუტს თანამედროვე მსოფლიოსთან არადაპტირებული მანდატები და სტრუქტურები აქვთ. თუმცა, სამთავრობო-შორისო ორგანიზაციების რეფორმირება შესაძლოა ეროვნულ ინსტიტუტებზე უფრო რთულად განსახორ-

ციელებელია. იშვიათია არაა, როდესაც ისინი ძველი მანდატებით არსებობენ, რომლებიც ამ უკანასკნელთ ნაწილობრივ პოლიტიკურ მნიშვნელობასა და სოციალურ საჭიროებას დაკარგულ ფუნქციებს ანიჭებს. სამდივნოები თავისი არსით კონსერვატორული ხასიათისაა და დინამიზმი და კრეატიულობა აკლიათ გარემოებებთან ადაპტაციისთვის. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოები ძალზე გაყოფილი არიან გასატარებელი რეფორმების ხასიათთან დაკავშირებით. მათ დღემდე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას გაეროს სისტემისთვის ახალი პრიორიტეტების დასახვის საკითხში, მისი სტრუქტურებისა და ფუნქციონირების ფორმის შესაცვლელად. ამავე დროს, შესაძლებელია, რომ პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ტრანსფორმაციებმა მსოფლიო დონეზე ინსტიტუციური ცვლილებების პირობები შექმნან ან ახალი ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი.

პირველ რიგში, აუცილებელია საერთაშორისო ფინანსური არქიტექტურის რეფორმის განხორციელება. ხშირად გამოთქვამენ იდეას საერთაშორისო ორგანოსთვის იმგვარი კომპეტენციების მისაკუთვნებლად, რომლებიც შესაძლებელს გახდის დიდი მასშტაბის ფინანსური კრიზისების თავიდან აცილებას და ამ უკანასკნელიდან მომდინარე სოციალური შედეგების შერბილებას. გაეროს განვითარების პროგრამით გათვალისწინებულია ღარიბი ქვეყნებისთვის განკუთვნილი მსოფლიო ინვესტირების ფონდის შექმნა, რომლის რესურსები შეიძლება შეფასების ახალი ფორმების საფუძველზე იქნეს მოპოვებული. მაგალითად, სავალუტო ტრანსაქციებით. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე გამოითქვა იდეა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციისთვის ახალი მანდატის გადაცემის შესახებ ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის კონტროლის გაწევის მიზნით, რომლებიც მსოფლიო წარმოებაზე და ვაჭრობაზე დომინირებენ და მონოპოლისტური ტიპის კონცენტრაციის ტენდენციას ამჟღავნებენ. დიდი ხანია, რაც მსჯელობა მიმდინარეობს ეკონომიკური უსაფრთხოების საბჭოს შექმნის პროექტთან დაკავშირებით, სადაც მინისტრების დონეზე განხილული იქნება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები, გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიები, გაერთიანებული ერების სპეციალიზებული ორგანიზაციების, ბრეტონ ვუდსისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ინსტიტუტების საქმიანობის მაკორდინირებელი პოლიტიკა. ამ საბჭოს ფუნქციაში შეიძლება ასევე შედიოდეს იმ საწარმოებისა და მთავრობების გამოაშკარავება და სანქციების გამოყენებაც კი, რომელთაც ბრალად ედებათ ადამიანის უფლებების მასობრივი შელახვა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ფრანგ. OIT; ინგლ. ILO) დებულებების აშკარა დარღვევა.

დღეისათვის საერთაშორისო რეგულაციის მექანიზმების რეფორმა ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად წარმოჩნდება. საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ ფუნქციას იმ ფორმით ახორციელებენ, რომელიც ეკონომიკური ძალაუფლებისა და პოლიტიკური ჰეგემონიის კავშირებს ასახავს, რითაც საერთაშორისო საზოგადოების სტრუქტურებია აღნიშნული. ამავე დროს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ დათანხმდეს თავისი პირველობის დათმობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში იქამდე, ვიდრე დიდი ფინანსური სარგებელი ექნება და მნიშვნელოვანი სისტემური კრიზისი არ შეარყევს მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჰეგემონიას.

დესკვნა

წინამდებარე გამოცემა საერთაშორისო პოლიტიკის, მისი მიზნებისა და თეორიების მეშვეობით, რომლებიც მის გააზრებას ცდილობენ, გარკვეულ დოქტრინებს გვთავაზობს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ფენომენების მაკროსკოპულ დონეზე არსებობის გამო, მათი გაგება იდეალურ-ტიპური აქტორების არსებობას საჭიროებს. შეუძლებელია ომის ან სახელმწიფოთშორისი მოლაპარაკების წარმოდგენა იდეალურ-ტიპური „სტრატეგის“ ან „დიპლომატის“ გარეშე, რომელსაც გარკვეულ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებულ მოტივაციებს მიაწერენ. ასევე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გასაგებად აუცილებელია ანონიმური სოციალური აქტორების, – ტრანსნაციონალური კომპანიები, მწარმოებლები, მომხმარებლები, მშრომელები – წარმოდგენა, რომელთაც თავიანთი ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების ერთობლიობას მიაწერენ. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების ინსტიტუციურ ანალიზს, მას ამ ორგანიზაციებისთვის შედარებითი ავტონომიის მინიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი ამ უკანასკნელთ საკუთარი ლოგიკის მატარებელ ერთეულებად განიხილავს.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული პარადიგმებისა და კონცეპტუალური ჩარჩოების საერთო მახასიათებელია გამარტივებელი მოდელებით მომარაგება საერთაშორისო ფენომენებთან მისადაგების მოტივით, რომლებიც აბსტრაგირების ძალისხმევას არარსებობის გამო, მხოლოდ გაურკვეველი ფორმით გვევლინებიან. რეალიზმი, მარქსიზმი, ტრანსნაციონალიზმი, ფუნქციონალიზმი, ინსტიტუციონალიზმი, ისევე როგორც მათი სხვადასხვა განახლებული თუ ჰიბრიდული გარდასახვები, აქტორთა შექმნას ცდილობენ, – სახელმწიფო, კლასები, სოციალური ძალები, ქსელები ან რეჟიმები – რომელთაგან არც ერთი არ შეესაბამება ხელშესახებ რეალობას. ისინი ამ უკანასკნელთ ლოგიკას ანიჭებენ, რაც იმ ქცევებში უნდა აისახოს, რომლებიც განმარტებისთვის მისაღებად მიჩნეულ ფენომენებს წარმოშობს.

ირონიას არაა მოკლებული ის ფაქტი, რომ გაჩნდა პარადიგმები და კონცეპტუალური ჩარჩოები, – თუმცა, ყველა მათგანი შემზღვედელია – რომლებიც სხვების მნიშვნელობის დაკნინებას რედუქციონიზმის კრიტიკით ცდილობენ. ამგვარად, პოლიტიკური რეალიზმი იდეალიზმისა და ინსტიტუციონალიზმისგან გამიჯვრით ჩამოყალიბდა, რომელთაც ის საერთაშორისო ფაქტების დეპოლიტიზებულ კონცეფციას საყვედურობდა. საგარეო პოლიტიკაში მორალური მსჯელობების პირველობის უარყოფით, რეალიზმმა საერთაშორისო ურთიერთობების წარმოდგენა აბსტრაქტული ერთეულის საფუძველზე გადაწყვიტა, – ძირითადად, უსაფრთხოების ლოგიკით მოქმედებაში მოყვანილი სახელმწიფო. ნეომარქსისტული თეორიები ცდილობენ გვიჩვენონ, რომ რეალიზმი სახელმწიფოს მატერიალიზებას ახდენს, ხოლო მოგების ძიებით მოტივირებული დომინანტური კლასები საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზისთვის შესაბამისი აქტორებია. ამავე დროს, შეძლებს კი დომინანტური კლასის კატეგორია სოციალურ-პოლიტიკური რეალობის ჰიპოსტაზირების თავიდან აცილებას, მფლობელების იმ ჯგუფში შეყვანით, რომელთაც ერთდროულად აქვთ წარმოების საშუალებები, სახელმწიფო ძალაუფლება და იდეოლოგიური აპარატები? აღნიშნულში სრული უფლებით შეიძლება ეჭვის შეტანა. ტრანსნაციონალიზმის მომხრეები იზიარებენ შეხედულებას, რომლის თანახმად, სახელმწიფოები არ წარმოადგენენ მყარ ერთეულებს და, ასევე, საჭიროა არასახელმწიფო აქტორების როლის გათვალისწინება, განსაკუთრებით კი ეკონომიკური აქტორებისა, საერთაშორისო ფენომენების განსაზღვრაში. ისინი უპირატესობას ანიჭებენ მიდგომას ქსელების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთკავშირების განმარტებას აქტორთა სხვადასხვა კატეგორიის შორის. მათი მიდგომა მეტწილად, აბსტრაქტულია და კოლექტიური ერთეულების ანალიზზე დაფუძნებული, რომლებსაც ისინი

ძირითადად, უტილიტარული ხასიათის ერთმნიშვნელოვან მოტივაციებს მიაწერენ. ამაზე ნეორეალიზმი რეაგირებს იმით, რომ საპირისპირო პარადიგმებს რედუქციონიზმს საყვედურობს, მნიშვნელობის დიურკჰეიმისეული გაგებით, – ყველაფერი, რაც სახელმწიფოს მიერაა ჩამოყალიბებული მის შემადგენელ ნაწილთა ჯამამდე არ დაიყვანება. ამ პერსპექტივაში, არ ითვალისწინებენ შიდა ფაქტორებს. ეს გადაჭრით ჰოლისტური პოზიცია რეალიზმის მეთოდოლოგიურ არჩევანს რადიკალურს ხდის და კვლევების სფერო მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოთა ურთიერთობებამდე დაჰყავს, რომელთა ურთიერთქმედებამ საერთაშორისო წესრიგი უნდა ჩამოაყალიბოს. ფუნქციონალიზმი, ინსტიტუციონალიზმი, რეჟიმების თეორია და გრამშიზმი, აგრძელებს ძალისხმევას, რომელიც რეალისტურ მიდგომაში შესწორების შეტანას და მასში საერთაშორისო პოლიტიკის მეტ-ნაკლებად გადამწყვეტი ცვლადების, როგორცაა იდეები და ინსტიტუტები, ჩართვაში მდგომარეობს. თუმცა, ეს უკანასკნელი ძნელად შესაფასებელია, ხან იმიტომ, რომ მაკროსკოპულ სიდიდეებზე მიგვანიშნებენ, – საერთაშორისო ინსტიტუტების შემთხვევა – ხან კი ფართო ჩართულობის გამო, – იმ იდეების შემთხვევა, რომლებიც მოიცავენ, როგორც პრინციპებს, ნორმებს და პროცედურებს, ისე რწმენებს და იდეოლოგიებს. მეორე მხრივ, ისინი ახალ მეთოდოლოგიურ სირთულეებს ქმნიან, – რამდენად არიან ისინი მიზეზები ან შუამავლები.

ამ ნაშრომის მიზანია პარადიგმების და კონცეპტუალური ჩარჩოების იმ ობიექტებზე გადატანა, რომელთა განმარტებასაც ისინი ცდილობენ. ამგვარად, რეალისტური მიმდინარეობის ანალიზის სფერო სახელმწიფოთშორისი ურთიერთობებია, რომელშიც ის სპეციფიკურობას ლეგიტიმური ფიზიკური ძალადობის მონოპოლიური ინსტანციის არარსებობაში ხედავს. საერთაშორისო ურთიერთობების სფერო, რომელზეც რეალისტები „კანონების დადგენას“ ცდილობენ, ე. ი. კანონებისა თუ არა, კანონზომიერებების გამოყოფას მაინც, ძირითადად პოტენციური ან რეალური კონფლიქტების მართვას ეხება კოლექტიურ აქტორებს შორის, რომელთაც სახელმწიფოები წარმოადგენენ. პოლიტიკური რეალიზმის დოქტრინა შეიძლება პრაქსეოლოგიურად განისაზღვროს იმ მნიშვნელობით, რომ ის მიზნად ისახავს მოქმედების წინასწარ განჭვრეტას და წარმართვას სახელმწიფო მოღვაწეთა შემთხვევაში, გარემოში, რომლის ზოგადი თუ სპეციფიკური პირობების და შეზღუდვების ჩაწვდომასაც ის ცდილობს. მიუხედავად იმისა, მივემხრობით თუ არა ამ დოქტრინის მთავარ ამოცანას, ის მაკიაველმა უკვე ჩამოაყალიბა, – როგორ შეუძლიათ „სახელმწიფოებს მართვა და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ სხვა სახელმწიფოებიდან მომდინარე პოტენციური თუ რეალური საფრთხის პირისპირ. თუმცა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აღნიშნული დოქტრინის მიერ გამოყენებული კონცეპტუალური სტრუქტურა ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო მოღვაწეთა მიერაა გაზიარებული. ამგვარად, ეს დოქტრინა ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებების განმარტების შესაძლებლობას იძლევა მაშინაც კი, როდესაც მათ უცილობლად არ მივყავართ გამიზნულ შედეგამდე.

რაც შეეხება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროს, ის მრავალი პარადიგმით თუ კონცეპტუალური ჩარჩოთა განსაზღვრული. ეს სფერო უფრო კომპლექსური ხდება, როგორც კი კერძო აქტორთა ქცევის და მათ სახელმწიფოებთან ურთიერთქმედების გათვალისწინებას მოითხოვს. ტრანსნაციონალიზმი და ნეორეალიზმი ამ ურთიერთობების ანალიზისთვის თავისებური ფორმით იყენებს მიკროეკონომიკურ მოდელს და საწარმოებსა და მთავრობებს მაქსიმიზაციის ანალოგიურ ნებას აკუთვნებს. ეკონომიკურის და პოლიტიკურის გაერთიანებით წარმოქმნილი წესრიგი ამ ორი კონცეპტუალური ჩარჩოს მიერ გაზიარებული ძირითადი პრობლემატიკაა, რომელიც ამავე დროს, ერთმანეთისგან ბაზრისათვის მინიჭებული როლით განსხვავდება. ტრანსნაციონალიზმის მომხრეები ბაზარს გარკვეულ ავტონომიას ანიჭებენ, მაშინ როდესაც ნეორეალისტებისთვის ის ძლიერი სახელმწიფოების მიერაა შექმნილი და ინსტრუმენტალიზებული, კერძოდ, ჰეგემონის მიერ. რაც შეეხება ნეომარქსისტულ და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის კვლევებს, ისინი უფრო მეტად

დაკავებულნი არიან ამ ურთიერთქმედებიდან მომდინარე უწესრიგობით და უსამართლობით. თუმცა, ისინი სახელმწიფოსთვის მინიჭებული ფუნქციებით განსხვავდებიან. თუ ნეომარქსისტებისთვის სახელმწიფო ინსტანცია მხოლოდ შუამავლობის ფორმაა, რომელსაც კლასთა ბრძოლა იძენს, – შრომა და მისი ექსპლუატაცია ამ კუთხით, ფუნდამენტური სოციალური კავშირია – საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბაზრის საქმიანობის რეგულირებაში, რომლის მზარდი ავტონომიის გამო ის უკმაყოფილებას გამოთქვამს.

სახელმწიფოების, კერძო აქტორების და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობებიდან შემდგარი სფერო ასევე განსხვავებული კონცეპტუალური ჩარჩოების დაპირისპირების ობიექტია. მასში ვხვდებით იგივე საკითხებს, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ყოფენ. პირველ ყოვლისა, ესაა ანალიტიკური საკითხები: რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თითოეულ აქტორს? როგორია მათი შესაბამისი ავტონომია? როგორ უნდა გავითვალისწინოთ ამ აქტორებისთვის დამახასიათებელი ლოგიკა? რამდენად ახდენენ ისინი ერთმანეთზე ზეგავლენას? შემდეგ მოდის ნორმატიული საკითხები: მართებულია თუ არა წესრიგისთვის ან სამართლიანობისთვის უპირატესობის მინიჭება? ამ კითხვებზე გაცემულმა სხვადასხვა პასუხებმა განსხვავებული მიმდინარეობების ჩამოყალიბება გამოიწვია: ჰეგემონიური სტაბილურობის თეორია, ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი, სამთავრობოთშორისო ურთიერთობები, ნეონსტიტუციონალიზმი და გრამშიზმი. საბოლოო ჯამში, არჩევანი უნდა გაკეთდეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის ან საქმეში ჩაუხედავის მიერ, რომელიც საკუთარ რწმენებს მიჰყვება.

სოციალური მეცნიერებების კვლევისთვის დამახასიათებელი რეფლექსიის აქტი უცილობლად მოითხოვს ფოკუსირებას, რომელიც ცდილობს არ გააშუქოს მთელი რიგი ლეგიტიმური პრობლემები. არჩევანი ნაწილობრივ კვლევის ობიექტით იქნება ნაკარნახევი. თუკი ეს უკანასკნელი შეეხება მაგალითად, საერთაშორისო დავალიანების სისტემის შესწავლას, რეალისტურ კონცეპტუალურ ჩარჩოს მხოლოდ ჰეგემონიის ფაქტორების განმარტების ინტერესი იქნება, რომელიც ამ ფენომენს აღნიშნავს და სრულიად არ იქნება დაინტერესებული სოციალური შედეგებით; სამაგიეროდ, ის უფრო საჭიროდ წარმოჩნდება ზოგიერთი საერთაშორისო კონფლიქტის დინამიკის გასაგებად, მაგალითად, აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირება ცივი ომის განმავლობაში. შემდეგ მოდის პრობლემატიზაცია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლეგიტიმური საკითხების განსაზღვრა. ეს უკანასკნელი სხვადასხვაგვარად იქნება ფორმულირებული, მიღებული კონცეპტუალური ჩარჩოს მიხედვით, და შედეგად, დასაბუთებები შეიცვლება. საერთაშორისო დავალიანების სისტემის გრამშისეული ანალიზი მოგვცემს ნეონსტიტუციური ორიენტაციის ანალიზისგან ძალზე განსხვავებულ შედეგებს. ხომ არ ხდება ეს იმის გამო, რომ პირველში უპირატესობა სამართლიანობის ცნებას აქვს მინიჭებული, მაშინ როდესაც მეორეში ეს ადგილი წესრიგის ცნებას უკავია? ასევე, პოლიტიკური რეალიზმის კვლევები აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების განხილვისას შიდა ფაქტორებს გამორიცხავს, რომლებმაც ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე იქონია გავლენა და მხოლოდ სტრატეგიულ მიზნებზე მოახდენს ფოკუსირებას, რაც განსხვავებული იქნება იმ კვლევებისგან, რომლებიც მაგალითად, კონფლიქტის განვითარებაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის როლს გაითვალისწინებს. ამ მხრივ, წინამდებარე ნაშრომის ავტორთა სურვილია მკითხველისთვის დახმარების გაწევა, მაგრამ ასევე პარადიგმებისა და კონცეპტუალური ჩარჩოების ფარგლების ჩვენება იმ სპეციფიკურ სფეროებში, რომლებშიც ამ უკანასკნელებმა კანონები უნდა დაადგინონ.

ბიბლიოგრაფია

- ANDERSON Benedict, *L'Imaginaire national: Réflexions sur l'origine et l'essor du nationalisme*, Paris, La Découverte, 1996 (1991).
- ARIFFIN Yohan, „O pudenda origo! Contribution à une généalogie du développement comme discours normatif, économique et politique”, in Klaus-Gerd GIESEN (éd.), *L'Éthique de l'espace politique mondial*, Bruxelles, Bruylant, 1997, pp. 133-168.
- ARIFFIN Yohan, „On War Causation: Passions, Politics or International Relations?”, *Internationale Zeitschrift für Philosophie*, Heft 1, 2004, pp. 94-118.
- ARON Raymond, „Qu'est-ce qu'une théorie des relations internationales?”, *Revue française de science politique*, vol. 17, n° 5, pp. 837-861.
- ARON Raymond, *Penser la guerre, Clausewitz*, 2 vol., Paris, Gallimard, 1976.
- ARON Raymond, *Paix et la guerre entre les nations*, Paris, Calmann-Lévy, 2e éd., 1984.
- AUBERTIN Catherine, VIVIEN Franck-Dominique, *Les Enjeux de la biodiversité*, Paris, Economica, 1998.
- BADIE Bertrand, SMOUTS Marie-Claude, *Le Retournement du monde: Sociologie de la scène internationale*, Paris, Presses de la Fondation nationale des sciences politiques, 1992.
- BAYART Jean-François, *L'Illusion identitaire*, Paris, Fayard, 1996.
- BERTRAND Maurice, *L'ONU*, Paris, La Découverte, 2000.
- BRAILLARD Philippe, DJALILI Mohammad-Reza, *Les Relations internationales*, Paris, PUF, „Que sais-je?”, 1988.
- BULL Hedley, *The Anarchical Society*, Londres, The Macmillan Press, 1977.
- CARDOSO Fernando, FALETTO Enzo, *Dépendance et développement en Amérique latine*, Paris, PUF, 1978.
- CARR Edward Hallett, *The Twenty Years' Crisis: 1919-1939, An Introduction to the Study of International Relations*, Londres, Macmillan, 1939.
- CASTEL DE SAINT-PIERRE Charles-Irénée, *Abrégé du Projet de paix perpétuelle*, Rotterdam, J.-D. Beman, 1729.
- CERNY Philip, *The Changing Architecture of World Politics: Structure, Agency, and the Future of the State*, Newbury Park, Sage, 1990.
- CHALIAND Gérard, *Anthologie mondiale de la stratégie: des origines au nucléaire*, Paris, R. Laffont, 1990.
- CHAVAGNEUX Christian, *Économie politique internationale*, Paris, La Découverte, 2004.
- CLAUSEWITZ Carl (von), *De la guerre*, Paris, G. Lebovici, 1989.
- COICAUD Jean-Marc, *Légitimité et politique*, Paris, PUF, 1997.
- COLARD Daniel, *Les relations internationales de 1945 à nos jours*, Paris, A. Colin, 8e éd., 1999.
- COX Robert W., JACOBSON H., *The Anatomy of Influence*, New Haven, Yale University Press, 1974.
- COX Robert W., *Production, Power and World Order*, New York, Columbia University Press, 1987.
- DAVID Ch.-Ph., *Au sein de la Maison-Blanche. La formulation de la politique étrangère des États-Unis*, Sainte-Foy, Presses de l'université de Laval, 2004 (2e éd.).
- DAVID Ch.-Ph., *La guerre et la Paix, Approches contemporaines de la sécurité et de la stratégie*, Paris, Presses de Sciences Po, 2000.
- DEUTSCH Karl, *Political Community at the International Level*, Princeton, Princeton University Press, 1953.
- DEVIN Guillaume, *Sociologie des relations internationales*, Paris, La Découverte, 2002.

- FAUCHEUX Sylvie, NOËL Jean-François, *Les menaces globales sur l'environnement*, Paris, La Découverte, 1991.
- FOURQUET François, *Richesse et puissance. Une généologie de la valeur*, Paris, La Découverte, 1989.
- FRANK André Gunder, *Le Développement du sous-développement: l'Amérique latine*, trad. C. Passadéos, Paris, F. Maspero, 1970.
- GELLNER Ernst, *Nations et nationalisme*, trad. B. Pineau, Paris, Payot, 1989 (1983).
- GEERTZ Clifford, „The Integrative Revolution-Primordial Sentiments and Civil Politics in the New States”, in *Old Societies and New States*, New York, The Free Press, 1963, pp. 255-310.
- GILL Stephen, LAW David, *The Global Political Economy*, New York, Harvester Wheatsheaf, 1988.
- GILPIN Robert, *War and Change in World Politics*, New York, Cambridge University Press, 1981.
- GILPIN Robert, *The Political Economy of International Relations*, Princeton, Princeton University Press, 1987.
- GILPIN Robert, *Global Political Economy. Understanding the International Economic Order*, Princeton, Princeton University Press, 2001.
- GRAZ Jean-Christophe, *La Gouvernance de la mondialisation*, Paris, La Découverte, 1994.
- GROTIUS Hugo, *Le Droit de la guerre et de la paix*, trad. J. Barbeyrac, Amsterdam, P. de Coup, 1625.
- GRUBER Lloyd, *Ruling the World. Power Politics and the Rise of Supranational Institutions*, Princeton, Princeton University Press, 2000.
- GURR Ted Robert, *Minorities at Risk. A global Views of Ethnopolitical Conflicts*, Washington, United States, Institute of Peace Press, 1993.
- HAAS Ernst B., „The Balance of Power: Prescription, Concept, or Propaganda?”, *World Politics*, vol. 5, no 4, 1953, pp. 442-477.
- HAAS Ernst B., *The Uniting of Europe*, Londres, Stevens & Sons, 1958.
- HARDING Garrett, „The Tragedy of the Commons”, *Science*, 162, 1968, pp. 1243-1248.
- HARSENCLAVER Andreas, et al. „Interests, Power, Knowledge“ The Study of International Regimes”, *Mershon International Studies Review*, vol. 40 no 2, 1996, pp. 177-221.
- HARSENCLAVER Andreas, MAYER Peter, RITTBERGER Volker, *Theories of International Regimes*, Cambridge, Cambridge University Press, 2000.
- HERMET Guy, *Histoire des nations et du nationalisme en Europe*, Paris, éd. du Seuil, 1996.
- Hobbes Thomas, *Léviatan*, F. Tricaud (éd.), Paris, Sirey, 1971 (1651).
- HOBSBAWM Éric, *Nations et nationalisme depuis 1780*, Paris, Gallimard, 1992 (1990).
- HOLSTI K. J., *War, the State, and State of War*, 1996.
- JACKSON Robert H., *Quasi-States: Sovereignty International Relations and the Third World*, Cambridge, Cambridge University Press, 1990.
- JAFFRELOT Christophe, „Les modèles explicatifs des nations et du nationalisme, revue critique”, in Gil DELANNOI et Pierre-André TAGUIFF (éd.), *Théories du nationalisme: Nation, nationalité, ethnicité*, Paris, Kimé, 1991, pp. 139-140.
- KANT Emmanuel, *Œuvres philosophiques*, F. Alquié (éd.), Paris, Gallimard, 1980-1986, 3 vol.
- KAPLAN Morton, *System and Process in International Politics*, New York, J. Wiley, 1957.
- KAUFMANN Johan, *Conference Diplomacy*, Dordrecht, M. Nijhoff, 1988.
- KÉBABDJIAN, *Les théories de l'économie politique internationale*, Paris, Éd. du Seuil, 1999.
- KEOHANE Robert O., *After Hegemony, Cooperation and Discord in the World Political Economy*, Princeton, Princeton University Press, 1984.
- KEOHANE Robert O. (éd.), *Neorealism and its Critics*, New York, Columbia University Press, 1986.
- KEOHANE Robert O., *International Institutions and State Power*, Londres, Westview Press, 1980.
- KEOHANE Robert O., *International Institutions and State Power*, Londres, Westview Press, 1989.

- KEOHANE Robert O., HOFFMAN Stanly (éd.), *The New European Community*, Boulder, Westview Press, 1991.
- KINDLEBERGER Charles, *The World in Depression, 1929-1939*, Berkeley, University of California Press, 1986 (1973).
- KLEIN Jean, *Dictionnaire de stratégie*, Paris, PUF, 2001.
- KRASNER Stephen (éd.), *International Regimes*, Ithaca, Cornell University Press, 1983.
- LAROCHE Josepha, *Politique internationale*, Paris, LGDJ, 1998.
- LENAIN Patrik, *Le FMI*, Paris, La Découverte, 2002 (3e éd.).
- L'HERITEAU Marie-France, *LE fonds monétaire international et les pays du Tiers-Monde*, Paris, PUF, 1986.
- LINDBERG Leon, *The Political Dynamics of European Economic Integration*, Stanford, Stanford University Press, 1963.
- LIST Friedrich, *Système national d'économie politique*, trad. H. Richelot, Paris, Gallimard, 1998.
- LOCKE John, *Traité du gouvernement civil*, trad. D. Maze, Paris, Flammarion, 1999.
- LUKES Steven, *Power: A Radical View*, Londres, Macmillan, 1974.
- MACHIAVEL., *Œuvres complètes*, E. Barincou (éd.), Paris, Gallimard, 1952.
- MITRANY David, *A Working Peace System*, Londres, Royal Institute of International Affairs, 1943.
- MORAVCSIK Andrew, *The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht*, Londres, UCL, Press, 1999.
- MOREAU DEFARGES Philippe, *Les Institutions européennes*, Paris, A. Colin, 6e éd., 2002.
- MORGENTHAU Hans J., *Politics among Nations: The Struggle for Power and Peace*, New York, A.A. Knopf, 1948.
- ONUF Nicholas G., *World of Our Making*, Columbia, University of South Carolina Press, 1989.
- POIRIER Lucien, *Des stratégies nucléaires*, Bruxelles, Éd. Complexe, 1988.
- QUERMONNE Jean-Louis, *Le Système de l'Union européenne*, Paris, Montchrestien, 1998.
- RAFFINOT Marc, *La Dette des tiers-mondes*, Paris, La Découverte, 1993.
- RAINELLI Michel, *L'Organisation mondiale du commerce*, Paris, La Découverte, 2002.
- ROCHE Jean-Jacques, *Relations internationales*, Paris, LGDI, 1999.
- ROCHE Jean-Jacques, *Théories des relations internationales*, Paris, Montchrestien, 5e éd., 2004.
- ROGER Antoine, *Les grandes Théories du nationalisme*, Paris, A. Colin, 2001.
- ROSENAU James, CZEMPIEL, Ernst-Otto, (éd.), *Governance without Government*, Cambridge, Cambridge University Press, 1992.
- ROSENAU James, *Turbulence in World Politics: A Theory of Change and Continuity*, New York, Harvester Wheatsheaf, 1990.
- ROSIER Bernard, *Les Théories des crises économiques*, Paris, La Découverte, 1993.
- ROUSSEAU Jean-Jacques, *Œuvres complètes*, vol. III, Paris, Gallimard, 1964.
- RUSETT Bruce, *Grasping the Democratice Peace*, Princeton, Princeton University Press, 1993.
- SENARCLENS Pierre (de), *La Crise des Nations unies*, Paris, PUF, 1988.
- SENARCLENS Pierre (de), *De Yalta au rideau de fer*, Paris, Presses de Sciences Po, 1993.
- SENARCLENS Pierre (de), *L'Umanitaire en catastrophe*, Paris, Presses de Sciences Po, 1999.
- SENARCLENS Pierre (de), *La Mondialisation, Théories, enjeux et débats*, Paris, A. Colin, 4e éd., 2005.
- SCHNAPPER Dominique, *La Communauté des citoyens, Sur l'idée moderne de nation*, Paris, Gallimard, 1994.
- SIEYÈS E., *Qu'est-ce que le tiers état?*, Paris, PUF, 1982.
- SINGER David, *Nations and War*, Cambridge, Cambridge University Press, 1998.
- SMITH Adam, *La richesse des nations*, trad. G. Garnier, Paris, Flammarion, 1991, 2 vol.
- SMITH Anthony, *State and Nation in the Third World*, Sussex, Wheatsheaf Books, 1983.

- SMITH Anthony, *National Identity*, Londres, Penguin Books, 1991.
- SPYKMAN Nicholas, *America's Strategy in World Politics: The United States and The Balance of Power*, New York, Harcourt, Brace and Company, 1942.
- STRANGE Susan, *States and Markets*, Londres, Pinter, 1988.
- STRANGE Susan, *The Retreat of the State. The Diffusion of Power in the World Economy*, Cambridge, Cambridge University Press, 1996.
- STRANGE Susan, *Mad Money*, Manchester, Manchester University Press, 1998.
- SUR Serge, *Les relations internationales*, 3e éd., Montchrestien, 2003.
- TERREY Emmanuel, *Clausewitz*, Paris, Fayard, 1999.
- TRANHOLM-MIKKELSEN Jeppe, „Neo-functionalism: Obstinate or Obsolete? A Reappraisal in the Light of the New Dynamism of the EC”, *Millenium: Journal of International Studies*, Vol 20, No 1, pp. 1-21.
- WALLERSTEIN Immanuel, *Le Système monde du XVI siècle à nos jours*, Paris, Flammarion, 1980-1985, 2 vol.
- WALTZ Kenneth, *Theory of International Politics*, New York, McGraw-Hill, 1979.
- WALTZ Kenneth, „The spread of nuclear weapons: More may be a good thing”, *Adelphi Paper* 171, 1981.

